114
1924

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალმანი

№ 5

144

1924

ვოლიბრ. ასოთ.ლიტ.ნ.ბ.ბ.

ბრძოლისა-ნებრ ყველა ძალისა, მეგზაურნი!

№ 5

ყოველთვიური სამხატვრო-სალიტერატურო
::::::::::: და სამეცნიერო ჟურნალი :::::::::::

ტფილისი 1924 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პასუხისმგებელი რედაქტორები: { მ. კახიანი.
ვ. ბახტაძე.

გამომცემელი: { საქართველოს პოლიტ-განათ
ლების მთავარ-მართველობა.

სტამბა პოლიგრაფსკოლისა, ტფილისი, განოვის ქუჩა № 3. ტირაჟი 4000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო

რ უ ს ე თ ი

დასავლეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძე

მოგონებები
იმ დღეების
როცა იელვა

100%! — ადნობს და დაგავს
ლოუბლების ტივი
გადამავალი მზე აჩრდილს აგავს
რეტროსპექტივი.

ხედავს გრძელსა და ცარიელ ქუჩას
პირშემკრთალ გაზით,
აქა-იქ ჭარხნებს ლიმი არ უჩანს —
სავსეა ბრაზით.

ხედავს სახლების უბრალო ფარდებს:
დალლილი, ზანტი
მკრთალ სინათლეზე ალაგებს ვარდებს
ოჯახის ლანდი.

და უფრო იქით სულ სხვანაირი
გზა იფინება:
არღნების გამბა, მძიმე ჰაერი,
ლანძღვა-გინება.

აქ გზატკეცილმა ნდობა არ იცის...
ხელ განაშვები
თრთიან შიმშილის და პოლიციის
მსხვერპლი ბავშვები.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის, წინად გზაში ნაპოვნი ბავში,
ეხლა უსახლო —
იდუმალად დგას ჩაცმული შავში
ქარხნების ახლო.

მას გული ადრე გაუპეს თუჯის,
ყველაფრის მცოდნეს;
მემატიანე ზღვისპირა ქუჩის
ლამის ჩამოდნეს.

ვინ იცის წელი ეს ოცდაათი
სად გაათია...
ქალაქის კოშკის რეკავს საათი
ცხრა საათია.

„ევა"!—გადაჭრა ძახილმა მაშინ
ჰაერი მჭრქალი
და შემოდგომის ვარდებით თმაში
გამოჩნდა ქალი.

ზღვის პირად ორად გადაჭრილ ქუჩას
გზა აპობს შვიდი
აქვს მოლუშული სახე ლუჩიოს
და ევას — შშვიდი.

ევას ფეხები ჰქონია მკრთალი
ის მიდის ნელა
და გამომწვევი ხმით ამბობს ქალი:—
— ისე, ვით ყველას!

ლუჩიო, როცა დგეხარ მხარ და მხარ
ჰგევხარ გოლიათს
მაინც არც ისე საშიშარი ხარ
სხვებს რომ ჰგონიათ.

მე? შიში? შენი? არა სრულიად!
ნუ ხუმრობ, კმარა!
სხვის შიშით გული დაისრულია
შენით კი არა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულში არ არის რამე ღრუბელი
ნელი ქარია
სიცოცხლე მიმაქვს თავისუფალი
და მიხარია.

სულში არ არის რამე ღრუბელი
ბინდის მფენარი
ალუჩა ყვავის და ალუბალი
და ცინერარი.

სულში არ არის რამე ღრუბელი
და გულდაკოდვა
ო, მაინც გულში მაქვს დაგუბული
ეს დიდი ცოდვა.

ცოდვაა, ცოდვა... რომ დღეს ცბიერი
მაქვს სული დარის
რომ ჩემზე კარგი და ბედნიერი
დღეს არვინ არის.

თითქო მხოლოდ დღეს ვიგრძენი ფასი
მწარე და ფრთხილი.
თითქო არ ვიყო მუშათა კლასის
ნამდვილი შვილი!

შენი, ლუჩიო სიტყვა არ მჯერა,
რაც თვით არ გახსოვს,
შენ დააკვირდი ჩემს სახეს ჯერა
ის მოგცემს პასუხს.

მე.თვალები მაქვს ისე, ვით ია?
ის შეშკრთალია?
კარგია. კმარა. შენ არა გწია?
მე კი... ძალიან.

აი, მაწვდი პურს როგორც ნამალავს;
არა, არ მინდა
ავილო? არვის არ მოუწამლავს?
რაზ გამარინდა?

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

არ მინდა! რატომ? არ მინდა შენგან.
მომშორდი, კმარა.
როგორ შოულობ? შენ ქურდობ ყველგან?
არ მინდა, არა.

შენ მეუბნები საოცარ რამეს:
„გონს მოდი, ევა".
შიმშილისაგან წაიქცე ლამის,
სული გელევა"

გიამბო? არა. ვნახე ვენახი
როგორც ტაძარი.
ისეთი არსად ჯერ არ მენახა
უზარმაზარი.

და იისფერი ფუოცლები ეახის
სანთლებს ვენახში
უმძიმეს ქარვის მტევნებად აზის
ვით ფერფლი ნახშირს.

კარგად არ მახსოვს ეს ფრინველები
იყვენ ჩიტები
თუ ანგელოსებს ესხათ ხელები
და ბიკრიტები?

ლუჩიო უსმენს. მასში ესოდენ
გრძნობს გაოცებით
და ირონიით: ეს იქნებოდენ
ანგელოზები.

„უცებ მოვარდა ძლიერი სტიგმა —
განაგრძობს ევა —
მაღალ ხეების მწუხარე რიგმა
დაიწყო რყევა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა საოცარი დაიძრა ღვარი,
ხეთ რა რიგ ხრიდენ:
ყოველი მხრიდან ბერავდა ქარი
ყოველი მხრიდან.

აღმოსავლეთით თოვლივით თეთრი
ბერავდა ქარი
იყო სპეტაკი და ნაზად მკვეთრი
და ძლიერ ჩქარი.

ჩრდილოის ქარი იყო წითელი
მაგრამ ნათელი,
გორავდა ყვითელ ფოთლის მითელი
და კამათელი.

მესამე ქარი იყო ვით ქარვა
როგორც საბოთხე
და იისფერი, როგორ: „აქ არ ვარ"
იყო მეოთხე.

იდგა მთელ ბაღში ფერთა ფერები
შემდეგში ყველა
იძროდენ როგორც სულიერები
ნელა და ნელა.

და მე შემდეგში ალარ ვიცოდი
ო, მთელი ღამე,
ეს ქარი იყო სამაისოთი
თუ კვლავ სხვა რამე?

— ანგელოზები იყვენ უთუოდ
დასცინის ვაჟი —
ასე ყოველმხრით, ასე უდროოთ
რომ ჭროდენ ცაში.

ანგელოზები — გაანჩხლდა ევა —
ვიცი, რაც არი:
შენთვის არც ხატი გამოირჩევა
და არც ტაძარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ტაძარიც იდგა ჰაერში
უუკვდავესი.
იგი არავის არ ეპყრა ხელში
იდგა თავისით.

განათებული იყო ვით დიდი
წვიმაში ნელი
ელვიდან ელვის ძლიერი ხიდი
და სამინელი

იყო რაღაცა ცეცხლი ზეციდი
მზეთ ცვალებაში
მე ვმოძრაობდი და მე შეეედი
ბრწყინვალებაში.

და კრეტსაბელი იძროდა რხევით
ელვათა გუდი
ელვები ფეთქდენ და იმათ ზევით
მოსჩანდა მტრედი

თავი მტრედისა იყო ოქროის
ცისფერი მკერდი.
თრთები—წითელი ძოწის—როიის
ო, უცხო მტრედი.

წითელი, თითქო სისხლი დიოდა,
ჰქონდა ბრჭყალები
და მის თვალთაგან გადმოდიოდა
ცა ბრწყინვალებით.

რა დროს ესაა... ო, ბედო ჩემო,
შეხედე, წორით...
ლუჩით, ხედავ, გამოჩნდა გვემი
ერთი და ორი.

შეხედე—როგორ თრთიან ანძები
გულზე ლოდია.
ო, როგორ მშია და ციქანცები...
სიდან მოდიან?

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მოდიან, მოაქვთ ძვირფასი ფარჩა
ინდოეთიდან
მოაქვთ თუ სადმე ხორბალი დარჩა
ზღვა — ხმელეთიდან.

როგორ ტრიალებს ციდან ბორბალი
ერთი ათიდან
ინდოეთიდან მოაქვთ ხორბალი
და კანადიდან.

ხორბალო აქეთ, აქეთ... ო, აქეთ!
გული დაფერე!
— ო, ბედნიერო, შენ რა რომ მოაქვთ?
— მე? არაფერი!

როს ძილს ეძლევა ლამით უბნები
იქაც და აქაც.
შორს ნათესავზე მე მეუბნება
ბრნა დედაკაცი.

ამბობენ: ძლიერ არის მდიდარი
აქვს ბევრი რამა.
მე კი — სიმდიდრე არაერთარი
დედა, არც მამა.

ქალი უცხოა ჩემთვის სრულიად,
მე. ვცხოვრობ მასთან;
ეს თითქო ბედის დასასრულია...
სანამდი გასტანს?

როცა ქარხანა დახურეს ჩვენი —
იმ ნახევარი
წლის მეტად მწარე ვიდოდენ დღენი
უმუშევარი.

იანვრის ქარი ცივი და ბნელი,
მწუხარე ჩრდილი —
როცა სულისთვის არ არის ძნელი
თვითონ სიკვდილი.

ერეკლე ბაბალიანი
ბიბლიოსტეკა

სანთლები ჩაფლა თოელილმა მტვერმა
ჩალეწა მინა.
ქალაქის გარედ ღდაბნო, ფეერმა,
ქურდების ბინა.

გვდეგდა შიშველი, თბოვნა, ხვეწილი
დღენი და თვენი
ქალაქი სადღაც გარდახვეწილი
ქალაქი ჩვენი.

სრულიად შიშველს, ხამთარის ცმინვის
სასტიკი ღალა.
ო, ძლივს ვუძლებდი გამგძირავ ყინვას
არ მქონდა ძალა

მეგონა: აჰა, ეს აღსასრული
მოვიდა, ვკვდები.
ნღვრიე ქუჩებში ბნედა ბასრული
მიყეხეტები.

აქ იწვა ძაღლი. მე იმის გვერდით
მიეწექ. ვიყავი —
რომ მისი ოდნავ მფეთქავი მკერდით
გამთბარვიყავი.

მაგრამ ის ძაღლიც გაიქცა. რბოდა.
გონება — მოხდილს
სიკვდილისაგან ცრემლი მდიოდა,
ვნატრობდი სიკვდილს.

ისე შემიკრა ყინვამ კბილები
მკლავდა იარა.
ამ დროს მოხუცმა ქალმა ჩემს ახლო
გამოიარა.

და წამიყვანა მან ცოცხალმკვდარი
ამინთო სხივი
ძალიან ცივი იყო ზამთარი
ძალიან ცივი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თოვლით აივსო სახლები ოდენ
როგორც შვავები
სიცივისაგან ჩამოტყდებოდენ
სახურავები.

ო, როგორც იქნა გადავიტანეთ
უბედურება
არაეის მართებს დღეს არსაიდან
ბედის მდურება.

ომიდან ხალხი გაცვდა ვით გროში,
მოკვდა სოფელი.
ვინ უნდა იყოს ამნაირ დროში
დროს ბადლობელი

შეიძლებოდა გვქონოდა სული
როგორც დობილი,
მაგრამ ცხოვრება არაა სრული
და კმაყოფილი.

ვით შეიძლება იქნე ლამაზი
ბედის მგმობელი?
როგორ დავტოვოთ ფიქრი ამაზე
დასანდობელი"?

ბნელდება. მოდის პატარა კიბით
პატარა კაცი
ასანთი ფრთხილად ამოაქვს ჯიბით
გააქვს ბარბაცი.

აიდგამს კიბეს და ასანთებად
სვეტზე მიცოცავს
უცებ ლანდები წვება ლანდებათ
და ნისლს იხოცავს.

სალამი კანდელს, სალამი კანდელს
ო, გაგიმარჯოს,
ადის, აანთებს, გაფანტავს ლანდებს
და ხურაეს ჩარჩოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის ჩამოსელისას ჩიბუხს იკეთებს
და ცეცხლს უკიდებს
კიბეს ილლიით ამოიკიდებს
და მიუთითებს:

— ო, ხომალდები მოვიდენ შორით
ბევრი, წყვილ-წყვილად.
არ მოზიდულა აქ სემაფორით
კანადის ქვილი.

მაგრამ (პატარა მაშინ ვაქაცი
აქ დაიხარა
ხმა-დაბლა, ყურთან) თითქო ასკეცი
გზა აიყარა.

ემიგრანტები ნაღარის ცემით
მოვიდენ შორით,
თვით რესპუბლიკა მოვიდა გემით,
ტყვეით, ტერორით.

აქაც იწყება, იქაც იწყება
ყველგან ელიან.
ქვეყანა სისხლით რომ მოირწყება
ეს ნათელია.

გარბიან ძველი წყობის ლანდები
და ბანკირები,
არისტოკრატი, ექსელბანდები,
ვაჭრის გირები.

რევოლიუციაა კვალდაკვალ მოსდევს
ხალხს და ჯანაათს
მაგრამ აქაც თუ ანკესი მოსდეს?
წყველა ამ საათს.

აქაც იწყება მგონი რაღაცა
აქაც დაიწყო
შურის ძიებით დაიდაღა ცა
ნახავ. დაიცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკვე გამოდის დღეს განაპირა
ეგნიდან მზეზე
ბალხი, რომელმაც ხმალით დაპირა
მარსელიეზა.

ახ, რა მოხდება.. მაგრამ, რა ვიცი
ქვეყნების კიდის.
ჩურჩულით ამბობს პატარა კაცი
და ჩუმად მიდის

ვერენა შეკრთა. — ჩუ, გესმის? სროლა.
ა? არაფერი.
გესმის სროლის ხმა და ტყვიის ქროლა,
ნაღარა, დაფი?

ჩუ? რაა? გესმის? მარსელიეზა!
დროა, წავიდეთ.
დაიცა! სადღაც მოისმის კვნესა
მომაკვდავივით.

დროა. ამ ხმაზე თითქო ვლმერთდები
და მიხარია.
წავალთ. ჩვენ იმათ შევეურთდებით..
ეს ვინ არიან?

ამ დროს გაისმა თოფების გრგვინვა
და ჭახა-ჭუხი.
ევას გულიდან ამოსწყდა გმინვა
ცა იყო ლუხი.

ევას გულიდან ამოწყდა კვნესა
ლამეთა, ბინდთა
და სიჩუმეში ვით ინდესა
იგი გარინდდა.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გამოჩნდა მწყობრათ დასული რაზმი
აურ-ზაურით
იარაღისკენ! — ამბობენ ბრაზით
და ხმაურობენ.

ერთი დაიჭერს ლუჩიოს ხელით
ისე, ვით ძაგრით
და დანარჩენნი: ხალხის სახელით!
შეჰკარით, მაგრათ.

ეს გადაცმული არისტოკრატი
გაჩნდა საიდან?
დაავიწყდება თავისი ხატი.
იგრძნობ აიტან.

აქ მოიყვანეთ, ვნახოთ სანთელთან
შეეხედოთ, ვნახოთ
ლუჩიო მიჰყავთ. იგი გამთელდა
უბმოდ. ესახოთ.

გაძალიანდა ლუჩიო ახლა
და დასხლიტა ვით ქვა
ამხანაგებო! ყვირის ხმამაღლა
შეჩერდით, სიტყვა!

ამხანაგებო, დღესაც და გუშინ
მე მომდევს დარი
მე ლუჩიო ვარ, მალაროს მუშა
და პროლეტარი.

მე მიხარია რომ დედამიწას
ცეცხლად ვედებით
განსაცდელის დროს სხვა ვინ დამიცავს
თავგამეტებით?

ერთი მათგანი, რომელსაც ალი
ანთებს მზიანი
ვიქნები თქვენთან თავისუფალი
და თქვენიანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინ ჩადექი ეხლავ ჩვენს შორის
შენც ჩვენთაგანი
ასწიეთ თავი. წინ. ერთი. ორი,
მაგრად ნაგანი.

მაგრამ ლუჩიო ამბობს: ეს ქალი
მუშა ქალია
ის დაგვჭირდება რომ ბრძოლის ალი
დასცემა ძალიან.

არა ერთს ბრძოლა წაართმევს ცნობას
ამძიმებს თვალი
ჩვენ ვინ შეგვიხვევს მაშინ ჭრილობას?
მხოლოდ ეს ქალი.

მაგრამ.. რას ნიშნავს? სისხლი! შეჩერდით!
ეს კოშმარია!
დაჭრილ ქალს სისხლი ჩამოდის მკერდით.
კვდება. მკვდარია.

და შეიკუმშა ლუჩიოს გული
მომკვლელი დარდით
გული, ამ ქალთან ერთად მოკლული
ტყვიის ნავარდით.

და დარჩა სული, რკინის კედელი,
შურის მგებელი
ოცნება ბედის გამომჭედელი
ამფეთქებელი

ის ჩადგა ამდგარ მუშათა შორის
იმათთაგანი
ასწიეთ თავი. წინ. ერთი. ორი.
მაგრად ნაგანი.

ამ დროს მოხუცი ქალი გამოჩნდა
მარტოდ მოარეთ,
შუქიან სვეტის ახლო ჩამოჯდა,
ატირდა მწარედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშვიდობით ევა. ამბობს ლუჩიო
სდგას. მიდის ხანი.
იმისი გული ეხლა თუჯია
გრძნობა — ნაგანი.

ლუჩიო იბრძვის ვით მთელი ტომი
და ხალხის გრძნობა:
არა ვათიწვა და არა ომი
არამედ ძმობა.

ლუჩიო იბრძვის რათა ფარული
დასძრას რკინები
ხალხისთვის მძლე და პლანეტარული
პალადინები.

არ არის იგი მტრებისათვის ტკბილი
და არც ენება
მოულოდნელი მწარე აქვს კბილი
და შეჩვენება.

მან შეაჩვია თვის სულს სატანა,
ალი ქურების,
რათა შემდეგში შესძლოს ატანა
განადგურების.

დემონიურად მიუძღვის ლამით
რაზმებს — ტყვიებით
რომ დედამიწას უჩვენოს ამით
შურისძიება.

სად არის მტერი? ის აცეცებს თვალს...
ო, მისი თვალი
ის მას საკადრისს გადაუხდის ვალს
ნახვამდის. ხვალე.

თითქო შექმნილა ეს თვალი განგებ
იკრებს იერებს
მასში ბრძოლების მწარე განგება
შუქს აძლიერებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლუჩიო იბრძვის. ანდამანტია
მზის მოგთნება
არა ერთი და ორი ანთია
იქ კოკონები

მაგრამ არც მტერი არის ბატკანი
ის არ იძინებს
მიდის და მოდის ერთი ბათგანი
და დასისინებს.

მის დასაცავად მოდის ფეცრად
ძალა ას-ქეცი
მკაცრი სახელი მათ მიფეცრათ:
ჯალათი, მხეცი.

ოვალები ფეთქენ, როგორც კაკლები
წყეული ზეცით.
მხეცი, არც მეტი და არც ნაკლები,
უგულო მხეცი.

დგას მუხლებამდე სისხლის მორევი
მათში შობილი
ფიარალო ხალხზე მორევით
დგას კმაყოფილი.

სერის და მშობლიურ ცხედრებს ეხება
ფარული გზებით
ყელამდე სისხლში მიდის ფეხები
მოლიპულ გზებით.

მას ახარებს რომ სისხლის მიზეზი
თვითონ—მწარდება
და ბოროტების გზით უმტკიცესი
მიემართება.

და არ შორდება ხალხის გოდება
ცრემლი ღვარული
მკვლელი—ეს არის მისი წოდება
და სიყვარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, ყველამ იგრძნო რომ მოკვდა ყველა
ძველი და ნორჩი
მისგან არავის არ უნდა შველა
იცნობენ, მორჩა.

და არ შორდება მუნჯი ყვედრებით
ცქერა ზვირთული
ის საბარეამდე მივა ცხედრებით
შემოტვირთული.

ო, რა თქმა უნდა ცხედრები მუდამ
მუნჯობენ, მაგრამ
სისხლი იძახის: მკვლელი, იუდა
მონობა, ჩაგვრა.

ხალხის ვეჭილი. ფრიად მართალი
რომ არ ფასდება!
ასეთი კარგი მოკლეს სარდალი
ცეცხლი აადება.

ბურჯუა კარგი და ხელოვანი
მოასპარეზე
მიცვალებული სახელოვანი
გდია წარაზე.

წევს მედიდურად გამოწყობილი
წევს მედიდურათ
აქვს ცხვირი en face, ფეხი — პროფილი
როგორც სურათი.

მაგრამ უეცრად მკვდარს აბეზარი
წამლავს ანთება
დაუნდობელი როგორც მეზარე
ხმა ელანდება.

ითქო მათ შორის მტრობა გათავდა
იგი — ცხედარი
გდია ლამიდან განთიადამდე
გაუბედარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მან მოიწამლა სული შხამებით
რა დარჩენია!
დასდევს ბურუსით და შელამებით
ავი გენია.

ქალაქს მოავლეს გარშემო ალყა
და ერთხელ დილით
მძიმე ტანკების მოინგრა ტალღა
ბოროტი ჩრდილით.

მთელი სამი დღე გაგრძელდა სროლა
სისხლიც ათავდა.
ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა
მწარედ გათავდა.

დაჭრილი, მკვდარი, მრავალი მსხვერპლი
მსხვერპლს ეფარება
სახლების ნაცვლად ნაცარი, ფერფლი,
მგლოვიარება.

გამარჯვებულნი სასტიკი ხელით
ალრჩობენ ტყვეებს
ჰკაფავენ, ხვრეტენ, ხალხის სახელით
უსპობენ დღეებს.

ქურდები ღამით საფლავებს თხრიან
მოკლულთა ცხედრებს
გაზები ღრუბლებს შორიდან ყრიან
ლურჯებს და თეთრებს.

რბის ორი ძალღი: მათ ისტორია
ვერ დააფეთებს,
პირიდან გლეჯენ ერთი მეორეს
ხორცის ნაფლეთებს.

და მთელი კვირა სადგურის იქით
მატარებელი
იდგა. შიგ მკვდრები ეყარა რიგით
უფარებელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და იქვე ახლო სანაგვე ყუთში
იწვენ ბავშვები
ეზმანებოდათ მათ ყოველ წუთში
ცეცხლთ მირაჟები.

ნიყავთ ტყვეები — ყოველ წუთი.
ლუჩიო ტყვეა
მიგიდას უზის აჩრდილი ხუთი:
განკითხვის დღეა

ლუჩიო! — ამბობს ხმა მძლე და დიდი
სხვების ამყოლი
დაუცხრომელი იყავ ბანდიტი
და წინამძღოლი.

ძალაუფლების ხელში ჩაგდება
გინდოდა მეტად
სადაც შენი ბრბო დაბანაკდება
ცეცხლი სდგას სვეტად

წესრიგის მცველებს იარაღს ყრიდი
გსურდა წვალება
შენ არავისი არ გჭირდა რიდი
და მოკრძალება

შენისთანასთვის რომ ეგრძნო მონა
სისხლი და რკინა
გილოტინმა გამოიგონა
გილოტინონა.

და ხუთეული, რომ შეგახვედრ
სისხლთან ულმერთოდ
უმაღლეს სასჯელს გისჯის: დახვრეტას.
მრავალთან ერთად".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

100% – ადნობს და დაგავს
ლრუბლების ტივი
გადამავალი მზე აჩრდილს აგავს
რეტროსპექტივი.

ხედავს გრძელსა და ცარიელ ქუჩას
პირშემკრთალ გაზით
აქა-იქ ქარბნებს ლიმი არ უჩანს
სავსეა ბრაზით.

ხედავს სახლების უბრალო ფარდებს:
თრთის ნუშაბანდი,
თავის დაღუპულ წევრებზე დარდობს
ოჯახის ლანდი.

ლაჟვარდი ლილა გადაფეროდა
საღამოს ზეკას
დახვრეტის დროამდე რაზმი მღეროდა
მარსელიეზას.

1924 წ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲐᲙᲣᲜᲘᲜᲘ

ო, რამდენ ქალაქს ენატრება დღეს ბაკუნინი —
ან ბრინჯაოსი, ან ცოცხალი, და ან ლანდური!
ვით ბარიკადნი აიმართეს საუკუნენი,
და ღამეს მოაქვს უერთლიანი შავი ფანდური.

ინის მანიფესტებს დააქროლებს ქარი მაღალი.
ქუჩის ბოლოში ფორმულებით უცდის ჰეგელი.
თეორიების კარუსელი ბრუნავს ახალი,
მაგრამ პაემანს ის გაურბის შეუდრეკელი.

შეხვედრა მარქსთან, საშინელი როგორც დუელი,
სეკუნდანტები ამ შეხვედრის: ენგელს, ჰერცენი.
ცა გერმანიის. ატლანტიკის შორი ღმუილი.
ტალღების ბგერა. კონცერტები მოალერსენი.

დაეხეტება ვით ჰოფმანი დღეს ბაკუნინი,
რომ დღის წესრიგში დააყენოს რევოლიუცია.
მიჰქრიან წელნი, სისხლიანი საუკუნენი,
მათთვის ობობა თანამგზავრად ბედს მიუკია.

ის სახელმწიფოს შეებრძოლა, ვით ამირანი.
მის გულს კორტნიდა უძლეველი მაშინ ტირანი.
თეთრი ციმბირი და გაქცევა ფანტასტიური.
ის ქვეყნის ქიოსს ატარებდა შეველიურით.

ვით ენებიანი რექისორი დაეხეტება,
რომ კიდევ დადგას აჯანყება ლეგენდარული.
მის ოცნებაში მთელ ევროპას ცეცხლი ედება,
ის ამ ხანძარის ხელმძღვანელი არის ფარული.

ჩამოხევს ღამეს გაშმაგებით როგორც აფიშას,
რომ დაინახოს განთიადი — ალით მგზნებარე.
უნდა გიგანტურ საბრეკლოზე გადააბიჯოს,
რომ დაინახოს ოქტომბერი ნაოცნებარი.

კოლაუ ნადირაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართვა მკვლელებს

გადაგეკარგეთ, დაგტოვეთ ოხრად —
ასე უილბლოთ გამოჩეკილნო!
თქვენ წინ მომიხდა მუხლების მოხრა
სიყვარულის და ცრემლების შვილნო.

თქვენზე დარდობა მაწევს ტვირთებათ;
იზრდებით ობლათ და ულერსოთ..
რამდენჯერ გული ამიტირდება,
რამდენჯერ გული ცრემლით ამევსო!

ვინ ეფერება თქვენ წმინდა სხეულს
ან ვინ გახურავთ ღამეში საბანს?
ო, ჩემ გულს ახლა ტანჯვით განგრეულს
თქვენს გარდა ცრემლით არავინ დაბანს.

მე ალარ შემწევს მეტი ურჩობა;
დაგიმძიმდებათ თვალის უპები:
ტუბერკულიოზით დედა გეხრჩობათ
და ბნელ ქუჩებში მეც ვიღუპები.

ერთი იმედი გულს მაინც თაფლავს,
ჩემმა სიცოცხლემ თუ არ ივარგა,
რომ ჩვენ დაკარგულ, ტიალ საფლაველს
თქვენ დაიტირებთ ყველაზე კარგათ.

ტფილისი 25 ივლისი 1924 წ.

ᲕᲐᲡᲝ ᲒᲝᲠᲒᲐᲫᲔ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲡ

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ № 9823 ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲘᲗ: „ᲝᲠᲗᲥᲚᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲛᲑ. ᲢᲠᲝᲪᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ. ᲒᲐᲛᲝᲛᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ ᲓᲔᲞᲝᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ 1 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲗ“.

ᲕᲘᲗ ᲛᲐᲡᲢᲝᲓᲝᲜᲢᲘ ᲓᲐᲣᲒᲔᲨᲔᲚᲘ —
ᲛᲝᲐᲠᲚᲕᲔᲕ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲡ,
ᲨᲔᲜᲘ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲜᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲔᲨᲕᲔᲑᲘᲗ —
ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲤᲠᲔᲜᲐ ᲡᲞᲘᲚᲔᲜᲫᲘᲡ ᲝᲠᲑᲘᲡ.

ᲤᲐᲘᲤᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲒᲘᲚᲝᲙᲐᲕᲡ
ᲦᲐᲛᲔ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲛᲖᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲣᲥᲔᲑᲘᲗ
ᲓᲐ ᲣᲕᲡᲙᲠᲣᲚᲔᲑᲖᲔ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲘ ᲠᲝᲙᲐᲕᲡ —
ᲬᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲢᲧᲓᲐᲠ ᲕᲘᲐᲓᲣᲙᲔᲑᲘᲗ.

ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲔᲚᲘᲡ: ᲖᲕᲐᲕᲘᲗ, ᲒᲠᲐᲒᲐᲜᲘᲗ
ᲓᲔᲑᲐᲠᲙᲐᲓᲔᲠᲘᲡ ᲖᲕᲘᲐᲓᲘ ᲓᲐᲛᲑᲐ, —
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲑᲝᲒᲘᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲐᲥᲕᲗ ᲮᲐᲗᲥᲐᲜᲘ
ᲓᲐ ᲒᲐᲛᲓᲜᲐᲠ ᲠᲔᲚᲡᲔᲑᲡ ᲔᲙᲔᲛᲐᲗ ᲓᲐᲛᲑᲚᲐ.

ᲣᲠᲢᲧᲐᲛ ᲡᲔᲛᲐᲤᲝᲠᲡ ᲤᲝᲚᲐᲓᲘᲡ ᲠᲐᲞᲘᲠᲡ
ᲪᲔᲪᲮᲚ ᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚ ᲛᲣᲮᲘᲡ ᲨᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ
ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲠᲑᲔᲜ ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲜᲐᲞᲘᲠᲡ
ᲛᲐᲒᲐᲠ ᲡᲐᲛᲣᲨᲘᲡ ᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ
30-VIII-24

ნიკოლოზ ჩაჩავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეზისები პოეტებს მსოფლიო მდგომარეობის შესახებ

1. პანორამა

ბომბები, შრაპნელები
ბურჟუაზიას
ლორდი მეილი
მონოკლ
an uncle
ქრონიკა საოცარი.
ხაფანგი
ერესეფესერე
— სერიოზულია
— რატომ ეშინიათ.
ფრანგი რეიმონდ პუანკარე
ყველაზე ანკარა
გრაფი აფიორ
ტრიუკო დრამის დედექტივი
ცნობილი ყველგან
ლირიული ბაჯაღლო ოქრო
ჯანყი ინდოეთი
სენატორი დარდიმანდი
პარლამენტიორი
მორგანი
ორგანი.
ნურას უკაცრავად...
კომუნარები ბოდიშს არ იხდიან
იტალიო სეკომერჩიო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუსოლინის უზრდელი ჩექმა
წითელ არმიელს ფეზე ჰკიდია.
მაკდონალდი ხომ.....
სასაცილოა ამ ლორდის ამბავი
ბამბასავით რომ დიპლომატობს.
საუცხოოა ბრუციანი იაპონია თავის როლში.
ტოკიო
იაკოგამა.
ჩიკაგოსაეით მოსწრებულ ქალაქს
კონტრაბანდათ დააქვთ კომუნა.
ბომბები
შრაპნელები
ბურჟუაზიას.

2. სცენარი აჯანყებებზე.

კომუნარებო.
რევოლიუცია რეეოლვერები
დეკრეტი მოდის წითელი კრემლის
— ევროპა მოკვდა
— ევროპა მოჰკლეს....
ქრონიკორები აკრაეენ ამბებს
რადიო სადგურს არა აქვს წუთი
ლამეს უთეეენ
კაპიტალს
ტრესტებს.
აჯანყებულებს არ ყოფნით ბომბა.
ობი მოება
ქონიან სმოკინგს და
კატაკომბას.
გუმბათებიდან სცეივა ოცნება
კათოლიკების მისტიური ოლარს
ხოლერა უჩანს
უჩინმაჩინი ჩინელების
ფინალი მოდა
ახალი ოდა რევოლიუციას.
კომუნარებმა არ აციან
რა არის ზიში
აჯანყებულებს ახსოვთ ვერ'ალი
— ვერსად ვერ წახვალთ'
მუშის ძარღვების ახალი რაზმი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზამზარეული
დინამიტები და ყუმბარებით.
— ბარემ აჰყარეთ.
— ბარემ დარკინეთ
უსალტო ბურთი ბანკირების და ფერმერების.
საოცარია....
სისხლის პლაკატებს ისვრის მარტირა
მარტოოდენ მტირალი ცამდიარები
ბრძანებებს აკრავს
აფიშებათ
ფაშისტების საკატასტროფოთ,
იაფი გახდა აქციები ნაქუცმაცები
ბირჟა გაკოტრდა
ყველგან მეტს ფასობს
კუნთების კუნთვა
მოტორების მანიფესტები.
არ დარჩა მიწა.....
მეხლვაურთა სამხედრო ცენტრი
მაღაროებში გზავნის დელეგატს.
ლეგატ ცდილობს
დღე ნასუფრალი შეინარჩუნოს
მაგრამ
„ჩონი“ ამზადებს
საპატიო ვაზნებს და მასრებს
კომუნარები ყველას მოასწრებს...
მოაქვთ რადიო
— ან დღეს, ან ხვალ.
ან არასოდეს.

II. კომუნარები და რელიგია

კომუნარები რელიგიას არ ერიდება
კერპები სცვივა მარგალიტებათ
მაგალითია უპირველესი
კირიელეისონ
კირიელეისონ
არვის უნახავს ნაჭარეველი
არეულია ეს ამბავი გეთსიმანია.
კომუნარებმა არ იციან
რა არის ბუდდა
აბლაბუდა ქვეყნის ამრევი.

რევოლიუციამ ეკლესიას მოხადა ბადე
და დაიბადა ახალი რწმენა
სწენა!!
რელიგია გამოცხადდა
კანონ გარეშე.

4. კომუნარები და ტრადიცია

ლორდ მეერ ჟნიტასს
სძულს ჩიჩერინი
დაჩიჩული ხმით ეუბნობს კანადას
რევოლიუციას არ სურს ადათი
რეეოლიუცია არ აღარებს არსად ხელთათმანს
ერცეულია ხმა:
„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“
ერთადერთია;
რევოლიუცია. რევოლვერები.
რევოლიუციამ არ იცის ლმობა
რევოლიუცია ბოდიშს არ იხდის.
ტრადიცია არ არის კერპი
კომუნარების კომენტარია
კომუნარების დირექტივები.

24 წ.

მიხეილ ჯავახიშვილი-ადამაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მსოფლიო ომის გრიგალში

— კვაჭი, რაკი გგონია, ვინცხა პრინციპმა რომე ავსტრიის ერცჰერცოგი მოკლა, ამიზა ომი იქნება?— იკითხა ბესომ.

— მეც მაიზა ვფიქრობ თელი დღე. თუ ერთმანეთს გამოესარჩლენ, ეირევა თელი ქვეყანა.

— ა, გაზეთი წეიკითხე. სერბიას რუსეთი ესარჩლება, ავსტრიას — გერმანია.

წაიკითხა და ბოლთა დაჰკრა. დიდ ხანს ათამაშა ცხვირი, მერე ბესოს მიუბრუნდა:

— თლა გედირევა და დეინგრევა ქვეყანა. აპა, ბესო, აწი გვჭირია ჩვენ ჭკუა და სიფხიზლე.

ჩაიცვა და ბერლინის ბირჟაზე წავიდა. ბირჟა საგიჟეთს ჰგავდა. ზოგმა ომს ჩამოჰკიდა თავისი ბედი და ქონება, ზოგმა—მშვიდობას. აქციები, ობლიგაციები და ათასნაირი ფასიანი და უფასო ქაღალდები ყირამალა დატრიალდნენ: ზოგი უუმაღლეს საფეხურზე ავარდა, ზოგი ორმოში ჩავარდა.

კვაჭი ომს დაეჭიდა, თვალი ლითონის და იარაღის აქციებს დაადგა. დრო იხელთა, იდუმალ ჯგუფს გადაება, რომელიც ამ აქციებს ქვეით ეწეოდა, და იაფად იყიდა შნეიდერ-კრეზოს, შკოდის, ამსტრონგისა და კრუპპის აქციები. ნაღდი ფული თითქმის აღარ შეინარჩუნა.

მერე სამასათასიან ბრბოს აჰყვა და გააფთრებული ყვიროდა ქუჩაში, გაზეთებში, ყავახანებსა და სალონებში:

— ნახ პარი! ნახ მოსკაუ! (პარიზში! მოსკოვში!)

რამდენიმე დღის შემდეგ გერმანიიდან საფრანგეთში შეძვრა და იქაც ხმა ჩაიხლიჩა:

— ა ბერლენ! ა ბერლენ! (ბერლინში! ბერლინში!) როცა შემდეგ რუსეთში დაბრუნდა, იქაც გაჰკიოდა, სადაც კი შეეძლო:

— ვ-ბერლინ! ვ-ვენუ! ვ-კონსტანტინოპოლ!

გავიდა ხანი. სადღაც სარაევოში ერთი კაცისაგან გაბრაზებული ხალერწკალი მთელს ქვეყანას აგუზგუზებულ ცეცხლად მოედო;

ვინმე პრინციპის გასროლილმა დამბაჩამ ქვეყნის ყოველ კუთხეში ისეთი გრგვინვა და გრიალი ასტეხა, რომ იგი ქუხილი ცას მისწვდა;

ერთი წვეთი სისხლი ჯერ მდინარედ გადაიქცა, მერე თვალუწვდენელ ზღვად გაიშალა.

ოცი თუ ოცდაათი მილიონი დაგვწილი მხედარი გააფთრებით და გაშმაგებით ეკვეთა ერთმანეთს.

დანარჩენებმაც ყველაფერს თავი მიანებეს, რამდენიმე ათას ვერსზე გაჭიმულ მეომრებს ზურგში ამოუდგნენ და ხელი მიჰყვეს სისხლის სამსახურს, თან ყველანი გაკაპასებით, შხამიანის გულით და სასოებით ყვიროდნენ:

— ჩვენთან არს ღმერთი!

თან სისხლიან თითებით პირჯვარს იწერდნენ და სულიერ მეფეს თავიანთთან კავშირს ეხვეწებოდნენ.

— სიკვდილი ველურებს! გაუმარჯოს ცივილიზაციას!.. გაუმარჯოს ერთა თავისუფლებას, ძმობას, ერთობას, თანასწორობას!

სულთამხუთავმა ჯერ კოჭებამდის დაისველა ფეხი ხალხის სისხლით, მერე მუხლამდე შესტოპა; შემდეგ იგი წელამდე შევიდა წითელ გუბეში, ბოლოს უძირო მორევში შეცურდა და შიგ ხუთი წელიწადი იქყუპალავა.

ეს ქვეყანა და ჯოჯოხეთიც დაყრუვდენ, დაბრმავდენ და დაიხჩვენ უთვალავთა—თეთრთა და შავთა, წითელთა და ყვითელთა, გაღმელთა და გამოღმელთა, მდიდართა და ღარიბთა, კაცთა და ქალთა სისხლით და ცრემლით, გოდებით და მოთქმით, ღმუილით და ღრიალით, დარდით და ვაებით, წივილით და კივილით.

ხოლო კვაჭი კვაჭანტირაძე თავის ჰამწარით დასცურავდა, დაძვრებოდა, დარბოდა და დაჰქროდა სისხლისა და ცრემლის ზღვაში, ცეცხლის გრიგალში, მსოფლიო დარდის მორევში და გაკაპასებული, გაშმაგებული იბრძოდა თავის ჯარით:

— შნეიდერ-კრეზო გაჰყიდეთ!.. კრუპპი იყიდეთ!.. ამსტრონგი დააგირავეთ!.. შკოდი გადაყარეთ!.. კუნარლინი დასწიეთ!.. შაქარი მოაგროვეთ!.. ფქვილი ასწიეთ!..

ერთხელ ფრანგული კანონი დაადგა თავს:

— კვაჭი, ჯარში წამობრძანდით!

კვაჭი ჯარში? კვაჭი ომში? ვერდენში ან არდენის მთებში? ხომ არ გაგიჟებულან! ვისთვის ან რისთვის? ფრანგებისთვის? მერე გერმანელებმა რა დაუშავეს? რით სჯობია პარიზი ვენას ან ბერლინს? ერთიც ვნახოთ კვაჭის გვერდით ყუმბარა გავარდა, ან ტყვიამ გაიზუზუნა, ან სისხლი დაიღვრა! ისიც ვისი სისხლი,—თავადი კვაჭი კვაჭანტირაძესი, ბუხარის უფლისწულისა, საქართველოს ბაგრატიონისა?! კვაჭი ომის ჯოჯოხეთში? ხომ არ გაგიჟებულან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რადგან ლონდონში წასელა სახიფათო იყო, რადგან ერთ დროს იქაურები ქუსლამდის „გაიმასჭნა“, მანჩესტერში მოუსვა.

მალე ის კანონი ინგლისშიც წამოიჭრა:

— ქუდზე კაცი! ყველანი ჯარში!

— ბესო, აქინეც გაგიყებულან. აპა, რომისკენ!

მაგრამ რიგ-რიგობით ყველანი გიყდებოდნენ. მალე იტალიაც დაიძრა და კვაჭის ისევ მოესმა გადარეულთა კიჟინი:

— ქუდზე კაცი! ყველანი ომში!

ვერ მოგართვით! კვაჭი ჯერ არ გაგიყებულა, რომ იტალიისათვის, თუნდ მოკავშირეთა საერთო საქმისათვის სისხლი დაღვაროს!

— ბესო, ენენეისკენ!

კვაჭიმ ძლივს მიაღწია სამშვიდობოს: ალპების კენწეროზე ავიდა და მშვიდობის კუნძულიდან გულმშვიდად და არხეინად გადმოსცქეროდა ირგვლივ აბობოქრებულ ომის ცეცხლს.

კვაჭიმ მოიწყინა ძალიან მოიწყინა: შვეიცარიაში ველარ ყიდულობდა და ჰყიდდა ათიოდე გემით შაქარს, ფქვილს, ლითონს და მრავალ საომარ მასალას. ალარ ჰქუხდა და გრგვინავდა მისი მჭექარე ხმა:

— იყიდეთ!.. გაყიდეთ!.. ასწიეთ!.. დასწიეთ!..

ბოლოს გრიშკა რასპუტინის მთელს ევროპაში ნამგზავრმა წერილმა მიუსწრო:

Брат мои Аполончик!

Чаво шляйся то по ивропе паганнои?! Подь в рассею! Здеся будит у тибе мир, покой, слава, деньгу и благадать Божиа. Да тащи суди илену и таню, Так хочу я! Да, я, Григорий! Мотри, не опусти, не опаздай, Да, Григории!

ამ წერილით შეშინებულმა და გახარებულმა რუსეთის ელჩმა მაშინვე მოუხერხა კვაჭის მშვიდობიანი მეზავრობა ხმელეთით და ზღვით, თან დაელრიჯა:

— ჩემზე ორიოდე სიტყვა ჩამოუგდეთ წმიდა მამა გრიგოლის და მინისტრს საზონოვს. ჩემი გულითადი სალამიც გადაეცით. ღმერთმა მშვიდობიანი მგზავრობა მოგცეთ.

სტოკჰოლმში კვაჭის ვილაც ქართველებმა საიდუმლოდ ჩასჩურჩულეს:

— გერმანიის გამარჯვება სჯობია ჩვენთვის.

— შეუძლებელია! ღალატია!

— მაშ გალმა იმუშავეთ. იქნება პოლონეთსავით ავტონომია მაინც მოგვცენ.

– ავტონომია საქართველოში ბატონ-ყმობის აღდგენა იქნება.

— მაშ რისთვის იღვრება ესოდენი ჩვენი სისხლი?

— დიდი რუსეთისთვის. თუ მან გაიმარჯვა, ჩვენც მოვიგებთ. დანარჩენი — ენა, ეროვნული კულტურა, პოლიტიკური უფლება — ქიმერიონია! რას ჩააცივდით ერთ მტკაველ საქართველოს, ერთ მუჭა ხალხს! ჩაეიბჩვებით იმ ორმოში; ფრთას ვერ გავშლით და სულს ვერ მოვითქვამთ... გადახედეთ დიდ რუსეთს... მსოფლიოს მეექვსედია, ორას მილიონამდე ხალხი ჰყავს! თუ შნო, უნარი და ხალისი გაქვთ, გაშალეთ ფრთები და ინავარდეთ ამ ულეველ სივრცეში...

კიდევ დიდხანს იჩურჩულეს მიყრუებულ სახლში. ბოლოს კვაჭიმ იმედიანი პასუხი მისცა:

— არც აქეთ, არც იქით... სიფრთხილე და მორჩილება... არავის აწყენინოთ, არავინ მოინდუროთ... ამბებს მოგაწოდებთ. თქვენც ყოლიფერი გამაგებინეთ... პაროლი თვეში ერთხელ შესცვალეთ... მშიდობით ბრძანდებოდეთ!

გულში კი სთქვა:

— ვინ იცის, იქნება იქინეც გამოდნეს რამე.

— ძმაო აპოლონჩიკ! დაო ელენე! — ჩაიხუტა გულში ორივენი ერთი კვირის შემდეგ გახარებულმა გრიშკამ.

ორი წლის უნახავებმა ორი დღე მოანდომეს ერთმანეთის მოკითხვას და თავგადასავლის თხრობას.

კვაჭიმ მრავალი უამბო გრიშკას შესახებ დამპალი ევროპის ცხოვრების, გაგიჟების, უზნეობისა და გახრწნილებისა. უფრო საეკლესიო და სასულიერო ამბებს დააწვა, თუმცა ერთის ან მეორეს შესახებ ევროპაში ერთი სიტყვაც არ გაუგია, არც წაუკითხავს.

სანამ გრიშკა და ელენე ერთმანეთს გააძღობდნენ და თავს მოაბეზრებდნენ, კვაჭიმ მრავალი გაწყვეტილა ძაფი ხელახლად შეჰკრა და ახალიც გაბა. ორიოდე კვირაში პეტერბურგში კოხტად დაწნული და მოქსოვილი ბადე გაშალა, ძველი ბილიკები და არხები გათხნა და გაასუფთავა, ახლებიც გაიკვლია; სამხედრო ბეგარას თავი დაახწია, „ზემგუსარის“ სამხედრო ფორმაში გამოიწკიპა, ჩექმებზე დეზები აიკრა, სამხედრო ქუდზე ნიშანი გაიკეთა, მხრებზე ოქროს ეპოლეტები გაიწყო, ექსელბანდიც ჩამოიკიდა და გაშტიკინებული თავადი კვლავ დაუბრუნდა პროსპექტებს, ცხენებს, ავტომობილებს, ბანკირებს, რესტორანებს, კარისკაცებს, ხელისუფლებას და მზეთუნახავებს, რომელნიც ორ წელიწადში უფრო გამრავლებულიყვნენ და გალამაზებულიყვნენ.

ნევის პროსპექტზე ახალი უზარმაზარი კანტორა გაიხსნა ოქროს წარწერით; ომში დაჭრილ დახოცილთა დამხმარე საზოგადოება, „კეთილი სამარიტელი“.

იმის თავმჯდომარეს და პარტრონს — კვაჭის ჰყავს ცხრა მდივანი, ამდენივე ადიუტანტი და ორასამდე მოსამსახურე — ყველანი დარჩეული ჯიშის „ზემგუსარები.“

კვაჭიმ ყველა ძველი მეგობრები შემოიკრიბა, გარდა გაბისა და სედრაკასი, რომელნიც უბრალო სალდათებად წაეყვანათ სტამბოლის ასაღებად.

შემდეგში კვაჭიმ ორივენი დაიხსნა, რადგან ფრიად საჭირო სპეციალისტები იყვნენ იმის რთულსა და პატრიოტულ საქმეში, და ორივეს დღე-ღლეზე მოელოდა.

ბოლოს ისინიც ჩამოვიდნენ.

— ვაა, ძნიაან, გალენერლებულხარ!

ერთმანეთს ჩაეხვევნენ და იმავ ღამეს ძველი ოჯახის აღდგენა არკადიაში გადაიხადეს.

კვაჭი დღეში ათას ბრძანებას იძლეოდა:

ჩააბარეთ მეორე კორპუსს ათასი ცხენი... დონის ოლქში ჩააბარეთ მეორე ლაშქარს ასი ვაგონი ჭერი... ჩაიტანეთ ვარშავაში ორასი [illegible]... მიეცით მესამე ლაშქარს ათი ათასი წყვილი საცვალი... მიიღეთ ინტენდანტისგან ხუთი მილიონი... მიეცით ინტენდანტს იეანოვს ორასი ათასი... გაყიდეთ! იყიდეთ! გამოისყიდეთ! დააგირავეთ! მოსთხოვეთ! მიეცით!

კვაჭი მოგებით გაიბერა. იმის მიმდინარე ანგარიშებს ხშირად თითო ნოლი ემატებოდა. დღისით მუშაობდა, საღამოებს გრიშკას, მზეთუნახავებს და წარჩინებულებს ანდომებდა.

ზოგჯერ სტოკჰოლმიდან ჩამოსულ ნაცნობს ან უცნობსაც ამბებს გამოჰკითხავდა და თვითონაც უამბობდა.

გრიშკა ზოგჯერ დალონებული და დაღვრემილი იყო. ხშირად სასოებით ლოცულობდა, ოხრავდა, იგლოჯებოდა და იცრემლებოდა.

— დიდო მასწავლებელო! რაღაც გაწუხებს, რაღაც დარდი გაქვს.

— ძმაო აპოლონჩიკ! გული ავს რამეს მეუბნება. ღმერთს არ უნდა ამ ომის კურთხევა... წავაგებთ, დავიღუპებით, დავინგრევით... ღმერთო, გვიხსენ ეშმაკისაგან! ღმერთო შეგვინდე შეცოდებანი ჩვენი! აპოლონჩიკ! ილოცე, შენც ილოცე!.. მთელმა რუსეთმა უნდა ილოცოს... ეკლესიები დღე და ღამ უნდა ღია იყოს, შიგ ყოველ დღე უნდა წირვა იდგეს. უფალმა ღმერთმა უნდა აკურთხოს ჩვენი გამარჯვება, თორემ... აპოლონჩიკ! ომი რომ იწყებოდა, მეფეს მუხლებში ჩაუვარდი, გავაფრთხილე და ცრემლით შეევედრე: Николаша, не воюй! народ, загубишь, россею разрушить. трон потеряешь, сам погибнешь и нас погубишь! პირველად მითხრა უარი. ჩემმა რჩევამ არ გასჭრა. უწმინდურნი და გაგიჟებულნი ჩვენზე ძლიერნი გამოდგენ. ჩვენც განზე გავდექით. რადგან საყვედურის გვეშინიან, თავიანთ დამარცხებას და უნიჭობას ეხლაც ჩვენ გვაბრალებენ. საქმე ძალიან ცუდათ მიდის, აპოლონჩიკ! ჩვენი ჯარი მარცხდება. დამარცხებას საშინელი ამბები მოჰყვება: რევოლიუცია, ანარქია, ხოცვა-ჟლეტა, სიმშილი, რუსეთის რღვევა და ტახტის დინგრევა. თავადი ბეშჩერსკი, ბებერ მელას რომ ეძახიან, ყველაზე ჭკვიანი კაცია რუსეთში. ყველაფერი იცის, ყველაფერი ესმის. ის რომ ლაპარაკობს, თითქოს ყორანი ჩხავისო; ტანში ჟრუანტელი მიელის, თავი შაეის ნისლით მევსება. ჯოჯოხეთის ეშმაკმა მოიწყო წმიდა რუსეთის და უწმუნო საფრანგეთის კავშირი. რა გვაქვს იმ ხალხთან საერთო? არც ღმერთი სწამთ, არც ზნეობა აქვთ, არც მეფე ჰყავთ. გახრწნილი, დამპალი და გადაგვარებული ხალხი ყოფილა. გუშინ მთელი დღე და ღამე ლოცვაზე ვიდექი. ღმერთს ერთხელ კიდევ შეევედრე: უფალო, უფალო! განმიწმინდე მე სული ბოროტი, მომიტევე მე შეცოდებანი ჩემნი და გამიხსენ ყარნი მომავალისა!.. ხატმა ისევ თვალები დახუჭა, ისევ ცრემლები გადმოაფრქვია. აპოლონჩიკ, მე ერთი ბნელი მუჟიკი ვარ. ხეირიანი წერა-კითხვაც არ ვიცი. განათლება არა მაქვს, მაგრამ. ღმერთმა ძომცა კარგი მუჟიკური ჭკუა, კარგი თვალი და კარგი ყური. ამ ქვეყნისა ბევრ ნასწავლზე მეტი გამეგება, იმათზე უკეთესი თვალი და სმენა მაქვს აპოლონჩიკ, დაიხსომე ჩემი სიტყვა: თუ ეხლავე ომი არ გავათავეთ, ჩვენც დაეიღუპებით და რუსეთიც დაინგრევა.

კვაჭი ყველაფერში დაეთანხმა გრიშკას და დაჰპირდა ზეციერ მეფეს მეწაობას თუმცა კარგად ჰგრძნობდა და ჰხედავდა, რომ ნაადრევი [illegible] ამაზე ზრუნვა, რადგან ქეციანმა, გაცოფებულმა, კბილალესილმა და სისხლიანმა ომის ძალმა იმდენი მოულოდნელი მომხრე და მოკავშირე იპოვა, და ისეთი გეზი აიღო, რომ გამწარებული და დაბრმავებული ზემო თაობა უფრო საკუთარ თავის მოკვლას ამჯობინებდა, ვიდრე ფიცის გატეხას და საქვეყნო ღალატს.

გრიშკა ინგლისის სანაპირო ქუჩაზე გადასახლებულიყო. მისი გავლენა და ძალა გაორებულიყო, თუმცა თვითონ მუდმივ წუწუნში იყო: აღარავინ მიჯერებსო, მე აღარაფერს მეკითხებიანო.

ერთხელ, როცა გრიშკა და კვაჭი ფეხით ბიდიოდენ, რამდენიმე ალაგას გამვლელნი გრიშკას ფეხქვეშ ჩაუვარდენ, ხელები დაუკოცნეს, ინის კალთას ემთხვიენ და სასოებით შეჰვედრეს:

— იესო ქრისტე, ჩვენო მაცხოვარო!.. ილოცე ჩვენდა, ცოდვილთათვის... ღმერთი წეგისმენს.

— სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა. გაკურთხებთ თქვენ, ძმანო, ირწმენდეთ, რამეთუ მოახლებულ არს ჟამი ქრისტეს მოსვლისა. მოითმენდეთ და გახსოვდეთ წამებანი მისნი.

მერე სიბნელეში ცრემლი მოიწმინდა და კვაჭის მიუბრუნდა:

— ჩვენი საქმე გათავებულია... დავიღუპებით.

რამდენიმე დღის შემდეგ გრიშკამ კვაჭის აჩვენა დეპეშა დედოფლისა, რომელიც სწერდა გრიშკას ციმბირში, რომ მას, დედოფალს, უგრიშკოდ ერთი დღეც აღარ შეუძლიან გაძლება. მას განუწყვეტლივ ეშაროებოდა ბნედა და ნერვიული ციება, ხოლო უფლისწულს მეტად ხშირად დასდიოდა სისხლი ნატკენ ალაგიდან. საუკეთესო ექიმები უძალონი გამოდგნენ. გრიშკა რომ დაბრუნდა, დედოფალიც დაცხრა. გრიშკას ბიყვანილმა ტიბეტის ექიმმა ბადმაევმა უფლისწულს სისხლი შეუჩერა. იმ დღიდან მეფე-დედოფალი აღარ იშორებდენ არც გრიშკას, არც ბადმაევს.

იმავე ხანებში გრიშკას მტრებმა ერთხელ კიდევ სცადეს მისი ჩამოგდება. რასპუტინი სასახლეში მივიდა და დიდებულთა დასწრებით დაემუქრა მეფე-დედოფალს:

— ეიცი, რომ ჩემი მტრები ორმოს ნითხრიან, ყურს ნუ დაუგდებთ, ნუ გიშორებთ, თორემ ექვს თქვენში მემკვიდრესაც დაჰკარგავთ და ტახტსაც.

დედოფალმა დაუჩოქა და წამოიძახა:

— როგორ შეგვიძლიან შენი მოშორება, წმიდანო! შენ ხარ ჩვენი ერთადერთი მფარველი და მეგობარი. კურთხევა, წმიდაო მამაო, კურთხევა!

იმიერიდან გრიშკას ფარი აღარაფისგან გაუგია. იშვიათად გავიდოდა დღე, რომ მას არ ეთქვა ან არ მიეწერა დედოფლისთვის: გადააყენეთ... დანიშნეთ... ბადაიყვანეთ... გადმოიყვანეთ... ასწიეთ... დასწიეთ...

თვითონ მეფე დედოფლის დაუკითხავად, ხოლო დედოფალი გრიშკას, ნებადაურთველად ნაბიჯს აღარ გადასდგამდენ, ერთს მცირედ საქმეს არ გადასჭრიდენ.



ერთხელ გრიშკა ცარსკოე სელოდან დაბრუნდა:

— აპოლონჩიკ, ყური დამიგდე, ჩვენი მტრები არწმუნებენ ხალხებს, ვითომ მე ვთხოულობდე ეხლავე ომის შეწყვეტას. მართალია, ჩემი რწმენა ასეთია მაგრამ „პაპას“ და „მამას“ ჰსურთ, რომ მე ხფრანციის ელჩი დავამშვიდო. ეს წერილი წაიღე იმ ელჩს.

დაჯდა და გაიჭინთა:

„Давай Бох по примеру жить расси оне укоризной страны например нестожествасей минуты свит бох евленье силу увидите рать силу тебес победа свами и вас распутин“.

ეს მისტიური ნაბოდვარი კვაჭიმ საფრანგეთის ელჩს მორის პალეოლოგს მიართვა. ვერც კვაჭიმ და ვერც ელჩმა ვერ გაიგეს, ვერ გაშალეს ამ წერილის შინაარსი.

რამდენიმე დღის შემდეგ გრიშკა და კვაჭი შევიდნენ ერთი დიდი მთავრის სასახლეში, რომელიც სამხედრო სამკურნალოდ იყო გადაკეთებული. დაჭრილ სალდათებს საჩუქრები წიუტანეს.

დიდ პალატაში კვაჭი და საფრანგეთის ელჩი ერთმანეთს შეხვდნენ,

— გთხოვთ იცნობდეთ; გრიგოლ რასპუტინი.. ელჩი მორის პალეოლოგი.

გრიშკა უცებ აწითლდა, აღელდა და აშუოთდა:

— ძალიან მინდოდა შენი ნახვა. აპოლონჩიკ, გადუთარგმნე: რუსეთი ინგრევა... ხალხი ჯვარს ეცვა... მილიონები იტანჯებიან და იხოცებიან... დროა გათავდეს, თორემ ჩვენ თვითონ გავათავებთ!. დიაღ, დროა!.. ამას მე ვამბობ, გრიშკა რასპუტინი! დიაღ, მე!..

მერე მოულოდნელად ეცა პალეოლოგს, გულში ჩაიკრა, პასუხს აღარ მოუცადა და გარეთ გავარდა, თან ხელების ქნევით ყვიროდა:

— Какеа там палитика! მე მუჟიკი ვარ და მუჟიკური პირდაპირობა მიყვარს. რა დროის პოლიტიკაა, ლამის ხალხმა ჩაგვაქვაოს! ზავი! ზავი ჩქარა, თორემ დავიღუპეთ!

გავიდა ხანი, გრიშკა უფრო და უფრო ძალაში შედიოდა. კვაჭი სამხედრო მინისტრის სუხომლინოვის ხშირი სტუმარი იყო, რადგან მისი „კეთილი სამარიტელი“ მუდმივად იყო დაკავშირებული სამხედრო უწყებასთან, რომელსაც იგი აძლევდა უთვალავ სურსათს, ცხენებს, საცვალს და ბრავალ სამარ მასალას.

კვაჭის წინანდებურად ხელში ეჭირა რამოდენიმე გაზეთი, რომელნიც მცირე საბაბით და უსაბაბოთაც ჰბერავდენ კვაჭის და სამხედრო მინისტრს, იმათ ნიჭს, გენიალურ შემოქმედებას, თადარიგიანობას და საარაკო ორგანიზატორობას. კვაჭის სახელით, საფასურით და დავალებით ერთმა ხელმარდმა ჟურნალისტმა სუხომლინოვის ბიოგრაფია შეადგინა, იგი მშვენიერი გამოცემა ხოტბით, ქებით და დიდებით გაავსო, ოთხ ენაზე გადასთარგმნა და მთელ ქვეყანას მოსდო.

ნიშნად მადლობისა და უაღრესის ნდობისა ერთხელ სუხომლინოვმა კვაჭის უთხრა:

— ნაპოლეონ აპოლონიჩ! ერთი უუდიდესი სახელმწიფო, საქმე-ენდა დაგვალოთ. თქვენზე მეტს არავის ვენდობი. ამერიკაში უნდა ინახულოთ ქაურ ქარხნებს დიდძალი იარაღი, ტყვია-წამალი და ყუმბარები უნდა შეუკვეთოთ. თანახმა ხართ?

— მეძნელება აქედან წასვლა, ძალიან მეძნელება, მაგრამ საბჭოთა სამსახურს ვერსად წაუვალ. მიმსახურეთ.

რამოდენიმე დღის შემდეგ დარიგებით, და დალუქულ სქელ პაკეტებით დატვირთული კვაჭი ამერიკაში წავიდა, თან დიდი ამალა გაიყოლა.

სტოკჰოლმის სადგურზე ძველი ნაცნობი დაუხვდა:

— თქვენ ამერიკაში მიბრძანდებით საიდუმლო დავალებით... საიდან გავიგეთ? ჩვენ ყველაფერი ვიცით.

და კვაჭის ცხოვრება და ყოველი მისი ნაბიჯი ისე სწორედ ასწერა იმ კაცმა, რომ გაოცებული კვაჭი პირმშრალი დარჩა.

ისევ წაიჩურჩულეს ბნელ ოთახში, მიყრუებულ უბანში. ხანგრძლივი დავა და ვაჭრობა ჰქონდათ. მერე გერმანელი კალიგრაფები ჩაუსხდენ კვაჭის პაკეტებს და ისე გადასწერეს, რომ დედანს და ასლს ერთმანეთისაგან ვერავინ გაარჩევდა. მხოლოდ გადაწერილში მცირეოდენი წესწორება შეიტანეს, მათემათიკური რიცხვები ოდნავ შეამცირეს. მეორე დღეს კვაჭის ისევ ძველებურად დალუქული პაკეტები და ერთი ჩეკი ჩაბარეს, ნაშვიდობიანი მგზავრობა უსურვეს და ბერლინისკენ მოუსვეს.

ერთი კვირის შემდეგ ინგლისის კრეისერმა კვაჭი ნიუ-იორკში მიიყვანა.

კვაჭიმ და რუსეთის სამხედრო ატაშემ უმალ მოიწვიეს მექარხნენი. იჩურჩულეს, ივაჭრეს და მორიგდენ. როცა კვაჭიმ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა და ერთი ჩეკი კიდევ გაიკრა, ოაეისუფლად აქოისუნთქა და საკუთარ საქმეებს შეუდგა.

მცირე ფულით ათიოდე გემი იყიდა, დატვირთული სურსათით და საომარი მასალით; ეს გემები რუსეთის სამხედრო უწყების სახელზე გაგზავნა არხანგელსკში და თვითონ მახლობელ ქალაქებს მოედო. შეირბინა ფილადელფიას, ვაშინგტონს, ბოსტონსა და ჩიკაგოში; ყველგან თითო-ოროლი საქმე გაიმასქნა, ცივს ამერიკელ ქალებს ცხელი ქართული სისხლი აგვინა, მერე მთელი ამერიკა გადასჭრა, დიდი ოკეანე გადასერა, იაპონიაშიც შეიხედა, გეიშები გასინჯა და ციმბირის გაუთავებელი გზით პეტერბურგში დაბრუნდა.

გრიმკას, ელენეს, მეგობრებსა და დიდებულთ ძვირფასი საჩუქრები მოუტანა, ყველანი მოიმადლიერა და უფრო დაიაბლოვა. გენერალ სუხომლინოვს ანგარიში ჩაბარა:

— იმ ზომის და კალიბის იარაღი და ყუმბარები ბლომად ჰქონდათ დამზადებული სხვებისთვის. ცოტა მეტი მიეეცი. სამაგიეროდ ნახევარს ეხლავე ჩამოიტანენ, მეორე ნახევარს — სამი თვის შემდეგ. დრო მოვიგეთ.

ამერიკიდან წაღოლებული უამრავი დაბალი საქონელი გაუსინჯავთ სამხედრო უწყებამ იყიდა.

ორი კვირის შემდეგ კვაჭი ცარსკოე სელოში დაიბარეს. სუხომლინოვის,

რასპუტინის, ფრედერიქსის და მრავალთა დიდებულთა, მთავარ[illegible] [illegible]ჩინებულთა დასწრებით მეფე-დედოფალმა კვაჭის დიდი მიდლო[illegible] [illegible] კამერ-იუნკერის მუნდირი უბოძეს და სამი სხვა და სხვა ნაირი ჯვარი ჩამოკიდეს.

სადილათ მეფემ კვაჭი გვერდით მოისვა და ამბავი გამოკითხა. კვაჭმ მოიხსნა პირი და ცოცხლად, ჭკვიანურად, დალაგებით და დარბაისლად უამბო ნახული და უნახავი, გაგონილი და გაუგონარი.

ბოლოს, პაუზის შემდეგ ოდნავ ხმა დაიდაბლა:

— ვიცოდი, რომ თქვენს უუდიდებულესობას ესიამოვნებოდა წარჩინებულ ამერიკელთა აზრის გაგება შესახებ ამ საშინელ ომისა.

— ძალიან მესიამოვნება, ძალიან.

— ოფიციალურად სიმართლეს არავინ მეტყოდა. ამიტომ მრავალი მინისტრი და პრეზიდენტები ვნახე ეხლანდელი და წინანდელი. შევხვდი კლემოდ. ინტიმურად. შევხვდი ტაფტს, როუზველტს, ვილსონს, იუზს, ედისონს, მორგანს, როკფელერს და მრავალ მინისტრებს, მილიარდერებს, სენატორებს და წარჩინებულებს. მოკლედ მოგახსენებთ: ყველანი დიდი მოსურნენი არიან ჩვენი გამარჯვებისა, მაგრამ...

— მაგრამ?

— მაგრამ... ჩემს მეფეს ვერაფერს დავუმალავ, ჩემ წმიდა მოვალეობად მიმაჩნია სიმართლის თქმა, თუნდ იგი უსიამოვნოც იყოს. თითქმის ყველანი დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ეს საშინელი ომი ერთ — ორ წელიწადს კიდევ გასტანსო...

— ღმერთო დიდებულო!

— გამარჯვება უეჭველად ჩვენს კავშირს ერგებაო, მაგრამ რუსეთი... რუსეთი ბოლომდე ვერ გაუძლებსო.

ყველამ ხმა ჩაიკმინდა და შუბლი შეიკრა. გრიშკამ დასტურის ნიშნად კვაჭის თვალი ჩაუკრა.

მეფე ღრმა საგონებელს მიეცა. თავი ჩაჰქინდრა, პირში ლუკმა ველარ ჩაიდო. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს იმ სუფრაზე მიცვალებული დაასვენესო. ბერე უსიტყვოდ აიშალნენ. მხოლოდ დედოფალმა გადახედა კვაჭის მადლიერის თვალით და ფაფუკი ხელი გაუწოდა, რომელსაც შემკრთალი კვაჭი ხარბად დაეწაფა.

— ყოჩაღ, აბოლონჩიკ, ყოჩაღ! — მოუწონა გრიშკამ, — ეხლა ძალიან მოგიხდება წმინდა გიორგის ჯვარი. მენანება შენი მოშორება, მაგრამ რა ვქნა. მოდი ერთი კვირით ფრონტისკენ გაისეირნე და გიორგის ჯვარით დაბრუნდი რას იტყვი?

რას იტყოდა კვაჭი! იცოდა, რომ თუ გრიშკა და სუხოლმინოვი მოინომებდენ, კვაჭი ბრძოლის ველიდან ასი ვერსის მანძილზე ერთ თოფს გაისროდა და გიორგის ჯვარს გაიკრავდა.

პეტერბურგის სადგურზე კვაჭის ექიმი ყორანაშვილი შეეხვდა. ისიც ოსმალეთის ფრონტზე მიდიოდა. სამხედრო ექიმის ტანისამოსი ეცვა.

ერთმანეთი მოიკითხეს. ყორანაშვილი კვაჭმ თავის კუპეში შეიპატიჟა,

ერთი კვირა იმგზავრეს აზრუმამდის.

იმ ერთ კვირაში ყორანაშვილმა ერთი სიტყვა არ დასძრა [illegible]ემობაზე, არც სხვა საგანზე. შვიდ დღეში კვაჭი გაიბერა არქეოლოგიით და ისტორიით. დილიდან საღამომდის ყორანაშვილი კრაზანასავით ყურში ჩაჰბზუოდა კვაჭის.

— ურარტუელნი... ალაროდიელნი... ფაზისი კარნუ ქალაქი... ნიკოფსია... არხეოპოლი... ხეტნი... სუმერიელნი... ადარნასე... ღლიღვნი და ძურძუკნი... ლენორმანი და შარდენი... თარგამოსი და ქართლოსი... ოძრხე და გურჯიბოლაზი.

ბოლოს კვაჭიმ ყველა სახელები და ეპოქები ერთმანეთში აურია და გამოტყდა:

— აჰ, ვეფერი გევიგე. ისტორია ჩემი საქმე არ ყოფილა.

* * *

ათი დღის შემდეგ კვაჭი ოსმალეთში ჩავიდა და შტაბში გამოცხადდა. დაგეშილმა შტაბელებმა ეშმალ გაიგეს კვაჭის ვინაობა და ორიოდე კვირით ჩამოსვლის მიზანი.

ერთი კვირა ქეიფში გავიდა. შტაბის უფროსმა და კვაჭიმ გაიხსენეს ანდაზა, — ხელი ხელს ჰბანსო, — და ერთმანეთს მხარი მისცეს. მერე შტაბის უფროსმა კვაჭის თავი დივიზიის ერთ ლოთ გენერალს ჩააბარა, ორივეს ცალ-ცალკე დარიგება მისცა და ფრონტისკენ გაისტუმრა. კვაჭიმ თან წაიყოლია სამი ორთვალა, დატვირთული ღვინით, კონიაკით, არყით და მრავალნაირი სანოვაგით. უკან მისდევდნენ ერთგული მბლებელნი — გაბო, სერიოჟა და ორი ნაცადი რუსი.

ორი დღე იარეს ცხენებით. გზა სავსეა ეტლებით, ფურგონებით, ორთვალებით, ცხენოსანთა და ქვეითი ჯარით, ზარბაზნებით და ყუმბარების ყუთებით, დაჭრილებით და ავადმყოფებით.

ყველანი ზანტად და ულგინურად მიიზლაზნებიან, ხშირად გზის ნაპირას ისვენებენ და იძინებენ. მთვრალი გენერალი უხვად ისვრის ხუთსართულიან რუსულ გინებას, ხანგამოშვებით ბრძანებას იძლევა და აქეთ-იქით შიკრიკებს ჰგზავნის.

საღამოზე ერთს დანგრეულ და დამწვარ ნაქალაქევში ჩავიდნენ. შტაბში ყველანი გვიანობამდის მუშაობდენ, ბრძანებას ისმენდნენ და აძლევდენ. მერე გაშლილ სუფრას ზოუსხდნენ.

სასმელს ნელ-ნელა შეჰყენენ და შეიკეთეს, მერე შეხურდენ და შეეიცხდენ, დასძახეს და გააბეს მრავალ-ჟამიერ, ალლაფერდი, последний конешный денечек, და სხვა მრავალი საომარი და გამოსამშვიდებელი სიმღერა, თან დროგამოშვებით უხილავ ოსმალოს ბუშტებს ულერებდენ, ბრისხანე სიტყვებს ამბობდენ, იმუქრებოდენ და ცალი ყბით ღრიალებდენ:

— სტამბოლისკენ!.. დავამტვრევთ!.. დავლეწავთ!.. დაჰკა!.. მიდი!..

შუაღამე რომ გადავიდა, კარგად შემთვრალმა დივიზიის გენერალმა გამოაცხადა:

— აბა, მეგობრებო, ეხლა ძილს მივცეთ თავი. უძილო [illegible]შად არ ვარგა. უკანასკნელ სადღეგრძელოს ვსვამ ხვალინდელი [illegible]ისათვის ურაა!

— ურაა! — ისევ ცალი ყბით სამჯერ იგრიალეს, ჭიქები დასცალეს და დაიშალნენ.

კვაჭი გაუხდელი მიწვა. თვალები დახუჭა და თავი მომავალ ბრძოლას მისცა. გულში ერთი ეშმაკი ჩაუძვრა:

— ხვალ ბრძოლა იქნება.. სისხლი დაიღვრება.. ერთმანეთს დახოცავენ და დაასახიჩრებენ... ზოგს ხელს მოსჭრიან, ზოგს თვეს, ზოგს კიდევ სხვა რამეს.. შეიძლება დაჭრილი ბრძოლის ველზე დავრჩე, არავინ მომეშველება, მშიერ-მწყურვალი მოვკვდები.. შეიძლება ცხელი ყუმბარის ნაგლეჯი მეცეს მუცელში. შეიძლება ტყვიამ გამხვრიტოს... შეიძლება ხმლით ამჩეხონ, ან ხიშტი მატაკონ ფერდში...

კვაჭის ჯერ ხიშტის შეხვრეტილი ფერდი ასტკივდა, მერე ყუმბარის ნატეხით გაგლეჯილი მუცელი დაეწვა, ხმლით აჩეხილი თავი გაუბრუვდა და აფეთქებულ ტყვიით დაფლეთილი შიგნეულობა დაეხრაკა.

— არა, შე ოხერო ჩემო თავო, შე დასაბმელო და დამთხვეულო,—ეუბნება კვაჭი თავის თავს,—ვინ მოგათრია ამ სიშორეზე რაცხა გიორგის ჯვარიხა?! ვის, ან რისთვის უნდა შეაკლა თავი? გეიბერე, გასუქდი და შენს ქერქში ველარ დეეტევ. განა! რა გაკლდა, რას დეეძებ? ფული თავსაყრელი, ქალები უთვალავი, მუნდირი კამერ-იუნკერისა, წოდება თავადისა, ხელისუფლება უსაზღვრო, სასახლე და მოსამსახურენი, პატივი და კეთილი ცხოვრება, ყოლიფერი სანატრელი შეგისრულდა და აგიცხადდა, მეტი რაღა გინდოდა! თხა რომ გასუქდა, მგელთან ჭიდაობა მოინდომაო, აი ანდაზა ჩემზეა გამოჭრილი. ამბობენ კვაჭი ჭკვიანი კაციაო. სისულელე უთქვამთ, თვარა რომელი ჭკვიანი დაანებებდა თავს მეფურ ცხოვრებას და სასიკვდილოდ გაიმეტებდა თავს რაცხა ბანეთიან ჯვარისთვის! გრიშკა და სუხომლინოვი დამპირდენ, თოფის ხმასაც არ გეიგებო, აქინე კი ნუა ბრძოლაში მიკრეს თავი. კაია კიდო, თუ ტყვიამ ბარძალი ან ლბილი ალაგი გამიხვრიტა. ერთიც ენახოთ ყუმბარამ ხელი ან თვეი მომგლეჯოს, ან მუცელი გადამიტრიალოს.

კვაჭის ყუმბარით დაფლეთილი მუცელი არ დაუცხრა, ტკივილმა უფრო მოუმატა. იმის თავში ეშმაკებმა ფერხული ჩააბეს, ჯოჯოხეთის ჭიაკოკონა აანთეს, დამდნარი რკინა ჩაუსხეს. კვაჭი დაიწვა და დაიხრაკა ამ ცეცხლში. დიდხანს იგორავა და იტრიალა გახურებულ ლოგინში, ბოლოს წამოხტა და აივანზე გავარდა.

ნაქალაქევში ძაღლები შესაზარად ჰყმუოდნენ. ქვეიდან ცხენების ჭიხვინი, ურმების ჭრიალი და ზარბაზნების რახა-რუხი ისმოდა. ბანაკი იღვიძებდა და სადღაც გადადიოდა.

უცებ ერთი თოფი გავარდა, მერე მეორე, მესამე და ბეხუთე.

— რა მოხდა, რა ამბავია?—ეკა კვაჭი თავის რუს მხლებელს, რომელმაც ამ დროს წამოიწია.

— არაფერი, ბატონო. აქაური ნანგრევებიი უპატრონოა [illegible] არის სავსე. დღისით იმალებიან, ღამ-ღამობით კი სანადიროდ გა[illegible] სალდათებს აწუხებენ. მკვდრებსა და დაჭრილებსაც ეტანებიან. შეწუხებული სალდათებიც ამ ძალლებს ჰხოცავენ, ამაზე მეტი არაფერია.

ბანაკი წამოიშალა და დაიძრა. შტაბიც უკან გაჰყვა. ირაკლიანი. უცებ სადღაც შორს ზარბაზანმა დაიგუგუნა, ის ტუხილი ხმობას მოედო და რამდენჯერმე ყრუდ განმეორდა.

— დაიწყო. — სთქვა ვილამაც.

კვაჭის ისევ ეშმაკები ჩაეპარნენ გულში. მიიხედ-მოიხედა. სხვები გულმშვიდად იყვნენ, ზოგს პირსახეზე თითქოს სიხარულის ღიმილიც უთამაშებდა. კვაჭის რუსი მხლებლები ისე გულმშვიდად მოჰანჩალებდნენ, თითქოს ბრძოლაში კი არ მიდიოდნენ. არამედ ყანიდან სახლში ბრუნდებოდენო.

— ალბათ არც ისე საშიშია ბრძოლა, როგორც ზოგნი იმბობენ. — მიუბრუნდა კვაჭი ჩხუბიშვილს.

— შენ ყოჩაღათ იყავი, ი ჩემა ნალა თათრები ფეხებსაც ვერ მოგვეჭამენ. — გაამხნევა კვაჭი გაბომ. — ჭასსან-ყალაშიც მივცხეთ, აზრუმშიც, ვანშიც და სხვაგანაც. პირველად მეც მეშინოდა, მაგრამ მერე ადვილად შევეჩვიე.

ერთ დაფობზე ავიდნენ. სარდალის ბანაკი ერთ პატარა ველეში გაშალეს. ცხენებიდან ჩამოხდენ და სერზე აცოცდენ. კვაჭის თვალწინ ბრძოლის ველი გაიშალა.

სერის გაყოლებაზე თხრილები და საფრები უსწორ-მასწოროთ მიიკლაკნებოდენ. ქედის ჩრდილო კალთების ნაოჭებში რუსის ჯარები ჩამალულიყვნენ ამტვერებული თვალუწვდენელი გზაც მომავალი ჯარებით იყო სავსე.

ლრმა ხევის რიყეზე ცხენოსანი რაზმი შავი და უზარმაზარი გველივით მარჯვნივ მიიკლაკნებოდა. ერთ ბეკობზე ცხენები და სალდათები დიდის გაჭირვებით ზარბაზნებს მოაორევდენ. წინდორზე კანტი-კუნტად გაფანტული ნიკრიკნი დაოთხებულ ცხენებს დააჭენებდენ.

პირველი ქედის გასწვრივ, სამხრეთით მეორე ქედი იყო გაჭიმული, ოდნავ დილის ნისლით შემოსილი, ისიც მოტყლეპილი და ხრიოკი. ორივე ქედის შუაში ჩაწოლილიყო ვიწრო და გრძელი ბინდორი, დასერილი ხუთიოდე ნასოფლარით, ბუჩქნარით, ხევ-ხევებითა და ნაბალნარით.

იმ ქედის თავზე კვაჭიმ დურბინდით გაარჩია ჭიანჭველასავით ათეულეულებული მოპირდაპირე.

უცებ ჰაერში კრაზანას ბზუილი მოისმა. ერთ წამში ის ბზუილი უკნაურ ყუილად, რკინის გრიგალად გადიქცა და იმ გრიგალმა ბეკობის თავზე მეხივით გადისერა, რკინისა და ცეცხლის რკალივით გაიელვა.

იმავე წუთს იმ მეხის წინაზე ყველამ თავი მოიდრიკა. ზოგმა იმ ღვთის რისხვას ოდნავ თავი დაუკრა, ზოგი წელში მოიხარა, ზოგი კიდევ ჩაკუნტდა. კვაჭი უნებურად პირქვე დაეცა და მიწას გაეკრა. იმავე დროს ბეკობის ძირში, ბანაკის გვერდით იმ მეხმა საზარლად იფეთქა. ალის, ბოლის, ნიწის და ქვების სვეტი მაღლა ავარდა, აიმოტა და ხეცას ასწვდა.

ᲐᲠᲘᲥᲔᲜᲣᲚᲘ
ᲒᲘᲠᲩᲘᲚᲘ

ირგვლივ ზოგნი უკვე იცინოდენ, ზოგნი შიშიან თვალებს აფეთებდენ.

გაფითრებული კვაჭი ძლივს წამოდგა. დარეტიანებული აქეთ-იქით იცქირებოდა და გაუგებარს რასმეს ლუღლუღებდა.

— მოგვაგნეს. — წამოიძახა ერთმა.

— არა, შემთხვევით შემოფრინდა. — მიუგო მეორემ.

— თუ შემთხვევით შემოფრენილი ყუმბარა ასეთი ყოფილა, ნამდვილი რაღა იქნება! — თავისთვის წაილაპარაკა კვაჭიმ.

— დაიწყეთ! — ბრძანა სარდალმა.

შიკრიკები დაიძრნენ. მიწაზე გაშლილი ტელეფონი აყლარუნდა.

მთის კუდრაჭა ზარბაზანი ფინიასავით ჰყეფ :

ეელისა — ჰგმინავს და ღრიალებს;

მორტირი ბღავის და ჰსჭექს

ჰაუბიცი ჰქუხს და დრტვინავს;

მიტრალეზი დედალივით კაკანებს;

თოფი იატაკზე გადაყრილ მუხუდოსავით რახრახებს;

ცა იცრემლება თეთრი, ყვითელი და ვარდისფერი შრაპნელის ტყლეებით;

დედამიწა იპენტება ყუმბარების ალით, ბოლით, ქვისა და მიწის სვეტებით; ჰაერი გაჟღენთილია ჭექით და ქუხილით, დრტვინვით და ხანჯარით, ბზუილით და სისინით, მომაკვდავთა და დაჭრილთა გმინვით და კვნესით, ხრიალით და კრუსლვით, მებრძოლთა კიჟინით, გამოქცეულთა ყაყანით, ქრიამულით, თქარა-თქურით, ჭიხვინით და ათას უკნაურ კივილითა და ხმით.

იმ მინდორში ხანგამოშვებით ხან ერთის, ხან მეორე მხრიდან ვიწრო ხოლებს გრძელი ტალღებივით ერთმანეთზე იერიშები მიაქვთ. ხან ერთმანეთს შეეჯახებიან და ერთი მეორეს მოსდრეკენ, ხან შუა გზიდან პირს იბრუნებენ და სადღაც ხვრელებში, ხევ-ხუვებში ინოქებიან.

შუადღეს გადასცდა. დივიზიის გენერალი, გინებით და ღრიალით დაღლილი, კლდის ჩრდილში სადილს შეეტანა. სხვებიც ნაყრდებიან.

უცებ გალმა მთის ნაოჭებიდან და ხევ-ხუვებიდან რამდენიმე შავი ტალღა წამოვიდა.

— იერიშით მოდიან! ცხენოსანი ჯარი იერიშით მოდის! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

ყველამ დურბინდები მოიმარჯვეს და მტერს ჩააცივდენ.

სოროებიდან გამოსული შავი გველები დიდ მინდორზე შეერთდენ და ერთ უუზარმაზარ გველეშაპად გადაიქცენ.

— გაჩუმეთ! — ბრძანა გენერალმა და იმ გველეშაპს აღტაცებული ღიმილით და მუშტრის თვალით მიეგება.

ზარბაზნები, მიტრალეზნი და მეთოფურნი გაჩუმდენ. მეთაურნი ფუსფუსებდენ, დაწყვეტილ ძაფებს ჰკვანძავდენ, ჩაშლილ რიგებს ერთმანეთზე აბამდენ და მომხდურთა დასახვედრად ემზადებოდნენ.

შავი გველეშაპი იზმორებოდა, იშლებოდა, ხელ-ფეხს იჭიმავდა და ნახტომისთვის ძალ-ღონეს იკრეფდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალი აღტაცებით აიშალა, აიბურძგნა და ატოკდა:

— ყოჩაღ! ყოჩაღ ოსმალებო!.. ვაშა თქვენს ვაჟკაცობას, ვაშა! ... ბანა-ხაობა, აი უმაღლესი ხელოვნება! მაინც ნახევარ საათში შეგმუსრავთ, დაგლეწავთ, მოგსპობთ და გაგაქრობთ! მაგრამ მაინც მომწონხართ, თქვე ჰარამზადებო, თქვე ურჯულოებო, თქვენა!

გიქვავით ყვიროდა, ხელებს იქნევდა, დახტოდა, მუშტებით ემუქრებოდა, თან ნაწყვეტ-ნაწყვეტად ბრძანებას ისროდა:

— ყველა ზარბაზნები დაუბიზნეთ! კარტეჩი ბლომათ დაამზადეთ!.. სანამ ახლო არ მოვლენ, ერთი თოფიც არ გავარდეს!.. დამშვიდდით!.. დალაგდით!.. ჩასაფრდით!

ოსმალთა ცხენოსანი დივიზია გაიშალა. შუაში ჩაიყენეს თეთრი ბურნუსიანი არაბები და ზავით თავშეხვეული ეურთები. წინ ულემები გამოვიდნენ, წმენდა დროშა-ალამები გაბოლტანეს და ჯარი ლოცვა-კურთხევით გამოისტუმრეს. მერე უცებ ჰაერი შეინძრა იმ გველეშაპის ოხვრით და გმინვით:

— ალლაჰ ილ ალლაჰ!

დაიძრნენ და ნელ-ნელა წამოვიდნენ. თანდათან ნაბიჯს უმატეს. მერე დაოთხდენ და ქარივით წამოვიდნენ წინ მწვანე ალამებს მოაფრიალებდენ. უთვალავ მახვილს მზეზე ლაპლაპი გაჰქონდა; უკანანი მტვრის კორიანტელში გაეხვივნენ; დედამიწა ზანზარებდა, წამოსულთა ყმუილი და კიკინა ზეცას სწვდებოდა.

— ალლაჰ ილ ალლაჰ!

უცებ დამხდურთა ყველა ზარბაზნებმა ერთხმად დაიჭექეს და დაიღრიალეს. წამოსული თამამი გველეშაპი მყისვე ბოლის; ქვიშისა და მტვრის კორიანტელში გაეხვია. ოდნავ აირია, აიკლაკნა და შეფერხდა: ბერე დახოცილ-დაჭრილებს გადმოალაჯა, ბოლისა და მტვრის ბურუსიდან გამოვარდა და ისევ წამოვიდა.

ყოველ ნაირი ჯურის ზარბაზნების, მიტრალეზებისა და რამდენიმე ათასი თოფის გრიალი, კაკანი და ჭახა-ჭუხი ერთ განუწყვეტელ ქუხილად და ჭექად გადაიქცა.

ზეცა გასკდა და დედამიწას საშინელ ნეხად დაეცა.

უცებ ის გველაშაპი ბექობზე გრიგალივით ამოვარდა და კბილებით თხრილებსა და საფრებს დასწვდა.

— დაჭკა!.. მიდი!.. ასჩეხე!..

— ალლაჰ ილ ალლაჰ!

— დაუმიზნეთ!.. ესროლეთ!.. გასტენეთ!..

ყველანი და ყველაფერი ერთმანეთში აირიენენ: ზარბაზანი და თოფი, ხმალი და ხიშტი, ცხენოსანი და ქვეითი, მტერი და მეგობარი.

— დაეილუპეთ!.. დაემარცხდით!.. თავს უწყველეთ!—ჰპოდავდა დარეტიანებული კვაჭი, თან უგზო-უკვლოთ დარბოდა და თავვის სოროს ეძებდა, მაგრამ ცხენი არსად სჩანდა და აოც გზა იკოდა ხან ბუჩქს ამოეფარებოდა, ხან თხრილში ჩავარდებოდა და ხან კიდევ უნებურად მებრძოლთა ჯგუფში შეერეოდა.

— თავადო კვაჭანტირაძე! —ჩაჰყვირა ყურში გაქვავებულ და დამბლა და-

ცემულ კვაჭის გენერალმა.— ეს ბრძანება ქვეით ჩაიტანეთ და [illegible] ჩამალულ შტაბს გადაეცით. ხომ ჰხედავთ იმ გორაკს, [illegible] გადაეცით სიტყვიერადაც, რომ ის გორაკი ბრძოლის გასაღებია. თუ მტერს ის გორა დაუთმეს, ერთი კაცი ველარ გავა ამ ჯოჯოხეთიდან. ყველანი ტყვედ ჩაუვარდებით ოსმალებს. ტელეფონი გაწყვეტილია. აბა ჯარის ბედი თქვენს ხელშია. აბა, ჩქარა! მშვიდობით!

კვაჭიმ ძლივს მიაგნო თავის მხლებლებს. მოასხდნენ ცხენებს და გამოჰქუსლეს. შორიდან გზაზე ცხენოსანთა საეჭვო რაზმი შეამჩნიეს.

— გზა მოგვიჭრეს!.. ოსმალები არიან... მარცხნივ!

და ცხენები მოატრიალეს. ხევში საექიმო რაზმს წააწყდენ. თეთრებში გახვეული და დამკლავებული ექიმები—ყორანაშვილი და სხვებიც ხერხებით და დანებით დაჭრილებს გულმოდგინეთ სჭრიდენ და ხერხავდენ. იქაურობა სისხლით იყო ნორწყული. იქვე ეყარნენ მოჭრილი ხელები და ფეხები, დაჭრილნი და დასახიჩრებულნი, ზოგნი შეკრეულნი და ზოგნი შეუკვრელნი.

კვაჭიმ რომ ესოდენი სისხლი დაინახა, თავბრუ დაესხა, თვალთ დაუბნელდა გული შეეღონდა. ერთმა მხლებელმა ილლიაში მკლავი შეაწვეცა და იმ ჯოჯოხეთს მოაშორა.

კვაჭი მოსულიერდა. უგზო-უკვლოდ მიჰქროდა, უკნიდან ბრძოლის ქუხილი მისდევდა.

უცებ სალდათების დიდ ჯგუფს შეეფეთა. ქუდ მოგლეჯილნი და დაფეთებულნი მორბოდენ, თან გაჰკიოდენ:

— მოგვიარეს! გზა მოგვიჭრეს! თავს უშველეთ! გაიქეცით!

იმ ჯგუფიდან თავშეხვეული, გაფითრებული უცნობი გენერალი გამოლასლასდა და კვაჭის წარუდგა.

— კაპიტანო, მიშველეთ! ავერ ის გორაკი ოსმალებმა აიღეს... ყველა აფიცრები გაგვიჟლიტეს... მარტო მე დავრჩი... თუ ის გორაკი ეხლავე არ დავიბრუნეთ, მთელი ჯარი ტყვედ ჩაუვარდება ოსმალებს... თქვენი იმედია გვაქვს... გაიხსენეთ ჩვენი სამშობლო... ნეფე... მოვალეობა... სკადეთ... გვიშველეთ... გვიშველეთ... და დაჭრილმა გენერალმა მტვერში ჩაიკეცა.

რა მოხდა იმ წუთში კვაჭის გულში? რომელი ეშმაკი ჩაუჯდა? ვინ, აბ როგორ გარდაჰქმნა მეყვსეულად—ვერასოდეს ვერავინ გაიგო ვერც თვითონ კვაჭიმ, ვერც უცხომ.

შესდექით! შესდექით მეთქი, თქვე ჰარამზადებო! —

დასჭყივლა კვაჭიმ იმ ფარას და გამოქცეულებს გზა უყელა, ცხენი ზედ მიაგდო.

— მოვგიარეს! თავს უშველეთ!

— შესდექით მეთქი, თორემ!..

და მოწინავეს გულზე რევოლვერი ჩიაბჯინა.

მხლებლებიც გვერდით ამოუდგნენ და იარაღი იშიშვლეს.

გაუგებარი და უცნაური რამ მოხდა. იმ წუთს კვაჭის სიცოცხლე და ხასიათი გადიზნიქა, მოიღუნა, გატყდა. და ამ ქვეყანას მოევლინა უცხო რამ სასწაული. წინანდელი კვაჭი მოკვდა და გაქრა. იმავ წუთს იშვა მეორე კვაჭი,

უცნობი და ახალი, თამამი და უდრეკი, გულადი და შეუპოვარი [illegible] ლეონიდე თერმოპილელი, ან ალექსანდრე მაკედონელი, ან ერეკლე [illegible] ანა-პოლეონ არკოლელი.

კვაჭის უკვე არწივის ფრთები გამოესხა, იმ ფრთების ქვეშ მიქელ გაბრიელი შეუჯდა, ხოლო თვისი ცეცხლის მახვილი კვაჭის ხელში ჩაუდო; საგულეს ლომის გული ჩაუვარდა, სულში ჯოჯოხეთის მთავარ ეშმაკი ჩაუძვრა და თან ათასი ჭინკა ჩაიყოლა. ისედაც მალალი კვაჭი კიდევ ორი მტკაველით აიბოლტა. დამფრთხალი ცხვრის ფარა ცეცხლის თვალებით დასწვა და ქუხილით დააყრუა:

— შესდექით! მოგროვდით!

ასიოდე გონება დაკარგული ისევ გარბოდა. კვაჭიმ არწივივით იმ მინდორს ჩამოუქროლა და შვიდი ტყვეით შვიდი კაცი მიაწვინა. მერე არხეინად გაიჭიმა ცხენზე, დანარჩენებს ღიმილით გადაჰხედა და ღვთიური ცეცხლით დასწვა:

— ძმებო! ამხანაგებო! ჯარის ბედი თქვენს ხელშია. გზა მოჭრილი გვაქს. ყველანი ტყეეობაში ჩავლეებით, სირცხვილით თვალში თვალს ვერავის გავუსწორებთ. ძმებო! რამოდენიმე ათასი თქვენი ამხანაგი, მეფე და საქმობლო თქვენ შემოგცქერიან და თქვენგან თხოულობენ ძმურს, ამხანაგურსა და მამულიშვილურ ვალის მოხდას. ჩვენში ლაჩარი არავინ არის. ვინც გიღალატებთ და გიმოიქცევა, აგერ იმ ძაღლების ბედს წააწყდება. მე წინ გავიძღვებით, თქვენ კი ნუ ჩამორჩებით. წავიდეთ და ძოვიხადოთ ჩვენი ვალი!

— წავიდეთ! გაგვიძეხი! წაგვიყვანე! — იგრიალა ორმა ათასმა ხაცალმა და დაგეშილმა ვაქკაცმა.

— უნტერ-ოფიცერნო, წინ წამოდექით! ამ წუთიდან თქვენ ოფიცრები ხართ. დააწყეთ და გაშალეთ თქვენი რაზმები!

ათი წუთის შემდეგ ორი ათასეული საბრძოლოდ გაიშალა.

— მობრუნდით!.. მომყევით!..

და ნელი, დინჯის ნაბიჯით იმ გორაკისკენ გასწია,

— მწყობრად! მარდად! ერთად!

სერიოზა ჩიკინჯილაძე მარცხენა ფრთას მოუძღოდა, გაბო ჩხუბიშვილი მარჯვენას. სამივეს უკან მოსდევდა ორი ათასი ხიშტის ტყე, რკინის მოძრავი კედელი, მოუხეშავი, უდრეკი და უშიშარი. ყველანი წელში მოხრილიყვენ, ყველას მარცხენა მხარი და ხიშტი წინ წაეწია.

— მწყობრად! მარდად! ერთად!

იმ გორაზე ჩოჩქოლი ასტყდი. ტყვეა სეტყვასავით წამოვიდა. რკინის კედელს რკინის აგურები სცვიოდა. მაინც არავინ შესდგა, არავინ ჩამორჩა, არავინ ერთი თოფიც არ დასცალა.

სიჩუმემ და გააფრთხებულმა სიარულმა ნტერს თავზარი დასცეს, ძარღვები აუბურძგნეს. გაფითრებულნი ჩურჩულებდნენ:

— შეითან გელიერ... შეითან გელიერ... ალლაჰ ილ ალლაჰ! და მთრთოლვარე ხელებით ჰაერს ესროდენ.

წელში გასწორებული, მაღალი და აბოლტილი კვაჭი რკინის კედელს ისევ წინ მიუძღოდა. ზოგჯერ უკან მოიხედავდა, ცეცხლის თვალითა [illegible] ერთ-ხელ კიდევ შეახურებდა, მერე ხმალს აიქნევდა და ერთხელ [illegible] ბრძანებდა:

— მწყობრად! მომყევით!

ის კედელი უსიტყვოდ მიიდგა გორაკს, აფეთქდა, მიაწვა და ოსმალთა თავზე გადაინგრა.

— მიდი! დაჰკა! ასჩეხე!—ყვირის ღვთიერის სიგიჟით გაგიჟებული კვაჭი და ბრძოლის ცეცხლის შუაგულში ტრიალებს. მისი ხმალი ელვასავით ლაბლა-ბებს, მისი ცეცხლიანი თვალები ყველას ზევიდან დასცქერიან.

ხანმოკლე და მძაფრი ბრძოლა დატრიალდა. იბრძვიან ხმლით, ხიშტით, ხანჯლით, რევოლვერის ტარებით, თოფის კონდახებით, ხელებით, ფეხებით და კბილებით.

— ასსირამ! ასსირამ! (გნებდებით) — უკვე მოისმის ოსმალ ასკერთა შორის.

— ვაჯობეთ! გავიმარჯვეთ! დაჰკარით! მიდით! — ჰქუხს კვაჭი.

და ერთ ოსმალოს მკლავი მოსწყვიტა, მეორეს კისრის ძარღვები დაუწყვიტა, მესამეს მკერდი გაუპო, მეოთხეს ყური აასხიპა, და მეხუთეს ახოვან არაბს ხმლის წვერი შუბლში გაუსწორა. მაგრამ...

თვალებში ცეცხლმა გაუელვა, ყურებში ზარმა ჩამოჰკრა და ბაბრი ნისლმა დაუბურა; მარცხენა ხელი მკერდზე მიიდო, მარჯვენა განზე გაიქნია, ხმალი ბრიალ-ბრიალით შორს გასტყორცნა და მოჭრილ ბოძივით გულაღმა მიწაზე გაიშოლტა.

* * *

ჰგდია უპატრონო კვაჭი კვაჭანტირაძე ტიალ მინდორზე. ირგელივ მხოლოდ ყვითელი ქვიშა მოსჩანს; უდაბნოს ალმური ასდის;

ჰაერი გახურებულ ბუღით არის გაჟღენთილი.

ჰგდია მარტოდ-მარტო კვაჭი ცხელ ქვიშაზე და სიცხით, უწყლობით იხ-ჩვება; სისხლიან მკერდზე შავი ყორანი ზის; იგი ყორანი სადგისის ნისკარტით ჭრილობას უკორტნის, წინდის ჩაირების სიგრძე ფრჩხილებით შიგნეულობას უწიწკნის, გულ-ღვიძლ'ს უქეჩავს; ზოგჯერ იმ ნისკარტს კვაჭის თვალებში ჩაჰკ-რავს, თან არხეინად ისვენებს და იმ უდაბნოს ამაყად გადასცქერის.

შორიახლოს ატუხულა აბურძგნილი, პირშავი, საზარელი მგელკაცა; იგი ბინდს ელის; მან იცის, რომ ღამით კვაჭი მისი კერძი გახდება და რიჟრაჟზე იმ ქვიშნარზე კვაჭის ნაცვლად მხოლოდ გამოხრილი ძვლები ღა დარჩება.

ციდან ოქროს ჯაჭვი ჩამოეშვა; იმ ჯაჭვზე ერთი ჭინკა ჩამოცოცდა და ბროლის დოქით წითელი ღვინო ჩამოიტანა. ჰკიდია მასხარა იმ ჯაჭვზე და კვა-ჭის ზევიდან წითელ ღვინოს ასხამს; ღვინო კვაჭის პირის გარშემო ისხმება კვაჭი შოშიასავით პირს აღებს და სცდილობს ერთი წვეთი მაინც ჩაიგდოს ყელში, მაგრამ დადუნებული თავი და ხელ-ფეხი ვერ გაუქნევია, ადგილიდან ვერ დაუძრავს. ჭინკა დიდხანს აწამებს კვაჭის: მასხრობს, იცინის, იკრიჭება და იპრანჭება, მერე ისევ იმ ჯაჭვით ცაში აცოცდება.

უცებ ის უდაბნო გამოცოცხლდა. კვაჭი ნათლად ჰხედავს [illegible] ბულვარებს, ხეივნებს, ბალებს, ყავახანებს, მოედნებს და ნაცნობ [illegible]

მთვრალი გრიშკა კუნტრუშით მიარბენინებს გულგაღეღილ ელენეს;

ფარშევანგივით მიგოგავს ლედი ჰარვეი;

იქაურობას სწვავს მადამ ლაპოში ნაკვერჩხლიან თვალებით;

მოხდენილ რხევით მისცურავს ცისთვალა რებეკა;

არხეინად, ლაღად, სიცილით და ბედნიერის ღიმილით მიდიან ტანია, სუსანა, სედრაკა, ბესო, სერიოჟა და კვაჭის ათასი ნაცნობნი ქალ-ვაჟნი.

კვაჭისკენ არავინ იხედება, კვაჭის არავინ ამჩნევს.

პირშავი მგელკაცა ისევ ბინდს ელის; შავი ყორანი კვაჭის ისევ გულს უკორტნის და თვალებსაც ეტანება.

— წყალი! წყალი! — გულში ყვირის კვაჭი, მაგრამ მისი ხმა არავის ესმის.

იჭიმება ძალას იკრებს და ჰლამობს დაყვირებას, მაგრამ ხმა ვერ ამოუღია ერთი კუნთიც ვერ გაუნძრევია.

ქალაქი გაქრა, ხალხიც მიიმალა. შავი ყორანი ისევ სჩხავის, მგელკაცა ისევ ბინდს ელის.

უცებ კვაჭის თავს წაადგა ყორანაშვილი უცნაურად გამოწყობილი, შვილდ ისარით შეიარაღებული აბჯარ-მუხარადში ჩამჯდარი.

— კვაჭი, წამოდი!

ორივენი ფრთოსან მერნებს მოასხდნენ და გაფრინდნენ.

შავი ყორანი უკან დაედევნა, მგელკაცაც მოჰქროდა.

— მირბის, მიგვაფრენს უგზო უკვლოდ ჩვენი მერანი, უკან მოგვჩხავის თვალბედითი ჩვენი ყორანი.— მღერის ყორანაშვილი, მერე კვაჭის ეუბნება:

— აჰა ჯულამერკის მწვერვალი... აი გიავარის ქედი რავანდუზა... ხანიკინი... სამარა...

ირგვლივ ჯარები დაფუსფუსებენ. დახოცილნი გულაღმა ჰყრიან. გვამებს ყორნები ჰკორტნიან და ნადირები სჭამენ. ბევრნი იცნეს ცოცხლებსა და დახოცილებში.

— ძმებო, აქ რას ეძებთ? ამ სიშორეზე რამ მოგიყვანათ?

— არ ვიცით. ბედს მივდევთ, ბედს ვეძებთ.

ირანშიც ცოცხალნი და მკვდარნი პაპათა პაპები და წინაპარნი იცნეს, უთვალავნი იყვნენ.

— ძმებო, თქვენი სამშობლო ამ უდაბნოზე რათ გასცვალეთ?

— საწუთრომ გაგვაცელევინა.

ავღანისტანში გერათისა და ყანდაღარის ზღუდენი მორღვეულნი იყვნენ. ჰინდუყუშის კალთებიც მშობლიურ სისხლით იყო მორწყული. ოთარ ჩოლოყაშვილი და მრავალნი წინაპარნი საფლავებიდან აღზდგენ.

— ძმებო, ვინ მორწყო წუა ამბია თქვენი სისხლით?

— ბედმა. ნადირ შაჰს გამოვყევით. გერათისა და ყანდაღარის გალავანზე პირველნი ჩვენ ავცოცდით.

გადასჭრეს სოლიმანის ქედი, პენჯაბი, წმიდა განგი და მიადგნენ ინდოე-



თის დედაქალაქს დელი-შახჯანაბადს. ყველგან მრავლად [illegible] ნათესავების სულები და ჩონჩხები, რომელიც მათთან ერთად მიჰ[illegible] ბერნებს ძვლის თითებით ებლაუჭებოდენ და ეეედრებოდენ:

— წაგვიყვანეთ!.. დაგვაბრუნეთ!.. შეგვიერთეთ!..

— ვინ მოგიყვანათ ამ სიშორეზე?

წინ პატარა კახი წამოიჭრა:

— ზოგი მე მოვიყვანე, ზოგიც სხვებმა.

— რას ეძებდით? ვის მოსდევდით?

— ბედს მოვდევდით. ზოგი სახელსა და ულუფას ვეძებდით, ზოგი სხვის ძალამ წამოიყვანა.

დაჰქრიან კვაჭი და ყორანაშვილი არაბეთს, ეგვიპტეს, ასურეთა, ბაბილონს, ძველსა და ახალ ქვეყნებში. ყველგან მკვდრეთით სდგებიან უთვალავნი მოსოხები და ტიბარენები, მაკრონები და მოსინეკები, მარები და კოლხიდელები, ბამელიუკები და იანიჩარები, მახლობელთა და ნათესავთა სულები და ჩონჩხები; და ყივილ-ბივილით, კვნესით და გმინვით, ხვეწნით და მუდარით, მოსდევენ უკან მრავალნი და აწლილნი, ვითაარცა ასი ათას სკიდან ერთად გამოსული ფუტკარი.

ჩონჩხების უთავბოლო ზღვაში სირბილმა და ყივილ-ხივილმა კვაჭი დაჰქანცა და დააყრუა. ბოლოს შეჰბღავლა ყორანაშვილს:

— რა გინდა ჩემგან? რათ დამათრევ ამ ჯოჯოხეთში? გამიყვანე აქიდან! მაკმარე ეს წამება!

ყორანაშვილი ეკითხება:

— კვაჭი, შენ რაღა გინდოდა შორეულ ოსმალეთში? ვინ მოგიყვანა? რას ეძებდი?

— ღმერთმა ნუ იცის ჩემი თავი და ტანი, აი ეს მინდოდა! წყალი, წყალი მომეცით! ერთი წვეთი მაინც, ერთი წვეთი!

ციდან ჯაჭვით ისევ ჭინკა ჩამოეცცდა და ერთი დოქი წითელი ღვინო დაღვარა კვაჭის თავის გარშემო, მაგრამ პირში ერთი წვეთიც არ მოხვდა.

ყველაფერი გაქრა.

კვაჭი სამოთხის ბაღში წევს. შუბლზე ისევ ყორანი აზის, ფეხებთან მგელკაცა გაწოლილია.

თითქოს ყველაფერი ეცნობა: მშობლიური ცა, მთები, მინვდრები, ვენახები, და წენოაები. ირგვლივ თითქოს სამტრედიაც მოსჩანს, ბათუმიც, ქუთაისიც და ტფილისიც.

მოშორებით აფარებელი ხალხი ტრიალებს: კვაჭის მშობლები, მეგობრები ნათესავები; გრიშკა და ტანია, ელენე და გინზბურგი, წარჩინებულნი და დიდებულნი, სალოსნი და ღვთის ცოდვილნი, უბრალონი და კარის კაცნი. ყველანი კვაჭისკენ იშვერენ თითებს და ფუსფუსებენ.

— დამარბეთ! კუბოში ჩასდეთ! მიწაში ჩაუშვით! — ყვირიან ზოგნი და კვაჭის მშობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს კვაჭისკენ ერეკებიან. მეორენი

უძალიანდებიან, ტირილით ეხვეწებიან და შებრალებას მოსთხოვენ. ბოლოს ... დიდხანს გრძელდება. ბოლოს მეფე-დედოფალნიც გამოჩნდენ.

— დამარხეთ!

ყველანი დაიძრენ და კვაჭისკენ გამოიქცენ, — ზოგნი გამარჯვების კიჟინით ზოგნი — ვაებით და მოთქმით. მეფე-დედოფალმა, დიდებულებმა, წარჩინებულებმა და უმაღლესმა სამღვდელოებამ კვაჭის ანდერძი აუგეს. მერე გრიშკამ, მიტიამ, სალოსებმა, ღვთის ცოდვილებმა, გონჯებმა და მახინჯებმა კვაჭის გარშემო გიჟური ფერხული ჩააბეს. დახტოდნენ და დაგორავდენ, იგრიხებოდენ და იკრიჭებოდენ, ჰბოდავდენ და იფურთხებოდენ, თან გაჰკიოდნენ:

— სამოთხეში წავიყვანოთ, სამოთხეში!

მერე საშინელი ღრიანცელი ატყდა. ყველანი კვაჭის მისცვივდენ და დიდ კუბოში ჩააწვინეს.

— დედა! მამა! თქვენ რაღა გემართებათ... ცოცხალი ვარ, ცოცხალი! ბესო! სედრაკ! მიშველეთ! მიშველეთ!

ზოგნი სტირიან, ზოგნი იხარიან, უკანანი მოწინავეთ ძალას ატანენ და ყვირიან:

— სამოთხეში მიდის, სამოთხეში!

— დედა!.. მამა! — იხვეწება კვაჭი. — თუ ვერ მიშველით, განხე მაინც გასდექით... თქვენი შვილის ცოდვაში მაინც ნუ ჩასდგებით.

ძაბული სტირის და ეჩურჩურება:

— აფერი გიშავს, შვილო, აფერი... ასთე უკეთესი იქნება დეშიჯერე მე...

ყორანი ისევ თავზე აზის. მგელკაცა მუხლებზე დაუწვა. შავი გველი კუბოში ჩაკურდა და ყელზე შემოეხვია. კუბოს თავი დაადგეს და ლურსმებით დაჭედეს. ერთი ლურსმანი შუბლში ჩაერჭო და კეფასთან გავიდა. უძირო საფლავში ჩაუშვეს, თან გამარჯვების კიჟინა და სიხარულის ქრიამული მიაყოლეს. მერე მიწის რახა-რუხი ასტყდა. ხმაურობა თანდათან მინელდა და მისწყდა.

წევს კვაჭი შავ მიწაში. საკუთარი სუნთქვა ესმის. ყორანი თვალებს უჩიჩქნის, გველი სასაში უძვრება, მგელკაცა გულ-მკერს ულრღნის, სველი ჭიები იარებში ფუსფუსებენ. წევს და სცდილობს თუნდ ერთი კუნთის განძრევას. ხირაკება, იხჩეება, იწვის და იდაგება, თანაც ჰფიქრობს:

— აჰ, მაი ტყვილა გიქნიათ... არ მოვკვდები, რადგან სიკვდილი არ მინდა... ვაი თქვენ, უბედურნო, თუ წამოვდექი, ვაი თქვენ! — და ერთხელ კიდევ წამოიწია.

უკვე ასი დევის ღონე მიეცა. ბისი საფლავი, უუზარმაზარის კლდით დაფარული, თივის ბულულასავით აიშალა და აინგრა. კვაჭი წამოდგა, გასწორდა და სიმაღლით მთებს ასცდა.

იმის ფეხქვეშ ჯიანჭველის ოდენა მესაფლავეების უთავბოლო სუფრა გაეშალათ და ქელეხად დამსხდარიყვნენ.

ასტყდა კივილი, წივილი და წრიპინი. კვაჭიმ სუფრის თავს ფეხი დაადგა და ჭიებივით დასჭყლიტა გრიშკა, მიტია ქოლიაბა, სალოსნი და ასიოდე წარჩინებულნი. რაღაც უხილავი ძალა მკლავებსა და ფეხებში წასწვდა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— გამიშვით! გამიშვით! — ყვირის კვაჭი და იწევს.

— დამშვიდდით, კვაჭი, დამშვიდდით. — ტკბილის ხმით ეუბნებოდა ექიმი ყორანაშვილი.

სანიტარები მაგრად დასჭიდებიან კვაჭის მკლავებსა და ფეხებში.

— მომკლეს... დამმარხეს, მაგრამ გავცოცხლდი!.. წამოვდექი!.. დავამტრიე!.. დავლეწე!.. დავანგრიე! — კიდევ ჰბოდავს კვაჭი.

ყორანი ფანჯარაში გაფრინდა; კუდამოძუებული მგელკაცა კარებში გაიძურწა; შავი გველი კედლის ხვრელში შეძვრა. ოფლში გაწურული და ლონე მოხდილი კვაჭი ბალიშზე მიესვენა და მიბლეტილი თვალები იქაურობას მოვალო.

— წყალი... თუ ღმერთი ეწამთ, წყალი...

ექიმმა ყორანაშვილ კვაჭის პირში ერთი ყლუპი წითელი ღვინო ჩაუსხა,

— მორჩება. — გადაჭრით სთქვა ექიმმა და პალატიდან გავიდა. სხვებიც გაჰყვნენ.

კვაჭის ოავთან სდგას მხოლოდ ერთი ოეთრი ანგელოზი, ერთი სეფეწული, სათნოების დის ტანთსაცმელში გამოწყობილი; თეთრ მკერდზე წითელი ჯვარი აქვს აკრული: სდგას. და კვაჭის ოფლიან შუბლს და ხუჭუჭა თმაზე ნაზად უსვამს ფაფუკ ხელს, თან სირინოზის ხმით რაინდულ სიმღერას უმღერის და ვაჟკაცურ ზღაპრებს დასჩურჩულებს.

* *

გაფითრებული და გაკაპასებული სუხომლინოვი დორბლსა ჰყრის:

— ეს რა ამბავია, თავადო?! თქვენი ყუმბარების იმედით ახალი დიდი ბრძოლა დავიწყეთ. ყუმბარები სხვა ყალიბისა გამოდგა. ზარბაზნები დასკდა.. ბრძოლა წავაგეთ... უთვალავი ხალხი გაიყლიტა. ყუმბარები აღარ გვაქვს. ეხლა უკან ვიწევთ და არ ვიცით სად, როგორ და რით შევაჩერებთ მტერს. გეკითხებით, ეს რა ამბავია მეთქი.

— არ ვიცით: არტილერიისა არაფერი მესმის. — გულმშვიდად უპასუხებს კვაჭი და მკერდზე ჩამოკიდულ წმიდა გიორგის საამჯვარს ათამაშებს.

— ღალატის სუნი მოდის. დაგაპატიმრებთ! დაგვხვრეტამ!

კვაჭი გაიჭიმა და აიმრიზა:

— გენერალო, ფრთხილად!

შუაში გრიშკა ჩაუდგა და ორივენი დააშშვიდა. კვაჭიმ გენერალს ცხვირ წინ თითი დაუქნია:

— თქვენ რომ მეფის მინისტრი არ ყოფილვიყავით, უკანვე ჩაგრჩრიდით მაგ სიტყვებს. როცა მინისტროობიდან დაგითხოვენ, გირჩევთ მომერიდოთ, თორემ დაგცხრილავთ!

და გამწარებულმა კვაჭიმ ისე მიაჯახა კარები, რომ ფანჯრებს კინაღამ მინები ჩამოსცვივდა.

საქმე გართულდა და გაიხლართა. სამხედრო პროკურორმა კვაჭი დაიბარა და დაჰკითხა.

რაო? კვაჭიმ საბუთები გაყიდა? გერმანელებს გადასცა? სად, სტოკჰოლმ-



ში? რასა რომავენ, რა ჭორებს იგონებენ. სტოკჰოლმში [illegible] უნახავს, არავის შეჰხვედრია. ჰა, ჰა, სასაცილოა, მეტი არაფერი! [illegible] ნუ ხუმრობს და ნუ იცინის? კვაჭი კი არა, ალბათ ბატონი პროკურორი ხუმრობს. არა ასეთი საბუთებით კვაჭის დალუპვა ვერ მოხერხდება!

პროკურორმა ოქმი შეადგინა და უთხრა:

— ვისაც ასეთი დიდი ბრალი ედება, უნდა საპატიმროში იჯდეს, მაგრამ ჩვენი წმინდა მამა გრიგოლის ხათრით, თხოვნით და თავდებით ჯერ-ჯეროობით თავისუფალი ბრძანდებით. ხელი მოაწერეთ ამ ვალდებულებას, რომ პეტერბურგიდან არ გახვალთ.

კვაჭი მაშინვე გრიშკასთან გაიქცა.

— წმიდაო მასწავლებელო, ეს რა ამბავია! როგორც ეტყობა, არ ხუმრობენ. მიშველეთ რამე, თორემ ჯერ მე დამლუპავენ ჩვენი საერთო მტრები, მერე თქვენი ჯერიც მოვა.

გრიშკა აწუწუნდა:

— ყური მიგდე, აპოლონჩიკ! შენ ჩემი ნაფიცი ძმა ხარ. არაფერს მოვერიდე, ყველაფერი შეგისრულე. გიშოვნე სიმდიდრე, თავადობა, მუნდირი, ჯვრები, კარის ყაცობა, პატივი და ხელისუფლება. დრო გამოიკვალა. მე ძალა აღარ მაქვს. ჩვენი მტრები იმარჯვებენ. მთელ ქვეყანას პარზე შენი სახელი აკერია, ყველანი შენს დახვრეტას ითხოულობენ, რადგან ჩვენი უკანასკნელი დამარცხებას ბრალი შენ გედება. მე არ ვიცი, ვინ არის მართალი და ვინ სტყუის. მაგას სამართალი გამოარკვევს. რამდენიც შევძელი, გიშველე. სანამ ახალ საბუთებს არ იშოვნიან, არ დაგაპატიმრებენ. ქვეყანას ნოყრიდე, ნურსად დადიხარ, გაჩუმდი და ცოტა ხანი ჩრდილში იცხოვრე. აი ჩემი რჩევა. მეტს ნურაფერს მოგთხოვ.

კვაჭი მართლა სახლში ჩაიკეტა. სამაგიეროდ იბუთრშაციის საქმე ბრწყინვალედ მოაწყო. ყოველ დღე ათიოდე მხრიდან უტყუარი ამბები ნოსდიოდა. ყოველ შემთხვევისათვის „კეთილი სამარიტელი“ და ბრაგალი ფძრავ-ძოძრავი ქონება გაყიდა და ნაღდი სილიბისტროსთან შეინახა, რომელიც იმავე პეტერბურგში ცხოვრობდა.

რამდენიმე გაზეთმა კვაჭის გაჭკრეს. მისი სახელი უდიერად მოიხსენეს. კვაჭიმ შესაფერი პასუხი გაუგზავნა თავის გაზეთებს. სამიოდე გაზეთმა შენიშვნით და შემოკლებით დაბეჭდეს, დანარჩენებმა ფარი შეგოუთვალეს.

— ცუდათ ყოფილა საქმე, — გაიფიქრა კვაჭმ.

იმავე დროს ბესომ, სერიოჟამ და აგენტებმაც სანუგეშო ვერიფერი მოუტანეს.

— საქმე კარგად ვერ მიდის. — მოკლედ მოუჭრა სიტყვა ძუნწმა ბესომ,

— გეიპარე. — ურჩია ჩიკინჭილაძემ.

— აჰ, ნაი არ ვარგა. სამაგისოდ საქმე ჯერ არ გამხდარა. — უპასუხა კვაჭიმ და ერთხელ კიდევ სცადა ბედი: დაუარა ნაცნობ მინისტრებს, წარჩინებულებსა და დიდებულებს.

ყველგან მიუგეს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— წინ არ გახლავთ!

— ან: არ სცალიან..

— ან კიდევ: ავად ბრძანდება.

გრიშკამაც წინანდელი პასუხი განუმეორა:

— მეტი აღარაფერი შემიძლიან.

ყველანი ჩამოსცილდნენ, ყველამ კარებები მიუკეტეს და ხელები დაიბანეს.

— გეიბარე! — კიდევ ურჩიეს ბესომ და სერიოჟამ.

— აჰ, არასოდეს! — გადასჭრა, კვაჭიმ და მუქარაც წამოისროლა: მალე ვნახავ, ვინ ვისთან მივა სახვეწნელად. არ დასცალდებათ კვაჭის დაღუპვა, უმალ თვითონ დეიღუპებიან.

და იმავ დღეს ფრონტი შეიცვალა.

* * *

ერთი ხანია, რაც გადაცმული და გრიმ-აკრული კვაჭი სამოდე ღარიბ ბინას შეეჩვია. ზოგჯერ ის ღარიბნი და საეჭვონი მიყრუებულ უბნებში შეჰხვდებიან კვაჭის და ხანგრძლივ ჩურჩულს გააბამენ.

— ჯარში გაახურეთ მუშაობა, ჯარში! — დაკინებით მოითხოვს კვაჭი. — დანარჩენები დიდი ხანია მზათ არიან.

პატიჟობას და ნადიმებსაც მოუხშირა. სტუმრად მხოლოდ აფიცრები ჰყავს. უხვად აბნევს ფულს და ჩიქორთულს რასმეს ლაპარაკობს. რამდენიმე ხელქვეითი ადიუტანტ აფიცერი ჰყავს. ის აფიცრები კვაჭის ყოველ დღე ანგარიშებს აძლევენ და იმისგან ახალ-ახალ დარიგებას და დავალებას ღებულობენ.

კვაჭიმ იდუმალი საქმე გაახურა და დაატრიალა. ბესო, სერიოჟა, სედრაკა და კვაჭის მრავალი ახალი და ძველი ნაცნობ-მეგობრები ძილს ველარ ასწრებენ, მთელს ქალაქში დაფუსფუსებენ, ყაზარმების გარშემო და განაპირა უბნებში დაძვრებიან, საიდუმლო კრებებს ჰმართავენ, იარაღს ჩალის ფასად ყიდულობენ და ყოველ მხვრივ საბოლოო ბრძოლისთვის ემზადებიან.

— ყველაფერი მზათ არის და ყველანიც მზათ ვართ. — გადასჭრა ბოლოს საიდუმლო სინკლიტმა, რომელიც კვაჭის მეთაურობით შესდგა. გეგმაც შეიბუშავეს და დროც დაინიშნეს.

ერთ საღამოს ელენემ კვაჭის ტელეფონით დაუძახა

— ეხლავე მოდი ჩემთან. არ ინანებ. იქნება შენს საქმეს ეშველოს რამე.

ნახევარი საათის შემდეგ კვაჭი ელენესთან ავიდა.

— გთხოვთ გაიცნოთ, — წარუდგინა ელენემ კვაჭის შავწვერა და მელოტი პურიშკევიჩი.

კვაჭის გაუკვირდა და გაუხარდა, გაიფიქრა: იქნება მართლა ამან მიშველოსო.

ერთმანეთი გაიცნეს, გასინჯეს, გასჩხრიკეს და ასწონეს. დილამდის ერთმანეთს აღარ მოჰშორდნენ. იბაასეს და იჩურჩულეს.

მეორე დღეს პურიშკევიჩმა კვაჭი გააცნო დიდ მთავარს დიმიტრის, თა-

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ

ვადს ფელიქს იუსუპოვს, კაპიტანს სუხოტინს და ექიმს ლაზოვერტს ... ...

რის რუსეთის დედა-ბოძს; ეს ორი. ორიოდე თვეში ეს ჯგუფი მხარს მისცემს უკმაყოფილო და საიდუმლო ძალებს და მათთან ერთად, ეროვნული ფერით დაგუბებულს უძირო და უსაზღვრო გუბეს პირს მოაღლვევს; ეს სამი. იგი გუბე მრისხანედ დაიძვრება და ჯერ-ჯერობით დღევანდელ ხელისუფლებას წალეკავს; ეს ოთხი. მერე იგი ძალას მოიმატებს, ქარს ააყენებს და შხეილით და გრიალით ახალ ხელისუფლებას მოაღლვევს და მოჰგლეჯს ნახევარ თავს, რომელიც ამ ქამად გუბეს პირს ურღვევს და საკუთარ ქოხს დედა-ბოძს უჩხიკინებს; ეს ხუთი. მერე მოვა დრო,—საშინელი და მრისხანე, დაუნდობელი და სასტიკი, მკაცრი და შეუპოვარი,—დრო იმ თავის მეორე ნახევარის მოწყვეტისა. ეს სახარელი ქამი ათი თვის შემდეგ დადგება; ეს ექვსი. ნიაღვარი წარღვნად გადიქცევა, ქარიშხალი—გრიგალად, უცოდველი წმიდანი—ვაკაპასებულ მხეცად, ვარდი—ნელცოფად, ანგელოზი—ჯოჯოხეთის მაშხალად და უწყინარი აბრეშუმის ჭია—შხამიან, დაუნდობელ გველად. ძმა ძმაზე წავა და მამა შვილზე. ერთმანეთის სისხლითა და ხორცით ვერ გაძღებიან. ცეცხლის ალი ცას ასწვდება, მდინარეები გაწითლდებიან და მომაკვდავთა გმინვა ქვეყანას დააყრუებს. დაიბადება ახალი ქვეყანა,—უცხო და უჩვეული, უცნობი და საოცარი. იმ ქვეყანას შინაურნი და გარეულნი დაესევიან. ატყდები ომი საშინელი და დაუნდობელი, კაპასი და ბრაზიანი, ცოფიანი და შმაგიანი. მთელი რუსეთი სისხლის გუბედ გადიქცევა. თეთრი ტალღა წითელ დედაქალაქს მისწვდება, მაგრამ... წითელნი დასძლევენ, თეთრებს გაქლეტენ, ზღვაში გადაჭყრიან და ხელისუფლებას დაიმკვიდრებენ. ესეც შვიდი და უკანასკნელი.

კვაჭი სივრცეში ლაპარაკობდა. თვალები იდუმალ ცეცხლით ჰქონდა ანთებული, ხმა—უცნაური ზეშთაგონებით აღგზნებული. აღარაფერს ამჩნევდა, აღარავის ჰხედავდა: მედიუმივით ტრანსით იყო მოცული და უხილავ ძალას ჰყავდა შებოჭილი. კიდევ დიდხანს იბოდა და ირეოდა, მაგრამ მისმა ამხანაგებმა ზემოხსენებულის გარდა ველარაფერი დაიხსომეს და ისტორიას დაუფასებელი საგანძური დაუკარგეს.

ერთი რამ არის მხოლოდ ცხადი და უეჭველი: იმ საღამოს კვაჭის პირი რუსეთს მისი ბედის წიგნი გადმოუშალა იმისმა მოირამ, იმისმა ფატუმმა.

აკი ერთხელ უკვე მოგახსენეთ: ჭორიკანა ისტორია ყოველთვის სტყუის მეთქი. ეს უბრალო ჭეშმარტიება ერთხელ კიდევ ზედმიწევნით დაამტკიცთა კვაჭის თავზე. რაც ათიოდე წელიწადში რუსეთის შესახებ წიგნი დაწერილა, ორასი ურემიც ვერ დაიტევს. წიგნის ჭიებმა თავიდან ბოლომდე გადაიკითხეს ესოდენი ნაწერი, მაგრამ—დახე ქვეყნის უმადურობას!—ერთხელაც ვერსად ამოიკითხეს კვაჭის სახელი. მისი დიადი საქმე, განუზომელი ღვაწლი და დაუფასებელი ამაგი ვილაცეებმა მიიწერეს, მიითვისეს და გაინაწილეს.

მაგრამ,—მადლობა უფალსა!—კვაჭის მრავალი ცოცხალი მოწმე ჰყავს: აი თუნდა ბესარიონ 'მიქია, სედრაკ ჰავლაბრიანი, სერიოჟა ჩიკინჯილაძე, გაბო ჩხუბიშვილი, და მრავალნი სხვანი, რომელნიც ადასტურებენ ქვემოთქვამს.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს კვაჭი, პურიშკევიჩი, იუსუპოვი და სხვები ერთხელ კიდევ შეიკრიფნენ.

— რევოლვერით მოვკლათ. — სთქვა ერთმა.

— მოვწამლოთ. — ურჩია მეორემ.

— დავახრჩოთ! — წამოიძახა მესამემ.

— არ ვარგა, — სთქვა ბოლოს კვაჭიმ. — ის ღერძი უნდა მოვჭრათ, რომელიც ატრიალებს დღევანდელ რუსეთს.

ყველანი აღტაცებას მიეცნენ:

— მოვჭრათ! მოვჭრათ! — გაჰკიოდნენ და ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცლიდენ.

მერე კვაჭის გეგმა განიხილეს, მოიწონეს და დაიშალნენ.

— დიდო მასწავლებელო, წმინდაო მამაო! — ეუბნებოდა იმავ საღამოს კვაჭი გრიშკა რასპუტინს. — დიდი ამაგი გაქვს ჩემზე. მინდა მცირედი მაინც გადაგიხადო. თუ გუნებაზე ბრძანდები, ხუთ მზეთუნახავს ჰსურთ აბანოში...

და ღიმილით ყურში რამდენიმე სიტყვა ჩასჩურჩულა. გრიშკას სახე გაუბრწყინდა და თვალები ზეთით დაუსველდა:

— სად? როდის?

— ამაღამ, თავად იუსუპოვთან. მე და ფელიქსი გთხოვთ, რადგან ორივეს შენი ვალი გვმართებს.

— ლამაზები არიან?

— ხუთნი არიან; ხუთივენი მზეთა-მზენი არიან. ერთი გიშრის თმიანია, მეორე...

გრიშკამ აღარ დააცალა და თვისი მადლიერი მეგობარი და ერთგული მკველი გულში ჩაიხუტა.

შუაღამემ რომ მოატანა, იუსუპოვი და კვაჭი გრიშკას სახლს ავტომობილით მიადგენ და კიბეს შეუდგნენ.

— არა, არ შემიძლიან. — წაიჩურჩულა უცებ გაფითრებულმა ფელიქსმა და კედელს მიეყუდა.

— თავადო, სირცხვილია! — მიაძახა კვაჭიმ და წაბარბაცებულს იღლიაში შეუჯდა. — გამხნევდით! გასათხოვარი ქალი ხომ არ ბრძანდებით!

— შეძნელება... ღალატია... აქვე მოვკლავ, მაგრამ ჩემს სახლში შეტყუება... არა, ეს ვაჟკაცობა არ არის.

— სირცხვილია მეთქი, თავადო! ეგ ადრევე უნდა მოგეფიქრათ!

— მართალი ბრძანებაა. — მოსულიერდა ფელიქსი, კიბეზე ავარდა და ქარები მძლავრად დააბრახუნა.

ოთახში კოხტად ჩაცმულს და მოპრანჭულ გრიშკას გადაეხვია, თან ნაძალადევის სიცილით მიაძახა:

— აბა, წმინდაო მამაო! წავიდეთ წმიდასა მასა ადგილსა.

გრიშკას თითქოს იჭვის ჭიამ უკბინა:



— იუდას ამბორსა ჰგავს შენი კოცნა, ფელიქს!

და ორივენი აათვალიერა. თვალებში უნდობლობის, ეჭვიანობა ელავდა, გულში ხიფათს ჰგრძნობდა.

ორივემ ორგულობა, ორპირობა, და ეშაკვრობა მხიარულ სიცილში და მასხრობაში ჩაახრჩვეს.

— აპოლონჩიკ! შენი ძმადნაფიცი ვარ... დიდი მადლი დამიდვია შენზე.. თუ გულში გიდევთ რამე, ღმერთი გაიხსენეთ და მომშორდით, თორემ...

— დიდო მასწავლებელო! წმიდაო მამაო! ხუმრობთ თუ... —

ისეთი წრფელის გულით წამოიძახა კვაჭიმ, რომ გრიშკას ეშალ გაუქრა თვალებში იჭვის ცეცხლი.

— შე გიჟო, ხუმრობა ეელარ გაგირჩევია?—წამოიძახა გრიშკამ და კვაჭის ორი თითი ალერსით ნიკაპში აჭკრა. მაინც ერთხელ კიდევ ჩააცქერდა თვალებში და დაემუქრა:—Мотри у миня!

ოცი წუთის შემდეგ სამივენი იუსუპოვის სასახლის ქვემო სართულში ისხდენ და ტკბილად მუსაიფობდენ, ზედ სასმელს და ტკბილეულს აყოლებდენ.

გრიშკა თავის საყვარელ მადერას შეექცეოდა, კვაჭი და ფელიქსი—შამპანურს. ზემო სართულიდან გრამოფონის ხრიალი მოისმოდა.

სტუმრები ჯერ არ წასულან... ჩემი სიდედრიც აქ ბრძანდება. ეუბნებოდა ფელიქსი გრიშკას.—ეხლავე წაველნ, მერე ჩვენი ჯერიც დადგება... ქალები აქვე მყავს დამალული...

გრიშკამ ორი ჭიქა მადერა დასცალა, ზედ ორი პატარა კრემიანი ნამცხვარი დაატანა.

— რატომ თქვენ არა სჭამთ ამას?—ჰკითხა ორივეს და კრემიანი ნამცხვარი შესთავაზა. ორივენი გაფითრდენ და ერთმანეთს გადახედეს.

— მადლობელი, მამაო... არ მიყვარს...

— თქვენთვის დავამზადე, წმიდაო მამაო... ვიცი, რომ ეგ ნამცხვარი თქვენ... თქვენი საყვარელი საჭმელიაა...

თითო ნამცხვარში ექიმის ჩაწვეთებულია სამი დეციგრამი ციანის შხამი, უუძლიერესი და უეგზარი საწამლავი. გრიშკას მადერაც მოწამლულია.

კვაჭი და ფელიქსი გულის ფანცქალით ელიან საწამლავის ძალას, მაგრამ გრიშკას არაფერი ეტყობოდა.

— არ კვდება.— გუნებაში ფიქრობენ ორივენი და გრიშკას პირსახეში შესცქერიან.—რა გამძლე ძაღლი ყოფილა... ან საწამლავი არ ვარგა.

გრიშკას ღვინო გაუკვდა:

— კიდევ დამისხით!

კვაჭიმ ერთი ჭიქა კიდევ გაუკსო, თვითონ ისევ შამპანური დაისხა.

გრიშკამ ზედი-ზედ ორი ჭიქა დასცალა, ზედ ორი ნამცხვარი კიდევ დაატანა.

ისევ არაფერი...

— არ ეკიდება... არ კვდება. — ფიქრობენ ორივენი და გაფითრებულნი ერთმანეთს ქურდულათ შესცქერიან.

გრიშკა გუნებაზე მოვიდა. პირი მოიშვა და აყბედდა. ლამფრ[illegible]ლის და ულაყივით მოუთმენლად სტოკავს და ჭიხვინებს: ᲒᲘᲒᲚᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

— კიდევ დამისხით!

ისევ ორი ჭიქა დალია.

ისევ არაფერი!..

— არ ეკიდება... არ კვდება... ამდენი შხამი ხუთ კამეჩს ეყოფოდა.., რკინის კაცია. — ფიქრობს კვაჭი და ფელიქსს ერთხელ კიდევ გადახედავს.

ნაზი ფელიქსი გაფითრებულია. ორპირობას, ესოდენ თამაშსა და ორგულობას ველარ უძლებს. მკვდრის ფერი ადევს. ტუჩები უცახცახებს, მარცხენა წარბი უთრთის და უთამაშებს. უცებ წამოდგება და საყელოში ხელს წაიღებს, თითქოს იხრჩვებაო:

— დაიგვიანეს... მე... მე წავალ... ეხლავე დავბრუნდები... ეხლავე... ნაწყვეტად ლუღლუღებს და ბარბაცით ოთახიდან გავარდება.

ზევით პურიშკევიჩი, დიდი მთავარი დიმიტრი, კაპიტანი სუხოჭინი და ექიმი ლაზოვერტი დასასრულს ელოდებიან. ყველანი გაფითრებულნი, აშლილნი და აღელვებულნი არიან.

ფელიქსი კვნესით შევარდა იმ ოთახში და ისტერიულად წამოიძახა:

— არ შემიძლიან!.. არ შემიძლიან! .

— რა იყო?.. რა ამბავია?.. რა მოხდა?..

— არ კვდება... არ ეკიდება... ათიოდე ნაწყვეტარი შეჭამა და ერთი ბოთლი მადერა დალია. მაგრამ არ კვდება!

— გადავაჭარბე, მეტი მომივიდა შხამი. - ბუტბუტებს ექიმი ლაზოვერტი.

— თავადო ფელიქს! ჩქარა დაბრუნდით და თავად კვაჭანტირაძეს ანიშნეთ, რომ ეხლა იმისი ჯერია. დაიწყოს!

მოსულიერებული და გამხნევებული ფელიქსი ისევ დაბლა ჩავიდა.

გრიშკას ოდნავ აბოყინებს. კვაჭი ისევ ღვინოს უსხავს და ზედიზედ ასმევს.

ფელიქსმა ცალის ყბით მხიარულად ჩაიცინა:

— ქალები აქ არიან... თავადო, თქვენი ჯერია...

კვაჭის ჯერი მოვიდა? კეთილი და პატიოსანი! კვაჭი თავის ვალს შეასრულებს! და გრიშკას მიუბრუნდა: —

— მამაო წმიდავ! დიდო მასწავლებელო! ის ქალები მორცხვნი და მორწმუნენი არიან, ჩვენთან ქეიფს არ გასწევენ. ჩვენ წავალთ. ქალები ეხლავე შემოვლენ... აბანოც აქვეა... ჩვენ ზემოთ ვიქნებით. თუ დაგჭირდათ ჩვენი თავი, ზარი დარეკეთ.

და ორივენი გავიდნენ. გალეშილ გრიშკასთან მორცხვად და მორიდებით ხუთი ქალი შეეიდა. ხუთივენი ანგელოზებს ჰგავდენ.

ერთმანეთს აჰყვნენ და სულის საცხონებელი ბაასი გააბეს. მერე გრიშკა გახურდა და აინთო. ხუთივეს დაეტაკა და დაეძგერა, თან გულში ძჯილს იკვმდა და ყვიროდა:

— მე წმინდანი ვარ!.. სიბილწე და უწმინდური ვნება არ შეკარებია!.. ეხლავე დავიმტკიცებთ!.. გაჩვენებთ!.. წამოდით!



ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყველანი სასახლის გახურებულ აბანოში შეეიღნენ.

— თუნდ ზედ დამაწექით, თუნდ გვერდით მომიწეეით... ეს ხომ ბედია, რომ არაფერი მეტყობა... კუნძებივით ჯერიხარ ჩემ გვერდით... არაფერს ვგრძნობ... სისხლიც არ მიჩქეფს... ხომ დაინახეთ, ხო დარწმუნდით... ეხლა კი, ეხლა „წმიდა სული უკვე მომშორდა, ეხლა ისევ ადამიანი გავხდი, ეხლა...

იმავ წამს ჰაერში საშართებელმა გაიელვა და ეგი სასახლე მხეცის ბლაეილმა შეანძრია.

ქალები თვალის დახამხამებაზე აბანოდან გაცვივდენ და სქელი კარები გარედან გადარაზეს.

ბლაეილმა, გმინვამ და ღმუილმა სასახლე კვლავ შეანძრია. მერე იმ კარებს ვაგიქებული კამეჩი სამჯერ დაეძგერა. მეოთხე დაჯახებამ მუხის კარები ჩაბოგლიჯა და აბანოდან ყმუილით და გრიალით ტიტველი მხეცი გამოვარდა.

გამალებული, წაკუზული მირბოდა და უკან სისხლის კვალს იმჩნევდა.

კიბეზე ჩოჩქოლი და ერიამული ასტყდა:

— გაიქცა!.. გაიქცა!..

ტიტველი რასპუტინი ჯერ ერთ კარებს დაეძგერა, მერე მეორეს, ბოლოს მესამე გაანგრია და სასახლის ბაღში გავარდა.

— დავილუპეთ!.. გაჭყეეით!.. დაჭარით!.. მოჭალით!..

ფელიქსის და კვაჭის ხელში იარაღმა გაიელვა:

— ჩქარა, თორემ გაიქცა!

კვაჭი ვეფხვის ნახტომით გაეკანა. უკან ნაცრის ფერი იუსუპოვი მისდეედა. რიერიაენა მოატანა. გზა ოდნავ მოსჩანდა. სადა გაიქცა? მარცხნივ? მარჯვნივ? პირდაპირ?

კვაჭის უკანიდან სუსტი კვნესა მოესმა.

მიიხედა.

ფელიქსი წაბარბაცდა და წაიქცა.

ამ დროს პურიშკევიჩი გამოვარდა:

— უშველეთ, გული წაუვიდა.

თვითონ ფელიქსის რევოლვერს დასწვდა და კვაჭისკენ გამოიქცა.

— სად არის?.. სადა გაიქცა?..

ბუჩქებიდან თოვლიან გზაზე ლანდი გამოვარდა.

— მიდის!.. ჩქარა!

კვაჭიმ ოც ნაბიჯზე დაუმიზნა და ესროლა.

— აპოლონჩიკ, შენცა?— დაიკვნესა გრიშკამ.

კვაჭი რამდენიმე ნახტომით ხუთ ნაბიჯზე მიუვარდა და კიდევ ორჯერ დაახალა.

რასპუტინი წატორტმანდა; წაიჩოქა, თოვლში ჩაიფლო. მერე ისევ წამოიწია და ფოთხვით გაიქცა, თან დათვივით ბურტყუნებდა:

— ხვალვე ყველას ჩამოგახრჩობთ!.. ჰარამზადეებო!.. ავაზაკებო!..

ამ დროს პურიშკევიჩიც მოვარდა.

— ესროლე!.. ესროლე!..



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

და ათიოდე ტყვიით დაუცხრილეს სხეული.

გრიშკა რკინის კბილებით და თითებით ებღაუჭებოდა ბალავერს, იკლაკნებოდა, იგრიხებოდა, ჰგმინავდა და უცნაურ სიტყვებს ისროდა.

ერთხელ კიდევ მაინც წამოიწია, ცალ მუხლზე წამოდგა.

უცებ მოსულიერებული ფელიქსი მივარდა:

— დაჰკარით! ესროლეთ! მოჰკალით! — ყვიროდა გაშმაგებული, აშლილი იუსუპოვი და ბრინჯაოს დიდ შანდალს მომაკვდავს თავში ურახუნებდა.

თავი გაუსრისა და სისხლში ამოსვარა.

კვაჭიმ და პურიშკევიჩმა გაკაპასებული და შერყეული ფელიქსი რასპუტინის გვამს ძლივს მოაშორეს.

— თავადო, კმარა. გრიშკა უკვე მკვდარია... წავიდეთ, თორემ გავცივდებით.

— გამიშვით!.. მიმიშვით!.. დაჰკარით!.. მოჰკალით!— მაინც ყვიროდა და ისევ უძრავ გრიშკასკენ მიიწევდა. მერე უცებ ხმა ჩაიკმინდა, მოეშვა. მოდუნდა და მიიბნიდა.

— აბა, ეხლა ნევაში ეუკრათ თავი მაგ მძოვრს!

გვამს ჭურჭი და გალოშები ჩააცვეს, ავტომობილში ჩაიგდეს და მოუსვეს.

გვაცი გაჭიმეს და გაასწორეს, როგორც მესამე მჯდომარე მგზავრი. ერთ იღლიაში კვაჭი შეეჯდა, მეორეში ლაზოვერტი.

— გასწი! ჩქარა! მიუწვი! — უყვირის კვაჭი კაპიტან სუხოტინს, რომელიც მაშინას ქარივით მიერეკება.

მიჰქრის მკვდარ ქალაქში გაგიჟებული ავტომობილი და მიაქროლებს მაშინდელ რუსეთის ღერძსა და დედაბოძს, რომელიც კვაჭიმ იმ ღამეს გამოაცალა გუმბათს,

მგზავრებს თავ პირში სისინით და კვნესით ცივი ქარიშხალი ასდება და პირსახეს უსუსხავს.

კვაჭი თავს იდრეკს, იბუზება. იკუნტება და ავტომობილის ბუდის ძირში მიძვრება.

უკანა ბუდეში ჩაჩხირული გრიშკას მკლავი უცებ მოსხლტა და კვაჭის კისერზე შემოეხვია.

კვაჭიმ გველნაკბენივით წამოიწია და ცივ მკლავს ეცა, მაგრამ იგი მკლავი გარკინდა და გაშეშდა, მერე თვითონ გრიშკაც გადმოიხარა და შეძიმე ლოდივით ზედ დააწვა, კვაჭი ქვეშ მოიყოლა, დათვივით დაბუბნა, ააკვნესა და თვითონაც უცნაურად დაიხრიალა:

კვაჭიმ რამდენჯერმე წამოიწია, მაგრამ ჭურჭებში გაიხლართა; ის მძიმე ლეში ვერ ასწია.

— მიშველეთ!.. დამახრჩოო!.. მიშველეთ!..

შოფერს კვაჭის გმინვა არ ესმის. ავტომობილი გრიგალივით მიჰქრის.

ლაზოვერტი მოუბაშავად წვალობს.

— მიშველეთ! . დავიხრჩვი!.. მიშველეთ!..

ბოლოს, როგორც იყო, ამოძვრა და ამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გააჩერეთ! შესდექით!

და ავტომობილიდან გადმოხტა:

— არ მინდა... არ წამოვალ... თქვენ წადით...

— რა ამბავია? რა მოხდა?

კვაჭი თრთის და კბილებს აწკაპუნებს:

— არ მინდა... არ შემიძლიან... თქვენ წაიღეთ.

— თავადო, სირცხვილია! გონს მოდით!

— არ შემიძლიან... მეტის მეტია...

— თავადო, გონს მოდით! სძლიეთ თქვენს თავს. იუსუპოვი სუსტი ჭაბუკია, თქვენ კი ვაჟკაცი ბრძანდებით, არ შეეშვენის ასეთი ლაჩრობა დემირ-თეფეს გმირს, წმინდა გიორგის ჯვრების კავალერს, ისიც ქართველს! სირცხვილია!

დემირ-თეფე! წმინდა გიორგის ჯვარი! ქართველი!

კვაჭის ეს სიტყვები ჩაქუჩივით მოჰხედა თავში. შეინძრა და შეტოკდა, ძარღვები დაიჭიმა და გულიდან შიშის ლანდი მოიხსნა:

— ხა-ხა-ხა! — გულიანად გადიხარხარა, ავტომობილში ავარდა და გრიშკას საყელოში ეცა. — გასწი! მიუშვი! გარეკე!... შენ კი, წმიდაო მამაო, დამშვიდდი, სამუდამოდ დაწყნარდი, თორემ... — და გვამი შეანჯღრია, გააქან-გამოაქანა.

გრიშკა კვაჭის კბილებს უკრეჭავდა და თავს უკრავდა, თითქოს დასტურს აძლევდა, ან მუქარას უთვლიდა. კრასტოვსკის კუნძულზე, პატარა ბიდთან გაჩერდენ და გვამი დიდის წვალებით იმ დილით ამოჭრილ ნაპრალში ჩაუშვეს.

იმ ნაპრალის ნაპირას, ყინულზე გრიშკას ერთი გალოში დარჩა.

იგი ვერავინ შეამჩნია.

* * *

მეორე დღეს კვაჭიმ სინკლიტს მოუყარა თავი.

— აღსრულდა! რუსეთის დედა-ბოძი გამოვაცალე. შეხობა გაიბზარა და გასკდა. დანარჩენი თავის თავად შესრულდება, ნუ აჩქარდებით. თუ ვინიცობაა დამაპატიმრეს, ცეცხლს შეუკეთეთ, ხოლო თუ ჩემი დახვრეტა გადიზრახეს, ცეცხლი მიეცით და აფეთქეთ ეს მყრალი, დამპალი და დახავსებული ქვეყანა. ჩემი უკანასკნელი სათხოვარი ეს არის: დროზე აფეთქეთ, არ მოაკვლევინოთ ჩემი თავი, რადგან მინდა ერთხელ კიდევ გავიხარო და ჩემი თვალით ვნახო დაღუპვა იმ ხალხისა, რომელიც ასე უმადურად ჰყრის სანაგვეზე თავისს... (კვაჭის უნდოდა ეთქვა: ჩემისთანაო) ერთგულ შვილებს.

კვაჭის მიულოცეს ასეთი საშვილიშვილო საქმის შესრულება და ქედი მოიდრიკეს მისი დიად ხასიათისა და თავგადადებულ პიროვნების წინაშე.

ბანკირმა ბანუსმა, — გერმანიის საიდუმლო აგენტურის მეთაურმა, — კვაჭი გადაჰკოცნა და იმავ საღამოს ბერლინში შიკრიკი აფრინა.

მესამე დღეს გრიშკას გვანი ნევაში იპოვნეს. ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. რუსეთი ყალყზე ადგა, პეტერბურგი აიშალა. სიხარულისაგან ერთმანეთს ულოცავდენ და ჰკოცნიდენ; მორწმუნენი პარაკლისებს იხდიდენ და კელეპტა-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რებს სწვავდენ. ყველას პირზე დაეკერა გრიშკას სიკვდილი და კვაჭის სახელი.

პურიშკევიჩმა, ლახოვერტმა და სუხოტინმა ფრონტს შემოვლეს, დიდი მთავარი დიმიტრიც სპარსეთის ფრონტზე გაგზავნეს; თავადი იუსუპოვი თავის მამულში გადაასახლეს.

კვაჭი სილიბისტროსთან იმალებოდა.

გრიშკას გვამი დედოფალმა დაისაკუთრა. ჩესმის თაეშესაფარში გადაიტანეს და გრიშკას მეგობარს - მონაზონს აკილინას ჩააბარეს.

რასპუტინის ცოლი, ქალიშვილები და მახლობლები ლამობდენ ცხედრის ნახვას და გამოთხოვებას, მაგრამ დედოფლის ბრძანებით ახლო არავინ მიუშვეს.

აკილინამ ცხედარი განბანა, იარები ნელსაცხებელით აუვსო, ძვირფასი ახალი ტანისამოსით შემოსა, კუბოში ჩაასვენა, მის მკერდზე ჯვარი დაასვენა და ხელში დედოფლის წერილი ჩაუდო. იმ წერილში ეწერა:

„ჩემო ძვირფასო წამებულო! მაღირსე კურთხევასა შენსა, რათა იგი იყოს თანამგზავრი ჩემს ეკლიან გზაზე, რომელიც უნდა განველო ამ ქვეყნად. და მოგვიგონებდე ცათა შინა შენსა წმიდა ლოცვებში“.

ალექსანდრა.

მეორე დღეს, სწორედ იმ დროს, როცა რუსეთი ახსნელი გმირების მარჯვენას ბლოკავდა და უფალს მადლობას შესწირავდა, ჩესმის პატარა სამლოცველოში გასიებულ გრიშკას თავს ადგენ დედოფალი და მისი პირველი მეგობარი კარის ქალი ვირუბოვისა.

სასოებით, მეტანიით და ცხარე ცრემლით ლოცულობდენ და ჰგლოვობდენ თავიანთ იმედს, წმიდანს, ბურჯს, მეგობარსა და ქვეყნის მხსნელს.

მერე, როცა ტირილით და დარდით დაოსდენ, დაითენთენ და მოიღალნენ, გრიშკას სისხლიანი პერანგი წაიღეს და წავიდნენ. იგი პერანგი, ვითარცა პალადიუმი, უუწმინდეს სახსოვარი და მეფის გვარეულობის დამცველი დედოფალმა სალოცავ ხატად გაიხადა.

კვაჭი ელაგინის კუნძულზე იმალებოდა.

— ხოგი ჭირი მარგებელია, — ამბობდა სილიბისტრო. — აი ამბავი რომე არ დაგმართოდა, კიდო ერთ წელიწადს ვერ გნახავდით.

— შვილო კვაჭი, — ეუბნებოდა ძაბული მეტის-მეტად გეიზარდე და გეიბერე. რა შენი საქმე იყო, რომე ვინცხა რაპუტინას გედეეკიდე! აწი თელი ქვეყანა შენ დაგდევს. რომ დეგიჭირონ?

კვაჭი დაიჭირონ?! ამას მისი მტრები ვერ მოესწრებიან, უმალ თვითონ დაილუპებიან.

კვაჭის მრავალი ძალი ჰქონდა გაბმული ქვეყანასთან, რასაც კვაჭი ნათლად და მკაფიოდ ჰხედავდა! — დღითი-დღე სივდებოდა, იბერებოდა და საცაა უნდა გამსკდარიყო და ათეთქებულიყო.

ამბების წამღები და მომტანი ბევრი იყო. დანარჩენებმა არც კი იცოდნენ კვაჭის ბინა; სხვებს კვაჭი ერიდებოდა, ეშინოდა მათი დაუდევრობისა; ამბობდა: უნებურად ჯაშუში არ მოიყოლონ, არ მომაგონონ.

ხიფათს მაინც ვერ გადურჩა.



ერთხელ გადაცმული და გრიმიანი კვაჭი ოხტას უბანში [illegible] სინკლიტის წევრის სახახავად და დარიგების მისაცემად. საქმე [illegible] გასათავა, ქმაყოფილი ნაშუალამევს შინისკენ მოდიოდა. ბესო ოდნავ ჩამორჩა.

უცებ ვილაცამ საფეთქელზე ცივი ლითონი მიადო:

— შეჩერდით! ასწიეთ ხელები! იარაღი გაქვთ? არა ეხლა ხელები უკან დაიწყეთ და წინ გამიძეხით. თუ ხელი გაგინძრევიათ, აქვე გაგათავებთ. აბა, გასწით!

კვაჭი ჯერ ისე დაიბნა, რომ უსიტყვოდ დაემორჩილა და უცნობს წინ გაუძღვა. მერე გონება მოიკრიფა, გული გაიმაგრა და უცნობთან ასეთი დიალოგი გაიბა:

— ზემლიაკ, ვინ ბრძანდებით?

— საიდუმლო პოლიციის აგენტი.

— რათ დამაპატიმრეთ? სხვას ხომ არ ეძებთ? ხომ არ შეცდით?

— არა, არ შევმცდარვარ. თავად კვაჭანტირაძეს ვეძებდი და ვიპოვე კიდევაც.

— უარს არ ვამბობ, სწორედ მიგიგნიათ. მაგრამ, ზემლიაკ, ერთი მიბრძანეთ, ჩემს დაჭერაში რა საჩუქარს მიიღებთ?

— თქვენი საქმე არ არის.

— მართალი ბრძანებაა. მაგრამ... მაინც?.. ეტლს ეძებთ? მოითმინეთ, ნუ აჩქარდებით. ცოტა მოვილაპარაკოთ. არ წააგებთ. დიაღ, არ წააგებთ მეთქი! მაშ ასე: ჩემი დაპატიმრებისათვის უნდა მიიღოთ ცოტაოდენი წარმატება და... ასიოდე, თუნდ ორასი მანეთი.

— მერე, თქვენი რა საქმეა?

— სწორედ ჩემი საქმეა. მოვრიგდეთ.

— გაჩუმდით, თორემ...

— ხუმრობა იქით იყოს. ათასი ინებეთ.

— ნუ სულელობთ! გასწით!

— რა დროს სისულელეა! ისიც გაიხსენეთ, რომ დღეს თუ ხვალ ახალი დრო დადგება, მეგობარი დაგჭირდებათ.,. მოიფიქრეთ.

ათასმა მანეთმა და მომავალმა ხიფათმა გასჭრეს: აგენტი ჩაფიქრდა. ყინული თანდათან ლხვებოდა.

ბოლოს გაიბზარა და გატყდა:

— ათასი მანეთისთვის ხელს არ გავიჭუჭყიანებ.

— ორი იყოს.

— ხუთი. ეხლავე გავათავოთ.

— კეთილი, მაგრამ ზედ ფული არა მაქვს. შეეიდეთ სადმე, ცოტა ვივახშმოთ და მერე ჩემ სახლში წავიდეთ.

აგენტი ისევ ჩაფიქრდა. მერე შიშს სძლია და დასთანხმდა.

ერთ პატარა რესტორანში შეეიდნენ და კუთხეში მისხდნენ. მოითხოვეს. ბესოც შემოვიდა და შორი-ახლოს მეორე მაგიდას მიუჯდა. ხალხი ცოტა იყო.

კვაჭიმ და ბესომ ერთმანეთს რაღაც ანიშნეს, ის რესტორანი [illegible]ერეს.

მერე ბესო მეორე კარებით სახლის ეზოში გავიდა და პირველ წუთის შემდეგ დაბრუნდა. ისევ ერთმანეთს ანიშნეს.

შემდეგ ბესომ ქალალდის ნაგლეჯზე ხუთიოდე სტრიქონი დასწერა, დასლთან მიეიდა და არაყი მოითხოვა. იმავ დროს კვაჭიც წამოდგა, აგენტიც აიყოლია და ისინიც დახლს მიადგნენ. უმალ ბესოს ბარათი კვაჭის ჯიბეში გადავიდა.

დალიეს და შეხარხარდნენ, აგენტი გაიჭყიპა და აჭიკჭიკდა. ანგარიში გაუსწორეს და წამოვიდნენ.

კარებს რომ მოადგნენ, უკან ელექტრონი ჩაქრა და მთელ დარბაზში წყვდიადი ჩამოწვა.

თვალის დახამხამებაზე, კვაჭი აგენტს ჩამორჩა და კარების უკან აიტუზა იმავ წამს ბესომ დარბაზი გაირბინა, თან ფეხის ბრახუნი ასტეხა.

— შესდექით! შესდექით, თორემ გესვრით!—ყვირილით გადასჭრა აგენტმა იგივ დარბაზი და ეზოში გავარდა.

ქუჩის კარებში აჩრდილი გასხლტა.

დარბაზი კვლავ განათლდა. ბესო არხეინად ისევ თავის ალაგას იჯდა; კვაჭი აღარსად იყო; ეზოდან აგენტის ხმა მოისმოდა:

— დაიჭირეთ! გაიქცა! დაიჭირეთ! გოროდოვოოი!

აგენტი ისევ დარბაზში შემოვარდა. ასტყდა ჩოჩქოლი და სირბილი. ბესო იმ აგენტს წინ აეყუდა:

— რაო, ტუსალი გაგექცათ? გონება მოკირიფეთ! როგორ შეიძლება მაგისთანა ამბის გამოქვეყნება! თქვენ და ტუსალს აქ რა გინდოდათ? დაგაპატიმრებენ, სამსახურიდან დაგითხოვენ.

ძლივს შეიგნო იმ აგენტმა ბესოს ნათქვამი. შეიგნო და შეშინდა. იქ მყოფთ ეხვეწებოდა:

— ნუ დამლუპავთ... გაჩუმდით... ცოლ-შვილიანი ვარ... სთქვით, ვილაც მთვრალი ყვიროდათქო.

აგენტს კარებში პოლიციელი შეეფეთა:

— არაფერი, ზენლიაკ, არაფერი... წავიდეთ... ვილაც მთვრალი ყვიროდა... წავიდეთ. თუმცა... მოდი ჯერ თითო არაყი დავლიოთ.

ორ-ორი ჭიქა ხეხეს და გავარდნენ.

ბესოც ფეხაკრეფით გაჰყვა. მერე მარცხნივ შეუხვია და სიბნელეში ჩაინთქა.

ერთი საათის შემდეგ ბესო მორცხვად იღიმებოდა, კვაჭი ხარხარებდა. სილიბისტრო ხითხითებდა, ხოლო ძაბული, ნოტიო და ხეხე შიშისაგან თვალებს აბეცებდნენ.

— აჰ, აქედან შენ ველარ გაგიშვებ.—გამოუცხადა კვაჭის ძაბულიმ.

— ჩავკეტავ კარებს და აი იქნება.—დაემუქრა ნოტიო.

იმ დღიდან კვაჭი მართლა გარეთ აღარ გაჩოსულა.

* * *

ჰაერი დღითი-დღე თოფის წამლის სუნით იტენებოდა. ცა ჩაშავდა და ქვე-

ეროვნული

ყანას რკინის ლოდათ დააწვა. წამდაუწუმ აქა-იქ ნაპერწკალი ციოლებდა. დღეს თუ ხვალ უნდა დაეჭექა.

წინაგრძნობით გატენილი კვაჭი სახლში ვერ ისვენებდა. ყოველ-ღამ თავს ქუჩაში გაჰყოფდა, სინკლიტს დარიგებას მისცემდა, ჯარს დახედავდა და დაბრუნდებოდა.

იმ ღამეს თავის მეგობრებს მტკიცე ხმით უთხრა:

— მაზეგ დაიწყება. მზათ იყავით.

და წამოვიდა.

თავის ბინის კარებს მიადგა. გასაღები ხელში ეჭირა.

უცებ ალაყაფის კარებს სამი აჩრდილი მოსწყდა.

— შესდექით! ხმა, კრინტი!..

— ვახლავართ თავად კვაჭანტირაძეს. ეხლაც წამიხვალთ?

კვაჭიმ იცნო ის აგენტი, რომელიც ერთი კვირის წინ გააჩანჩურა.

— მეტი გზა არ არის. წავიდეთ. ასეთი ბედი მქონია.

ჩასვეს ავტოში და პეტრეპავლეს ციხეში მიიყვანეს.

მეორე დღესვე ჩვენება ჩამოართვეს. მესამე დღეს, შუადამემ რომ მოატანა სამხედრო სამართალის წინაშე წააყენეს. ვილაც კაპიტანი მიუჩინეს ვექილად.

ათ წუთში ოქმი წაუკითხეს. მერე:

— გამოტყდით დანაშაულში.

— არასოდეს!.

— სტოკჰოლმში რომ ჩახვედით, ვინ დაგიხვდათ სადგურზე?

— არავინ.

— ვის გაჰყევით ნანსენის ქუჩაზე?

— არავის.

— ვისგან მიიღეთ მეორე დღეს ჩეკი № 137429 ერთი მილიონი კრონის?

— არავისგან.

— აი თქვენი ხელმოწერილი ჩეკი. გამოტყდით.

და წარუდგინეს ფოტოგრაფიული სურათი-ჩეკი წარწერით: „მიეცეს. თავადი კვაჭანტირაძე“.

აილეწა კვაჭი. მაინც თამამად მიახალა:

— ყალბია!

ნახევარ საათში ყველაფერი გათავდა. უკბილო გენერალმა — თავმჯდომარემ განაჩენი წაუკითხა:

— თავად კვაჭანტირაძეს აეყაროს ღირსება-უფლება და მიესაჯოს ჩამოხრჩობა.

და მაშინვე დარბაზიდან გაიპარნენ.

კვაჭი ისევ ნესტიან საკანში შეაგდეს.

რკინის სკამზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა.

რაო, რა სთქვა უკბილო გენერალმა? თავადი კვაჭანტირაძე უნდა ჩამოახჩონ?! სილიბისტროს შვილი კვაჭი?! კვაჭიკო?!

გულში გაფიქრდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჰ, მაი სისულელეა, მეტი აფერი!

გულში ჭინკა ჩაუჯდა, შიგანი დაუკაწრა და ჩაიხითხითა:

— ვითომ რაო, ვერ გაგიბედავენ?

— მე გამიბედავენ?! მეფის ნათლულს, ტახტის მარჯვენას!

— ხი-ხი-ხი! — გულიანად აწრიპინდა ჭინკა.-ერთხელ მაინც სთქვი მართალი შენივე სინიდისის წინაშე. ეხლა ვიღას ერიდები? აბა, გაბედე... დაიწყე, ნუ ხარ მუდმივ გულჩახვეული. აბა, გადაუშალე შენივე თავს შენი დახვეული გული.

შენა ხარ მეფის ნათლული? შენ ემსახურებოდი ტახტს ერთგულად?

— დემირ-თეფეს გორა? ვინ გადაარჩინა იმდენი ხალხი სიკვდილსა და სირცხვილს?

— მე, მე გადავარჩინე! დიაღ, მე! ხორცი შენი იყო, სული ჩემი. ქუდმოგლეჯილი მორბოდი. შიშისგან გული მიგდიოდა. მე ჩაგიჯექი სულში და აგიყვანე დემირ-თეფეს თავზე. შენი გმირობა მთელმა ქვეყანამ გაიკვირვა, რადგან კარგათ გიცნობდენ და შენგან ისეთს თავგანწირულებას არ მოელოდენ. სხვებზე უფრო შენვე გაოცებდა შენი ნამოქმედარი.

— ვინ ოხერი ჰგდიხარ, რომ ჩემს გმირობას იჩემებ?

— მე? ხი-ხი! აქამდის არ მიცნობ? გთხოვთ მიცნობდეთ: მე გახლავართ კვაჭი კვაჭანტირაძე, სილიბისტროს შვილი.

— ნუ სულელობ!

— დიაღ, კვაჭი კვაჭანტირაძე გახლავარ. არც აშორდიას ნაახნაურალი ვარ, არც ნათავადარი, არც ნაკამერ-იუნკრალი, არც ჯიბგირი, არც ალფონსი, არც მოღალატე.

— რას ჩამაცივდი? რა გინდა ჩემგან?

— მინდა ერთხელ მაინც გავიგონო შენგან მართალი სიტყვა. საცაა ჩამოგაბჩობენ. ეხლა მაინც ნუ ორპიროობ.

— გამანებე თავი! რაც იყო-იყო! რა ოხრად გინდა სიმართლე? მართალის თქმა ყველას შეუძლიან — ტუტუცს, ველურს და ძუძუმწოვარსაც.

— წრფელი გული?

— წმინდანი ხომ არა ვარ!

— ერთგულობა?

— ნიკოლოზის და გრიშკას ერთგულება?! ჯერ არ გაგიქეებულვარ.

— ეხლახანს რომ პირი იბრუნე, იმ ხალხს ერთი გული მიუტანე?

— ხმა! კრინტი! დამეკარგე აქედან!

— ხი-ხი-ხი!-გულიანად ჩაიხითხითა ჭინკამ და კარების ეიწრო ნაპრალში გაიძურწა.

— კვაჭიც კარებს ეცა და ორივე მუშტი დაუშინა:

— Чаво тебе? Чаво стучишь?

— პაპიროსი! ჩქარა ერთი პაპიროსი!

— Чавооо?

— ერთი პაპიროსი .. ერთი მაინც.

დარაჯი უსიტყვოდ მოტრიალდა და არხეინად აბაკუნდა.



კვაჭის თანდათან დაუმშვიდდა და მოულბა აზვირთებული ბიბლიოთეკა ჰფიქრობდა:

— მაშ უნდა ჩამომახრჩონ?.. სისულელეა! ვერ დავიჯერებ, ვერა! როგორ გაჰბედავენ! ალბათ მაშინებენ... ჩემი მოდრეკა უნდათ, თვარა... ვინ იცის... იქნება ეხლა სახჩობელასაც აშენებენ... ღმერთო დიდებულო! ღმერთო ძლიერო!

და ღმერთი რომ ახსენა, სულში უხილავი ვინმე ჩაუფრინდა:

— მოვიდა ჟამი აღსასრულისა. მოინანე შეცოდებანი შენი. საცაა წარსდგები წინაშე უფლისა შენისა.

კვაჭი გაირინდა. აყუჩებული გული უხილავს მისცა და გაჰყვა უცებ მიხვდა და გაიგო, რომ ერთი ან რამდენიმე საათის შემდეგ კვაჭი ამ ქვეყნად აღარ იქნება. კვაჭი მოკვდება... გადასახლდება საუკუნო წყვდიადსა და არარაობაში... იქ არც წყვდიადი იქნება, არც დრო, არც სივრცე... არც არარაობა... მაშ რა იქნება... არარაობა. მაშ რალაც ყოფილა, რაკი არარაობა იქნება... მაშ მეც იმ არარაობაში ვიცხოვრებ... მაშ... რაო, აღარც მე ვიქნები?! რა სისულელეა! რა უაზრობაა! კვაჭი არარაობაშიც აღარ იქნება?! ეს ხომ სრული უაზრობაა! შეუძლებელია!

— იქნები. — ტკბილად ჩასჩურჩულებს უხილავი. — შენ უკვდავი ხარ... ადამიანი უკვდავია, მარადიულია... მე წაგიყვან „იქ... იმასთან." და სიცოცხლე შენი იქნება მარადიული!.. უკუნითი უკუნისამდე.. ილოცე და მოგეტევება... შეჭლალადე და მოგენიჭება.

— მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა... — გულის თრთოლვით წაიჩურჩულა კვაჭიმ და ხელები აღაპყრო ზეცით. — რომელიცა ხარ ცათა შინა...

უცებ ლოცვა შესწყვიტა. აღარ იცოდა, ვისთვის, ან რა უნდა ეთხოვნა. დამბალი გული ისევ შეიკუმშა და გაკაჟდა. უხილავიც სულიდან ამოუფრინდა.

— აჰ, სისულელეა მაი. — წაიბურტყუნა დაგა გიჟებულ მხეცივით გალიაში დატრიალდა. მერე ისევ კარებს დაეძგერა:

— პაპიროსი! თუნდ ერთი პაპიროსი! ერთ პაპაროსში რაც გინდა მომთხოვეთ.

დარაჯმა მხოლოდ ერთი სიტყვა გამოსწურა უკბილო ორმოდან:

— Чичас.

და ისევ არხეინად აბაკუნდა.

ათი წუთის შემდეგ რკინის რაზამ დაიჭახუნა და ნაჭედმა კარებმა დაიჭრაჭუნა.

ბებერ დარაჯს — უბრალო და უთვალო ინვალიდს ერთ ხელში პაპიროსი ეჭირა, მეორეში — მარწუხი.

ორმო — პირი ააცმაცუნა და ძლივს წამოაგდო:

— ჯერ კბილი მომეკი.

— რაო? რა სთქვი?

— კბილი მომეკი მეთქი.

კვაჭიმ საკანი მოათვალიერა:

— კბილი? რა კბილი? რომელი კბილი?

— შენი კბილი. შენი ოქროს კბილი.

— ხომ არ გაგიჟებულხარ!

— მე? არა, მე სრულ ჭკუაზე ვარ.

და ორმო — პირი დაიღრიცა, თითქოს გაიღიმაო. ლობიოს ოდენა ნაცრის ფერი თვალიც ჩაბჟუტა.

— ახალი ხარ, იმიტომ არ გესმის. რათ გინდა ოქროს კბილი? სულ ერთია, ორი საათის შემდეგ ჩამოგახრჩობენ.

— მერე?

— მერე და, რათ გინდა მეთქი ოქროს კბილი? საიქიოს ხომ არ წაიღებ. ი-ი-იჰ, ვინ იცის რამდენს დავაძერე ოქროს კბილი აი ამ მარწუხით. ჯერ გაოცდებიან ხოლმე, მერე კი დამნებდებიან.

— ერთ პაპიროსს აგრე ძვირად ჰყიდი?

— ხოგს პაპიროსს ვაძლევ, ზოგჯერ კი... უკანასკნელ წერილს გამოვართმევ და მწობლებს გავუგზავნი.

—გამოართმევ და დახევ. სულ ერთია, ვერავინ გაიგებს.

Ни-ни-ни! — შიშით წაიჩურჩულა მოხუცმა და ორმო-პირი ააცმაცუნა, თან პირჯვაოს იწერდა და იფიცებოდა: — ღმერთმა დამიფაროს! ღმერთმა დამიფაროს მაგ ცოდვისაგან!

— მაშ ჩემ წერილსაც გაგზავნი?

— მაშ! მაშ! დაგმარხავენ თუ არა, ჯერ ეკლესიაში შევალ და შენთვის ვილოცებ. მერე წერილს ფოსტის ყუთში ჩავაგდებ.

კვაჭის თვალები უბრწყინავდა; აქაფებულ ტვინში აზრი ელვის სისწრაფით მუშაობდა.

— კეთილი... თანახმა ვარ... ჩემი წერილი შენვე მიუტანე მამაჩემს, ის მანეთს გაჩუქებს... ახლოს სცხოვრობს. მომეცი საწერ-კალამი და ქაღალდი.

— Чичас... чичас... — აცქმუტუნდა მოხუცი.

კვაჭი უმალ ტახტზე წამოწვა.

მოხუცმა ფანქარი და ქაღალდი შემოიტანა.

— დადე მაგიდაზე. — არხეინად უთხრა კვაჭიმ.

მოხუცი საკანში შემოვიდა და კუთხისკენ წავიდა, საცა კედელზე მიკრული იყო რკინის პაწაწა მაგიდა.

იმავ წამს ტახტიდან ვეფხვმა იხტუნა. საკანში გაისმა მოკლე ხრინწი: „ხხთ..“

კვაჭი არ იბრძოდა. მან მოხუცი ზურგით ზურგზე მოიგდო, მარჯვენა ხელი უკან გადაიგდო და დარაჯს ყელზე გადააჭდია, მარცხეცაც უკან გაეპარა და მოხუცის აღლინკებული ფეხები მობლუჯა. კარგა ხანს იდგა წაკუზული კვაჭი, კარგა ხანს ეკიდა ზურგზე წელში გადაზნექილი გაგუდული მოხუცი. მერე ტახტზე ჩამოუშვა და ფოლადის თითები ყანყრატოში წამოუჭირა.

გატიკული მოხუცი გაყინულ ლობიოს თვალით ჩაციებით შესცქეროდა კვაჭის, თან მოღრეცილ ორმო-პირით ჰკვირობდა კვაჭის უმადურობას.

ხუთი წუთის შემდეგ დარაჯის ტანისამოსში გადაცმული კვაჭი ფეხაკრეკვით მივიდა ეზოს კარებთან.

ბინდი გატეხილიყო. ჰყინავდა. ეზოში ავტომობილი შემოცურდა, გაჩერდა და გრიალი ასტეხა, ავტომობილიდან ჩამოხტა ქურქში გახვეული საშუალო ასაკი, რომელიც ციხის კანცელარიაში შვვიდა.

კვაჭიმ იცნო წუხანდელი ბრალდებელი, რომელიც მოითხოვდა კვაჭის სიკვდილს.

ავტომობილი მოტრიალდა და ისევ იქვე გაჩერდა.

შოფერიც ჩამოხტა და ყაზარმაში შევიდა.

კვაჭიმ თავი დალუნა და სირბილით ეზო გადასჭრა.

ერთი წუთის შემდეგ ის ავტომობილი დაიძრა ალაყაფის კარებისკენ, რომელიც ნამძინარევმა დარაჯმა მაშინვე გააღო; გააღო და მხოლოდ შემდეგ მოიფშვნიტა თვალები.

ეზოში ჩოჩქოლი ასტყდა. ქუდ მოგლეჯილი შოფერი ხელების ქნევით და ყვირილით მორბოდა:

— დაიჭირეთ! ესროლეთ!

ავტომობილმა თვალის დახამხამებაზე გადაირბინა სამების ხიდი; მერე ისარივით გადასჭრა მარსის მოედანი, ახლო-მახლო ხვეულებში შეერია, და ერთ კუთხეში გაჩერდა. კვაჭი გადმოხტა, სირბილით მიუხ-მოეხვია და ბესოს ბინას მიადგა.

— ბესო, ჩქარა! შენი ქურქი!.. ქუდი!.. ერთი საათის შემდეგ სერიოჟასთან შნახე... კვალი არ მოიტანო, ფრთხილად!

სახლიდან გავარდა და დაიკარგა.

ეს ამბავი მოხდა 1917 წ. 26 თებერვალს.

იმავ დღეს დილით ადრე კვაჭის ზტაბმა — სინკლიტმა თავი მოიყარა.

აუსტერლიცის დილა იყო;

ორი მარადიული მტერი პირისპირ შეხვდენ ერთმანეთს;

იმ დღეს კვაჭიმ საქმითაც საესებით გაამართლა თვისი ღირსეული წინაპრობედი ნაპოლეონი, რომელსაც ათიოდე წლის წინათ უნებურად სახელი მოჰპარა.

არასოდეს არც ერთ სარდალს არ გაუცია ისეთი მოკლე, მრისხანე და მკაფიო ბრძანება:

— დაიწყეთ!!!

ეს იყო და ეს. ნეტი არაფერი.

მაგრამ ამ ერთ სიტყვას უმალ მოჰყვა უმაგალითო კატასტროფა: იმავ დღეს ძველს, დახავსებულს, დამპალსა და ფუტურო იმპერიას თავს დაატყდა უმაგალითო რისხვა და მეხი.

ის უუზარმაზარი შენობა. რომელიც ამშენდა ათას წელიწადს ათასი ბილონი კაცის ოფლით და სისხლით, შეირყა და საზარელ ჭექა-ქუხილით ჩამოინგრა და ქვეშ მოიყოლა მისი ბინადრები, მცველნი და დარაჯნი.

ასე დააფასა კვაჭიმ შავი მადლი და ასე გადაუხადა ვალი უმადურ იმპერიას, რომელმაც თვის ბედოვლათობა და პოლონეთის მინდვრებზე დამარცხება კვაჭის დააბრალა იმ საბაბით, ვითომ კვაჭიმ რუსეთის ჯარს ამერიკიდან უვარგისი ყალბი ყუმბარები ჩამოუტანა.

ასე ადვილად დაივიწყეს ზემოურებმა კვაჭის, დაუფასებელი და განუზომელი ღვაწლი: კავკასიონის დამშვიდება, გრიშკა რასპუტინის გადაეხვენა ათას ხიფათისაგან, ჯარების ჩაცმა და შემოსვა, უუზარმაზარ ტაძრის აშენება, ხუთიოდე კონცესიის განაღდება, მეფის გამაგრება ტახტზე, რუსეთისთვის სახელის მოხვეჭა ევროპაში, „კეთილი სამარიტელის" უსაზღვრო ღვაწლი, დემირ-თეფესთან რუსეთის დროში გასხივოსნება და ათასი უთვალავი მადლი, რომელნიც დასდო კვაჭიმ მომაკვდავსა და უმადურ რეჟიმს.

მაგრამ უმადურობა მარტო გარდაცვალებულთა ხვედრი არ ყოფილა. ეს სენი თურმე დღევანდელ თაობასაც სჭირს.

წაიკითხეთ ახალი დროის ისტორია — დაბეჭდილი და დაუბეჭდავიც. ვერც ერთ წიგნში, გაზეთში ან ხელთ ნაწერში თუნდ ორ სიტყვასაც ვერსად, ვერ ამოიკითხავთ კვაჭი კვაჭანტირაძის ღვაწლის შესახებ რუსეთის დიდს რევოლიუციაში. ისტორიკოსები ადასტურებენ — ისიც მხოლოდ კერძო ბაასში — კვაჭის დახმარებას ფულით და რჩევით, მაგრამ გადაჭრით უარჰყოფენ უუმთავრესს: ვითომ ნიშანი კვაჭის მიეცეს, დაუვიწყარი ბრძანება გაეცეს:

დაიწყეთ!

მაგრამ პირუთვნელი მომავალი თაობა აღმოაჩენს ასეთ შავს უმადურობას, მოსპობს საარაკო უსამართლობას და ღირსეულ ადგილს მიუჩენს 26 თებერვლის ნამდვილ ავტორს, რომელმაც შეამზადა იგი დღე და ამიერდან დაუვიწყარი ბრძანება სწორედ თავის დროზე გასცა, დიახ, თავის დროზე; — არც ერთი საათით ადრე, არც გვიან.

ხოლო დღევანდელ თაობისაგან კვაჭი აღარ ელის თავის ღვაწლის მიუდგომელ დაფასებას, რადგან ბევრი პირადი მტერი ჰყავს კვაჭის!

რას იზამ! ბედი სწყალობს საწყალ კვაჭის!

მაინც რამდენიც უნდა ილაპარაკონ კვაჭის მტრებმა, ერთი რამ არის ცხადი და უეჭველი: 1917 წელს 26 თებერვალს დილით კვაჭიმ ლაკონიური და კატეგორიული ბრძანება მისცა თავის შტაბს:

— დაიწყეთ!!!

და დაიწყო.

ამას ადასტურებს ყველგან და ყოველთვს კვაჭის შტაბი: ბესო შიქია, სერიოჟა სიკნიჯილაძე, სედრაკ ჰავლაბრიან და გაბო ჩხუბიშვილი.

ა. გელიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხრა ცენტრი

იწყება ასე —

ყველასათვის საკვირველი იყო ასეთი გამძლეობა და სიცოცხლის უნარი. ადამიანები კვდებოდენ. ცხოვრობდენ განსაზღვრულ ნორმით. მან კი გაუძლო საუკუნოებს. წარღვნის დროს იმგზავრა ნოეს კიდობანში. მაშინ ისეთი პატარა იყო, რომ ყველას უყვარდა. შემდეგ როდესაც გაიზარდა იგრძნო, რომ გაუძლებდა საუკუნეებს და აიგო სასახლე შუაგულ ქალაქში, მოხერხებულ ადგილას რომელსაც ქვია დედამიწის ზედაპირის ცენტრი. ქონდა საუკეთესო კაბინეტი და საწერლო მაგიდაზე მოწყობილი ქონდა ოპტიოგრაფი. ის სულ ოპტიოგრაფთან იჯდა და დასცქეროდა. ოპტიოგრაფი აჩვენებდა ყველა უახლეს ამბებს, რომელიც მოხდებოდა დედამიწის ზურგზე. ასი ათასი ელექტროს მავთული უერთდებოდა სასახლეს. ყველა იცავდა და ყოველ ადამიანს უყვარდა ის, რადგან მბრძანებლობდა ხალხს.

შემდეგ —

ბევრი ფიქრობდა, რომ მბრძანებელი იყო უხილავი არსება, შესაძლებელია ღმერთიც, სწერდენ იმის შესახებ მრავალ წიგნებს და ნათლავდენ კეთილშობილ ღვთაებრივ არსებათ. ზოგი კიდეე, რომელიც უფრო ჭკვიანათ თვლიდა თავს ამბობდა, რომ ეს არის რაღაც ძალა, რომელიც მართავს ყველაფერს და ხსნიდენ, როდესაც მივიდოდენ იმ აზრამდე „თუ საიდან წარმოსდგა ხილული ქვეყანა".

მაგრამ —

ის იყო სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც უყვარდა ძლიერ ბევრი ჭამა და იცვამდა ტანისამოსს უკანასკნელ მოდაზე. ჩვეულებრივი სხეულიანი არსება, რომელსაც ება ძლიერ დიდი თავი (იპარსავდა სრუ-

ლიად). რამოდენიმე წლის წინათ მან გაიკეთა ბუასილის ოპერაცია, რადგან უმეტეს ნაწილათ უხდებოდა ჯდომა თავის ოპტიოგრაფთან, საიდანაც უწევდა კონტროლს მთელ დედამიწის ცხოვრებას. [illegible] ჩაშენებული ქონდა რადიო ტელეფონის მილი. სასახლეში იყო ყოველგვარი ცდების ოთახი და ულარმაზარი შენობა გამართული იყო ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევების მიხედვით.

ჩ ე მ ი ს ა ზ რ ი თ —

მბრძანებელი მეტათ კულტურული კაცი იყო. იცოდა თითქმის ყველაფერი. განიცდიდა ძლიერ მცირეს. ქონდა სპილენძის ნერვები და წარბსაც არ შეხრიდა თუ ოპტიოგრაფი მას რაიმე ცუდ ამბავს აჩვენებდა. მაგალითად: მუშათა მოძრაობა, გაფიცვა, ან როდესაც რომელიმე დაამბირებდა მის წინააღმდეგ გალაშქრებას და სრულიად მშვიდათ იძლეოდა ბრძანებას და თხზაედა ლოზუნგებს: „ღმერთი და საბშობლო", „ომი ბოლომდე", „საბშობლო ყველაზედ ძლიერი". როდესაც (ხან და ხან) ძლიერი სიმშვიდე იყო და არავითარი ახალი ამბავი არ აწუხებდა, (ლამ-ლამობით) მას უყვარდა ქეიფი გაშიშვლებულ ქალებში. ეტმასნებოდა ყოველ მხურვალე ქალს, რადგან იყო იპოტენტი. ყველაზედ უფრო უყვარდა ოპტიოგრაფში ომის სურათების ცქერა და აღტაცებაში მოდიოდა, როდესაც გრიალებდენ ზარბაზნები პორტებიდან, როდესაც ფეთქდებოდენ კრეისერები, როდესაც კალიასავით მოდიოდენ მფრენავები და აჩენდენ ცეცხლს მოწინააღმდეგეს ბანაკში. თუ კი რომელიმე ჯარის კაცი მოხდენილათ გაარტყამდა ტყვიას თავის მოწინააღმდეგეს, ასეთ გმირებისათვის მას ქონდა შექმნილი ტრადიცია: სპილენძის მედალის ბოძება წასაქეზებლათ. განსაკუთრებით უყვარდა სამხედრო პირები, რომელნიც იმის აზრით იყვენ განსაკუთრებულ ჯიშის და ვარგოდენ მხოლოთ ომისთვის. საერთოდ სწამდა რომ ადამიანებში არის განსხვავება ჯიშის მიხედვით, მაგალითად: ბურჟუაზია და მუშები. ბურჟუაზიას ძლიერ განვითარებული აქვს გემოვნება, რომ ყველაფრით დატკბეს, ხოლო მუშებს კი კუნთები, რომ ბევრი იმუშაონ.

ა მ გ ვ ა რ ა თ —

წარსულში ის უფრო მშვიდი იყო. მას არ აწუხებდა არავითარი საშიშროება მონების მხრით, ერთად ერთი კლასი იყო მონების რომელნიც უკმაყოფილობას გრძნობდენ და ფიქრობდენ ადამიანებათ გახდომას, მაგრამ ძველი დროის ამბოხება მისთვის იყო უბრალო გასართობი, რადგან მაშინ ბატონებს უფრო მეტი ერთგულები ყავდათ და მცირე ამბოხებებს აქრობდენ ისევ მათი ძმების სისხლით. მბრძანებელისთვის ეს იყო უბრალო გასართობი. მაგრამ როდესაც მონები გაძლიერდენ, როდესაც პროლეტარები თავდასხმაზე გადავიდენ მაშინ მბრძანებელმა უკვე მიაქცია სერიოზული ყურადღება და მთავარი ამბავი და ფინალი იქნება ბოლოს. ხოლო,

ეხლა დასაწყისის შემდეგ ისტორია იწყება



თავი 1

სერ ჯეკსონ

1. საღამოს 6 საათზე ჯეკსონი თავის კაბინეტში იჯდა. საწერ მაგიდაზე ფეხები გაეწყო და ეწეოდა გავანის სიგარას. გახეთები არ იუწყებოდენ არაფერ ახალს. ბირჟა ჩვეულებრივათ ნერვიულობდა. სტინესის ჯანმრთელობა უარესდებოდა, რომელსაც კუჭი გაფუჭებული ქონდა. გარდა ამისა მოხდა რკინის გზელთა გაფიცვის ლიკვიდაცია. მუშები დანებდენ. ეხლა მხოლოდ საჭირო იყო ბანკეტზე დასწრება. დილის კორრესპოდენციას არაფერი ახალი არ მოუტანია. ჯეკსონი სიამოვნებით ჭიმავდა კუნთებს და იზმორებოდა. 10 საათზედ მან სწრაფათ ჩამოაწყო ფეხები მაგიდიდან და ლაქიას უბრძანა ავტომობილი მოეყვანა. გამოიცვალა კოსტიუმი წაისვა თავზედ ბრილიანტი.

11 საათზე დაიწყეს შეკრება. მოვიდენ: დირექტორები, ბანკირები, მინისტრები და სერ ჯეკსონ. სიამოვნებით იცინოდენ და აჩენდენ თავიანთ გამოხრულ კბილებს, რომელნიც გალამაზებული ქონდათ ოქროთი. როდესაც შეხურდენ ღვინით ასწიეს ტოსტები და უსურვეს დღეგრძელობა ავტომობილის კაროლს, რომელიც იღწოდა საშშობლოსა და ხალხის საბედნიეროთ. კაროლმა მადლობის ნიშნათ და თავის ღვაწლის აღსანიშნავათ განაცხადა, რომ ააგებს უდიდეს ეკლესიას მთელ დედამიწის ზურგზე.

— დეპეშა სერ ჯეკსონ.

ჯეკსონი თითონ მივარდა ლაქიასთან. სწრაფად გახსნა დეპეშა. სტუმრებმა მოიხედეს.

მიღებულია	დეპეშა: ბ ე რ ლ ი ნ	გადაცემულია
1 ს. 25 წ. ღამის	37 : 4 . 21 : 40 . 15 : 6	1 ს. 15 წ. ღამის
სასწრაფო	№ 475.281.1	მიღებულია №

ბერლინ. კეთილშობილთა ბანკეტი
სერ ჯეკსონ.
მიანებეთ თავი სულელებს. დილს 5 საათზე იქნებით ესსენში.
მიგელით გარრენდი. D.

ელვის სისწრაფით, ბოდიშ მოუხდელათ გავარდა დერეფანში დაიხურა ქუდი და გააქროლა ავტომობილი საკუთარ ბინისაკენ. რამოდენიმე დავალებები გადასცა თანამშემწეს და 15 წუთის შემდეგ ექსპრესი მიაქანებდა ესსენისაკენ.

2. — სწორად 5 საათი და არც ერთი წუთი მეტი.

— დიახ თქვენ ძლიერ პუნქტუალური ხართ.

— მიზეზი ჩემი გამოწვევის

— საყურადღებო. საშინლად იზრდება გავლენა წითლების. უკვე გამოცხადდა გაფიცვა მთელ სამრეწველო რაიონში. მუშები მართავენ



დემონსტრაციებს და მიტინგებს. დღეს დიდ მიტინგზე თქვენ უნდა წარმოსთქვათ საისტორიო სიტყვა. ასეთია ცენტრის განკარგულება.

— განწყობილება შეიძლება ჩაითვალოს...

— უნუგეშოთ. მუშებმა სცემეს დირექტორს და რამოდენიმე ნაციონალისტს. ქალაქში დადიან ჯგუფებათ. პოლიცია კანკალებს. დღეს თქვენ უნდა წარმოსთქვათ სიტყვა, შეიძლება შეაკავოთ ხროვა.

სერ ჯეკსონმა გახსნა თავის საკვოიაჟი, სწრაფათ დაიბანა პირი და ნახევარი საათის შემდეგ ის უკვე იყო მაღაროს მუშა დამწვარი სახით და კორძიანი ხელებით.

— რამდენი არიან ჩვენები.

— 900.

— გაიბნენ მასსაში. გასწიონ აგიტაცია უშიშრათ.

თ ა ვ ი 2.

ჯეკსონის საისტორიო სიტყვა

1. 11 საათზე ჯეკსონი იჯდა დირექტორის კაბინეტში. ნახევარ საათში დაიწყება დემონსტრაცია და მიტინგი. დირექტორი ღელავდა და წამდაუწუმ აგზავნიდა დეპეშებს ცენტრში. სერ ჯეკსონი მშვიდათ იჯდა და სიგარას ეწეოდა.

— პოლიცია გამოვა 1-ლ საათზე. ისვრიან როდესაც ვანიშნებ.

— ყველაფერი ასრულებული იქნება ისე როგორ თქვენი განკარგულება იყო.

— მე მგონია შევაჩერო. საერთოდ ადვილია გადმობირვა ნაციონალურ ლოზუნგით. ყოველ შემთხვევაში ვეცდები.

2. მუშები დადიოდენ ჯგუფებათ. ლაპარაკობდენ შემოდგომაზე. გადაწყვეტილება იყო პირდაპირ ბრძოლის დაწყება მარჯვე მომენტის შემდეგ. შეუძლებელი იყო ცდა. საჭირო იყო პირველად სამხედრო საწყობების ხელში ჩაგდება და შემდეგ პროლეტარების შეიარაღება.

აფრიალდენ დროშები. უმეტესობას ჯიბეში ჩაქუჩები ეწყოთ. გრძნობდენ, რომ ცუდათ გათავდებოდა თუ კი პოლიცია დაძლევდა შიშს, ჯეკსონის გარშემო შეჯგუფულიყვენ.

— თავმოყვარეობა თუ მისცემს ნებას რომელიმე გერმანელს, რომ განადგურებულ სამშობლოს ქუსლით გადაუაროს.

მიჩერებოდენ და ხმას არ იღებდენ, მხოლოდ მემანქანემ, რომელიც იქვე ახლო იდგა და ისმენდა, უცბათ მიაძახა.

— ხომ არ გინდა ყბები ამოგიმტვრიო.

3. მუშები და დროშები მიდიოდენ ზღვასავით. ლონიერ მკერდების სუნთქვასთან ერთად ისმოდა ჰიმნი „ინტერნაციონალ".

„უკანასკნელი ბრძოლა"...

დირექტორები ცახცახებდენ. ჯეკსონი მშვიდათ იდგა ტრიბუნასთან და წევდა ყალიონს. ორატორი მუშა მოუწოდებდა საბჭოებისკენ. მიტინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი ღელავდა. ითხოვდა პარლამენტის გარეკას. მუშები ეთანხმებენ ძალაუფლების ხელში აღებისთვის პირდაპირ ბრძოლის დაწყებას. ნაციონალისტები ყვიროდენ.

— ეგ არ არის ნამდვილი გერმანელი. ჩვენ პატრიოტები ვართ ძირს...

მუშები მაინც ღელავენ. ჯეკსონმა დაწერა ნაგლეჯ ქაღალზე.

პოლიციის უფროსს **ზეიხს.**

მდგომარეობა რთულდება, მზათ გყავდეთ 500 ცხენოსანი,

1000 ქვეითი ჯარისკაცი

ელოდეთ ნიშანს.

ჯ.

გადასცა გვერდში მდგომ იაპონელს, რომელიც ხელიკივით გაძვრა მუშებში. მუშები ღელავდენ. დირექტორები ცახცახებდენ და ყნოსავდენ ნიშადურის სპირტს.

4. ...ყოველი პატიოსანი მამულიშვილი უნდა დადგეს თქვენს წინ და თუ რომელიმე თქვენგანი არ იგრძნობს სირცხვილს სამშობლოს წინაშე, მაშინ ის უნდა იქნეს გასამართლებული ისე როგორც უკანასკნელი არამზადა, რომელიც მზათ არის ყოველ წამს გაყიდოს თავისი სინიდისი. პატიოსანმა გერმანელმა არასოდეს არ უნდა მისცეს ნება თავის თავს, რომ ულირსათ მოიხსენიოს ის თავდადებული მამულიშვილები, რომელთაც თავი ისახელეს მამულის დაცვაში. და ეხლა, როდესაც ჩვენ ყველაზედ უფრო გვჭირდება სიმშვიდე და გაასკეცებული მუშაობა, რომ ფეხზედ დავაყენოთ განადგურებული სამშობლო თქვენ სწორეთ ეხლა ცდილობთ რომ დასცეთ ის. ჩვენ გვაწევს უზარმაზარი ვალდებულება ვალების გადახდა და ამისთვის გაასკეცებული შრომა. თქვენ გსურთ შეცვალოთ სახელმწიფო წყობა ისე როგორც რუსებმა, მაგრამ არც ერთმა პატიოსანმა გერმანელმა ნება არ უნდა მისცეს თავის თავს, აყვეს ისეთ ერს, რომელიც ყოველთვის ითვლებოდა ბარბაროსულათ და...

5. ჯეკსონი გაცხარდა. იქნევდა ხელებს. სცემდა სუსტ ადგილებს. მუშები ჩაჩუმდენ. დირექტორები ნელ ნელა იმართებოდენ. ჯეკსონი დაუღალავთ ლაპარაკობდა. ამ დროს გამოჩნდა ცხენოსანი პოლიცია. ჯეკსონმა კინაღამ წამოიყვირა.

— ვირები!..

მაგრამ მდგომარეობის გამოსარკვევად სწრაფად ჩამოხტა ტრიბუნიდან გაარღვია წრე და მიუახლოვდა რაზმის უფროსს.

— ყეყეჩო, არამზადა აბა რას მოეთრეოდი. მე ხომ ნიშანი არ მომიცია. — შემდეგ ხმამაღლა მუშების გასაგონათ.

— თქვენ ნურაფრის ნუ ეშინიათ. ჩვენ ეხლავე დავიშლებით ჩვენ მხოლოდ იმ საკითხზე ვმსჯელობდით, თუ, როგორ უფრო კარგათ გადაგვეხადა ომის შემდეგ დარჩენილი ვალები.

მაგრამ მეშანქანემ, რომელიც მას ყბების ამომტვრევას დაპირდა ხმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლა შესძახა:

— ამხანაგებო, მაგი დირექტორების და მთავრობის ჯანუმია. პირავინ დანებდეთ. მუშები სწრაფად გამოერკვენ. ცხენოსანი რაზმი გაიშალა. გაისმა ტკაცანი, მისცეს პირველი ზალპი. სამშობლოს მშვიდობიანობის დასაცავად მოდიოდენ ჯარები ეშელონებით.

6. მუშები მოდიოდენ. დაცქეროდენ მიწას. ასაფლავებდენ დაღუპულებს და მთელ პროცესიის სიგრძეზე გამწკრივებული იყო კუბოები. ბავშებს მოქონდათ გვირგვინები. პროცესიას იცავდა პოლიცია. რასაკვირველია მთავრობა ყოველთვის ცდილობდა, რომ მუშებში ყოფილიყო მშვიდობიანობა.

სერ ჯეკსონი და გარრენდი ექსპრესით მიქროდენ ბერლინისაკენ.

— ძლიერ გაძნელდა მუშებთან ბრძოლა.

— საკვირველია ასეთი სიტყვა და გავლენა მაინც ვერ მოახდინეთ

ჯეკსონმა თუთუნი გამოაბოლა, შეხედა გარრენდს და

— ?...

თ ა ვ ი ३.

ისტორია ყვითელკანიანის

1. ლონდონის კლუბი „K — N — 60"-ში (მე-60 ნაციონალური კლუბი) თავმოყრილი იყო ისეთი ხალხი, რომელნიც თავიანთ თავს საზოგადოების და სამშობლოს მოღვაწეებს უწოდებდენ. თავმჯდომარე იმ საზოგადოების, რომელიც იკვლევდა თუ რამდენი ცალი ყუმბარა გაუშვა ინგლისმა იმპერიალისტურ ომის დროს. აგრეთვე სოციალისტებიც, რომელთაც კარგათ შეისწავლეს ფრაკის ჩაცმა და ცილინდრის ტარება. რასაკვირველია ხან და ხან კარტის თამაშიც (აუცილებელია როდესაც კლუბში ხარ). ჯეკსონი კუთხეში იჯდა ვიღაც წვერიან კაცთან.

წვერიანი მუშათა ლიდერი ამბობდა რომ ის არის ოცდა ათ კეთილშობილთა საზოგადოების წევრი. ის უკვე მიღებულია მაღალ წრეებში, როგორც პატივსაცემი პირი და ეს კი სულ ადვილათ მოხდა. ამისთვის ის მხოლოთ 20 წელიწადი იყო ატუზული მბრძანებლის ალაყაფის კარებთან, რომ შესაძლებლობა ქონოდა და ხლებოდა მას. ოცი წლის შემდეგ მას ელირსა ხილვა მბრძანებელის და მან გაბედულათ მოახსენა, რომ მბრძანებელი უკვე კარგა ხანია რაც ცოცხლობს და დროა რომ განუსვენოს. მაგრამ მბრძანებელმა უთხრა, რომ ის ძლიერ კარგად გრძნობს თავს და კითხა: ხომ არ უპირებდა ან ის ან მისი მიმდევრები მას ძალათ სიკვდილს. მან მოახსენა, რომ არავის არა აქვს სურვილი მისი ძალით გარდაცვალებისა და მბრძანებელს შეუძლია როდესაც მისი სიკვდილის დრო მოაღწევს მაშინ განუსვენოს. ხოლო, რაც შეეხება წითლებს, თუმცა მათი გავლენა იზრდება და ისინი ყოვლად უცერემონიოთ აპირებენ მბრძანებლის საიქიოს მიბრძანებას, მაგრამ კულტურული მუშები მათ წინ გადაუდგებიან.



გარდა ამისა ლიდერი წინააღმდეგი იყო მკვლელობისა. თუმცა მან იმპერიალისტურ ომზედ ხელი მოაწერა, მაგრამ იმ ომზავდა, რომ ამასაც მისცეს საშუალება საქმეში ჩარევის და ხელის მოწერის ის სიხარულით მოაწერდა ხელს თუნდაც ათ ომზე. გარდა ამისა ამას მოითხოვდა ეკონომიური მოსაზრება და სახელმწიფოს უმაღლესი პოლიტიკა. ომში ხალხის გაწყვეტა ლიდერის აზრით სრულიადაც არ იყო ცოდვა.

უეცრად ჯექსონს მიუახლოვდა თანაშემწე და ჩუმათ უთხრა

— 10 საათზე ლონდონში მოვიდა იაშკა ჟერლო

ჯექსონი ჭერამდე ახტა.

— საიდან გაიგე.

— თითონ დამირეკა ტელეფონით

— №

— 15 — 67 — 03

— როგორ! მისი უბრწყინვალესობის კაბინეტიდან?

— არ ვიცი. შემდეგ როდესაც გამოვიძახე კაბინეტში ბრძანდებოდა მისი უბრწყინვალესობა და გაკვირვებით შემეკითხა თუ რისთვის. შევიწუხე თავი.

ჯექსონი ელვის სისწრაფით გავარდა გარეთ და გაემგზავრა საკუთარი ბინისაკენ. გზაში შფოთავდა. აკანკალებული ხელით გააღო კარები და თან ჯიბეზე ივლებდა ხელს.

თავი 4.

იაშკა ჟერლო.

1. ყველაზედ უკეთ მუშაობდა არალეგალურათ. მოიარა თითქმის მთელი დედამიწის ზურგი. ბორკილებიდან მას დაღიც გამოყვა ხელებზე. ლეგენდარული იყო ჟერლოს ბრძოლები. ოქტომბერმა მისცა მას ცოტაოდენი შესვენების საშვალება. ეხლა მან აიღო ახალი ამოცანის გადაწყვეტა: ბრძოლა მსოფლიო პროვოკატორ ჯექსონთან. ჟერლო იყო სულ მარტო, ერთი პატარა ჩემოდანით ის გამოეგზავრა მოსკოვიდან. ამხანაგები ეკითხებოდენ.

— რათ არ გსურს გაიყოლო თანაშემწენი.

— მე ვიქნები მარტო, ვნახოთ ვინ აჯობებს.

პოლონეთის საზღვარზე თავიდან ფეხამდე გასინჯეს, მაგრამ ჟერლო ყველას გაბედულათ უცქეროდა. გაუჩხრიკეს ჩემოდანი, რომელშიდაც აღმოუჩინეს საკვლები და პირსახოცი.

ბერლინში მან დაწვრილებით გაიგო ესსენის ამბოხების ამბები. როდესაც ჩავიდა ესსენში უკვე ყველაფერი მიჩუმებული იყო. მას პოლიციის რამოდენიმე საიდუმლო აგენტი დასდევდა უკან, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი ვერ ნახეს. როდესაც ჟერლო ბალში იჯდა და რაღაცას წერდა უბის

წიგნაკში, მას მიცემენდენ აგენტები ხელიდან გამოსტაცებულ ფულებს და წაკითხვის შემდეგ იმ წამსვე თავი დაანებებს. წიგნაკში [illegible]

კომუნისტურ პარტიის კომიტეტის წევრმა მას განუცხადა, რომ თუმცა პოლიციამ გაიმარჯვა, მაგრამ მუშებში მათი გავლენა უფრო გაიზარდა, რადგან ამ მაგალითმა საკმაოთ დაანახვა მუშებს თუ ვინ იყო მათი ინტერესების დამცველი. ქერლომ გამოკითხა ამბოხების სვლა და დარწმუნდა, რომ ორატორი რომელიც ცდილობდა მუშების დამშვიდებას იყო ჯეკსონი ბურჟუაზიის პროვოკატორი.

2. იაშკა ქერლომ იცოდა თითქმის ყველა ენებზე ლაპარაკი, რადგანაც არალეგალურ მუშაობის დროს მან რამოდენიმე წელიწადი დაყო გერმანიაში. შემდეგ იყო ამერიკაში, სადაც ის რამოდენიმე ხანს მუშათა თავისუფლების აგიტაციისთვის მოათავსეს სინგ-ზინგის ციხეში. მუშაობდა სან-ფრანცისკოს პორტში მტვირთავ მუშათ, რადგან ის ძლიერ ლონიერი იყო. შემდეგ სამგზავრო გემზე კოჩეგარათ. რუსეთში დაბრუნების შემდეგ პეტროგრადში ის დაატუსალა კანდარმერიამ და ტაიგაში (ციმბირში) გადაასახლეს: იქიდან ის გაიქცა იაპონიაში.

3. ჯეკსონი ჯერ კიდევ ბერლინში იყო, როდესაც მას მოუვიდა შემდეგი შინაარსის წერილი:

მისტერ ჯეკსონ!

მე მგონია, რომ თქვენ მაინც და მაინც არ გესიამოვნებათ ამ წერილის შინაარსი. მე ვიქნები კონკრეტიული. გიცხადებთ ამ თავითვე, რომ მე გადაწვეტილი მაქვს თქვენი განადგურება. ამისათვის გპირდებით მოსკოვისკენ გამგზავრებას.

—ი.

ჯეკსონმა გახსნა მეორე წერილი, რომელიც მას მოუვიდა ცეტრიდან.

სერ ჯეკსონ!

მოსკოვიდან წამოვიდა რევოლიუციონერი ქერლო. იყავით ფრთხილათ.

D.

ჯეკსონმა ინახულა პოლიციის უფროსი. აუხსნა მდგომარეობა. პოლიცია დატრიალდა, გამოუშვეს დედექტივები. დაჩხრიკეს ყველა ბინები, რომელნიც მიაჩნდათ საეჭვოთ.

მეორე დღეს ჯეკსონმა მთავრობიდან მიიღო წინადადება, გაყოლოდა საიდუმლო აგენტად პოლიტიკურ გადასახლებულებს რუსეთში.

— როგორ ფიქრობ ბობ.

— მე მგონია, რომ შეუძლებელია გაყვეთ სერ. ალბათ ქერლო თან გამოგყვებათ და თქვენ რუსეთიდან ველარ დაბრუნდებით.

ჯეკსონმა უარი განაცხადა და გაემგზავრა ლონდონში სწრაფ მატარებლით.

როდესაც ჯეკსონი ჯდებოდა მატარებელში ქერლო სადგურზედ იყო და აკვირდებოდა ჯეკსონს. იღიმებოდა, როდესაც ხედავდა თუ როგორ აკვირდებოდა ყოველ მგზავრს ჯეკსონი, ხოლო როდესაც ჯეკსონი საკმაოთ გაცილდა ბერლინს და ჯიბეში ჩაიყო ხელი ნახა წერილი. თვალები დაბრიცა და სწრაფად გახსნა.

სერ! თქვენ ვერას დროს ველარ ინახულებთ ბერლინს.

— ი.

თ ა ვ ი 5.

შ ე ხ ვ ე დ რ ა

1. — Allo. როლლანდ?

— Allo! აა.. სერ ჯეკსონ. რა ამბავია, თითქოს ცეცხლი გაგჩენოდეთ.

— მომისმინეთ! ლონდონში ჩამოვიდა იაშკა ქერლო. საჭიროა ზომების მიღება გავიგოთ სად დადგა ბინათ.

— როგორი სახის არის? ფოტოგრაფიული სურათი ხომ არა გაქვთ?

— არა. გააგზავნეთ აგენტები მთელ ლონდონის სასტუმროებში. გადასინჯონ ყველა ახლათ ჩამოსულები. შეიტყვეთ თუ მოიყვანეს ვინმე ასეთი მგზავრი. გაიგეთ სად წავიდა ან როგორი სახის არის. საღამოს 5 საათამდი თუ არაფერი არ აღმოჩნდა, მაშინ გამოუშვით 1000 დედექტივი დაათვალიერონ მთელი მუშათა ხელმძღვანელების ბინები. ყველა საეჭვო პირები დაატუსაღონ.

— ასრულებულ იქნება სერ.

ჯეკსონმა ჩამოკიდა ტელეფონის მილი და მიუბრუნდა გარრენდს.

— როგორ ფიქრობ ბობ! თუ კი პოლიცია ვერ შესძლებს აღმოჩენას, მაშინ ჩვენ უნდა შევუდგეთ საქმეს.

ცნობილმა დედექტივმა ირონიულათ გაიღიმა და მშვიდათ სიგარა გამოაბოლა.

— მე მგონია, რომ ისევ ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ, რადგან ის პირდაპირ ჩვენს წინააღმდეგ მოქმედობს.

2. 1-ელ საათზე ჯეკსონმა დაურეკა პოლიციის უფროსს.

— როგორ არის საქმე?

— პორტიდან მოვიდა ცნობა, რომ გემს არ მოყოლია არავითარი მაგდაგვარი კაცი. სასტუმროებიდან დაბრუნდენ აგენტები, მაგრამ არც იქ არის არავითარი ცნობა. ჯერ-ჯეროობით უნდა ეიცადოთ.

ჯეკსონმა გაბრაზებით დაკრა ფეხი იატაკს.

— მე ვიცი რომ არაფერი არ იქნება.

ჯეკსონმა და გარრენდმა გასინჯეს რევოლვერები და ქუჩაში გამოვიდენ.

3. პარლამენტში გამეფებული იყო მეტის მეტათ ზრდილობიანი სიჩუმე. ირჩეოდა საკითხი ირლანდიის ამბოხების შესახებ. ისმენდენ გლად-

ტონის სიტყვას. ლორდ გრენვილს 60 წლის მოხუცს ყურზედ მიდებული ქონდა რუპორი და კურდღელივით დაეტყვიტა თვალებიანი ბუჩქსა სულ წინ იჯდა, მაგრამ წამ და უწუმ წამოიწევდა და ზრდილობიანათ მიმართავდა ორატორს.

— თუ შეიძლება ცოტა ხმა მაღლა, არაფერი არ ისმის.

ორი დეპუტატი, რომელნიც მარჯვნივ ისხდენ და კეთილშობილების ნიშანი ლიპი საკმაოთ წამოსუქებული ქონდათ, საუბრობდენ ალმოსავლეთში რამოდენიმე ახალ კოლონიის დაპყრობის შესახებ, სადაც საჭირო იყო მისსიონერების გაგზავნა და როდესაც მისსიონერები ამბოხებას მოაწყობდენ ჯარის მიშველება.

საერთოდ პარლამენტის დეპუტატებზე არ შეიძლება ითქვას ცუდი რამ. ისინი ძლიერ კარგი ხალხი არიან. მათ ძლიერ უყვართ შრომა და გულმოდგინეთ არჩევენ სახელმწიფო საკითხებს. ისინი გამომხატველი არიან ერის სურვილების და ამიტომ ყველაზე უფრო მეტათ ცდილობენ გაიფართოონ საშშობლოს ტერიტორია.

ჟერლო გაკვირვებით უცქეროდა ამ მუდმივათ მძინარ ხალხის საქმიანობას. ლიბილით უცქეროდა იმას, რომელსაც ყურზედ რუპორი ქონდა მიდებული და გაზეთში ათვალიერებდა ახალგაზრდა მსახიობ ქალის პორტრესტს.

4. — არც მუშათა ხელმძღვანელების ბინების დათვალიერებამ მოგვცა რაიმე შედეგი.

— დააგზავნეთ ამაღამ ყველა მუშათა კვარტალებში აგენტები. უთხარით დაიარონ ყველა ცნობილი კაფეები და რუსულის მცოდნეებმა ილაპარაკონ რუსულათ.

— ასრულებული იქნება სერ.

ჯეკსონი მოუბრუნდა გარრენდს.

— ბოდ! მე ვფიქრობ ისევ შენ უნდა მოკიდო ხელი ამ საქმეს.

— მე ამაღამ მივდივარ, რომ იმისი ბინა ალმოვაჩინო.

— მეც მოვდივარ.

— არა, შენ არა ხარ საჭირო.

5. ჯეკსონს მთელი ღამე არ ეძინა. რეევოლვერი სულ ხელში ეჭირა და აბოლებდა სიგარას. ყოველ წამს შეოთავდა. დილის ხუთ საათზე, როდესაც ის წამოდგა და ტანთ ჩაიცვა, დაქანცული დაბრუნდა გარრენდი.

— ბოდ! ალმოაჩინე? — სწრაფათ შეეკითხა ჯეკსონი. გარრენდმა უიმედოთ ხელი ჩაიქნია და დაქანცული სკამზედ ჩამოჯდა.

— უბრალო კვალის ვერავითარი ნიშანი ვერ ალმოვაჩინე.

ჯეკსონი გაშრა. ორივე პირდალებული შესცქეროდენ ერთმანეთს. ჯეკსონმა აიღო ტელეფონის მილი.

— Allo როლლანდ?

— არა, მორიგი მასტონ.

— რა ამბავი მოიტანეს აგენტებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არავითარი კვალი, ყოვლად შეუძლებელი შეიქნა ამის აღმოჩენა. ის კაცი ნამდვილი ფენომენი უნდა იყოს.

ჯეკსონი დაფიქრდა. ვერ გაერკვია რა აღელვებდა ასე ძლიერათ. მოწინააღმდეგე, რომელიც ჯერ არ უნახავს, მან რაც შეიძლებოდა დაჭიმა ნერვები და ცდილობდა დამშვიდებულიყო, რადგან მთელი ღამის უძილობამ და რაღაც გაურკვეველმა შიშმა შეიპყრო. გარრენდი წავიდა დასაძინებლად. მას მოუხდა თითქმის მთელი ღამე სულ ფეხით სიარული და ეხლა ფეხზე ძლივს იდგა.

უეცრად შემოვიდა მსახური და გადასცა სადარბაზო ბარათი.

იაშვა ქერლი

ჯეკსონი რამოდენიმე წუთს გაურკვევლად იდგა. შემდეგ სწრაფად გამოერკვა და მივარდა კარებს.

— ეი ბობ, გარრი! აიღეთ რევოლვერები და დადექით კარების უკან.

სწრაფათ მივიდა საწერ მაგიდასთან აიღო ხელში ბრაუნინგი.

— ძლიერ გამბედავი ყოფილა.

თან უკვირდა, როგორ შეიძლებოდა ასე გაეყო თავი ხიფანგში და შიშს გრძნობდა. დაჯდა საწერ მაგიდასთან მოიმარჯვა ხელში ბრაუნინგი და უბრძანა ლაქიას.

— სთხოვე მოვიდეს.

თ ა ვ ი 6.

ფ ი ა ს კ ო

1. ლონდონში დილის 8 საათზე შეწყდა მოძრაობა. გადგა ლონდონის ხშირი მოვლენა: ნისლი. ტრამვაის ვაგონები საცოდავათ ხმაურობდენ და პოლისმენები უკრავდენ სასტვენებს. ხან და ხან ნელა გაივლიდა ავტომობილი, რომელსაც წინ ენთო პროჟექტორები. ტემზის სანაპიროზე იდგა ვილაც უცნობი პლაშჩით და არ ცილდებოდა განსაზღვრულ მანძილს, აკვირდებოდა გამვლელებს და მდინარე ტემზას, სადაც გემები აყვირებდენ სირენებს.

2. ქერლი შემოვიდა სწრაფად. გაკვირვებით შეხედა ჯეკსონს, რომელსაც მიმართული ქონდა რევოლვერი.

— ნებას მომცემთ დავჯდე?

ჯეკსონი ერთ წამს ჩუმათ იყო, შემდეგ ზრდილობიანათ სთხოვა დამჯდარიყო. მიმართულ რევოლვერს არ აცილებდა.

— გარდა ამისა თქვენ ყოველ კარებს უკან შეიარაღებული, ფანაშემწენი გყავთ დაყენებული. ეგ რევოლვერი უმჯობესი ყენება შეინახოთ.

— შეიძლება გკითხოთ რა გაიძულებთ ჩემთან ბრძოლას?

— სურვილი და აუცილებლობა უდიდეს ჯაშუშის დამარცხების.

— ვისთვის? — ჯეკსონმა გაიღიმა

— თქვენთვის სულ ერთი არის.

3. ჯეკსონმა გამოიჩინა მთელი აზროვნების სიძლიერე. ურჩევდა ჟერლოს, რომელსაც დარჩენოდა კიდევ შეძლება მხოლოდ ათეული წელიწადი საცხოვრებლათ, ესარგებლა მით, რის საშუალებასაც მას მისცემდა ჯეკსონი.

ჯეკსონი დაიხარა, გამოიღო მაგიდის უჯრა ამოიღო რვეული და გაუწოდა ჟერლოს.

— წაიკითხეთ. — ჟერლომ გადაფურცლა.

— მე-15-ტე გვერდი.

სერ ჯეკსონ

ჩემი შეხედულებანი საერთოდ კაცობრიობის სწრაფვაზე.

ა) რევოლიუციონური ბრძოლა არის ისეთი განცდა რომ კაცმა დაიწყოს, თუ რას წარმოადგენს ის, როდესაც მას აქვს აზროვნების საშუალება და ხედავს ხილულ ქვეყანას.

1) განმარტება: არსებობდა რელიგია: ის არის თავის თავად უბრალო. უნდა იწამო ღმერთი, მაგრამ იყო სასტიკი ბრძოლები ღმერთის სხვა გვარათ გაგების გულისთვის.

2) განმარტება: სოციალიზმი: თავის თავად უბრალო, ეკონომიური თანასწორობა. აქ თითქოს წარმოუდგენელია სხვა და სხვა აზრი. ყოველი სოციალისტი უნდა იდგეს ერთი დროშის ქვეშ, მაგრამ არიან უფრო მომთმენნი, რომელნიც ეგუებიან ძველ წყობილებას და ებრძვიან ახალს, რომელთაც სურთ რადიკალურათ გადაჭრა საკითხის.

— მე მგონია, რომ უმჯობესი იქნება ისარგებლოთ შენთხოვნით და დამიჯეროთ.

ჟერლო ჩუმათ იყო და იღიმებოდა. ჯეკსონი დარწმუნდა რომ არ შეიძლებოდა იმის მოყიდვა.

— მე წამოვედი იმიტომ რომ გავასწორო თქვენთან ანგარიშები.— ჯეკსონი გაბრაზდა.

— კარგი! მოვილაპარაკოთ 7 საათის შემდეგ. ეხლა ნება მიბოძეთ პოლიციის სამმართველომდე გაგაყოლოთ ჩემი თანაშემწენი.

ჟერლო ჯერ გაჩხრიკეს, შემდეგ ზრდილობიანად მიიყვანეს ავტომობილამდე, რომლითაც თითონ მოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პოლიციის მთავარი სამმართველო.

4. ტემზის სანაპიროსთან ავტომობილი უცბად გაჩერდა.

— რა ამბავია,—იკითხა ბობ გარრენდმა.

ოცი ნაბიჯის დაშორებით ბურუსში ირჩეოდა ვიღაც უცნობი, რომელიც ხელს აქნევდა და ანიშნებდა ავტომობილს გაჩერებულიყო. ბობმა ანიშნა მიახლოვებოდა ავტომობილს. უცნობი არ დაიძრა. ბობი სწრაფად გადმოხტა ავტომობილიდან და მიუახლოვდა უცნობს. ის უცბად მობრუნდა და გაიქცა. ბობი გაკვირვებით გასცქეროდა ამ უცნაურ კაცს, მაგრამ უცბად ნოიხედა, როდესაც გაიგონა ნოტორის გუგუნი და მეგობრის ყვირილი. ავტომობილი უკვე მიიმალა ნისლში და როდესაც ბობი მიუახლოვდა იმ ადგილს მას დახვდა მეგობარი, რომელსაც შუბლზედ უზარმაზარი კოპი აჯდა.

5. 1-ლ საათზე და 30 წუთზე ჯეკსონმა დაურეკა სამმართველოში.

— ნე ეხლავე მოვალ. ჟერლოს ბორკილები დაადეეით.

— საოცარი ამბავი, სერ ჯეკრონ, ჟერლო გაიქცა...

ჯეკსონს ტელეფონის მილი ხელიდან გაუვარდა. ტელეფონის მილი კი თავისთვის ლაპარაკობდა.

— ტემზის სანაპიროზედ... ავტომობილის ნომერი ვერ გავიგეთ...

თ ა ვ ი 7.

გულჩვილობის შესახებ

1. პირდაპირი ხაზი ლონდონ პარიზი. აეროპლანი „ბრისტოლ-პულმან“ კროიდონის სტარტზედ უკვე მზათ იყო ასაფრენათ. მგზავრები ნელნელა ჩასხდენ. ეწყობოდენ საფრთხილო ვაგონში და იწერდენ პირჯვარს. ილიმებოდა ავიატორი და ერთი მგზავრი მკერი ტანადი, რომელსაც ცალ თვალზე გაკეთებული ქონდა მონოკლი. აეროპლანი სწრაფად აფრინდა ღრუბლებამდი და სწორი კურსით გაემართა პარიზისაკენ.

2. დილის ცხრა საათზე რბილ ლოგინში გაშხლართული იყო საფრანგეთის რესპუბლიკის პრემიერი. მიირთმეედა ყავას და კითხულობდა „ფიგაროს“ დილის ნომერს.

1. გერმანიის განიარაღება გრძელდება. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მოკავშირეთა ასეთ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ყოვლად შეუძლებელია ევროპას მოეღოდეს მილიტარიზმის საფრთხე. გერმანიიდან უკვე გამოზიდულია 3.000 ზარბაზანი და 20.000,000 თუთი ხაბშირი. მოკლე ხანში გერმანია გადასცემს საფრანგეთს 25.000 ლორს და 17.000 ძროხას ინ ვალდებულების ანგარიშში, რომელიც მან უნდა გადაიხადოს დამარცხების შემდეგ.

2. კომუნისტებმა პეტროგრადში დახვრიტეს 30.000 პატიოსანი მოქალაქე. მათი სიმხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგები და ინგლისელები, რომელთაც ბრძოლა-ბრძოლები აწამებენ და შემდეგ დაუმარხავათ ყრიან მინდორში. განსაკუთრებით გავრცელებულია თვალების ამოთხრა. ამ ალქაჯებს ხელში უჭირავთ კოვზები, რომელთაც გარშემო მოლესილი აქვს პირი და იმით თხრიან თვალებს. მთელ რუსეთში ატუსაღებენ და იმ წამსვე ხვრეტენ ყველა წარჩინებულ პირთ. მოსახლეობა შემცირდა 50%-ტით.

3. მაიორ დებრეკი ამ დღეებში მოახდენს ცდას მის ახლად გამოგონებულ ასაფეთქებელ მასალის სიძლიერის გამოსაკელევათ. ამისათვის ქალაქ გარეთ ერთ ალაგას მიბმული იქნება 60-მდე ძაღლი, რომელთაც ესვრიან საცდელ ყუმბარას.

პრემიერი აღელდა: როგორ შეიძლება რომ საფრანგეთმა ჩაიდინოს ასეთი სიმხეცე, მაშინ ინგლისი მას დასწამებს მხეცობას და ამან შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკური გართულება.

3. 2 საათისა და 12 წუთის შემდეგ აეროპლანი დაეშვა ბიურჟეს აეროდრომზე. ჟერლომ გადმოიტანა თავის ჩემოდანი. 15 წუთის შემდეგ ის უკვე იჯდა სასტუმრო „მარს"-ში. გადაათვალიერა ახალი გაზეთები და გამოვიდა „ავენ დე ლ, ოპერა"-ზედ.

4. 11 საათზე უზარმაზარ სარკის წინ იდგა მადამ კავალიე და ვნებით ეალერსებოდა თავის სხეულის ლანდს. ის გაბრაზებული იყო ქმარზე, რომელსაც ვერ გაუმართლა იმედი ფინანსიურ ბიუჯეტის სახით. მას 365 შლიაპის მაგივრათ ქონდა მხოლოთ 150 და პარიზში კი არცერთი უმაღლესი წრის ქალი ერთ და იმავე შლიაპას მეორეთ არ დაიხურავს. ალბათ ეს იყო მიზეზი მისი ბარონ დე მონტონთან დაახლოვების.

5. ჟერლოს აკვირვებდა მხოლოთ ტანისამოსები. პარიზში ქალი არ შეიძლება იყოს ულამაზო. ამისთვის შექმნილია ყოველგვარი საშუალება. კორსაჟები, პრესსები, ბანდაჟები, ცხვირის გასასწორებელი ფორმები, ფეხის დასაპატარავებელი კალაპოტები, კრინოლინები, სახისთვის ემალის ფერადები და საუკეთესო ქირურგები, რომელთაც შეუძლიათ გასწორონ ტანის ყოველგვარი დეფექტი.

6. პარლამენტი გამოცოცხლდა. საკითხი ძაღლების შესახებ მეტის მეტად გამწვავდა. დეპუტატ დიუროლლმა ილაპარაკა 2 საათი და 3 წუთი თუ რას წარმოადგენს ძაღლი სახელმწიფოსათვის. კენჭის ყრის დროს ხმები გაიყო 326 და 326. საკითხი გამწვავდა. ამ დროს პარლამენტის თავმჯდომარემ, რომელიც მამასავით დასცქეროდა საყვარელ დარბაზს შეამჩნია, რომ ცენტრის დეპუტატ ლეტურენს მშვიდათ ეძინა. დაუძახა ქვესტორს.

— გააღვიძეთ ლეტურენ.

ლეტურენი გააღვიძეს და უთხრეს კენჭის ყრაში მონაწილეობა მიეღო. ლეტურენმა მაშინვე ასწია ხელი და ამგვარად 327 ხმის უმრაკლე-

სობით 326 წინააღმდეგ დადგენილ იქნა, რომ ასეთი ბრძანების ძალება აკრძალული ყოფილიყო საფრანგეთის საზღვრებში.

გაზეთები ალაპარაკდენ ძაღლების შესახებ. „ლე'მატენმა" მოათავსა მოწინავე „სახელმწიფო და ძაღლი", პოეტებმა ლირიული პოემები" ავადმყოფი ძაღლი", „საყვარელი ფოქსი", „მისტიური მწევარი ტექსი" და სხ.

თ ა ვ ი ს.

გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ა

1. ღამის 10 საათზე ჟერლო დაბრუნდა სასტუმროში. სამწერლო მაგიდაზედ ნახა წერილი, რომელშიდაც ეწერა:

მეგობარო **იან!**

განზრახულია კომუნისტ დ'ორვილის გატაცება. დავალებული აქვს ჯეკსონს. ხვალ ღამის 11 საათზე იქნებით კაფე „რესპუბლიკაში" 153 ავენიე № 109. **ოვ.**

ჟერლომ გაკვირვებით გადაათვალიერა წერილი და დაუძახა ლაქიას.

— დღეს ვინ იყო ჩემს ოთახში?

— არავინ Monzieur.

— ჩემ გვერდით ვინ ცხოვრობს?

— ოსმალი ჯაფარბეი.

— მეორე ოთახში.

— დღეს გადმოვიდა ბარონ დე მონტონ.

ჟერლომ მხრები აიჩეჩა და უბრძანა ლაქიას წასულიყო.

2. მე ვფიქრობ რომ თქვენ ძლიერ ადვილათ შესძლებთ ამ საქმის მოწყობას. ჩვენ საკმაოთ ვითმინეთ. აუცილებლათ უნდა მოახერხოთ რაც შეიძლება ჩქარა. დანარჩენზე...

უცნობმა ხმას დაუწია და რაღაც წასჩურჩულა ჯეკსონს.

— ვიცი, ვიცი.

აიღო ქუდი და ეუჩაში გამოვიდა. ცხადი იყო, რომ ქვეყნის მშვიდობიანობის გულისთვის საჭირო იყო...

3. — ბობ! დღეს საღამოს კაფე „რესპუბლიკა"-ში დაუახლოვდები დ'ორვილს, გადაიცვი ბუშის ტანსაცმელი. შესთავაზებ, რაც შეიძლება მეტ, ღვინოს. ეცადე დაათრო. შემდეგ მოვალ მე. ვიმოქმედებთ ერთად. ჯერ შენ წახვალ ჩვენ მე-15-ტე საღგომში. მოამზადებ ყველაფერს. ტრანსფორმატორი ენდა იძლეოდეს 1500 ვოლტს.

4. საღამოს 9 საათზე ბობ გარრენდი და დ'ორვილი ერთად ისხდენ და საუბრობდენ.

— გარსონ! ორი ბოთლი კიდეე!

ბობი იგინებოდა, აბოლებდა ყალიონს და ხმა მაღლა ყვიროდა.

— ყველანი გამყიდველები არიან. იტყუებიან. რა კი თითონ ხელთათმანების ტარება ისწავლეს ეხლა ჩვენ ფეხებზე ვკიდივართ, უმჯობესი დაველიოთ. გარსონ...

მოიხედა და დაინახა დახლთან უცნობი, კოსტიუმიანი ფეტრის ქუდით. მუშები შესაქეროდენ უცნობს.

— ოჰო! სად მოსულა. მე ვიცნობ მაგ არამზადას. ეგ მილლიონერი გახლავთ და სოციალისტობს, თითქოს უარყოფს მილიონებს.

Monzieur კამილლ! გთხოვთ ერთ წუთს.

ჯეკსონი მიუახლოვდა სუფრას. მოითხოვეს შამპანიური. ბობი სიამოვნებით ხვრეპდა ღვინოს.

— Monzieur კამილლ, არ შეიძლება გვაჩვენოთ პარიზის ბურჟუაზიის ცხოვრება?

დ'ორვილი უარზედ იყო, მან ძლიერ კარგათ იცოდა თუ როგორ ცხოვრებას ატარებდა ბურჟუაზია. ბოლოს დაითანხმეს. გასავალ კარებთან ჯეკსონი შეხტა. მაგიდას უსხდენ რამოდენიმე მუშა მათ შორის ყერლო.

5. პარიზი განათლებული იყო ჩვეულებრივათ. ფერადი ვიტრინები. ქუჩაში დიოდა პარფიუმერიის სუნი. შპიონები აკვირდებოდენ ყოველ გამვლელს. საჭირო იყო რაიმე საქმის გამოძებნა. ქუჩაში საინტერესო იყო ერთი პიროვნება, რომელსაც ეცვა ძლიერ კარგათ. ეს იყო 225 ავენიუზედ 128 ნომერ სახლის წინ. უცნობი ერთბანს ყოყმობდა, შემდეგ შევიდა სახლში და ავიდა მესამე სართულზე. ოთახ № 29-ის კარებზედ მიკრული იყო სადარბაზო ბარათი.

ᲨᲘᲡᲐᲘᲚ ᲠᲝᲨᲐᲜᲝᲕᲘ

სრულიად რუსეთის დიდი მთავარი

კარები თითონ მიხაილმა გაუღო. ლაქია სასეირნოთ წასულიყო.

— რით შემიძლია გემსახუროთ

— მე მსურს ბარონის ტიტული დე მონტონის სახელზე.

— ეხლავე გაგიმზადებთ, მოამზადეთ ოცი ინგლისური გირვანქა.

6. დ'ორვილი სრულიად არ იყო ეჭვში, ის მართლაც დაინტერესდა მილლიონერების ცხოვრებით. ბობი ოხუნჯობდა ჯეკსონი კი უკან იხედებოდა და აკვირდებოდა ავტომობილებს.

— ჯერ ჩვენ ბინაზედ შევივლით სადაც გამოვიცვლით კოსტიუმებს და გავსწევთ ბომონდისაკენ.

— თუნდაც დემიმონდისკენ. — ბობი ძლიერ მხიარულათ იყო. ავტომობილი გაჩერდა რომელლაც მაღალ სახლის წინ, მაგრამ ჯეკსონმა უბრძანა შოფერს ავტომობილი შეეყვანა ეზოში. ავტომობილის უკან ბენზინის ბაკიდან გადმოხტა ვილაც და გაექანა „რესპუბლიკისაკენ".

7. კაფეში შეჯგუფდენ მუშები. ხმამაღლა ლაპარაკობენ. ახლათ მოსულები კითხულობდენ.

— დ'ორვილი გაიტაცეს.



მუშების უბანს სწრაფად მოედო გატაცების ამბავი. [illegible] ასეული მუშა სირბილით გაექანა იმ სახლისკენ. პოლიციელები [illegible]. ცქვიტეს ყურები. ელესმენებით გადასცეს, რომ ქუჩებში რაღაც მღელვარება არის. შენობის წინ თავი მოიყარა აუარება ხალხმა — ვიღაც მუშა, რომელსაც ხელში ეჭირა უზარმაზარი ყალიონი გაბრაზებით ელაპარაკებოდა პოლიციელს.

— გთხოვთ გაჩხრიკოთ ეხლავე მთელი შენობა ეს აუცილებლათ გატაცება იყო.

— მე არავითარი უფლება არა მაქვს. ეხლავე დაიშალეთ.

ავტომობილით მოვარდა პოლიციის უფროსი. როდესაც დარწმუნდა, რომ მართლაც გატაცება მოხდა დათანხმდა გაეჩხრიკა სახლი რამოდენიმე მუშის თანდასწრებით.

2 საათის შემდეგ პოლიციის უფროსი და მუშები გამოვიდენ სახლიდან. მათ ვერავითარ კვალს ვერ მიაგნებს. ატყდა ჩოჩქოლი.

ამხანაგებო მე მგონია რომ ეს ხუმრობა იყო, — ამბობდა ზოგი.

თ ა ვ ი 9.

ა ს რ უ ლ ე ბ ა

1. ღამის პირველ საათზე პარიზი ელავდა. ეიფელის კოშკის კენწეროდან ანათებდა პროჟექტორი. ზეცაზე გაკრული იყო აუარება ცეცხლიანი პლაკატები. რესტორანები ხმაურობდენ. შანტანებში გადადიოდენ ყირას. კარტის სათამაშო პრიტონებში სტოლებზე დაგროვილი იყო ფული. მოთამაშეებს უცახცახებდათ ხელები. ტერრასებზე ვახშმობდენ მილლიონერები. ღელავდენ შიშველი მკერდები და ხვნეშოდენ სქელი მუცლები.

2. სკამი ისე იყო მოწყობილი, როგორც ხმაროობენ ამერიკაში, სპილენძის დასაჯდომი და თავის მისადებიც სპილენძის. დ'ორვილს მოპარსეს თმა და უკან გამოჭრეს შალვარი, შემდეგ მაგრათ მიუკრეს სკამზე თავი, ხელები და ფეხები.

მოვიცადოთ სანამ გრძნობაზე მოვიდოდეს.

ჯეკსონმა ოფლი მოიწმინდა და პაპიროსი გააბოლა.

3. — სადგური? მომეცით D9-67-28.

ყერლომ აიღო ტელეფონის მილი

— გისმენთ.

— გამიგონეთ ეხლავ გაემგზავრეთ დეევრეს ქუჩაზედ № 215 მეექვსე სართული ოთახი № 18. იქ არის ჯეკსონი და ტყვეთა ყავს დ'ორვილი. უპირებს ელექტრონის სკამით სიკვდილს. ეცადეთ საერთო დაფაზე გამორიცხოთ მთელი ძალა. ამ წუთსავე გაემგზავრეთ. შემდეგ შეიძლება გვიან იყოს!.. ჩემი სახელი საჭირო არ არის. ნუ დააგვიანებთ. — ბარონ დე მონტონი შებრუნდა სათამაშო დარბაზში. კრუპპიე ყვიროდა.

— 280 ბატონებო...

4. — თქვენი უკანასკნელი სურვილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემთვის არავითარი არ არსებობს... მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი მუშათა კლასი გაიგებს თუ როგორ დალუპეს მათთვის პატიოსანი მებრძოლი.

კარებიდან შემოესმათ ძლიერი ხმა

— მართალი არის...

ჯეკსონმა და ბობმა იმ წამსვე იძრეს რევოლვერები. დერეფანში გარბოდა ვილაცა.

— შეჩერდი!

უცნობი უკვე ავტომობილით მიქროდა. ჯეკსონმა თითონ გააქროლა ავტომობილი. შოფერი პირდაღებული უცქეროდა.

— 420... 450... 550... 600...

სახლები ერთი ერთმანეთს გადაეგენ. უცნობმა მოუკლო სვლას.

— მუშათა კვარტალში შევვიტყუა. სჯობს უკან დავბრუნდეთ. და რაც შეიძლება დავაჩქაროთ, რომ ხვალ დილას კვალიც ველარ მიაგნონ.

დ'ორვილი ისევ ისე დაუხვდათ. ის ჩუმად იყო.

— თქვენა გგონიათ ასე ადვილი არის ჩვენი აღმოჩენა? ბოპ! შეაერთე. — ბობმა გადაკრა კონტაქტის სახელურს. ორივემ თვალები დაბრიცეს. ელექტრონი არ იყო. დ'ორვილი გაკვირდა.

— დაათვალიერე შნურები. მოხსენი ბირთვები.

ორივემ ჩხიკინი დაიწყეს. ათას გვარათ გაშინჯეს. ძალა არ იყო.

— ალბად იმან თუ გადაჭრა. გავმინჯოთ გარედან.

მაგრამ გარედან ისინი ჭერისკენ გაიქცენ და იქიდან მეორე სახლის სახურავზე გადახტენ. დაეშვენ ლიფტით და საჩქაროდ გავარდენ ქუჩაში. შენობაში შემოცვივდენ მუშები.

5. თენდებოდა. კაფე „რესპუბლიკა" მაინც ღია იყო. ისმებოდა აუარება ღვინო და მუშები გაბედულად მღეროდენ თავისუფლების გიმნს.

— გაუმარჯოს ჟერლოს, გაუმარჯოს დ'ორვილს.

დილის ცხრა საათზე ჟერლომ მიიღო ბარათი.

ამხანაგო ჟერლო!

ჯეკსონი დღეს დილის 6 საათზე გაემგზავრა ამერიკაში. თქვენ წახვალთ შემდეგი გემით, ორი დღის შემდეგ. განზრახულია ახალი ავანტიურა, იმედი მაქვს გაიმარჯვებთ ისე როგორც წუხელის. **უცნობი.**

ჟერლო გაკვირვებით დასცქეროდა წერილს და ფიქრობდა ვინ უნდა ყოფილიყო ეს უცნობი.

6. ორი დღის შემდეგ ჟერლო იჯდა გემ „ნავრიტანიაზე" და მიემგზავრებოდა ამერიკისაკენ. გემის მსახურს კითხა:

— ჩემ გვერდით ვის უჭირავს კაიუტა?

— ოსმალი ჯაფარ ბეი.

— მარჯვნივ?

— ბარონ დე მონტონ და მისი მეუღლე მადამ ლეა კავალიე.

ჟერლოს პირი ღია დარჩა.

დასასრული 1-ლი სერიის.

ვლად. მაიაკოვსკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოდა რევოლიუციის

ჩვენ ეს არ გვჯერა

აგდებულო, შენ, მრავალ მხრიდან,
დაცინულო
შენ,
დაღარულო
გესლით სავსე, წრომის სიტყვებით,
მე შენ გამაღლებ
ზე გაცილებ
ყველას ძაგებას
ბრწყინვალე ოდის
ამოძახილით.
ოი მხეცურო!
ოი ბავშურო!
კაპიკიანო!
ო დიდებულო!
რომელ სახელით არ იყავი შენ მონათლული.
შემობრუნდები კიდევ როგორც
ოპიროვანი
მთლიან შენობას ემგვანები
თუ ნანგრევების
მტვერსა და ნახვეტს?
შენ,
მემანქანეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახშირის მტვრით რომ შემურულა
მაღაროს, მუშას,
მადნის სისქეს რომ ანადგურებს
უკმევ
სიყვარულს,
და ადიდებ შრომის ბარაქას.
უცბათ იცვლები.
ხვალ
ტაძრების ჩალანგარები
მუდარით გთხოვენ პატიებას.
ხვალ
ზარბაზნები
ეს ტახები სქელ დინგიანნი
ანადგურებენ ათასწლოვან
კრემლის დიდებას
დიდება!
თითქოს ხრიკლმა სასიკვდილომ
ქვლავ
მოგადუნა
გზავნი მეზღვაურთ
მკერდ გაჩეხილ რკინის გზებზე
სადაც
შემთხვევით დარჩენილი კნავის კატუნა.
და ამის შემდეგ
ხარ ღრიალი
მთვრალი ბრბოების.
გაქვს ვაქკაცურათ ულვაშები გადაგრეხილი.
მიერეკები კონდახებით
თეთრ ადმირალებს
და აყირავებ
ჰელსინგფორსის მაღალ ხიდიდან.
ძველ სქელ იარებს
ილოკავ კვნესით.
და ისევ ვხედავ
რომ გადმომსკდარან
სქელ ძარღვებიდან სისხლის ღვარები...
ჩვეულებრივო,
— შენ ალარასდროს არ მეყვარები
მაგრამ პოეტის
საკუთარო იყავ ქებული
და სამუდამოთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთხჯერ მეტად
განდიდებული.
ჩვენ ეს არ გვჯერა!
გაზაფხულის დღე
ჩეროებით დაფენილია...
ყველა ქუჩაზე გაკრულია
მთავრობის ცნობა.
არა,
არ გეინდა!
განა უბრძანებ ელვას:
ნათლად ნუ დაიღვრები?
არა!
ქუხილის ხმაურს
განა ვინმე სალტეს დაადებს!?
სამარადისოთ
იხმაურებს
ათასი ფრთებით
ლენინის სიტყვა
დაძახილი
ნაღარიანი.
სიმუნჯით მეხი
განა მართლა დასნეულდება?!
გრიგალის
სვეტებს შეაჩერებ
ცის ქვეშ მდულარეს?!
არა!
არასდროს შესუსტდება
ლენინის ნება
ერ-კა-პეს მთლიან
დაუძლეველ მაგარ ნებაში.
ასეთი სიცხე
იზომება
სიცხის საზომით?
ან მისი მაჯა
განა უნდა წუთებით
სცემდეს?
რევოლიუციის
რკინის მკერდში
მარად იცოცხლებს
და არ მოკვდება
ლენინის გული...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა!
არა!
ა — რ — ა!
არ გვინდა,
ეს თეთრი მთავრობის ცნობა...
ეს შემხუთველი
მოლანდება
მოსცილდეს თვალებს.

წუნკალ ეგზ!

გაჩერდით ჩუმათ
სტრიქონებით დადალული!
მისმინეთ ეს ლმუილი
მგლის,
პოემით გამოსახული.
მომეცით აქ
ყველაზე, მსუქანი,
ყველაზე მელოტი!
მივათრიო საყელოთი
და ჩაეკრა ცხვირით
იმ წიგნში
სადაც, ჩვენ შიმშილზე ვყვირით.
ნახე!
შეხედე —
ამ შიშველ ციფრებს...
ქარი ძალას იკრებს.
ამოსკდა
და ჩადგა, ხმიანი...
ვოლგის სოფლების
კუბო მოლიანი
აივსო —
მილიონ სახურავით.
თოვლის ქარშია მხურავი.

მილები —
კუბოს სანთლებია.
თვითონ ყორნებიც
ქრებიან,
ყორანმა იკის

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რომ,
ამღვრეული
მლაშე სუნია
რადგან
ადამიანის ხორცი იწვის.
ვაჟის?
მამის?
დედის?
ქალის? ვისია?!
ვისი კაცჭამიობის რიგი!
შველა არ იქნება!
თოვლმა გზა გადაჭრა.
შველა არ იქნება!
ვერავინ გადარჩა.
ჰაერი კრულია!
შველა არ იქნება!
ფეხზე მოგნესილი აყალოც შეჭმულია?
საკვებათ ფოთოლის
შოვაც ძნელია...
არა,
არ გვიშველიან!
დავემორჩილოთ...
ათი გუბერნიის
გაზომეთ საფლავი!
ოცი მილიონი!
ოცი —
მოკვდეს დაეწყოს
როგორც რომ საკლავი.
მხოლოდ დედამიწა
ბღავის
სტირის
ჩახრაკულ ხმით,
და ქარი თამაშობს
გზის,
და მდინარეთა,
თოვლიან აბურდულ თმით
ისვრის დედამიწა კრულვას
გაგიჟებულს
ჩახრაკულ ხმით.
პური!
პურები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატეხი პურის!
თვით მიჩერებული სიკვდილზე თვალებით
მჭამელი ცოტასი,
მხოლოდ მოკრძალებით,
ქალაქი თუ არის სოფლის ნუგეში,
ქალაქი აწოდებს ნამცეცებს
სოფელს გადაწვდილი.
მულმის პეშვით.
„პურო!
პური ცოტა!
ნატეხი პურის! —
ძლივს — ოვითონ რადიო —
ამ ბლავილს უძლებს...
პასუხათ
მიქარვა ათასი
ავსებს გაზეთის ფურცლებს,
„ლონდონი.

ბანკეტი.
დაესწრენ მეფე დედოფალი-
ბანკეტის სტუმრებს ვერ დატევს სოფელი
იყავით წყეული!
მსურს ისე მოხდეს,
რომ თქვენი თავები დაგვირგვინებულ
ველურთა
ხელებში, მოხვდეს —
ადამიანებს რომ სჭამენ —
მსურს თქვენმა სამეფომ
დაიწყოს ზანზარი
ბუნტის, ამბოხების ხანძარით.
ცეცხლი დატრიალდეს
ყოველ თქვენ ქალაქში და ყოველ
დაბებში,
და თქვენი მეუკვიდრე
ქალები,
ვაჟები
იხარშონ ორთქლიან ქვაბებში!
„პარიზი.
პარლამენტარების სხდომაა...წყალობა.
შიმშილზე სიტყვა მიეცა
ნანსენს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისმინეს ლიმილით —
თითქოს გულს ატკბობდა ბულბულის
გალობა
თითქოს მოისმენდენ ლამაზ რომანსებს.
იყავით წყეული!
ნურც მოგისმენიათ
ნუგეში,
სიტყვა სანეტარო,
ფრანგო პროლეტარო!
მალე ხარბათ მოუჭირე კისრებს
ჩასუქებულს
მაგარი თითების რკალი.

—

„ვაშინგტონი...
ფერმერებს
ნუცლებზე
რუმბათ ამოსყლიათ ქონი.
სიჭარბის გამო
ზღვის მაღალ ბეირთებს
ფყრიან სიმინდის ტვირთებს. —
იყავით წყეული!
იყოს თქვენს
ქუჩებში
სუნი ამბოხების ბოლის...
ისე ათამაშონ
მაგ თქვენი მუცლები
როგორც რომ ბურთ-ფუტბოლის!
„ბერლინი...
ხაროობენ რუსეთის ბანდები:
დამშეულ ძმებს
ადვილათ დასწვავენ საომარ შანთებით
დადის მაწაძალი
გულ გახარებული იმედის სიოთი.
ტრაბახობს:
— მე ვარ რუსის პატრიოტი!"
იყავით წყეული!
„შორს"!
„შორს"
თქვენ მუდამ.
ეგრე ითრიალეთ როგორც იუდამ.
და ოქრო ფრანგული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გდევდეთ სამუდამოთ
ოქრო რომ გწყურიათ.
ეგდეთ უცხოეთში თქვენ „მარადურით“.
ერთად შეეაგროვოთ
რუსეთის ტყეები,
უნდა ავირჩიოთ მაგარი ტოტები
რომ ზედ ჩამოვკიდოთ ძაღლი ბორლეტები.
ეკიდონ
შავი და ლურჯი სახეებით.
„მოსკოვი“
ფულებს აგროვებენ...
მაგრამ "ამპირებში"
არ უპასუხებენ, უსიტყვოთ სტოვებენ.
ან და
რომელიმე
ოხერი, თარსი
აძლევს სამთუმნიანს რომელმაც
დაჰკარგა ყოველი ფასი.
იყავით წყეული!
ყოველ ნერწყვს მიეცეს
ისეთი თვისება,
რომ თქვენ კუჭს დაეცეს
მჩხვლეტავ საღგისებათ:
რომ ხორცის ნაჭერი
ცვარების მფანტველი,
გიჭრიდეთ ნაწლევებს
როგორც ბაკრატელი.
გაწყდება. —
გაწყდება ოცი მილიონი!
აქ მიცვალებულთა პირით
და სახელით,
იყავით წყეული
წყეული მარად
ვინც ვოლგის საშველათ, მსხნელად არ წახვედით.
ამით არ ვეხები მსუქან
მუცლიანებს
არც მეფის გულისა
მსურს ამით დაღობა.
იმათ გულს
სიტყვა ვერ ააფრთიანებს,
იმათ მკერდს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთხჯერ მეტად
განდიდებული.
ჩვენ ეს არ გვჯერა!
გაზაფხულის დღე
ჩეროებით დაფენილია...
ყველა ქუჩაზე გაკრულია
მთავრობის ცნობა.
არა.
არ გვინდა!
განა უბრძანებ ელვას:
ნათლად ნუ დაიღვრები?
არა!
ქუხილის ხმაურს
განა ვინმე სალტეს დაადებს!?
სამარადისოთ
იხმაურებს
ათასი ფრთებით
ლენინის სიტყვა
დაძახილი
ნაღარიანი.
სიმუნჯით მეხი
განა მართლა დასნეულდება?!
გრიგალის
სვეტებს შეაჩერებ
ცის ქვეშ მდუღარეს?!
არა!
არასდროს შესუსტდება
ლენინის ნება
ერ-კა-პეს მთლიან
დაუძლეველ მაგარ ნებაში.
ასეთი სიცხე
იზომება
სიცხის საზომით?
ან მისი მაჯა
განა უნდა წუთებით
სცემდეს?
რევოლიუციის
რკინის მკერდში
მარად იცოცხლებს
და არ მოკვდება
ლენინის გული...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა!
არა!
ა– რ –ა!
არ გვინდა,
ეს თეორი მთავრობის ცნობა...
ეს შემხუთველი
მოლანდება
მოსცილდეს თვალებს.

წ უ ნ კ ა ლ ე ბ ო!

გაჩერდით ჩუმათ
სტრიქონებით დადალული!
მისმინეთ ეს ლმუილი
მგლის,
პოემით გამოსახული.
მომეცით აქ
ყველაზე, მსუქანი,
ყველაზე მელოტი!
მივათრიო საყელოთი
და ჩავკრა ცხვირით
იმ წიგნში
სადაც, ჩვენ შიმშილზე ვყვირით.
ნახე!
შეხედე —
ამ შიშველ ციფრებს...
ქარი ძალას იკრებს.
ამოსკდა
და ჩადგა, ხმიანი...
ვოლგის სოფლების
კუბო მთლიანი
აიესო —
მილიონ სახურავით.
თოვლის ქარშია მხურავი.

მილები —
კუბოს სანთლებია.
თვითონ ყორნებიც
ქრებიან,
ყორანმა იცის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ,
ამღვრეული
მლაშე სუნია
რადგან
ადამიანის ხორცი იწვის.
ვაჟის?
მამის?
დედის?
ქალის? ვისია?!
ვისი კაცჭამიობის რიგი!
შველა არ იქნება!
თოვლმა გზა გადაჭრა.
შველა არ იქნება!
ვერავინ გადარჩა.
ჰაერი კრულია!
შველა არ იქნება!
ფეხზე მოგნესილი აყალოც შეჭმულია?
საკვებათ ფოთოლის
შოვაც ძნელია...
არა,
არ გვიშველიან!
დავემორჩილოთ...
ათი გუბერნიის
გაზომეთ საფლავი!
ოცი მილიონი!
ოცი —
მოკვდეს დაეწყოს
როგორც რომ საკლავი.
მხოლოდ დედამიწა
ბღავის
სტირის
ჩახრაკულ ხმით,
და ქარი თამაშობს
გზის,
და მდინარეთა,
თოვლიან აბურდულ თმით
ისვრის დედამიწა კრულვას
გაგიჟებულს
ჩახრაკულ ხმით.
პური!
პურები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნატეხი პურის!
თვით მიჩერებული სიკვდილზე თვალებით
მჭამელი ცოტასი,
მხოლოდ მოკრძალებით,
ქალაქი თუ არის სოფლის ნუგეში,
ქალაქი აწოდებს ნამცეცებს
სოფელს გადაწვდილი.
მულმის პეშვით.
„პური!
პური ცოტა!
ნატეხი პურის!--
ძლივს — ისვითონ რადიო —
ამ ბლავილს უძლებს...
პასუხათ
მიქარვა ათასი
ავსებს გაზეთის ფურცლებს.
„ლონდონი.

ბანკეტი.
დაესწრენ მეფე დედოფალი-
ბანკეტის სტუმრებს ვერ დატევს სოფელი
იყავით წყეული!
მსურს ისე მოხდეს,
რომ თქვენი თავები დაგვირგვინებულ
ველურთა
ხელებში, მოხვდეს —
ადამიანებს რომ სჭამენ —
მსურს თქვენმა სამეფომ
დაიწყოს ზანზარი
ბუნტის, ამბოხების ხანძარით.
ცეცხლი დატრიალდეს
ყოველ თქვენ ქალაქში და ყოველ
დაბებში,
და თქვენი მემკვიდრე
ქალები,
ვაჟები
იხარშონ ორთქლიან ქვაბებში!
„პარიზი.
პარლამენტარების სხდომაა...წყალობა.
შიმშილზე სიტყვა მიეცა
ნანსენს...

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ისმინეს ლიმილით —
თითქოს გულს ატკბობდა ბულბულის
გალობა
თითქოს მოისმენდენ ლამაზ რომანსებს.
იყავით წყეული!
ნურც ნოგისმენიათ
ნუგეში,
სიტყვა სანეტარო,
ფრანგო პროლეტარო!
მალე ხარბათ მოუჭირე კისრებს
ჩასუქებულს
ბაგარი თითების რკალი.

„ვაშინგტონი...
ფეერწერებს
მუცლებზე
რუმბათ ამოსულიათ ქონი.
სიჭარბის გამო
ზღვის ბალალ ზკირთებს
უყრიან სიმინდის ტვირთებს. —
იყავით წყეული!
იყოს თქვენს
ეუჩებში
სუნი ამბოხების ბოლის...
ისე ათაბაშონ
მაგ თქვენი მუცლები
როგორც რომ ბურთ-ფუტბოლის!
„ბერლინი...
ხაროობენ რუსეთის ბანდები:
დამშეულ ძმებს
ადვილათ დასწვაენ სომარ შანთებით
დიდის მამაძაღლი
გულ გახარებული იმედის სითი.
ტრაბახობს:
— მე ვარ რუსის პატრიოტი!"
იყავით წყეული!
„შორს"!
„შორს"
თქვენ მუდამ.
ეგრე ითრიალეთ როგორც იუდამ.
და ოქრო ფრანგული

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გდევდეთ სამუდამოთ
ოქრო რომ გწყურიათ.
ეგდეთ უცხოეთში თქვენ „მარადურით“.
ერთად შევაგროვოთ
რუსეთის ტყეები,
უნდა ავირჩიოთ მაგარი ტოტები
რომ ზედ ჩამოვკიდოთ ძაღლი ბორღეტები.
ეკიდონ
შავი და ლურჯი სახეებით.
„მოსკოვი“
ფულებს აგროვებენ...
მაგრამ "ამპირებში"
არ უპასუხებენ, უსიტყვოთ სტოვებენ.
ან და
რომელიმე
ოხერი, თარსი
აძლევს სამთუმნიანს რომელმაც
დაჭკარგა ყოველი ფასი.
იყავით წყეული!
ყოველ ნერწყვს მიეცეს
ისეთი თვისება,
რომ თქვენ კუჭს დაეცეს
მჩხვლეტავ სადგისებათ:
რომ ხორცის ნაჭერი
ცვარების მფანტველი,
გიჭრიდეთ ნაწლევებს
როგორც ბაკრატელი.
გაწყდება. —
გაწყდება ოცი მილიონი!
აქ მიცვალებულთა პირით
და სახელით,
იყავით წყეული
წყეული მარად
ვინც ვოლგის საშველათ, მსხნელად არ წაბვედით.
ამით არ ვეხები მსუქან
მუცლიანებს
არც მეფის გულისა
მსურს ამით დალბობა.
იმათ გულს
სიტყვა ვერ ააფრთიანებს,
იმათ მკერდს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სჭირდება ხიშტებით გაპობა.
მე თქვენთან მოვდივარ
თქვენსკენ ვისწრაფები
მცირედი ნაწილის.
ჯავრი ვიყაროთ.
თქვე ნალმით ააკსეთ ყველა სარდაფები
რომ მალე აფეთქდეს
მდიდართ სამყარო.
თქვენ! თქვენ! თქვენ!
არავინ თქვენ გარეშე.
დაიხსოვეთ
უთვალავი ციფრები
რომ წარუდგინოთ მდიდრებს
ვოლგის ანგარიში.
და დღე დადგება
ათას ფერი
უზარმაზარი
მოვა
ხანძარი
გამწმენდელი და მალჩობელი.
ამოვარდება ძველი
ქვეყნის
შემქნელ — მშობელი.
იყავით
მაშინ
თქვენც — მრისხანე
შეუნდობელი.

ბრძანება ხელოვნების ლაშქარს

ისევ ლაყბობენ ძველებურად
გულის ნადებზე
მუდამ რომ მძულდა.
ამხანაგებო ბარრიკადებზე
ბარრიკადებზე
გულის და სულთა.
მხოლოდ ის არის
კომუნისტი
სწორუპოვარი
ვინც ააფეთქა დასახევად
ყველა ხიდები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კმარა თრიალი ფუტურისტებო;
მომავალისკენ
ნახტომი გვინდა.
არ კმარა მხოლოდ.
აშენება მატარებელის: —
დაატრიალებს თავის ბორბლებს
და მოჰქრის ჩქარა.
თუ რომ სიმღერა
სადგურებს არ
აამქუხარებს,
რათ გამოდგება მხოლოდ
ბორბლის
აკოწინება.
ბგერაზე ბგერა
ააშენეთ
წინ გაიმაროეთ.
უმატეთ ხმები.
ჯერ კიდევ ბევრი კარგი
ასო სჩანს:
ერ.
შა.
შჩა.
არ კმარა, არა
მარტო ორთქლით აწოძრავება
ბიჯს ვერ წასდგამენ
„სოვდეპების"
დიდი ჯარები
თუ არ მიეეცით ჩვენი
მარ'მი
მათ მეთაურათ,
გამოათრიეთ თქვენ
ქუჩებში როიალები
გადმოაყუდეთ
ფანჯრებიდან ბარიბანები.
იქნებ ნაღარამ
როიალი შვაში გაჩეხოს
დე იყოს ასე:
მხოლოდა მეხი
დაგვიტრიალდეს
მხოლოდ გაჩაღდეს
ხმაურობა, აურზაური.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რას ნიშნავს მხოლოდ
დახავსება
ქარხნების ბოლში
სახეთა შესვრა
მურში, ლაფში,
და შემდეგ ხარბად
ბითურ თვალებით
სხვის სიმდიდრის თვალიერება.
ჰეშმარიტება
კმარა
მეტად იაფ ფასიანი.
ამოიწმინდეთ გული
ძველი დანალეკიდან.
დიდი ქუჩები
არი
ჩვენი ბეწვის კალმები,
და პალიტრებათ
ჩვენთვის დიდი მოედნებია.
დროის
ვრცელ წიგნში
ჯერ არ არის რევოლიუცია
შესანიშნავათ
ღირსეულად ამღერებული
ჩქარა ქუჩებში
ნალარებით
ფუტურისტების და
პოეტების ახალგაზრდა
მარჯვე კრებული.

პოეტებისთვის

(ეს ლექსი თანაბრად სასარგებლოა, როგორც
რედაქტორისთვის ისე პოეტებისთვის)

ყველა ამბობს ხელობით:
ჩემი აზრები
„ღალადით გულთა დაწვის შესახებ".
რა უნდს იყოს
პოეზია?
ოლი საქმე.
ან მასხრობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს მასხრობა კი მე მბურძგლავს
ტანში.

გონების თვალი გადავავლე ფედერაციას
და ტკივილისგან მინდა ჩხუბი, მინდა ლმუილი.
ამ მიწა წყალზე
ოცი ათასი პოეტია ზურგ მოღუნული
დამჯდარ ცხოვრებით
ჩამომხმარნი
როგორც ჩალიჩი.
გადამშეულან.
და იდაყვებ
გამოხეულნი
მაინც დღე და ღამ
სწვავენ
და
სწვაევენ
თავის „ლალაფით"
უდამნაშავო, საკოდავ გულებს.
დასწერა
მორჩა.
ეკითხებით —
— დასწვი თუ არა?
დავწვი!
გულიც და მთელი სხეული
მაგრამ მიხვდება განა ჯოგი ამ პოეტების
რომ გული
იწვის
მაგრამ იწვის იგი სირცხვილით?
გასინჯეთ:
ვინმე აყლაყუდა
(განა ცოტაა რუსეთში სიტყვა).
როგორც
ქინძისთავს სოველ სილიდან
მოათრევს
რალაც სისულელეს.
უფრო ოლად
რომ სჭირდება გაშაირება.
მაგრამ ენაში ბევრი არის განა მიქარვა
რო მოძვრებოდეს
თავათ ყურში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერცხლის ზარებათ?!!
მონახა სიტყვა...
ვარცხნის, ლოკავს
რომ იქნეს სახე „კრასიკური“
და „პოეტური“.!
დავერცხნეს სიტყვა...
და მაინც
ისევ
წუწუნობენ:
ავ რედაქტორებს უყვართ ჰიმბი.
აბა ეცადეთ
იმბში
შეტენოთ სხვაგვარი
რომელიმე სიტყვა
მაგალითად,
„ძუძუთი გამომზრდელი“.
სხედან
და როგორც შეეფერებათ
ოფლით აესებენ ქაღალდის
ფურცლებს...
და მხოლოდ
ვიწროთ,
ის, როგორც მუცლის ჭია,
გაიჭიმება პატარა ლექსი,
სხვა ადგილი
კი დაიჭირეს
მძიმეებმა
და წერტილებმა.
და გამოვიდა
„ძკირფასი“ ენა;
ნაკუწ-ნაკუწად გადაქცეული.
ამის დამწერზე დახარჯულია
სულ უიმედოთ
სწავლის ფულები...
რედაქციაში
პოეტების ბანდა ტრიალობს,
საწყალ რედაქტორს
დაემართა
ქრონიკული ნაღვლის ჩაქცევა.
ჰფანტავენ ბანდებს,
აჯახებენ კარებს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დარაჯი
ბლავის: „წუნკლებო რას დაგვესიეთ“...
პოეტები კი — ანგელოზები —
ჩუმათ არიან...
თუ რედაქტორი ამ დროს ერთი წუთი
ჩაფიქრდა
უცბად აჩეჩებს მას პოეტი
ლექსს:
შარშანწინდელ
„მაისის სიოს“.
აწყობილია
წვრილი პეტიტით
და მეტრანპაჟი
სიცილით კვდება
ამ მიქარვას რომ ჰკრავს
და
ლექსებით
აესებს გაზეთის სიცალიერეს,
შემდეგ კი ჩხუბობს
ჯანაგირის მომატებისთვინ
ასთ ამწყობი.
ეს ამბავიც გასაგებია:
აწყობს და თანაც ოგრიხება.
ეს ხალხი მართლა
საცოდავია:
მე ერთი რჩევა
მაქვს მოგონილი.
(რჩევა ბაფხულზე გამოდგება განსაკუთრებით
როცა კითხულობს ლექსებს
„ნეპი“ სიამტკბილობით)
ასეთნაირი პოეზია
არ მეზიზღება
სრულებით არა.
გაზაფხულზე
ჩემ გულსაც ატკბობს მელანჭოლია.
მაგრამ ხელსაქმე ძირს!
როგორც ოსტატი ლექსის ხელობის
(ამაში ეჭვი ნუ გეპარებათ)
მე თქვენ გასწავლით
სასარგებლო
და ძვირფას წამალს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ჩემი ზომებით
პოეტებს სცვლიან
დარაჯები რედაქციისა).
წამალი.
(სულ ჩემს წესდებას
შვიდი აქვს მუხლი)
1) უნდა აიღოთ კლასიკოსები
შეკუმშოთ კარგათ
და დაკეპოთ წვრილი ხორციეით.
2) მიმოაბნიეთ ეს მასალა
მაგრამ საცერზე.
3) გადგით საცერი სუფთა ჰაერზე
მაგრამ ეცადეთ რომ ბუზები რა დაესიოს.
4) გაშრომის შემდეგ
გადარჩევა
გვჭირდება ფრთხილად
5) გადარჩეული უნდა ჩავყაროთ
სულ ჩვეულებრივივ,
ყავის საფქვავში.
6) შემდეგ
საფქვავის ქვეშ
გავაფინოთ
ბუზის საჭერი წებოქაღალდი
7) ახლა ცხადია
ჩვენი მიზანი
დაიტრიალეთ საფქვავის ტარი
მაგრამ ეცადეთ არ შეეგუფდენ
თქვენი რითმები.
(გულს „ნიჭყვეს სული"
ყარდს დარდი სცვლიდეს
სუფთად ლამაზად,
და ჯეარედინათ)
რაც გადარჩება
უკვე მზათ არის:
ამოიღეთ
წასაკითხავად
სასიმღეროთ
საგალობელათ
მაგრამ უსაქმო მელანქოლიას
თუ გვსურს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგოსნები ჩამოაშროთ,
რომ უშედეგოთ არ
გაფუჭდეს ბევრი ქაღალდი
უნდა წავართვათ
ლუნაჩარსკის
ყველა მგოსანი
და გადულოცოთ
ჯანმრთელობის კომისარიატს.

არაჩვეულებრივი ამბავი, რომელიც შეემთხვა ვლადიმერ მაიაკოვსკის აგარაკზე ზაფხულში

ეს ორმოცი მზით იწვის დაისი
ივლისს ზაფხული
გულ მკერდში მოხვდა...
სდუღს და
იწვის მზე უზენასი —
ეს აგარაკზე, ზაფხულში მოხდა.
პუშკინო[1]) ცალკე გამოყოფილ
ვეშაპის მთაზე
სდგას გამართული
და იმ მთის ძირში არის სოფელი
სჩანს
სახურავებ გადახლართული.
სოფლის ბოლოში
მოსჩანდა მღვიმე,
და იმ მღვიმეში მზე ჩადიოდა
ყოველთვის
მძიმეთ...
და ყოველ დილით
ქვეყნის სარწყავათ
ამოდიოდა
მზე ოქროს სვეტათ.
უკვე შემძულდა
დასანახავათ
და მაბრაზებდა

---

[1]) სოფელი იაროსლავის რკინის გზის ლიანდაგთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზე მეტის მეტად.
და გულ მოსულმა
ერთხელ გარკვევით,
მე მოვინდომე მისი ძაგება
და დაუყვირე:
„ჩამოდი ქვევით!
კმარა ეგ შენი პაპანაქება!“
მზეს დაუყვირე:
„შენ მუქთახორა!
შენ ღრუბლებს ესვრი ოქროს
ნაკადებს,
და მე კი ტყავი
გადამძვრა ორაი,
ზაფხულ-ზამთარში ვხატავ პლაკატებს!“
ვიმეორებდი მე ისევ ღრიალს
გაუთამამდი
არ ვიუფროსე:
„ჰეი ოქროს-შუბლა
უსაქმოდ თრიალს
სჯობს მე მეწვიო
ისევ სუფრაზე“.
რა ჩავიდინე!
დავღუპე თავი
სად ვნახავ
მცველებს!
მზე უაბრავი სხივების ხვავით
ჩემთან მოდის
და მოჰყვება ველებს.
მე უკან ვიწევ და ვიმალები —
არ მინდა ჩემი შიში იცოდეს.
უკვე ბალშია მისი თვალები
ის ბალში მოდის!..
და ზმით აიესო
კარი
ფანჯარა
კედელი, ნოხი.
ის შემოვარდა ოთახში ჩქარა
და გავიგონე მისი ხმა
ბოხი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„უკან დავტოვე
ცეცხლი და ალი
მთელ ქვეყანას რომ
შანთათ მოედო.
შენ მეძახოდი?..
სად არის ჩაი
მურაბა მინდა
ჩქარა — პოეტო!“
თვალს ცრემლი სწვავს და
ტვინს სიცხის შხამი
მე სამოვარი მას დავანახე
ვსთხოვე დაჯდობა.
დაუდგი სკამი
ეშმაკმა იცის
რისთვის დამჭირდა
მზის გახელება
ანდა
ღრიალი.
მორცხვათ დაეჯექი სუფრის ნაპირთან
და თან
მიტანდა
გულის ფრიალი.
მაგრამ მიცქერდა
მე
მხე
ნათელად
სხვანაირ სხიეით იპკურებოდა.
უხერხულობის გასაფანტველად
მასთან დავიწყე მე
საუბარი
და ყოველივე შიში ქრებოდა.
ხან ის უამბე
ხან ეს
შევჩივლე: რომ სულს მიწუხებს
მიხუთავს „რისტა“.
პასუხად მითხრა:
„არაფერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შვენის კვნესა ლექსების ოსტატს!
სთქვა:"
ადვილია განა ნათება;
მეც ხომ ვანათებ მუდამ წვალებით
აბა სინჯე რა დაგემართება:
მუდამ ანათო
ყველა თვალებით!?
აეს დავიწყეთ
ჩვენ საუბარი.
თანდათანობით მზე ახმაურდა;
როცა შოვიდა
ღამე კუპარი*)
მზე სულ მოლბა
და
მოშინაურდა.
ახლა კი
ბეჭზე დავკარი ხელი
რომ მეგობრობა გახდეს ნაქები:
პასუხათ ამბობს მზე მუდამ ცხელი:
მე და შენა
ვართ
ამხანაგები!
ამ რუხ ქვეყანას
უნდა ხარება,
ვიქნეთ სიმღერათ და ალერსებათ
მე ავდუღდები ოქროს ლვარებათ
შენ დაიღვარე
ძმაო
ლექსებათ.
ჩრდილთა კედელი
და ღამის ციხე
შეშოანგრია მზის იარაღმა.
და გაანათა ქვეყნიერება

*) კუპარი — ბნელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზის
და ლექსების
ოქროს ვარაყმა.
იღლება ღამე
უხეშად ზანტად
სურს მიძინება მაგრამ წვალდება
ამ დროს
უეცრად მე სხივებს ვფანტავ
და დილა ისევ აჟღრიალდება.
ნათება ყველგან
ნათება მარად
სანამ არსებობს ქვეყნის ნაპირი
მხოლოდ ნათება სხვა
არაფერი
ეს არის აზრი
ჩემი და მზისა!

მთარგ. **პაოლო იაშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲘᲣᲠᲘ ᲚᲘᲑᲔᲓᲘᲜᲡᲙᲘ

ᲨᲕᲘᲓᲘ ᲓᲦᲔ

(დასასრული *)

V

— მოსწიეთ თამბაქო — გაისმა სტალმახოვის ბოხი ხმა, — დროა დავისვენოთ! უკვე შუადღე გადავიდა.

სამეულები ერთი მეორეს ასწრებდენ მუშაობის გათავებას და ბაღში გაისმოდა სიცილ-ხარხარი

მარტინოვმა მიმოიხედა ირგვლივ... უკვე აღარ მოსჩანდა გაზაფხულის ბაღის გამჭირვალე ფარდა. აქა იქ დატოვებული ხეები გამოიყურებოდენ ობლად წინათ გადახლართულ ტოტების ქარგებს შორის ოდნავ მოსჩანდა სინათლე, ახლა კი მოჭრილ ხეების დაცალიერებულ სივრცეში მზე მხიარულად ანათებდა.

მარტინოვი დახუჭული თვალებით მისჩერებოდა მზეს, და უგდებდა ყურს მამლების ყივილს, რომელიც გაისმოდა ქალაქის მეორე კუთხემდის.

ნახერხისგან გადათეთრებულ მორების, ამხანაგების ჯგუფის და ბაღის დანახვაზე მარტინოვმა, როგორც დილით, ხელახლა იგრძნო თავის თავი დიადი პრძოლისა და მუშაობის მონაწილეთ, მოსძებნა თავის არსება დიდი სიმფონიის რიტმში.

ხელში საქენით, რომელიც მან გამოსჭრა ლორთქი არყის ხისგან, სტალმახოვი უახლოვდებოდა დაგროვებულ მორებს და ქალალდზე ნიშნავდა შესრულებულ მუშაობას,

— სტალმახოვ, მოდი აქ! ჩემის აზრით მე მგონია დავაწყვეთ ერთი კუბი შეშა. მარტინოვი კი ამბობს არაო.

სიმკოვას სახელოში მოეკიდა ხელი სტალმახოვისთვის და მიჰყავდა იქით, სადაც, მუშა ქალების ჯგუფი ალაგებდა შეშას. სიმკოვა გაწითლებული იყო მუშაობისგან და გვერდზე გადაწეულ მანდილიდან სახეზე იცემოდა ხუჭუჭი თმის ნაწნავი. ძნელი იყო გეცნო მასში ჩვეულებრივად თავდაჭერილი და მკაცრი სიმკოვა, პარტკომის წევრი და კულტგანათლების გამგე.

*) იხ. „მნათობი“ № 4.

— კუბის რა მოგახსენოთ — ანგარიშის შემდეგ წარმოსთქვა ბოლოვმა, — და ორ საქენ ნახევარი კი იქნება... სულ ერთია ყოჩაღათ, 9 კუბამდის იქნება დაწყობილი შეშა — ამბობს იგი, ჩამოჯდება ხის მორზე ჯიბიდან იღებს მახორკას და თხელ პაპიროზის ქაღალდს.

— მოსწიე, თამბაქო ამხ. სიმკოვა, — მიმართა მან სიმკოვას, — და თან გვიამბე თუ ნახე რამე კარგი მოსკოვში?

— კიდევ... — სიმკოვამ გაიცინა — მე დღეს მგონი ხუთჯერ მოვყევი ამის შესახებ. შაბათს პარტიულ კრებაზე გავაკეთებ მოხსენებას....

— მაინც გვიამბე რამე... შენი შთაბეჭდილებანი:

— შთაბეჭდილებანი... — მისი თითები ახვევდენ პაპიროზის ქაღალდში მახორკას. — ცუდი შთაბეჭდილებაა, მე აქ, ჩვენსას უფრო მომწონს. მე ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ მოსკოვის კომმუნისტები და, განსაკუთრებით, საშუალო წრე, არა მასსა და წინამძღოლები, — ვერ იცნობენ და ვერ გრძნობენ ვებერთელა გლეხურ რუსეთს, რომელიც ღელავს ჩვენს გარეშემო და ხელს უწყობს საერთო დაქვეითებას. ლენინმა იცის და ჩვენზე უკეთ კიდეც ესმის, აგრეთვე პატარა ჯგუფმაც იცის, მაგრამ პასუხის მგებელ მუშაკთა უმრავლესობა საშინლად დაწვრილმანდა. მუშაობისადმი, ასე გაწინჯეთ პარტიულ მუშაობისადმი, — სახაზინო, საათებით განსაზღვრული დამოკიდებულებაა. ისინი განთავისუფლებულნი არიან საქმლისა და სათბობის ზრუნვისაგან — და ეს ხომ ბევრს ნიშნავს და მათ არა თუ შეგნებულად, არამედ, სახელდობრ, შეუგნებლად ეჩვენებათ რომ ყველაფერი არც ისე ცუდათაა ჩვენში, რუსეთში.

„აი, თუ გინდა ავიღოთ მოსკოვის ჟურნალ-გაზეთები, — სიმკოვას დაეტყო გამოცოცხლება — მათში ყველაფერი მოსჩანს ლამაზად და გრანდიოზულად პროლეტარიატი და კომუნისტური რევოლიუცია... და ბევრი რამ გვაქვს ჩვენ კომუნიზმიდან და პროლეტარიატიდან? კლუბები კარგადაა მოწყობილი, მდიდრული დგამით, წითელი ბაირაღებით. მხოლოდ სიცივეში არ ათბობენ ამ დიდებულ კლუბებს. ხალხი მათში თითქმის არ დადის და იქ მუშაობენ მხოლოდ ერთი მუჭა ჯგუფები.

„არა, მე აქ უფრო მოიწონს; ჩვენ ხომ პროვინციალურ ქალაქებში ვცხოვრობთ ისე, როგორც ფრონტზე. ჩვენსა ახლა უკვე თავდება კლასთა ბრძოლის ფრონტი...

და დაფიქრებული ბაღის ლობიდან იგი გასცქეროდა შორეულ ლილის ფერ მინდვრებს.

— მაშ, შენი ლაპარაკიდან გამოდის, რომ მოსკოვი არაა საჭირო? ფრთხილად შეეკითხა სტალმახოვი.

— არა, მე ვიცი, რომ მოსკოვი საჭიროა. იგი საჭიროა, როგორც შტაბი, როგორც ხელმძღვანელი ცენტრი. იქაც კეთდება გრანდიოზული საბუშაო. მოსკოვი, — როგორაოაც ცუდი არ უნდა იყო ის — არის გული, მთავარი ძალა სახემწიფო მექანიზმის. მაგრამ მაინც... ჩემთვის აქ სჯობია.

მას ყურადღებით უსმენდენ. ლიზას არ გამოუტოვებია მოუსმენელი არც ერთი სიტყვა, თუმცა ბევრი რამ ვერ გაეგო. რატომ არის, რომ ამ მშვიდ,

წყნარ ქალაქში ყველაფერი ისევ, როგორც ფრონტზე? ფრონტი გლეხების წინააღმდეგ? მაგრამ ბალშევიკები ხომ ხალხის მომხრეა?

მატუსენკო, ეტყობოდა, მთლად ყურადღებად გადაიქცეოდა ლიზას უეცრად გაეარდა შეშის ნაჭერი — მან მრისხანეთ გადახედა ლიზას.

მან მიიდო თითი ყურზე; მაზარაზე ვარსკვლავის ფოლაქები, ყველაფერი ბრწყინავდა. არ იცოდა მატუსენკომ რა საჭიროა სუბბოტნიკი, რისთვის გაჰყავთ შაე სამუშაოზე ისეთი ჭკვიანი და განათლებული ხალხი, როგორც არიან სიმკოვა და მარტინოვი და რატომ მასაც, მატუსენკოსაც, აიძულებენ ამ სამუშევრისთვის. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მუშაობდა იგი ყოველთვის პატიოსნათ და მოვიდა სრულ 9 საათზე ისევე სწორად, როგორც წინად დაუგვიანებლად მიდიოდა მოვლენებზე, ლამაზად, სუფთად გამოწყობილი ეჩვენებოდა უფროსებს, კოხტად შეერთებულ თითებით იწერდა პირჯვარს და მხოლოდ მუხლებზე დგომა არ უყვარდა, მისგან შარვალი ფუჭდებოდა.

— აი, კლიმინიც მოდის, და უკან მოჰყვება ზიმანი,—სთქვა სტალმახოვმა.

კლიმინი მოახლოვდა, ვილაკას ეძებდა თვალებით, დაინახა სტალმახოვი და სხვები: აბა, რაიონის ორგანიზატორო, როგორ მიდის თქვენი მაუშობა?"— დაიძახა მან შორიდან და თითონ კი უახლოვდებოდა სულ ახლოს და ახლოს... სტალმახოვმა ისე, როგორც „იარალით სალამი"-სთვის ასწია მაღლა თავის საჭენი: „19 კუბი დაედგით, თქვენო ალმატებულებავ. რა ისმის სხვა რაიონებში?" კლიმინმა გაიღიმა და, როგორც ყოველთვის, მისი სახე შეიქნა რამოდენიმე წლით ახალგაზრდა.

— წითელარმიელებმა სამონასტრო ბალში დღევანდელი დღის განმავლობაში დასდგეს 34 კუბი, ყოჩაღები არიან! უკაცრავად, დამავიწყდა შექება. მათთან ხომ ჩვენი დატყვევებული ბურჟუაზია მუშაობს,—მან გაიცინა. — სუბოტნიკიც ხელს შეგვიწყობს — და თუ ასე წავიდა საქმე— სამი დღის შემდეგ ავამოძრავებთ ეშელონებს...

ფრაზის ბოლოში მას ხმა აუთრთოლდა...

— გულცივი ზიმანიც კი დღეს მხიარულ გუნებაზეა — სიცილით წარმოსთქვა სიმკოვამ.

ზიმანი იდგა შეშის მორზე, სწმენდავდა სათვალეებს და თავისი წკრიალა ხმით უამბობდა რამოდენიმე ამხანაგს, რომ სამეურნეო მდგომარეობა კუთხის ბევრად გაუკეთესდება.

— არა ახლავე, ოცი წლის შემდეგ, რასაკვირველია, — დაუმატა მან.—ჩვენ ხომ გვაქ „ტორფის" ნადები და როცა მე ახლა ვზრუნავ რამოდენიმე ათეულ კუბი შეშისთვის, რომელნიც ამავე დროს არ ვიცი გამოდგებიან თუ არა დასანთებად, რადგან იგინი არიან ნოტიო... დიახ, ნოტიო,— კლიმინ... ამავე დროს მე დამეგადა აზრი, რომ აქ მიწის ქვეშ სთვლემს უამრავი რიცხვი სათბობი ენერგიის... სულ ხუთი ვერსია ქალაქიდან, უკვე გამოვიკვლიეთ... და როგორც კი მოვასწრებთ მოსავალის მოწევას, მაშინ დავიწყებთ „ტორფის" სამუშეაოს... ესკავატორები ჩვენ უკვე გვაქს, ნე ისინი ვიშოვე ქვედა ელანსკში. ჩვენ მათ შევაკეთებთ—ცბიერი იდუმალი სახით გაიხედავდა იგი ლიზა გრაჩიოვისკენ.

თუმცა ვერ ხედავდა მას თავის უსათვალებო, ელამი თვალებით, ვერამდე არჩევდა მხოლოდ მისი სახის თეთრ წინწკალს და ლურჯ ტანგსამოსს.

სიმკოვამ გამოსწია კლიმინს სახელოში.

— შემოიარე დღეს ჩემთან,—სთხოვდა იგი და თან სწრაფად უმატებდა,— რა თქმა უნდა, საღამოს შუშაობის შემდეგ.

მან ჩამოართვა ლიზას ხელი.

სუბბოტნიკი გათავდა. ისევ დამწკრივდენ და გაემართენ სიმღერით ქუჩაზე. ლიზა გრაჩოვას დაუსველდა ფეხსაცმელები, მაგრამ იგი მაინც მედგრად მიაბიჯებდა რიგებში და ისიც აგრეთვე მღეროდა: „смело, товарищи, в ногу"... მის გვერდით მიდიოდა სიმკოვა. წინათ ლიზა იცნობდა სიმკოვას, როგორც კულტგანათლების განყოფილების გამგეს, როგორც უფროსს: ორჯერ მორიდებით შევიდა მასთან კაბინეტში „საქმეზე" და ფართე მაგიდის იქით ტროცკის მოზრდილი სურათის ქვეშ ეჩვენებოდა სიმკოვა მეტად მიუდგომელი და მკაცრი ხასიათის.

ახლა კი ლიზა ხედავდა თავის გვერდით დახუჭუჭებულ ქერა თმიან ქალიშვილს ალისფერი ლოყებით. სიმკოვაც სიმპატიით ეპყრობოდა ლიზას, იგი იცნობდა მას, როგორც ქეთილ სინდისიერ მუშაკს. ამასთანავე ლიზა პოლიტგანყოფილების უპარტიო მოსამსახურეებისაგან მარტო ერთი გამოცხადდა სუბბოტნიკზე.

მათ ჩაჰკიდეს ერთმანეთს ხელები. ლიზა უამბობდა სკოლის, მოწაფეების და თავის მუშაობის შესახებ.

შემდეგ ლიზა ვიწრო მოედანით გაემართა სენატორის სახლისკენ. შორიდან ნაცრისფერ სახლების ხროვაში მოსჩანდა დიდი ორსართულიანი სახლი საბჭოთა აბრით. ლიზამ შორიდან დაინახა ვიღაც კაცი წითელ არმიელის ჩაჩქანით და დიდი ვარსკვლავით და ხელათ იცნო მასში რეპინი.

ლიზამ იგი გაიცნო სენატორის სახლში მოსვლისთანავე. სენატორი ლიზას თვალწინ აგინებდა საბჭოთა ხელისუფლებას, ლიზა კი იდგა გაწითლებული და დაბნეული, მზად იყო ეტირა და არ იცოდა რა ეპასუხა — როცა უეცრად გაიღო კარები და ვიღაც ქერა კაცის თანხლებით შემოვიდა რეპინ.

სენატორი დაფაცურდა:

— ოთახი თქვენთვის, ამხ. რეპინ, მზათ არის.

ამბობდა იგი თავაზიანათ—ხომ არ ინებებთ შესვლას?

მაგრამ რეპინი ჩაერია ლაპარაკში, როძლის ბოლოს მან მიუსწრო:

— საბჭოთა ძალა-უფლებას უნდა ხალხისთვის სიკეთე,—განაგრძნობდა ხმა მაღლა სენატორი — მაგრამ განა მე ხალხს არ ვეკუთვნი? განა ესეც ხალხს არ ეკუთვნის?—სენატორი თითით უჩვენებს ქერა კაცზე, რომელიც თითქოს თანახმაათ—ბუზღუნებს თავისთვის.

— რა სიკეთე მოგვიტანეს ჩვენ მათი გაგვატიტვლეს ცაცხვივით...— და რეპინიც ამის საპასუხოთ დიდხანს ამტკიცებდა, რომ კომუნისტებს შორის ბევრია „შკურნიკები", რომ კომუნისტები ხშირად სცდებიან, მაგრამ ისინი მაინც

„იდეისათვის“ იბრძვიან... რეპინი გადახედავდა ხოლმე ლიზას, თითქოს ამით უნდოდა ეთქვა სენატორისათვის, რომ „ჩვენ ხომ ერთნაირად ვაზროვნებთ“.

საზოგადოთ იგი მეტად ლამაზია და ალერსიანი. აი, ის ეხლაც მაგრათ ართმევს ლიზას ხელს:

— გამარჯვებათ, ამხ. გრაჩიოვა!.. მე მინდა გკითხოთ საიდან შეიძლება ბაღში გასვლა, აქედან?

— ქალაქის ბაღში? მე ახლა იქიდან დაებრუნდი, იქ ხომ სუბოტნიკი იყო... შეშის დასამზადებლად... თითქმის მთელი ბაღი მოვჭერით.

— თქვენ განა პარტიული ხართ?

— არა, მაგრამ სუბოტნიკზე უპარტიოებსაც შეუძლიათ სიარული. მე კი ვფიქრობ, რომ უნდა დავეხმაროთ კომუნისტებს. ტყუილია?

— რასაკვირველია, რასაკვირველია... მეც წავიდოდი, რომ ადრე მცოდნებოდა ამ სუბოტნიკის შესახებ. მაშ, ბევრი იმუშავეთ?

— დიახ, ბევრი... მე ალარ მახსოვს რამდენი კუბი იქნება, მაგრამ მთელი ბაღი მოვჭერით კი; პასუხისმგებელი ამხანაგებიც მუშაობდენ; მე ვმუშაობდი ამხ. მარტინოვთან ერთად. კლიმინიც იყო — საგანგებო კომისიის თავმჯომარე.

და ლიზამ ვრცლად გააცნო ქალაქის ბაღისკენ მიმავალი გზა.

VI

დილიდან უბერავდა ცივი ქარი. ცა იყო ისევ ტრედისფერი. მაღლა მისცურავდენ თეთრი მოლურჯო ღრუბლები. ქარი ფანტავდა მათ სივრცეში, ხანდახან ისინი გადაეფარებოდენ მზეს და მაშინ ყველაფერი მოიწყენდა. სტალმახოვი აჩქარებული ნაბიჯით მოდიოდა მოედანზე, რომელზედაც ფართედ გადაშლილიყო ბაზარი,

უეცრად მისი ყურადღება მიიპყრო დახეულ ხალათში სიცივით აკანკალებულმა ახალგაზდამ. სტალმახოვი ხედავდა ყინვისაგან გათოშილ ხელებს, მხრებზე გადაგდებული ტომარა — ალბად მუშაა დეპოდან, სიმშილისაგან გაბოროტებულს მოუპარავს ხელსაწყოები და უნდა გადასცვალოს პურზე!

მაგრამ ეს შუბლი, ეს ბანჯგვლიანი თმა ეჩვენებოდა მას თითქოს ნაცნობად. სტალმახოვი დაეწია ყმაწვილს, დაადო ხელი მხარზე და ჰკითხა: „ამხანაგო, რას ყიდი?“ ამ კითხვაზე ყმაწვილი გამობრუნდა, მიმოიხედა ირგვლივ და ყრუთ, ნაღვლიანი ხმით წარმოსთქვა:

— გამარჯვება ამხ. სტალმახოვ!

— გორნიხ, შენა ხარ? რას აკეთებ აქ შენ? — მაგრამ გორნიხი უკვე სახელოში სწიწავდა სტალმახოვს ხალხისაგან.

— მე ვარ მე... თუ ძმა ხარ ნუ ყვირი. წავიდეთ იქით ჩქარა.

ისინი გაემართენ გადაკეტილ დუქნების გასწვრივ, ძველ ლობისკენ — სადაც ახლა დადიოდენ ხოლმე მოსანამუსებლად. გორნიხმა მოიხედა გარშემო და წარმოსთქვა ჩურჩულით:

— შენ თითონ რას აკეთებ აქ, ჰა! დადიხარ? თვალყურს ადევნებ? ალბად... ყველასათვის იშოვება აქ სამუშაო. ცუდია, რომ დღეს მომაქცია ყურად-

ღება. დღეს მე გამოვედი სამუშაოთ ნიღაბით და ტანისამოსიდან გადავხვიერებული. ზამთარში კი ვერავინ ვერ მცნობდა... მასთან ჩვენ [illegible] ერთმანეთს... დღეს ნახე კლიმინი და გადაეცი მას... გორნიხმა მოიხედა... იხედებოდა იგი ცალი თვალით თავის მოუბრუნებლად.

— უთხარი, რომ მე დღეს ორ საათს ველოდი მას კომისიაში. შენც მას კომისიაში ნუ ეძებ. ის საღამოობით იქ არ არის ხოლმე. უთუოდ, პარტკომშია. გადაჰყვა ამ შეშის დამზადებას და ჩეკაში მუშაობას თავი მიანება. თუმცა, მართალი სთქვას კაცმა, უმისოთ იქ ვერაფერს გააკეთებდენ. ის კარგი ორგანიზატორია და მასთან ყველაზე ენერგიული. და მაინც მას ჩეკაში ახლა იშვიათად შეხვდებით. მაშ შენ დასძებნე იგი, იქნება ან აღმასკომშია, ან პარტკომში, ან სამხკომისარიატში კარაულოვთან. დასძებნე ყველგან.

— რათ გჭირდება ასე მწარეთ? გააწყვეტია სიტყვა სტალმახოვმა. — ხვალ დილით იქნება იგი კომისიაში აუცილებლად. შენ პირადათ შეხვდები იქ და თითონ გადაეცი, რაც გინდა...

გორნიხმა მაგრათ მოუჭირა ხელი სტალმახოვს. მის გასვრილ სახეზე იყო. უჩვეულო აღტყინება.

— გამიგონე მე, სტალმახოვ, და აასრულე რაც გითხრა... მე მეშინია რომ ხვალ დაგვიანებული არ იქნეს. დღეს მოსალოდნელია აჯანყება... ეს ნამდვილია.

— აჯანყება? — შეკრთა გაოცებული სტალმახოვი, — არის ამის ნიშნები?

— ნიშნები? ისინი არიან და არც არიან. აი, ბაზარში ბევრი ურმებია ნ-ს გუბერნიიდან. მე ხომ ძალიან ადვილად ვარჩევ ნ-ს გლეხს ჩვენი გლეხისგან. მე ვფიქრობ, რომ მათ გადამალული უნდა ჰქონდეთ იარაღი. მაგრამ როგორ დავსძებნოთ, საჭიროა მოვახდინოთ ჩარეკა, გარს შემოვერტყათ ბაზარს, მაგრამ ეხლა უკვე გვიანაა. სულიერი განწყობილებითაც შეიძლება აღლო აუღოთ საქმის ვითარებას. აქ ყოველთვის მოელიან ჩვენს დასასრულს... მაგრამ დღეს მოვაჭრე ქალები ისეთი დაბეჯითებით ამბობენ, რომ სახელდობრ დღეს და არა ხვალ, — ანტიქრისტეს მსახურებს, — ალბად ჩვენ, — გვიდგება ბოლო. სტალმახოვმა ჩუმად ჩაიცინა.

— შენ გეცინება, რომ გორნიხი, თითქოს დედაკაცის ბოდვას ყურს უგდებს. მე კი ვიცი, რომ ბანდახან საჭიროა ჩეკისტმა ყური ათხოვოს ქალის ბოდვასაც, არი თუ არა ამ ბოდვაში წეთქმულობის მარცვალი ან თუ მარტო მტრული განწყობილება ჩვენს წინააღმდეგ... საზოგადოთ, საჭიროა გლეხების გაცნობა. შორს ისინი ვერ ხედავენ. მაგრამ მას, რასაც თვალ წინ ამჩნევენ, გამოიყენებენ უკეთ, ვიდრე მე და შენ... მაშ, ასე ნახე კლიმინი, მოუყევი მას ყველაფერი, შეაჩოჩქოლე ცოტა, დაე, მან მიიღოს რაიმე ზომები. დანარჩენი ჩვენი ჩეკისტები ხომ ვერ არიან ისე გაგებულნი, მე დღეს ყველას წავეჩხუბე... ვეუბნები მათ, რომ საჭიროა სადარაჯოზე დგომა და მათ კი საცინად ამიგდეს. მართალია, ცნობების მისაღებად მე არ გამიბამს ქსელი. ცოტა ხელის მოსაკიდი რო მქონდეს — მეტი არაფერი მინდა მაგრამ ვგრძნობ ყველაფრით, უკანასკნელი ცნობებით, დაჭვრილების დაკითხვით, იმ წვრილმანების მიხედვით, რომელსაც ვერ გაამხელ, მაგრამ რომელნიც საკმარისია მისთვის, რომ მე ავჩქროლდე.



ერთხელ აქედან 200 ვერსის მანძილზე მოჰკლეს ჩეკისტი [illegible], რომ ყველაფერი ეს ამბობს მის შესახებ. რომ ახლოსაა აჯანყებაზე [illegible]

— მოჰკლეს? რა გვარია იგი? აღშფოთებით იკითხა სტალმახოვმა. — სურიკოვი ხომ არაა?

— სურიკოვი... ის უთუოდ ნერვიულობდა, მუშაობა ჩაჰფუშა და თავიც წაგო. კარგი ყმაწვილია, მაგრამ ცუდი ჩეკისტია. შენ მას იცნობ განა?

— ჩვენ ერთად ვიდექით... შენ მოგიყევი ვრცლად მისი სიკვდილის შესახებ... შეიძლება ეს მხოლოდ ხმებია?

— არა, ხმები არაა! აგენტების ცნობაა. იგი ცოცხლად დაბარეს მიწაში... ჰო, ეს წვრილმანებია... შენ ნახე კლიმინი უთუოდ, გესმის? სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება ახლა გვიანაა, მაგრამ დაე, კომუნისტური ასეული მაინც დააყენონ თოფ ქვეშ... ჩვენ ხომ ყველას ამოგვწყვეტენ, როგორც წიწილებს... აბა, წადი ჩქარა.

მან მაგრათ ჩამოართვა ხელი სტალმახოვს.

— მაშ, სურიკოვის სიკვდილი მართალია?

— რა თქმა უნდა, მართალია. ვერაფერს ვერ იზამ, ჩვენი მუშაობა ასეთია, ყველაფერს უნდა მოელოდე ადამიანი. და ისიც, უთუოდ, თითონ იყო დამნაშავე... — და გორნიხ მოხრილი, ჩამოხეული, მხრებზე ტომარა გადაგდებული დაიმალა ბრბოში.

სტალმახოვი მიდიოდა სახლისკენ გაყინული მარაგზის ყოლბოხებზე, გრძნობდა მარტოობას სულში, რომელშიაც ირეოდენ აზრები, როგორც თაგვები ცივ, ნათელ ოთახში.

— მოჰკლეს... ახლა სახლში დაბრუნებისას შესავალ კარებში დაობლებული დედა ჰკითხავს მასზე, სერგეიზე, და თუმცა ეძნელება, მაგრამ მაინც უნდა სთქვას ტყუილი. ეს იმიტომ, რომ მას ჯიბეში უდევს, სერიოჟას წერილი, ლურჯ ველისკენ გამგზავრების წინ, უკანასკნელი სადგურიდან გამოგზავნილი:

„ძვირფასო სტალმახოვ! თუ ვინიცობაა მე მომკლეს — მაშინ უთხარი დედას, რომ მე წავედი გრძელ ვადიან მივლინებაში რამოდენიმე წლით. გერმანეთში ან დეკრიეულში. ეს იქნება ჩემი უკანასკნელი სათხოვარი. ჩემი მეგობრობის ნიშნათ, წაიღე ჩემი ფოტოგრაფიული სურათი. ის დართული აქვს ძველ მოწმობას, რომელიც ძევს ეტაჟერკის ზედა თაროზე. იცოცხლე და იმუშავე მხნეთ.

სერგეი სურიკოვ.

„P. S. იმ შემთხვევაში თუ მე მომკლან ამასთან დართული წერილი გადაეცი საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. კლიმინს.“

როცა სტალმახოვის დაქინებულ რახუნზე გაიღო შესავალი კარები, მან დაინახა სურიკოვის დედა ისეთი, როგორსაც იგი მოელოდა: დაბალი, გამხდარი მოხუცებულის ნაოჭებიან სახიდან სპილენძის სათვალეების ზემოდან დაკვირვებით გამოიყურებიან ტრედისფერი, კეთილი თვალები.

მოხუცმა ქალმა იკითხა:

— სერიოჟას ხომ არაფერი შეემთხვა, წერილი ხომ არაა, არ იცით?

ამ კითხვაზე სტალმახოვმა გაიფიქრა, რომ სერგეი, მისი ხაყვარელი სერიოჟა ვერცხლისეფრი სხივების ძაფი, რომელიც აკავშირებდა მის უხუგეშო მოხუცებულობას მხიარულ ცხოვრებასთან, დაილუპა განმარტოებულად, უსაზღვრო მინდვრებში, იქ სამხრეთ-აღმოსავლეთში და უჩვეულო სიბრალულმა შეაკრთო სტალმახოვის გული.

— ახალი არაფერი არ ვიცი, ანნა პეტროვნა, — მიუგო მან. მოხუცმა გზა უტია სტალმახოვს და იგიც შეეიდა თაეის ოთახში' სადაც იდგა ორი ლოგინი, მისი და სერიოჟასი, რომელიც მოჰკლეს შორეულ ლურჯ მინდორში.

— სამოვარი ხომ არ მოგართვათ' ანდრეი ვასილიევიჩ? — შეეკითხა მოხუცი — ოთახში შესვლის დროს. მოხუცმა ამოიოხრა და ჩამოჯდა სკამზე კარების გვერდით.

სერიოჟა სურიკოვ... მაღალი, მოყვანილი, ოდნავ მოხრილი, ოქროსფერი თმით, და მისი სახე კი... თითქოს ჩვეულებრივი სახე ახალგაზდა წითელ არმიელის, ლამაზი სოფლელ ახალგაზდის. მაგრამ ამ სახის შიგნით თითქოს ანათებს რაღაც ცეცხლი, რაიც ამშვენიერებს ამ უბრალო სახის ყოველ ხაზს, როგორც სანთელი, რომელიც აქცევს საოხუნჯო ჩინურ ფანარს საოცარ წითელ ვარაკვლავად. დიდი ცხვირი, ტრედისფერი თვალები, რბილი მოცინარე ტუჩები, ოქროსფერი თმა ლოყებზე, პირისახეზე და ნიკაპზე.

წყნარი, გაჩუმებული — თითქოს რაღაცას მალავს გულში — მოდის იგი მთელი დღის მუშაობის შემდეგ ჩეკაში, მოძრაობაში და იშვიათად წარმოთქმულ ჰკვიან სიტყვებში ეტყობა მოუთმენლობა. დედა მისი კი ნაზი მზრუნველობით ადევნებს თვალყურს სერიოჟას ყოველ მოძრაობას, უსმენს ყოველ სიტყვას.

სტალმახოვს ეცოდებოდა მოხუცებული და ეძნელებოდა ტყუილის თქმა. ამავე დროს სწყინდა, რომ მას ჯერ კიდევ არ უთქვია მისთვის რომ **ვალოდია** წავიდა გერმანიაში.

რამოდენიმე ხნის წინათ, სტალმახოვზე შეყვარებულმა ქალმა ნიშნათ ღრმა სიყვარულისა აჩუქა მას სახსოვრად ლარნაკი. მასზე დახატული იყო რაღაც ძველი სურათი, რომელიც იყო განხორციელება ვიღაცის სიყვარულის ოცნების... გაცხარებულ მამალ მტრედებს გადაეფარებიათ ლაჟვარდისფერი ფრთები დედალი მტრედებისთვის. ირგვლივ გაფანტული იყვნენ რბილი და მსუქანი ამურები, მუაში კი ღრუბელზე ისხდნენ მწყემსი ქალი და ვაჟი; ვაჟი უკრავდა ფანდურს; უთუოდ კარგად უკრავდა რადგან ქალის სახეზე ნაზი, დაფიქრებული ღიმილი კრთოდა. თეთრი კრავი სწუწნიდა ყვავილებს თაიგულისაგან, რომელიც მწყემსს ქალს ედვა მუხლებზე. ლარნაკის ყელი იყო ჩამოსხმული ყვავილის ყელის მზგავსად და ზედ იყო დაფანტული ოქროს და ვერცხლის ვარსკვლავები და ზოგიერთი ვარსკვლავი კი იყო გაკეთებული ფერადი ჭიქებისაგან რომელნიც კრთოდენ პატარა ნაპერწკლებად. სტალმახოვმა მორიდებით აიღო ლარნაკი.

— სად დავდო ეს ქილა არ ვიცი, — სთქვა მან და მოავლო თვალი ოთახს. შემდეგ ჩამოდო ლარნაკი ეტაჟერკის ზედა თაროზე. ყოველ დილით გამოღვიძებისას, იგი შეხედავდა ეტაჟერკას და როცა მოჰკრავდა თვალს ლარნაკს, დამცინავი ალერსით იგონებდა იგი მას, უცნობს, დაშორებულს მისგან როგორც

აზრებით ისე გარეგნობით, ლამაზს, რჩეული სურნელებით, რომელმაც ასე ძლიერად შეიყვარა იგი, გაუნათლებელი მუშა, რომელსაც არ შეეძლო სასიყვარულო სიტყვების წარმოთქმა და, რომელსაც სახე ყვავილისგან აქვს დახორკლილი.

იგი იყო მსახიობი ქალი და ქალაქიდან ჩქარა წავიდა. სტალმახოვიც ამის შემდეგ ჩქარა გაემგზავრა სასურსათო სამუშაოზე სოფელში. როცა დიდი ხნის შემდეგ, დაბრუნებისას, შევიდა იგი თავის ოთახში და დაუწყო თვალებით ძებნა ლარნაკს,—დაინახა, რომ იგი იდგა მაგიდაზე, რომ მას ჩამოტეხილი ჰქონდა ყელის ნაწილი და, რომ ახლა იგი დაფარული იყო მელნის წიწწკლებით. გამოირკვა, რომ სერიოჟა სურიკოვმა, რომელსაც ეჭვიც არ შეუტანია მასში, რომ სტალმახოვისთვის ეს ლარნაკი სიყვარულის სახსოვარი იყო — ჩაასხა მასში მელანი. სტალმახოვს არ ესიამოვნა ეს გარემოება, მაგრამ მას სიტყვაც არ უთქვია სერიოჟასთვის, გადააქცია მელანი და დასდვა ლარნაკი ეტაჟერკის მეორე კუთხეში ისე, რომ არ დაენახა მის თვალებს ის გაბზარული ადგილი, რომელიც ამახინჯებდა მწყენსი ქალის ნაზ ღიმილს. ამის შემდეგ, როცა მას აჩუქებდენ რამეს სანახსოვროდ მას აგონდებოდა ლარნაკი და საჩუქარს ღებულობდა უხალისოთ. წერილებიც კი, რომელთაც იგი ღებულობდა ამხანაგებისაგან, რატომღაც იკარგებოდნენ.

და უეცრად გაიღვიძა შურისძიებამ. ო, საძაგლები! ეს ხუჭუჭ თმიანი ბავშვი, ასეთი ჭკვიანი, სვინდისიანი და პარტიის ასე უსაზღვროთ ერთგული ცოცხლად დამარხეს მიწაში.

შური, შური! ნაგრამ ვიზე იძიოს შური. ღვარძლი სდუღდა მის სულში და იგიც მაგრათ კუმშავდა ბუჭს. უეცრად მოიგონა ის, რის შესახებაც სთხოვდა მას გორნიხი და შურისძიების ენერგიამ ხელად ნახა გამოსავალი. დიახ, ის მოსძებნის კლიმინს და დაარწმუნებს მას იყოს ფხიზლად! ხვალვე სთხოვს პარტკომს, რომ მისცენ მას რაზმი და მაშინ იგი წავა ბანდიტების დასარბევად. მანამდის კი, რაც არ უნდა იქნეს, საჭიროა კლიმინის მონახვა! ამ აზრით იგი გამოვიდა ბინიდან.

კლიმინი პარტკომის კარებშივე შეეფეთა სტალმახოვს და იგი უეცრად გაოცდა გაბოროტებული იერით, რომელიც კრთოდა სტალმახოვის ჩვეულებრივად დამშვიდებულ სახეზე.

— რა დაგმართია კაცო?—შეეკითხა კლიმინი მისალმების შემდეგ სტალმახოვს.

სტალმახოვი მოუყვა გორნიხთან შეხვედრის შესახებ და გადასცა მისგან გაფრთხილება. ისინი ჩუმად მიემართებოდენ ცარიელი ქუჩით, რომელზედაც მხოლოდ ბავშები, ძაღლები და ქათმები დაფუსფუსებდენ მოსახვევებში.

— გულ ახდილათ უნდა გითხრა, სტალმახოვ, რომ არ ვიცი, რა უნდა ჩემგან გორნიხს, აღტყინებით წარმოსთქვა კლიმინმა. ყოველივე წანასწარი, ჩემგან დამოკიდებული ზომები მიღებულია, კომასეულის განწესება გაძლიერებულია... კარაულოვმა შეატყობინა ათასეულს, რომ ისინი საჭიროებისათვის მზად იყვნენ... მეორე მხრით, გორნიხს არავითარი ნიშნები არა აქვს... და ერთი ჩეკისტის წინათგრძნობისთვის მეტად საჭირო მუშაობას მე ვერ შევაჩერებ. უმი-

სითაც ბევრი გვაქს სამუშაოვარი. ყოველ წვრილმანს უნდა გათვალისწინება და აწონვა. ყველაფერს აკეთებენ ნელა, აგვიანებენ და მდგომარეობა ისეთია, რომ ყოველი წუთი უნდა დაითვალო და გამოიყენო. ზიმანოვ [illegible] ტანჯვაა, იმას ვერას გზით ვერ შეაჩოჩქოლებ. აქ კიდევ გორნიხი თავისი საშიშროებით და ეჭვებით... საერთოდ, გულს მეყრება დღეს, — სტალმახოვ. მე გავგზავნე ტრამალში ერთი ჩეკისტი საყურადღებო მინდობილობით, იგი ბანდიტებმა მოჰკლეს და აი, ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის თუ რათ გავგზავნე იგი? არ ვარგოდა ის ასეთი მუშაობისთვის, ნერვიული იყო მეტად... ინტელიგენტი...

— მე ვიცნობდი მას... იგი ჩემი ამხანაგი იყო. ერთ ბინაზე ვცხოვრობდით. მას დარჩა დედა ცოცხალი.—სტალმახოვის ხმა თანდათან ყრუვდებოდა. — მან მე სადგურიდან გამომიგზავნა წერილი და მთხოვა თუ ვინიკობაა მას მოჰკლავდენ შენთვის გადმომეცა ეს წერილი. ჰა, წაიღე.

რამოდენიმე წუთის შემდეგ კლიმინმა სასწრაფოთ გადააათვალიერა წერილი, გაათავა და ფრთხილად დაკეცა.

— გაიგონე, კლიმინ... ხვალ მე ვითხოვ პარტკომში გამაგზავნონ ბანდიტების წინააღმდეგ. და იმ ძაღლებს, რომლებმაც მოჰკლეს იგი... ტყაყს გავაძრობ! — ახლა კი გთხოვ შენ... წამიკითხე მე ეს წერილი... სერიოჟას ყოველი სიტყვა ჩემთვის ძვირფასია. დაუგდებ ყურს და თან წარმოვიდგენ მას.

— წავიკითხავ, — მიუგო კლიმინმა. იგინი ჩამოჯდენ დაბალ ზურგიან სკამზე.

VII

„ძვირფასო ამხანაგო კლიმინ! მე ახლა სადგურ ნ-სკზე ვარ. გლებოვი წავიდა ურმის მოსაყვანად. აგერ ოთხი საათია რაც წავიდა და ჯერ არ დაბრუნებულა. სადგური ძალიან პატარაა და ჩემს გარდა აქ არავინ არ არის. გადავათვალიერე ძველი, ომამდის გაკრული, განცხადებანი და რეკლამები, რომელნიც ალარ შეეფერებიან ახლანდელ ცხოვრებას, მომეწონა მშვენიერი პლაკატი ტრანსპორტის აღორძინების შესახებ, მერე შევედი ორთაჩეკის განყოფილებაში და შევხედე თუ არა საწერკალამს — მე დამეპყრო სურვილი გულწრფელად გაგიზიაროთ აზრები, რომელნიც ტრიალობენ ჩემ თავში, და გრძნობები, რომელნიც აღელვებენ ჩემ სულს. რატომ მაინც და მაინც თქვენ უნდა მოგიყვეთ — ამას მიხვდებით. გახსოვთ თუ როგორ ნ-სკის პოლიტგანყოფილების დივიზიაში, თქვენ, პარტიის ძველი წევრი, დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი წყნარად, საათობით მებაასებოდით — მაწინ ჯერ კიდევ უპარტიოს, თავის თავში დაჯერებულს ბავშს, რომლის გონება საესე იყო ათასნაირი ინტელიგენტური სულელური ბოდვებით. თქვენ მოთმინებით ისმენდით ჩემს უმართებულო მსჯელობას, მარჯვეთ მაცლიდით ფეხქვეშ ნიადაგს, შემდეგ გადაგყავდით მარქსიზმზე, დალაგებით მაცნობდით სოციალიზმის და კლასთა ბრძოლის ანბანს. პარტიაში მე შევედი უკვე, გვიან, მაგრამ, არსებითად მე გავხდი კომუნისტი თქვენი გაკვეთილების შემდეგ. რიცა თქვენ გადახვედით ჩეკაში, მე, ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ, წამოვედი თქვენთან სამუშაოთ. და თქვენი ხელმძღვანელობით მე გავხდი ნამდვილი რევოლიუციონერი და კომუნისტი. თქვენ იყა-

ვით ჩემთვის კომუნისტის იდეალი. ამიტომ არ ვწერ მე არც დედა ჩემს არც ამხანაგებს, რომელნიც მიცნობდენ და კიდეც ვუყვარდით, არამედ სახელდობრ თქვენ, ჩემს უფროს, რომლის კაბინეტში მუშაობის საათებში მე არ შემიძლია მოუხსენებლად შესვლა

ამ წერილს თქვენ მიიღებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მე მომკლეს. და მე რომ მოვკლავენ — ამაში ეჭვიც არ მებადება, ეს არც ცუდია, რადგან მე ცხოვრებაში მეტი არაფერი მაქვს გასაკეთებელი, მე არავარ ადამიანი, არამედ ვარ ადამიანის გარსი, ნაჭუჭი, და ახლა ჩემ სულში სიცალიერეა. მაშ, დაე მოვკდე მე კომუნიზმის სასარგებლოთ.

მაგრამ თქვენ რომ ნათლივ გაიგოთ რაც მინდა გითხრათ — მე მოგიყვებით დალაგებით.

გახსოვთ, გასულ წელს, მას შემდეგ რაც აღმოვაჩინეთ ოლქში შეთქმულება ჩვენ რო მივდიოდით ხუთი თვეთრგვარდიელის დასახვრეტათ?

იყო ზამთრის ღამე ყინვიანი. შარავანდედივით, რგოლით შემოვლებულ, მომჯადოებელი მთვარით. ჩვენი საბარგო ავტომობილი მარდათ მიჰქროდა მარხილების ფერსოებით გადალესულ, მოლივლივე შარაგზაზე. ჩვენთან იყო ლეჟავინიც. ის ღელავდა, რადგან პირველად ესწრებოდა დახვრეტას, იყო არა ბუნებრივად მხიარული და გამოცოცხლებული და გველაპარაკებოდა ხან მე, ხან თქვენ. თქვენ როგორც ყოველთვის აძლევდით საქმიანს და ამოწურულ პასუხს, მაგრამ თქვენს პასუხში ოდნავ დასაჭერი ინტონაციით ისმოდა: „ბავშო, ნუ თვალთმაქცობ, ნუ ენ არა ხარ შენს ჭკუაზე“. მე მას ვუპასუხებდი მოჭრით, არ მინდოდა ბევრი ლაპარაკი. ვიყავი მეტად დაღლილი და ვისვენებდი ამ, ოლნავ ყინულიანი, ღამის მყუდროებაში... ხან და ხან მე გადვიხედავდი საბარგო ავტომობილის შიგნით, ვხედავდი „მათ“, ვხედავდი ფრთხილად გამომეტყველ ამხანაგების სახეებს, ვიგონებდი თუ სად მივდიოდით. ვგრძნობდი რაღაც უსიამოვნებას. მაგრამ მე ხომ პირველად ვესწრებოდი დახვრეტას.

ჩვენ შევედით მოხასტრის ტყეში, მოჯადოებულ ხეების ტევრში, რომელიც დაფარული იყო რთვილით, და, რომელიც მიგავდა მომაკვდავის სიკვდილის წინა ფიქრებს. ხან, და ხან ხეები გაიწევ-გაიწევდენ და მაშინ მათ შორის გამოჩნდებოდა ლურჯი მინდვრები ერთ ერთ ასეთ მინდორზე ჩვენ გავედით ვიწრო ბილიკით. იქ იყო ძველი, მიტოვებული ქვისატები, ზამთარში დაფარული თოვლით, მაგრამ მაინც შორიდან დაბგზავსებული ღრმა, შავ, მოლურჯო ორმოს.

გზაში ყველა სდუმდა.

მათ კარგათ ეჭირათ თავი და წყნარად ელოდნენ სიკვდილს. მე არ დავფიქრებულვარ მასზე, თუ რას გრძნობდნენ მაშინ ისინი — გარეგნულად თითქოს გულგრილნი ყველაფრისადმი: მე ადრევე შეურიგდი ყოველივეს იმ წუთებში, როცა გთხოვდით თქვენთან ჩეკაში გადმოყვანას. წინდაწინ ვიცოდი, რაც იქნებოდა; საბოლოო წუთები, როცა უბიზნებ უბწეო ადამიანთა ხროვას. მაგრამ ყველაფერი ეს ჩქარა გათავდება და სროლის ხმაურის შემდეგ, რომლისაგანაც ახლობელი არყის ხეებიდან დაცვინდება თოვლის მტვერი, — ხუთი ადა-



მიანის სხეული ჩაცვინდებიან ღრმა, ღრმათ ქვისატეხის [illegible] ჩვენ გავ-ბრუნდებით უკან და ისევ მოვისმენთ ზამთრის გრძნეულ [illegible].

მაგრამ მოხდა ისე, როგორც არ მოველოდი... დაწეული ხმით თქვენ უთ-ხარით მათ:

— გაიძვრეთ ტანისამოსი მოქალაქენო.

— მათ მიიხედ მოიხედეს. ერთმა გაიხადა ჯუბა. სხვებმაც მიჰბაძეს მის მაგალითს

— არა, სრულებით გაიხადეთ, — წარმოსთქვით თქვენ და დაუმატეთ, თი-თქოს ჩვენ გასაგებათ, — ტიტველად უნდა დაგხვრიტოთ...

ბიჭები კუშტად სდუმდენ და მათ მდუმარებაში მოსჩანდა, რომ იგინი გე-თანახმებიან, რომ მათ ესმით თქვენი ზრახვანი და მზად არიან დახვრიტონ ტი-ტველი ადამიანები. იყო ღრმა სიჩუმე და მხოლოდ გზიდან შორს ისმოდა მძლავ-რი ხმაური ჩვენი სატვირთულასი.

მაშინ მათ დაიწყეს პროტესტი. თქვენ გახსოვთ იგი? ერთი ამბობდა, რომ ადამიანს უნდა შეუმსუბუქოთ სიკვდილი; მეორე — რომ ეს ადამიანის აბუჩად აგ-დებაა, და ძველი შავრაზმელი მასწავლებელი კი, მაღალი, გრძელი, გათეთრებუ-ლი წვერებით, და ჩავარდნილი ბეჭებით, უეცრად საცოდავათ, ბავშურად, ატირ-და ცრემლებით ამბობდა იგი; რომ ეს „არ არის კარგი“, რომ მას ინფლუენცა აქვს. მე ვიცოდი, რომ ის მსახურობდა „ოხრანკაში“, ჯაშუშობდა თავის მოწაფეებს, და ამისათვის ღებულობდა ორდენებს. ვიცოდი თუ რამდენათ ღრმაა მისი სი-ძულვილი ჩვენდამი, მაგრამ მაინც ტანში მივლიდა ჟრუანტელი, თითქოს მე მა-ხდევიებდენ ტანისამოსს... და თქვენ კიდევ მთრთოლვარე ხმა ლეკაინის გეუბ-ნებოდათ თქვენ:

— ამხ. კლიმინ! ნუ შვრებით ამას. ნუ იგდებთ მათ აბუჩად. — მის ხმაში ისმოდა ტირილი.

რომელიღაც მკველმა გაბოროტებით დაუწყო გინება მას... თქვენ სთქვით:

— მაგრამ რისთვის დავკარგოთ ტანისამოსი? ამ ტანისამოსით და თეთ-რეულით ხომ შეიძლება შევმოსოთ ვინმე რესპუბლიკის სასარგებლო პირი. წუ-თის შემდეგ მათ ეს ტანისამოსი არ დასჭირდებათ და წყნარი ჩურჩულით მიმარ-თეთ ლეკაინს: — ნუ შეგაქვთ საქმეში დეზორგანიზაცია. წადით და ავტომო-ბილთან დაგვიცადეთ.

მაშინ ისინი მიხვდენ, რომ გამოსავალი არაა... ჯდებოდენ ხის მორებზე, ი[illegible]ობდენ შარვალს და წაღებს, იხდიდენ ქვედა საცვლებს. სხეული მათი, ვინც ისხდნენ ხეების გამჭირვალე ჩრდილში, შემოსილი იყო მწვანე-მოყვითლო ფერით, როგორც ტბის სარკის კამკამი. სხვების სხეულს კი მთვარის შუქი აჩენდა თეთრ-ტრედისფრთათ... ახ, რა უტყვია და გაუგებარი ყველაფერი ეს, როგორც საშინ-ელი, გაუმეორებული სიზმარი.

ამ ადგილებში მე არა ერთხელ გამივლია ზაფხულში. კარგად მახსოვდა ძველი. ორად გაყოფილი ფიჭვი, რომელთანაც ჩვენ ვიდექით. ჩემთვის ნაცნობი იყო ყოველი მისი ტოტი. დაბლა ღეროზე მე შევამჩნიე ნაჯახის ჭდეები.

მე მიყვარდა ეს ფიჭვი, მაგრამ ახლა მე იგი მეჩვენებოდა რაღაც უცნაუ-

რი და მტრულად განწყობილი. ასეთი უცხო და მტრული არის ხოლმე დედა იმ საშინელ წუთებში, როცა მას ხედავ კოშმარში, შენი თხოვნისადმი გულგრილს და შეუბრალებელს. შეხედვამ იმ ადამიანების, რომლებიც იხდიდნენ ტანისამოსს ყინვაში, თვალწინ დამიყენა ცხელ მზიან დღეში ტბაში ბანაობის სურათი ეს არის მხეცური ასოციაცია, მაგრამ მე ვგრძნობდი, რომ ჩემი აზრები ირევიან და კარგია, რომ სროლის ხმამ სწრაფად მოხსნა ეს ჯადო.

თქვენ გახსოვხართ მე ამ დახვრეტამდის? მე გატაცებით ვმონაწილეობდი ჩეკას მუშაობაში და კიდეც ვამაყობდი ამ მონაწილეობით! მე მეადვილებოდა დასკვნის გაკეთება კვლევა-ძიების ოქმებზე და სრულიად დამშვიდებული თითონ ვასრულებდი სიკვდილის განაჩენს ყველაფერს. ამას მიტომ ვაკეთებდი, რომ ღრმად მრწამდა და ახლაც მჯერა, რომ ეს გზა სისხლიანია, მაგრამ ერთად ერთი გამოსავალი გზაა იმ საშინელებისაგან, რომელიც მეფობდა ადამიანთა მიწიერ ცხორებაში, მე მეცოდებოდა ხალხი, ვიტანჯებოდი მათი ტანჯვით, მაგრამ ვიცოდი მხოლოდ, რომ რეოლიუციის მტრების მოსპობით შესაძლებელია კომუნიზმის განხორციელება. ამიტომ ვიყავი ასე დაუზოგველი: მე ჩემი ღრმა სიბრალული გადავცვალე ღრმა სიძულვილზე. და მე ვფიქრობ რომ ასე იქცევა ყოველი კომუნისტი.

დადგება დრო და, მეც მჯერა, რომ იგი ჩქარა დადგება, და ეს დიადი ადამიანური სიბრალული გაასპეტაკებს ხალხის ცხოვრებას დედამიწაზე. მაშინ მოყვასის ტანჯვას უფრო მწვავეთ იგრძნობს ადამიანი. სხვის ორგანიზმს, ამ მშვენიერ ადამიანის სხეულს, რომელიც მოწყობილია ისე, როგორც ჩემი ან თქვენი ორგანიზმი, რომელიც ასევე იტანჯება და წვალობს, მოეპყრობიან დიდი სიფრთხილით. ეს იქნება ასე! მაგრამ ახლა ეს სიბრალული უნდა გარდავქმნათ სიძულვილათ. და ამ დახვრეტამდის მე შემეძლო ამის ასრულება.

აქ კი მოხდა ისე თითქოს ამ თეთრ გვარდიელების სისხლი ჩემ სულში გადაიღვარაო! ხშირად მაგონდებიან ისინი, მთვარის შუქზე გატიტვლებულები, მათი მთრთოლვარე ტიტველი სხეული, სროლის გრიალი და ოხვრა... საშინელი ოხვრა. ქვის სამტვრევიდან! ოხვრა დაკარგული, მომაკვდავი სხეულის! თქვენ შეიძლება მიაწეროთ ეს ჩემს სირბილეს, მაგრამ იცოდეთ, რომ როცა ისინი იხდიდენ, მე უეცრად, ნათლად წარმომიდგა თითქოს მე ვიხდი ტანისამოსს, რომ ჩემ სხეულში ატანს ყინვა, რომ ჩემს კუნთებს და ძვლებს ხრავენ ტყვიები, რომ მე ვქვითინებ საშინელი შემაძრწუნებელი ოხვრით.

მე გადავეჩვიე მოვაწერო ხელი დახვრეტას... დაჰკითხავ, და თითონ კი უცქერი ამ ცოცხალ თვალებს, ამ ხელებს, თვალყურს ადევნებ სახეზე ნაოჭების თამაშს და არც ერთი წუთით არ ივიწყებ, რომ, შენს წინ მტრებია და მაინც ფიქრობ: ნუ თუ ჩემი ხელი გაიმეტებს ამ ორგანიზმს სასიკვდილოთ?

მე გადავლახე სიძულვილის საზღვარი, მაგრამ ჩეკიდან წასვლა მე არა მსურს, რადგან ჩეკისტის მუშაობა დღეს მე მიმაჩნია ყველაზე რევოლიუციონურად და საჭიროთ.

მაშ სჯობია ისევ სიკვიდილი და როცა მე დავიტანჯები სიკვდილის წინ — უსათუოდ მემახსორება ის, რომ მე თითონ ვტანჯავდი და ვხრეტავდი

შეიძლება ეს მართლა ჩემი სირბილე იყოს! შეიძლება [illegible] რომელიც მე უნდა შევასრულო, მე გაეკაუდები და შევიქნებიბ[illegible] და ძლიერი. დაე ეს მივლინება იყოს ჩემი გამოცდა. კომუნისტისთვის ყოველი დღე გამოცდაა — რადგან ყოველ ჩვენთაგანში არის ლტოლვა ძველისადმი.

ჩვენზე, ახალგაზრდა კომუნისტებზე, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... არ კმარა ზოგიერთების მაგალითი, უმრავლესობას ეს ძველი ქვეყანა უბრმავებს თვალებს, უყრუებს სმენას და ურევს ჭკუას. ამიტომ ყოველთვის უნდა ადევნო თვალყური შენს თავს. ხომ არ გადაგიხვევია სწორი გზიდან? ხომ არ შეგშლია რამე? ხომ არ გადაქცეულხარ „ობივატელათ", მე არ მინდა ვიქცე მოტირალ ტოლსტოველ ინტელიგენტად... დაე იყოს გამოცდა ფიზიკური ტანჯვის, მძიმე ნერვიულ მუშაობის, შეიძლება თვით სიკვდილის. ამ მუშაობიდან მე დავბრუნდები ან გარდაქმნილი და გამაგრებული, ან სრულებით არ დავბრუნდები.

მაგრამ მეცოდინება რომ, თუ მე დასუსტებული, გამოვაკლდი მწყობრს სამაგიეროთ ისეთები, როგორც თქვენ — ძირი და ღერო პარტიის, დარჩით რომ ბრძოლა გრძელდება და კომუნიზმი გაიმარჯვებს ქვეყანაზე

იცოცხლეთ და იმუშავეთ კარგად."

ს. ხურიკოვი.

VIII

კლიმინმა გაათავა კითხვა და თავი ჩამოიდო ხელებზე.

— მე დღეს ცუდათ ვარ, რადგან ვგრძნობ ჩემ დანაშაულს ამ სიკვდილში მე მას მეტად ვაფასებდი და დივიზიაში იგი იყო ერთი საუკეთესო მუშაკი. მედგრად, წითელ არმიელებთან ერთად იგი მიდიოდა ხიშთებით ბრძოლაში, პანიკის დროს აჩერებდა ხალხს. ისეთი კომუნისტი, როგორც ის, ძალიან ცოტა იყო პარტიულ ახალგაზრდობის შორის. მაგრამ ჩეკის მუშაობისათვის იგი იყო ზომაზე მეტი ნერვიული და მე კი იგი გადავაფასე როცა წამოვიყვანე ჩეკაში. მის წერილში ბევრი გაუგებარია და ბევრიც არ არის სწორეთ. ავიღოთ მისი შეხედულება დახვრეტაზე; თუმცა ბურჟუაზია კლიმინს სახავს კაცის შჭამელად, მაგრამ ყოველი დახვრეტა ხომ ჩემ სულში სტოვებს ფიზიკურად პირდაპირ უსიამოვნო გრძნობას, ისე როგორც ხდება ხოლმე ბავშობაში, როცა რაღაც ბოროტი ნება გაიძულებს გასრისო და სტანჯო ბუზები მინაზე. გრძნობ რაღაც გასვრილად შენ თავს... და მეც ყოველთვის ვამჩნევდი სისხლს, ტანჯვას და ოხვრას და, უთუოდ, კიდევ შავამჩნევ. ის კი მუშაობდა როგორც მოჯადოებული. და მხოლოდ უეცრად, როცა შეამჩნია მან დახვრეტის საშინელება, შეთრთოლდა და დაიღუპა, და მე კი, თუ ავად არ გავხდები, ვიცი, რომ ვბრიტავ გაუთავებლად სანამ ამას რევოლიუცია მოითხოვს... მე მეცოდება ეს ყმაწვილი.

— ის მაინც ინტელიგენტი იყო,— წყნარად წარმოსთქვა სტალმახოვმა, — მე ამით არ მინდა მისი გალანძღვა, რადგან ინტელიგენტები სხვა და სხვანი არიან, ისეთები, როგორც ის იყო, საჭიროა და სასარგებლო პარტიისათვის. მაგრამ არ მიყვარს აი, ეს ლაპარაკი, კომმუნიზმი და კომმუნიზმის გულისთვის. რაღაც ფილოსოფიაა. კომმუნიზმი! რა უნდა ითქვას მასზე? იცი, ჩემთვის ეს თბილი სიტყვაა.

და თბილი სიტყვა მთელ ჩემ სიცოცხლეში მხოლოდ ორჯ[illegible] მეორე სიტყვა იყო: „გადია“ ასე ვეძახდი მე ჩემ დას. მშობლებ[illegible] დამეხოცნენ, მე ისინი არ მახსოვს, ვიცი მხოლოდ რომ, მამა ჩემი მეჩექმე იყო და ჩემთან ერთად მამის სიკვდილის შემდეგ დარჩა და, თორმეტი წლით ჩემზე უფროსი. ეუყვარდი მეტად, მეფერებოდა და საუკეთესო ლუკმას მე მაძლევდა... მას ჰქონდა ულამაზო სახე ნაოჭებიანი და ყვითელი, როგორც დედაბერს, მაგრამ ჩემთვის ის ულამაზესი იყო. მე ვიქნებოდი თოთხმეტი წლის, როცა ის მოკვდა ხოლერის ეპიდემიის დროს და მას შემდეგ აღარ არსებობდა ჩემთვის თბილი სიტყვა, არც ალერსი და მშობლიური კუთხე.

რევოლიუციამდე 10 წლამდის მე ვიზრდებოდი ქუჩაზე. წაღებს ვწმენდავდი, გაზეთებს ვყიდდი, ვმუშაობდი შაგირდათ მკერვალთან, წიგნის ამკინძავთან, და აგრეთვე ვმუშაობდი სტამბაში. ყველგან ვაცბაში ვატარებდი დროს. მიკვირს როგორ გავძელი და არ მოვკვდი სიმშილისგან? რატომ არ გავლოთდი და არ გავხდი მობეტედ? არ ვიცი...

როგორც კი დაიწყო რევოლიუცია — მე თითქოს ვიღაცამ მითხრა: „აბა, სტალმახოვ, შენი ცხოვრება ახლა იწყება. აიღე ის“. მე მაშინ სამხრეთის ერთ ერთ ქალაქში ვიყავი ფოსტალიონათ და აი, იცი, როცა დადიხარ ამ მყუდრო სახლებში, და გესმის თუ როგორ უხარია ამ „ობივატელურ“ მამაძაღლობას, ეს შემთხვევით შეძენილი, „უსისხლო“ რევოლიუცია — გინდა შეჰყვირო ყველას: რევოლიუცია თქვენ არ გეკუთვნით. თუ თქვენ მოესწაროთ მას გამაძღარი მუცლით, მე კი, სტალმახოვს, მან მომისწრო ქვაფენილზე, სიცივეში და სიმშილობაში. მას ჩემთვის მოაქვს შველა და არა მარტო ხსნა, არამედ საშუალება, რომ მთელი სიძულვილი, რაც დაგროვდა სულში წარსული ცხოვრებით — გადმოვანთხიო ვინმეზე. როგორ მეზიზღებოდა მე ამ დროს ყველა მაძღარი, ბურჟუა, ვაჭრები, წასწავლებლები, ექიმები, აფიცრები, და ყველაზე მეტად ეს წყეული მეშჩანები. რევოლიუციაში მე შევიძულე ადრე ვიდრე შევიყვარე.

მხოლოდ შემდეგ, როცა მე მცემეს ბოლშევიკურ აგიტაციისთვის, მას შემდეგ რაც მე მოსკოვში, ოქტომბერში ალყას ვარტყამდი კრემლს და ეხვრეტავდი იუნკრებს, როცა მე ჯერ არ ვიყავი პარტიაში და პოლიტიკურად არაფერი არ მესმოდა, მაშინ დაღლილობის წუთებში მე მელანდებოდა შორეული მოსვენება. როგორც შორეული, მაგრამ უფუოდ აღთქმული, აი ისეთი, როგორც სასუფეველი ქრისტიანისთვის, თუ ჩემთვის არა. ჩემი შვილებისთვის ან შვილისშვილებისთვის მაინც. და ეს, სწორედ ეს იქნება კომუნიზმი.

როგორია ის არ ვიცი... აგერ წინაზე ავიღე ერთი წიგნაკი, ბელლამი, კომუნიზმის შესახებ, ისეთი, როგორც ხლაპარი და არც წამიკითხავს ბოლომდის — სრულებით არ მომეწონა. ძალიან ჩამოგავს აწინდელს და მე მგონია, რომ იქ იქნება სხვანაირად, რომ ჩვენ ახლა გაგვიჭირდება მისი წარმოდგენაც. მაგრამ როცა ჭკუა ვერევა დაღლილობით, ან როცა სამუშეევარი გლახად მიდის, ან როცა საჭიროა ვინმეს დახვრეტა, მაშინ მე გავიფიქრებ ჩემთვის თბილ სიტყვას — **კომმუნიზმი** და მეჩვენება თ. თქოს ამ დროს ვიღაც წითელი ცხვირსახოცით მიქნევს ხელს.

პოლიტგანათლებაში კი არის ერთი... მარტინოვია მისი გვარი. მე მოვისმინე მისი ლექციები, ლაპარაკობდა აზრიანად და გასაგებად, კომუნისტურ საზოგადოების შესახებ კი ისე გვიამბობდა თითქოს იგი იქ იყო! ძაგრამ აი, მე ვნახე იგი საქმის დროს ჩხრეკის დროს და... გადმოცემაც კი მეზიზღება. მხოლოდ ვიტყვი, რომ გროშად არ ღირს არც იგი და არც მისი ლაპარაკი. სერიკოვი მას არ ჰგავს, რასაკვირველია მან თავი დასდო რევოლიუციისთვის. ამას წინათ მე მქონდა ლაპარაკი ერთ ინტელიგენტ ამხანაგთან—პასუხისმგებელ მუშაკთა სასადილოს შესახებ. ის ამტკიცებდა, რომ სასადილო უნდა დავკეტოთო. და მტკიცების დროს მისი აზრთა მსვლელობა იყო ასეთი: რევოლიუცია ჩვენგან მოითხოვს რომ ჩვენ არ გამოვიდეთ საერთო კერძის ნორმისგან, თუ გინდ ეს კერძი იყოს კვალიფიციურ მუშის. მე კი ვმსჯელობ ასე: ჩვენ ვართ რევოლლიუცია, ე. ი. ის, რასაც ჩვენ მიტინგებზე ვეწოდებთ,—მოწინავე ავანგარდი. თუ ყოველი ჩვენთაგანი, რომელსაც აწევს დიდი სამუშევარი, იშიმშილებს, დასუსტდება და წელში გაწყდება, მაშინ რა თქმა უნდა, ჩვენ ავანგარდს ჩქარა მოელება ბოლო. ეს ხომ უბრალო გასაგებია! მათთვის, ინტელიგენტისათვის, რევოლიუცია—რაღაც გარეგნულია, ღვთაებაა, რომელიც მსხვერპლს ითხოვს, და ჩემთვის კი, მაგალითად... მე შემიძლია ვთქვა ისე, როგორც ამბობდა ვიღაც მეფე: „სახელმწიფო ეს მე ვარო“.

კლიმინმა ჩაიცინა.

— ჰო, კიდეც ღამდება და მე კი შევპირდი ერთ ადგილას შევლას... მშვიდობით, სტალმახოვ, გთხოვ შენ დასძებნე კარაულოვი, ტელეფონით დაუძახე.. მე ვიცი; რომ. შენ არ დაიშურებ შრომის და მოძებნი მას. მართლა, შეიძლება ამალამ დაგვჭირდეს შეკრეფა კომუნისტური გუნდის მაშ, ასე იზამ....

— ვეცდები.

მაგრამ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და გაშორდენ.

როგორც კი თვალს მოჰფარდა სტალმახოვი მაშინვე ნახი, მწვავე სიხარულით გაიფიქრა კლიმინმა რომ ახლა იგი ნახავს ანიუტას.

მაგრამ ეს სიხარული შეერთებული იყო ზრუნვასა და სიხარულთან. გულნატკენი იყო სერიკოვის სიკვდილით და ყოველ წუთს მოღლილ ხსოვნაში გაუელვებდა გორნიხის სევდიანი გაფრთხილება.

ანიუტა შეხვდა მას ხეივანში, იგი მიდიოდა პატარა ბაღზე. მზეს წითლად შეელება დასავლეთი. ნისლი ასდიოდა გამდნარი მიწიდან და ხეები მოსჩანდნენ ისე, როგორც ავადმყოფები. ანიუტამ შორიდან შეამჩნია ნერვიული თრთოლა ამ მოღლილი, დაფიქრებული სახის. კლიმინი ავიდა ხეივანში, ალერსიანათ გადაუსვა ხელი ანიუტას რბილ ნაწნავს, ანიუტა წამოდგა სკამიდან, ჩამოართვა მას ხელი და ხელის მაგრად ჩამორთმევის დროს რბილი, მშობლიური ხმით შეეკითხა: „რა დაგემართა, რატომ ხარ მოღუშული?“ გაჰყვა ანიუტა კლიმინს ოთახში, დაჯდა მის პირდაპირ სკამზე და ის კი, როგორც იყო მახარაში, ისე წამოწვა ტახტზე-ხელები ამოიდო თავ ქვეშ.

— არაფერია,—მიუგო მან მოკლეთ.

პირველად ხედავდა ანიუტა მას ასე დაღონებულს, მუშაობაში უნახავს იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფიქრებული და მრისხანე, ხან და ხან ძალიან გაბოროტებული, მაგრამ არა მოწყენილი.

„ალბად არ სურს ლაპარაკი" — გაიფიქრა მან და დაღონდა. აქნამდის არ, ფიქრობდა იგი კლიმინის სიყვარულის შესახებ და არასდროს არ ეძებდა მას, როგორც არ ეძებდა ფუფუნებით ცხოვრებას, მდიდრულ საჭმელს და ძვირფას ტანისამოსს, არამედ ღებულობდა ყველაფერს ისე როგორც იყო. მაგრამ ახლა, როცა ხედავდა ტანჯვას საყვარელი ადამიანის სახეზე და არ შეეძლო დახმარება აღმოეჩინა მისთვის. — იგი ტკივილით ითვალისწინებდა თავის სიყვარულს კლიმინისადმი. უეცრად დაწყდა გული მის განშორებაზე. ორივენი სდუმდენ და ამ დუმილში მან ხელად შეამჩნია ანიუტას წყენა.

— გამიგონე ანიუტა — პირველად მიმართა მას სახელით და ანიუტა გაწითლდა სიხარულისგან და აღელვებისგან, — ნუ მეკითხები, ნუ აქცევ ყურადღებას. სისულელეა ეს, მაგრამ მაინც ვგრძნობ, რომ რაღაც გვაწვევს გულზე. მუშაობ, მუშაობ, როგორც ეშმა, მაგრამ... ყველაფერს ხომ არ ადევნებ თვალყურს და ეს მარტო ჩემი თანაგრძნობა კი არ არის, არამედ ერთი ჩეკისტი ჭკვიანი და ფხიზელი ყმაწვილი ერთი კვირაა რაც იმეორებს, რომ ქალაქში არის რაღაც შეთქმულება, რომელიც ჯერ არ არის აღმოჩენილი და იცი მე მართლა ვშიშობ რაღაც....

ანიუტა უკვე იჯდა მის გვერდით.

— ნამეტანი გადაჭყეევი მუშაობას, ამხ. კლიმინ, და მგონი მან დაგქანცა. შენ დასვენება და გავლა გჭირდება. დასრულდება თუ არა ეს საათბობის დამზადება— გასწი მოსკოვში. დაბრუნებისას ახალი ენერგიით შეუდექი მუშაობას, ჩემი მაგალითით ემსჯელობ: ვიხეტიალე ორ თვემდის მოსკოვში, დავესწარი ორ ყრილობას, ვესაუბრე საზღვარგარეთელ ამხანაგებს, მოვისმინე ილიჩის, ლუნაჩარსკის სიტყვები და იცი ამ დროს მომენატრა მუშაობა ჩვენ პატარა ქალაქში და ახლა სიამოვნებით ვიწყებ სამუშაოს.

ჩვენ სამუშაოს ხომ ერთი დაჯდომით ვერ გააკეთებ და ეს დასვენების წუთები აუცილებელია... მე ვიცი ბევრი ფიქრობს ჩემზე: აი, სიმკოვა, როგორც კაჟი, უდრეკია, ყოველთვის ენერგიულია და ნაღდი. ამას მეუბნებოდა მე აგერ წინათ ერთი ამხანაგი პოლიტგანყოფილებიდან—რომელსაც შენ უთუოდ იცნობ ამხ. მარტინოვ.

მე, რასაკვირველია, ვსდუმვარ, რადგან სუსტებმა უნდა იცოდნენ, რომ ვილაც არის მათზე ძლიერი და თითონ მე კი ჩუმად მეცინება. რომ იცოდეს თუ გინდ თითონ მარტინოვმა თუ როგორი იჭვიანობა შემიძლია მე ხანდახან.

აი, გზაში სადგურიდან სადგურამდის მოგზაურობის დროს, სადგურებზეც და ვაგონებშიაც, ყველგან ერთი და იგივე სურათია, ერთი და იგივე საჩივარი და აშკარათ სჩანს თუ როგორ ილაჯ გაწყვეტილია ხალხი.

ერთ სადგურზე არის მოზრდილი კიბე რომელიც თავიდან ბოლომდის მოფენილია ხალხით. მამაკაცები, დედაკაცები, ბავშვები წევან საფეხურებზე თავის ბარგი-ბარხანით და მათ სახეებზე ზრუნვისა და დარდის თხელი აბლაბუდაა... გვერდით ბუფეტში სპეკულიანტი შეექცევა ქადებს და ხარბად შესცქერის მას პირში უპატრონო ბიჭი, მოწყალების მიღების შემდეგ იატაკზე სთვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასვრილ ჭრელ ქალალდეს „ეყოფა თუ არა მას პაპიროსშიო“ და ამაგე კიბეზე. სავსე ზიზღით უფრო, ვიდრე სიფრთხილით, ჩამოდის ქვეით გამოპრანჭული კომისსარი, კომუნისტური ვარსკვლავი ბრწყინავს მის მკერდზე და ის კი ფრთხილად, დატანჯულ, გასვრილ სხეულებს შორის ადგაცს თავის ლაქის წალებს, ეშვება ძირს და სპეკულიანტებთან ერთად მიირთმევს ქადებს. ამ ბრბოში ბევრი ტილიანი და მშიერი ბავშია... მე ვნახე ასეთი სურათი: ქუჩაზე მოდის თოვლი და უბერავს ცივი ქარი... და აი, გაყინულ ქვის დერეფანში გამორბის სრულიად ტიტველი ბავში და, როგორც პატარა მხეცი შარდზე გადის პირდაპირ დერეფანში, სადგურის პერონის ბრწყინვალე ასფალტზე. შენ იფიქრე რამდენი ასეთი ბავში ცივდება და იღუპება სადგურზე.

და როცა ვუყურებდი მე ამ კიბეს, რომელზედაც ასეთი ზიზღით ცოცხალ, ტალახიან სხეულებს შორის სუფთა ადგილების ძებნით მოდის მსუქანი სპეკულიანტი და გამოპრანჭული საბჭოთა მუშაკი—უეცრად ჩემ შეგნებაში გაიელვა აზრმა, რომ ასევე იყო ძველ რომშიც, იუდეიაში ქრისტეს დროს, საშუალო საუკუნოებში და აგერ ახლა კაპიტალიზმის დროს. და მე უეცრად დავღონდი. მგონია რომ მე დავწვებოდი ამ კიბეზე, ამ ხალხის გვერდით, დავიფარებოდი მათი მარადიულ ტალახით, შივიღებდი ჩემ სხეულზე მათ ტილებს და ვიწოლებოდი თვით სიკვდილამდის, ხან და ხან უტევდი გზას, რომ გაევლოთ თავისუფლად ლაქის შტიბლეტებით და წალებით.

მაგრამ დრო გამოშვებით ამ ბრბოში შეამჩნევ სახეს და მასზე ისეთ ამაყს, ადამიანის ღვარძლს ბრწყინვალე ფეხსაცმელების და სუფთა ტანისამოსის პატრონების მიმართ და ხელად მიხვდებით, რომ ეს ღვარძლი—ჩვენი გამარჯვების საწინდარია... თუ არა ახლა, დაე,—ოდესმე, მაგრამ სანამ მათხოვრების ბრბოში შეგვხდებიან ასეთი სახეები, მაშასადამე ეს ნიშნავს რომ დადგება დრო და ჩვენც გავიმარჯვებთ!

იგი დადუმდა წუთით.

— დიახ... მე ძალიან ბევრი ველაპარაკე გლეხებს — სდგურებზე. მე შემიძლია გლეხებთან ვილაპარაკო ისე, რომ ისინი ჩემში ვერ შეამჩნევენ პარტიულს მუშაკს და ყველაფერს გულახდილად მეუბნებიან.

და გაოცებული ხარ, თუ როგორც ტანჯულად ცხოვრობს ეს მშრომელი ადამიანი, გლეხი ჩვენს მუშურ-გლეხურ რესპუბლიკაში... ისინი ხომ ჩვენ გვერდით ცხოვრობენ, თვალებით ხედავენ და ყურით უსმენენ — რევოლიუციას — და არაფერი არ ესმით. მოვაწყოთ ერთი სრულიად რუსეთის მიტინგი და უბრალო სიტყვებით ისეთი სიტყვებით, როგორც ლაპარაკობს რობეიკო მოუყვეთ მათ ყველაფერს.

კლიმინმა ჩაიცინა.

— მოუყვეთ... ვერ გაიგებენ ისინი. ცოტა აგიტატორები და პოლიტ მუშაკები მოგვიკლეს ამ მშრომელმა გლეხებმა მხოლოდ მისთვის, რომ ისინი მეტად გულახდილად და პირდაპირ ქადაგობდნენ კომუნიზმს?. ჩვენ წიგნებს ისინი არ კითხულობენ, ჩვენ გაზეთებს პაპიროზის ქალალდათ ხმაროობენ. არა. ანიუტა ეს საკითხი ბევრად რთულია. ჩვენ უნდა გარდავქმნათ მათი ცხოვრება. ისინი ხომ

ნადირები არიან. ჩვენ გვეერდით ცხოვრობენ, მაგრამ საშუალო საუკუნეების რწმენით მათ დღესაც სწამთ ჯადოქრები და მათთვის ჩვენ ვარ [illegible] განსაკუთრებული სახე ჯადოქრების—უკეთეს შემთხვევაში შეიძლება კეთილი ჯადოქრების. უნდა მოვსპოთ ეს ნაცრისფერი სოფლები, ეს ტალახიანი ხვრელების ხროვა, რომელშიაც იგინი ბინადრობენ; უნდა გადავინახოთ მუზეუმებში სახნისი და ფარცხი.

ორივე სდუმდენ; კლიმინმა აიღო ანიუტას ხელი და დაუწყო ალერსი. სიმკოვამ ალერსზე უპასუხა მით, რომ ღაწვით დაეყრდნო მის ცხელ ხელს. მძიმე და ძლიერმა ლტოლვამ შეიპყრო კლიმინის არსება, მან მაგრათ ჩაიკრა გულში ეს საყვარელი, სასურველი სხეული და დაუწყო კოცნა ხელებზე, ლოყებზე და ტუჩებში.

უეცრად დააკაკუნეს კარზე და მათ მოესმათ დიასახლისის დატკბილული ხმა.

— ამხანაგებო, თქვენთან აქ ვილაც გლეხი მოვიდა! კითხულობს ამხ. კლიმინს... ამბობს რომ საჭირო საქმე აქვს...

— დაუძახეთ, მოვიდეს, —წარმოსთქვა სიმკოვამ.

კარი გაიღო და ბნელ ოთახში შემოვიდა ადამიანის ფიგურა. კლიმინმა გაანათა ცეცხლის მოსაკიდით და მის ირიბ სინათლეზე გამოჩნდა სრულიად უცნობი სახე წვერიან გლეხის.

ნაგრამ კლიმინმა კითხვაც ვერ მოასწრო, რომ უეცრად ნაცნობმა ხმამ აჩქარებით წარმოსთქვა:

— ამხ. კლიმინ, ძლივს მოგაგენი, ქალაქში აჯანყებაა...

— აჯანყება? — ერთხმად იკითხეს ორივემ. სიმკოვამ ჩამოახსნა კედლიდან მაუზერი, სწრაფად ჩააწყო ტყვიები, შეინორჩყა წელზე...

კლიმინმა გლეხს ხელში წაავლო ხელი:

— ეს შენ ხარ გორნიხ? მოჰყევი რაშია საქმე.

— მოყოლა შორს წაგვიყვანს, მე გაინოვეწყვე გლეხურად, ვავიკეთე გრიმი შეუერთდი ბრბოს და ყოველივეს დაუგდე ყური... ვიცი, რომ დღეს აჯანყებაა რომ მოვლიან ბანდები... ალბად, კიდეც მოვიდნენ! მე მინდოდა ტელეფონით დამეძახა, მაგრამ საველე ტელეფონი უკვე გადაუჭრიათ... ქალაქის ტელეფონზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

სიმკოვამ მოიხურა წამოსასხამი და ეაკეტკა. გამოცვიდნენ ქუჩაზე. უბერავდა თბილი, რბილი ქარი. მიწას ახარებდა გახეფხული. სიბნელეში ჩხრიალებდენ ნაკადულები. მოხრილი გლეხი დიდი წვერებით, ვორნიხის ზვავსი ხმით განაგრძობდა ლაპარაკს:

— ჩვენ სამი ვართ... ვიმუშავოთ რაც შეგვიძლია. კლიმინ, შენ წადი ჩეკაში და შეაგროვე ამხანაგები, რომელნიც გამოდგებიან. ამხ. სიმკოვა წავიდეს კომუნისტურ გუნდში. მე კი წავალ სადგურზე. ქალაქი, უთუოდ გარშემორტყმულია, მაგრამ გადაცმულად მე შევძლებ გავიარო მტრის შარი და ავაჯანყო რკინისგზელები. უმთავრესია — სადგური არ დავანებოთ მათ. ჩქარა!

ვორნიხმა მაგრათ ჩამოართვა ხელი და აი ის უკვე მიეჩქარება, მაგრამ არა ვორნიხი. არამედ მაღალი გლეხი გრძელი წვერებით. სიმკოვაც დაემშვიდობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოართვა ხელი, წავიდა, შემდეგ გამობრუნდა სირბილით-და ალაპარაკა ხელი ტუჩებით.

კლიმინი მიდიოდა ჩქარი ნაბიჯით კომისიისკენ, ხელს უჭერდა ნაგანს, და როგორც ყოველთვის საშიშროების დროს, იყო აუღელვებელი, დინჯი, ყველაფერს ერთხელად ადევნებდა თვალყურს. მაგრამ ნაინც გრძნობდა თავს ისე, თითქოს მოსტაცეს მას სხეულის განუყოფელი და ძვირფასი ნაჭერი, მოგლიჯეს ნერვებით და სისხლით.

IX.

ოთხი საათი დაჭყო მარტინოვმა კომუნისტურ ასეულში დღიურში, დადიოდა ვინტოვკით დაცარიელებულ, ფართე ეზოში, იცავდა იარაღის საწყობს. ოდნავ ჭყინავდა, მაგრამ არ ციოდა. სადღაც სახურავებს ზევით უბერავდა ქარი და ჰაერში იფრქვეოდა გაზაფხულის სურნელება. მარტინოვი პირველ ორ საათს ფიქრობდა, იგონებდა მთელ სიცოცხლეს, სჯიდა და იბრალებდა თავის თავს ათას მცირე დანაშაულისათვის, ფიქრობდა რევოლიუციაზე, პარტიაზე, თავის სამუშაოზე.

უკანა' კნელ საათში მარტინოვი არაფერზე არ ფიქრობდა, მხოლოდ უცდიდა... უცდიდა ცვლას ფეხებზე თითები გაეყინა, სიცივე ჩაუდიოდა საყელოში, სახელურში და, რომ ცოტა გამთბარიყო, მარტინოვმა იწყო ვინტოვკით მოძრაობა.

სამრეკლოზე თორმეტჯერ დარეკეს, ახლა საათად ეჩვენებოდა ცდის ყოველი წუთი, მას უკვე უნდოდა დაესტვინა, გამოეწვია განმრინებელი და მოეთხოვა ცვლა, მაგრამ ის უკვე მოდიოდა, აი უკვე სადარაჯო შენობის კუთხიდან გამოჩნდა ორი ფიგურა.

შეასწორეს ბეჭდები საწყობის კარებზე, მარტინოვმა გადააბარა დღიურობა და სწრაფად შეირბინა საყარაულო შენობაში. თითქოს დაიოროო გაზაფხულის ჰაერით, სახე გაუნათლდა და, როგორც ყოველ ცვლის შემდეგ იგი ახლაც იყო მხიარული, უდარდელი და არაფერი არ აწუხებდა მას.

ყველაფერი იყო მისთვის უბრალო და აშკარა, ყოველივე გაიფიქრა და გაითვალისწინა მან კომუნისტურ გუნდის ეზოში დღიურად დგომის დროს. ის სვამდა ცხელ ჩაის, კვნეტავდა, შაქარს და სტეხდა პურს და ისმენდა ამხანაგების საუბარს.

— ერთი ბეწოც არ მჯერა, — ამბობდა განმრინებელი, ძველი უნტერი გაიხელებული კოხტად დაკრეხილ ულვაშებით. — განა წარმოსადგენია, რომ ადამიანი თევზისგან ან ბაყაყისაგან წარმოსდგეს? საკვირველია: მაიმუნისაგან, — კიდევ ჰო, მე არ ვარ წინააღმდეგი... თითქმის თანახმაც ვარ. მაგრამ თევზისგან ზღაპარია ერთი.

— რატომ თევზისაგან, ამხანაგო? თევზისაგან .ი არა — მის მხვავს ქმნილებათაგან... რომელთაც აქვს ძალიანი მარტივი აგებულება. ისინი ცხოვრობდენ წყალში და მაშინ მათი ტანის აგებულება იყო ერთნაირი, მაგრამ როცა იწყეს გამრაველება ზოგიერთებმა დაიწყეს პატარა წყლებში გადასვლა... და იქიდან კი

ხმელეთზე. აქ კი მათმა ორგანიზმმა იწყო ახალი ცხოვრებისადმი [illegible] ყუჩების მაგივრად გაუჩნდათ ფილტვები. ეს ერთბაშათ კი არა [illegible] თანობითი ათასი წლების განმავლობაში. რომელნიც იჩენდნენ გამძლეობას ისინი ცხოვრობდნენ დიდხანს და თავის შემდეგ სტოვებდნენ შთამომავლობას; ამნაირად, ხდებოდა გადარჩევა, ისე, როგორც ქარხნებში საშინაო საქონელს ამრავლებენ; აი, ეს არის ბრძოლა არსებობისთვის... ის აღმოაჩინა დარვინმა.

მოისმინა მარტინოვმა ეს მძიმე საუბარი, სტკიებოდა ამ ფართე, უხეში სახის თამაშით და იგონებდა: ნეტავ სად ნახა მან ეს სახე, სად მოისმინა ეს ნელი საუბარი?

ის კი ლაპარაკობდა და თვალს არ აშორებდა მარტინოვს, თითქოს იგიც სცნობდა მას... მაგრამ ვერ მოიგონა. და უეცრად გაოცებით წამოიძახა:

— ამხანაგო, თქვენ სერგეი ზახარიჩ მარტინოვის შვილი ხომ არა ხართ?

— მე ვარ, — მიუგო მარტინოვმა და გაწითლდა.

— ნუ თუ თქვენ ვერ მიცანით? მე ხომ მამა თქვენის ტყავის ქარხნიდან ვარ. ნუ თუ არ გახსოვთ ანდრეევი? მე ჯერ კიდევ სლობოტკაში მიძახოდნენ ქიმიკოსს...

მარტინოვმა იცნო... ეს სახე, ეს ფართე შუბლი, უბრალო და უხეში სახის ნაკვთები პატარა მკვეთრი და ნათელი თვალის გუბით. წართალია მეტად მოხუცებული, თმა გათეთრებია, დანაოჭებია შუბლი. გამაღლებული და ჭრილობას გადაუსერავს მთელი სახე თვალიდან პირამდის. ცხრა წელიწადია არ უნახავს და მხოლოდ ახლა მოიგონა ვიწრო სადგომი, ლამფის მკრთალი ნათელი და ანდრეევი ახალგაზდა, გახსნილი სახელოთი მაგიდაზე დახრილი, მწვანე სუნიან სითხეს ასხამს ტყავზე და მარტინოვის მამა, მსხვილი მოხუცი სისხლით ავსილი პირისახით და ბოროტი თვალებით, ნაცრისფერ დიაგონალში, მუცელზე ჩამოკიდებული ძეწკვით, წყნარად ზის სკამზე, ალერსიანათ იღიმება — და, დრო გამოშვებით, რაღაცას სწერს თავის უბის წიგნში.

მოხუცს მარტინოვს ხანდახან მიჰყავდა ხოლმე შვილი ქარხანაში მაგრამ არ აძლევდა მუშებთან ლაპარაკის ნებას. პირში თუ ზურგს უკან ეძახდა იგი მუშებს ლოთებს, ქურდებს და გარყვნილებს და მხოლოდ ანდრეევთან „ქიმიკოსთან", როგორც დაცინვით ეძახდნენ მას სლობოტკაში, უყვარდა ხოლმე შეველა და თან პატარა შვილიც მიჰყავდა მასთან.

— თავიანი ბიჭია, ანდრეევი, — ეუბნებოდა მოხუცი მარტინოვი ვალოდიას ამაყია მეტად, მაგრამ მასთან ჭკვიანი...

ვალოდია ხედავდა, რომ მამა მისი მრისხანე და სასტიკი თავისიანებთან ოჯახში ხანდახან ითმენს უხეშს და ანაყს დამოკიდებულებას ანდრეევთან, ყურადღებით ისმენს მის განმარტებას, რომელიც სავსეა ქიმიკური რეაქტივების სახელწოდებით და სპეციალური ტერმინებით. ხედავდა რომ ამ ახალგაზდა მუშას ნება აძლევა ეწოდეს ქარხნის პატრონს სახელით, — რომლის უფლება არ ჰქონდათ თითონ უფრსს მუშებსაც. არ ესმოდა ვალოდიას მათი უცნაური დამოკიდებულება.

წემდეგ ანდრეევი სადღაც გაჰქრა, რაღაც უთანხმოება მოუვიდა მამასთან.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲘ

მარტინოვმა არ იცოდა რაზე წაიკიდენ ისინი. მაგრამ ეტყობოდა, რამ-
მოდენიმე დღეს მამა გულმოსული იყო. ავინებდა ყველა მოსამსახურეებს „უკა-
ნასკნელი სიტყვებით", როგორც ზრდილობიანათ სთქვა კუჩერმა. ანდრეევის
ბინაზე ვილაც სხვა დააყენეს. მარტინოვი გაიზარდა, იგი მეტად გაიტაცა ფუ-
ტურიზმმა, ფილოსოფიამ, კულტურის ისტორიამ... შემდეგ მოვიდა სიყვარული...
შემდეგ რევოლიუცია და პარტიული მუშაობა. ანდრეევნა ყოველივე დაივიწყა.
იგი ახლა ზის, ყოჩაღი, სიცოცხლით სავსე, თუთუნით სტენის ყალიონს, ლაპა-
რაკობს ნელა და გარკვევით.

— მე გავიგონე, რომ თქვენ პარტიაში ხართ, ამხ. მარტინოვ. როცა აქ
მოვდიოდი, წინდაწინ მქონდა გადაწყვეტილი მივალ თუ არა გამოვაბუზღრებ
პარტიიდან იმ ბურჟუის შვილს მეთქი. ვფიქრობდი, რომ თქვენ პარტიას ახლა-
ხან ბიეკედლეთ. მოვედი თუ არა შევკრიბე ცნობა თქვენ შესახებ, სად და რო-
გორ მუშაობთ, მაგრამ ყველა აქებენ, რომ თქვენ კარგი და პატიოსანი ბუშაკი
ხართ: მაშ, გავიფიქრე ჩემთვის, რა უყოთ დაე, იმუშაოს თავისთვის...

ქებისაგან მარტინოვი ოდნავ გაწითლდა.

— მე ჩემიანებს რევოლიუციის დასაწყისშივე გავშორდი. ყოველივე კავშირი
გავწყვიტე მათთან. მამას ვერ ვურიგდებოდი ვერასგზით... დესპოტი იყო იგი
სასტიკი... სიტყვას ვერ იტყოდი მის წინააღმდეგ.

ზედმეტია ლაპარაკი! კაჟივით კაცი იყო და არავითარი შეკოდვება
არ იცოდა ადამიანის. და ჩვენი ძმა მუშა ხომ აღარ იკითხება ისე ჰყავდა შე-
ვიწროებული.

მაგრამ პირადათ თქვენ მგონი კარგად გეპყრობოდათ? შეეკითხა მარ-
ტინოვი.

ანდრეევნამ გაიღიმა.

რა თქმა უნდა კარგად, პაპიროზსაც კი მაწოდებდა. რადგან ეს მის-
თვის სასარგებლო იყო! მაპატიეთ ამხ. მარტინოვ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ
თქვენი ნამა მეტად ცბიერი და გაცვეთილი კაცი იყო... გახსოვთ მე სლაბოდ-
კაში ქიმიკოსს მეძახოდნენ. ეს იმიტომ, რომ მე ძალიან მიყვარდა ქიმია და გა-
მოვიგონე საშუალება, რომლის გამოყენებით შესაძლოა უფრო მოხერხებულად
და მეცნიერულად ტყავის გათელვა. მაგრამ სულელი ვიყავი მიშინ, რომ პატენ-
ტი ჩემ გამოგონებაზე არ აეღო და თქვენმა მამიკომ ის უფასოთ გამოიყენა...
მე კი მაჩუქა სამ ნანეთიანი. მე მაშინვე წიგნები ვიყიდე ამ ფულით. გახსოვთ
იმ ხანებში სლაბოდკის მუშები რა დაუდეგარი და შფოთიანი ვიყავით. სამუ-
შაო მეტად მძიმე და აუტანელი, პატარა ჯამაგირი, ერთად ერთი ნუგეში იყო
სიმთვრალე.

მე არ ვლოთობდი. საზოგადოთ; არაყი არ ნიყვარს, ამხანაგებისაგან ყო-
ველთვის განცალკევებული ვიყავი. სულ ქიმიას ვმაცადინობდი და ვკითხულობ-
დი წიგნებს. არ იყო ვინმე რო დაველაპარაკებოდი აი, მე და თქვენი მამა გავა-
ბამდით საუბარს. ვილაპარაკებთ, ვილაპარაკებთ,—გაიხედავ იგი უეცრად რაიმე
ახალს შემოიღებს ქარხანაში, მუშების წტატი თითქმის ორჯერ მეტად შეამოკ-
ლა. გამოდიოდა ისე, თითქოს მე ვიყავი მასთან ინჟენერ ინსტრუქტორად და

ვლებულობდი კი დღეში ხუთმეტ კაპეიკს და კიდევ ცოტაოდენს საჭმელს, ხან მანეთს, ხან ათ მაურს, ხან სამმანეთიანს. მე ქარხანაში დამარქვეს „ბიბი ქიმიკოსის“ სახელი... და, მართლაც, იაფი ვიყავი.

ამასობაში ცოტაოდენი შეგნება მეც შევიძინე. მივმართე ერთხელ, ბატონო მარტინოვ, ჩემ გამოგონებისთვის ნე მინდა ავილო პატენთი. თქვენ მას ჩემგან იყიდით და დაიწყებ სწავლას... ვოცნებობდი მე ინჟენერად გავმხდარიყავი. პოლიტიკაში არაფერი არ მესმოდა და არავითარი კლასიური შეგნება არა მქონდა. მხოლოდ მქონდა სწავლის და თვით განვითარების დიდი სურვილი.

ის რომ შეთანხმებულიყო ჩემთან, —ნე მას, შესაძლოა, დიდ სარგებლობას მოუტანდი და ახლა ვიქნებოდი ინჟენერი. მაგრამ თქვენი მამა ძუნწი იყო და სიძუნწით დაბრმავებულმა დამიწყო გინება, მე კი არ მიყვარს, როცა მაგინებენ. სიტყვა არ შემიწევია და სასტიკად წავიკიდეთ. ამის შემდეგ მან დამითხოვა. ძალიან გლახა მდგომარეობაში ჩავარდი. დედა სიმშილისაგან მომიკვდა. შემდეგ წავედი ივანოვ-ვოზნესენსკში, გავეცანი იქ შეგნებულ ბიჭებს, ისინი მაძლევდენ „Правда“-ს წასაკითხად, მათ ამიხილეს თვალი და მეც ცოტა რამ გავიგე.

ძნელია მოგონება თუ რა წამებაში ვიყავით და როგორ გვეუფროსებოდენ... მაგრამ, დაილოცა სამართალი, ახლა ყველაფერი გათავდა. ძველი დრო აღარ დაბრუნდება. სერგეი ზახარიჩი შეიძლება ახლა იაპონიაშია, შეიძლება ამერიკაში. მის ქარხანაში მე ახლა კინალამ უფროსი ვარ.

— თქვენ განა იქავე მუშაობთ?— შეეკითხა მარტინოვი.

— მაშ, ქარხკომის თავმჯდომარე ვარ. ორი თვეა უკვე.

— როგორ მუშაობს ახლა ქარხანა?

— ცხადია, — როგორ იმუშავებს, — გლახათ. მუშები თაღლითობენ, იძლევიან გლახა კერძს და მასაც უწესოთ, ხელფასის ჯილდო — სულელური, მანქანები ძველი და გატეხილები. ხშირად მიგინებია თქვენი მამა და არც მიყვარს მე იგი, მაგრამ, მიუხედავათ იმისა, ვამბობ რომ კიდეც ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ მისგან.. უნდა ვისწავლოთ მისგან აი, ის... ანდრეევი შეჩერდა, ეტყობოდა არჩევდა შესაფერ სიტყვებს, — მეურნეობა... მრისხანეც იყო, ცბიერიც, თავის ძლიერების გამოჩენაც უყვარდა მაგრამ ქარხანა კიდევ ყველაზე მეტად უყვარდა. დღე და ღამეს იგი ხომ ქარხანაში ატარებდა:. გახსოვთ? ყოველ მანქანას იცნობდა, მუშაობდა, როგორც ყოველი მუშა.. და რაც უმთავრესია, ჰქონდა მოსაზრება. საოჯახო, კომერციული.. აი, ეს გვაკლია ჩვენს დღეს.

იცილოთ თუ გინდა ჩვენი დირექტორი. იგი ინჟენერია. უმაღლეს სახალხო საგეურნეო საბჭოდან გამოგზავნილი, მასთან კომუნისტი... მაგრამ კაბინეტიდან არც კი გამოდის. ხომ არ იცნობთ მას?

მან დაასახელა პარტკომის წევრის, პარტიული ამხანაგის გვარი, რომელიც ხშირად გამოდიოდა პარტიულ კრებებზე.

— მე კი ცუდი პოლიტიკოსი ვარ. ერთი სიტყვით, როგორც ვიყავი ქიმიკოსი, ისევე დავრჩი მად. რასაკვირველია, მე ყველაფერი მესმის, ყველა მისი შეცდომები.. მაგრამ ოითონ იგი ვერას გზით ვერ გამიგია. ცალკე თუ ვარ მასთან შემიძლია კამათი! მაგრამ თუ კრებაზე ვარ — მაშინ იგი ხელად გარს შე-

მომოვლის.. მე არ ვიცი როდის შეიძლება სიტყვის უფლების [illegible] ლოდის არა და ის კი ხელათ: „ხმის მიცემის მოტივისთვის" და გაიბ[illegible] ვგრძნობ, რომ ის ცრუობს და ფარშევობს მაგრამ ვერ დავიჭირე მაინც იგი. თუ აიღებ სიტყვას, ლაპარაკობ ენა დამბულად თითქოს ენა ბაწრით გქონდეს შეკერული.

— თქვენი ქიმია როგორაა?

ანდრეევის სახე მოიღუშა.

— ძალიან გლახათ.. ცოლი შევირთე და პოლიტიკას გავყევი. ქიმია უკვე გათავდა. გული მტკივა — არ შეიძლება მუშაობის დანებება თუ ჩვენ მთქნარებას ვიწყებთ, მაშინ ბურჟუაზია ხომ ჩაგვყლაპავს. მაშა, ასე, გამოდის რომ ქიმიას ბოლო მოელო?

ანდრეევი ჩაფიქრდა. ირგვლივ სიწყნარე სუფევდა. განმრინებელი ხმა მაღლა ხრიბავდა. თავი მიედო ფანჯრის ბაქანზე.

— დავიძინოთ ამხ. მარტინოვ, თორემ ვხედავ შენც დაღლილი ხარ. მეც საცაა ცვლაზე უნდა წავიდე.. პატარა ხანს დავჯდები და წავიკითხავ.... „გარდამავალ პერიოდის ეკონომიკა"-ს: საინტერესო წიგნია...

მარტინოვი ძილში თვლემის დროს ფიქრობდა მასზე, რომ პარტიული მუშებიდან ბევრს შეუძლია საპასუხისმგებელო მუშაობის შესრულება უფრო მეტი კომუნისტური ტაქტით, ვიდრე ზოგიერთ პარტიულ ინტელიგენტებს, მაგრამ პარტიის მექანიზმი ისეა მოწყობილი, რომ დაწინაურებას ღებულობენ მხოლოდ ისინი ვინც ლამაზად ლაპარაკობს, ვისაც შეუძლია თავჯდომარეობის გაწევა და აღელვებული კრების გაძღოლა. იგი ადარებდა ანდრეევს, მის უმწყობრო, მაგრამ ჭკვიან სიტყვებს — ტყავის ქარხნის დირექტორის პასუხისმგებელი კომუნისტის გამოსვლებს, რომელიც ისეა დარწმუნებული თავის თავში და იმავე დროს შეუგნებელია და არ ესმის კლასთა ბრძოლა და პარტიის ძირითადი პრინციპები და თავის უცოდინარობას მალავს ბყვირალა ფრაზებით. მაგრამ ავტორიტეტულ ბარიტონისთვის, აღელვებული კრების გაძღოლისთვის და სიტყვის რიგს გარეშე აღების უნარისთვის მას ყველგან ირჩევენ და სთვლიან მეტად ჭკვიან და საქმიან კაცად.

უეცრად მარტინოვის ნათვლემარე ფიქრები დაარღვია დერეფანიდან ხმამაღლა რაკუნმა.

— იქ ვიღაცა უნდა იყოს! — მოესმა მარტინოვს ანდრეევის სიტყვები. — ამხანაგო მარტინოვ, თქვენ გესმით? — შიკრიკი იქნება, — წაილულღლუღა მარტინოვმა და ხელახლა მიეცა თვლემას.

— არა, რაღაც გლახა ამბავი უნდა იყოს, — წამოიძახა ანდრეევმა და ჩახმახი დააყენა ფეხზე. მარტინოვი წამოხტა და უეცრად თვალი მოჰკრა კარებში შემოვარდნილ ბრბოს. გაბოროტებული სახეები, შავი წვერები, ხელში ბერდანკები და ნაჯახები.

ბანდიტებია, — გაუელვა თავში, — გუშაგი უთოოდ მოჰკლეს.. და ჩვენც აგრეთვე...

მაგრამ არ დასცალდა ფიქრი, რომ უეცრად ოთახში გაისმა მძიმე და ყრუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სროლა. ოთახი გაიბურა კვამლით და მსუქანი ჯლეხი პირველად ლო შემოვარ- და საყარაულო შენობაში მძიმეთ დაეცა ძირს და ხელიდან გაგდო ბაგერიის კიბტა კარაბინი.

— ისროლე, ამხ. მარტინოვ... რას უყურებ? — მოისმა სასოწარკვეთილი ხმა, ანდრეევმა მეორეთ გაისროლა.

— თქენი დედაც... ძამა ძაღლებო... დასცხე მაგათ...

უნდა ვისროლო. — გაიფიქრა უეცრად მარტინოვმა — სულ ერთია ბოლო გვეღება — მაშ, დავცხოთ... და ის აორთოლებული თითებით უშვებდა საფრთ- ხილოს მაგრამ გასროლა არ დასცლია. საფეთქელში მაგარი დარტყმით იგი დაეცა ძირს. ეცემოდა და გონდაკარგულს ესმოდა ენდრეევის მესამეჯერ გას- როლა, რომლის ხმა იფარებოდა ბრბოს გინებით და ღრიალით. მწვავე, მოუთ- მენელი ტკივილებით მან დაჰკარგა გონი და უკვე აღარ გრძნობდა ბანდიტების მესამეჯერ შუბის დარტყმას, რომელთაც მას გაუტეხეს თავის ქალა. ნელინელ გამქრალი სიცოცხლის შეგრძნებით გამოწვეულმა სიცალიერემ დაჰფარა მისი შეგნება.

X

უკვე სამი დღეა, რაც რობეიკო არ გამოდის სახლიდან. ჩხრეკის დროს გაცივდა — ალბად ქარში. საღამოზდის თავს იმაგრებდა, მაგრამ ღამით ძა- ლიან ცუდათ შეიქნა. დილით შინჯა ადგომა, მაგრამ თავბრუ დაესხა და მაგ- რად შეგინების შემდეგ ისევ დაწვა და აუდგომლად იწვა მწვანე ხავერდისფერ გარდინებიან, დიდ ოთახში, რომელიც წინათ ბატონ სენატორის კაბინეტად ჰქონდა.

შიოდა, მაგრამ არავინ ჰყავდა გაეგზავნა საღილის წასატანად. მდუღარე წყლის მიცემაზე სახლის პატრონი ეარს ვერ ეუბნებოდა და დღეში ორჯერ იდგმებოდა მისთვის სამოვარი. რობეიკო სვამდა ცხელ ჩაის და ხრავდა გაქვა- ვებულ ჭერის პურს.

პური ბევრი ჰქონდა, მაგიდაზე ედგა მთელი გოგრა. რობეიკომ ხელით მოამტვრია მას გარედან ჭერქი და მთელი მაგიდა დაითვარა პურია ნამცეცებით. რობეიკო ძალიან მოწყენილი იყო. ის არ აბტყუნებდა აბზანაგებს მასში, რომ მაო დაივიწყეს იგი, იცოდა, რომ მათ არ ეცალათ მისთვის, მაგრამ ნაიხც დაღონე- ბული იყო. ბნელდებოდა, მაგრამ სანთელს არ ანთებდა. რადგან კითხვა არ უნ- დოდა. მის ხსოვნაში გაიელვეს გრძნობებმა სიყმაწვილეზე, განვლილ მუშაობაზე. რაღაც მიზეზის გამო მის ხსოვნას აღარ ზორდება ლითონის ქარხანა შორეულ სამხრეთში ეკატერინოსლავის გუბერნიაში, სადაც მან გაატარა თავის სიყმაწვი- ლე. 1905 წლის გაზაფხული, კრებები ცივ, ეარსკვლავიან ღამეში არყის ხეების ტყეში, მისი პირველი გამოსვლა, პირველი მხურვალე, უხერხული ლაპარაკი. იგონებდა ვიღაც ქალიშვილს, მის დარიჩინის ფერს გიმნაზიელის ტანისამოსს, მის წიხერა-მოხვრას და ღიმილს. მაგრამ სახელი მისი ვერას გზით ვერ მოიგონა. არ იცის ელენა ერქვა თუ ოლგა.

დრო გამოშვებით აუტყდებოდა ხველება, ნაშინ თვალებში მწვანეთ უბნელ-

დებოდა და სწრაფად იფანტებოდენ ახრები და სახეები. [illegible] ხველებისაგან, იწვა დახუჭული თვალებით და შეუმჩნეველათ ისევ [illegible].

დღეს ბინაში განსაკუთრებული სიჩუმე სუფევდა. სამზარეულოში აღარ ისმოდა მადამ სენატორის ტაფების შიშხინი. აღარ ისმოდა დერეფანში ფრთხილი ჭრიალი რაფიელ ანტონიჩის ფეხის ნაბიჯის... მაგრამ გაღებული კარებიდან რობეიკოს ყურამდის ყოველთვის მიდიოდა ფურჩული, რაღაც ყრუ საუბარი და იგიც განურჩევლად ისმენდა მათ. უეცრად მოისმა რაკუნი კარებში და ქალის ნაზი ხმა:

— ამხ. რობეიკო, თქვენთან შეიძლება?

— შემოდით, — მიუგო მან და ოთახის შემოსავალში თვალი მოჰკრა ქალის ფიგურას. ეს იყო ლიზა გრაჩოვა.

— თქვენ ასე მწარეთ ახველებთ, ამხ. რობეიკო. ჩემს ოთახშიაც ისმის თქვენი ხველება. მე ხომ აგერ გვერდით ვცხოვრობ, კედელს იქით. მე თქვენ რეჩ მოვიტანეთ... ერთი სტაქანი შეიძლება რითიმე დაგეხმაროთ?

რობეიკო უყურებდა სინათლის ზოლს, რომელიც იფრქვეოდა დერეფანის ნახევრად გაღებული კარებიდან. ახლა ეს ქალიშვილიც წავა, მიიხურავს კარებს, ისევ დაბნელდება ოთახში და ისევ მარტო დარჩება რობეიკო. მან ახლა მწვავეთ იგრძნო თავის მარტოობა... ის, უთუოდ ჩქარა მოკვდება, მას, რა თქმა უნდა, აღარაფერი უნდა, რძე მას რას უშველის, მაგრამ ეწანებოდა ისევ მარტოთ დარჩენა.

— გმადლობთ თანაგრძნობისთვის, — მიუგო ალერსიანათ. — აანთეთ ელექტრონი — ჩაი დავლიოთ. ლიზამ გადასწია გამოსარიცხის კნოპკას და სწრაფად ამოიოხრა. ბალიშისპირი მოსვრილი იყო სისხლით, რომელიც ყელიდან სდიოდა რობეიკოს ხველების დროს. რობეიკო თითონ ვერ ამჩნევდა და მხოლოდ ახლა დაინახა სისხლი.

— ღმერთო ჩემო, — წარმოსთქვა ლიზამ, — თქვენ უთუოდ ძალიან ცუდათ ხართ... მე თქვენ გამოგიცვლით ბალიშისპირს. ამ ორ დღეში, ეტყობა, თქვენთან არავინ ყოფილა, ამბობდა ლიზა და ყუთს აღაგებდა. — მე რამოდენიმეჯერ მინდოდა შემოსვლა, მაგრამ მეხეთრებოდა.

რობეიკომ გაიღიმა.

— ნუ თუ მე ასეთი საშინელი ვარ?

— არა, თქვენ ახლა არა ხართ საშიში, მაგრამ აი, როცა თქვენ პალტოში ხართ... მიშინ თქვენ ისეთი ამაყი და მიუდგომელი სახე გაქვთ...

რობეიკოს ესიამოვნა ლიზას ასეთი მზრუნველობა და იგიც იღიმებოდა ალერსიანათ და დაცხვენით. ლიზაც ხედავდა მის მკრთალ ღიმილს, წვრილ, ჩხირივით გამხდარ ყელს, — დაჭიმული ძარღვებით. ეცოდებოდა იგი და სრულებით არ ეშინოდა, რადგან ხედავდა მას სუსტს, ულონო ავადმყოფს.

— თქვენ სად მუშაობთ? — შეეკითხა რობეიკო.

— მე წითელ არმიელებს ვასწავლი, მაგრამ სამი დღეა რაც არ ვმუშაობ, ჩვენი ათასეული წასულია მონასტრისაკენ შეშის დასამზადებლად.

— უკვე წავიდა? — შეეკითხა რობეიკო თითქოს გამოცოცხლებული — კა-

რაულოვი ხომ ამის წინააღმდეგი იყო... მაშასადამე... შეშას დეპეშაზე [illegible] ადებთ.— რობეიკომ თავი ასწია ბალიშიდან და წამოჯდა ლოგინში [illegible] ყველაფერს, რაც იცოდა შეშის მომზადების შესახებ კომუნისტების ლაპარაკიდან სუბოტნიკზე. და მან იგრძნო რობეიკოს უეცარ გამოცოცხლებაში, თუ რამდენათ საინტერესო იყო მისთვის ამ ამბის მოსმენა.

ლიზას რობეიკო ეჩვენებოდა მარტინოვზე უფრო ჭკვიანათ, თუმცა წინათ მარტინოვი ძალიან ჭკვიან კაცად მიაჩნდა, რადგან ვერაფერს ვერ გებულობდა მისი ლაპარაკიდან. ლიზა ხედავდა რობეიკოს უშიშრად სიკვდილის მოლოდინს და გრძნობა, რომ მას თითონ არ სწამდეს სულის უკვდავება იგი ასეთი დამშვიდებით ვერ შეხვდებოდა სიკვდილს...

საღამოს გვიან წავიდა ლიზა თავის ოთახში. დამშვიდობებისას, რობეიკომ სთხოვა ხშირად შევლა. პატარა ხანს იქით იგი გამოაღვიძა ხმა მაღალმა ნაბიჯმა დერეფანში და ხმაურობამ. ოთახში და ქუჩაზე იყო წყვდიადი.

ლიზა უეცრად შეკრთა... სქელი კედლების იქიდან გარკვევით ვერ არჩევდა სიტყვებს, მაგრამ ესმოდა უხეში ხმა, ყვირილი და ფეხების თქარუნი. ათრთოლებული ხელებით ჩაიცვა ფეხზე. მიუახლოვდა კარებს და ჩუმად გააღო იგი. დერეფანში, სამზარეულოში, ვიღაც გლეხებია ჯარისკაცების მაზარებში და ქურქებში; ზოგიერთების ხელებში შეაჩნია მან თოფები, ნაჯახები. ამ უხეში, გასვრილი, ბალნით დაფარულ სახეებიდან მის ხსოვნაში აღიბეჭდა სამი ნაცნობი ადამიანის სახე.

რობეიკო ქვედა საცვალში სახეზე სისხლიანი ჭრილობით—იდგა ხელებ შეკრული, ცივ იატაკზე ფეხშიშელი.

რობეიკოს პირდაპირ—რეპინი იდგა, ლიზამ შეამჩნია მისი არწივისებური ცხვირი. ის, როგორც ყოველთვის, იყო სუფთად გაპარსული, მაგრამ ჩაჩქანის ნაცვლად მას ეხურა შავი ბეწვის ქუდი ცისფერი ლენტით, იგი ეწეოდა თამბაქოს, თვალებს ფახავდა და თან მათრახს უტყლაშუნებდა ლაქის წალებს. ლიზა მათრახის დანახვისათანავე მიხვდა რობეიკოს სახეზე ჭრილობის მიზეზს.

იქვე რობეიკოს წინ მუშტის ქნევით, ხელებს ხრიდა და ხმა მაღლა ყვიროდა სენატორი—პატარა, მსხვილი, კაცი—უსერთუკო ჟილეტში გამოწყობილი.

— ჰა, ამხანაგო, რობეიკო? მე ახლა შემიძლია მოგელაპარაკოთ... ისე, როგორც სწორთან-სწორი გესმის კატორღელო, როგორც სწორთან სწორი! თქვენმა ავაზაკთა ხროვამ აფთიაქი რო ჩამომართვა—მე ვსდუმდი. თქვენ მე მჩხრეკავდით, სპეკულიაციისათვის მიგერდით—მე ვსდუმდი. თქვენ ძალით შემოიჭერით ჩემ სახლში და არ იხდით ბინის ქირას—მე აგრეთვე ვსდუმდი. როგორ, თქვენ ხომ თან... თანაშემწე ხართ აღმასკომის თავმჯდომარის თუ საბჭოსი— ეშმაკმა გაგიდოთ ყველა თქვენი სახელებით... მთელი გუბერნატორი...

რაფიელ ანტონიჩს კიბალამ ქოშინი მოერია, მან შეისუნთქა ჰაერი და განაგრძო უფრო ხმა მაღლა:

— ახლა უკვე გელებათ ბოლო. თქვენ ყველას დაგხვრეტამენ, როგორც ბრაზიან ძაღლებს და მე კი ხვალვე ჩამოვხსნი აბრას ჩემი აფთიაქიდან! დიახ, ნე მდიდარი ვარ! გესმის, ბურჟუუი! მე ვიყავი ბურჟუი და ყოველთვის დავრჩე-

ბი ბურჟუად! შენ ყოველთვის იყავი შხამიან ჭიათ და ისევ [illegible]... გესმის? ილაპარაკეთ ამხ. რობეიკო, რას სდუმხართ, თქვენ ხომ კარგი რიტორი ხართ! ილაპარაკეთ ერთი კიდევ უკანასკნელად.. ჩვენ ფარს არ გეტყვით მოსმენაზე.

სენატორი თვალთმაქცურად, ზრდილობიანათ ესალმება რობეიკოს. რეპინმა გაიღიმა. ბანდიტებმა ხმა მაღლა გადაიხარხარეს. ლიზას ესმოდა ბოროტი ხარხარი და სამზარეულოს კარებში ხედავდა მადამ სენატორის მოკინარე სახეს, მის გალესილ კბილებს, ნაოჭებს თვალებთან და ყვითელ სათბურს ლილისფერი ყვავილებით.

— სდუმხარ და სდუმხარ, — ღმუოდა სენატორი, — მაშ, ჰა, სირთვი... და მან მიაფურთხა რობეიკოს სახეზე.

რობეიკომ გაიწია მისკენ, მაგრამ მას ამ დროს შავწყვერებიანმა გლეხმა მხრებში წაიღლო ხელი და რობეიოკც ულონოთ იწიკებოდა მის მაგარ ხელებიდან განსათავისუფლებლად. სენატორის ფურთხი ჩამოსდიოდა შუბლზე და თვალებზე არ შეეძლო რობეიკოს გესლიანი ფურთხის მოხოცვაც კი — ხელები შეკრული ჰქონდა. ზიზღით და მძულვარებით შემოვალო თვალი მასზე დაჩცინავ ბრბოს, შემთხვევით გაიხედა ლიზასკენ, კარებში დაინახა მისი მკრთალი სახე და გაიღიმა. ამ ღიმილში ლიზა მიხვდა, რომ ოუმცა რობეიკო იტანჯება ცემისა და შეურაცყოფისგან, მაგრამ მისი სული არ გატეხილა-მას არ ეშინია და პირიქით ეზიზღება თავისი მტრები. ლიზას მოეჩვენა, ვითომ რობეიკომ გაიღინა მისთვის, რომ გაახსენდა საღამოს: მათი საუბარი.

ამ ღიმილმა გამოიყვანა ლიზა გაქვავებულ მდგომარეობიდან, იგი საშინელი ქვითინით ეცა რეპინს და წაავლო მას ხელი.

— ამხ. რეპინ, რისთვის სტანჯავთ თქვენ მას? მას ხომ ხალხისთვის სიკეთე უნდა. და თქვენ ყველა — ყვიროდა ლიზა — იგი თქვენ მხარზეა, მუშების და გლეხების მხარზე...

აარხარხა და გინებამ დაჰფარა მისი სიტყვები.

რეპინი კი, კოხტა რეპინი, ასეთი ლამაზი და მხიარული ცინიკურად დასცინის და აგინებს, მთელ ძალლონით უჯიკინებს მას ისე ნაგრად, რომ ლიზა კედელს მიეხალა.

— ეშმაკმა გზიდოთ თქვენი კომედიებით, გაიყვანეთ, ბიჭებო, გარეთ და ცოცხლად გაფათრეთ, ჩქარა....

ბრბო ეცა კარებს. ლიზა ძლივს წამოდგა იატაკიდან.

ეგეც ეჩრება რაღა? ეგ ხომ. ბატონო ადვოკატო, ბოლშევიჩკაა — ყვიროდა მადამ სენატორი და ბატონი სენატორი მას მხრებში ანჯღრევდა. ამ დროს ეზოდან მოისმა სროლა. ლიზა მიხვდა, რომ ესროლეს რობეიკოს, დაიწივლა ისე ძლიერად, რომ რეპინიც კი შეხტა ამ ხმაზე, ლიზამ გამოსტაცა თავი სენატორის ჩაგლეჯული ხელებიდან და კიბით ჩაირბინა ბნელ ეზოში... დერეფანის ახლოს იგი წააწყდა შექუჩულ ტანისამოსს, რომელშიაც ოხვრით და ქვითინით ფართხალობდა ადამიანის სხეული, დაიღუნა და თვით კარის ქვეან ხლურბლთან თვალი მოჰკრა სისხლით დაფარულს რობეიკოს... კიდევ უფრო ხმა მაღლა შეჰ-

ყვირების შემდეგ გავარდა ეზოდან ქუჩაში. მას უკან ორჯერ მეფეფლეფილეფის სროლა.

ᲒᲘᲒᲚᲘᲠᲘᲡᲔᲚᲘ

ლიზამ გაირბინა კვარტალის ბოლომდის, შეუხვია გარდი-გარდმო მდებარე ქუჩებზე, ირბინა გრძელი კვარტალის შუა ნაწილამდის, შემდეგ ქშენით გაჩერდა. დაუგდო ყური—ხომ არაყინ მოსდევს უკანო. სდუმდენ და ჩაბნელებულიყვნენ პატარა სახლები და მხოლოდ შორიდან საიდანღაც გარკვევით მოისმოდა თოფის სროლის ხმა. ხანდახან მწყობრად კაკანებდა ტყვიისმფრქვეველი. ხანაც დროგამოშვებით უბერავდა ქარი და ლიზას, მარტო გიმნასტიორკაში მეტად ციოდა და ტანში უვლიდა ტრუანტელი.

იგი მანქანისებურად მიდიოდა წინ და თან წყნარად სტიროდა. ცრემლები ჩამორბოდენ ლოყებზე და ეცემოდნენ თოვლზე. საშინელების გრძნობამ, რაიც გამოიწვია რობეიკოს სხეულის შეხებამ, ახლა გაიარა.

ასე თავდავიწყებით მიდიოდა იგი დიდხანს გზაში, სრულებით გაიყინა, უკვე თენდებოდა. იგი მიდიოდა ნაცრისფერ ღობეების ახლო, სადაც გადმოკიდებულიყვნენ ხეების ტიტველი ტოტები.

უეცრად შეკრთა და გაშტერდა, როგორც გაქვავებული. ცისფერ თოვლზე ღობის გვერდით, დაინახა მან რაღაც ხვავის მზგავსი. მას მოეჩვენა თითქოს იგი ხედავს ადამიანის სხეულის მოხაზულობას.

ფანდოდა კიდევ ყვირილი და გაქცევა. მაგრამ მან დასძლია ინსტიქტიური პანიკური შიშის გრძნობა და გასწია ღობისკენ, თან სცდილობდა გაერჩია ბნელი საგნის გაურკვევი მოხაზულობა. უახლოვდებოდა თანდათან, ფეხები იმალებოდნენ ღრმა ნაბუქში და უეცრად როგორღაც იცნო, რაც იყო, და წყნარი წამოყვირილის შემდეგ,— ჩაჯდა.

დახეული ტანსაცმელი, რომლიდანაც მოსჩანს გალურჯებული ტიტველი სხეული.

ტანისამოსი ქალისაა... ქალის სხეული; ბნელი ჭრილობა ტიტველი მკერდის მარცხენა ნაწილში, გაცვეთილი ტიტველი ხელები და პირისახე... მაგრად დახუჭული თვალები, დაკბენილი ტუჩები, გაწეწილი, თოვლში ჩატანებული, ხუჭუჭი ნაწნავი... ეს იყო სიმკოვის სახე.

ახლა ლიზა არ ყვიროდა და არც სტიროდა, ახლოს მიუჩოჩდა მკვდარს, ასწია ზეით მკვდარი თავი, ხელის გულით შეეხო გაციებულ ლოყებს.

ცა იმოსებოდა ტრედისფრად, ირგვლივ იფრქვეოდა ნაირი ფერები სახლებზე, გზებზე და ნაცრისფერ ხეებზე. ცის ერთი ნაპირი ელავდა წითლათ, თითქოს იქ ცეცხლის კოცონი ენთო. იქიდან ამოდიოდა მზე და თოვლის ნამქერის ტრედისფერ სახლებს ეფრქვეოდა სუფთა და ვარდისფერი სინათლის შუქი.

ლიზა უფრო ნათლად ხედავდა სიმკოვას სახეს, წამების და ზიზღის გრიმასას, ამ მკრთალ სახეს, მკვდარი დახუჭული თვალებით, რომელიც მან აგერ წინათ ნახა ასეთი მშვენიერი და სიცოცხლით სავსენი. მას მოეჩვენა თითქოს ადამიანის ცხოვრებას ბოლო ელება. რჩებიან დაცალიერებული, მკვდარი სახლები, ჯიუტი და მწყობრი ხმაური ტყვიისმფრქვეველებისა.

— უაზრო გოიცებით უცქეროდა იგი გაზაფხულის მზის სადა და მხია-

რულ ამოსვლას... ვის უნდა ეს სასწაულებრივი გამჭვირვალეობა ბალბულის მზე? რატომ არის ტკვიისმფრქვეველების ხმები ალეული ხარების [illegible]

ზარები კი ზეიმობდნენ. ქალაქის ზევით დაჰქროდა საალდგომო ზარების წკრიალი და მისი ხმა ექსოფებოდა ტყვიისმფრქვეველების კაკანს და სროლის გრიალს, რომელიც ახლა უკვე ქალაქის ორივე მხრით ისმოდა.

ეს საალდგომო რეკა ლიზას აგონებდა ღმერთს. ღმერთი... სად არის ის? თავის არსებაში მას იგი თითქმის ველარ გრძნობდა... მოიხედა... პატარა სახლები დახურული დარაბებით, თოვლის ლურჯი ნამქერები, გათეთრებული ცა. ტყვიისმფრქვეველების კაკანი და ზარების რეკა... აგერ წინათ მხიარული, ლამაზი და ჭკვიანი ქალიშვილის ლეში. სადაა ღმერთი? წეიძლება საალდგომო ზარების რეკაში, რომლითაც მლვდლები ესალმებიან ღვთის ამ სიკვდილის და ძალადობის დღეს?

მართალი იყო რობეიკო: ცხოვრება—ეს ბრძოლაა და, მაწასადამე, თუ ამ პატარა სახლების და ნაცრისფერ ღობეების იქიდან, გარკვევით ისმის თოფის სროლა, მაშასადამე, ბრძოლა ჯერ კიდევ არ გათავებულა... მაშასადამე, თუ კი კომუნისტები განაგრძობენ ბრძოლას — ცხოვრებაც აწი იწყება.

ლიზა წამოდგა თოვლიდან. დაიჩოქა მუხლებზე. დააფარა სიმკოვას სხეულს, აკოცა მას გაცივებულ შუბლზე, ძლივს ადგა ფეხზე, ისე ძლიერად გაქვავებოდა მუხლები და, რაც შეეძლო, მთელი ძალღონით გასწია იმ კუთხისკენ, საიდანაც მოისმოდა სროლა.

XI.

რამოდენიმე წამით კარი გაიღო... ნოტიო სარდაფის სიბნელეში დაეცა მთრთოლვარე შუქი ელექტრონის ფანარის. მცირეოდენი გინების და დარტყმის შემდეგ კლიმინი შეაგდეს სარდაფში. ისევ სიბნელე, რომელშიაც მოსჩანს სარდაფის ფანჯრის გაურკვეველი ლურჯი ლანდი და ისმის კიბეზე მიმავალი ნაბიჯის ხმაური.

დარტყმისაგან კლიმინი დაეცა... წამოდგა და დაუგდო ყური. მას მოეჩვენა თითქოს ესმის რაღაც შრიალი.

— კიდევ ვინ არის აქ?

— კლიმინია?

— სტალმახოვი?

ხმით იცნეს ერთმანეთი. ჩამოართვეს ხელი. კლიმინმა უეცრად დაიკვნესა.

— ფრთხილად სტალმახოვ, მე მხრებში ვარ დაჭრილი, მტკივა, და წუთიერ სიხარულის შემდეგ, ორივენ მოიგონეს თავის მდგომარეობა... ისევ სასოწარკვეთილებას მიეცნენ.

— ერთ ხათანგში მოვხდით მე და შენ კლიმინ... მაგრამ მე მაინც მიხარია შენთან და არა ვინმე სხვასთან მიხდება უკანასკნელი ლამის გატარება. კიდევ უფრო გამეხარდებოდა, რომ შენ აქ კი არა, არამედ იყო იქ, სადაც ახლა სროლა ისმის... მაინც მითხარი, როგორ ჩაუვარდი ხელში მაგ მაძაძალებს?

— მე მნახა გორნიხმა და გამაგზავნა კომისიაში, ბიჭებს ჩემთვის კომისიაში



არც კი მოეცადათ, სროლით იბეგდენ უკან სადგურისაკენ. ალბათ ეგონა იყო რომ, სროლის ხმა მესმოდა არა კომისიის შენობის მხრიდან, არაფერ უფრო მარცხნიდან. თითონ კომისიის ახლოს მოვხდი სანგარში. ტყვია მომხვდა მარცხენა მხარში. მაწინათვე ხელი, როგორც ტოტი დაეშვა ძირს. თორემ მე ცოცხლად მტერს როგორ დავნებდებოდი. მიკვნეს, რა თქმა უნდა, ხელად ან კი ამ წუნკლებიდან ვინ არ იცნობს კლიმინს? მცემეს... სასტიკად მცემეს. მაგრამ ახლა იმათ ნგონი ჩვენთვის ალარ სცალიათ. სადგურის მხრიდან ისეთი სასტიკი სროლა აუტეხეს მათ, ისეთ დღეში ჩააგდეს, რომ ჩვენი თავი ხელად დააავიწყდათ. შენ რა ჰქენი, ნახე კარაულოვი?

— არა არ მინახავს, ის ნგონი სადღაც წავიდა. მეც, შენსავით სანგრიდან წამომიყვანეს. მაგრამ ერთის დაწვენა მაინც მოვასწარი. მესამე გასროლით თითონ მინდოდა თავის მოკვლა, მაგრამ რევოლვერმა მიმტყუნა, არ გავარდა. მომკლავენ ეს არაფერია, საქმე ისაა, რომ გტანჯავენ. მე ხომ რაზვიორსტკას ვაგროვებდი თემებში. მაგრამ ჯერ ვერ მიკვნეს... რომ იცოდე კლიმინ, როგორ მინდა მოვწიო პაპიროზი, ველარ ვითმენ. ძალა არ მყოფნის... მაგრამ პაპიროზის მოწევაზე უფრო მინდა სიცოცხლე... მან დააპირა სიცილი, მაგრამ ვერ შესძლო და მხოლოდ ოდნავ ამოიოხრა. კლიმინ შენ ჩემთან ახლოს ხარ და მეც ცოტა იმედი მაქვს ხსნის. ეს იმიტომ, რომ შენ ერთხელ გადამარჩინე სიკვდილს... გახსოვს, სამეურნეო რაზვიორსტკის შეგროვების დროს...

— მახსოვს, ეგ არაფერია..

— როგორ თუ არაფერი? მე ხომ ღელეჯი მქონდა კისერზე გადაგდებული, როცა შენი ვაჟკაცობით მოხვედი... მე მაშინ სიკვდილი მელოდა უდათ, მაგრამ შენ დამიხსენი. შეიძლება ახლაც ისე მოხდეს.

— არა, ძმაო, ჩვენი ხსნა არ არის.

მახსოვს როგორი მკრთალი იყავი შენ მაშინ, როცა ხელზე ბაწარს გაჭრიდენ ხმლით. ჩვენ რომ მაშინ გავიცანით პირველად ერთმანეთი...

— ჰო, მართალია, წელიწად ნახევარია მე შენ მიცნობ.. შემდეგ ჩვენ ერთად ვმუშაობდით რაიკომში.. ყოველთვის მესიამოვნებოდა ხოლმე შენი ნახვა და მწყუროდა შენთან საუბარი.. მაგრამ როცა ვხდებოდით ერთმანეთს ისიც მხოლოდ ძლივს ვასწრებდით: „გამარჯვება, ნახვამდის მომაწევე პაპიროხი" და ამით თავდებოდა.

ორივე გაჩუმდენ. სროლის ხმა ოინდათან სცილდებოდა რკინისგზის ხაზს, თანდათან ყრუდებოდა ყველაფერი. ცემისგან, სისხლის დაკარგვისგან და გადატანილ მღელვარებისგან კლიმინი მეტად მოქანცული იყო. იგი წამოწვა ძირს და შუბლით დაეყრდნო ქვის გაციებულ იატაკს. და ფიქრობდა მასზე, რომ ამ საგანგებო კომისიის სარდაფში, ბევრი ასეული ადამიანი სიკვდილ მისჯილი, ელოდა სიკვდილს ისევე, როგორც ახლა კლიმინი მოელის თითონ გაიხსენა ზოგიერთი ფრაზა სტრიკოვის წერილიდან, მისი სიტყვები სხეისი ორგანიზმის ტანჯვისადმი სიბრალულის შესახებ.

მაგრამ მოულოდნელად როგორც ისარი — დაერტყა სულში სიმკოვას სახე. სიმკოვა, ანიუტა! იგი ვერ ნახავს აწი მას.. მაგრამ, არა, მან უნდა ნახოს იგი!

მის თავში იწყო ტრიალი ხსნის სხვა და სხვა ფერადმა გეომეტრიულ ფიგურებმა კარების მუხის მაგარ საკეტზე, სარდაფის პატარა სარკმელზე... მაგრამ, როგორც ჩეკის თანამეგობარე მან კარგად იცოდა, რომ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა ამ სარდაფიდან ვინმე გაქცეულიყოს. ცხადი იყო, რომ საშველი არსით იყო.

სროლის ხმა კი თანდათან ახლოვდებოდა.

— ჩვენები მოდიან — წარმოსთქვა კლიმინმა, სტალმახოვი კი იგინებოდა, მაგრამ მის ცინიკურ გინებაში ისმოდა მხურვალე იმედის ხმები.

კარებს უკან მოისმა ნაბიჯის ხმა და ბოქლომის ტკაცუნი.

— ჩვენი გულისთვის მოვიდნენ, — წარმოსთქვა სტალმახოვმა, და კლიმინმა ვერც კი მოასწრო პასუხის გაცემა რომ მათ უკვე იჭერდენ, უჯიკიანებდნენ: სცემდნენ....

— წაიყვანე, ეგ მამაძაღლები, უფროსთან. ყვიროდა სიბნელეში მსუქანი ხმა.

კლიმინმა სცადა „თვითდაცვა მაგრამ მას მოულოდნელად კეტი დაარტყეს თავში. მან გრძნობა დაჰკარგა და, როგორც მძიმე ტომარას, მიათრევდენ მას ზევით დამპალ საფეხურებიან კიბეზე, სტალმახოვი თითონ მოდიოდა: როგორც ყოველთვის, მშვიდათ ვამოიყურებოდა მისი სისხლით გასვრილი ჭერა სახე.

გათენდა. იყო ტრედისფერი დილა წითლად მოელვარე აღმოსავლეთით. სტალმახოვმა შეხედა კლიმინის მკრთალ სახეს და მიმოავლო თვალი ჩეკას შიგნითა ეზოს, რომელიც გარშემორტყმული იყო ორსართულიან სახლებით და მაღალი ქვის კედლით. პატარა სახლის კედელზე, რომელშიაც წინად ჩეკას სასადილო იყო მოთავსებული ბიყუდებული იყო ცისფერი დროშა. ახლოს ეწყო ეინტოვკების ხროვა, პატარა ბიჭი კეპკაზე ცისფერი კოკარდით თოფებს არგებდა ჩახმახებს.

— აბ, ამას ვის ვხედავ? ამხანაგი სტალმახოვ ისე გულმოდგინეთ რომ აგროვებდა რაზვიორსტკას დმიტროვის ოლქში? ბიჭოს, ეს კარგი ჩიტი დაგვიჭერია! — ესმოდა სტალმახოვს გესლით დამცინავი სიტყვები, ბანჯგვლიანი ქუდიდან, ვარდისფერი, სუფთად მოპარსული პირისახიდან უცქეროდენ სტალმახოვს ნაცრისფერი, თავხედი თვალები. მოყვანილი ფიგურა წელში მორტყმული აფიცრის ფართე ღვედით... თქვენ ვერ მიცანით, ვერა? ჩვენ კი ძველი ნაცნობები ვართ, ნუ თუ ვერ გამიხსენეთ? ამას გარდა ჩვენ დიდი ხანია არაა რაც ერთმანეთს შევხვდით, ნუ თუ არ გახსოვთ სამხედრო სპეცი რეპინი, რომლის საბუთებს თქვენ ათვალიერებდით ჩხრეკის დროს? რაზვიორსტკის კეთილ სინდისიერად შესრულებისათვის, ჩვენ მაშინ ვერ გითხარით მადლობა, მაგრამ არა უშავს აწი გამოვასწორებთ შეცდომას

ვედრა ცივი წყლის გადაცლების შემდეგ კლიმინი მოვიდა ეხლში და ხელად ბარბაცით ადგა ფეხზე. მას აძიგძიგებდა სიცივისაგან და თავბრუ ესხმოდა.

როგორც კი ადგა, — თვალი მოჰკრა სტალმახოვს, რომელიც ხელით ეჭირათ ორ ახალგაზდას. მესამე კი — ლურჯი პერანგის ამარა — უყურებდა სტალმახოვს ზურგში და ერთგვარი სიამოვნება ისახებოდა მის უწარბო წერილ თვალებიდან სახეზე. სტალმახოვი დრო გამოშვებით კვნესოდა და მასთან ერთად



რებს ხელში ეჭირათ ნაგანები. მათ მიართვეს ეტლი, რომელზეც ახლა წინათ კლიმინი მიემგზავრებ ოდა სიმკოვას შესახვედრათ, ეტყობოდათ სტალმახოვი და კლიმინი ყველას დავიწყებოდათ. უეცრად ეზოში გასაპნულ ცხენზე მჯდარი, შემოვარდა რეპინი, მას ჰქონდა მკრთალი, აღელვებული და ბოროტი სახე.

— სად არიან ტყვეები? წამოათრიე ისინი აქეთ!—დაიყვირა მან.

გინებით და ყვირილით გამოიყვანეს კლიმინი და სტალმახოვი. სტალმახოვმა ცივად, ზიზღით ჩაიხედა რეპინის ნაცრისფერ თვალების სილრმეში თითქოს უნდოდა რაღაც ეთქვა მისთვის. მაგრამ ამ დროს გაისმა სროლის ხმა და ფეხების და ხელების უაზრო ფართხალით დაეცა მისი სხეული თოვლზე.

გავარდა მეორეჯერ და პირველ მომაკვდავ სხეულს შეუერთდა აგრეთვე მეორეც. დაცალიერდა ეზო. საბარგულების და ეტლის კვალს აედევნა უკან რეპინიც. ხუთმეტი წუთი ეგდო უძრავად ეზოს შუაგულში ორი მკვდარი სხეული, სროლის ხმა კი სულ ახლოს და ახლოს ისმოდა, ტყვიები უკვე სცილდებოდენ ცარიელ ეზოს და ეცემოდნენ შორს.

მზე უკვე კრთოდა წითელ ღრუბლებში, ცა იყო ტრედისფერი... ხელში რევოლვერით ეზოში შემოვარდა გორნიხ. მას უკან მოჰყვებოდა სამი შავ ქურქიანი, შავ ფაფახებზე წითელი ვარსკვლავებით, რომელთაც მაგარ, შავ ხელებში ეჭირათ ვინტოვკები. ესენი იყვნენ კომუნისტი რკინსგზელები. ისინი ეცენ სარაის დასათვალიერებლად, გორნიხი მიეარდა შავ ხეკვს ბნელად რო მოსჩანდა ნაბუჩქზე და დაინახა ნაცნობი სახე, მკვდარი თვალები, წყნარი, ნახევრად გახსნილი ტუჩები, რომელთა შორის თეთრი კბილებიდან თითქოს ისაა გაიელვებს ღიმილიო და მაშინ ეს სახე იტაცა ახალგაზრდათ თუმცა იგი დაფარულია ხოჭების ქსელით.

გორნიხმა ასწია კლიმინის თავი, დაიდო მუხლებზე და თავ აუღებლად უმზერდა გაქვავებულ სახეს. უეცრად იგრძნო თითქოს მისი გულის სილრმიდან, რომელიც მისთვის შეუცნობელი იყო, სდგება ოხერა, მიიწევს სულ ზევით, ზევით. გორნიხი უხმოთ სტიროდა ყრუ ქვითინით და ისეთი ხალველით ივსებოდა, თითქოს მის გულში ერთი კი არა რაბოდენიმე ტანჯვით გათანგული და მდუღარებით სავსე გული სცემდა.

XII.

შავი, გამდნარი მიწა და უკანასკნელი თოვლის ლურჯი ნამქერები იმლებოდნენ მოძჯადოებელ ქარგად და მიჰყვებოდენ შორეულ სივრცეს, თუმცა მისი სხვა და სხვა ახალი მოხაზულობა მაინც ერთფეროვანი იყო.

კარაულოვი ფრთხილად იმზირებოდა აქეთ-იქით, ფხიზლად უგდებდა ყურს ღამის სიბნელეში, წყნარად და ჩუმი ნაბიჯით მიჰყავდა ცხენი.

წინ, ორი ვერსის სიგრძეზე, ბრამების, თხრილების და გორაკების გაორმაგებულ ქალაქის მიმართულებით რგოლივით მიჰყვებოდენ ერთი მეორეს სამი შარი წითელარმიელების. გაკვეთული იყო ბრძანება დაეცვათ სიჩუმე რიგებში. მაგრამ ფაჩუნი მიწაზე ათას ფეხქვეშ ეჩვენებოდა კარაულოვს დიდ ხმაურობათ, მინდვ-



რის ფეხიზელ ნადირს მელებს, კურდღლებს და მინდვრის თაგვებს. [illegible] ეერსის მოშორებიდან ესმოდათ ეს ხმა, რომელიც მიაგავდა [illegible] ვარდნილი წყლის ზვირთების ტყლაშუნს და ისინიც შორს გარბოდნენ მისგან. რამოდენიმე საათის წინ კარაულოვი ამავე ადგილებზე მიაჭენებდა თავის პატარა მარდ ცხენს, მიჰქროდა ქალაქიდან მონასტრისკენ. სადაც იდგა ჩეკას ათასეული.

მიდიოდა თითქოს მარტო მისთვის, რომ შეესწორებია ცნობა თუ როგორ მიდის შეშის დამზადების საქმე, შეასრულეს თუ არა მისი ტელეფონოგრამა სიფრთხილისათვის ზომების მიღების შესახებ- მაგრამ რალაც გაურკვევი ინსტიქტი მიაქანებდა მას ქალაქიდან და უბრძანებდა რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყო ათასეულთან და იგივე გამოუცნობი ინსტიქტი აიძულებდა მას დრო გამოშვებით შეეჩერებია ცხენი და ყური დაეგდო უკან დატოვებულ ქალაქისათვის.

მაგრამ სალამოს დაბნელებულ ცაზე, იყო სიმშვიდე და, როგორც წინათ, მიწაზე მეფობდა ადრიან გაზაფხულის სურნელოვანი, გრილი სიმშვიდე. როცა სრულიად დაბნელდა და მზის წითელი კვალი გაიხსნა შავ მოლურჯო ცაში და ცაზე აციაფდენ მორცხვი ვარსკვლავები, კარაულოვმა ყური მოჰკრა ერთი მეორეზე მიყოლებულ შორეულ სროლის ხმას.

შეაჩერა ცხენი. სიჩუმეა. ყრანტალით გადაიფრინა ყვავმა. კარაულოვს ხელახლა მოესმა ისევ შორეული სროლა — უთავბოლო ხმები. ხრიალი.

მოუჭირა დეზები ცხენს, გადაჰკრა მათრახი და ელვის სისწრაფით გაქანა ცხენი ღამის სიბნელეში შეუმჩნეველ ღრმა ორმოებზე და თხრილებზე.

მისვლისას, შეამოწმა შეასრულეს თუ არა მისი ტელეფონოგრამმა და, რაკი დარწმუნდა, რომ ყველაფერი გაკეთებულია, მოკლეთ გააცნო ათასეულის თავს სელეცკის ოპერაციის ხასიათი და ხუთმეტი წუთის შემდეგ წითელ არმიელების წყნარი რიგების წინ იგი მოუთხრობდა თუ რაში იყო საქმე. შემდეგ კი, როცა გავიდნენ ნინდორში,—მან აუხსა ათასეულის სამხკომს დანილოვს—ლამაზ და ფრანტს ყმაწვილს, რომელიც ატარებდა წითელ, ფართე გალიფეს და ტყავის ქურქს—აჯანყების პოლიტიკური მნიშვნელობა და იგიც მის საპასუხოდ აქნევდა ლამაზ თავს მსუბუქად რომ ეყრდნო მაგარ კისერზე. რევოლიუციამდის დანილოვი იყო მაღაროს მუშა, წერაკითხვა არ იცოდა თითქმის დღემდის, კითხულობდა ცუდათ, „კომმუნიზმის ანბანი"-ც კი ვერ წაეკითხა ბოლომდის, მაგრამ წითელ არმიელებს იგი უყვარდათ „უბრალოების"-თვის, რომელსაც აჩნევდენ სუფთა და ლამაზ ტანსაცმელშიც და კარაულოვი კეთილად იყო განწყობილი მასთან პატიოსნებისთვის პირდაპირობისათვის და კიდევ მისთვის, რომ ხშირად მასთან უყვარდა ხოლმე დალევა.

და სელეცკი კი ამ დროს დაჰქრის ათასეულის ერთი მხრიდან მეორემდის და სულ იმის სწორებაშია, ყველაფერი ისე კეთდება როგორც საჭიროა თუ არაა... მგონი ყველაფერი რიგზეა, შარი სროლისთვის გაფანტულია, ტყვიამფრქველები ცენტრშია, ნარჯვენა ფრთაზედაც მზვერავები გაგზავნილია, აგრეთვე ცხენოსანი დაზვერვაც...

ყველაფერი გაკეთებულია. და აწი საცაა... სელეცკი კიდევ შეხვდება



მტერს და კიდევ ადამიანის სიცოცხლეს — ის ფასით გადაუყვანია ეკვე ნაცნობს, მაგრამ მაინც ყოველთვის ახალსა და, მეტად საინტერესო, ბრძოლის ამოცანას. კიდევ შეეჩეხება მტერს... ბანდიტებს... სულ ერთი არაა ვის?

განა რელიგია, ეროვნება, კლასი არ წარმოადგენს ფერად თვისობრივ ნიშნიერ გამოხატულებათ, რომელთა შორის იხატება სამხედრო საქმის დიადი თამაშის აბსტრაქცია? საყვარელი, სასიკვდილო თამაშის, რომელიც, სელეკცისთვის არის როგორც დამათრობელი ნექტარი... და მოიგონა მან, თუ როგორ მიჰყავდა მას, პრაპორშჩიკს სელეკცის, თავის ასეული გერმანელების წინააღმდეგ იერიშზე! როგორი ენტუზიაზმით ოცნებობდა იგი რუსეთისათვის გმირულ სიკვდილზე! შემდეგ სანგრების განუჭვრეტელ სევდაში, კონტუზიის სნეულებაში და ჭრილობებში მინელდა ეს ლტოლვა. მაგრამ, სამაგიეროთ, მომწიფდა ავადმყოფური ინტერესი ამ სასიკვდილო თამაშისადმი, რომელსაც აგერ უკვე მერამდენიმე წელია განუწყვეტლად თამაშობს მთელი კაცობრიობა, და რომელიც არის ყველაზე ძველი და ყველაზე საყვარელი ბავშური სათამაშო... ახლა ათასეულის თავის სელეკცისთვის სულერთია — ნემეცები, პოლონელები, ჩეხები, და ყაზახები, თეთრები, ბანდიტები, სულერთია... წინ მტერია, რომელიც აგრეთვე განფანტავს ტყვიების ზუზუნს, და დაატრიალებს ხიშტებით შეტევას. ტანჯვები, ჭრილობები, და სიკვდილი — ეს მხოლოთ ალგებრის ნიშნებია, რომელნიც გამოხატავენ მებრძოლ მხარეთა რიცხვობრივ ცვლილებას.

დილით მიღებული ტელეფონგრამა სელეკცისთვის იყო ისეთი, როგორც ლაგამის რბილი მოწევა ჩქარი, ნერვიული ცხენისთვის. იგი ხელად გამოეწყო, შეასრულა ყველა ბრძანებანი და მთელი დღე ელოდა, ელოდა განგაშს და სრულებით არ გაჰკვირებია კარაულოვის მისვლა.

ახლა ყოველ ნახევარი საათის გასვლის შემდეგ იგი მიუახლოვდება კარაულოვს, მოკლეთ მოახსენებს ოპერაციის მსვლელობის შესახებ, აცნობს თავის განზრახვებს და ზრდილობიანათ ეკითხება:

— ხომ არ გექნებათ რაიმე ბრძანება ამხ. ათასეულის თავო?

თანდათან კლებულობს კარაულოვის იჭვი, იგი ფიქრობს თავისთვის: „არა, ეს არ გვიღალატებს“...

დიახ, სელეკცი არ ჩაიდენს ღალატს, ღალატი — ეს ხომ დაარღვევაა თამაშობის წესდების. რაღა ამოირჩიე ეროხელ შენი ადგილი თამაშობაში, უნდა შერჩე მას ბოლომდის. თორემ რა ინტერესი ექნება ისე თამაშს!

პირველი ასეული მოდიოდა მარცხენა ფრთიდან.

მოდიოდა ბნელი ხროვა ადამიანების, მაგრამ ამ ხროვაში, ამ სილუეტების მწკრივში, მოსჩანდა საკუთარი სისტემა და შინაგანი კავშირი. ყოველმა იცოდა თავის ამხანაგი, თავის უფროსი, ყველას ესმოდა წყნარი განკარგულება. პოლიტხელი სპიკინ მიდიოდა მწყობრში, მაგრათ ეჭირა ვინტოვკა მხარზე.

ხანდახან თავის აზრებს ფფურჩულით უზიარებდა თავის მეზობელს ფიდეინს ცხვირმოკლე, პატარა ტანის ახალგაზრდას ტრედისფერი, ბრწყინვალე და ჭკვიან გამოხედვით.

ფიდენს ყველაფერი ახსოვდა და ყველაფერი იცოდა... მას სწყუროდა ცოდ-

ნა, ისე, როგორც ᲬᲛᲠᲐᲚ ᲥᲕᲘᲨᲐᲡ ᲬᲧᲐᲚᲘ. და სპიკინი ყოველთვის [illegible] თავის მეწყვეთით, რომელიც ახლა უკვე რ. კ. პ. კანდიდატი [illegible] [illegible] [illegible]

ადამიანიდან ადამიანამდის, განყოფილებიდან განყოფილებამდის, ოცეულიდან ოცეულამდის, ასეულიდან ასეულამდის არ გაირბინა ბრძანებამ:

— შესდექით!... შეასწორე წარი მარჯვნით!

წინ უკვე კიაფობდა აგერ-ეგერ ქალაქის სინათლე, გვერდით ოდნავ მოსჩანდა მდინარე. და კარაულოვის ცხენიც, რომელსაც მოჰყავდა მძინარე პატრონი — წარის უკან ვერსის მოშორებით — იგიც გაჩერდა. მას ხელი წააცლო ლაგამში გვერდით მომავალმა ათასეულის კომისარმა, ფრთხილად შეაჩერა: დაე, წაატყუოს თვალი მოხუცმა.

მაგრამ კარაულოვი სწრაფად შეხტა, გამოიღვიძა და უზანგებზე ამდგარი, მზერა გამახვილებული, იყურებოდა წინ და ფრთხილად ყურს უგდებდა... ხელათ იცნო ადგილი, ქალაქის მდებარეობა, მდინარე, ხრამი...

ამ დროს მოუახლოვდა ათასეულის უფროსი და ფეურჩელით, კოზირზე ხელის მიდებით, ზრდილობიანათ მოახსენა:

— მგზავრები დაბრუნდნენ, ისინი იყვნენ ქალაქის ნაპირას და უნახავთ ჩვენსკენ მომავალი ბანდიტების დიდი ბრბო... ჩვენ გვირჩევნია აქ დავუცადოთ მათ, აქ უკეთესი პოზიციაა.

— კეთილი, კეთილი — ამბობდა კარაულოვი.

— სროლა სადგურის მხრიდან ისმის, — განაგრძობდა ათასეულის უფროსი, მაშასადამე იქ ჩვენები არიან. მე იქითაც გავაგზავნე კავშირის დასაჭერათ, მაგრამ ჯერ არავინ დაბრუნებულა იქიდან.

— სწორია — ამხანაგო ათასეულის თავო, — უთხრა კარაულოვმა, — შენ, დანილოვ დარჩი აქ და ჩვენ კი დავათვალიერებთ პოზიციებს.

მაგრამ არ გაუვლიათ მათ რამოდენიმე ნაბიჯი, რომ წინ დაინახეს მხედრის სილუეტი, რომელიც თანდათან იზრდებოდა და მასთან მოესმათ ცხენის ნაბიჯის თქარუნი.

— ისევ მზვერავია — სთქვა ათასეულის თავმა.

— შეერთდენ სამი ცხენოსანი. წითელ არმიელები. უკან მოხედვისას, ხედავდენ ფანტასტიურს მრავალ თავიანს ცოცხალ ხროვას... ეეცრად გაჭრა სამი თავი, მოსჩანდნენ მხოლოდ ცხენების სილუეტები, მხედრები სწრაფად დაქვეითდენ.

— დაწექი ბრძოლად! — გაისმა მწკრივში.

და ჯერ კიდევ არ იყო მოსული ბრძანება მარცხენა ფრთამდის, როცა მარჯვნით გაისმოდა ტაკ, ტაკ, ტაკ... აკაკანდა ტყვიამფრქვეველი და ერთი მეორეზე მიყოლებით დაიფრქვა ტყვიები.

კარაულოვს თითქმის არ დასჭირებია ჩარეოდა ოპერაციის მსვლელობას. იგი თანხმობის ნიშნად უკრავდა თავს ათასეულის უფროსის ყველა განკარგულებას. ახლა დილის უფერულ სინათლეში ხედავდა მის მოუპარსავს, ქერა თმებით დაფარულს სახეს, მაგრათ დამუწულს ტუჩებს და მეტი ყურადღებით ეპყრობოდა მას. უფრო მეტი ალერსი იყო მის მიმართვაში. სელეცკის მხოლოდ ერთი ბრძანება შეაჩერა კარაულოვმა. — დაუშალა ტყვიისფრქვეველით სროლა განაპირა უბნების სახლებისთვის.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— მაგრამ იკითხეთ რომ ისერიან? გაოცებით შეეკითხა ...

— სულ ერთია, არ შეიძლება. მცხოვრებლებს შესაძლებელია ზარალი მიეცეთ.—მიუგო კარაულოვმა.

პირველი გუნდი ნელა გადარბენით მიიწევდა ქალაქისკენ. ადგილი იყო დაბალი და გაშლილი, იქ ბლომათ დარჩა თოვლი ჯარისკაცებისგან აყრილი და მძიმე ნაბიჯით გატკეპნილი. ლურჯ ნამქერებზე უფრო ადვილი იყო მიზანში ასაღებად ნაცრისფერი ფიგურები.

მიდიოდნენ ნელა და სროლის დროს ბევრი დაჰკარგეს მოკლულები და დაჭრილები. როცა დილის ლურჯ ნისლში სახლების და ღობეების ახლოს მაღლობზე შეამჩნია სპიცინმა შორიული შარი მტრების, ცის თაღი უკვე ელავდა ლაჟვარდისებურად და ის იყო მზეც უნდა ამოსულიყო ზვირთებივით მოლივლივე მორეულ ჰორიზონტიდან, სპიცინი ახლა აღარაფერზე არ ფიქრობდა. მას წელზე შემოერტყა ფალასკა ისე, რომ ადვილი ამოსაღები ყოფილიყო მჭიდეები, იგი სწრაფად უცქიზნებდა, უშვებდა თოფის ფეხს; ხმა მაღლა გრიალებდა ვინტოვკა და როგორც ცოცხალი არსება თრთოდა მაგარ ხელებში. შემდეგ ის, მოლუნული, ქოშინით გარბოდა წინ მდებარე ბოცვერისკენ, ისევ ეცემოდა მუხლებზე, სწრაფად უმიზნებდა და ისევ გრიალებდა ვინტოვკა. ფიდეინი მსუბუქად დასჭრეს მარცხენა მხარში, მაგრამ ძვალი უვნებლად გადარჩა და იგიც მწყობრში დარჩა. ჩუმად შეუხვია მას ჭრილობა სპიცინმა და ისევ გადარჩნენ იგინი ერთი მეორის გვერდით და ფანტავდენ გარეუბნის სახლების და ღობეების მიმართულებით თეთრ კვამლს და უხილავ სასტიკ ტყვიებს.

დანილოვი მშვიდობიანობის დროს ომზე და ბრძოლაზე არ ფიქრობდა, ცხოვრობდა თავისთვის, გამოდიოდა მიტინგებზე, დადიოდა პოლიტგანყოფილებაში ბარტინოვთან საგინებლად, არ აკლებდა სმას ხელს, და ლამაზ ქალიშვილებთან არშიყობას მაგრამ, აი, დაიწყებოდა ომი და გაიწვევდნენ დანილოვსაც, მაგრამ არა სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელად, როგორც მიჰყავდათ ბოლმე სელეცკი, არამედ მორიგ ჯარისკაცად. ბრძოლაში ყოველთვის ის მიდიოდა პირველ მწკრივში და მორიდან ხედავდენ წითელ არმიელები კომისრის ბრწყინვალე ტყავის ქურქს და წითელ გალიფეს.

ახლაც რამოდენიმეჯერ მიმართა დანილოვმა კარაულოვს და სელეცკის მომეცით გუნდი, წავალ ხიშტით ბრძოლაშიო... ათასეულის თავი გაოცებით ასწევდა მხრებს, და შემდეგ უარის ნიშნად ზურგს აქცევდა, კარაულოვმაც მოკლეთ, მაგრამ სასტიკათ, გამოლანძღა იგი.

დანილოვი მეტად ნაწყენი გაეშურა პირველ გუნდში თავის მეგობრის სპიცინის საძებრად, რომელსაც ის ითვლებდა შეგნებისთვის. რომ მისთვის გაეზიარებია თავის გულისტკენა მიდიოდა შარის უკან, ხანდახან ამოარჩევდა მტრის ბნელ ფიგურას და ესროდა ნაგანიდან. ალერსიანათ და ცქვიტად ესალმებოდა წითელარმიელებს და, როცა მიუახლოვდა პირველი ასეულის ფრთას, —მან შეამჩნია სპიცინის მოლუნული მხრები. უნდოდა დაეძახა მისთვის, საგრამ ამ დროს უეცრად თვალი მოჰკრა გარეუბნის ახლო მდებარე სახლების მხრიდან მოახლოებულ რაღაც შავ ნიშანს. შეჩერდა ადგილზე, მიაპყრო ფხიზელი თვალები,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რამოდენიმე ტყვიამ გაიქროლა მის თავთან. ის კი მსერად [illegible] და უეცრად წამოიძახა ხმა მაღლა:

— ამხანაგებო, ვიღაც ქალი მორბის, ფრთხილად ისროლეთ.

ლანდი უფრო მოახლოვდა. მას უკვე ხედავდა ყველა. თმები ფრიალებდა ქარში, ხანდახან ეცემოდა, წამოიყვირებდა გამწარებული და ისევ მორბოდა. მას, მოწინააღმდეგის მხრიდან უშენდენ ტყვიებს უეცრად გაისმა ფიდეინის ახალგაზდური ბოხი ხმა და შორს მოეფინა შარზე მისი სიტყვები:

— ძმებო, ეს ხომ ჩვენი მასწავლებელი ქალია. ეს ხომ ამხ. გრაჩიოვაა. სხვებმაც დაუმოწმეს;

— მართლა, ის არის!

დანილოვი ნაგანით წამოიჭრა წინ.

— ამხანაგებო, მოდი ვიხსნათ ჩვენი მასწავლებელი. აბა. გაუდგეთ მას! წინ!

— დასწექით, ამხ. გრაჩიოვა, დასწექით თოვლზე! უძახოდა მას ფიდეინი. ლიზას ჯერ ვერ გამოერკვია ვისი იყო ეს ხმა, მაგრამ შემდეგ იგი თანდათან ერკვეოდა, თან სირბილით უახლოვდებოდა შარს და ბოლოს შიში ალარ უშლიდა მას ნაცნობი სახეების გარჩევას.

აი, ყველა ისინი ძვირფასები და საყვარელნი! ისინი, ვისაც იგი სკოლაში ასწავლიდა გამრავლების ცხრილს. ახლა შეიარაღებულნი საშინელი ვინტოვკებით ეჩვენებიან ლიზას ძლიერ დამსჯელ ძალად, — ძალად გამარჯვებული სიმართლის... ლიზა დაეცა თოვლში.

— როგორ მოხვედით თქვენ აქ? მოესმა მას ზეზეში ხმა, თავი ასწია და დაინახა ზევით მოისხანე, ოდნავ ტრედისფერი ცა, მკრთალი წითელი ძნე ანათებს გორაკს, გორაკის გვერდით ნაცრისფერი სახლების ბოლოა, ესმის სროლის ნაირი ხმები, მონოტონური კაკანი ტყვიისმფრქვეველების. მის წინაშე კი შავი მიწის და თეთრი თოვლის ფონზე, ნაცრისფერი ულისხლო სახეა ბანჯგვლიანი წარბები, დანაოჭებული ლოყები, თხელი წვერები, — იცნო ლიზამ ბრიგადის სამხკომისარი, მაგრამ კი არ ბეჭშინებია მისი, როგორც წინათ, არამედ ტირილით მოუყვა მას წუხანდელი განცდის შესახებ.

— კარაულოვი კიბეზის ბიუკემლად ესმენდა ერცელ ამბავს, რობეიკოს სიკვდილის შესახებ, დუმილით მოისმინა სიმკოვას გეამის ნახეის ამბავი, რომელიც ახლაც წევს იქ... ნაცრისფერ მესერის ძირში, — კარაულოვის სახე იყო გაქვავებული, მხოლოდ ლოყაზე ანძრეოდა რობელიღაც კუნთი. და როცა ათასეულის უფროსმა გააწყვეტინა მისი მოთხრობა მოკლე მოხსენებით, რომ სადგურთან დაჭერილია კაეშირი, რომ იქ ამხ. გორნიხია (ჩეკისტი) გამოგრებული კომუნისტური ასეულის 50 რკინისგზელით — მის საპასუხოთ გასცა ბოკლე განკარგულება;

— დანილოვ! წადი ბიუტით! ახლა ნებას გაძლევ. დასცხე მაგ ძალლის შვილებს. დაიჭეთ ბარაკხანა ფრიდან! სელეცკი ესროლე ქუჩებს ტყვიისმფრქვეველები... ტყვეები არ წამოიყვანოთ... და შემდეგ ბრძანებისგან გახარებულ დანილოვს, წაავლებს ხელს და წასჩურჩულებს: — გესმის? რობეიკო მოკვლეს... ავიღოთ ქალაქი — დავლიოთ მტრების სისხლი... და, მაშ, გასწი, წიხ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XIII

მინდვრების ლილისფერ სივრცის ზევით, ქალაქის სახურავებს ძალლა ხელა მისცურავს ღრუბლების მძიმე, ხროვა. იგი სცრიდა ყუყუნა წვიმას, ნელს, მაგრამ მხიარულს როგორც პირველი სასიყვარულო ალერსი. როგორც ვაჟის ათრთოლებული შეხება ქალის ტიტველ სხეულისადმი. მთები არა სჩანს — წვიმის ნისლის ბადეს დაუფარავს იგი და ჰაერი კი თბილია და სინესტით გაჟღენთილი.

ჰქრის ქარი დინჯი და ზანტი, რომელიც წარამარა იცვლის მიმართულებას, მოაქვს მინდვრებიდან ქალაქში დამათრობელი სურნელება ძველი ცხოვრების გახრწნის და ახალი ცხოვრების ჩასახვის და ქალაქიდან მინდვრებისაკენ გააქვს ხმაურობა, გრიალი, საყვირების და ზარების ხმები. ერთსაც და მეორესაც მთელი თავისი არსებით ღებულობს კონსტანტინ პეტროვიჩი, იგი დგას ქვეშიან მაღლობზე, მიჩერებია სახლების და მესერების გროვას, ეკლესიებს და და ეჩვენება თითქოს-დეტალები მომაზრებელი, ნაცნობი სურათი წყნარი ქალაქის მოქარგული იყოს გამოხუნებულ ფარდაზე თეთრი, ძველი ძაფებით.

ვინმე ძლიერი და გამბედავი უხეშათ ჩამოჰგლეჯს ამ ფარდას სამუდამოთ და გამოჩნდება მის შიგნით ახალი ცხოვრების ნაირი ფერადები, კონსტანტინ პეტროვიჩისთვის მტრული და უცხო, და მასთან ისეთი, რომელიც ბრწყინავს მისთვის გაუგებარი სიმშვენიერეთ. ცხოვრება, როგორც ბებერი გველი, ტანჯვით და წამებით იცვლის სხეულის კანს, იხდის ძველს, მკრთალს, ნაოჭიანს და მის ქვეშ კი მოსჩანს ახალი ცხოვრების უხილავ სახეთა ნათელი წინწკლები. განა ეს ნათელი წინწკლები არ მოსჩანს ცირკის შენობაზე აფრიალებულ ალისფერ ბაირაღიდან, და მოედნის ათთიაქის წითელ აბრიდან?

კონსტანტინ პეტროვიჩს აგონდება რუსის ბალბის წარსული ცხოვრება, რომელმაც გაიქროლა ამ ნისლიან მინდვრების ფონზე, ნაცრისფერ სახლებში, შეუმჩნეველ უამრავ სოფლებში, ცხოვრება, რომელსაც ასურათებდნენ პუშკინი, ტურგენევი, ჩეხოვი... და ასეული რუსეთის მწერლები, რომელნიც დასტიროდნენ ამ, სამუდამოთ განშორებულ, ცხოვრებას, და რომელთაც გამოხატეს იგი ისე სწორათ. ცხოვრება, რომელმაც სამუდამოთ მოაჯადოვა თავის მწუხარე მშვენიერებით კონსტანტინ პეტროვიჩი. ოცი წელიწადი ასწავლიდა იგი სიტყვიერებას ქალაქის ორივე გიმნაზიაში. ოცი წელიწადის განმავლობაში წლიდან წლამდის გადაიკითხავდა ხოლმე იგი ლამაზად შეკინძულს წიგნებს, რომელნიც იკავებდნენ ორ შკაფს მის პატარა კაბინეტში. რევოლიუციის დროს მეტად გათხელდა მათი რიგები, ხორცხე, ბურღულზე და კვერცხებზე სცვლიდა მათ მარგარიტა სემიონოვნა ხანში შესული ქალი, რომელიც კონსტანტინ პეტროვიჩს ცოლის და მოსამსახურის მაგიერებას უწევს.

რას იზამ ცხოვრება საჭიროა! საბჭოთა სკოლაში მუშაობაზე იგი წინააღმდეგია „პრინციპიალურად" არავითარი ხელობა მან არ იცის და რაც ჰქონდა შაეი დღისთვის შენახული და მოპარაგებული უკვე გათავდა. კვირიდან კვირემდის, თვიდან თვემდის წლიდან წლამდის მთელი რევოლიუცია მან გაატარა იმედით, რომ აი, საცაა დაეცემა და გათავდება მისთვის მოუგებარი და მასთან

საზიზღარი ძალაუფლება ბოლშევიკების და დაბრუნდება ძველი ნამდვილი ცხოვრება. ოქტომბრის რევოლიუციის პირველი მრისხანე ქუხილიდანვე ძვიზიზღა მან ბოლშევიკები, სრულიად უცხონი იყვნენ ისინ მისთვის, თითქოს ისინი სრულიად არ არსებობდენ წარსულ ცხოვრებაში, მისთვის გაუგებარი იყო მათი მოქმედებანი, საქციელი და სიტყვები, რომელნიც შეიცავდენ მრავალ წინააღმდეგობას, ბოლშევიკები ეჩვენებოდა მას ჭამებივით უხეშათ და მასთან სატანასავით ცბიერებათ: ცრუ იეზუიტებათ და იმავე დროს ვიწრო დოქტრინიორებათ მას არ შეძლო გულგრილად ენახა საბჭოთა აბრებისთვის და თითქმის სრულიად არ გამოდიოდა სახლიდან, დღითაც კი არ აღებდა დარაბებს, სრულებით ჩამოეშვა, იწყო არაყის სმა, ეჩხუბებოდა წვრილმანებზე მარგარიტა სემიონოვნას ან მთელი დღეები კითხულობდა თვის ბიბლიოთეკას წიგნებს.

ჩეხების და სლოვაკების აჯანყებამ მოუსპო მას ძველი წყობილებას დაბრუნების იმედი. თავის თვალით ნახა მან ბოროტმოქმედება ქურდობა და ქრთამობა მძარცველი ბურჟუაზიის, სიძაგლობა და უაზრო სიმკაცრე თეთრი აფიცრების! ოთხი მას ებრალებოდა და თანაც ეზიზღებოდა, ეპყრობოდა მათ ისე როგორც მამა ლოთს და უსაქმო შვილს, რომელმაც არ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები, ადამიანების ცხოვრება დედამიწაზე ეჩვენებოდა მას სისულელეთ, და ხშირად იპყრობდა მიზანტროპიული ოცნება მთელი კაცობრიობის დაყუპვის შესახებ.

აჯანყების დღეს შეშის დასამზადებლათ გაწვეულ ქალაქის მცხოვრებლებს შორის დადიოდენ გაურკვევი ხმები, როცა საღამოს ყველა ისინი ჩაჰკეტეს დიდ, ბნელ ოთახში და, როცა მათ მოესმათ ეზოდან დაფის ხმები, მაშინ ღვარძლმა და შიშმა, სიხარულმა და ხარხარმა აავსო ოთახი. მაგრამ აი, შემოვიდა თითონ კარაულოვი. ორი მდუმარე ფიგურის თანხლებით და ელექტრონის ფანარის შუქი მიანათა გაჩუმებულ ბრბოს, მის მკრთალ სინათლეზე არჩევდა იგი ყველა ამ მოხუცი თუ ახალგაზრდა ლამაზი თუ უშნო სახეებზე, გაბოროტების, იმედს, შიშს, მან გაიგო ყოველივე მიუბრუნდა ახალგაზრდა. შაეგერეშანს, ოდნავ ელამს, ყოჩაღად გამომზირალს, მესაზე ასეულის უფროსა, ჟურმინს. რომელიც დატოვებული იყო ოცეულით მონასტრის დასაცავად და დაბალი, მაგრამ ყველასათვის გასაგონი ხმით, უთარა:

— მესნის, ამხ კომისარო, — უპასუხა ჟურმინმა, უდიერი ღიმილით, გადაჭრა თვალი კარაულოვს და ალმაცრივ გადაჰხედა ობივატელთა უხმო გროვას. იგი ამ დროს მათთვის ნამდვილ ეშმაკს ჰგავდა, ჯოჯოხეთიდან ამოსულს. ძლიერი ცეცხლიანი სხეულით, გარეჯულ სახით, მრისხანე ღამაზ თვალების ალმაცერ გამოხედვით და წითელ არმიელის ჩაჩქანის სატანისებური რქით.

ამ ბნელსა და შფოთიან ღამეს, სულის შემხუთავ დიდს ოთახში არავის ეძინა. იყო განუწყვეტელი ჩურჩული, ღვარძლით სავსენი აგინებდენ კომუნისტებს. იხსენებდენ ოა ძათ ზემოქმედებას და რაღაც იმედი კიდევ ჰქონდათ გულში.

არ ეძინა კონსტანტინ პეტროვიჩსაც, იწვა მაგარსა და ეიწრო სკამლოგინზე, საკუთარ მაზარით დახურული და ხშირათ იცვლიდა მხარს. მან ყველაფერი გადიფიქრა. არ სწამდა აჯანყების გამარჯვება და არც თახაუგრძნობდა მას რად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან ახსოვდა ჩეხო-სლოვაკთა აჯანყების გამოცდილება და კოლჩაკოვჩინა. კომუნისტები უცხონი არიან მისთვის და არ სწამს ის, რასაც ისინი ამბობენ ბოლშევიკთა წითელ დროშებზე და რისთვისაც კვდებიან თავგანწირვით.

მაგრამ, როცა ხალხი, მუშები, წითელ არმიელები — ეს გლეხური ახალგაზრდობა ჯარის კაცთა მაზარებში, ამდენი წლის განმავლობაში ემორჩილებიან მათ, ინტერნაციონალის მოციქულებს, ამ რევოლიუციონურ სექტას, ნახევრად არა რუსულს თავის წმიდგენლობით, შესაძლოა რაიმე სიმართლეს მოასწავებდეს მათი მოსვლა. იქნებ უმჯობესი იყო ეცადა მას მუშაობა ბოლშევიკებთან ერთად, იქნებ მაშინ გაეგო ეს სიმართლე. ის კი ნებივრობდა საწოლზე, ჰკითხულობდა ძვირფას ყდიან წიგნებს და... მათი შეთვისებით გუნდრუკს უკმევდა დრომოჭმულ ცხოვრებას.

როგორც კი დაბრუნდა მონასტერში ჯარისკაცთა ერთი გუნდი და გაიგეს, რომ აჯანყება ჩაქრალი იყო, კონსტანტინ პეტროვიჩმა სთხოვა ეურბინს ქალაქში ერთი დღით წასვლის ნებართვა; მას უნდოდა გაცვეთილ ფეხსაცმელების გამოცვლა და ამავე დროს გადაწყვიტა შესულიყო სახალხო განათლების განყოფილებაში რომ გაეგო თუ მისცემდენ მას რაიმე სამუშაოს, თუმცა ისიც კი სურდა, ახალი თვალებით შეეხედა მობეზრებულ ქალაქისათვის, რომელმაც გაანადგურა მთელი მისი სიცოცხლე, ენახა არც თუ ისე საყვარელი, მაგრამ შეჩვეული მარგარიტა სემიონოვნა, რომლის უახლოესი მაინც არავინა ჰყავს ქვეყანაზე.

და აი, დილიდანვე, მტვერივით მსუბუქ წვიმაში, ნელად მიმავალ საბარგულის გვერდით, რომელსაც შეშა მიჰქონდა ქალაქში, მიდის კონსტანტინ პეტროვიჩი ისმენს გლეხების და საბარგულის მხლებელ წითელ არმიელთა საუბარს თესვის შესახებ, რომ უკვე დროა ხვნას შეუდგენ, ხოლო ანტექრისტე ბოლშევიკები აიძულებენ ასეთ არევ დარევის დროს შეშა ზიდონ; ამბობენ, რომ არ გააჩნიათ საათესური, რომ მატყუარა კომუნისტები პურის სამაგიეროდ საქონელს დაპირდენ, მაგრამ სოფელს გამოუგზავნეს არა ლურსმანი, რკინა, ჭურჭელი, ან ჩითი, არაშედ გახანგებული საყელოები, პუდრი და ტუჩების საღებავი...

— ფუჭ, ულმერთოები, — ამბობს გლეხი...

— აქ ვილაც განზრახ გვაფერხებს, — უპასუხებს უბერხულ მდგომარეობით სახე გაწითლებული წითელ არმიელი, — ამის შესახებ უთუოდ ჩეკას უნდა...

გლეხმა უიმედოთ ჩაიქნია ხელი:

— ვერ გვიხსნის ჩეკა, იქაც, ყველგან, კომუნისტებია. ისინი ერთმანეთს იცავენ.

მეორე წითელი არმიელი კი უამბობს გლეხების ჯგუფს:

— ეს, შეშა, თქვენ რომ მოგაქვთ — რკინის გზას ეკუთვნის, რომლითაც სათესური უნდა მოვიტანოთ, სათესავად მაშ! ყველაფერი ეს გვიამბო სპიკინმა, პოლიტხელმა, კარგი ამხანაგია... გაზეთებიდანაც წავიკითხე..

— მაგრამ ვინც ახლა არეულობას იწყებს, ვინც ხელს გვიშლის მეურნეობის აღდგენაში, ის ჩვენი მტერია, — ამბობს ის სასტიკი სიძულვილით, — ღვიძლ ძმასაც კი არ დავინდობდი თუ ბანდიტი გახდებოდა.

— ვერაფერი გამიგია, — მოწყენით ამბობს ყველაზე მოხუცი გლეხი ქლა-

ლი წვერებით და დაბინდული თვალით, — მხოლოდ გულმოდგინებს, რომ ყველანი შიმშილით დავიხოცებით, თუ ჩვენი მფარველი დეკა, ლენინის ხელმბელი არ დაგვეხმარა, — და იმ სიტყვებთან დაინახავს რა ალმართიდან ქალაქის საყდრების მოოქროვილ ჯვრებს, ეკლესიის ყრუ ზარის ხმაზე, იგი მოიხდის ბეწვიან ქუდს მელოტ თავიდან, პირჯვარს გადაისახავს, რასაც მასთან ერთად გაიმეორებენ დანარჩენნიც. და კონსტანტინ პეტროვიჩიც, სახალხო განათლების სამინისტროს ძველ მაზრაში გამოწყობილი, წვერმოპარული, ახლა უკვე მოხუცი და დანაოჭებული, სახით ერთ დროს კი ლამაზი, იწყებს მოკლედ პირჯვრის წერას. ის შეჰყურებს ამ უბრალო, უვიც გლეხებს, ნაცრის-ფერ ქალაქს, მინდვრების ლილისფერ სიშორეს, ამ დანისლულ დღეს და გული მისი დასტირის სამუდამოდ განწირულ ცხოვრებას, სტირის ზარების ხმასთან ერთად, რომელიც დაღლილ ფრთებით დაჰფრინავს ქალაქზე. ამ შეუმჩნეველად უბრალო წუთს, როცა მზე საკმაოდ გაშორდა შუადღეს და ცისარტყელას თალის მკრთალ ფერებს აფენს შორეულ მინდვრებზე.

წითელ არმიელები მოლუშულ სახით შეჰყურებენ გლეხების პირჯვრის წერას, და შემდეგ, ყველაზე ახალგაზრდა, დაცინვით ამბობს: „კარგი, იკმარეთ ამდენი ლოცვა, გავსწიოთ... შენც ბატონო... ნუ ჩამორჩები", მიმართავს იგი კონსტანტინ პეტროვიჩს. ნელა მიდის საბარგული და კონსტანტინ პეტროვიჩ ხედავს ვრცელ მოედანზე ცირკია შენობასთან ქალაქის ყოველ მხრიდან როგორ იკრიბება ხალხი, მიდიან ჯგუფებად და ცალკ-ცალკე, მოხუცი და ახალგაზრდები, კაცები და ქალები, სხვა და სხვა გვარია მათი სახეები, ლიბილი, მიმოხვრა. სიარული მაგრამ ყველას აქვს რაღაც საერთო. თითქო მათ აშუქებდეს ერთი და იგივე შორეული ცივი დილის მზე. კონსტანტინ პეტროვიჩ რწმუნდება, რომ კომუნისტები თავს იყრიან პარტიულ კრებაზედ.

ეს პირველი პარტიული კრებაა აჯანყების შემდეგ და კომუნისტებისთვის ეკლესიის ზარი ისმის როგორც მტრის საყვირის ხმა, როგორც შეუპოვარი მოგონება იმის, რომ ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა, რომ მტერმა უკან დაიხია, მაგრამ არ დამარცხებულა, ყველა ისმენს ამ ხმას პირქუშად, მაგრამ შემდეგ მოიგონებს, რომ გამარჯვება მოპოვებულია, რომ აჯანყება უკვე ჩაქრობილია და სასიხარულო გრძნობას უნაწილებს ამხანაგებს. სხვებთან ერთად ლიზა გრაჩიოვაც ფრთხილად მიდის კრებაზე, მიუახლოვდება ცირკის კარებს და შესვლა ვერ გაუბედავს. ლიზა ამაოდ ეძებს ბრბოში თავის ნაცნობებს. თითქო ყველა ისინი გაწყვიტეს აჯანყების დროს, მაგრამ აი, მოხდენილ მაზარაში ბრწყინვალე მოოქროვილ ფოლაქებით, გულზედ კომუნისტურ ვარსკვლავით, თვით ამხ. მატუსენკო, პოლიტ-განყოფილების მდივანი, ამოიღებს ჯიბიდან თავის პარტიულ ბილეთს და აჩვენებს მას რაიკომის ახალგაზრდა მოლუშულ მდივანს, რომელიც ზის ცირკის შესავალთან და აღნიშნავს კრებაზე მოსულებს...

— ამხ. მატუსენკო, ამხ. ნატუსენკო... თქვენ ხომ მაინც ცოცხალი ხართ, ამხ. მატუსენკო... თქვენ ხომ მაინც არ მოუკლავხართ...

ამხ. მატუსენკო კი კმაყოფილად იღიმება.

— ჩემი სიკვდილი ვის რას შეჰმატებდა? მე პატარა კაცი ვარ, უმნიშვნე-

ლო, მეზობელთა შორის მტერი არა მყავს. მე და ჩემს ცოლს ... არც თოფის ხმა, არც სხვა რაიმე... მშვიდათ გვეძინა ლოგინებზე, ხა, ხა, ხა,

ღამით მას გაეღვიძა და მეძახის: „ილიუშა, დახე, სწორედ თოფებს ისვრიან...“ დამშვიდდი, გრუშა, ვეუბნები, იძინე, დაგეზმანა ალბად შენ ეგ, ხე, ხე, ხე...

დილით კი, მესმის მართლაც რომ ისვრიან. მე სახლში დავიკადე, როცა თოფის ხმა შეწყდა, სამსახურში წავედი... პოლიტგანყოფილებაში ჩემს გარდა არავინ იყო, მაგრამ ჩემს მოვალეობას ვერ ვულალატებდი...

— მაშ, ახლა, აიხანაგო მატუსენკო! ამხ. სიმკოვა და ამხ. მარტინოვი ორივე მოკლულია.

სევდა და მწუხარება აღიბეჭდა მატუსენკოს სახეზე — დავობლდი მე, სრულიად დავობლდი... აი, თუ გნებავთ, ხალხის უგუნურება და სიმხეცე... თქვენ კი, რაო, ჩვენს პარტიაში ხომ არ გსურთ ჩაწერა? — მფარველობის კილოთი ჰკითხავს იგი ლიზას. — კრებაზე ხომ არ მოსულხართ ჩვენთან? - და, ზარების ხმაზე, რომლებიც მოუხმობდნენ შაბათის მწუხარისაკენ, ლიზა ფიქრობს, რომ ეკლესიაზე კი არ ჩასულა იგი დღეს. წირვის მოსასმენად არამედ ის მოვიდა პარტიულ კრებაზედ... და საერთოდ... ის ეკლესიაზე არ წავა... თუნდაც აღდგომას, რადგან... ღმერთი არ არსებობს...

და ამ ახალ აზრებში გართული, დაბნეულად უპასუხებს მატუსენკოს:

— მე საქმე მაქვს ამხ. მატუსენკოსთან. ჩვენ შევთანხმდით აქ შევხვედროდით ერთმანეთს.

კარაულოვი კი ამ დროს ცხენით მოადგა ცირკის შენობას. მარდათ ჩამოხტა ძირს, ცხენი მიაბა, თვითონ კი თვალ მოუშორებლივ გასცქეროდა გზას და შორით საბარგულს ხედავდა. ვილაცამ მძიმე ხელი დაადო მას მხარზე, მოიხედა და ნახა, რომ ეს იყო გორნიხ, სახე გაშლილი, მშვიდი, ოდნავ დაღლილი თვალებით და მტკიცად მოკუმული ტუჩებით.

— მოაქვთ? — მოკლედ სთქვა გორნიხმა და თითი გაიშვირა გზისკენ.

— მოაქვთ... უპასუხა კარაულოვმა. და ორივე დაჩუმდა. ორივეს გაახსენდა 28 ამხანაგი, რომლებიც ასვენიან ახალ კუბოებში, წითელ დროშების ქვეშ საგანგებო კომისიის ეზოში და ელიან საჯარო დაკრძალვას.

— მებრალება ახალგაზრდები, — მოჭრით სთქვა კარაულოვმა — ტყუილად დაიხოცნენ. ჩვენ ორივე ნართალს ვამბობდით. შეუძლებელი იყო ათასეულის ქალაქიდან გამოყვანა.

გორნიხი გაჩუმდა... დაფიქრდა და სთქვა, თითქო მძიმე და სწორე ქვებს აწყობდა მტკიცე კედელში:

— არა, კარაულოვ, ჩვენ ორივე წეკცდით. ხედავ, აი. შეშა მოაქვთ. შენ ეხოლოდ ეს იფიქრე, — დასძინა მან იზვიათის გახალისებით, — ეს შეშა ჩვენ პურის ნარცვალს მოგვცემს! გლეხთა აჯანყებისთვის პური იგივეა, რაც წყალი ცეცხლის დროს! ტყვილა არ დაღუპულან ამხანაგები... აი, მე ახლა გამოძიებას ვაწარმოებ და ეხედავ — აჯანყება აუცილებელი იყო... და გორნიხი მიჰყვა მოკლე ამბავს აჯანყების შედეგებზე.

ქალაქი გუშინ დილით დაიკავეს, ჯერ კიდევ გუშინ ქუჩებზე თოფის გრი-

ალი ისმოდა, ახლა კი, ყველა პატარა სახლები, მაღლობიდან ჩანან, ᲧᲣᲜᲐᲠᲐᲓ და მშვიდობიანად გამოიყურებიან. მაგრამ გორნიხმა იცის გუშინდელი ცეცხლი მათ გაიჩაღეს იცის. ეშინია ახალი გაჩაღების და ახლა სიფრთხილეს იჩენს. ამ შიშმა აიძულა ის ᲣᲔᲪᲠᲐᲓᲕᲔ ჩაეხშო კლიმინის ცხენდართან წამსკდარი ქვითინი, გამოწვეული თითქმის ერთი კვირის უძილობით და ნერვების საშინელი დაჭიმვით. დაეწყო გამოძიების ხელმძღვანელობა და, თუმცა თანამდებობით არ ყოფილა უფროსად ცოცხლად დარჩენილ საგანგებო კომისიის წევრთა შორის, მაგრამ ჩვეის მთელი მუშაობის ხელმძღვანელობა როგორღაც მოთავსდა მის განკარგულებაში.

ბანდიტების არა მცირე ნაწილმა დასტოვა ქალაქი. ქერა თმიანი კაცი დაჭრილი კომუნისტურ გუნდის ხელში ჩაგდების დროს, დატყვევებულ იქნა და გორნიხი აწარმოებდა მისს პირისპირ დაკითხვას სხვა ბანდიტებთან ერთად, რომლებიც იყვნენ ახლობელ სოფლების გლეხები, დატყვევებულნი ქალაქში, ახლა უკვე მშვიდობიანი მშიშარა და თავჩაქინდრულები, თითქო სიმთვრალისგან ახლად გამოფხიზლებულნი. ქერა კაცის დახმარებით აღმოსაჩენი გახდა აჯანყების ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი. და გორნიხი, რომელმაც წინასწარ დანიშნა დღე და საათი მისი დახვრეტის. ახლა დაპირდა მას პატიებას, ემუქრებოდა, სთხოვდა და დაუღალავად მიმართავდა დაკითხვისათვის საჭირო ათასგვარ ცბიერ ხერხს. ქერას კი ხანდისხან ეგონა, რომ ის ხელში ჩაუვარდა მშვიდსა და მზრუნველ ეშმაკს, ან და, უკეთ რომ ვსთქვათ, დაუნდობელ მანქანის კბილებს, ერთს იმ მოკნილ და მოხეხილებულ ამერიკულ მანქანათაგანს, რომელიც ცოცხალსა და მჭყვირალა ღორს აი წუთში გადააქცევს უხმო ძეხვების გროვად.

თუ გორნიხი თვითონ არ აწარმოებდა დაკითხვას, იგი დადიოდა გამომძიებელთა კაბინეთში, საქმეში მონაწილეობას არ იღებდა, გამოძიებას თვალყურს ადევნებდა, კიდეულობდა დაკითხვის ოქმებს, ხანდახან კი ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ თავის კაბინეთს, ჩაიკეტებოდა და დიდხანს იჯდა მარტო, ხუჭუჭ თმიანი თავით ხელებზე დაყრდნობილი და თითქო უაზროთ დასცქეროდა მის წინაშე მაგიდაზე მდებარე ქაღალდის ფურცელს. ხანდახან ფრთხილად და ძუნწად ჩასწერდა ერთ-ორ სიტყვას და აჯანყების თანდათანი განვითარება მისთვის უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა. ახლა კი ის ხუთიოდ ფრაზით უამბობდა კარაულოვს ხანგრძლივ და ჭაპანსაწყვეტ საგამომძიებლო მუშაობის შედეგებს. კარაულოვმა უეცრად გააწყვეტინა მას:

— აი, ხედავ, იქ ქალიშვილი დგას? ეს ერთი მასწავლებელი ქალია, ძლიერ ბევრი გადიტანა აჯანყების გამო. მას შეუძლია ზოგი რამ ჩვენება მოგვცეს რობეიკას სიკვდილის წესახებ. მე მას უთხარი მოსულიყო კრებაზე შენთან შესახვედრად. აი ხედავ, შემოსავალ კარებში დგას? ამბ. გრაჩოვა, მოდით აქ.

გორნიხმა დაინახა ქალწულის მკრთალი სახე, ღია წაბლისფერ თმის გრძელი ნაწნავები, ჩამოფენილი წუბლსა და ლოყებზე, შეშინებული ცისფერი თვალები და გაიგონა აკანკალებული ხმა:

— ჩვენების მოცემა მინდა..: ამბ. რობეიკოს მოკვლის შესახებ... მე ამ დროს იქვე ვიყავი. მე და ის ერთ ბინაზე ვცხოვრობდით და აი... — ის მოჰყვა

ELIBRARY.GE

რეპინის ამ ლამაზის, ენა ტკბილის და ცბიერი ადამიანის, ბოლოდროინდელ, შესახებ, ბატ. სენატორის ოჯახის შესახებ, თავის დამოკიდებულებაზე ძათთან, თუ როგორ დაეხეტებოდა ქალაქში აჯანყების ღამეს; ხანდახან მოუკვლიდა არასასურველ წვრილმანებს და მაშინ გორნიხ ლმობიერად და დაჯერებით უყენებდა კითხვებს და მის ამბავს აძლევდა სასურველ მიმართულებას. პირველად ქალი უხერხულად გრძნობდა თავს, რაც ხელს უშლიდა ლაპარაკის დროს, მისი საუბარი იყო უთავბოლო, მაგრამ შემდეგ თანდათან გაერთო, მისი ხმა უფრო და უფრო თამამი ხდებოდა და ბოლოს, თუმცა გაუბედავათ, ხელებიც კი აამოძრავა. ბოლო როცა რობეიკოს მოკვლის შესახებ ამბობდა, თვალები ცრემლებით აევსო.

— გამიგონე, გორნიხ, — დაიწყო კარაულოვმა, როცა ის გაშორდა ლიზას, — გინზერდი ახლა მე შენ და მიკვირდა: რამდენად საქმიანი ახალგაზრდა ხარ. აი, მაგალითად, რა კარგად, მშვიდათ დაკითხე ამ ქალიშვილს და შემდეგ... იცი თუ არა. შენი ორმოცდაათი რკინისგზელი რომ ყოფილიყო, სადგურს ხომ აიღებდენ და მაშინ... ცუდათ წავიდოდა საქმე. მაშინ მე ჩემი ათასეულით ვერას გავხდებოდი. აჯანყების ლიკვიდაცია ერთი თვით გაგრძელდებოდა. ეს უეჭველია. და კიდევ რამდენი ამხანაგი გაწყდებოდა...

შემდეგ კარაულოვმა მღელვარე ხმით წარმოსთქვა:

— შენ აი, ამ წუთში, ცხენვით მუშაობ, ყველგან ასწრებ, საგანგებო კომისიაშიც, შეშის დამზადებასაც თვალყურს ადევნებ, გაზეთსაც კი მიაწოდე წერილი. მე კი... არაფერი არ შემიძლია. როგორც კი ამ ქალიშვილისაგან გავიგე რობეიკოს მოკვლის შესახებ, ქვეყანა შემძაგდა, გავმხეცდი და ბანდიტებს საკუთარი ხელით თავს ვსჭრიდი. შემდეგ კი ივანე მიამბეს ზიმანის, სტალმახოვის და კლიმინის შესახებ. კლიმინთან ხომ მთელი სამოქალაქო ომი ერთად გავატარეთ... ახლა კი, ხედავ, უძლური ვარ. ქალაქი თითქო დაცარიელდა ჩემთვის. ძაგე მოხუცი, მაგრამ გახსოვდეს, რომ ოცდაათი წლით უფროსი ვარ შენზე... გუშინ ხომ ჯავრისგან დავთვერი. საქმე ის არის, რომ ფხიზელს ცრემლი არ ნეკარება, და აი, როცა გადაჭარავ, თითქო სულმა შვება იგრძნოო და აექვითინდები. შემდეგ მრცხვენია, და ამავ დროს კმაყოფილებას ვგრძნობ. დაიცა, შენც გამოცდი და მოიგონებ ნოხუც კარაულოვს... ასეა ხომ.

უკვე წკრიალებდა ზარი, წყნარდებოდა ხალხი და აი, ცირკის შუა არენიდან ქალაქის რაიკომის მდივანმა, გაწითლებულმა, ენის ბორძიკით წინადადება მისცა აერჩიათ თავმჯდომარე. მძიმე, გაუგებარი ხმაური გავრცელდა მსმენელთა რიგებში. ვინ ამოირჩიონ, როცა საუკეთესო, ენერგიული და ყველაზე ცოდნე ამხანაგები წყანან წითელი დროშით დავარულ კუბოებში? ვიღაცამ წამოიძახა კლიმინის გვარი, ვიღაცამ გაუბედავათ დაასახელა სიმკოვი... მაგრამ მდივანმა არც ერთი არ ჩასწერა.

ამხ. კარაულოვი! — გაისმა მატუსენკოს წვრილი და მლიქნელი ხმა. მაგრამ კარაულოვი უარს ამბობდა... არ შეუძლია მას თავმჯდომარეობა. ეს იციან ამხანაგებმა. გარდა ამისა ის დღეს ავადაც არის...

და უეცრად ზემოდან, ქანდარიდან ძლიერმა ხმამ წამოიძახა გვარი:

— გორნიხი... ამხ. გორნიხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმავე წუთს, საპასუხოდ, ყოველ მხრივ მხარი დაუჭერეს ამას:

— კეთილი...გორნიხ... ამხ. გორნიხ...

— ვინ არის ეს გორნიხ?—ჰკითხულობდენ ხმამაღლა ხოგნი.

და ისევ ბანდარიდან იმავე ძლიერმა ხმამ გადმოსძახა მთელ ციოკს:

— გორნიხ... საგანგებო კომისიის წევრი... ჩვენთან რომ მოვიდა დეპოში, ყველა ფეხზე დაგვაყენა და გვიწინამძღვრა. მებრძოლი ყმაწვილია!

გორნიხის თავის სიცოცხლეში პირველად უხდებოდა თავმჯდომარეობა ასეთს დიდ კრებაზედ. ის ოდნავ დაიბნა, არ იცოდა რა ექნა, კრება კი როგორც დაგეშილი მხეცი, მორჩილად გაინაბა მის წინაშე, მშვიდდებოდა და ულიცხვი თვალები მიეპყრო მისკენ, თავის მბრძანებელისკენ. საერთო ფრაზების „კრებას გახსნილად ვაცხადებ" და დღის წესრიგის გამოცხადების მაგიერ მან სთქვა სხვა სიტყვები, მძიმე და ბასრი, რომლებიც იჭრებოდენ მსმენელთა გონებაში, როგორც ლურსმანი ხელში, ჩაქუჩის მძიმე დარტყმისაგან, სიტყვები, რომლებიც, იმ საბედისწერო კვირის განმავლობაში გამოჭყვეთა და ჩამოადნო გორნიხის ძლიერმა გონებამ.

ის ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ რა დიდი იყო განსაცდელი უკვე განვლილ აჯანყებისა, იმ გარემოებაზე, რომ კომუნისტები დადიან თხელ ყინულზე რომლის ქვეშ ღელავს მრისხანე გლეხური სტიქია, რომელიც მზადაა ჩაახრჩოს და გაანადგუროს კომუნისტობის მუშაობა, იმის შესახებ, რომ ეს სტიქია უნდა დაიმორჩილონ არა მარტო ხიშტით და ტყვიით, არამედ ორგანიზაციით, საქონლის სოციალისტური გაცვლა-გამოცვლით ქალაქსა და სოფელს შორის.

— ჩვენ ამხანაგებო, ახლა უფრო გაგვიჭირდება .. ალმასკომში დარჩა ცხრა, პარტკომში კი ოთხი მუშაკი, პოლიტგანყოფილებას მოაკლდა ორივე უფროსი, ჩეკას კი —თავმჯდომარე, მისი მოადგილე და სამი მუშაკი. ცენტრი ვერ დაგვეხმარება. მისი იმედი ვერას გვარგებს. მუშაობა კი ახლა უფრო რთულია. არ კმარა მარცვალის შეძენა. საჭიროა სათესლე კომპანიის მზადებას შევუდგეთ და ჩავატაროთ მთელს ჩვენ, გზებს მოკლებულ, მხარეში ბანდიტიზმი ჯერ კიდევ არ არის საესებით აღმოფხვრილი. ცხადია რომ ჩვენ მეტი საქმე უნდა ვიკისროთ. მაგალითისათვის პირადათ მე გამოვდგები. აი, ახლა, მე თავმჯდომარე ვარ. ეს იმიტომ მოხდა, რომ არ არის კლიმინი, არც რობეიკო, არც სიმკოვა, რომლებიც ამ მოვალეობას უკეთესად გაუძღვებოდენ... ასე იქნება ყველგან, დახოცილთა მოვალეობას ჩვენ თვითონ ვიკისრებთ ძნელი იქნება, მაგრამ თუ მათ მაგალითს მოვიგონებთ, შრომას ყოველთვის დავძლევთ!

როცა იმღერეს „ინტერნაციონალი" და კრება შეუდგა საქმიან საკითხების გარჩევას, იგი გაუძღვა მას მშვიდათ, დაჯერებით და ფხიზლათ, როგორც ძძიმედ დატვირთულ ნავს მესაჭე პატრონა მდინარეში.

ემილ ვერჰარნი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტრიბუნი

ვით ზოვდანზე ამართული უხეში მუხა
წინაპართაგან დანერგილი და ნაფერები,
სდგას ის ჩვენ შორის მედიდური ყელმოღერებით
და მის ძარღვებში იდუმალი ძალები ჰქუხან.

იმის ბავშვობას ეაკვანა უბანი გარე
მკერდებდახრილი ბოროტების ბნელი ფესვებით,
სადაც ყოველ კაცს სულშეხუთულს ძველი წესებით
თავზე ლოდივით დასწოლოდა მონობა მწარე.

იქ, — როცა შრომა ისვენებდა ოფლიან მკერდით,
როცა სახეებს შავი ფიქრი ეფინა კუპრად, —
გაძვალტყავებულ და მოდრეკილ ხურგების გვერდით
ყოველ იჯრაზე სილატაკე თავს უჯდა სუფრას.

და — აჰა. უცბათ ის დაახტა ბრძოლის ასპარეზს,
როცა მარადი ბორკილების აწყვეტით ხალხი
ოქროს ფასადებს შემოერტყა მჭუხარე ალყით
და ზღვა ხელებმა მუშტების ტყე მაღლა აჰყარეს!

მოდის ზუზუნით ქვა და ლოდის სეტყვა რისხვიანი,
და დალეწილი ფანჯრების მინა
ქვაფეხილებზე ცეცხლმოდებულ ვერცხლივით ბზინავს.
სიტყვა იმისი თითქო სისხლიანი,
თითქოს ერთ კონად შეკონილი საქენჯნელები,
ხან განათებით, ხან უეცარ ჩამობნელებით
ჰქუხს და გრიალებს,
აფეთქებს ნაღმებს, უფსკრულებზე სტყორცნის ხიდებს
და სიცვარულით დამწვარ იდეებს
ალვირაწყვეტილ გრიგალივით მიათრიალებს!
იმისი ცესტი — უეცარი ელვის რკალები —
მსმენელთა გულებს ანოყივრებს ოცნებით ცხელით,
ვით ღვთაებრივი მთესველის ხელით
ლაქვარდებიდან გადმოყრილი ნაპერწკალები!



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

და გადაიქცა ის ანთებულ სიგიჟის მეფედ!
თვალუწვდენ კიბის საფეხურებს მიჰყვება ზეციდან,
მისი გავლენა ფართოედება ზღუდეთა რღვევით,
და ძირს დამთვრალი აღტაცების ზღვირთები სჩქეფენ!
თითქოს მის მოსვლას მოელოდა სამყარო მთელი;
ყველას ატყვევებს მის ღიმილში ჯადო ფარული,
ის სისხლი არის, განრისხება, სიკვდილი ბნელი,
ის არის წესი, საფნოება და სიყვარული!
მასში მარხია საიდუმლო განდგომილ ნების,
ამ ნებისყოფით სჭედავს იგი საქმეებს დიადს,
და, გარდუვალი ბედისწერის წვილივით ზვიადს,
თვალებს უნათებს ელვარება უმრეტი გზნების!

აჰა, იმის წინ დახლართული მსოფლიო გზები,
ძველ გზა-ტკეცილებს გადახედა მან ზიზღმორევით,
და გზით ახალით გაჰყვენ იმას იქითკენ სხვებიც,
სადაც ტორტმანობს განთიადეს შუქთა მორევი!
ის დიადია უკვე მით, რომ ეძლევა ვნებას
უანგარიშო სიცხოველით და აღელვებით,
და თვით არ იცის, მის ხელებში მკვეთრი ელვები,
რომ ბედისწერამ მოათავსა ცეცხლოვან ძნებად.
რომ ამოცანა არის იგი გაურკვეველი,
რომ მას თან მისდევს უამრავი მასსების რიგი,
რომ ხალხს ეკუთვნის ის, ჯიუტი და ურყეველი,
მასთან იკოცხლებს და მასთანვე მოჰკვდება იგი.

და, ოდეს განელოს მან გზა თვისი დაფთა ხმაურით,
დეე დამარხოს დღემ სიოცხვილის თუ ზეიმისამ,
დეე ახალ ყამს გამოუჩნდეს ნაცვლად იმისა
სულ სხვა ბატონი, სხვა მესაჭე და მეთაური!
არ გაჰყვნენ მაინც საბოლოოდ ამხანაგები
მის მოწოდებას შთაგონებულს, ანთებულს ალად,
და თუ წავიდა ის აქედან ჯვარზე ნაგები,
მხოლოდ იმისთვის, რომ ზემდეგში დაბრუნდეს კვალად.
მას მოშავლში ალეხარდა სული ეული,
თვალშეჩვეული ოქროს ზღვებს და ცის ლურჯ კამარებს,
და ამ სულს ტალღა დანიშნულ დროს უკუქცეული
არასდროს თავის უფსკრულში არ დაასამარებს.
მისი ლოფილი ძლიერება თეთრად ინთება
ოკეანეში ისე, როგორც გამდნარი ვერცხლი,
ყველას ძვალ-რბილში უთრთის მისი ოცნების ცეცხლი
და ყველას გულებს ათბობს მისი ჭეშმარიტება!

თარგმანი **კონსტანტინე ჭიჭინაძის.**

ანრი მილბო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლ ლიბკნეხტი

ჭარბათ ავსებულ, აელექტრონებულ დარბაზში
კანცლერი ამბობს სიტყვას — მედიდურს და საპატიოს:
— „ომი გამოცხადდა — ვსაჭიროებ კრედიტებს",
ადგილებიდან ადგებიან ერთსულოვნათ დეპუტატები,
და ემხრობიან ერთხმათ ყველანი, —
ყველანი ერთხმათ.

და ისიც ელვის თვალებით, ურყევი შუბლით
ის როგორც ყველა, არა რაობებს უთმობს თვის ნებას.
ნერვიულ ხელით გაისწორებს ცხვირზე სათვალის შუმებს.
ისიც იწონებს და ემხრობა კრედიტებს ისიც.

დარბაზიდან გამოსვლის დროს მომლოდინე, ძმებზე ის აღარ ფიქრობს,
გრძელ ნაბიჯებით მიაბიჯებს არხებს გადაღმა
არეულ ცქერით აკვირდება ნაპირებზე გამობმულ ტივებს,
და მონოტონურ სახლების წყება — რომ ეშურება გეომეტრიულ
სისწორეებში.

და მოძრავ მგზავრების ნაკვალზე, — რომ მირბიან ვამსწრიე ქუჩებზე;
ის მოდის წინ —
ის უმიზნოთ მიეცარცვება
ისიც იცავდა ის იწონებდა კანცლერის თხოვნას, —
დისციპლინისთვის, დისციპლინისთვის.

ცვივა დროს საათები სილისებური,
იქცევა ალისფერი სისხლი ქვეყნების.
ყველგან მძინვარებს ხმალი და ცეცხლი,
ყველგან იზრდება სიღარიბე და ბოროტება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცრუობენ გაზეთები—ოგავებში გაათეთრებული,
„ბერლინში იტყობინებიან პარიზის რევოლიუციას,
და საფრანგეთის სატახტოში ლიბკნეხტის სიკვდილს.

„რა ვქენი მე, შვილმა ვილგელმის?
ინტერნაციონალისტმა —?
მილიტარიზმის სასტიკმა მტერმა?
სასიკვდილო მტერმა კრეზოს და კრუპის?
მხილებელმა მსოფლიო რბევის?“.

ის მოდის წინ—
ის უმიზნოთ სივრცეში ილტვის:
ისიც იცავდა ის იწონებდა კანცლერის თხოვნას
დისციპლინისთვის — დისციპლინისთვის.

კაზაკები — ულანები, ბელგიელები, ფრანგები,
ინგლისელები, სერბები — ხოცავენ ერთმანეთს
იქცევა სისხლი, გლეჯს ოკეანა სხეულებს
სადგომები იწვიან ცეცხლში,
ბლავიან ბავშვები,
ბლავიან ქალები.

და მინისტრები — დიპლომატები, ჟურნალისტები
პოლიტიკოსები მგზავრობენ ავტოთი,
სძინავთ მსახიობ ქალებთან
და სუქდებიან.
ის ახირებით ფიქრობს — ნაკინებ ფიქრზე —
ნისი თვალები აინთება ისევ ცეცხლივით.
მისი შუბლი იჭმუხნება გაბრაზებული.

— ომი ომს.
ძირს მთავრობა,
ძირს დისციპლინა,
დე გაუმარჯოს ინტერნაციონალს.

და ყარლი, შვილი ლიბკნეხტის,
აივსება ჯანის წყურვილით,
როგორც სიმღერას აღშფოთებისას,
სწრაფად მოაწყობს ის ამბოხებებს.

— ომი ომს, — გაფიცვები, —
მასსების ბრძოლა, — რევოლიუცია.
შუბლით სიმალით გაბერილი
მორკალული ფოლადის ხელვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბოვებული ფარაოთილი
მახლობლებით და თვით მეგობრებით
ის როგორც ერთი — როგორც არაყინ
კვლავ გააცოცხლებს.

მიჩქმალულ სწრაფვას რევოლიუციის
დაგლეჯს კანონის დისციპლინას
და გადაგდებს ფეარგისი და ფქმი ჩვარიეით.
და მოუწოდებს ბრძოლისკენ მასსას,

აგიტაციას ეწევა ხალხში,
როდესაც კანკლერი მეორეთ ითხოვს
ნდობას, კრედიტებს დეპუტატების
ის თამამად აცხადებს პროტესტს:
„რომ ის წინააღმდეგ გამოდის ომის".

იმას დასცინის მთელი დარბაზი,
შეურაცხობენ ლიბკნეხტის სახელს,
ამბანაგები მონათლავენ იმას სულელათ,
ჭკუაშერყილათ და ანარქისტათ;

მაგრამ კარლი, შვილი ვილგელმის,
სდგას ქვასებრ შეურყეველი,
დამძრახველებთა კრების წინაშე.
ომი ომს — გაფიცვები —
მასსების ჯანყი რევოლიუცია
ის არ იღლება განმეორებით
დაყრის ლოზუნგებს აფარებელს,
და მის მოწოდების რიტრაქი ჩნდება
ხალხისთვის გახსნილ სასაკლაოზე.
ისევ ცოცხლდება გაბედაობა —
ისევ ცოცხლდება მომკვდარი რწმენა
და გაიხსნება კვლავ მომავალი
აქვავილებულ ოქროს ყვავილით.

ის მიყავთ ჯარში
ალეთი ფარაჯას ნიმოახვევენ კაცს თავისუფალს.
ომი ომს — უპასუხებს ამათ ლიბკნეხტი
იმას იჭერენ — ამწყვდევენ ამათ ციხეში
სამჯავროებით აწვალებენ და ასუსტებენ
ომი ომს, გაუმარჯოს რევოლიუციას!
უპასუხებს კარლი შვილი ვილგელმის.

ᲠᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

და წინააღმდეგ მძიმე ფოლადისებურ ჩაგვრის,
წინააღმდეგ ტყვიის მფრქვეველების და ვინტოვკებისა
წინააღმდეგ გაუგონარ დისციპლინის,
ხალხიდან ბევრი პასუხს აძლევს გმირის ძახილზე,
და სვეტებივით სასიხარულო იმედები იმართებიან.

ლიბკნეხტი ჯარისკაცი, — ლიბკნეხტ ტუსაღი,
ლიბკნეხტ მეჩექმე.
შენ ხარ აღტაცება ხალხის —
შენ ხარ სიყვარული ჩვენი —
შენ ანდამატი ხარ, რომ იზიდავ ვაჟკაცურ ძალებს
რომ აერთებ ყველა ცოცხალ და წმიდა ენერგიას
შენ გადაიქეცი ახალ მჭედელათ
მთელი ქვეყნების საერთო ძმობის.

გაანადგურე კავშირი ტირანების,
გამყიდველების მოსპე კავშირი,
შენ სისულელე გაგვიროგვინებს შეურაცხყოფით
შენ პურპური ხარ ნამდვილ დიდების, —
დიდება შენ, ო ლიბკნეხტ.

და ხალხის ბაგეზე დარბის,
დიდება მუდამ შენი სახელის,
დე იდგენ შორით სპეკულიანტები
ესტეტები და ლაქიები
ულირსები რომ წარმოთქვან
ერთი მაგრაც შენი სახელი. —

ამხანაგო ლიბკნეხტ,
შენ ხარ ორიფლამა სიწმინდის და თავისუფლების, —
დიდება შენ უმწიკვლო გმირო რევოლიუციის!.

მთარგმნელი **ხიმონ ჩიქოვანი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა, მხატვრობა

დოკუმენტები და მემუარები

შალვა ალხაზაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნება რუსეთში

„Стройте движение"

Э. Зелинский „Стиль и сталь"

მე უმთავრესად შტრიხულად, მაგრამ მაინც საჭირო დასაბუთებით ვეცდები წარმოგიდგინოთ თვალწინ დეკორატიულ ხელოვნების განვითარების გზები, უმეტესად რუსეთის, რადგან თეატრალურ მიღწევებით მან პირველი ადგილი დაიკავა მთელ მსოფლიოში. არიან ანალოგიური ცდები საზღვარ-გარეთაც მაგალითად გერმანეთში, პარიზში. ფერნან ლეჟეს და პახლო პიკასოს კონსტრუქტიული დეკორაციები არაფერით არ ჩამორჩება რუსეთის შემარცხენე თეატრების მიღწევებს. მაგრამ ეს მხოლოდ წვეთია იმ აკადემიურ ზღვაში, რომელშიდაც იხრობა მთელი საზღვარ-გარეთელი ხელოვნება.

რასაკვირველია თავიდანვე ძნელია მთელი თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების განვითარების ეტაპების მოძებნა, მათი სათანადო კლასიფიკაცია. მაგრამ ჩემის აზრით მაინც შესაძლებელია გამოყოფილ იქნეს სულ დაახლოებით შვიდი მიმართება თეატრალურ-დეკორატიულ ხელოვნების განვითარებაში. ამ დაყოფას სრულიად არ აქვს პრეტენზიები მთლიანად რომელიმე მიმართების ამოწურვის. რაც შეეხება მხატვარს, რომელიც მუშაობს თეატრში, მისი ყოველთვის მიკუთვნება. რომელიმე მიმართებას საესებით არ შეიძლება. არიან მხატვრები რომელნიც ვერ ეგუებიან ერთ რომელიმე თეატრს, მის საერთო მიმართებას, და ერთ თეატრიდან მეორეში გადადიან. ეს მხატვრები თვითონ აჩარებენ თავის თეატრს და არ ემორჩილებიან მზად მოცემულ კლიშეს ტრადიციულ თეატრალურ დეკორატიულობისას. მაგრამ ამასთანავე არიან მხატვრები, რომელნიც ვერც კი განირჩევიან თეატრისგან და ძნელია გამოყოფა მხატვრის თეატრისაგან, ან თეატრის მხატვრისაგან. ეს უკანასკნელი გარემოება უფრო ნათლად გამოიჩეკევა მაშინ, როდესაც ცალკე თეატრების, აბ ცალკე მხატვრების დადგმებს

განვიხილავთ. ჯერ-ჯეროობით კი გავარჩევ ამ შვიდ თეატრალურ-დეკორატიულ მიმართებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) პირველად იყო დეკორაცია როგორც ფონი. ეს იყო 80-წლებამდე. მხატვარი აქ თითქმის არ არსებობს თეატრში, არის მხოლოდ ხელოსანი. დეკორაცია-ფონი შემზადებულია ყველა პიესისათვის. ერთი და იგივე დეკორაცია დგას დღეს, ხვალაც. უკიდურესს შემთხვევაში იცვლება ფონი. მხოლოდ საბაგიეროთ მთელი გულისყური მაყურებლის მიქცეულია აქტიორისაკენ. რასაკვირველია ეს იყვნენ შჩეპკინი, მოჩალოვი და სხვა აქტიორები ძველი ფორმაციის. დღესაც მაგალითად თანამედროვე თეატრში დიდ როლს ვაკუთვნით აქტიორს. ზერელე მაყურებელს ისე ეჩვენება ვითომ თანამედროვე თეატრი აქტიორის სცენაზე პირველ ადგილის მიკუთვნებით უბრუნდება 80-წლების ტრადიციებს, მაგრამ აქ საჭიროა დისტანციის გათვალისწინება. ძველი აქტიორი არის აქტიორი-პიროვნება, აქტიორი-ინდივიდუუმი. აიღეთ მიუნე-სიულლი, ბარნაი, ელეონორა დუზეახალი ფორმაციის, ახალი ტექნიკის აქტიორი არის აქტიორი-წევრი კოლლექტივის აქტიორი როგორც ერთ-ერთი მანქანა მომქმედ პირთა სისტემაში. ამაშია უკვე აქტიორის ძველი ინდივიდუალური ტექნიკის დაძლევა.

2. დეკორაცია როგორც მხატვრული ნაწარმოები. 80-წლების შემდეგ ხდება დიდი ცვლილება დეკორატიულ ხელოვნებაში. ნამდვილი მხატვრები მოდიან თეატრში. იდეური მამამთავარი მათი იყო ვრუბელი. შემდეგ იყვნენ ვასნეცოვი, პოლენოვი, კოროვინი და სხვები. დაიბადა მხატვრული დეკორაცია. ძველი სცენიური კანონები უარყოფილია. დეკორაციები უკვე ნიადდება ერთ რომელიმე განსაზღვრულ პიესისათვის და პირველ აქტიდან უკანასკნელამდე ერთ და იგივე მხატვარის მიერ. წარმოდგენაში შეტანილია ერთნაირი სტილი, სული. განსაზღვრული მხატვრული ფორმა. სწორეთ ამ დროს შეიქმნა მოსკოვის მხატვრული თეატრიც. მაგრამ. იგი უფრო ნატურალისტურის გზით წავიდა. მაშინ როდესაც ის მიმართება თეატრალური რომელსაც ჩვენ ეხლა ვარჩევთ უფრო თეატრალური მიმართებაა, მხატვარი სასტიკად გრძნობს თეატრს, როგორც მხატვრულ სტიქიონს, ზოგჯერ იგი არც კი უწევს ანგარიშს პიესის შინაგან რეალობას. აქ არის მეტი გაშლა მხატვრულ ფანტაზიის, ილუზიონიზმის, მეტი ძებნა ფერადიულობის სცენაზე. მეტი თეატრალობა, ვრუბელის და კოროვინის გამგრძელებლად ამ მხრივ შეიძლება ჩავთვალოდ პეტრე კანჩალოვსკი და ა. ლენტულოვი.

ა. ლენტულოვი — საღებავების ოსტატია. იგი არც ერთ თეატრში განსაკუთრებით არ მუშაობს. 1916 წელს მან დასდგა კამერულ თეატრში "Виндзорские проказницы". 1918 წელს ვ. კომისარჟევსკის თეატრში „ჭოეშანის ხლაპრები" სადაც მან შექმნა მართლაც მეტად ფანტასტიური ზღაპარი, ყოველგვარ ილუსტრატივობას და რეალობას მოცილებული. მაგრამ ნამდვილი მისი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, გამარჯვება იყო ხიმინის თეატრში 1919 წელს დადგმული ოპერა „დემონი" რასაკვირველია ოპერასთან მისცლა იყო მისტერიალურ-სიმბოლისტური. მთელი სცენა იყო გაყოფილი სამ ნაწილად ცენტრში - დედამიწა, მარცხნივ — სამოთხე. მარჯვნივ — ჯოჯოხეთი, ოპერის მოქმედება განვითარებასთან ერთად ხან ერთი ნაწილი, ხან მეორე ჩამოიფარებოდა ხოლმე ფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით. წარმოდგენა საერთოდ სტოვებდა საშუალო საუკუნის მისტერიის შთაბეჭდილებას.

პეტრე კანჩალოვსკი უფრო ცნობილია რუსულ მხატვრობაში როგორც ნიჭიერი ეპიგონი სეზონის და აგრეთვე პეიზაჟისტი. თუ არ შევეხებით რევოლუციამდე მის მიერ ზიმინის თეატრში დადგმულ „დონ-ჟუანს“ და „ვაჭარ კალაშნიკოვს“. კანჩალოვსკიმ მხატრულ თეატრს მისცა „პერიკოლლა“: სახლების ყვითელი კედლები, ეგზოტიური ხე, ესპანელთა გროტესკიული კოსტუმები. ბერძანელთა ეტნოგრაფიული სტილიზაცია. თავისდროზე ამ დადგმამ დიდი ლაპარაკი გამოიწვია პრესაში. ეს იყო მაშინ როდესაც მოსკოვის მხატვრული თეატრი იყო თავის განვითარების ზენიტში. **კონსტანტინე იუონი** სულ არ არის თეატრალური. ეს მას ეტყობა იმავე თეატრში დადგმულ „რევიზორზე“ მხატვარ ქალ გორტინსკაიას „მადამ ანგო“ პირდაპირ თითქოს ამოღებულია მეთვრამეტე საუკუნის ფრანგულ წიგნაკის გრავიურებიდან.

აქ საჭიროა აღნიშვნა იმის თუ როგორ ვერ ეთანხმება რომელიმე განსაკუთრებულ მიმართებას მხატვარი დეკორატიულ მხატვრობაში, მაგალითად ლენტულოვი მუშაობს კამერულ თეატრში კომისარჟევსკისთან, მხატვრულ თეატრში და სხვა. რაც შეეხება მხატვრულ თეატრს მან ისეთი მისი შტამპი შექმნა საერთოდ თეატრალურ ხელოვნებაში რომ საჭიროა გამოყოფა მესამე მიმართებაში.

3) **ნატურალისტური თეატრი.** მოსკოვის სამხატვრო თეატრში ორნაირი მიმართულება გამეფდა თავიდანვე დეკორატიულ ხელოვნებაში. ერთი — დეკორაცია როგორც ისტორიული რესტავრაცია. — ეს რაც შეეხება ისტორიულ პიესებს მხატვარი უნდა იყოს, თუ არქელოგი არა, ყოველ შემთხვევაში ისტორიკოსი. საჭირო გახდა აღდგენა მთელი ისტორიზმის თავისი ყველა წვრილმანებით. მხატვარ ვ. სიმოვის „Федор Иоанноович“-ში საჭირო გახდა იოანე მრიხანეს პალატის ისტორიული რესტავრაცია. „იულიოს კეისარში“ უკანასკნელიუბრალო ლეგიონერის ფარი უნდა აღდგენილი ყოფილიყო ისტორიულის სიზუსტით და სიმართლით, აქ ჩვენ ვხედავთ წარსულის რესტავრაციას, მაგრამ ბოლო დროს ისტორიულ პიესების დადგმა თეატრში განიცდის საშინელ კრახს. ყოველმხრივ გაუმართლებელი არის ისტორიულ დრამების დადგმა თანამედროვე თეატრში. ამ როლს უფრო მეტის მოხერხებით ასრულებს დღეს კინემატოგრაფი. თეატრში სასაცილოა ყველა ეს მუზეუმების ატრიბუტების და ისტორიულ არგუმენტების აღდგენა. შეადარეთ „ვიდრე ხვალ“ თეატრში დადგმული და თუნდაც იგივე „ვიდრე ხვალ“ კინემატოგრაფში. დადგმული გამოჩენილი კინოაქტიორ ენილ იანინგსით მთავარ როლში. მაგალითები მრავალია თუნდაც თბილისში ნაჩვენები კინო-სურათები: „ლუკრეცია ბორჯია“, „ოტელლო“ და სხვა.

მეორე მიმართულება იმავე მხატვრულ თეატრისა არის დეკორაცია როგორც ფოტოგრაფია, ეს რაც შეეხება ყოფა-ცხოვრების პიესებს, იმ დროისთვის მეტად „თანადროულს“, მაგრამ ჩვენთვის უკვე დრომოჭმულს. როგორც მაგალ. „Дядя Ваня“, „Три сестры“ და სხვა. მხატვარი როგორც სვინდისიერი ფოტოგრაფი, მისი ტვინი-კამერ-ობსკურა. ყოველ შემთხვევაში ცხოვრების კოპი-

ისტი. მან უნდა შექმნას ისეთი ილიუზია სინამდვილის, ყოფა-ცხოვრების გადმოცემაში, რომ მაყურებელი ნამცდილად დარწმუნებული ყოფილიყოს [illegible] წინ სცენაზე წარმოდგენილი არის ნამდვილი ნაჭერი ცხოვრებისა [illegible] ში დეკორაცია უნდა ასრულებდეს პიესის ტექსტის ილუსტრატორის როლს. თქვენ შეგიძლიანთ თამამად რომელიმე ესკიზი დეკორაციის, მაგალ. „Дядя Ваня"-ს მოათავსოთ იმავე პიესის დაბეჭდილ გამოცემაში, როგორც ილუსტრაცია წიგნის. ასეთი ილუსტრატიული დადგმებით ისახელეს თავი ზეგოდმოხსენებულმა კ. იუონმა, მ. დობუჟინსკიმ, გორტინსკაიამ, ა. ბენუამ და სხვა.

დღეს როდესაც ე. ვახტანგოვი ცოცხალი აღარ არის თამამად შეიძლება ითქვას რომ ასეთი რეჟისორი, ბეიერჰოლდის შემდეგ, რუსეთს არ უნახავს, იგი ჯერ კიდევ პოტენციაში იყო, და ვინ იცის რას მოგვცემდა კიდევ. რასაკვირველია ჩვენ ეხლა ძალიან შორს წავედით „პრინცესსა ტურანდოტისაგან" მაგრამ დადგმა ვახტანგოვის ეხლაც კი დგას ჩვენს წინ როგორც საძაგალითო თეატრალური დადგმა. ეს არის ნამდვილი თეატრის, იტალიანური comedia dell'arte თანამედროვობაში განსახიერებული მხატვარ ი. ნივინსკის მიერ. ნ. ალტმანის „ჰადიბუკი" ებრაულ თეატრ „ჰაბიმაში" დადგმული ვახტანგოვის მიერ იყო რაღაც არაჩვეულებრივი მისტიური ფანტასმაგორია სიყვარულ-სიკვდილის ებრაულ ყოფა-ცხოვრების ფონზე აღებული, შეიძლება მხოლოდ მარკ შაგალმა ნოგვცეს ამისთანა ტილოები და აჯობოს მას ებრაულ ყოფა ცხოვრების მისტიურ რეალობის გადმოცემაში. მაგალ. „აგენტებში" სადაც შაგალმა ნოგვცა მეტად გრაფიული სურათი და „ნახლ-ტოვში" (ჰაბბიმა) მეტად სიმბოლისტური.

რასაკვირველია ვახტანგოვის დადგმები მეტად თეატრალურია „ტურანდოტ"-ის სახით მაგრამ ჩემთვის „Чудо св. антония" უფრო მაღლა დგას. „ტურანდოტ" სიცალიერეა. თეატრი თეატრისთვის. „წმ. ანტონის სასწაულს" უფრო სჯობია „ჰადიბუკ", ბოლოს მესამე სტუდია, დარჩა უპატრონო. „Правда хорошо, а счастье лучше" ბერძენია თავიდან ბოლომდე. აქ ოსტროვსკი სულაც არა სჩანს. „Женитьба"გოგოლის ნისტიკის მეტერლინკის სოფლით მომზადებული ეს პირდაპირ გაუგებრობაა ახალგაზრდა რეჟისორ ზავადსკის მუშაობაში. გოგოლის შეუდარებელი კომედიური რიტმი ჩახშულია თავიდანვე რაღაც ჭოტმანისებურ კოშმარულ გროტესკში. სიცილის გარდა ყველაფერია. მისტიციზმი, ექსპრესსიონიზმი დოსტოევსკი, როზანოვი. ნამდვილი კოშმარი.

პირველ სტუდიას რომელსაც მეტად ბედნიერ პირობებში უხდება მუშაობა ყავს მშვენიერი ანსამბლი და ისეთი აქტიორი როგორც მიხეილ ჩეხოვი. მაგრამ დადგმების მხრივ აქაც სრული არევ-დარევაა. დაწყებული მეტად ანაქრონისტულ „Любовь-книга золотая"-თი მხატვარ ელ ამოსოვას მიერ დადგმულით და გათავებული ახალი ძიებებით „გმირი" სინგის (რეჟისორი ა. დიკი) და „ჭიოვნულის მორჯულება" (რეჟისორი ვ. სმიშლიაევი. მხატვარი მატრუნინი). ახალგაზდა მხატვარ მატრუნინმა დაიწყო ა. შნიცლერის „მწვანე კაკადუ" თი, სადაც იგი დეკორაციებში იძლეოდა მთვრალ ფერებს, როდესაც კაბარე ქანაობს აპაშების ცეკვით და ბასტილიის ირგვლივ კი იშენდება ნება რევოლუციის. კედელი. კიბე. არ იცი სინამდვილეა თუ სიზმარი. დახატულია თუ ნამდვილად გაქეთე-

ბულია გინდაც ეს კიბე. აქედან იწყება მატრუნინის წინსვლა. პირველ სტუ-
დიაში დასდგა „ჭირვეულის მორჯულება“ თეთრი კონსტრუქციებით
მოწყობილობა. კატარინა და პეტრუჩიო-წითელ-შავ-ყვითელი გამა. ბიჭკა-
თეთრ-ცისფერი. პირველი სტუდია თავის შემთხვევით რეპერტუარით მიდის სინ-
თეტიურ თეატრის შექმნამდე. რამდენად მიაღწევს იგი ამ მიზანს ეს სხვა საკი-
თხია. ყოველ შემთხვევაში უკანასკნელი დადგმა ლესკოვის „Расточитель“
აღებულია ნამდვილ რუსულ ტონებში, არის დოსტოევშჩინა: მხოლოდ თანამე-
დროვე მონოკლში.

მეორე სტუდიაში იმავე მხატვარ მარტუნინმა დასდგა ოსტროვსკის „гроза“.
ეს სტუდია თავის უკვე ყველასათვის მოსაბეზრებელ და ტრივიალურ „Узор из
роз“, ების შემდეგ დაავადმყოფდა ახალ თანამედროვე სენით—კონსტრუქტივიზ-
მით. ეს უკვე გახდა საერთო სენი ყველა თეატრების, აკადემიურ „პატარა თე-
ატრშიაც“ კი შეიჭრა იგი. (იხილე „Медвежья свадьба“). მაგრამ „ყაჩაღების„
კონსტრუქტივიზმი მეტად პროვინციალური გამოდგა. მატრუნინის „Гроза“ უფ-
რო საინტერესოა, როგორც ცდა ოსტროვსკის ახალი გაგების. საჭიროა აქ აღ-
ნიშნულ იქნეს მხატვარი, რომელმაც პირველად სცადა ტრადიციონურ ყოფა-
ცხოვრების მატარებელ ოსტროვსკის წინააღმდეგ გალაშქრება. მატრუნინმა სცა-
და ოსტროვსკის მსოფლიო მასშტაბით წარმოდგენა. აქ არ იყო არც ქალაქი
ჩალინოვი, არც „კუპჩიხა“ კაბანოვისა. რასაკვირველია ტეხნიკურის მხრით ყვე-
ლა ეს ვერ გამართლდა, მაგრამ ფაქტი მაინც დარჩა საყურადღებო. ასეთივე
სიმარტივე, უბრალოება და სხარტულობა გამოიჩინა მატრუნინმა „ევგენი ონე-
გინის“ დადგმაში კ. სტანისლავსკის სახლში. ოთხი კალონა. ფრონტონი. ფანჯ-
რები. და მთელი ლარინების დრამა გათამაშებულია აქ. სამაგიეროდ მეორე
სტუდიის უკანასკნელი დადგმა კალდერონის „Невидимка“-სი უბრალო თეშე-
საქცევი წარმოდგენაა.

მეოთხე სტუდიის „Обетованая земля“ და “Своя семья“ ჩვეულებრივი
წარმოდგენებია. მეტრატოვის „ყავახანა“ არაფერს ახალს არ უმატებს მას.

4) პირობითი თეატრი და სტილიზაცია. ნატურალიზმმა გამოიწვია საშინე-
ლი რეაქცია თეატრში. შეიქმნა პირობითი თეატრი. ცხოვრების წარმოდგენა
სცენაზე ყოველმხრივ შეუძლებელია, მეოთხე კედელი არ არსებობს. სცენას მრა-
ვალი პირობითობა ახასიათებს, რომელთაც ვერავინ დასძლევს, ამიტომ საჭი-
როა ფარდაგები (Сукна). საჭიროა ყველაფრის სტილიზაცია. ასე მსჯელობენ
პირობითი თეატრის იდეოლოგები. ამ მიმართების თვალსაჩინო წარმომადგენ-
ლად უნდა ჩაითვალოს საპუნოვი, სცენა გახდა სურათი. აქტიორი მკორეხარის-
ხოვანი აკესუალი სცენის. არის საღებავი. ნახატის ჩექურთმები. ბარელიეფი
ფრესკა. სუდეიკინი, რომელიც ყველაზე მეტად თეატრალური იყო, თეატრში
საუცხოვო სტილიზატორად არის ცნობილი. იგივეე ბაქსტი. მაგადითად პარი-
ზში დიაგილევის დადგმები იყო ფერების ნიაღვარი. საუცხოვო სტილიზაცია,
ბარელიეფები და ფრესკები მხოლოდ, ყველა ამ "შეხერეზადების", „ხოვანშჩინის“
და „ოქროს მამლების“, მაგრამ აქტიორი პირობით თეატრში თითქმის არ არ-
სებობს, იგი იხრჩობა ფერადი ლაქების ზღვაში. იყო ორსაზომიანი დეკორაცი-

ები და იყო სამსაზომიანი აქტიორი. სამსაზომიან აქტიორის მოძრაობა ორსაზომიან დეკორაციების ფონზე ვერ ქმნიდა სათანადო სცენიურ [illegible] დაიბადა უკიდურესობა აქტიორი წარმოდგენილი როგორც [illegible] აქტიორის და საერთოდ წარმოდგენის სტატიური გაქვავება. ყოფნა ერთ ერთ ლაქად სხვა დეკორატიულ ლაქათა შორის. უკანასკნელ შემთხვევაში კი თეატრი იღუპება, რადგან სადაც სტატიურობა და სადაც აქტიორი არ არსებობს იქ თეატრიც არ არსებობს,

5) **მოცულობითი დეკორაციები.** ამ კრიტიკულ მდგომარეობიდან გამოსავალს იძლევა ეგრეთ წოდებული მოცულობითი დეკორაციები. სამსაზომიანი დეკორაციები სამსაზომიან აქტიორისთვის. საჭიროა მოცულობა, კუბი, გარსი. საჭირო გახდა დეკორაციების აგება, აშენება. მაგალითი მხატვარ ფედოროვსკის დადგმა „ლოენგრინის" დიდ თეატრში. სცენა დატეხილია. არის რამდენიმე გორიზონტალური პლაკი აქტიორების შეჯგუფებისთვის. ფედოროვსკი სულ არ აქცევს ყურადღებას აქტიორს. იგი ფერადების მეოცნებეა. მას უყვარს ფერადების თამაში და მასსიური სცენები. მაგრამ მასსა ფედოროვსკის დადგმებში ცოცხალი კოლექტივი, მთლიანი ორგანიზმი კი არაა, ეს იგივე სტატისტებია დიდ თეატრის და ყოველი სტატისტი მის წარმოდგენებში არის მხოლოდ ფერადი ლაქა საერთო სურათში. ასეთივეა მისი „კარმენ" სადაც მან გადმოგვცა ყვითელი და წითელი ფერების ფანტასმაგორიაში ვნებიან ესპანეთის პათეტიური დრამა. მაგრამ 1923 წლის „ლოენგრინში„ ფედოროვსკი სტოვებს ფერადულობას დეკორატიულ ხელოვნებაში, იგი ქმნის რამდენიმე ვერტიკალურ ხაზს კოლონების მზგავს და დაწეულ ფარდებს, რომელნიც თავიანთ ნაოჭებით ქმნიან მოცულობითი ფორმებს. მაგრამ აქაც ფედოროვსკი არ არის განთავისუფლებული სიმბოლიურობისაგან. ბრძოლა ბნელსა (ორტრუდა და ტელრამუნდეს სინათლესთან (ელზა და ლოენგრინ). მაინც მხატვარ ფედოროვსკის გზა საინტერესოა როგორც პირობითი თეატრიდან მოცულობითი არხიტექტონიკაზე გადასვლა.

უფრო მეტად ლაკონიური და კონკრეტიული ვიდრე მატრუნინი და ფედოროვსკი არის მხატვარი **ისააკ რაბინოვიჩი.** მე არ ვიცი მართლა მარჯანოვმა აღმოაჩინა ეს მეტად საინტერესო მხატვარი თუ არა. ალბათ ამის შესახებ პირუთვნელი ისტორია იტყვის თავის სიტყვას. ყოველ შემთხვევაში პირველი შესანიშნავი დადგმა რაბინოვიჩის იყო კორშის თეატრში დადგუმული 1919 წელს „დონ-კარლოსი". სცენა სრულიად ხელშეუხლებელი რჩება, მოცემულია მხოლოდ ვარიაციები არკების და ვერტიკალების, რაც იძლევა ფრიად საინტერესო ცდას სივრცის გაფორმების სცენაზე. არ არის მოცემული ტრაგიზმის გრძნობა: დაწეული თაღები, ოქრო, სინათლე. სულ სხვაა რაბინოვიჩი ებრაულ კამერულ თეატრში: „Колдунья", უბრალო კონსტრუქცია კიბის, მწვანე-ნაცრისფერი გამმა ებრაულ გეტტოს ქუჩურ ცხოვრების. ებრაულ პრიზმაში აღებული იტალიური Komedia Dell'arte-ს პერსონაჟები. მხოლოდ იმ განზრახვებით რომ იქ იყო მასკები იტალიურ თეატრის, აქ კი ებრაულ თეატრის მასკები. რაბინოვიჩი იძლევა ყოფა-ცხოვრების თეატრალიზაციას, თანაც მას ახლავს მხატვრული თეატრის რეალისტური ტენდენციები, ამიტომ არის რომ იგი ყველაზე ხშირად მუშაობს

მხატვრულ თეატრში, ყველაზე დიდი სახელი მოიპოვა ახალგაზრდა მხატვარმა „ლიზისტრატას" დადგმით. წვრილი თეთრი კალონები ლურჯ [illegible] ყვითელ-წითელი ტანისამოსი აქტიორების. ელდა მეოცე საუკუნის პრიზმაში. კულისები არ არსებობს, კოლონადა იძვრის მაყურებლის წინ და მომქმედნი პირნი ამოდიან კოლონადას ცენტრალურ ნაწილიდან, სადაც მიმალულია ქვეით ჩასასველელი კიბე. მრავალი ჰკიცხავდა მხატვარის ამ მართლაც და მეტად ბანალურ და უფერულ თეთრ კალონებს, მაგრამ თუ ჩვენ გავითვალისწინებთ რაბინოვიჩის განვითარების გზას, მაშინ მივხვდებით რომ აქ არის ცდა არხიტექტორულ კომპოზიციის მოცემისა სცენაზე. „ლიზისტრატაში" არსებობს რაბინოვიჩი — არხიტექტორი და არა რაბინოვიჩი — მხატვარი. აქედან მოდის მისი არხიტექტორული ტენდენციები სცენის გაფორმების საკითხში. საინტერესოა ამ მხრივ მისი კინო-მაკეტები. ქალაქი მარსზე, „აელიტაში", სადაც მან ააშენა დიდი ქალაქი ტრამვაებით, მოძრავი მასებით, სამსართულიან ლიფტებით და სხვ.

6). ფედოროვსკის „ლოენგრინი" როგორც ექსპერიმენტი ვერ იყო გამართლებული ისეთ თეატრში, როგორც არის „დიდი თეატრი„. საჭირო იყო პატარა თეატრი. თეატრი-მაკეტი. სწორედ აქ დაიბადა აუცილებლობა მოსკოვის კამერულ თეატრის დაარსებისა, რასაკირველია მე სრულიადაც არ ვფიქრობ კამერულ თეატრის გენეალოგიის გამოყვანას ფედოროვსკის შემთხვევითი დადგმისაგან. მაგრამ თვითონ ეს ფაქტი უკვე ქმნიდა ისეთ ატმოსფერას, სადაც დაიბადებოდა უთუოდ საჭიროება კამერულ თეატრის შექმნისა. თეატრალობა. თეატრალიზაცია. ყველა ეს უმთავრესად ახასიათებს კამერულ თეატრს, თეატრალობა თეატრალობისათვის, მხატვრის მოვალეობა არის მოახთინოს თეატრალიზაცია სცენიურ ყუთის. მაგრამ რაც ყველაზე საინტერესოა კამერულ თეატრში ეს აქტიორის პრიმატის აღიარება. მაგრამ რამდენად ეს აღიარება მართლა გამართლებულია პრაქტიკულად კამერულ თეატრში, ამას შემდეგ ვნახავთ.

ა. **ექსტერ** — საინტერესო მხატვარი — ქალია. მან დაიწყო ინოკენტი ანენსკის „ფამირა კიფარედ" ით 1916 წელს, სადაც უკვე მხატვარის ხედვითი სახეები ღებულობენ თავისებურ ტრაგიულ რიტმს. ფატუმი რომელიც საგრძნობლად გაწვებათ ამ ტრაგედიაში, უკვე არ სტოვებს სიმპატიურად ექსტერს, „სალომე": კოლონები, შავ-ვერცხლისფერი ფარდა, შუაში რაღაც ფატალური ზიგზაგები უშველებელი ელვის რკალისა, ხმა იოჭანანის როდესაც იშლება ფარდა. ფერადების გრადაცია უკანა ფარდაზე თანახმად ტრაგედიის განვითარების და სისხლიან დაბოლოების. ყველა ეს იძლევა რაღაც circulus vitiosus-ის შთაბეჭდილებას. მოჯადოებული რკალი, ყველგან გრძნობით რაღაც სიმძიმეს, როგორც პეროდეს ტანსაფარავს, არის ალმოსავლეთური გრძნობიაობა. ფერადი, მაგრამ ეგზოტიური, არის მხატვრობა. არის ტრაგედია. მაგრამ ყველაფერი მეტად სტატიური, უძრავი. ყოველი მოძრაობა აქტიორის ასეთ დადგმებში უკვე თავისთავად რაღაც ვულგარობად, წარმოდგენის „ღვთისმსახურების" პროფანაციად მოგვეჩვენება. აქტიორი უნდა იყოს როგორც ფრესკის ნაგლეჯი. როგორც ბარელიეფი მხოლოდ.

იაკულოვის „ბრამბილას" შემდეგ, რომელზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება ლა-

პარაკი, ექსტერის „რომეო და ჯიულიეტამ“ (1921 წ.) ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ დასტოვა. იყო იტალიანური რენესანსი. სათანადო კონსტრუქციები. ძლიერი გრიმი. ვიწრო ტუჩები. ჩვეულებრივი წარმოდგენა ჩვეულებრივ თეატრის.

უკანასკნელად ექსტერმა როგორც სჩანს ულალატა თეატრალობას. დაიბადა მისვლა მექანიზაციამდე. უარყოფა ფერადიულობის. გატაცება კონსტრუქტივიზმით. ეს იყო „Ballet qatamque“ სკრიაბინის. კონსტრუქცია რაღაც მანქანურ აგებით გამექანიკებულ აქტიორებით.

ა. ვესნინი მეორე მხატვარი რომელიც უმთავრესად მუშაობს კამერულ თეატრში პირველად მოწვეულ იქნა 1920 წელს პოლ კლოდელის მისტერიის დასადგმელად. თავისთავად დაწერილი საშუალო საუკუნის მირაკლის მანერით, იგი მოითხოვდა მხატვარისაგან განსაკუთრებულ კათოლიკურ განწყობილებას. ვესნინმა საუცხოოდ იგრძნო კატოლიციზმი. მისტერიალობა, ჰიერატიულობა. მან მოგვცა რელიეფი. ქანდაკისებური ფორმები. გრძელი სწორი ხაზები. სწორი გეომეტრიული ფიგურები. არავითარი ნატურალისტური მისვლა. საშუალო საუკუნოების პათოსი მოცემული გარეშე ყოველგვარ ისტორიზმის და არქეოლოგიზმის. მაგრამ ვესნინს მაინც უყვარს ფეხები. „ფედრაში“ მან დატეხა სცენა. პადუგების მაგიერ მაყურებლისკენ დაქანებული სიბრტყეები. უკანა ფონის მაგიერ — ძლიერი, ღრმა სინათლე, შემდეგ ცვლა ფერების, ყვითელი, შავი, წითელი. ფედრა ცეცხლისფერ პარიკში. ყველგან უძლეველი ფატუმი. ძველ ჰელადასი განსხვავება მხოლოდ იმაშია რომ აქ ილიანიზმი არ არის კოპიისტობა. არ არის არქეოლოგია და ელინურ ვაზების ფრესკების სვინიდისიერი შესწავლა. მაგრამ აქ ელადა არის სწორედ იმიტომ რომ ელადა სრულიად არ არის. ეს პარადოქსი არ არის. გარეგნულად უარყოფილ ელადას გრძნობთ წარმოდგენის ფატალურ რიტმში. იმავე წელს ვესნინი უკვე ამზადებს „Человек который был четвергом“. აქ უკვე არის მიახლოვება მეიერხოლდის თეატრთან. არავითარი დეკორატიულობა. მხოლოდ კონსტრუქცია აქტიორის დასაყრდნობად. ხაზები მოედნები. მოძრავი ტროტუარები. ლიფტი. პლაკატები. რეკლამები. პროჟექტორები. ველოსიპედები. ვესნინი ცდილობს გადმოგვცეს დიდი ქალაქი, მისი ექსტრაქტი კაკაფონია აყვირებულ ქუჩის. ყველაფერი ეფექტურია. საოცარი. მაგრამ მშვენიერი დიზაინები არ არის სათანადო დინამიურობისათვის გამოყენებული. ორი-სამი დეკანი დეტექტივების ანარქისტებზე, რომელიც სწარმოებს ლიფტებზე ვერ სტოვებს სათანადო შთაბეჭდილებას. ამიტომ შეიძლება ითქვას რომ კამერულ თეატრმა ამა პიესით ვერ გაიმართლა თავი დინამიურ საუკუნის წინაშე კამერული თეატრი არის თეატრი ესთეტიური, უმთავრესად მას არა ყავს დიდი. აუდიტორია, არც რეპერტუარი, თანამედროვე ცხოვრების. ყოველ შემთხვევაში ეგ მაინც ორება საინტერესო თეატრად, მაგრამ დეკორატიულ და არა შემოქმედებით თეატრად. ბოლოს და ბოლოს კამერული თეატრი არის ორანჟერეია და თაიროვის აქტიორი არის დეკორატიული ელემენტი მხოლოდ. ორნამენტაცია. წინამძღოლობის ორგანიზაცია სრულებით არ არსებობს. ამიტომ შეიძლება ითქვას რომ ყველაზე საინტერესო სეზონში იყო „Вавилонский адвокат“, რადგან ეგ იყო აღებული ნამდვილად კამერული თეატრის ტონში. მაგრამ რაც შეეხება

ოსტროვსკის „гроза"-ს, ასეთ ესთეტიურ თეატრში, როგორც [illegible] ეს რაღაც გაუგებრობა იყო, მეტი რომ არა ვსთქვათ. [illegible] და დეკლამატორი-აქტიორები საკოდავ სანახაობას წარმოადგენენ რუსულ ყოფაცხოვრების ფუპანებში.

კამერულ თეატრის მიმოხილვა სრული არ იქნებოდა თუ არ შევეხებოდით მხატვარს, რომელმაც თითქმის მხოლოდ თეატრით გაითქვა თავისი სახელი და უმთავრესად მუშაობს კამერულ თეატრში — ეს არის — **გეორგი იაკულოვი**, ტომით სომეხი. მასში არის ჩანერგილი რაღაც აღმოსავლეთური ცეცხლი, რაც სრულიად არ იძლევა ყალბ ორიენტალიზმს, რომელიც ასე იაფი და ტრივიალურია ზოგიერთ ორიენტალისტ-მხატვრებში. იაკულოვი, ისე როგორც მიხეილ სარიანი, ნამდვილად გრძნობენ აღმოსავლეთს, მაგრამ სარიანი თეატრში არ მუშაობს. რაც შეეხება იაკულოვს მას ახასიათებს ფერების და ფორმების კალეიდესკოპობა. აქედან ორნაირი ხაზი: კონცენტრიული. და ექსცენტრიული. „რიენცის" დადგმაში დეკორაცია იგივე მუსიკალური ინსტრუმენტია, რომელიც ასრულებს არხიტექტორულ პროპორციების და სინათლის კომბინაციების მუსიკას. აქ დაცულია მუსიკალური არხიტექტონიკა. და რაც უფრო ღირსშესანიშნავია სინათლე სჭარბობს შხატვრობას. მოცემულია არხიტექტორული კონსტრუქცია როგორც ეკრანი, სადაც აღიბეჭდება სინათლის სხვადასხვაობა და ფერადულობა.

„პრინცესსა ბრამბილა"-ში იაკულოვმა მოგვცა ცხელი ფანტასმაგორია მაესტრო ჰოფმანის გაკეთებული ფანტაზიის. აქ იაკულოვი გამოდის როგორც რომანტიკოსი თავისებური, ყოველ შემთხვევაში იმპრესსიონისტი კომპოზიციით და გრძნობით. რომის მირაჟული ვარდისფერი დაისები. შემდეგ ღამე სახლების სილუეტები. ფიგურები მიმავალ ადამიანების მბჟუტავ ფანრების სინათლეში. აქ არის რომანტიკა კორსოსი საღამოს შვიდ საათის. ყველაფერი როგორც ქიმერია. მირაჟი. ორნამენტი. ქსოვილი ავადმყოფურ ტვინის იმპრესსიონისტული ციებცხელება.

სულ სხვაა იაკულოვი — „ჟიროფლიაში". შირმები. ვვერდით კიბეები. სიმარტივე. მინიმუმი მოწყობილობის. მაგრამ კამერულ თეატრმა მაინც თავისი დალი დაასვა ამ წარმოდგენასაც. მარასკინის კოსტიუმის სტილიზაცია. საერთოდ „ჟიროფლიაში" ასეთ ნეიტრალურ დეკორატიულ ფონზე, რომელიც იაკულოვმა მოგვცა მეტის მეტი სიჭარბეა სტილიზაციურ კოსტუმერიის.

7). მეიერხოლდის თეატრი. რა არის თანადროულობა? თანადროულობა არის მოძრაობა. ენერგია: ჯერ ომები, ბერე რევოლიუცია. ცხოვრების ტემპი საზიერდება მოძრაობაში. ახალი სოციალური ყოფა, რომელიც დაიბადა რევოლიუციის წიაღში, აგებულია და გაღენთილია დინამიურობით. ომმა და შემდეგ რევოლიუციამ მოიტანა სულ ახალი გაგება მოვლენების: ნივთის. სულიერ, პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში ყველგან შეიჭრა დინამიურობა. მას აქვს თვისი გამართლება, თვისი ფილოსოფია. მე ვიცდები სხვა დროს უფრო ვრცლად შევეხო დინამიზმის ფილოსოფიას. ეხლა კი საჭიროა გამორკვეულ იქნეს საკითხი არის თუ არა თანამედროვე თეათრი ის ახალი თეატრი სადაც, სახიერდება ეს ახალი ტემპი, ახალი დინამიზმი ახალი ეპოქის. კონსტრუქტივიზმი



სპობს ძველ სცენიურ სურათების სტატიკას. იგი უარყოფს მხატვრულ ესთეტიურ დეკორაციებს. საჭიროა ახალი მოქმედების დინამიურობის გადმოცემა. საჭიროა ორგანიზაცია მოძრაობის სცენაზე. თითქოს ყველა თეატრებს მოედო ეს გატაცება კონსტრუქტივიზმით. მაგალითად დიდ თეატრის „შეხვერეზადაში" მოხდა საოცარი კურიოზი. ბალეტში გაუქმებულ იქნა მოცეკვავების ფეხები. რაბინოვიჩის „ლიზისტრატაში" ხალხი დარბის კიბეებზე. მოძრავი სცენა იძვრის ხალხთან ერთად. მაგრამ სირბილში ხომ არ გამოიხატება მოქმედების დინამიურობა. რაბინოვიჩი მაინც მხატვარია, „ლიზისტრატა" კი სტატიური მხატვრობა. მართალია სურათები იძვრიან, სცვლიან ერთმანეთს, როგორც პანორამაში, მაგრამ არავითარი დინამიურობის ნატამალიც-კი არაა მასში. იგივე სურათს წარმოადგენს კამერული თეატრის „Четверг", რომელიც ვერ მიაღწევს თავის მიზანს და რჩება მაინც გზა-ჯვარედინზე, როგორც საერთოდ გზა-ჯვარედინზეა მთელი კამერული თეატრი.

ვსევოლოდ მეიერხოლდი გასაოცარის სისწრაფით ქმნის სულ ახალ და ახალი თეატრს. ყოველი მისი ახალი დადგმა თავისთავად უკვე არის ახალი თეატრი, მეიერხოლდი არ ჩერდება. იგი თვით ცხოვრებაა. თვით დინამიურობა. მეიერხოლდი მიდის წინ. მარჯვნიდან და მარცხნიდან სისინებენ თეატრალური გველები. ზოგი ამბობს ფორმალურ მხარეებმა გაგიტაცესო. ფორმალური თეატრი კი არის რევოლიუციონური თეატრი. მაგრამ მე შევეკითხებოდი ამ ფორმალიზმის მოწინააღმდეგეთ, რას უფრო ნახავს თანამედროვე რევოლიუციონური ახალი მაყურებელი, პირლ უაიტის შეუდარებელ ტრიუკებს კინოში თუ ფრანჩესკა ბერტინის მელოდრამატიულ სანტიმენტალურ თამაშს? თანამედროულობას ახასიათებს დინამიურობა. ყველაფერი დინამიურობის ნიშნის ქვეშ არის. ამაშია გამართლება ჩვენი ეპოქის და მეიერხოლდის თეატრიც ნამდვილი შვილია ამ დინამიურ ეპოქის.

ლიუბა პაპოვა. ბევრი არც კი იცნობს მას. ეხლაც ზოგიერთებისათვის მისი ერთი სახელი არაფერს ნიშნავს. მაგრამ მე ვამბობ რომ ლიუბა პაპოვა ეს ერთად ერთი მხატვარი იყო რომელიც მოგვცა ჩვენ რევოლიუციამ. დამისახელეთ სხვა რომელიმე მხატვარი რევოლიუციის. ლ. პაპოვა პირველი ნამდვილი რევოლიუციონური მხატვარია რევოლიუციონურ რუსეთის. სასაცილოა ლაპარაკი ყველა ამ Axpp-ების და „სადისკუსიო გამოფენების" რევოლიუციონურობაზე. პაპოვა ჩუმად მუშაობდა თეატრში და აკეთებდა დიდ რევოლიუციონურ საქმეს.

შეიძლება თამამად ითქვას რომ ნამდვილი ახალი თეატრი, ან რომ ვსთქვად ახალი ეპოქა თეატრში შეიქმნა „Великодушный рогоносец"-ის დადგმით, აქედან იწყობა პირველი ცდა ესთეტიურობის უარყოფის. ბანალურ თეატრალობის გაუქმების .უარყოფა მხატვრობის. ილუზიონიზმის მოცულობის. და სხვა. პირველად იყო მოცემული შიშველი კონსტრუქცია. სცენიური ჩონჩხი მხოლოდ. უშველებელი შავი ბორბალი. კრომელინგის შემოკლებული გვარი. კიდევ ორი პატარა ბორბალი და ქარის წისქვილის მოდელი. რამდენად პიესის რიტმი მატულობდა, იმდენად ემატებოდა მოძრაობა ბორბლებს. პირველი წარმოდგენა „Рогоносец"-ის გავარდა როგორც ბომბა, რადგან აქ იყო პირველი ცდა ბუტაფორიის

და მხატვრობის წინააღმდეგ გალაშქრების. პირველად გამოვიდენ აქტიორები განთქმულ „პროზტანისამოსში“ („прозодежда“) სპეციალურად შექმნილ ტანისამოსი აქტიორებისათვის, ისე როგორც მაგალითად არსებობენ ბოდენების პილოტების და სხვათა კოსტიუმები. მოდელი აღებული ფრანგ მუშების ლურჯ ბლუზებიდან. შემდეგ: მთელი სცენა იყო გაშიშვლებული. უკანა ფონი ნესტიანი უსუფთაო აგურის კედელი ყოფ. ზონის თეატრისა. მეიერხოლდი — პაპოვა და ილინსკი — ეს იყვნენ სამი შემქმნელნი ამ საუცხოვო დადგმის. აქედან იწყება ახალი ეპოქა თეატრალურ ხელოვნებაში: უტილიტარიზმი, ლაკონიურობა, უარყოფა ყოველგვარი დეკორატიულობის, შიშველი კონსტრუქტივიზმი, არც ერთი გადაჭარბებული ზედმეტი მოძრობა, ხაზი, ყველაფერი კონსტრუქტიულად ორგანიზაციულად გამართლებული თავიდან ბოლომდე.

შემდეგ იმავე პაპოვას „земля дыбом“. ქაოსი თეატრში, ცხოვრება შეჭრილი თეატრში, თეატრი როგორც ცხოვრება. ყველაფერია აქ გამოყენებული: კინემატოგრაფი, ნამდვილი ავტომობილი, რომელიც მაყურებლის დარბაზიდან სცენაზე შეიჭრება. ამ დადგმამ დიდი ხმაური გამოიწვია პრესაში. აქვს თუ არა გამართლება ასეთ დადგმებს. გამართლება არის თანადროულობაში, თუ გნებავთ თავისებური „ესთეტიკაც“ არის ამაში. ეს არის ახალი ესთეტიკა დინამიურ ნივთის, ესთეტიკა ავტომობილის, ორთქმავალის, მანქანის. პაპოვას აზრით მთელი წარმოდგენა უნდა მიმდინარეობდეს ცხოვრების ნიშნის ქვეშ. არავითარი ესთეტიური განცდა ძველი გაგებით რასაკვირველია არც ამდაგვარი გავლენა მაყურებელზე. ესთეტიურობა უნდა თავისთავად შეზავებულ იქნეს სპექტაკლის აგიტაციონურობაში. მთავარი არის აქტიორის თამაში. ამიტომ უარყოფა ყოველგვარ ზედმეტ თავისთავადი წოწყობილობისა. კოსტიუმები, სინათლის ეფექტები წოწყობილობა. ყველაფერი არის აგიტაციის აქსესუარი. უნდა გამოყენებულ იქნეს აგიტაციურ მიზნით, არავითარი დეკორატიულობა საგნის. სცენაზე უნდა მოცემულ იქნეს ნივთი თავის ნატურალურ სახით. ელექტროფიკაცია, წითელი არმია, მექანიზაცია, ინდუსტრია, ტრანსპორტი — ყველა ეს იძლევა საჭირო რეკვიზიტს. კინომატოგრაფს შემოაქვს აგიტაციონური ტექსტი, რომელიც დეტალურად ხსნის პიესის საერთო აგიტაციონურ მსვლელობას.

მეიერხოლდს მრავალი ახალგაზრდა რეჟისორი გაყვა. ერთერთი ნიჭიერი რეჟისორი არის **სერგეი ეიზენშტეინი,** რომელიც მუშაობს პროლეტკულტის თეატრში, მისი „На всякого мудреца“ და „Слишышь москва?“ ნამდვილი ატრაქციონების თეატრია. უკანასკნელში საკვირველი მონტაჟიროვკა და დინამიური ატრაქციონები მეტად თვალსაჩინოდ არიან გამოყოფილი.

მეიერხოლდის ერთერთ ახალ დებულებად უნდა ვალვიაროთ ის რომ მან თავის გენიალურ დადგმებით დაამტკიცა: რომ **ყოველი თეატრალური წარმოდგენა არის აგიტაციონური.** თეატრალური უკვე თავისთავად ნიშნავს აგიტაციონურს, თეატრალური ესე იგი აგიტაციონური.

თანამედროვე თეატრალობა მიდის თანამედროვე აგიტაციონურობის გზით, მაგრამ ეს არ ნიშნავს მიტინგებს, ტრიბუნას, ყვირილს და სიტყვების უბრალო დალაგებას, აიღეთ „Земля дыбом“, აიღეთ „Д. Е,“ და თქვენ ნახავთ

თუ რა არის ნამდვილი თეატრალობა და ნამდვილი თეატრი, ეს-ცოტილა მაგალითი მსოფლიო თეატრის ისტორიაში, რომ თეატრი ქუჩაში გამოსულიყო. ამიტომ ქუჩა თეატრში შეიჭრა, და ეს იყო მეიერხოლდის „Земля дыбом".

ვიქტორ შესტაკოვი „რეოლიუციის თეატრში" სდგამს ტოლერის პიესას „ადამიანი-მასსა".-ს. კონსტრუქციები, პლაკატები, არავითარი ესთეტიურობა, ბუტაფორია. რაღაც გაშიშვლებული, გაძეალტყაევებული ჩონჩხი თეატრალურ წარმოდგენის. „ადამიანი-მასსა" აღებულია მთლიანად, როგორც ერთი მონოლიტიანი პიესა, რომელიც არ არის დაყოფილი რამოდენიმე აქტად, ამიტომ არის აგებული ერთი კონსტრუქცია ყველა აქტებისთვის. სწარმოებს ბრძოლა ორ ბანაკის შუა: ბურჟუაზიის და პროლეტარიატის. შუაში ინტლიგენცია. აქედან გამომდინარეობს მთელი, სცენიური აგიტაციონურობა. სცენიური გაფორმება იძლევა საჭირო ვერტიკალებს; არის მოძრავი ტროტუარი. კანატის რკინის გზა, რომელიც დიაგონალით სჭრის სცენას. ვაგონები, მანქანები, მოძრავის სინათლის რეკლამები. გრანდიოზულია დადგმა ბირჟის და ბარიკადულ ბრძოლის. საერთოდ გორიზანტალები, ვერტიკალები და დიაგონალები.

„Озеро Люло"-ში მოსპობილია ყოველგვარი ემოციონალობა, პსიხოლოგიზმი. არის მოცემული თანამედროვე დიდ ქალაქის მექანიზაცია. შესტაკოვის კონსტრუქციებში ყველაზე საინტერესოა ოტელი და მაღაზია ექსცელოსიორ მრავალსართულიანი „ნებოსკრები" შუაზედ გადაჭრილი, მრავალი იარუსებიანი ბაქანი, ლიფტი, ელექტრონის წარწერები, ფერად სინათლის რეკლამები, პროჟექტორი, რომელიც ქნის წარმოდგენაში სათანადო ცოცხალ რიტმიკას.

ა. ლუნაჩარსკის მიერ წამოსროლილი ლოზუნგი „უკან ოსტროვსკისაკენ" ყველა თეატრებმა მიიღეს როგორც დუელში გამოსაწვევი ხელთათმანი. მეიერხოლდმა თავისებურად მიიღო. იგი მივიდა ოსტროვსკისთან სოციალური სკალპელით ხელში. კონსტრუქცია ორნაირი სცენაზე: ქვეით მასკები ადამიანურ უსამართლოების და სოციალურ უკეღმართობის. ზევით ჰაერში დაკიდებულ ხიდზე სჩასტლივცევი და ნესჩასტლივცევი — თავისუფალ აზროვნების წარმომადგენელნი. (პიესა „Лес") პიესაში არის მიახლოვება დიად სოციალურ საკითხამდე, სცენიური ფორმალური განსახიერება პიესისა დაყრდნობილია ხალხურ სტილის დაცვაში. მეიერხოლდის „Лес„ ეს არის ნამდვილი ხალხური საბახაობა. აქ არ არის ლიფტი არც მოძრავი სცენები. არც ამერიკანიზმი, აქ არის ნამდვილი რუსული სული, რო იტყვიან „Душа на распашку", მაგრამ მოცილებული ამასთანავე ყოველგვარ ხლისტოვშჩინას, დოსტოევშჩინას და როზანოვშჩინას. აქ არის გამოყოლვნებული რუსული ყოფის მალული ინტიმური დინამიურობა. მაგალითად „Гигантские шаги", საქანელა, გარმონიკა, რომანსები. ხორო ყველაფერი აგებულია ნამდვილი ხალხურ ყოფაცხოვრების თამაშზე და სიმღერაზე. სიყვარულის სცენები. ეს პირველი შეხედვით ასეთი სტატიური და მეტად სანტიმეტალური სცენები. აქ თავისთავად მიაღწევენ უკიდურეს დინამიზმს. პეტრეს და აქსიუბას სცენა „გიგანტიურ ნაბიჯზე„ სადაც მოცემულია ნამდვილი დინამიური დიალოგი სიყვარულის, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ. დინამიური ლირიკა. შენდეგ, არკაშკას და ულიტას სცენა გარმონით, რომლის მთვრალ რიტმში განსახიერებულია მთელი რუსეთის იდუმალი სტიქიური დინამიურობა. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს გენიალური აქტიორი-

იგორ ილინსკის (არკაშკა) რომელმაც შექმნა ნამდვილი ხალხური ბუფონადა ილინსკი ამ ჟამად პირველი აქტიორია რუსეთში, პირველი ახალი ფორმაციის ახალი სკოლის აქტიორი. დინამიური აქტიორი. საერთოდ „Лес" ის დადგმაში არავითარი დეკორაციები არ არსებობს, მარტივი კონსტრუქციები, რომელიც სრულ ნებას აძლევენ აქტიორს ინავარდოს ისე როგორც ეს მას სურს. არავითარი ესთეტიურობა. არავითარი მხატვრობა· მეიერხოლდის მიერ ოსტროვსკის დადგმამ აალაპარაკა ორივე ბანაკი როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე. აკადემიური და ფილისტერული ტვინი ა. კუგელის ამ დადგმას უწოდებს „Плевок в лицу истории русской культуры" არა ნაკლებ აკადემიურ ა· იუჟინი თხოულობს მეიერხოლდის სასამართლოში მიცემას. მარცხნიდან უკიჟინებენ პოზიციების დათმობას ნატურალისტური თეატრისათვის. პსიხოლოგიური-ყოფა ცხოვრების თეატრის ზოგიერთ საშვალებათ შემოტანის გამო. სად არის ბიო-მექანიკა. კონსტრუქტივიზმი!

მეიერხოლდი კი წინ მიდის. იგი არ ჩერდება, საით მიდის მეიერხოლდი? „Д. Е"-ში არ არის უკვე არც კონსტრუქციები, არც დეკორაციები. მოძრავი კედლები (Les murs mobiles) სადაც უშველებელი მოძრავი შირმები, რომელიც ყოველ აქტისთვის ყოველ პიესის სიტუციისთვის გამოსადეგი იქნება სხვა და სხვა კომბინაციების მოწყობით. ნახეთ სცენა ბერლინის კაფეში: სცენა. წითელ მეზღვაურებთან. აქ განსაცვიფრებელი კინემატოგრაფიულებაა მიღწეული, თავისებური კინო-დადგმა, მაგრამ სიცრუეა ყველაფერი. მთელ ქვეყანას ხომ ვერ მოაქცევთ ოთხ კედელს შუა. ამიტომ დამარცხდა ლენინგრადში იური ანენკოვის „Бунт машин", აქედან უძლეველი კინოს გამარჯვება თეატრზე. თეატრი არის განსაზღვრული, კინო უსაზღვრო. მაგრამ კონსტრუქცია? ბიო-მექანიკა? ნუ თუ ყველა ეს აღარაფერია. აქ იბადება კრიზისი კონსტრუქტივიზმის, რომელზედაც ეხლა ჩურჩულით ლაპარაკობენ. თეატრში არსებობს ოთხი კედელი, კინოში-არავითარი კედელი არ არსებობს, „Бунт машин" ანენკოვმა მოგვცა კონსტრუქციები, კიბეები, ქვაბები, ინჟინერ მორრეის ფაბრიკა. სინათლის რეკლამები. ავტომობილი, მაგრამ ყველა ეს თეატრის დაწყეულილ ოთხ კედლის ფარგლებში (თუნდაც სამ კედლის!) მაინც სტატიური რჩება, აქედან გამოდის მეიერხოლდის ახალი დადგმა „Д Е", უარყოფა ყოველგვარ კონსტრუქციების, როგორც იგივე მკვდარ ესთეტიურობის. მოულოდნელობა და სიახლე — ორი მთავარი ხაზი მეიერხოლდის ახალი დადგმის, მოძრავი კედლები ეს არის უარყოფა მკვდარ კონსტრუქციების. ლაკის შირმები რომელიც იძვრიან და სცვლიან ერთმანეთს კინემატოგრაფიულ ტემპით, ქმნიან ეპიზოდების ჩქარ გამოცვლას სცენის სხვა და სხვა კუთხეებში. გარდა ამის კიდევ ერთი ხერხი იხმარა კინემატოგრაფიზმის. ეს არის დინამიური სირბილი, რომელიც ასეთის გენიალურობით სახიერდება კინოეკრანზე. „Д. Е" ში მოწყობილობა ყოველთვის იცვლება, მოძრაობს, 44 აქტიორი ასრულებს 95 როლს. აქტიორის ტრანსფორმაცია უკიდურესობამდეა მიღწეული. შემდეგ სინათლის ახალი მონტაჟირებაა. ვოლტის ფანრები და პროექტორები, რომელიც მოძრავ კედლებისგან მოწყობილ კომბინაციებით ქმნიან უთვალავ დაუსრულებელ ვარიაციებს სცენის ახალ განათების. ასეთი გენიალური თეატრალური დადგმა ჯერ არ უნახავს არა მარტო რუსეთს, არამედ მთელ მსოფლიოს, ამაზე ლაპარაკობს მთელი რუსეთის და საზღვარგარეთელი თეატრალური პრესა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიმიტრი ყაზბეგის და ალექსანდრე ყაზ-ბეგის ბიოგრაფიის მასალები.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

1. ცნობები ელისაბედ ყაზბეგის მემუარების შესახებ.

ჟურნალ „**მნათობი**"-ს რედაქციამ გადასწყვიტა გამოაქვეყნოს ალექსანდრე ყაზბეგის და დიმიტრი ყაზბეგის ბიოგრაფიის მასალები. პირველ რიგში გამოქვეყნებული იქნება ის მემუარები და დოკუმენტები, რომელთა არსებობა სულ ახლოხანში გაიგო ქართველმა ხალხმა და რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ზემოდ დასახელებულ პირების შესწავლის საქმეში.

1. პირველ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს **ელისაბედ ყაზბეგის** მემუარები: **მოჩხუბარიძის ბიოგრაფიის მასალა.** ავტორი ამ მემუარების არის და დიმიტრი ყაზბეგისა, ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილი. იგი დაბადებული უნდა იყოს 1842-4 წლებში, გარდაცვლილა 1915 წ., როგორც მემუარებიდან ირკვევა, მთელი თავისი ახალგაზრდობა ხევში გაუტარებია, ხოლო 1872 წ. წასულა პეტერბურგის საბებიო ინსტიტუტში სწავლის მისაღებად. მისი მემუარები დაწყებული უნდა იყოს 1894 წ. ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალების რამოდენიმე თვის შემდეგ (ალ. ყაზბეგი გარდაიცვალა 1893 წ. 10 დეკემბერს) პეტრე უმიკაშვილის წინადადებით. როგორც ფიდო ყაზბეგის წერილიდან ვტყობილობთ, ელ. ყაზბეგს დაუწერია აგრეთვე ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიის მასალა **შენიშვნის** სახით ჟურნალ „კ ვ ა ლ შ ი" დასაბეჭდათ—ეს შენიშვნა ჯერ-ჯეროობით არსად სჩანს.

მემუარები შესდგება ორ ნაწილისაგან. **პირველი ნაწილი** შეიცავს საწერი თაბახის 317 გვერდს და გადმოგვცემს ცნობებს ალ. ყაზბეგისა და დიმიტრი ყაზბეგის ცხოვრების შესახებ, ალ. ყაზბეგის რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებამდე (1870 წ. 17 დეკ.). **მეორე ნაწილი** შეიცავს 158 გვერდს, უმთავრესად ეხება ალ. ყაზბეგის შემდეგი წლების მოღვაწეობას და დიმიტრი ყაზბეგის ნაწერების ალექსანდრეს ხელში გადასვლის ამბებს.

2. ამ მემუართან ერთან ჩვენ ვაქვეყნებთ კერძო მიწერ-მოწერას, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ, როგორც მემუარების წარმოშობის საქმესთან ისე ალექსანდრე და დიმიტრი ყაზბეგის პიროვნების შესწავლის საკითხთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დიმიტრი ყაზბეგი.

ყველა ეს დოკუმენტები 30 წლის წინეთ არის დაწერილი, მაგრამ დღემდე მათს გამოქვეყნებას ხელს უშლიდა „მრავალი გარემოებანი". ერთ-ასეც-მიზეზად ასახელებენ ყაზბეგის ოჯახის წევრების დადგენილებას: არ გამოქვეყნდეს მემუარები იმ მოსაზრებით, რომ იგი ოჯახურს საიდუმლოებას ეხებაო, რასაკვირველია, ასეთი „დადგენილება" ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს, მაგრამ დღეს ჩვენ ამის განხილვაში არ შევდივართ.

ელ. ყაზბეგის მემუარები მრავალ მხრივ მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის როგორც დიმიტრი და ალექსანდრე ყაზბეგის პიროვნების შესასწავლად, ისე იმ ფეოდალურ-პატრიარქალურ ოჯახის დასახასიათებლად, რომელიც დიდ როლს თამაშობდა მე-XIX საუკუნის მოხევეთა ცხოვრებაში და რომლის წიაღიდანაც წარმოიშვენ „ორი შესანიშნავი" პიროვნება დიმიტრი და ალექსანდრე.

უფრო კონკრეტიულად რომ ვსთქვათ, ეს მემუარები ამასთან ერთად ეხება ორს მეტად მნიშვნელოვანს საკითხს: **1. ალექსანდრე ყაზბეგის სახელით ცნობილი ნაწერების ავტორის საკითხსა***) და 2) გვაძლევს მასალას იმ პიროვნების (დამიტრა ყაზბეგის) შესასწავლად, რომელიც ჩვენშიც გარკვეულ საზოგადოებრივ მიმდინარეობის ე. წ. ხალხოსნურ მიმართულების გამომსახველი შეიქნა. ორივე ამ კითხვას უფრო ვრცლად ქვემოდ შევეხებით.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ეს მემუარებში მხოლოდ ბიოგრაფიულს მასალას წარმოადგენს და, როგორც ასეთი მას კრიტიკულად შესწავლა ესაჭიროება.

მემუარები და მიწერ-მოწერები იბეჭდება სრულიად უცვლელად. რედაქცია უთმობს ადგილს თავის ჟურნალის ფურცლებზე აღნიშნულ კითხვების შესახებ წერილებს და გამოკვლევებს.

2. ალ. ყაზბეგის ავტორობის საკითხი და ქართველი საზოგადოება.

როგორც მკითხველმაც იცის, ამ ბოლო ხანებში ქართულს ლიტერატურაში აღიძრა კამათი **ალ. ყაზბეგის ავტოროობის** საკითხის გარშემო. ამ საკითხის შესახებ უკვე გამოიცა საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა **მიხ. ზანდუკელისა,** რომელშიაც ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ალ. ყაზბეგის სახელით ცნობილ ნაწერების ავტორად შეუძლებელია ჩაითვალოს თვით ალექსადრე, რომ მისი ავტორი არის **დიმიტრი ყაზბეგი.** „ქართულმა სიტყვამ" სასტიკად გაილაშქრა ასეთი დებულების წინააღმდეგ და შეეცადა დაეცვა ალ. ყაზბეგის ავტორობა. წერილის ავტორი მოქ. ვ. კოტეტიშვილი საზოგადოებას პირდებოდა, რომ ის ვრცელ გამოკვლევას გამოაქვეყნებს ახლო მომავალში. ამგვარად ყაზბეგის საკითხით დღეს საკმაოდ დაინტერესებული არის საზოგადოება: გამოკვლევა იმ კითხვისა თუ ვის ეკუთვნის ალ. ყაზბეგის სახელით ცნობილი ნაწერები ქართულ მწერლობისათვის ერთ-ერთ საინტერესო კითხვად გადაიქცა.

ალ. ყაზბეგის ავტოროობის საკითხს თავისი ისტორია აქვს. ეს საკითხი თით-

---

*) როგორც ს. შელიქიშვილის ბოგონებიდან სჩანს (იხ. „დროება" № 16—17) ულისაბედ ყაზაგს გაზ. „დროების" თანამშრომელებისათვის ალ. ყაზბეგის მწერლობის პირველ ხანებშივე უცნობებია, რომ მოთხრობები დიმიტრი ყაზბეგს ეკუთვნის.

ქმის ალ. ყაზბეგის სამწერლო ასპარეზზე გამოსელის (1880 [illegible] დანვე) დაისვა და საზოგადოებაში მის შესახებ ეჭვი თავიდანვე ტრ[illegible] შესახებ არსებობს მოგონება ცნობილი მწერლის **სოფრომ მგალობლიშვილისა**. 1914 წ. „თეატრსა და ცხოვრებაში" მოთავსებულ თავის მოგონებაში ალ. ყაზბეგის შესახებ იგი სწერდა: როდესაც ზედი-ზედ მოყვა ალ. ყაზბეგის მარგალიტივით არსებული ნაწერები **ზოგს არა სჯეროდა, თუ ნაწერები სანდროს კალამს ეკუთვნოდა. ექიმი ქაიხოსრო ფურცელაძე, აწ გარდაცვალებული, ცხარედ გვიმტკიცებდა ხოლმე გორის ინტელიგენციას, რომ ყველა ეს ნაწერები ეკუთვნის დიმიტრი ყაზბეგსა. ის მოკვდა*) და იმის ნაწერებით მაგან ისარგებლა**". ალ. ყაზბეგის გარდაცვალების (1893 წ.) შემდეგაც ეჭვი უფრო გაძლიერდა ქართულ საზოგადოებაში (იხ. ქვემოდ პ. უმიკაშვილის წერილი ელ. ყაზბეგისადმი 1894 წ. სექტემბრის 29-ს თარიღით, აგრეთვე გ. ნათაძის წერილი 1897 წ. თარიღით) და ბოლოს მწერლობაშიაც დაისვა—დ. კარიჭაშვილი **ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიაში** სწერდა: „ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ ალ. ყაზბეგი ისეთი ფუქსავატი და გაუნვითარებელი კაცი იყო, რომ იმას არ შეეძლო დაეწერა იმისთანა შესანიშნავი ოხზულებანი, როგორნიც არიან მისი მოთხრობანი, დაბეჭდილნი 1881—1885 წლებშიო. ამასთან ერთად ასახელებენ ხსენებულის მოთხრობების ავტორად ალ. ყაზბეგისავე ბიძაშვილს დიმიტრი ყაზბეგს, რომელიც, ყველა მის მცნობის მოწმობით, ყოფილა მეტად განვითარებული, ჭკვიანი და განათლებული". (იხ. მისი ალ. ყაზბეგის ბიოგრაფია გვ. XXXII—III) იმავე წელში გ. ნათაძემ გამოაქვეყნა ალ. ყაზბეგისავე ბიოგრაფიის მასალები, რომელშიაც ამტკიცებდა ალექსანდრეს მიერ დიმიტრი ყაზბეგის ხელნაწერების მითვისების ფაქტს. „რა ეყო (დიმიტრს) ეს ქალალდები ალექსანდრემ, დღესაც არიან იცის". სწერდა ნათაძე. (იხ. ქვემოდ მოყვანილი ადგილი მისი წერილიდან).

დ. კარიჭაშვილი ზემოდ დასახელებულ ბიოგრაფიაში შეეცადა დაეცვა ალ. ყაზბეგის ავტორობა. იგი სწერდა: „ის გარემოება, რომ ალექსანდრე ყაზბეგი შეიქმნა შემთხვევითი მეტკვიდრე დიმიტრი ყაზბეგის ქალალდებისა, თავის-თავად არას ამტკიცებს, ვიდრე არ იქნება ცნობილი თუ რაგვარი ქალალდები იყო ეს ქალალდები... ჩვენის ფიქრით, დიმ. ყაზბეგის ნაწერებში უნდა ყოფილიყვენ სახალხო ლექსები, ლეგენდები, რწმუნებანი, ჩვეულებანი და ისტორიული გარდმოცემანი. ყველა ეს ალექსანდრეს შეეძლო გაეხადა მასალად თავის მოთხრობებისათვის". (იქვე).

როგორც ავღნიშნეთ ამ ჟამად ალ. ყაზბეგის ავტორობის საკითხი უფრო მწვავედ დაისვა ქართულს ლიტერატურაში და მის გარშემო ცხარე კამათი არის გამართული. ეს ფაქტები ნათლად და გარკვევით ამტკიცებენ, რომ ალ. ყაზბეგს ყავს. როგორც თავისი დამცველები, ისე მოწინააღმდეგენიც ერთი ნიმდინარეობა იცავს ალ. ყაზბეგის ავტორობას, ხოლო მეორე მიმდინარეობა დიმ. ყაზბეგს ასახელებს მათ კანონიერ ავტორად.

ჩვენ ამჟამად არსებითად არ შევდივართ საკითხის გამორკვევაში. ავღნიშ-

*) დიმ. ყაზბეგი გარდაიცვალა 1880 წ. თებერვალში.

ნავთ მხოლოდ, რომ საკითხის იმ მხრივ დაყენება, თუ ვინ არის **ალ. ყაზბეგის სახელით ცნობილ ნაწერების ავტორი** არ არის მოკლებული საზოგადოებრივ ინტერესს და მას უწინარეს ყოვლისა წმინდა ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს. ერთის შეხედვით საზოგადოებისათვის სულ ერთი არ უნდა იყოს, თუ ვინ არის ავტორი რაკი ძვირფასი განძი საზოგადოების ხელში არისო... მაგრამ საკითხის ამ გვარი სახით შეწოყარგვლა შეუძლებელი გახდება, როდესაც შეკვეხებით მეორე საკითხს: ვის შეეძლო დაეწერა ისეთი ნაწარმოები, რომლის შინაარსი და სოციალური მოტივები გარკვევით გამოხატავენ ხალხოსნურ მსოფლმხედველობას და თემობრივ ყოფილების გალმერთებას? შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ალ. ყაზბეგის სახელით ცნობილ ნაწერებს საჩულად უდგეს იმ სოციალ-პოლიტიკური დოქტორინის დაცვა და გალმერთება, რომელიც ცნობილ ნაროდნიკულ მიმართულების სულსა და გულს წარმოადგენდა და საზოგადოებრივი ცხოვრების მკვლევარს ვერასოდეს ვერ დაკმაყოფილდება რომელიმე ნაწარმოების მხოლოდ ავტორის გვარისა და სახელის აღნიშვნით: მისთვის ყოველთვის საინტერესო ხდება ის, თუ საიდან და როგორ შეითვისა ავტორმა ესა თუ ის მსოფლმხედველობა და **რა მიზნებს** ემსახურება მისი ნაწერები. ამ მხრივ საკითხის გამოკვლევას ღრმა **ისტორიულ-საზოგადოებრივი** მნიშვნელობა ენიჭება. ცნობილია, რომ 1870—90 წლებში საზოგადოებრივმა აზროვნებამ ღრმა გავლენა განიცადა რუსეთის ნაროდნიკელებისაგან და სწორედ ამ პერიოდებში ჩაისახა ჩვენში ხალხოსნური მიმართულება, რომელიც შემდეგში ცნობილი გახდა **„ტეტიათა მოტრფიალების"** სახელწოდებით. ალ. ყაზბეგის სახელით ცნობილ ნაწერების განხილვა და მისი ავტორის ვინაობის შესწავლა საშუალებას იძლევა რამოდენადმე მაინც გამორკვეული იქნეს ამ დიდი მიმდინარეობის გავლენა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაზე.

ამ მხრივ, მართლაც ინტერესს არ არის მოკლებული იმის გამოკვლევა, თუ ვის ეკუთვნის ალ. ყაზბეგის სახელით ცნობილი ნაწერები და როგორი მრწამსის მატარებელი იყო მისი ავტორი. ალ. ყაზბეგის მემუარები საკმაო წონის მასალას წარმოადგენენ ამ საკითხის შესწავლისათვის.

ხედბეტი არ იქნება მოკლედ გავითვალისწინოთ ჩვენი სამოციან და სამოცდათიან წლების საზოგადოებრივი აზროვნების ევოლიუცია.

3. ხალხოსნური მიმართულება ჩვენში და დიმიტრი ყაზბეგი.

„თქვენ გეტყობათ, რომ გიყვართ საბრძოლო, თქვენი ენა, ხალხი, მაგრამ არ გეტყობათ, რომ თქვენ ცნობიერად მოფიქრებული გქონდეთ პროგრამა საზოგადოებრივობის მოგმედებისა... **არც ერთ საზოგადო მოძრაობას არ ექნება არავითარი მნიშვნელობა, თუ რომ ხალხი იმაში ასე თუ ისე მონაწილეობას არ იღებს. ხალხი აძლევს მოძრაობას დიდს ძალას და მნიშვნელობას...**

შეკვაწყოთ და შეეუთანხმოთ ჩვენი ნაწერების ხასიათი და მიმართულება ხალხის ინტერესებს და მოთხოვნილებათ, ვისწავლოთ და განვითარდეთ ხალხთან ერთად, **მასთან ერთადვე შევიმუშავოთ საზოგადოებრივი იდეალები, რომელნიც მხოლოდ ხალხის მიერვე მიიღებენ უაღრეს ძალას და შეძლებენ ყოველგვარ ბრძოლის და დევნის ატანას.**

ქართველ საზოგადოების ცნობილმა გ. მაიაშვილმა (ზდანევიჩმა), რომელიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა, 1875—7 წლების რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში და რომელიც ციმბირიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ **ხალხოსნური** მიმდინარეობის განმტკიცებას ცდილობდა ჩვენში, მისი ძიძართვა (იხ. „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ" „ივერია" №/VII 1882 წ.) გამოხატავდა დაცვას იმ სოციალ-პოლიტიკური მსოფლმხედველობის, რომლის საფუძველს **ხალხი და ხალხოსნობა** შეადგენდა. ეს არ იყო მარტო ერთი ადამიანის მისწრაფება და მისი პირადი განცდა. მთელი რიგი ქართველ ახალგაზრდა მოღვაწეთა გატაცებული იყო ასეთივე მისწრაფებით და ის გამოხატავდა მაშინდელ ახალთაობის სულისკვეთებას. დაახლოება ხალხთან, ცხოვრება ხალხის ცხოვრებით, ხალხისაგან სწავლა და მათთან ერთად საზოგადოებრივი იდეალების შემუშავება გადაიქცა მაშინდელი მოწინავე ახალთაობის საერთო გატაცებათ. **„ნამწყესარის მოგონების"** ავტორიც გამოხატავს ამ დიდ მისწრაფებას ხალხისადმი. იგი სწერს: „ნე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემს თავზედ გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაჭირება, რომელიც უკან სდევს მუშა ხალხს"... საკმარისია გადაიკითხოთ ყაზბეგის სხვა ნაწერებიც, რომ დარწმუნდეთ იმაში, თუ რამდენად ღრმად არის გამჯდარი ავტორის შეგნებაში ხალხისადმი სიყვარული და ხალხის იდეოლოგიის გაღმერთება.

ნაროდნიკული მიმართულება ჩვენში ერთ ბელის მოსმით არ გადმონერგულა, იგი თანდათან იკიდებდა ფეხს მესამოცე წლებიდან, როდესაც პირველად დამყარდა რუსეთისა და საქართველოს ინტელიგენციის შორის განუყრელი კავშირი. მესამოცე წლებიდან საუკეთესო ახალი თაობა საქართველოს ინტილიგენციისა განათლებას იღებდა რუსეთში, იქ ითვისებდენ ახალ იდეალებს და მონაწილეობას ღებულობდა რუსეთის რეოლიუციონურ მოძრაობაში. ამ ატმოსფერაში აღზრდილი ქართველ ინტელიგენციას ებადებოდა სურვილები ახალი იდეები გადმოენერგა ქართულს ნიადაგზედ. არჩილ ჯორჯაძე თავის **ქართულ ინტელიგენციის ისტორიის მასალებში**. სწერს:... „მესამოციანობა არის ახალი ენა ჩვენს კულტურაში, მან შემოიტანა ჩვენში მეცხრამეტე საუკუნეში ევროპაში მოარული სოციალ-პოლიტიკური თეორიები და ფორმულები. **პირველ ხანებში იგი „ნაროდნიკულ" ლიტერატურის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა** (იხ. ა. ჯორჯაძის ოხზულებანი. წიგნი მეხუთე გვ. 181). ამ გავლენის კვალი ნათლად მოსჩანს მაშინდელს პრესაშიც. ჩვენი ინტელიგენცია ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ისტორიულ-ფილოსოფიურ კონცეპციების შემუშავებას. მისი გულის ყური უმთავრესად მოქცეული იყო პრაქტიკულ-ეკონომიურ კითხვებისაკენ. „სოფელი გახდა იმ თავითვე განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად... **მიწის მუშა და მის წინაშე მოვალეობის მოხდა** — ეი ის აზროვნების ფარგალი, რომელშიც ტრიალებდა ქართულ ინტელიგენციის აზრი".. (იქვე გვ. 116—17). სოფლის საკითხით დაინტერესება და სოფლის გლეხის ინტერესების პირველ რიგში წამოყენება სრულიად ბუნებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო ჩვენი ინტელიგენციის მხრით. საქართველო ის იყო გამოდიოდა ბატონ-ყმური ურთიერთობის ნაჭე-

ჭიდან და მასთანვე ჩვენში ქალაქი ეკონომიურად განვითარებული იყო. ქალაქის პროლეტარიატზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი ხდებოდა. [illegible] „დროება“ სწერდა: **„ჯერ ჩვენ ხალხს არ გამოუცდია პროლეტარიატი,** — იმედი გვაქვს არც ჩავარდება ამ მდგომარეობაში, თუ ის თავისი კეთილდღეობისათვის ლონისძიების ლონეს მიიღებს („დროება“ № 25, 1868 წ.). ეს უკვე რუსული ნაროდნიკული დოქტრინის გავლენა იყო, რომელიც ამბობდა რომ კოლექტიური მეურნეობის ფორმების საშუალებით შესაძლებელი არის კაპიტალიზმის თავის დაღწევა და პროლეტარიზაციის გზის გვერდის ახვევა. ასეთს შემთხვევაში რუსი ნაროდნიკების გავლენა ჩვენს ინტელიგენციაზე გამოიხატა განსაზღვრულ ხასიათის ეკონომიური პროგრამის მიღებაში. **„ასოციაციები, კოოპერაციები საერთო მიწის მფლობელობა“** ეს ნაწილი რუს დემოკრატების პროგრამისა პირველ ხანებში ხელგაშლით იყო მიღებულ-შეთვისებული... ჩვენი ინტელიგენციის ნაწილის მიერ. საყურადღებო გარემოება ის არის — განაგრძობს ჯორჯაძე, რომ ჩვენებურ მესამოციანებს, რომელთაც ფართო საზოგადოება ლიბერალებად იცნობს, **გაცილებით მეტი სიახლოვე ჰქონდა** (პირველ ხანებში მაინც) **რუს ნაროდნიკულ სისტემასთან,** ვიდრე ჩვენებურ „ტეტიათა მოტრფიალეს“... მიწის მფლობელობის პრობლემა თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც არის წამოყენებული „დროების“ (1866—1876 წ.) ფურცელზე (იქ. 116).

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ნაროდნიკული იდეალების ზეგავლენით უკვე მესამოციან წლებში ჩაისახა ჩვენში განსაზღვრული ჯგუფი, რომლის იდეალს შეადგენდა ხალხი და ხალხოსნობა. რასაკვირველია მათს მწერლობას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოყოლია, მაგრამ ქართულ აზროვნების ისტორიის დასახასიათებლად მაინც მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

შემდეგ პერიოდებში ქართველ ნაროდნიკთა რიცხვი იზრდება. მათი ნაწილი სამოცდაათიან წლების მოძრაობაში მხურვალე მონაწილეობას იღებს და რუსეთის რევოლიუციონერებთან ერთად მოღვაწეობს. ასეთები იყვნენ გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი), გ. ჯაბადარი, გამყრელიძე, ჩიკოიძე, ციციშვილი, ხოლო უფრო მოზრდილმა პირებმა საქართველოში გადმოიტანეს თავიანთი სამოღვაწეო ასპარეზი და აქ ცდილობდენ ხალხთან დაახლოვებასა და რევოლიუციონურს მოღვაწეობას. ესენი იყვენ სხვა და სხვა წოდებიდან გამოსული ინტელიგენტები, რომელთაც ჩვენში **„დიაკვნის შვილებს“** უწოდებდენ, და რომლებიც რუსის რევოლიუციონერების გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ. ამ მიმართულების მიმდევრებმა 1881 წ. თავიანთი ორგანოც დაიარსეს („იმედი“,) რომელშიაც თანაშრომლობას ეწეოდენ მიხ. გურგენიძე, ვინბე ცანცალა, სტ. ჭრელაშვილი, ხიზანაშვილი, ს. მგალობლიშვილი, გრ. ყიფშიძე და სხ. ამავე პერიოდში გაჩნდა „ხალხოსნური“ ლიტერატურა, რომელსაც „ტეტიათა მოტრფიალე“ ლიტერატურა დაერქვა და რომლის წარმომადგენელნი იყვნენ ს. მგალობლიშვილი და ნ. ლომაური.

დიმიტრი ყაზბეგიც ამ პერიოდში აღიზარდა და ისიც იმავე იდეებით იკვებებოდა, რომელიც, მაშინდელ ახალთაობის მოწინავე ნაწილის სანატრელ იდეალებს შეადგენდა. მაგრამ მისი სამოღვაწეო ასპარეზი სწარმოებდა სულ სხვა

ობიექტურ პირობებში, ვინემ სხვა ქართველ ხალხოსნებისა. ხევში ჯერ კიდევ სცოცხლობდა ტრადიციები დიდი თემობრივი წყობილებისა, [illegible] ხალხოსანთა გამოსავალს წერტილს შეადგენდა. მასში კი თემის ნაკვალევებს [illegible] ხალხოსანდა. დიმიტრიმ პირსათლად შეასრულა ხალხოსანთა დიდი ლოზუნგი ხალხთან დაახლოვების და **„ხალხის ცხოვრებით ცხოვრებისა„** და საზღვარ გარეთ (გერმანიაში) სწავლა დამთავრებული (1865 წ.) იგი ნთელ თავის მოღვაწეობას ატარებს სოფელში. ხალხოსნური იდეალები და მათი სისტემა დიმიტრიმ იმავე გზით შეითვისა, რა გზითაც ითვისებდა მას ჩვენი მაშინდელი ახალი თაობა რუსეთში სწავლა-განათლების მიღებითა და სტუდენტის მოძრაობაში ჩაბმით რუსეთის მესამოცე წლების მოღვაწეთა იდეების შეთვისებით.

ამ პიროვნების ცხოვრება და მისი მოღვაწეობა ჯერ-ჯეროობით არ არის შესწავლილი სავსებით; მის შესახებ ვერ გვაძლევს საკმაოდ ცნობებს ვერც ელისაბედ ყაზბეგი თავის მეხსიერებში. გადმოცემებსა და შეკრებილი ცნობებით ხალხის თვალში მას დიდი სახელი ჰქონია მოხვეჭილი. გ. ნათაძე თავის კერძო წერილში ელისაბედ ყაზბეგისადმი სწერს. **„დიმიტრის სახელი ხალხის თვალში შარავანდედით არის შემკული; მისი სიტყვები ანდაზებად არის გადაქცეული“.** დიმიტრი მი'ხნად ისახავს ხალხში თვით შემეცნებისა და განვითარების შეტანას. ე. ყაზბეგი სწერს, რომ საზღვარ-გარეთიდან დაბრუნების შემდეგ დიმიტრიმ შესცვალა ჩვენი შინაურული ცხოვრება: ჩვენ, დებს სხვა და სხვა წიგნებს გვაძლევდა საკითხავად, წაკითხულს გვიხსნიდა, შინაარსს გვირკვევდა: დობროლიუბოვის, ბელინსკისა და კიდევ მრავალი სხვა რუსეთის გამოჩენილი მწერლების საუკეთესო პირველად იმისაგან გავიგონე... დიმიტრის ძალიან მოაწონდა მანდილოსანის ცოდნა-განათლება და როგორც ეხლა მაგონდება, ძალიან სცდილობდა ჩვენც იმის დებს **შეგვეგნო—შეგვეთვისებინა მესამოცე წლების იდეები“.** მაგრამ ვიწრო ოჯახური წრე ვერ დააკმაყოფილებდა ხალხის ინტერესებით გატაცებულს პიროვნებას და მასაც თვისი პროგრამა გაეფართოებია ნთელს სოფელ'ზე. გიორგი ნათაძე 1904 წ. გამოქვეყნებულ წერილში შემდეგნაირად ახასიათებს დიმიტრი ყაზბეგს: „დიმიტრის ფიქრი და მისწრაფება მუდამ სახალხო იყო; სოფელი, სოფლის ხალხში ყოფნა, მათი ჭირსა და ლბინში მონაწილეობის მიღება და მათი ცხოვრების შემსუბუქება ენატრებოდა, ერის ცხოვრების უმთავრეს დედაბურჯად დიმიტრის სოფელი მიაჩნდა; დაბინავდა სოფელში და დაიწყო ხალხია ცხოვრებაში ნოყვანა და მათი ქონებრივი გაუმჯობესება: **შეადგინა პატარა წრე გლეხებისაგან და უნდოდა მათი დახმარებით გაეტარებია ხალხში თავისი აზრები.** პირველად ხალხის მავნე ჩვეულებათა და ცრუმორწმუნეობათა მოსპობას შეუდგა, მერე კი მას ზედ მიაბა განათლება — სკოლა (გ. ნათაძე: ე. ყაზბეგი— „მოამბე“ № X, 1904 წ.) ასე ახასიათებს დიმიტრი ყაზბეგს მოქ. გ. ნათაძე, რომელიც ხევში მოღვაწეობდა თითქმის 30 წელიწადი და ცნობები შეკრებილი ჰქონია დიმიტრის ნაცნობ-მეგობრებისაგან. აქ დიმიტრი უკვე მოსჩანს როგორც გარკვეული ნაროდნიკი, ხალხოსანი, რომელიც **ხალხში დაიარება და ხალხში ცხოვრობს.**

დიმიტრი აღიზარდა ძველს ფეოდალურს, პატრიოტულს ოჯახში. (ამ ოჯა-

ხის დამახასიათებელ ცნობებს უხვად გვაძლევს ე. ყაზბეგი (თავის მემუარებში) მაგრამ მალალი წრიდან გამოსულმა დაგმო თავისი წოდება, „თავისი შეფსული და ხალხს ამოუდგა გვერდში, მისი ხელმძღვანელი და მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე გახდა. ამისათვის ის სასტიკად დაისაჯა თავისი ნათესავებისაგან და საუდამოდ გარიყული დარჩა მათგან.

როგორც შტრიხი მისი პირადი დახასიათებისათვის, საყურადღებოა ის მომენტი, რომ დიმიტრიმ, წარჩინებულ წოდების შვილმა, საზღვარგარეთ და რუსეთში სწავლა დამთავრებულმა, თავისი ცხოვრების თანამეცხლედ გაიხადა გაუნათლებელი ოსის ქალი, რომელიც მათ ოჯახში აღიზარდა და ალბად „საპატიო“ ყმას წარმოადგენდა. მან არ მიაქცია არავითარი ყურადღება მშობლების და ოჯახის წევრების პროტესტს და, როგორც ე. ყაზბეგი აღნიშნავს, გაუნათლებელი ქალი **„თავის თავამდე აღამაღლა“**.

დიმიტრი ყაზბეგს ზეტის მეტად დადებითად ახასიათებს **მესამოციანი** წლების საზოგადო მოღვაწე **პეტრე უმიკაშვილი**, როგორც ბუმბერაზი ნიჭის, დიდი გონებისა და ჭკვის მქონე პიროვნებას. (ის. ქვემოდ მისი წერილი ყაზბეგისადმი).

როგორც აღვნიშნეთ, დიმიტრი ყაზბეგის პიროვნება და მისი მოღვაწეობა ჯერ კიდევ შესწავლილი არ არის სავსებით. რაც ცნობები კი მოიპოვება ისინი ყველანი დიმიტრის სასარგებლოდ ღაღადებენ*) და ახასიათებენ მას როგორც ხალხისნერ მიმართულების მიმდევარ პიროვნებას, როგორც „ხალხში მოსიარულე“ ინტელიგენტს; ასეთი ტიპი ჩვენში იშვიათ მოვლენას წარმოადგენს.

ამ პიროვნების გაცნობა ფარდას ახდის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთს მეტად ნნიშვნელოვანს პერიოდს, როდესაც პირველად შემოიჭრა ჩვენში ნაროდნიკული მიმართულება, რომელმაც ამა თუ იმ სახით საკმაო გავლენა მოახდინა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნების ვითარებაზე.

დასასრულ ჩვენ მოვიყვანთ დიმიტრი ყაზბეგის ქვრივის, ზემოდ დასახელებული ოსის ქალის — **ანასტასია (ტასო) ჩაზბეგის** ცნობებიდან რამდენიმე დამახასიათებელ ადგილს. ანასტასია ყაზბეგისა ამჟამად კავკავში ცხოვრობს, ღრმად მოხუცებული. იგი შემდეგ ცნობებს იძლევა თავისი მეუღლის შესახებ: „მას შემდეგ რაც დიმიტრის მამა გარდაეცვალა**), ჩვენ დავბინავდით და ოჯახის პატრონი შეიქმნა. მე ვხედავდი რომ დიმიტრი ყოველთვის სწერდა. სწერდა თუ არა მანამდი მე არ ვიცი. სწერდა ძალიან ბევრს — დღეც და ღამეც. სულ მუდამ მარტო იყო, არავის არ ენდობოდა და არ უამბობდა. ნაწერებს შკაფში ინახავდა, რომელიც ნომრიანი გასაღები კლიტით ჰქონდა დაკეტილი, რომ ვერავის გაელო. ჩემთვის არაფერი არ წაუკითხავს. მიამბობდა მხოლოდ მოხეველების ამბებს, რაც უკვირდა და მეტყოდა ხოლმე ესენი უნდა დავწეროთ. დაწვრილებით არ უამბნია. სწერდა იმახეც, რომ ქალებზედ ძალას ხმარობდნენ და ძალათ ითხოვებდნენ. ხანდისხან მეც მეკითხებოდა ხოლმე ზოგიერთ ქალებზედ,

*) ცნობებისათვის იხ. მ. ზანდუკელის წიგნი: „ალ. ყაზბეგის ორიგინალი და დიმიტრი ყაზბეგი“.

**) ელ. ყაზბეგის ნემუარების ცნობით დიმიტრის მამა გარდაიცვალა 1868 წ.



მაგალითად ციკოზე, ციციაზე, როგორი ქალები არიანო, მაგრამ [illegible] ფერი არ ვიცოდი.

„დიმიტრი ძალიან კარგათ იყო ხალხთან. ყოველთვის არიგებდა, ასწავლიდა. მიცვალებულისთვის ტაბლას ნუ მართავთო. საწყალი სოფლები გვაქვს, სადაც არც სკოლაა, არც აფთიაქი და არც ექიმი. მიცვალებულისათვის ვისაც რა შეგიხლიანთ გაეცით, მაგრამ დანდობილ კაცს მიაბარეთ და როცა თანხა შეგროვდება ან სკოლა გახსენით ან აფთიაქიო. სოფლებს ყაზბეგიანთ სახლში ყალაანი მიჰქონდათ, მაგალ. გეგრეტიდან თითო კომლს თორმეტი გუდულა ფიჩხი უნდა მოეტანათ, უხათიდან სააღდგომოდ თუ ბატკანი არა ფული მოჰქონდათ: დიმიტრიმ მამის სიკვდილის შემდეგ ხალხს თავი მოუყარა და უთხრა: „მამა ჩემი გარდაიცვალა და ჩემს სახლში ყალანი აღარ მოიტანოთ, დაივიწყეთო. ჩემს სახლში არაფერი მოიტანოთ, თორემ დაგლანძღავთ და ჯავრით აგავსებთო“. ეკალში რომელიც ჩვენ და სანდროანთ (ალ. ყაზბეგს) გვეკუთნოდა, ხალხს ნება მისცა შესულიყვნენ და ფიჩხი რამდენიც უნდოდა წაეღოთ.*) ჩვენებმა რათ გაინაწილეს მიწაო – იტყოდა ხოლმე...**) მიტკას (დიმიტრის) სიკვდილის შემდეგ ხალხი ძალიან დაღონდა. ყაზბეგიანთ გვარში, მიტკას გარდა ხალხი არაფის სიკვდილით არ დაღონებულა.

მიტკას სიკვდილის შემდეგ გიორგიმ მითხრა: „შენმა ქმარმა შენც დაგლუპა და ჩვენცა-“ო. საფლავების ღობე გიორგიმ ხელახლათ ააშლევინა. მერე გამომძიებლები ჩამოიყვანა და ყალანი განაახლა.***)

„დიმიტრი ოჯახზედ სრულიად არ ფიქრობდა. ოჯახზედ რომ ეფიქრა ხომ ასე უბედურადათაც არ დაგვტოვებდა. მე რომ ვჯავრობდი მეტყოდა ხოლმე – ჩემს შვილზედ მაინც იტყვიან მიტკას შვილები არიანო, ხალხისათვის იყოო. ჯამაგირზედ მეტყოდა ხოლმე: ეგ განა ხელმწიფის ფულიაო, ეგ ხალხის სისხლი და ხალხის ოფლიაო. ხალხს ტყავს აძრობენ და მე როგორ ვჭამოო.

„...სტუდენტებისაგან ძალიან ბევრ ქალალდებს იღებდა. შალავდა და ამა-

*) „ეკლიანის“ შესახებ ცნობას ალ. ყაზბეგის დედის წერილშიაც ვპოულობთ: 1879 წ. 14 ნოემბრის წერილში იგი ატყობინებს ალექსანდრეს: „ეკლიანიდან კაპეიკი არ შემოსულა. რა ექნა, მიტკა (დიმიტრი) ყერეს არას უგდებს, არც კაცს გზავნის, როცა ბიფხულია, და ი კ ა რ გ ე ბ ა ყ ო ვ ე ლ ი შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი შ ა ბ ა ფ ლ ი ს ა, ა ა კ ლ ე ბ ი ნ ა ქ ვ ე ყ ა ნ ა ს ა“.

**) ცნობილია, რომ დიმ. ყაზბეგის წინაპრებმა და ნათესავებმა სრულიად არა კანონიერის გზით დიდძალი მამული წაართვეს მოხევე-ჯლეხებს, რასაც ვერას გზით ვერ შეურიგდებოდა დიმიტრის მსოფლმხედველობა. მოხევე ა. კობაიძე თავის მოგონებაში ალ. ყაზბეგის შესახებ მოგვითხრობდა: „მაგისი (ალ. ყაზბეგის) ბიძაშვილი მიტკაი (დიმიტრი), უფრო ხალხისათვის კარგი სჩანს, ის უფრო თავდადებულია, იმას უფრო ჩვენი ხალხი ეყვარს და ებრალება; ეი რაც გარბინელება, სნოველებს და სტეფანელებს ბისი მამა-ბიძამ, მიხეილმა და ნიკოლოზმა მამული წართვეს, იმ მამულში მიტკაი არც საქონლის მოძოვებას და ეკლის მოჭრას და ბართის მოკრეფას უშლიდა თურმე (იხ. ქართული სიტყვა № 4. 1923 წ.)

***) ცნობაში მოხსენებული გ ი ო რ გ ი არის გიორგი ყაზბეგი, დიმიტრის ძმა, ცნობილი გენერალი და ყოფილ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების თავმჯდომარე. გარდაიცვალა ემიგრანტობის დროს კონსტანტინოპოლში 1923 წ. ეს პატარა ცნობა საეკლესიოდ აფასებს ამ ორ ძმას: ერთს (გიორგია), როგორც ძველი ტრადიციების დამცველს და ფეოდალს მეორეს (დიმიტრის) როგორც ხალხის მოამაგეს.

ზედ ჩვენ არაფერს გვეუბნებოდა. ფულს ბევრს უგზავნიდა. [illegible] ვარ-დებოდა ხელში მეტყოდა ხოლმე—აბა ჩქარა თუ ფქვილი [illegible] რა-მე ჩქარა გაგზავნე, თორემ ხვალ აღარ მექნება. ფულს ქალალდებში ჩასდებდა და სადღაც აგზავნიდა".

ეს გულუბრყვილო ცნობები მრავალის მხრით საინტერესო და დამახასია-თებელია. აქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ 1) დიმიტრი ბევრს სწერდა მოხევე-თა ცხოვრებიდან და 2) მთელს თავის ენერგიას ხალხისათვის მზრუნველობას ანდომებდა.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით **პ. უმიკაშვილის** წინადადებას: ასეთი პირო-ვნების შესწავლა და გამოკვლევა სასურველიც არის და სასარგებლოც.

მოსული.

კერძო მიწერ-მოწერები

ნ-ს აპრილს 1849წ.
ქ. ახალციხე.

1. ელისაბედ ყაზბეგის წერილი ფიდო ყაზბეგისადმი *)

ძმაო ფიდო!

საშინელი მტანჯველი და დამჩაგრავი გრძნობაა, როდესაც ადამიანი ტან-ჯვით ღელავს, გულში მთელს ჯოჯოხეთს ატარებს და გამოთქმა კი არ შეუ-ძლიან! ის ტანჯვა და ჯოჯოხეთი, რომელსაც ამ უკანასკნელს დროს მე გულში ვატარებ, რომ შემეძლოს გარდმოცემა, მაშინ შენც ჩემთან დაიქვითინებდი და ჩემს მოთქმით ტირილს ხარს მისცემდი. მე ლაპარაკშიც არა ვარ ენაწყლიანი და კალამი ხომ ძალიან სუსტი და გამოუცდელი მაქვს, მაგრამ ის ფიქრები, რომელნიც მე მინდა გაგიზიარო, ისეთის გულის სილრმიდგან ამოხეთქავს, რომ იმედი მაქვს ჭეშმარიტების ძალა თავისთავად იმოქმედებს შენზედ და შეგა-ტყობინებს იმას, რაც მე მინდა განგიზიარო. რაც განსვენებული ალექსანდრე დავმარავეთ (სიკვდილით დიდიხან მოკვდა), მას აქეთ სანდროს და დიმიტრის აჩრდილი ყოველს წუთს, რასაკვ უნდა ვაკეთებდე: ვკერავდე, დავდიოდე, ვკით-ხულობდე და ანუ კიდეც მეძინოს — ეს ორ აჩრდილი თან დამდევს, ამათთან ვლაპარაკობ, ამათი ცხოვრება, სიტყვები — ყველა ეს თვალწინ და ყურში მიდ-გას. ნახევარი საუკუნე ადამიანის სიცოცხლისათვის ცოტა არ არის, წარმო-იდგინე, რომ ამ ხანში ამ ორი ადამიანის ცხოვრების მოწამე, ამათი ჭირში და ლხინში მოზიარე რამდენს რასმეს ვნახავდი და გავიგონებდი!... ეს ყველა ნახული და გაგონილი ეხლა განხორციელდა ჩვენში. სული ჩაიდგა, ენა ამოიდ-გა, ისე გამიტაცა და მთელი ჩემი არსება ისე გაიყლინთა, იმნაირად გამიჯდა

*) ფიდო ყაზბეგი იყო ძმა დიმიტრის და ელისაბედ ყაზბეგისა, ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილი. რედ.

ძვალში და რბილში, რომ ყოველივე საჭაო დამავიწყდა. [illegible] ბელი ამალებინა და მხოლოდ იმათ წარსულზე ვფიქრობ[illegible] დღეები მითენდება და მილამდება: ვფიქრობ თუ როგორ დაიწყეს და როგორ გაათავეს თავიანთი სიცოცხლე ამ ორმა შესანიშნავმა მამაკაცმა?!... მე ჭეშმარიტი ამბავი მინდა გიამბო და ამისათვის ვისწრაფი ბოლოდან დავიწყო, ე. ი. მინდა გითხრა ის, რაც მოხდა და როგორ მოხდა — იმასთან შემდეგ მივახწევთ. ჩემი ლაბარაკის საგანი ისეთი მძიმე და ძნელია, რომ სიტყვა ყელში მეხირება, გრძნობა და აზრები ვერ მომიკრეფია, ვერ დამიმორჩილებია, რომ გულ დამშვიდებით გითხრა, გიამბო იმ მძიმე ტვირთის ანბავი, რომელიც სამარის კარებამდენ — ბედმა მარგუნა — უნდა მივიტანო. ნუთუ საიქიოს, ქრისტეს წინაშე უნდა წარსდგნენ ორნი ბიძაშვილები და აღიარონ თავიანთი საჭაოს შრომა მოქმედება და გაიყონ, გაინაწილონ ის განძი, რომელიც საჭაოს მხოლოდ ერთმა ჩაბლუჯა. დაისაკუთრა?!... მე, როგორც იმათი და, ვევედრები ღმერთს, რომ შეუნდოს იმას, ვინც იმათ შორის დამნაშავე გამოდგება; ამასთანავე ვევედრები ჩვენს საყვარელს სამშობლოს, დაჩაგრულს და შეგინებულს, ლიტერატურით ღარიბს, მაგრამ მაღალს და მდიდარს წარსულით და ვიმედოვნებ მომავლითაც ვეაჯი შემინდოს ის უმეცრება, რომელიც მე გამოვიჩინე იმ დროს, როდესაც ერთის შრომა, წმინდა, ფაქიზი, საკვე სიყვარულით თავისი ქვეყნისა და მოძმეთა — გადადიოდა ბინძურის და ბოროტის ხელში!... ვსტირი სისხლის ცრემლით, რომ ამისთანა უცნაურის ანბის დამსწრე და მოწმე გამოვდივარ... როგორ არ ვიტირო, რომ დიმიტრიას შრომა და წმინდა აზრები **გაფლანგა** სანდრომ: იმიტომ რომ იმან ვერ შესძლო ყველა ის შეეთვისებინა, გაეგო ერთის წაკითხვით, რაც დიმიტრიმ მრავალი წელიწადი ისწავლა, ივრძნო, და შემდეგ დამწიფებულის აზრით ააყვავა მრავალი სტრიქონი. დიმიტრი, როგორც ძუნწი მდიდარი ისე მოიქცა: თურმე ხელნაწერები ჩაკეტილ-ჩალაგებული ჰქონდა და ელოდა დროს და შემთხვევას ეს განძი ეძღვნა თავისი საყვარელი სამშობლოსათვის. ვაიმე და ვაგლახ მე დიმიტრიჯან!... რა მომაფიქრებდა, რომ შენ უდროოთ ნაზე დაგიბნელდებოდა და შენი ჭირისუფალი სანდრო იქნებოდა... შენ, ჩემო დიმიტრი, უპატრონოთ სული დალიე, წყალის მოქმედენიც არავინა გყავდა...*

2. ფიდო ყაზბეგის წერილები ელისაბედ ყაზბეგისადმი

7 февраля

Дорогая Лиза!

Твое письмо я прочитал с громадним интересом. Я в том нашел подтверждение моих предположений. Если бы обокрали покойного автора и не трогали бы оригиналов, то это полбеды. Но я боюсь, что оригиналы во многих местах переделаны и испорчены. А это уже грех и перед автором и и перед страною, за твое интересное письмо посылаю тебе билеты (старый теперь не годится), а если хочешь получить и в перед, то понатужься еще,

*) წერილი დაუბეჭდავია ხელს არ აწერს.

— быть может припомнишь какие-нибудь новые детали. Всякая мелочь в данном случае важна. Я собираю материал для биографии Александра. Ты лучше, чем кто другой, знаешь ту обстановку, в которой он родился и рос первые годы. Ты окажешь громаднаго услугу Грузии, а в частности мне, если напишешь свои воспоминания, по грузински или по руски все равно. Задача очень простая: напиши мне в форме письма время, с котораго ты помнишь Александра, о лицах, имевших соприкосновение с ним, о гувернерах и гувернантках, о проказах его, факты, какие только придут тебе на память, из его жизни. Словом всякая мелочь, сообщенная тобою мною будеут приняты с благодарностью. Присяд, младшая сестра, на досуге и настрочи сегодня несколько строчек, завтра и т. д.

Нико, слава Богу, уже назначен. Рад и счастлив. Понемногу ми все здоровы, хотя то дети, то взрослые изредка недомогаем.

Целую тебя и Гавриила. Прочим мой салам. Не был-ли за последнее время в Тифлисе Мизандари? Я кому то кланялся на улице, принял за него. Неужели ошибся?

Твой Пидо.

1 марта 1894 г.

Дорогая Лиза!

Поздно тебе отвечаю, но от меня ведь, сама знаешь, как туго нисходят писма. Но твая заметка чрезвычайно интересна и я не могу молчать. Об одном я сожалею, что, как мне кажется, в этом виде, в каком ты прислала заметку неудобно напечатать и я ее удержал до обмена с тобой мнениями.

Прежде всего меня брало сомнение с исторической стороны: верно ли первым руским генералом из грузин был наш дед? Верно ли, что присяга на верность Росии состоялась (по крайни мере унас в горах, как следует из твоей заметки) в царствовании Ираклия, т. е. в 1780-ых годах, а не позже при царя Георгие. Я нарочно прочитал историю Грузии царевича Давида, и из нея надо пологать, что к присяге Тифлис приведен много позднее Ираклия. Это не мешало, конечно, по инциативе Ираклиа, горцам ранее присягнуть чем другим грузинам, равно как не противоречит истории и возможность преследованиа Александром деда, так как царевич Александр, Георгий (последний царь), син его Давид (последний наследник грузинскаго престола) и Ираклий жили в одно и тоже время, могли в политических убеждениях не сходиться и последствием сего Александр мой преследовать деда. Но статья для печати должна опираться или на документах или на преданях, а потому, не имея документальных доказательств, необходимо оговориться тебе и сказать, что излогаемое тобого основано на устном предании среди горцев-грузин.

На второе, на что я хочу обратить твое внимание, это на прямое

обвинение А. в том, что он завладел всеми бумагами, как деловыми, так и Д (როდესაც დ-ი მიიცვალა, ინის ქალალდებიც ა-ს დარჩა). Разговор о этом говорить, можно только весьма отдаленно намекнуть.

Наконец третье—это недоразумение между Лермонтовым и тобою. Мне кажется легенда о раскаявшемся разбойнике относится не нашей фамилной Церкви, а სამება. Поэтому следует оговорить и это.

Вот те замечания, которые я считал необходимим сделать к твоему в вышей степени интересному сообщению. Или ты сама поправь, или разреши мне переделать. Впрочем, ты хозяйка своего труда и, если не согласна с моим мнением, то отдам в „Квали" без всяких его изминений. Буду ждать ответь. Вероятно, ты уже знаешь о смерти Нико, так что распространяться не буду. Они здоровы, только у новорожденного корь.

Получил я писмо от Георгия, но стол небрежнее, что кроме досады ничего во мне не вызвало оно: Письмо было неписано на машине, все запутано ничего не поймешь, одно лишь раздражение. Мы здоровы. Гавриилу привет.

Твой Пидо.

პ. პეტრე უმიკაშვილის წერილები ელისაბედ ყაზბეგისადმი*)

ზესტაფონი, 29 აპრილი 1894 წ.

დ ა ო ლ ი ზ ა!

აი დიდება შენდა ღმერთო! მართლა საიდან გაცოცხლდი? რო იწერები ასე იტყვიო, მართლა რომ ეგ ვიფიქრე. რამდენი წლის ამბავს აუღებინებია კალამი ამ გოლუგებში (ახალციხელებს ასე ვეძახით ტფილისში) გასუქებულ ბებიასა მეთქი. ამ გამოცოცხლებაზე აღდგომას მიულოცამ და სწორედაც უნდა გიპასუხო შენს გაცოცხლებაზე: ჭეშმარიტად! ნეტავ რაც მოგაგონა შენი წერილი, რამ გამოგაფხიზლა. სანამ რედაქტორი ვიყავი, ერთხელ არც კი მოიკითხე ან სად დაბეჭდე როგორ დავბეჭდე შენი წერილი მოხევების დეკანოზებზე. ხომ გახსოვს ეს საგანი იყო კარგა ლაზათიანად დაწერილი და ცოტა ბოლო კი ცენზორმა მოკვნიტა; ის ადგილი რომელიც შეეხებოდა ბლაღოჩინების ცარცვა-გლეჯას და პარვას ხალხისაგან მრავალ საუკუნოების შანახულ ვერცხლეულობის ხატებისას. დაიბეჭდა და არც კი წაგიკითხავს; ეხლა მესმის. სტეფანწმინდას მოდიოდა ჩემი გაზეთი, რომელშიაც შენი წერილი დავბეჭდე და მეგონა წაკითხულიცა გაქვს.

*) პეტრე უმიკაშვილი (1838 — 1904 წ) მესამოცე წლების საზოგადო მოღვაწეთა წრეს ეკუთვნოდა. თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძის „საკართველოს მოამბეში" (1863 წ.) და მასთანვე კორექტორად ასრულებდა იმავე ჟურნალში. შემეცვ იგი თანამშრომლობდა ჟურ. „დროებაში" (1866 — 1876 წ.) ხელმძღვანელობდა ჟურ. „კრებულსა" (1871 — 1873 წ.) და „სასოფლო გაზეთს". მის მიერ შეკრეფილია და გამოცემული მრავალი სახალხო ლექსები და თქმულებები. გარდა ლიტერატურული მოღვაწეობისა მონაწილეობას იღებდა სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებაში და ეწეოდა პედაგოგიურ შრომას. რედ.

სახელიც კი არა გვოდნია რა გაზეთში დაიბეჭდა. სირცხვილი არ არის, რუსულად რომ გითხრა это обидно. ახლა რამ მოგაძებნინა. იქნება ეს ერთ-ერთ ბელეტრისტ-ებ წერას და გინდა კალამს მოჰკიდო ხელი, რა კარგი იქნება. აი ჩვენმა სანდრომ რა სახელი დაიგდო, ხომ წაიკითხავდი იმის ნაწერებსა და იმის დასაფლავების ამბავსა. როგორ უყურებდნენ ახლოს მყოფები და რა სიყვარული დაიმსახურა ქართველ ეხლანდელ მკითხველებში. ის ჭკვიანი კაცი, ბუმბერაზი ნიჭი, დიმიტრი, ისე ქვეყნისგან უცნობი გაქრა იმ ძლიერის ნიჭის და სულის პატრონი და სუსტი ფერმკრთალი ნიჭის პატრონი დედ-მამის განებივრებული სანდრო კი ქვეყნისგან თაყვანცემული შეიქმნა, რა კი საქვეყნო ასპარეზზე გამოვიდა და შრომა დაიწყო. აი რაები გამახსენა შენმა წერილმა. ვიფიქრე, იქნება ლიზა აპირებდეს წერასა მეთქი და მომაგონდა რომ ერთხელ უწერია და უნდა იმისი წაკითხვა, უნდა შეიტყოს თავისი ძველი ძალ-ღონე, უნდა კატო გაბაევსავით სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა, რა კარგი იქნება, რა კარგი მაგალითი იქნება, რომ ქალებმაც დაიწყონ ჩვენში წერა, უნდა კი გითხრათ, მე რომ შენს წერილს ვბეჭდავდი ეს იმედი მქონდა, მერე ხანმა გაიარა, წახვედი პეტერბურგს, ბებიობა შეისწავლე და დაბრუნდი, თითო წამით შევხვდებოდით ერთმანეთს და ახალციხეში დაბინავდი აქამდის, მგონია ალარაფრისთვის ალარ მოგიცლია. არც არას კითხულობდი და არც არას სწერდი. ახლა რალაც გუნებაზე დამდგარხარ და მკითხავ სად დაიბეჭდა ჩემი წერილიო. ჩემ გაზეთში „სასოფლო გაზეთ"-ში იყო, როგორც მახსოვს 1874 წელს და ნომერი არ მახსოვს, ქალაქში მივწერ და შემატყობინებენ. მე აქ ზესტაფონში (квирили) ვცხოვრობ დროებით, ჩემი ბარგი ქალაქშია და ვერ გეტყვით, რომელ ნომერშია. სანამდისინ ტფილისიდან ამბავი მომივიდოდეს შენ აი რა უნდა დაგავალო: ერთი წერილი მომწერე და ზედ ერთი ქალათა აწყობილი ვაშლი დაუმატე და გამომიგზავნე ამ ადრესით В хвирлы, ст. З.Ж. Дороги Петру Умикову, შემატყობინე შენი ამბავი და ისიც მაცნობე წერის გუნებაზე ხომ არ ხარ. წერილს წავიკითხავ და ვაშლსაც შევექცევი. აქ ხილი არაფერი იშოვება, დანარჩენს შემდეგ მოგწერ.

ისევ ის პეტრე უმიკაშვილი.

ზესტაფონი 25 ივნისს 1894 წ.

დაო ლიზა!

შენი ორივე წერილი მაისის, 4 და ივნისის 18 რიცხვში მოწერილი მივიღე ჩემი წერილის პასუხად. შენ საყვედურზე მე თვითონ ვესაყვედურები ჩემ თავს, რომ აქამდის პასუხი ვერ მოგწერე რასაც მეკითხებოდი. შენი წერილი ხევის დეკანოზებზე დაბეჭდილი იყო 1874 ან 1875 წელს ჩემ „სასოფლო გაზეთში" და ცოტა რამ ცენზორმა წაშალა, რაც ბლაღოჩინებისაგან ვერცხლეულობის ცარცვაზე ეწერა.

დიმიტრის ნაწერი დაბეჭდილი იყო „კრებულში" ჟურნალში 1872 ანუ 1873 წელს. სახელი არ დაერქვა დიმიტრისა და მე მოვნათლე. დავარქვი „მაე-

ნე სულები" შემდეგ დიმიტრიმ მომიწონა. კარგა შესაფერი სახელი მიგიგია, „კრებულის" შემდეგ „სასოფლო გაზეთშიაც" გადავბეჭდე; ქვეშ დიმიტრის სახელი და გვარი არ აწერია, რადგანაც სიტყვა არა მქონდა ფიდოსაგან, შენის ძმისაგან, რომელმაც გადმომცა დიმიტრის ხელნაწერი და მითხრა, როგორც გინდოდეს, ისე მოიხმარეო; დიმიტრის იმ გვარად გადაეცა. სცენას თავში რუსული პატარა შენიშვნა ჰქონდა, ეს მე გამოვაკელი რადგანაც წინასიტყვაობასა ჰგავდა და პატარა სცენას არ უხდებოდა. დიმიტრის ის ხელნაწერი და შენი წერილიც დეკანოზებზე შენახული მაქვს ქალალდებში ტფილისში. დიმიტრის ნაწერი ნამდვილად შენახული მაქვს და შენი კი ბეჯითად არ შემიძლიან ვსთქვა, უნდა კი იყოს, რადგან ბევრჯელ კი შემოვედრია ჩემ ქალალდებში.

აი ესაც შენი თხოვნის პასუხი. ვერ მოგწერ ჟურნალის ან გაზეთის ნომერს ვერ დაგისახელებ, რადგანაც ხელში არა მაქვს. ქალაქში ვეპირებდი ჩასვლას და მოკითხვას, მაგრამ დამიგვიანდა. ჩემი პასუხის მოუწერლობის მიზეზი ესეც იყო. ყველა ჟურნალების და გაზეთების ნახვა შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში, არნხრუნისეულ გალერიაში. შინ კი არ გათხოვებენ, იქვე უნდა გასინჯო, როდესაც ტფილისში ჩახვალ შეიარე და გაჩვენებენ,

შენა მწერ ფულების შოვნაზე, გასუქებას დამცინიო და შენ გადაგხდება თავსაო. ეგ ღმერთმა იცის რას ვიშოვნი და რა დამრჩება ჯიბეში. შენ არ შეგიტყვია, რომ მე თუ აქ ბარგანეცის საქმეზე შემოველ, მე თითონ კი არა ვარ იმისი მწარმოებელი, მე ჯამაგირით ვარ ნიკოლოზ ღოღობერიძესთან (ჩემ ძველ და კარგ მეგობართან).

იწერები მე და შენ იმ ჯურის კაცებს არ ვეკუთვნით, რომელნიც ფულს აღმერთებენო და ჩვენ ბებრები ვჯობივართ ბევრ შეხედულებაში ახალგაზრდებსაო. ესეც ღმერთმა იცის, ახალგაზრდები მოხნიერებულებს ბევრჯელ არ მოსწონთ, მაგრამ გეტყვი ახალგაზრდებშიაც, როგორც წინა თაობაში კუჭის მოსამსახურენი ბევრნი ყოფილან და არიან, მაგრამ ახალგაზდებში, რომ კარგის კარგებიც არიან, ამაზე დარწმუნებული იყავი. ცხოვრების ათასგვარი ზრუნვა და გაჭირვებასაც ხედავენ, მაგრამ პატიოსნები ზნეობით სუფთანი, საქციელით კეთილშობილნი და ცოდნით შეიარაღებულნიც იპოვებიან ჩვენს ამ ღირსების მხრით ღარიბი და მოკლებულს ქართველ საზოგადოებაში. ცოტანი არიან ამისთანები, მაგრამ შედარებით წინა დროებთანა უფრო მეტნი არიან და თანდათან გამრავლდებიან. ქვეყანა წინ მიდის და არა უკან

შენთან ერთი საოხოვნელი მაქვს, მოცლილი დრო ხომ გექნება. მოდი დაჯექი შინ, მოიფიქრე, მოისაზრე, დაალაგე კარგად ერთი მეორეზე, აიღე კალამი და ნელნელა მიამბე ალექსანდრეს (შენი ბიძაშვილის სანდროს) ამბავი, სულ ყმაწვილობიდან დაიწყე და ბოლომდის მოჰყევი, მაგრამ ტყუილი არაფერი გამოურიო, ყველაფერი მართალი თქვი ავიცა და კარგიცა. თუ გიჭირს წერა, ნუ გეშინიან, არაფერია, ნელ-ნელა შეეჩვევი, დასწერე, მითომ მომწერ მოკითხვის წიგნსა, თუ გეფიქრება, მე შევასწორებ ენის მხრით და თუ გამოდგა დავაბეჭდინებთ სადმე, თუ არა და საბიოგრაფიო მასალად დარჩეს. სადმე ბიბლიოთეკაში მივცემ, შემდეგში გამოადგებათ. უარს არ იტყვი მგონია. შემატყობინე.

ავრეთვე დიმიტრის ამბავიც დასწერე. თუ გინდა პროგრამასაც [illegible] ბიბლიოთეკა
შემატყობინე.

მადლობას მოგახსენებ დღეობის მოლოცვაზე, რომ აგრე გახსოვარ.

დავრჩები ძველი მეგობარი **პ. უმიკაშვილი.**

P. S. ხევიდან რა ამბავი მოგდის? პაკლე ღუდუშაურის იცი რამე თუ არა?

ზესტაფონი 30 იელისი 1894 წ.

დაო ლიზა!

აი მეც დღეს მიღებულ წერილის პასუხსა ვსწერ (შენი წერილი 27-28 ივნისისაა) მოხარული ვარ, რომ შენი თხოვნის ასრულება მოვახერხე და მადლობის გადახდად არა ღირს, მადლობა მე უნდა გადაგიხადო, რომ სანდროს და დიმიტრის ცხოვრების ამბავს მპირდები სიმართლით და ჭეშმარიტებით ნათქვამს. ნახე რა გულთმისანი ვყოფილვარ და მოხევეებში თუ მკითხაობას, ან დეკანოზობას თუ ხევისბერობას მიწყალობებდენ, ხევში არ ვიცი როგორ ვიქნებოდი, ახლა კი რაკი გამოვიცანი შენი გულის სურვილი, რომ ორი კაცის ამბავი უნდა მიამბო, ძალიან თავი მომწონს, თუ არ გამაცრუე ეხლა შენზეა დამოკიდებული მართლა გულთმისანი ვყოფილვარ, თუ ცრუ. — ხუმრობა იქით და კარგი საქმე იქნება შენი ნაამბობი: პროგრამას ვეცდები მალე მოგწერო, მაგრამ მოდი და ნუ მოუცდი. დაიწყე როგორც იცი და მერე, როდესაც მოგივა პროგრამაცა, შიგა და შიგ ჩაუმატე. ხომ არ იცი მწერლების გასაადვილებელი ხერხი. ამასაც გასწავლი რეცეპტი: საწერი დიდი თაბახი შუაზე გაჭყავ, ე. ი ნახევარ თაბახი ქალალდი აიღე, სიგრძეზე გადაკეცე, ნახევარი ცარიელი გაუშვი და ნახევარზე დასწერე. მეორე პირზე არ დასწერო. ნომერაცია გაუკეთე. ამ გვარად ნახევარ თაბახზე მარტო იმისი მეოთხედი იქნება დაწერილი· როცა ჩასამატებელი გქონდეს დაუსვი ნიშანი რუსულ ან ლათინურ ასოების და ცარიელს ადგილს გინდა ერთ პირზე გვერდით, გინდა მეორე ცარიელ პირზე იმავე ლათინურის ასოთი დანიშნე ჩამატებული: ეს რეცეპტი გამოგადგება, თუ ბევრი ჩასამატებელია, მთელი ნახევარ-ნახევარი თაბახები ჩაუმატე ლათინურისავე ასოებით, ვინ დაგიშლის.

ეს ყველა ყველა, მაგრამ რომ მეკითხები სანდროს და დიმიტრის ერთად რათ ახსენებთ და რათ გინდა იმათი ამბავი იცოდეო? სწორედ უნდა გითხრა ძალიან ღრმად ვიგრძენ და გულში ჩამეჭრა შენი გამწარებული სიტყვები: დიმიტრის კარგი თავი გაქრა, არაფერი დასტოვა და არავინ იცნობსო, სანდროს გარსკვლავი სხვა სხივით განათდაო, მთელი საქართველო დასტირისო და საუკუნოდ სახსენებელი იქნებაო. მაფიცებ, რომ მართალი გითხრა, რა მინდა გავიგო?

განა არ გითხარი? მე მახსოვს, ალარ ვიცი რაზე მომიხდა სიტყვის დაკავშირება, მოგწერე წინა ერთ წერილში, რომ დიმიტრი დიდის ნიჭის კაცი იყო, დიდის ჭკუის, სანდრო იმასთან რა სახსენებელი იყო და ჩვენმა უბედურმა უბადრუკმა ცხოვრებამ იმისთანა გოლიათს ჭკუას ვერ მისცა საზდო ნაყოფის გამოცემისათვის, იმაზე სუსტი კი სხივით შემოსა ჩემთვინაც ასახსნელია ესა და შენი მართალი მოთხრობა ამის ახსნას ბევრად დაეხმარება. აი ჩემი ახსარება და გუ-

ლწრფელი აზრი. ტყუილის თქმა არც მე მიყვარს მძულს და [illegible] ჩემში და მერე სხვებში.—რა გინდა გაიგოთ? სანდროს ცხოვრება [illegible] ამავე აზრით და საჭიროც არის ჩვენის მწერლობის და მწერლების ვითარების გაგებისათვის. დიმიტრის ცხოვრება ნინდა გავიგო, როგორც კაცისა თავის ღირსებით და ნაკლულოვანებით, რომელიც გამოუყვანია ჩვენის ხალხის და საზოგადოების ნიადაგს და მიწა — წყალს. დიმიტრის მე მხოლოდ ოთხი ხუთი დღე შევხვედრივარ, სტეფანწმინდაში იმასთან ოთხი-ხუთი დღე გამიტარებია 1876 წლის, თუ წინა წელს. ამის უფრო ამხანაგების ლაპარაკით ვიცნობდი მანამდის. ილია ჭავჭავაძე და ივანე პოლტარაცკი ხშირად მოიგონებდენ, ილია დღესაც იტყვის ხოლმე რომ ამხანაგებში მოელის თავით მაღლა იდგა ჩვენშიო, დღევანდლამდე ვულდაწყვეტით მოიგონებს იმის ნიჭსა და თუ არ ვცდები (იმის აზრისა ვარ მეცა), რომ ის კაცი დიდებულის საქმისათვის იყო დაბადებული, საქმე არ იყო და წვრილ საქმეებისათვის მუშაობას არ იყო შეჩვეული ან არ იბყრობდა იმის ყურადღებასა. ამისთანა კაცის ავი და კარგი რომ ვიცოდეთ, გამოგვადგება ჩვენ საერთოდ ქართველობას. შესაძლებელია რომ იმისი ნაკლულევანობის ჩვენებით ბევრმა ნიჭიერმა დაიხსნას თავი იმავე ნაკლულევანებისაგან, შეებრძვას ცხოვრების სისუსტეს და გამარჯვებული გამოვიდეს. მე იმ აზრისა არა ვარ რომ დიმიტრი არაყსა და ღვინოს გაელახოს. ცხოვრებამ გალახა, ჩვენმა უფერულმა ღარიბმა უსულო და უგნურმა ცხოვრებამ.დიდი ნიჭი, დიდი გონება და ჭკუა, დიდი მხურვალე გული გაქრა ჩვენში, ჩვენ ცხოვრებაში. ნუთუ ეს არ უნდა ვიცოდეთ, არ უნდა გავიგოთ? განა მარტო მწერალი არის სადიდებელი იმოტომ რომ ისა სწერს, რატო არ უნდა ვიცოდეთ სხვა არა მწერლის ცხოვრებაცა. თვით მხატვრობით მწერლობას (რომანს, პოემას) განა მარტივი კაცი არა აყავს თავის ნაწარმოების საგნად? ხვალ და ზეგ შეიძლება იმისთანა ფაქტს, როგორც დიმიტრია, ყურადღება მიაქციოს კარგმა ფსიქოლოგმა მწერალმა რომანისტმა და დაგვანახოს საქართველოში ნიჭი როგორა ქრება და რა მიზეზ თ ქრება. ნუ თუ ეს საჭირო არ არის გავიგოთ?

აი რათ ვახსენე დიმიტრის და სანდროს სახელი ერთად. რასაკვირველია, პატივისცემის ღირსია ვინც რომ ზემატი ქვეყანასა და დაუტევა თავისი ნამუშევარი. მაგრამ ისიც პატივისცემის ღირსია, ვისაც ძალა ჰქონდა, ნიჭი ჰქონდა და ცხოვრების უკულმართობამ გზა შეუკრა ნათელის და სიკეთის გამოშუქებისათვის. რამდენი ნიჭი ქრება! მინახამს სოფლად მოყვანილი ბიჭი, რომელსაც არც ოპერა ენახოს, არც მუსიკას ყოფილიყოს შეჩვეული და ერთის გაგონების შემდეგ აროიების მოტივები ემღეროს. რატო არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ვინ იცის ჩვენს მოუწყობელ ყოფაში რომ არ ყოფილიყო, მეორე რაფიელი, მესამე მიქელანჯელო ან სერვანტესი გამოსულიყო და სხვა. გული წყლულით გვეკოდება ხომ? აღარ უნდა ამას გაგება, რომ რითიმე ცოტად მაინც ჩვენს შეგნებას, ცოდნას ეშველოს რამე და ამ ზველით როგორმე დავეხმაროთ წინ ბიჯის გადადგმას. ცოდნა შველაა და ნუ თუ შენ უარს იტყვი, გაგვაგებინო ორის საინტერესო კაცის ცხოვრება, რომლის ტალღებისაგანაც ერთი ამოტივტივდა მეორე დასძირა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას ისე გელაპარაკები, როგორც უცხოს ველაპარაკებოდე, და-ა-ბ. სანდრო ყაზბეგის ბიძაშვილს და დიმიტრის დას.

მაგრამ დიმიტრი სოფელს ახსოვს, პაველ ლუდუშაური მწერდა და დიმიტრის შემდეგ სოფელს დაეტყო უიმისობაო და სანდროს დასაფლავებაზე საწყალმა თქვენი ალიოშკას ძმისწულმა ყმაწვილმა კაცმა თუ პაველ მახსენეს დიმიტრი სოფელ იმას დაივიწყებს?! 1881 წ. სტეფანწმინდის ვიყავი ერთი კვირა და დიმიტრის საფლავი ვნახე (უბრალო ჭაჭის ქვა ედვა წარწერით ქვა ნუ თუ ვერ დაადებინეთ).

2 ივლისს.

აი მინდოდა გამომეგზავნა მეორე დღეს, შემდეგ კიდევ მოსალაპარაკებელი მქონდა და ვერ გავათავე. ახლა მაინც გავათავო და გამოგიგზავნო დღევანდელი ფოჩტით. ძალიან მოხარული ვარ, რომ წიგნი გადმოგითარგმნია და დაბეჭდას აპირებ, შეიძლება მოამბეში დაიბეჭდოს და თანაც ცალკე წიგნად. მაგრამ ამაზე მოლაპარაკება არის საჭირო. მე ამ ახლო ხანებში ქალაქში ჩავალ. შევიტყობ და გაცოდინებ. აგრეთვე ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერების შეგროვებაზე მოვილაპარაკებ. ახლა კი უნდა გავათავო, რადგანაც უეცრად მომიხდა ჭიათურაში წასვლაც. ორი სამი დღის შემდეგ დავბრუნდები ზესტაფონს და თუ წიგნს მომწერ მანამდის კიდეც აქ დამხვდება. იქნება უფრო ადრეც დავბრუნდე. პასუხს ნუ დამიგვიანებ, თუ საჭიროდ გექნება. ჩამოსვლის შემდეგ, ესე იგი ორშაბათ-სამშაბათს აქ ვიქნები მერე კი არ ვიცი, იქნება ტფილისს მალე წავიდე.

მეორედ გამოლაპარაკებამდის

პეტრე უმიკაშვილი.

ზესტაფონი, 20 აექტემბერი 1894 წ.

დ ა ო ლ ი ხ ა.

რამდენიმე წერილი მივიღე შენგან უკანასკნელი ამ თვის 12 დაწერილია და დიდი ბოლიშის მოხდა მმართებს, რომ პასუხი აქამდინ ვერ მოგწერე. მთელი აგვისტოს თვე რუსეთში გავატარე, როგორც წასვლის წინ აგრეთვე მოსვლის შემდეგ მოცლა არა მქონდა, თუმცა რამდენჯერმე დავაპირე მოწერა, მაგრამ ველარ მოვახერხე. წასულ კვირას ტფილისშიაც ვიყავი ორი დღე.

შენი კითხვის პასუხი ეს არის.

ტფილისში ქართველთა ამხანაგობას (წიგნების გამომცემელს) სტამბა აქვს და სტამბაში ერთ ყუთში შეგროვებული აქვთ სანდრო ყაზბეგის ხელნაწერები, რომელიც უშოვნია ვლადიმერ ალნიაშვილს და გადუცია გამომცემელ ამხანაგობისათვის. ეს ის ხელნაწერები უნდა იყოს, შენ რომ იწერები.

„მოამბის“ რედაქტორს, რომელიც ჟურნალს ზემოხსენებულ სტამბაში ბეჭდავს, ვუთხარი, რომ ხელნაწერები კარგა გაშინჯონ, რადგანაც შესაძლებელია დიმიტრი ყაზბეგის ნაწერებიც იყოს შეთქი. სანდროს ხელს ვიცნობთო და გაფრთხილებით გავარჩევთო. მე ღონისძიება არა მქონდა ტფილისში გადამეცა იმისთვის დიმიტრის ხელნაწერი სცენა, რომელიც დაბეჭდილია (და ხელნაწერი

ჩემთან შევინახე), რადგანაც ჩემი ბიბლიოთეკა შეკრული მაქვს [illegible] ერთი თვის შემდეგ ბათუმში უნდა გადავიდე და ბინა იქ მექნება [illegible] რედაქტორს (ჭყონიას), რომ ხელნაწერს გადაცემ ან მე თითონ გადავშინჯავ ხელნაწერ ქაღალდებს სანდროსაგან დატოვებულს.

სანდროზე და დიმიტრიზე ლაპარაკის გამო იქნება მართლა რაღა ალბოჭნდეს დიმიტრისა, რა მოხარული ვიქნები, რო იცოდე. მე დარწმუნებული ვარ, კარგი რამ უნდა იყოს იმისი ნიჭის ნამოქმედარი, თუმცა ვინ იცის შემუშავებას აპირებდა და დარჩა შეუმუშავებული. სტეფანწმინდას ჩემს ყოფნაში იმისი ხელწერი ვთხოვე დიმიტრის და, როგორც მახსოვს, მითხრა ვაპირებო თუ დაწყებული მაქვსო, მაგრამ გუნებაზე, წერის გუნებაზე ვერ მოვდივარ, რომ დაუჯდეო. ძალად ნამუშავრობა კი არ ვარგაო. არ გამოვაო. იმის გადაცვლის შემდეგ რა დარჩა და დარჩა რაღა ნაწერი თუ არა, პირველად შენგან შევიტყე, რომ სანდროს ქაღალდებში უნდა იყოსო. საიდან მოჰყვა იმის ქაღალდებს არ მესმის, შენ გადაეცი, თუ ცოლმა, ან თითონ მოხვეტა და წაიღო, იქნება ჭეშმარიტის და კეთილის განძრახვით, რომ დაებეჭდინებინა სადმე.

შენი წერილების მიღების შემდეგ ფიქრში გამიარა და ამ უკანასკნელ ტფილისში ყოფნის დროს ყური მოვკარი თითქოს აზრი, ეჭვი რაღა იბადებოდეს, ვითომც სანდროს დიმიტრის ნაწერები გადაეკეთებინოს ან თავისი სახელით და თავისი ხელით გადაწერილი დაეჩემებინოს. ეს ტყვილი ცილის წამება უნდა იყოს. დროების რედაქციაში ერთხელ და ორჯელ არ მინახავს მთელის ელგუჯას და მამისმკვლელის წერის თვალით მნახველი ვარ, როდესაც განსვენებელ სერგი მესხთან საღამოობით ვიქნებოდით რამდენიმე კაცი, და მე ხშირად დავდიოდი მასთან, მეტადრე იმ დროს ჩვენი ლაპარაკის და ყაყანის დროს მეორე დილისათვის სანდრო სწერდა მოთხრობას. ის სულ ნაწილ ნაწილად სწერდა ერთის ან ორის დღის წინად გაზეთში დაბეჭდამდის, სწერდა ფელეტონებად. იმას დაწერილი კი არა ჰქონდა მთელი მოთხრობა, ნაწილ ნაწილად სწერდა თითო გაზეთის ნომრის მასალას და მეორე დღეს იბეჭდებოდა. მოწამე ვარ ამისი.

ერთხელ კიდეც დავაყვედრე: რა არის სანდრო, ამ ყოფაში, როგორ იქნება წერა მეთქი. იმან მიპასუხა, წარმოიდგინე: ხმაურობის დროს უფრო ხალისიანადა ვწერო; უფრო კარგადა ვწერო. მე ვუპასუხე: Ведь нужно же сосредоточиться იმან მიპასუხა: Нисколько мне не мешает. აი ამას გეუბნები იმიტომ რომ დარწმუნებული ვარ, მოწამე ვარ ამის სინამდვილეში, რომ მისი ნაწერებია ელგუჯა და სხვა. შენ რას იტყვი მიპასუხე.

პეტრე უმიკაშვილი.

*P. S. ჯერ-ჯეროობით ამ ერთ თვეს კიდევ წერილები ყვირილაში გამოიგზავნე.

პ. უმიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. გიორგი ნათაძის წერილი ელისაბედ ყაზბეგისადმი.

მოწყალეო ხელმწიფევ,

ქ. ელისაბედ!

თქვენი წერილი მივიღე. მადლობას გიძღვნით. თქვენ მწერთ ფრთხილად დაიწყეთ გამოკითხვაო და პირებს მიჩვენებთ, რომელთაც უნდა ვკითხო ცნობები. ყველა თქვენგან დასახელებული პირები ჩემი კარგი მეგობრები არიან, და რაც კი რომ იცოდნენ, თითქმის ყველაფერი მითხრეს. სამი წელიწადია თითქმის სულ სანდროზე ვკითხულობ, სადაც იმაზე ან მიტკაზე ლაპარაკი ჩამოვარდება, ვცდილობ ლაპარაკის გაგრძელებას, რომ რაც კი რამ იციან, ყველა ვათქმევინო. თითქმის ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს ორივეს შესახებ. სანდროს დახასიათება ხალხისაგან და მკნობებისაგან, საუბედუროდ ჩვენი. ქართველ საზოგადოებისათვის, არა სასიამოვნოა და თუ იმ ეჭვსაც დაუმატებთ; რომელიც არსებობს შესახებ ალექსანდრეს ნაწერებზე, მაშინ ხომ ქართველებს თავზარი დაეცემათ. შები პარკში არ დაინალებაო, ამბობს ანდაზა. ჩვენც ჩვენის მხრივ, სიმართლის ძიებას უნდა შეუდგეთ, თუნდა არა სასიამოვნო იყოს სიმართლის გამოკვლევა.

სამაგიეროთ დიმიტრი ხალხის თვალში შარავანდედით არის შემკული: მისი სიტყვები ანდაზებათ არის გადაქცეული. ბუნებასაც კი არ დაუვიწყნია თავისი შვილი მიტკა: მისი საფლავის უბრალო ჭაჭი, გაზაფხულით მშვენიერი მწვანე ბალერდის არშიით არის შემკული. მიტკა საზღვარ გარედ მითომ პოლიციას გაქცევია. დუშეთში ი. ჭავჭავაძის მომრიგებელ მოსამართლეობის დროს, დიმიტრი ცოტა ხანი სასამართლოს ბოქაულად ყოფილა, მაგრამ მის სპეტაკ გულს ვერ შეუშნევია ყალბი საქმიანური და ჩქარა თავი მიუნებებია. მისი ნაწერები, გარდაცვალების დროს, ალექსანდრეს გამოულაგებია განჯინიდან, იქვე გადაურჩენია, ზოგი დაუწვამს, ზოგიც წაუღია თავისთან. ამის დამსწრე პავლე და ალიოშკა ყოფილან. წარმოიდგინეთ ალექსანდრეს ნაწერებზე ეჭვი ტფილისშიაც გავიგონე. ცალკე ეს ეჭვი, ცალკე მიტკას ნაწერების წაღება ალექსანდრესაგან, ვერაფერს სანუგეშოს ვერ მოასწავებს. ყველაფერს ამას გწერთ იმისათვის, რომ ჩემი გული გენდობათ თქვენ, ამაზე ლაპარაკი არ მიყვარს სხვებთან და ჩემთვის უსიამოვნოდაც ნიმაჩნია.

პავლეს წერილს მიიღებდით. იმის შვილს ვამზადებ: იმდენად არის მომზადებული, რომ იმედი მაქვს ყველგან მიიღონ და ყველგან სწავლაში გაიმარჯვებს კიდეც. ჩემის აზრით კარგი იქნება გიორგის სემინარიის მისამზადებელ კლასში მიცემა. იმისთვის რომ იქ ბევრი ხარჯი არ დასჭირდება და ჩქარა გაათავებს და ჩქარაც მიეშველება თავის მამის დაცემულ ოჯახს. ეცადეთ როგორმე, ღვთის გულისთვის, ეს ბავშვი, როგორმე გამოზარდოთ, თუ ღმერთმა ქნა და მეც სიღარიბეს როგორმე თავი დავაღწიე, ჩემი მხრიდგანაც არ დავიშურებ, რითაც შემეძლება ხელი გაუმართო. რაც შეეხება იმას, რომ მავალებთ ალიოშკას შვილს გამოჰკითხეთ გრძნობს რამდენადმე სინდისის ტანჯვას, თუ არაო, ეს ყოვ-

ლად შეუძლებელია. ვანია ისეთის განსაკუთრებელის ხასიათისაა, რომ ვერას გაიგებს იმაზე. ამ ქაღალდ, ამ წერილს დაწერის დროს აქ არის ჩვენ სახლში, შემომესწრო. ამისათვისაც მეც ვერარას გწერთ. აზრები შემეწალა ამასთან ლაპარაკში.

სხვაფერივ მშვიდობით და გამარჯვებით იყავით, იცოცხლეთ.

მრავალ ჟამიერ*).

თქვენი პატივისმცემელი **გიორგი ნათაძე.**

18 მაისი 1897 წ.

იმედია წერილს არ მომაკლებთ.

ᲔᲚᲘᲡᲐᲒᲔᲓ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ

ᲛᲝᲩᲮᲣᲑᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ

(ᲣᲫᲚᲕᲜᲘ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲣᲛᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ)

„რა არის იგი სინათლე
თუ მას თან ახლავს ბნელია?"
რუსთაველი.

ძმავო პეტრე!

კარგი და მცოდნე მეგობარი ადამიანს ბევრს ძნელს საქმეს გაუადვილებს, გააბედვინებს. კარგის ღირსებით შეჭურვილის ადამიანის გავლენა, მეორეს ედ დიდებულია: ლაჩარს ომში გააგულადებს, ცოდნა მოკლებულს ასწავლის და ამასთანავე დაფარულს აზრებსაც გამოათქმევინებს, ხორცს შეასხმევინებს. მე ამასა ვგრძნობ ჩემს თავზე: შენმა წერილმა, რომელშიაც ისეთის სიწრფელით და გულმოდგინეთა მთხოვ გიამბო ალექსანდრეს და დიმიტრის ამბავი, იმათი ცხოვრე-

*) **რედაქციისაგან. გიორგი ნათაძე** 1893-94 წლებიდან კრებდა ცნობებს სტეფანწმინდაში, სადაც ის მოღვაწეობდა, ალექსანდრე და დიმიტრი ყაზბეგის ცხოვრების შესახებ. თავიანი ნაშრომი ალ. მ. ყაზბეგის ბიოგრაფიის მასალის სახით გამოაქვეყნა 1904 წ. ჟურნალ „მოამბეში". ამ წერილში ძვ. გ. ნათაძე ადასტურებდა იმ ფაქტს, რომელიც კერძო წერილში ქონდა გამოთქმული ალ. ყაზბეგის მიერ დიმიტრის ხელნაწერების მითვისების შესახებ. ნათაძე მის მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით სწერდა: „დიმიტრი (ყაზბეგი) აწერდა და თავის ნაწერებს ფრთხილად ინახავდა დაკეტილ ყანჯინაში....

„დიმიტრი ყაზბეგი გარდაიცვალა 1880 წელს. ცოლი მისი კავკავში იყო, მასთან იყვნენ ალიოშკა და პაკლე ლუდუშაური. ამ დროს შემოვიდა ალექსანდრე, გაალო დიმიტრის ყანჯინა რომელიც ნომრიანის კლიტით იყო დაკეტილი, გამოიღო ხელნაწერები და ქაღალდები, ზოგი იქვე ფეჩში დასწვა. ზოგი თან წაიღო. რა ღირს ეს ქაღალდები ალექსანდრემ, დღესაც არავინ იცის". (იხ, გ. ნათაძე „ა. მ. ყაზბეგი" „ძმაბრე" №№ 1904 წ). როგორც გადმოგვცემს ამ ცნობ ნათაძე აშზადებს დიმიტრი ყაზბეგზე ვრცელ ბიოგრაფიას.

ბა და გარემოებანი—დიდათ იმოქმედა ჩემზე! განვიმეორებ, რომ შენმა წრფელმა თხოვნამ გამაბედვინა ხელში კალმის აღება და **მწარეთ შოთქმა.**

ყველას კარგათ მოეხსენება, რომ თავის ოჯახზე ლაპარაკი, თავის ძმების ავ-კარგის სინამდვილით დახასიათება- ისევე როგორც საკუთარ თავზე—ძალიან ძნელი და სამძიმო საგანია, ჩემთვის მით უფრო, რომ ამ ორის საკვირველის კაცის აჩრდილი, რომლების მოგონებამაც გამოიწვია ჩვენ შორის მიწერ-მოწერა, ამ საუბრის დროს მუდამ თვალწინ უნდა ვიქონიო. ის ნეტარ-ხსენებულნი მეტის-მეტად ახლონი და შეხორცებულნი არიან მთლათ ჩემს არსებასთან და ამის გამო ჩემთვის დიდი სატანჯველია იმათზე ლაპარაკი...

წარმოიდგინე, რომ ის პირნი, რომლებთანაც ერთის დედის ძუძუ გვიწოვნია, (დედაჩემს სანდროსთვისაც უწოებია ძუძუ) დაბადებიდანვე ერთს ქვეშაგებში ვყოფილვართ გაზრდილნი, რომლებთანაც ყველა ბავშური თაშაში და სიხარული განმიხიარებია მე ეხლა იმათი ცხოვრება და თავ გადასავალი სიმართლით მიუდგომლათ უნდა მოვსთქვა... უცხო პირებს უნდა გამცნო ის, რაც პიროვნების საიდუმლოთ ჩაითვლება... ადვილი არ არის!.. გული მიწუხს, თვალთ მიბნელდება... ვიღაც ბედნიერს უთქვამს, რომ „გამორკვეულის აზრების მქონე ადამიანი —გარკვეით ან ნათლად გამოსთქვამს თავის გულნადებსაც“. მე არ ვიცი ეს ნათქვამი რამდენათ ბართალია, მაგრამ მგონია კი სინამდვილესთან უფრო ახლოს ვიქნები, რომ ვსთქვა: გამორკვეულის აზრების გამოთქმას ცოდნა და ვარჯიშობა სჭირიან, ნამეტნავათ მაშინ, როდესაც ერთმა-მეორეს კალმით უნდა გადასცეს ის, რაც ადამიანს აშფოთებს, ამღვრევს. ამ შემთხვევაში კალამი უნდა იყვეს გამოცდილი, ენა შემუშავებული, მისთვის, რომ ადამიანმა მარტივათ, ძლიერათ, მწყობრათ გამოსთქვას თავისი გულნადები, და ამითი მსმენელის ყურადღება შეიპყროს, შეგოჭოს.

ეჭვს გარეშეა, რომ რაკი კალამი ხელში ავიღე, სვინდისი მაკალებს დავიწყო ნათესაობა და მიუდგომლათ, მხოლოდ მარტივი — ნამდვილი ჭეშმარიტება ვსთქვა. მაგრამ... ყველა მართლის თქმაც, რომ არ ივარგებს... ამ განსხვავებულის და დაუჯერებელის ფაქტების გარდმოცემა — მოთხრობაში, ვაი თუ **სიმართლე სიმრუდეთ** ჩამოგერთვას... ნაგრამ რა გაეწყობა! დაწყობილი საქმე ადამიანმა უნდა შეასრულოს. მე არ მინდა ჩემის ფანტაზიით შეთხუზულის ანბით გაგართო ძმაო, არცა ვგრძნობ პოეტურ ნიჭს, რომ ზეციური ნაპერწკალის ძალით დაგისურათო — ავაფერადო რომელიმე ცხოვრების მოელინება და ამითი დაეიმსახურო შენი ყურადღება. არა! მე მხოლოდ შემთხვევა მაქვს გიანბო სიმართლე და გაგაკვირვო, გაგაოცო იმ ადამიანის ანბით, რომელმაც არამც თუ მარტო ჩემი გრძნობა შეიპყრო, არამედ მთელი ჩვენი ქართველი საზოგადოების ყურადღებაც დაიმსახურა. განვიმეორებ, რომ მე ვერ დაგატკბობ ჩემის მოთხრობის ხელოვნებით. რომელსაც ღვთიური ნიჭი ეპირება მეთქი, მაგრამ იმ ფაქტების გარდმოცემით კი იმედი მაქვს შენი ცნობის მოყვარეობა დავაპატიმრო. შენმა უკანასკნელმა წერილმა ჩემი დაფარული გრძნობა ამოხეთქა, ამოაჩუხჩუხა... და აბა ვზივარ და ვსწერ ჩემს **მოგონებას.**

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲗᲐᲕᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

მე სამის-ოთხის წლისა ვიქნებოდი, ოდესაც ბიძაჩემს მიხეილს, აქამდე უწვილოს, ვაჟის-შვილი მიეცა. მე ისე ვგრძნობ, რომ ვითომც მეც ამ დღეს დავიბადე, რადგანაც ამის წინათ არაფერი მახსოვდა: რა ხდებოდა ჩვენს ოჯახში და ანუ როგორა ვცხოვრობდით. მხოლოდ ის დღე, საკვირველის სინამდვილით მახსოვს, როდესაც ჩვენს ოჯახში არა ჩვეულებრივი აყალ-მაყალი გაჩნდა, მთელი ჯალაბობა მოძრაობდა: შერბოდა და გამორბოდა და ერთმანეთისაკენ სიჩქარით და სიხარულით მიისწრაფებოდნენ — ეს დღე მეტის მეტათ ცხოველათ აღიბეჭდება ჩემს ხსოვნაში. მთლათ ერთიანათ ბატონით — ყმამდე რაღაცა განსხვავებულს სიხარულს მისცემოდნენ და თითქოს ყველას დიდი და საჩქარო საქმე გასჩენიათო — დარბოდნენ!.. მე ეს დღე, უეჭველია, ასე ცოცხლათ იმიტომ უფრო დამახსოვდა, რომ იმ აჩქარებულს ხალხს, ალბათ, ფეხებში ვედებოდი და ამით რამდენიმე მუჯლუგუნი დავიმსახურე. ჩემი მამა-ბიძა მაშინ გაყრილები არ იყვნენ და ერთათ, ძველებურათ სცხოვრობდნენ. ჯალაბი ბევრი ჰყავდათ და ყმები და ბატონები ერთს კერასთან — ერთს ოჯახს შეადგენდნენ; უშვილებელს სამყოფო სახლში თავს მოიყრიდენ ხოლმე და ყველა ნაირს საოჯახო მხიარულებას თუ უბედურებას ერთათ ეგებებოდნენ.

ის დღე რომელიც მე დამახსოვდა რაღაც სხვანაირი იყო: ჩვენს გალავანში უერხული ება, მთელი არე-მარე სოფლის ხალხით აყო გაჭედილი; მოსული ხალხი ღღეროდა, ტაშ-ფანდურას უკრავდა, თამაშობდა. შინაურები მასპინძლობდნენ: დიდრონი სავსე დოქებით ხელში, მოქეიფეთ შორის ბიჭები ტრიალებდნენ და გულ-უხვათ ყანწებს აცლევინებდნენ. მე კარებთან ავტუზულიყავ, გაშტერებით უცქერდი და არაფერი მესმოდა თუ რათა და რისთვის ხდებოდა ეს ანბავი. ჩემმა ბავშურმა გრძნობამ მაშინ გაიღვიძა, როდესაც გაქანებული ბიჭი სავსე დოქით ხელში ზედ წამომაწყდა და ჩემს შეშინებულს დაკვირვებაზე თითონაც შეეშინდა და დაბძახა: „ქალო, ჩამომეცალე ბატონები გამიჯავრდებიან სტუმრებს ღვინო აკლიათო“!

ჩვენს ოჯახში ერთი ჩემზე უფროსი გოგონა იყო, რომელთანაც ხშირათ არიფანას ვთამაშობდი და დიდს მეგობრობას და ამხანაგობას უწევდით ერთმანეთს, იმასა ვკითხე: რა ანბავი არის ყველა ეს ანბავი მეთქი? რომელი ხატის დღეობა არის? და იმან ამიხსნა: დღეს ბიძაშვილი დაგებადაო და იმის ძეობას იხდიანო. მაშინ თითქოს ბევ მივხვდი სიხარულის მიზეზს და წინათ ის ვაშლები, რომელიც მე ნომცეს (ალბათ იმისთვის, რომ ჩემი თავიდან მოშორება უნდოდათ) და მითხრეს „წადი და ბავშვებთან ითამაშეო“ — ეხლა მე კარგათ გამოვიყენე: წავედი ეზოში და ჩემს ტოლ-ამხანაგებს გაუმასპინძლდი. მაგრამ ჩემის მასპინძლობის დროს ბავშობამ თავი იჩინა: ერთმა წითელმა თურაშაულმა ვაშლმა თავისი სილამაზით ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და ალარავისთვის მემეტებოდა მისაცემათ; მაგრა მუჭაში ჩავბლუჯე და მხარი სტუმრებს შეუტეხე, მისთვის, რომ არავის წაერთმია. ჩემმა მეგობარმა სალომემ, ჭკვიანმა და სიტყვა მოსწრებულმა, შემამჩნია უალაგო ძუნწობა და დაკიბეის



ყილოთი მითხრა: „არც კი გრცხვენიან, ძმა დაგებადა და ძეობა [illegible]. აბა უყურე, ბატონები მოსალოცავათ მოსულს სტუყრებს ღვინოს [illegible] ფალასავით ასმევენ, ხაბისგინებით და ნაზუქებით სუფრა გაამსეს და შენ-კი ვაშლიც ვერ გამოგიმეტებია“... მე ან სიტყვების შემდეგ სირცხვილი ვიგრძენ. მე და ჩემი პატარა სტუმრები მივსხედით გალავნის კედელთან, ჩემი ლამაზი თურაშაული ვაშლი წვრილათ დავსჭერით და შეექეცით. აი როგორ გარდავიხადე ა. ყაზბეგის და შემდეგ მოჩხუბარიძის ძეობა!.. ეს გარემოება ალბათ იმიტომ უფრო დამახსოვდა ასე ცოცხლათ, რომ შემდეგში ჩემი უფროსები ხშირად მოიგონებდნენ ხოლმე და დამცინოდნენ: თუ პატარა მეგობარმა სალომემ ვაშლი რა რიგათ გამომტყუა. ამ დღიდან ჩემი და სანდროს ცხოვრება შეწნული — შეხორცებულნი გახდნენ. როგორც მოგახსენეთ, ჩემს თვალწინ დაიბადა, ჩემთან ერთათ შეიზარდა და იმის მიცვლას და თბილისიდან გასვენებასაც კი დავესწარ... დღეს ჩემი გაკვირვების და ოცნების მიზეზიც ეს კაცი არის, რომლის ცხოვრებამ, მოღვაწეობამ, ავთმყოფობამ და სიკვდილმაც ქართველს საზოგადოებას ამოდენა სალაპარაკო და საგულისხმო მასალა მისცა...

ჩვენნი უპირველესნი მწერალნი რიცხვით ისე ცოტანი არიან, რომ თითებით ჩამოითვლებიან და რასაკვირველია იმათში „ელგუჯას“ „ხევის ბერის“ „მოძღვრის“ და სხ. და სხ. ამგვარის მოთხრობის ავტორს საპატიო ალაგი უნდა ეჭიროს, ვისაც ქართულის ლიტერატურის სავსებით შესწავლა სურს იმისთვის მოჩხუბარიძის ბიოგრაფიის ცოდნაც აუცილებლათ საჭირო შეიქნება; რადგანაც სანდროს ცხოვრება ჩემთვის **წაკითხული წიგნია**, თუმცა სათაურშივე უნდა აღვიარო, რომ ამ საკვირველს კაცს სავსებით და ყოველ მხრივ არავინ იცნობდა, სხვათაშორის მეც, რომელიც იმასთან ერთად აღვიზარდე. ბევრს გარემოებას ეხლა-ღა ვაკვირდები, ამისათვის, ვფიქრობ მეტი არ იქნება ჩემი მოგონება მსურველთ განუზიარო. განათლებულს ხალხში ნემოლებულია, რომ ვინც თვის ცხოვრებით, მწერლობით, ანუ რონელიმე ნიჭიერის გამოჩენილის საქმით თავს იჩენს და საზოგადოების ყურადღებას დაიმსახურებს, ვინც ცხოვრების ტალღებში განსაკუთრებით თვალსაჩინოთ ამოტივტივდება — იმის ვინაობას გამოიკვლევენ ხოლმე.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ საგანგებო ევროპიელთა წესს, არც ჩვენი ქართველი საზოგადოება აუხვევს გზასა და ადრე იქნება თუ გვიან, მომავალი პირუთვნელი თაობა, უსაჭიროესად დაინახავს ზედნიწვენით შეიტყოს ბელეტრისტის ვინაობის ანბავი. მაშინ აუცილებელია, რომ მოჩხუბარიძის ბიოგრაფიის დამწეროს ეს ჩემი რვეული შრომას გაუადვილებს. აბა სწორედ ეს მოსაზრება მავალებს დაწვრილებით ჩამოვთვალო მოჩხუბარიძის ვინაობა და სისწორით, ნათლად, ჭეშმარიტებით, ბიუდგომლათ მოვიგონო და აღვწერო იმისი ხცოვრება.

თავი მეოთხე

მისთვის, რომ სავსებით და სინამდვილით დავასურათოთ ის გარემოებანი, რომელნიც მოჩხუბარიძის მოვლენას წინა ურბოდნენ, საჭიროთ მიმაჩნია გაკვრით მაინც მოგითხროთ იმ ოჯახის მდგომარეობა, რომელშიაც ა. ყაზბეგი დაიბადა და აღიზარდა. ის პირობები, რომლებიც ახალ დაბადებულს ზეწარისავით

გარს შამოეხვია, ეხლანდელს დროში იშვიათია და ამის გამო [illegible] ერეთათვის საინტერესოა. თუმცა ამით ცოტაოდენ მოთხრობა გაგრძელდა [illegible] მაინც გარეშეების სინამდვილით გათვალისწინებისათვის საჭიროთ მიმაჩნია.

უპირველეს ყოვლისა უნდა მოვიხსენო მოჩხუბარიძის პაპა (მაშასადამე პაპა ჩემიც) გაბრიელ ყაზბეგი. თუმცა პაპა ჩვენი ჩვენს დროს ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ შინაური ცხოვრება და ოჯახისაგან შეთვისებული წესწყობილება ისისაგან შექმნილი იგივე იყო. მთაში დაკანონებულის სათემო ჩვეულებების საათურში ის იდგა; იმასთან აღზრდილნი და შეჩვეულნი მოჯალაბეთ გარს გვეხვია, ოჯახში ისევ ძველებური რეჟიმი სუფევდა და მაშასადამე ხალხურის ენით ვიტყვი-იმისივე სული ტრიალებდა.

გაბრ. ყაზბეგს ორიოდე სიტყვით აღვნიშნავ (თუმცა იმაზე ბევრი საგულისხმო ამბავი ითქმის): ის იყო მთაში დიდათ გავლენიანი, პატივცემული კაცი, ერთი იმ დროის მოხელეთაგანი, როდესაც საქართველოს თვისი საკუთარი მეფე ჰყვანდა და თვის თავზე ზრუნვა — გამგეობა თავისავე ხელთ იყო. ეს პატივცემული პირი მთაში ისე კარგათ იყო ცნობილი როგორც თავის ხალხში ისე მეზობელ ერებში — რომ ჩვენ დროს ბებრებისაგან ყმაწვილებზე იმის მნიშვნელობის და ზნეობის ანბავი ზღაპრულათ გარდმოიცემებოდა ხოლმე. იმათის გადმოცემით გაბ. ყაზბეგი მტკიცე ხასიათის კაცი ყოფილა, ერთგული თავისი მამულისა და სვინდისიერი აღმასრულებელი თავის მოვალეობისა. გარდაიცვალა 1817 წ. რომლის სახელი და კარგი საქმეები ეხლაც სცოცხლობენ იმ ხალხში, სადაც დაიბადა და მოკვდა. იმის ცხოვრების ზოგიერთს ნიმუშს და სიკვდილის წამებას, „ელგუჯას„ ავტორი მოგვითხრობს და პირდაპირ გამომხატველია იმისი, თუ ხალხი როგორა ჰგლოვობდა, რა აწუხებდა სიკვდილის ჟამს გაბრიელს? "თვისი ხალხი და იმათი მდგომარეობ„! (იხ. "ელგუჯა„).

ჩემის ბავშობის დროს ერთხელ დამძინებია ძიძა — გამდლის კალათაში, როდესაც ისინი გრძელ ზამთრის ღამეს წარსულის დროის მოგონებით თავიანთ-თავს ართობდნენ. ეხლაც ცხოველათ მეხატება ის სურათი, როდესაც საღამოობით ჯალაბი სამყოფო სახლში (ქართლში მგონებ დარბაზს ეტყვიან) იკრიფებოდნენ; კერაში ცეცხლს აანთებდნენ, საკიდებელზე საგანე ქვაბს შემოჰკიდებდნენ და ირთონ ჯალაბი ხის სკამებზე შემოუსხდებოდნენ დედაკაცები სართავ საკერავით ხელში და მამაკაცები ყალიონის წევით. ვახშმის მოხარშვის ლოდინში სხვა და სხვა მოგონებით საუბარს გააბამდნენ და ამითი თავს იქცევდნენ დროს ატარებდნენ. მაზინ ჩვენც, თავიანთ ბატონიშვილებს, ზოგს კალათაში ჩაგვისხავდნენ, ზოგიერთ გვერდით მოგვისვამდნენ; ჩვენც ბავშური ცნობის მოყვარეობით, ცქვიტათ ყურს ვგდებდით, იმათ სიტყვებს. ვკენკდით — ვითვისებდით, ამ ხალხს ითქოს აწმყო არ ჰქონდათ, ანუ არათ აგდებდნენ, არად მიაჩნდათ, სულ ნაღდად წარსულზე ლაპარაკობდნენ: საქართველოს მეფეებზე და განსაკუთრებით აღტაცებით მეფე ერეკლეზე, რუსების შემოსვლაზე და იმათ უღიერობაზე ძალიან ხმირად ლაპარაკობდნენ ხოლმე. მეტის-მეტათ ცოცხლათ და აღტაცებით გადმოგვცემდნენ ხოლმე სხვა და სხვა ლეგენდარულ ამბებს:

ვაჟკაკურ მამაცობაზე, თოფ-იარაღის მარჯვედ ხმარებაზე, თემობის პკუ-

ვა-სამართალზე და სხვა და სხვ. ამ გვარის გარდმოცემის მასალა ... ოდათ. აგრეთვე ცხოვლად მახსოვს არა ერთხელ გამოვუწვევიათ ... ესწაულზე თავიანთ ლაპარაკით და ჩვენც იმათან ერთად სასოებით პირჯვარი გარდგვიწერია; აგრეთვე ეშმაკებზე და მავნე სულებზე იმათ ლაპარაკს არა ერთხელ ჩვენთვის ძილი დაუფრთხია. საკვირველი ფხიზელი და მახვილი გონებისანი იყვნენ ჩვენი იმ დროის მოხუცებულები: თუმცა იმათ ჟურნალ-გაზეთები არ გააჩნდათ და სხვა და სხვა ქვეყნების ცხოვრებაზე არა-რა გაეგებოდათ რა, მაგრამ ბატონ-ყმობაზე, თავისუფლებაზე, ლაშქრობაზე, ზნეობითი მოვალეობაზე კი საღი მსჯელობა ჰქონდათ; საქართველოს წარსულს გაჭირვებულს ცხოვრებაზე და იმის შედეგზე, როდესაც პოლიტიკური თავისუფლება დაკარგეს—ამაზე თავიანთებური სმენა-წარმოდგენა ჰქონდათ, ისინი უფრო ხშირად გვიამბობდნენ იმას, რაც იმათ გულს ეგრძნო რაც იმათ ზურგს სიმძიმე ეტარებინა. იმათი გარდმოცემა იყო ხოლმე მარტივი; ისინი სიმწარით იგონებდნენ წარსულს მთაში მოელილს შავსა და ბნელს დროს, იმ დროს როცა რუსის ჯარი შემოდიოდა. თითო იმათგანი წარსულს დროსთან თითქოს მჭიდროთ შეკავშირებული იყო და თავის თავს მონაწილეთა სთვლიდა საქართველოს წარსულის ცხოვრების ავ-კარგიანობაში... ჩვენთვის ის დრო და ის ხალხი საუკუნოთ წარსულია და მოწყალებით ვითხოვ არავინ შემწამოს მიდგომით გაზვიადება იმათი ლირსებისა.

ჩვენ ჯალაბთა შორის განსაკუთრებით ყურადღების ღირსი იყო ერთ ერთი პაპაჩემთან აღზრდილი გლეხი, რომელიც ბესამოცე წ. წ. მიიცვალა. ამ ასი წლის **ძიას** (ასე უწოდებდნენ დიდებიც და პატარებიც) ყველანი დიდათ პატივსა სცემდნენ, რადგანაც ღრმათა მოხუცების გარდა ჭკვიანი და მართლის მთქმელი კაცი იყო. ის რომ მოვიდოდა ყველანი ფეხზე წამოუდგებოდნენ, ჩემი მამაბიძა წესვლის ჟმალ სკამს მიართმევდენ და რითაც კი შეიძლებოდა პატივის ცემას არ აკლებდნენ. ძრიელ კარგათ მახსოვს თოვლივით თეთრის თმით და წვეროულვაშით ძველებური თმა შეკრეჭილი (ქოჩრით), წელში მოხრილი, ჯოხზე დაბრჯენილი და მუდამ მლოცავი, ტკბილათ მოლაპარაკე ძია! ეს ღრმათ მოხუცი იყო ხოლმე მუდამ ჩვენი მეკვლე: ახალწელიწადს გათენებისას დაგვივლიდა ხოლმე ყველა ოჯახის შვილებს: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა"! გვეტყოდა ხოლმე და შაქრით **დაგვაბერებდა:** „ღმერთმა ჩემსავით თეთრად და ამ შაქარსავით ტკბილათ დაგაბეროსთ შვილო!" ამ სიტყვებით პირში შაქრის ნატეხს ჩაგვიდებდა. ბევრჯელ გამლვიძებია შაქრით პირში, ანუ გამოლვიძების შემდეგ ბალიშქვეშიდან გამომილაგებია ძიასაგან მოლოცვილი შაქრის ნატეხები. ამ მოხუცისაგან ნაამბობი ზეპირი გარდმოცემანი ძალიან საინტერესო იყო ხოლმე.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

გაბ. ყაზბეგს ქალების გარდა ორი ვაჟიშვილი დარჩა: მიხეილი სანდროს მამა და ნიკოლოზ დიმიტრის მამა (ე. ი. მამაჩემიც) ისინი, როგორც ზემოთაცა ვსთქვი, სანდროს დაბადების დროს ერთად ძველებურათ სცხოვრობდნენ და



მხოლოდ ბოლოს დროს გაიყარნენ ცალ-ცალკე ოჯახებათ. ამ [illegible] ეროვნ[illegible] გარეგნობით ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, ერთმანეთის მზეს[illegible], მაგრამ სულიერათ კი ვერ იყვნენ შეკავშირებულნი: ერთმანეთს სრულიად არ მიემგზავსებოდნენ, როგორც თვალ-ტანათ, ისე ზნე-ჩვეულებითაც. მიხეილი იყო მაღალი წამოსადეგი და მშვენივრათ შეყრილი ყმაწვილი კაცი, ღვარდიის პოლკოვნიკი (როდესაც სანდრო მიეცა) რომელსაც მთავრობა ძალიანა სწყალობდა. კარგი ცხენოსანი, მოთამაშე და მაშინდელ ყმაწვილი კაცის ლაზათს რაც შეადგენდა—ყველაფრით შემკობილი. ამისთანა ლირსების პატრონი, ბიძა ჩემი ითვლებოდა თურმე კარგს საცოლო ყმაწვილ კაცათ და რასაკვირველია არა ერთი გასათხოვარის ქალის დედა თურმე ცდილობდა თვისი ქალი მეთხოვებინა. ამ შემთხვევაში ძალუა კეკემ აჯობა ყველას და „მოწყვიტა საუკეთესო ვარდი“— როგორც თითონ იტყოდა ხოლმე.

ამ თავმომწონს ყმაწვილს კაცს სწავლა არსად დაემთავრებინა, ქართული ისე იცოდა როგორც უმრავლესობამ: მოკითხვის წიგნის მიწერა შეეძლო. რუსულში ძალიან კოჭლობდა: გრამატიკულათ სწორეთ ვერ ლაპარაკობდა, წერა ხომ **თითქმის** სრულებითაც არ იცოდა. რამდენჯერმე მინახავს საქმის ქაღალდებზე იმისაგან ხელი მოწერილი: Начальник горских народов Тифлисской губернии და ეს ორი სიტყვა ისე იყო ხოლმე დაწერილი, თითქო ახალმა მოსწავლემ დაჯღაბნაო. როდესაც რუსულათა კითხულობდა ანუ ლაპარაკობდა **განსლანათ** გამოსთქვამდა ხოლმე და საზოგადოთ ძალიან უჭირდა **მწიგნობრობა**. მაგრამ ამისთანა ნაკლი სამსახურში არას უშლიდა და ღენერლობამდინ მიახწია. სამაგიეროთ ამისა სტუმრის მიღება მასპინძლობა და უხვობით თავის გამოჩენა,—სავსებითა ჰქონდა შესწაელილი: რუსები რომ იტყვიან „მტვრის თვალებში შეყრა“ და ამითი სტუმრის თავის სასარგებლოთ დამონავებას... **მშვენივრათ ახერხებდა...** არა დიდიკაცი, არა მოხელე რომელიც კი ჩვენ გზაზე ამოიელიდა იმის სახლს და პურ-მარილს არ ასცდებოდა. ,კარგათ, მდიდრულათ, ევროპიულათ მოწყობილს სახლში პურ-მარილს უხვათა ჰფენდა; ეტლები, შესაბმელი ცხენები, საჯდომი ცხენები, მრავალი მხლებლები—იმისი სურვილის აღმსრულებლები იყვნენ. რაღა თქმა უნდა, რომ ამ გვარი ოჯახის მოწყობილება და ფუფუნება პატრონს **დიდი ბატონის** ელფერსა სდებდნენ.

როგორც კი შეიტყობდა, რომ რომელიმე დიდი კაცი ჩვენის გზით გავლას აპირობსო, მაშინ მომაკვდინებელს ცოდვათ მიაჩნდა, რომ არ დაეპატიჟნა. არც ერთი ნამესტნიკი არ ასცდებოდა იმის სახლსა და ხელმწიფეების გავლა-გამოვლის დროს ხომ სულ მოსვენებას დაჰკარგავდა ხოლმე. ნიკოლოზ I, ალექსანდრე II, დიდი მთავარი მიხეილ თვისი მეუღლით და ყველანი ვინც კი იმის სიცოცხლის დროს საქართველოში მობრძანდნენ ყველას დიდის თავგამოდებით უხვდებოდა და ისინიც პურ-მარილს მოწყალებით მიიღებდნენ ხოლმე. ეს გარეგნობა იმის თავმოყვარეობას უალერსებდა და კარგის მასპინძლობის გამოჩენის უნარს უმატებდა. თუმცა ხარჯი დიდი ჰქონდა, მაგრამ ამ ხარჯს თავისი სარგებლობაც მოჰქონდა: სტუმარი მუდამ მადრიელი მიდიოდა, უხვი საჩუქრები მოხდიოდა, ნამესტნიკები სწყალობდნენ და ამითი ხალხის თვალშიც თანდათან

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო იზრდებოდა—მთის ბატონად ითვლებოდა: თქმა აღარ უნდა, რომ მთის ხალხზე მიხეილს დიდი გავლენა ჰქონდა: მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ გაბ. ყაზბეგისადმი ხალხის სიყვარული და პატივისცემა სულ სხვა იყო და ამან, იმისმა მენკვიდრემ, ისეთი ღრმა თაყვანება ვერ დაიმსახურა.

მიხეილის მეუღლე კეკე, ესტატე თარხნიშვილის ქალი იყო, თუმანოვის ნაქვრივალი. კეკე იყო მაღალი ტანისა, სასიამოვნო შეხედულებისა, ფაშა—შანდილოსანი—უფრო ლამაზებში ჩაითვლებოდა. შინაურათ ქართულათ გაზრდილი ქალი იყო, ბუნებით ჭკვიანი, სალვთო წერილის და ხელსაქმის მოყვარული. ამ პატივცემულს შანდილოსანზე, როგორც ძალიან საინტერესო გვამზე საკმაოდ ერკელი ლაპარაკი დაჰჭირდება და ეხლა მხოლოდ ამას აღვნიშნავ, რომ ძალიან ღარიბი ქვრივი, სამის ობლის ქალიშვილის დედა, ბიძა ჩემს მიხეილს ძალიან მაგრა ჩაეჭიდა, ნით უფრო, რომ სიმდიდრის ხმა ჰქონდა დავარდნილი და სიღარიბეს ხომ სიმდიდრისაკენ აქვს ლტოლვა...

აი ამისთანა დედ-მამისაგან იშვა ალ. ყაზბეგი, რომელიც შემდეგში მოჩხუბარიძეთ მოგვევლინა. რალა თქმა უნდა, რომ ხემოხსენებულის გარემოების გამო სანდროს დაბადება მეტის-მეტად ალტაკებით მიიღეს, არა მარტო ოჯახობამ, არამედ მთელმა ხევის ხალხმაც!..

თავი მეოთხე

სანდრო დაიბადა, თუ არა, იმის ნამას მთის ბატონს მიხეილს, ძიძის ზოვნისთვის არც დრო და არც დიდი ხრუნვა არ დასჭირდა. იმ დროს მთაში შეძლებული კაცის ცოლები თავიანთ შვილებს ძიძებითა ზრდიდნენ (დედა შკოლს თავის ძუძუთი მთოლოდ სიღარიბის გამო ზრდიდა!) და ბავშის დაბადების უწალ შუაკაცობა გაიმართა და ერთმანეთის ცილობა, არა მე გამაზდევინე შვილი და არა მე! ეს კითხვა მარდათ გადასწყვიტეს: მოიყვანეს ჩვენისავე სოფლის დედაკაცი. კარგი ოჯახის რძალი, გლახა ფიცხელაურის ცოლი დედუშკა; (ეს სახელი ალბად რუსების წემოსვლის ზეგავლენით იყო დარქმეული) მაღალი და ნავგრემანი დედაკაცი თავით-ფეხამდე მორთეს და სანდროს ძიძათ დასვეს. მთაში ძიძობა, ძალიან საპატიო ხელობა არის: ძიძას საზოგადოთ დიდათ პატივსა სცემენ და ფულით ძიძას დაქირავებაც არ იყო შემოღებული. მთაში დედაკაცი რა წამს ბავშს ძუძუს პირში ჩაუდებს, იმ დღიდგან თავის ქმარ-შვილებითურთ ოჯახის წევრებათ და ნათესავად ითვლება. ძიძას ჩვენში ისე არ უყურებენ, როგორც უცხოს, ძიძობა არის საპატიო ღირსება. ის ითვლება ოჯახში მეორე ქალბატონათ. სანატრელის—სანდროს ძიძობა, რასაკვირველია უფრო სასარგებლო და საპატიო იყო რადგანაც ინის ძიძას მოელოდა ყველასაგან საჩუქრები, პირველი ალაგის დაჭერა ოჯახში ყველგან და ყოველთვის! გლეხის დედაკაცისათვის ეს წემთხვევა სანატრელი იყო და ამის გამო მრავალი მსურველნი გამოჩდნენ. ამორჩეულს ძიძას დედუშკას რამდენისამე დღის შემდეგ ძუძუ დაეკლდა და მეორე ძიძის არჩევა დასჭირდათ. მეორე ძიძა გოგიტაც (სახელია) ჩქარა მოიყვანეს და ამდღიდან ორი ძიძა უჯდა სანდროს აკვანს. უსაქმოები, ერთმანეთის ჯიშრით გატაცებულები, გაშმაგებით ხან ერთი არწევდა აკვანს



და ხან მეორე! ამის გარდა თავის შესაქცევლათ ჰქონდათ [illegible] ძიძებს, გამდლებს და სხვა ხელზე მოსამსახურებს სანდროს აკვნის გარე [illegible] ლომა, რომელსაც **ვითომდა** მტირალ ბავშვს ნანითა და ლიღინითა არწევდნენ და **აძინებდნენ** მაშინაც, როდესაც იმას გულით ეძინა! მამა ჩემმა ზედმიწევნით იცოდა ქართული ენა და ლექსებს ხშირათა სწერდა ხოლმე, სანდრო რომ დაიბადა იმან "ნანა„ უძღვნა და ამ "ნანით„ ყოველ დღე სანდროს აკვანს ძიძა-გამდლები არწევდნენ და ულიღინებდნენ აი ის „ნანაც"

კაკანა გაურწიეთ სულიკოს ეძინება,
გვართებს ღმერთსა ვაკედროთ მისი აღორძინება,
ძეკევ ძუძუ აწოვე, მკერდს შუქი გაეფინება,
რადგანაც ღმერთმა იქნება, ამ ბიჭის მოვლინება,
ნანა ალექსანდრეჯან ჩემ გულს შუქის მფენელო!
დედ-მამის სიხარულო
ძიას გულის მლხენელო!
ლომი ფეფხვისა ლეკვი ხარ
ბარტყი ქორ-შავარდნისა.
მაცაა დაემსგავსები
შენ იავ და ვარდისავ!
ძის გულის ნუგეშო
კეთილად აღორძინდი,
ვით ედემის ყვავილი იხარე აბიბინდი
ბარტყო შავარდნისაო,
მამასთან გადმოფრინდი,
მამიდა გიალერსებს
ნათლად უცვალე ბინდი!
ვის ეგვანები ცუდი
მზვე მთარისგან ზობილო?.
იავ, ვარდო კოკობო
მამის გულზედ სობილო
წალკოდისა ყვავილო
ედემს რგულად ცნობილო,
ნანატრი აღგვისრულდი
სიხარულათ ხმობილო!

ამ ნანით აძინებდნენ ხოლმე.

ამ საგანზე საჭირო არ არის, რომ ბევრი ვილაპარაკო, ნოკლეთ ვიტყვი, რომ მთელის ოჯახის ჯალაბს, რაც ვისმე რამ მოგონდებოდა, რაც კი ყურადღების და ზრუნვის ნიშნათ ჩაითვლებოდა, დიდი და პატარა სანდროს აკვნისაკენ მიისწრაფებოდა! თითქოს, რომ ერთმა მეორეს ჯიბრით უნდა დაასწროსო სანდროს განებივრება, იმისი ალერსი, და ეს ალიაქოთი სიგიჟემდეს იყო მიხწეული! მეშინიან, ვაი თუ არ დამიჯერონ, რომ ვსთქვა: ეს სულისკვეთება ბავშვის ზრდასთან ერთად თანდათან იზრდებოდა!...

სანდრო ხუთის წლისა იყო, დიდი ხანია დარბოდა და ეტიტინებდა, მაგრამ გამდლეგის გარდა, ძიძებიც კიდევ უკან დასდევდნენ. ამ დიდ-ბებიებს გარდა **პატარა სვიტაც** ახლდა: რამდენიმე ბიჭები სანდროზე ცოტა უფროსები გარს ეხვევნენ მხოლოდ იმისთვის, რომ **ეთამაშებინათ.** მეც თქვენი მორჩილი მონა, ჩემი ორის მეგობარის გოგონათი იმის სვიტაში ვირიცხებოდი, თუმცა რასაკვირველია, როგორც ბატონის—ქალისა, ჩემი მდგომარეობა და მნიშვნელობა მეტი და განსხვავებული იყო. პირველი იმითი ვითვლებოდი მეტად, რომ **გასათხოვარ ბატონის ქალათ** მამზადებდნენ და ამ სიტყვებს ძალიან ხშირათაც მასმენდნენ ხოლმე; მაშასადამე რა თანაშიც სხვა ჩემს ტოლს გოგონებს და ბიჭებს შეშვენოდა, ის მე არ მეკადრებოდა! მაგალითად ჯოხის ცხენზე ჯდომა (ჯოხის ცხენზე ჯდომა და ჯირითობა მეტად ნიყვარდა!) მეორეც იმითი ვიყავ სხვებზე მეტი, რომ ძალუას **შეგირდი** ვიყავ და უფრო დარბაისლურათ უნდა დამეჭირა თავი: ძალიან ხშირათ იმ დროს, როდესაც სანდრო თავის ამბრით სხვა და სხვა თამაშობას იგონებდნენ და სიამოვნებით გატაცებულები ჟივილ-კივილით ხტოდნენ დარბოდნენ მაშინ მე მოკეცილი ტახტზე ვიჯექი, მუხლზე მედო **ბეჭზე დაწერილი** ანბანი და **ანსა და ბანს** გავძახოდი ე. ი. თუთიყუშივით რასაც ჩამძახოდნენ იმას ამოვიძახდი.

მე და სანდროს აღზრდაში სანდროს დედას დიდი გავლენა ჰქოდა, რომელმაც დიდ მნიშვნელოვანი შედეგი იქონია. ქართული ანდაზა ანბობს: „დედა ნახე მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო" ყოველ შემთხვევაში დედ-მამის სურათი უეჭველათ საჭიროა. სანდროს დედა ორიად საინტერესო მანდილოსანია; იმის სურათის დახატვა, იმის ხასიათის გარდმოცემა მეტად ძნელი და ამასთან სამძიმო და პასუხის საგებია. ძალუა კეკეს ცხოვრება და იმის ზნეობითი მიმართულება წკრილათ რომ ავსწეროო, მაშინ რამდენიმე ტომი უნდა დაიწეროს, რადგანაც მასალა ბევრი მოგროვდება და მაშინ ხომ სანდროს ანბავის თქმა დაგვიანდება-გაჭიანურდება. თუმცა ბევრი სანახავათ იშვიათი და გასაგონებლათ დაუჯერებელი საქმეები მახსოვს იმისგან ჩადენილი. მაგრამ მე აღვნიშნავ მხოლოდ იმ გარემოებას რაც სანდროს გაზდა-განათლებას და იმის ცხოვრებას შეხება... მინდა ვსთქვა მხოლოდ ის რაც უნდა ითქვას...

ძალუა კეკე იშვიათი და საინტერესო მანდილოსანი იყო და ამისათვის ღირსია ყურადღებისა; თუმცა ჩემი ენამი უსუსურია, ლატაკია და ამის გამო ეჭვი მტანჯავს რომ ვაი თუ სინამდვილეს დაახლოებითაც ვერ მივამგზავსო... მაგრამ, რა გაეწყობა! გარემოება იძულებულ მყოფს შეძლებისადაგვარად შევეცადო იმის დასურათებას.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

ზემოთ აღვნიშნე, რომ მამა ბიძა ერთმანეთს არ გვანდნენ მეოქი და ეხლაც განვიმეორებ: არა მარტო გარეგანის შეხედულობით, არამედ ზნე-ჩვეულებითაც და შინაურის ცხოვრებითაც სრულებით სხვა და სხვა სურათებს წარმოადგენდნენ. ერთი დედ-მამის შვილები, თუმცა ერთს გალავანში იდგნენ, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათი შინაური ცხოვრება და მისწრაფებანი ერთი მეორისაგან განირჩოდნენ: ბიძა ჩემი სერთუკში გამოწყობილი, ეპოლეტებით და ორდენებით აყვავებული ევროპიელ ფუფუნების მოყვარული პირველ შეხედვითვე **მებატონეთ გამოიყურებოდა;** მამაჩემი კი ნამღვილი ტიპიური მთის კაცი იყო ჩოხა-ახალუხით, უთუოდ ხანჯალ შემოკრული (უხანჯლოთ არც დღე და არც ღამე ფეხს არსად გადასდგამდა, ძილის დროსაც თავქვეშ ედო ხანჯალი) დამასურათებელი იყო ყველა მთის წესს-ჩვეულებათა. ამ ორის ძმის სხვადასხვაობა მნახველებისაგან შეუმჩნეველად არა რჩებოდა. რიგიანათ შეყრილი, საშუალო სილამაზის მქონე მამაჩემი, თავის დროს დაგვარათ კარგათ იყო გაზდილი: პირველათ, რომ რუსებმა თბილისში სასწავლებელი გახსნეს (მგონი დვორიანსკი შკოლას ეძახდნენ, რომელიც შემდეგში I კლასიკურ გიმნაზიათ გარდააკეთეს) იქ სწავლა დანთავრებულმა რუსულ-ქართული ზედმიწევნით იცოდა; განსაკუთრებით ლამაზათ სწერდა ქართულად! მშვენიერი მოლაპარაკე იყო და განვითარებული. კარგი ცხენოსანი, კარგი და მარჯვეთ თოფის მსროლელი, შესანიშნავი მუხლ-მაგარი და მარტო ჯიხვებზე მონადირე იყო. მთებზე სიარულში და მარჯვეთ თოფის სროლაში სოფელში ბევრი კაცი არა სჯობდა. ზამთარში ახალი თოვლ-ყაფში, მეტის მეტს სიამოვნებას მოუტანდა ხოლმე: კურდღლების ნადირობაში ხშირად იყო ხოლმე გართული და ყველას არწმუნებდა, რომ „ყველაფერი მწუხარება მაშინ დამავიწყდება ხოლმეო, როდესაც ჩემი წეთია (მწევრის სახელი იყო) კურღდელს ჯაგებიდან გამოაგდებს და ხან აქეთ გაჰკრავს ხან იქითაო!“ ცოლი ძალიან ყმაწვილმა შეირთო იმ ჯახოტ დაუდაროვის ქალი, რომელთანაც პაპაჩემს გაბრიელ დიდი მეგობრობა ჰქონდა: როდესაც გაბრიელ ყაზბეგი ბატონიშვილის ალექსანდრეს დარბეგას გაეხიზნა, მაშინ ლარსში იმ დუდაროვისას იყო თავისი ცოლშვილით შეხიზნული და დიდს ერთობას და მეზობლობას მძახლობაც მოჰყვა. ბებიაჩემმა ისევ აკვანშივე დანიშნა დედაჩემი... იმის და დაუხედავათ, რომ ჩემი დედ-მამა მხოლოდ თავიანთი მშობლების სურვილის გამო, ძალიან ყმაწვილები დაქორწინდნენ, მაინც ცოლ-ქმრობა ძალიან ტკბილი და კარგი ჰქონდათ: ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა სიკვდილამდე გაჰყოლიათ. დედაჩემმა, ჩვენს მთის ხალხში კარგი სახელი დასტოვა და ეხლაც კიდევ ხშირად იგონებენ როგორც კარგი ზნეობის დედაკაცს, მოწყალეს და ყველასათვის თავდადებულს, რომელიც ყოველთვის მზათ იყო ძმიერი გაეძღო და ავადმყოფისათვის შვება მიეცა. ჯერ კიდევ ყმაწვილი მიიცვალა და დასტოვა ექვსი ობოლი, რომლებიც ძიძების და გამდლების მზრუნველობით ეზრდებოდით.

მამაჩემი ყოველნაირის **რუსობანის** მტერი იყო. ისევ ყმაწვილობაშივე კავალერიის პორუჩიკმა სამსახურს თავი დაანება მხოლოდ იმიტომ, რომ **რომ რუსული ფორმა** არ ეტარებინა. ამ დღიდან თვისი ექვსი ობოლი შემოისხა გარს და შეუდგა თვისი წვრილ შვილების ზრდას და ოჯახის მოვლას. ის მუდამ სტეფანწმინდასა სცხოვრობდა მამა-პაპურათ, როგორც შეეფერებოდა იმ დროის მთის კაცსა, მეტის მეტი ერთგული იყო და ზედმიწევნით აღმასრულებელი მთის სათემო ჩვეულებისა და ხშირად კიდეც გადააჭარბებდა ხოლმე. მაგალითად: თავის დღეში ეტლში არ მჯდარა (მაშინ როდესაც იმის ძმას ორი და სა-

მი ეკიპაჟი ჰქონდა). „ცხენს რა სჯობია? — იტყოდა ხოლმე — თვი შენვე გაბარია!.. ჩემს თავს ლოთს კუჩერს როგორ ვანდობ, რომ [illegible] ეიყო დამოკიდებულიო“ ნურავინ იფიქრებს, რომ ეს შიშით [illegible] ეჯავრებოდა! ქალაქი და იქ ცხოვრება ისე სძულდა, რომ რაც სასწავლებლიდან გამოვიდა თბილისი თვალიდაც აღარ დაუნახავს! მამას მეგობრებმა და შვილებმაც ბევრჯელ დააპირეს იმისი ჩატყუება რომლისამე მიზეზით, მაგრამ ვერ მოახერხეს და ეს საგანი ოხუნჯობას და მახვილობის გამოიწვევდა ხოლმე. ოთახები ქართულათა ჰქონდა მოწყობილი და ნამდვილ სოფლურად სცხოვრობდა: ქეჩით და ხალიჩით დაფენილს ტახტზე, გრძელს ლურჯ სუფრას გაშლიდნენ თავში მამა-ჩემი მოკეცილი დაჯდებოდა და (მოკეცილი მთელი დღე შეეძლო ჯდომა!) გარეშემო ჩვენ შვილებს შემოგვისხამდა, დოქით ღვინოს და აზარფეშას დაუდგამდნენ (ჭიქით ღვინის სმა ეჯავრებოდა) და ისე ისადილებდა ხოლმე. მამიჩემის ოჯახში საჭმელებიც მუდამ ქართული მზადდებოდა. თუმცა ერთს გალავანში მცხოვრებ ძმას მუდამ პოვრები ჰყვანდა რომელნიც ყოველდღე ევროპიულ საჭმელებს ამზადებდენ. მამაჩემის ოჯახის კედლებს ამშვენებდნენ: თოფიარაღი, ბანდულები და სხვა და სხვა საომარი და სანადირო საგნები. საზოგადოთ ნიკოლოზი თვისი უბრალო შინაურულის სადა ცხოვრებით წარმოგვიდგენდა ძველებურს არც მდიდარს და არც ძალიან ღარიბს შებატონეს.

ასე და ამ გვარად ერთს გალავანში, თითქმის ერთს ჭერ-ქვეშა სცხოვრობდნენ ორი ძმა, ორს ოჯახში **სრულიად** სხვა და სხვა ფერის წესწყობილებით: ერთი ევროპიელი და მეორე აზიელი. ესენი იყვნენ **ხორციელი** ძმები და არა **სულიერნი**.

უდროოთ მიცვლილმა მეუღლემ მამაჩემს უანდერძა ექვსი უსუსური ბალღის მოვლა და ისიც შეძლებისდაგვარად ერთგულად ასრულებდა ამ მოვალეობას. „მე შვილებს სიმდიდრეს ვერ დაუტოვებ, მაგრამ შეძლებისდაგვარად ცოდნას შევაძენინებო“ — იტყოდა ხოლმე საწყალი... ეს კი უნდა აღვნიშნო, რომ ვაჟიშვილების და ქალიშვილების გაზრდას სხვა და სხვანაირათ უყურებდა: „ვაჟი უთუოდ შკოლაში უნდა გაიზარდოსო და ქალი — კი შინაო“ იტყოდა ხოლმე. „დედაკაცი კარგი ოჯახის მომვლელი უნდა იყვეს, ხელოსანი, ჯალაბის ერთგული დიასახლისი, მშვიდი და წყნარი; მეტის მეტად ეჯავრებოდა თამამი და აღვირ აწყვეტილი დიაცი, **რუსობანას** მოთამაშე ქალს!... „მაგვარი ქცევა განათლება კი არ არის, დაბნელება არის შვილო!“ ხშირად იტყოდა ხოლმე. თვისი შეხედულება ჩენზე განახორციელა: მე, იმისი უფროსი ქალიშვილი ძალუა კეკეს მიმაბარა, როგორც ძველებურათ კარგათ გაზდილ მანდილოსანს და ამ დღიდან მე და სანდრო ერთად ვიზრდებოდით.

ჩვენ საყოველთაოთ მამა-შვილებს ურთი-ერთი ძალიან გვიყვარდა. მე ისე შეჩვეული ვიყავ მამასთან, რომ მეგონა უიმისოთ ვერ გავძლებდი, გაგიჟებით მიყვარდა; ეხლა სიბერის დროსაც კი ხშირად ვხედავ სიზმარში და სიამოვნებით გულის ძგერით გამომელვიძება ხოლმე, . მარად მზრუნველი და ლმობიერი მშობელი იყო. საუკუნოთ იყოს განსვენება შენი ჩემო კეთილო [illegible]ავ!

ჩემს მამა-ბიძის შორის, შინაობაში, აი როგორი რეჟიმი და ეტიკეტი სუ-



ფევდა: ორნივენი ძალიან ადრე დგებოდნენ და დილას ჩაის ერთად დალევ-დნენ:: მამაჩემი ყველ დილით ჩოხა-ახალუხ ჩაცმული და სარტყელ-ხანჯალ შე-მორტყმული იახლებოდა ხოლმე თავის უფროს ძმას — რომელსაც ადგომისათანავე რამოდენიმე კაცი თავს ადგნენ — „დილა მშვიდობისას" ეტყოდა და ისიც თავს დაადგებოდა, მანამ უფროსი ძმა არ ეტყოდა „ნიკოლოზ დაბრძანდი"-ო, თითონ თავის თავად არ დაჯდებოდა. მუდამ თქვენობით ლაპარაკობდნენ, უმცროსს მუდამ მოწიწებით და ზრდილობით ექცეოდა. არ მახსოვს იმათი ერთმანერთთან ხმის ამაღლება, თუმცა ერთმანერთს ხანდახან შემოსწყრებოდნენ ხოლმე. მიხეილ ნიკოლოზის მხესა ფიცულობდა და ნიკოლოზი მიხეილისას. ამგვარის ეტი-კეტის მიმდევარს ძმებს, თუმცა გაყრის დროს ფსიამოვნება მოუვიდათ, მაგრამ მაინც გარეგანი მყუდროება, ერთხელ დაკანონებული საოჯახო ჩვეულებანი და ზდილობა კი სიკვდილამდენ არ შეუშლიათ.

რაც შეეხება ძალუა კეკეს, ისიც იმავე ჩვეულებას მისდევდა. თავისი მაზ-ლი კარგად გაზდილ და პატიოსან ძველებურ კაცათ მიაჩნდა და ყოველთვის როგორც **რძალი მაზლს** თავის პატივისცემას უცხადებდა. მამაჩემი ძალუას ოთახში, არას დროს პირდაპირ და დაუკითხავად არ შევიდოდა: ვოვო ან ბიჭი წინა უძღოდნენ და შესვლის უმალ ქალბატონს მოახსენებდნენ „ბატონის ძმა მობრძანდება!" მაშინ ძალუა ჩემი—რომელიც მუდამ ტახტზე მოკეცილი იჯდა გასწორდებოდა. ხან აასწრობდა ფეხზე ადგომას და ხანაც მამა შემოასწრობ-და მჯდომარეს და მსწრაფლათ ეტყოდა: „ნუ იჯდებით ძალუავ, ბრძანდებო-დეთ". მარტო თავის დაკვრით მიესალმებოდნენ ერთმანეთს (ხელს არ ჩამოარ-თმევდნენ), მამას მოსამსახურე შორი-ახლო სკამს მიართმევდა და მო'შორებით, მოწიწებით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. ბიძა ჩემის ხელში თუმცა თავის დღენი არც ქართული და არც რუსული წიგნი არ მინახავს, მაგრამ ძალუას და მამას-კი კითხვა ძალიან უყვარდათ და მუდამ წაკითხულზე მუსაიფობდნენ.

სტეფანწმინდას აი, ამნაირად ვსცხოვრობდით რამდენიმე წელიწადი ერთ-გვარათ და შეუცვლელათ. ძმები ოჯახის შემოსავალს აფართოებდნენ: ცხენის ჯოგები, ცხვრის ფარები, ძროხა კამეჩი და სხვა და სხვა ოჯახის სიმდიდრე მა-ტულობდა. მამაჩემი **შინაკაცათ** დარჩა ოჯახში და ბიძა კი სამსახურს და დიდ კაცობას ელტოდა-ეტანებოდა.

ასე გაიარეს ჩვენის ცხოვრების პირველმა წელიწადმა, ასეთი იყო ის ზე-წარივით შემოხვეული გარემოება, რომელშიაც მოჩხუბარიძე დაიბადა, გაიზარ-და და დავაჟკაცების დროს ყალიბში ჩამოისხა...

დიმიტრიზე—რომლის მოგონებამაც ეხლა ჩვენ გავვიტაცა ჯერ-ჯერობით ბევრს ვერას ვიტყვი (სხვა ოჯახის წევრებს ვეცდები სულაც არ შავეხო, რიდ-განაც ყველაზე ლაპარაკი მოროს წაგვიყვანს), მხოლოთ აღვნიშნავ, რომ ის იყო მამიჩემის პირმშო შვილი, 1-ს კლასიკურს გიმნაზიაში სწავლობდა და ითვლე-ბოდა კარგს და ნიჭიერ შეგირდათ. იმავ პატარაობიდანვე და-ძმებში ირჩეო-და თავისი განსხვავებულის მკვახე ხასიათით და წლოვანების შეუფერებლობის დინჯობით; მე დიმიტრის **პატივისმცემელი** ვიყავ, მაგრამ იმისი შემინოდა კი-

დეც. ეს ყველა ნათქვამი ჯერ-ჯერობით ვიკმაროთ, მაგრამ [illegible] კი ვიქონიოთ. ჩვენ ისევ დაუბრუნდეთ სანდროს აღზრდას.

თავი მეექვსე

ერთს დღეს სტეფანწმინდას ჩვეულებრივი მყუდროება რაღაც გარემოებამ დაარღვია, თუმცა სოფლელები ისევ ხშირად მოდიოდნენ ხოლმე ზღვნითა, მაგრამ დღეს უფრო მეტნი ჯგუფ-ჯგუფათ მოისწრაფებოდნენ და ზღვენიც უფრო ბლომად მოჰქონდათ; ამასთან აქა-იქა მესმოდა, რომ ბიძაჩემს რაღაცა ხელმწიფის წყალობას ულოცავდნენ. ერთი შესაჩნევი მაღალი ტანის გლეხი იყო ჩვენ სოფელში, წეროსავით გრძელ კოჭებიანი, გაგის ეძახდნენ, ეს კაცი სადღესასწაულოთ მორთული, მთელს სოფელს ზღვნით წინ მოუძღოდა და როცა ბიძის ჩემის წინ სოფლის მეთავეს წარმოსდგა, ქუდმოხდილმა უთხრა": მოვედით მთელი სოფელი რომ მოგილოცოთ მამის თქვენის ტახტზე დაბრძანება. „ბიძაჩემიც ფეხზე წამოდგა და მადლი გარდაუხადა. მამა-ჩემი, როგორც უმცროსი ძმა დიდს შესვლა-გამოსვლაში იყო და სტუმრებს პურს აჭმევდა, არაყს ასმევდა და მასპინძლობდა. მე და ჩემმა მეგობარმა სალომემ გავიგეთ, რომ ბიძის ჩემის **მამის ტახტზე** ასვლა ის იყო, რომ მთელის ხევის ნაჩალნიკათ დაენიშნათ, რომელსაც ქვეშეთში უნდა ეცხოვრა.

რადგანაც ეს გარემოება ყველას უხაროდა, მეც გავიხარე და მამას ალერსით ვეკითხებოდი: —მამავ, ჩვენც ყველანი ქვეშეთში გარდავსახლდებით?—არა შვილო—ნიპასუხა მამამ—შენ თუ გინდა ძალუას წაჰყევ და მე და პატარები-კი (უფროსი ვაჟები სასწავლებლებში ჰყვანდა) აქ დავრჩებით.

— არა, მამაჯან! მე უწყინოთ არ წავალ—უპასუხე თვალცრემლიანმა.

მამაჩემმა აღარა თქვა რა და თითქო გაეხარდა კიდეცა, რომ მე წასვლაზე უარი ვსთქვი. იმ დღეს დაძინების დროს უფროსმა ძიძამ მითხრა: „საწყალი მამაშენი გახარებულია ლიზა არ მიდისო და მარტოკა არა ვრჩებიო". მე გულში გარდავსწყვიტე, რომ არ წავსულიყავ ქვეშეთში, თუმცა სანდროს გაშორება ძალიან მეძნელებოდა.

შემოდგომაზე ძალუამ მზადება დაიწყო ქვეშეთში წასასვლელათ; რადგანაც ბევრი ხალხი მიდიოდა, რაღა თქმა უნდა, ბარგიც ბევრი შეგროვდა.—

— ქალბატონო, ლიზას რაგინდარაც ჩავალაგო? ჰკითხა ძალუას გამდელმა ნინომ.

— ქა, მაშა! ლიზა ვიღასთან დავტოვო, დედა აღარა ჰყავს, მე ვარ მაგისი პატრონი და მაგოდენა ქალს გოგოებთან ხომ ვერ დავაგდებ...

ნინო შესულიყო მამიჩემის ოთახში, ჩემის ქვეშაგების გამოსატანათ და უფროს ძიძას შაეთვალა, არ დაენებებინა, ეთქვა, ლიზას მამა არა გზავნისო. ნინომ, რასაკვირველია, ქალბატონს მოახსენა, ქალბატონმა ვაჟ-ბატონს და სალამოს ჩაის დროს გაიმართა ამაზე ლაპარაკი.

— ნიკოლოზ, უთხრა ძიამ მამას, მე ცოლშვილი ქვეშეთში მიმყავს და კეკემ შამომჩივლა, რომ შენ თურმე ლიზას არ **გვანდობ,** მართალია?

ჩვენში უფროსი ძმა, სახლის ბატონია, (როგორც ზემოთ ავსთქვი) და უმცროსი ძმა უარს და წინააღმდეგობას ვერ გაუწევს, ამასთან ერთად მთაში ნამეტარს უზდელობათ ითვლება უმცროსისაგან უმფროსთან თავის ცოლშვილზე ლაპარაკი — უპატივცემულობაა. მამაჩემს თითქოს შერცხვაო, თავი დაღუნა და ამის მეტი ველარა მოახერხარა და სთქვა:

— პატარები ერთად უფრო გაიძლებინებენ, ისინიც ცოდვანი არიან...

— პატარების მოსავლელათ ხომ ლიზას არ დააყენებ, იმათ ძიძები ჰყავთ. არა, ლიზას მე არ დაგანებებ! სხვა შენი შვილები, შენები იყვნენ — სთქვა ღიმილით — და ლიზა კი მე უნდა მაჩუქო; ჩემი შვილათ მიმაჩნია და ალექსანდრესთან ერთათ შეიზრდებიან — სანდროს საკუთარი და ეყოლება! შენი რძალი ლიზას თავის შვილებში არ არჩევს: სანდროს **გუბერნანკა** მაინც უნდა დაუჭიროთ და ერთად ისწავლიან. ქვეშეთი შორს არ არის, ხან შენ ჩამოხვალ ხოლმე, ზაფხულობით მე მოვიყვან და სულ თვალწინ გეყოლება.

ამ ლაპარაკში ძალუა კეკემაც მონაწილეობა მიიღო და მამაჩემი დაარწმუნა, რომ რადგანაც მე დედა აღარა მყავს, ყველაფერში ის დედობას გამიწევს: მასწავლის და სანდროში არაფრით გამარჩევს. მოლაპარაკების შემდეგ გარდასწყვიტეს, რომ თუ მე თითონ უარი არა ვსთქვი (მამაჩემს ამის იმედები ჰქონდა) უნდა ბიძა ჩემს წავეყვანე. მე მაშინ მამასთან მეძინა ხოლმე და როგორც წამოვხტებოდი ქვეშაგებიდან, ძალუასთან შეგირდათ გავრბოდი. ერთს ეზოში ვიდექით, თითქმის ერთს სახლში და სრულებით არ გვეტყობდა სხვა და სხვა ოჯახები.

მამაჩემი როდესაც ამ რჩევის შემდეგ საწოლში დაბრუნდა, მაშინ მე ღრმა ძილით მეძინა და ალბათ ვერ მოასწრო მამამ, რომ ამ საგანზე ეთქვა რამე. დილით რომ მივედი და სანდროსთან თამაშობა დავიწყე, მაშინ ძალუამ მითხრა: — ისეთი სათამაშოები გიყიდო ხოლმე, შენმა გაზდამ, რომ თავის თავათ თამაშობდნენ! შენ და სანდრო ერთათ გაიზდებით, ერთმანეთი გეყვარებათ... შენ ვის მჯეს ფიცულობ? — სანდროსას!

— ჰო, იმის სიცოცხლე უნდა დაიფიცო!... მე რასაკვირველია ვერ მივხვდი ძალუას გადაჭარბებულის ლმობიერების სათაურს, და გაშტერებით უყურებდი...

სალომემ დრო იპოვნა ჩემთან მუსაიფის და წამრჩურჩულა: "იცი, შენც ჩვენთან წამოხვალ, ბატონმა და ქალბატონმა, ბატონის ძმას სთხოვეს და ისიც დასთანხმდა, მე ძალიან მიხარიან შენი ჩვენთან წამოსვლა, ერთათ ვითამაშებთ ხოლმე!„ სთქვა და გადმომეხვია ჩემი პატარა მეგობარი.

ძალუა კეკეს საკვირველათ ჰყვანდა მოსამსახურეები გაწვრთნილი: რასაც ის მაინდომებდა, მთელი მოსამსახურეების გუნდიც იმას ისურვებდა. ძალუამ მოინდომა ჩემი წასვლა და იმისმა მოსამსახურეებმა ისე დამიყვავეს, ისე შემბოჭეს, ისე მეძნელებოდა იმათი მოშორება, რომ როდესაც შებმულ კარეტაში ვსხდებოდით, მე რეტიანივით, თითქოს თაბრუ მეხვევოდა. ყოვლის უარის უთქმელათ შემავეს და აღარც კი ვისმე გამოვესალმე.... ველარ მოვახერხე, როცა ეტლი დაიძრა და ყველანი მოეფარნენ, მხოლოთ მაშინ ტირილი მოვრთე; ჩქარა დამაჩუმეს: მითხრეს მამაც შენთან მოდისო. მე სლოკინით ვტიროდი და მხო-

ლოდ მაშინ გავჩერდი როდესაც კარეტიდან თავ გამოყოფილმა ბავშვმა ცხენზე დავინახე, რომელიც ჩვენს ეტლს მოზდევდა.

ძალუა, სანდრო მე და ძიძები ერთს ეტლში ვისხედით; ჩვენს ეტლს ამშვენებდა ლაქია—სოლომანა, ახარფეშით წელში, ყელზე მერდინ მოხვეული, ცალის ხელით დოინჯ შემოყრილი ეტლის კოფოდან, ამაყათ გადმოიყურებოდა. ბიძა ჩემი, მამა ჩემი და კიდევ ნრავალნი ცხენოსნები მოგვდევდნენ. ბარგი და სხვა მოსამსახურები წინათვე იყვნენ გაგზავნილნი. რომელ სოფელზედაც გავივლიდით, ქალით - კაცამდენ ზღვნითა: წინ გვეგებებოდნენ ლამაზათ დაბრაწული **ხაბისგინები,** მოხარშული დედალი, ერბო-კვერცხი და სხ. ლაზათიანათ ხონჩაზე დალაგებული მზათა გვხვდებოდა. დედაკაცები თეთრის გძელის მანდილებით მოკაზმულნი, ზოგნი ძიძა, ზოგი ნათლი—დედა გზა ტკეცილზე წინ გვიხვდებოდნენ; ეტლი დადგებოდა, სოლომონა კოფოდან გადმოხდებოდა, კარეტის კარებს გააღებდა და მოსულები თითო თითოთ შემოჰყობდნენ თავებს, გვკოცნიდნენ და გვეალერსებოდნენ, ბიძა ჩემმა ეს ადათი იცოდა და ამისათვის წვრილის ფულით ქისა გაუმსო თვის ცოლსა, და ის გულ—ხეხვათ ურიგებდა პატივისმცემლებს მანდილოსანთ და ბავშვებს. კაცები ბიძა ჩემს ეხვევოდნენ, გამოტანილს დოქით არაყს და ღვინოს ყანწებით ირიგებდნენ და გზას ულოცავდნენ. პირველს დღეს ამ ზოზინით კობის სტანციაში ძლივს ავედით, სადაც ღამე დავრჩით (12 ვერსი) იქ **დიანბეგის** რეზიდენცია იყო და რასაკვირველია ეცდებოდა **ნაჩალნიკის** კარგათ დახვედრასა; იქაც ხალხი მოდიოდა და მოჰქონდა ზღვენი. რალა გავაგრძელო, სტეფანწმინდიდან ქვეშეთამდენ სამი სტანციის მანძილი, ორი დღე ვიარეთ!.. ქვეშეთში რომ მივედით, გზა-გზა მოყვანილი ბატკნების ფარა, კარგა ხანა სძოვდა არე-მარეზე და თუმცა თითო-ოროლა დღეში იკლოდა, მაინც კიდევ სანდროს თვისი ანალით საოთამაშო და მინდორზე სარბენი მიზები უათასდებოდათ. აი ასე ვიმგზავრეთ და დავბინავდით ბიძის ჩემის **მამის ტახტზე.**

სტეფანწმინდიდან მისულებს, პირველად თითქო ყველას ეჩოთირებოდათ ახალი მდგომარეობა, ნამეტნავათ მოსამსახურეებს, მაგრამ ნელ-ნელა მოვეწყენით, ყველამ თავისი კუთხე იპოვნა. ყველა თავის ახალ მდგომარეობას მიეჩვია და ძიძა — გამდლებს ხომ კიდეც მოეწონათ სახლის გარეშემო ტყე და მინდორი, თხილით და შვინდით სავსე; ბიძა ჩემი განსაკუთრებით მდიდრულათ და ფუფუნებით მოეწყო: გარემოებანი ხელს უწყობდნენ; ძია — ძალუამ, რომელთაც ციდკაცობა ძალიან უყვარდათ, ფართოთ სარგებლობდნენ თავიანთის მდგომარეობით: სტუმრის მიღება და თავის გამოჩენა გააორკეცეს!.. ბიძა ჩემმა საკუთარი კაბინეთი გაიწყო, სადაც თავის დიანბეგებთან და ჩინოვნიკებთან მუსაიფობდა ხოლმე და საქმეებს არიგებდა, ბიძა ჩემი კეთილის გულის კაცი იყო, მაგრამ საწინელი ენის ამკოლი და თავის ჯიბის მოყვარული... ხარბი კაცი იყო. ეს სისუსტე ყველას შემჩნეული ჰქონდა და ამ გარემოების საშვალებით გაიძვერაები ქრთამით და პროტექციით ბევრს **მრუდე საქმეს** გაათეთრებდნენ ხოლმე... ქრთამს იღებდა და დამალვაც იცოდა; თუ ქრთამს აშკარათ და უხერხულათ მოუტანდნენ, როზგებსაც მიარტყამდა ხოლმე!... ერთხელ მახსოვს, ერთს მედუქნეს ინისაგან **უხერხულათ** მოტანილი შაქრის თავი, თაგქვეშ დაუდეს და როზგით



ისე გააწკეპინა!.. „დიდს ცომს ბევრი საფანელი უნდა!“ დიდ საქმეებთან გასავრეებას — ბევრი ფული უნდა....

ქვეშეთს ლამაზი მდებარეობა ჰქონდა: ახლო ჩამოუყრიდა არაგვი, რომელშიც ორაგულს და წვრილ თევზებს ბლომათ იჭერდნენ და ხშირათ მოჰქონდათ ხოლმე **ნაჩალნიკისთვის;** იქვე ახლო ცივი-ანკარა წყაროც ჩამოჩუხჩუხებდა, გარშემო გორები და მთები მინდვრებით და ტყით შემკობილი იყო. ერთი სიტყვით ფართო ალაგი იყო, სარბენლად და სასეირნოთ. სანდრო თავის ამალით ალტაცებაში მოვიდნენ: ჯარის რაზმათ ეწყობოდნენ, ერთმანეთ'ხედ იერი'ნით მიდიოდნენ და მთელი დღე სახლის არემარეზე კიჟინა იდგა ხოლმე. ნამეტნავათ ის იყო სასიამოვნო ძალუასთვის და ძიძა — გამრდელისთვის, რომ ოთახების ფანჯრებიდან შეეძლოთ სანდროს დარაჯობა.

— ვენაცვალე ჩემს ალექსანდრეს — ბრძანებდა ძალუა ყველა ხარობს მინდორზედ სირბილსთ და თამაშობით! ყაზბეგში მეტად შემწყვდეული იყო, თავისუფლათ სარბიელი ალაგი არ ჰქონდა: დიდი გზა ტკეცილია, მუდამ მოძრაობა და სულ გული მისკდებოდა, ცხენებმა არ გათელონ მეთქი... ცელქი ბავშვია და მუდამ ყურის გდება უნდა.

მე ხანდახან დავლონდებოდი ხოლმე: მომაგონდებოდა მამა, პატარა და-ძმა, ჩემი დიდ ცხვირა ანდრია, რომელსაც ხშირათ ხელით დავკვანდი. მეჯავრებოდა მამის მოშორება, მაგრამ ხათრით და შიშით ვერას ვანბობდი, მაგრამ დრომ გაიარა, მეც თანდათან დავმშვიდდი. მახსოვს სიზმარივით (დიდის სიამოვნებით ვგრძნობ!) ერთს ღამეს რა საშინელის გაკვირვებით გამომეღვიძა და გაკვირვება — შიში, სიხარულათ და ალტაცებით გარდამექცა! ქვეშეთში იმ სახლზე სადაც ჩვენ ვიდექით, ცოტა მოშორებით ფლიგელი იყო, ამ ორს შენობას შუა გასარბენი მინდორი. სწორეთ ამ მინდორზე, ერთს ღამეს ვიღაცას მკლავზე გამობეღვიძა! მე დავაპირე შეშინებულმა დამეკივლა, და როგორც გავჩუჩუნდი ვისაც მივყვანდი, იმან გულზედ მიმიკრა და ალერსით მითხრა: „ვენაცვალოს ანდრია, მგონი რაღაც გატკინე?“ მე როდესაც თვალები დავაჭყიტე და იმ დროს კარებთანაც მივედით, საიდანაც სანთლის შუქი გამოჭკრთოდა და გამინათლა ანდრიას დიდი ცხვირი!.. მე გახდილი საბანში გაბვეული ვეჭირე ხელში. მწრაფლათ ხელები ამოვყავ და კვილით მოვეხვიე კისერზე და კოცნა დაუწყე; სიამოვნებით ველარას ვანბობდი. ანდრიამ გაფრთხილებით და ალერსით მამასთვის გა'მლილს ქვეშაგებში ჩამსვა, სადაც ერთის წამის 'ნებდეგ მამაჩემს ვეხუტებოდი. ვკოცნიდი და უალერსებდი, ჩემი ანდრია ამ სტრიქონების წერის დროს, დღესაც ცოცხალია, 90-ს წელს მიხწეული და როცა ვნახავთ ერთმანეთს, ამ შემთხვევას სიამოვნებით მოვიგონებთ ხოლმე. მე ჩემს მშობელ მამასავით და ისიც თავის საკუთარს შვილსავით, ახლაც უალერსებთ ხოლმე ერთმანეთს...

მამა ჩემს ძალიან უყვარდი და ქვეშეთში რა დროსაც უნდა ჩამოეხწია სტეფანწმინდიდან, თუნდ შუალამე გადასული ყოფილიყო, იმ წამს ანდრია ჩემთან მორბოდა წასაყვანათ, მაგონდები ჩემო კეთილო მამავ, ალერსით და მადლობით!...

ზაფხულიც მოვიდა და გავემზადენით სტეფანწმინდისაკენ. ძალუას არაკი

უნდოდა წასვლა, მაგრამ ძიამ გულით მოინდომა და ძალუამ გამოგზავნა ბილეთი. სთქვა: „ბატონო, თუ თავის მყინვარის მთას დილით, გაღვიძებული გული ეს შეუშვირა, არა იამება რა! უნდა წავიდეთ“,... შეშფოთდა ნინოს.

წავედით ისევ იმავე წესით: ცხენოსნებით, მწევრებით, გზა-გზა ძღვნები კიდევ მოგვდიოდა, მაგრამ ბევრი კი ალარა. ბე ყველაზე უფრო მიხაროდა ყაზბეგში დაბრუნება: მინდოდა მენახა ჩემი პატარა და-ძმა, მამა, გამდლები, ძიები და სხ. ზაფხული იყო და ჩემი უფროსი ძმებიც უნდა მოსულიყვნენ. იქაც სიამოვნებით მიგვეღებნენ; ყველანი გამოგვეგებენ თითქმის ერთს ვერსზე; ყოცნას და ალერსს, ალარა ჰქონდა სამზღვარი „როგორ გაზდილხარ“ — შეუბნებოდა ერთი, „გასუქებულხარ“-მეორე, „გამხდარხარ“ — წესამე, „გალამაზებულხარ“ — მეოთხე და სხ. და სხ. მე მისვლის უმალ ნამის ჩემის სახლისკენ გავიქეცი.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმონ ჩიქოვანი

თანამედროვე გერმანეთის მხატვრობა

(მარცხენა ფრთიდან)

კომენტარიებისათვის

ამ წერილის მიზანი არ არის მარტო გერმანეთის მხატვრობის დახასიათება — ჩვენ გვინდოდა ფაქტების კიბისებურ დალაგებით გამოგვეაშკარავებინა თანამედროვე ხელოვნების მიმართება. საოცარი აკრობატიული განწყობილება არსებობს გაგებაია ადამიანებში — ხშირათ მოლეკულიზაცია ხდება მიღწევების, მაგრამ ცენტრი მიღწევების არის ფუტურიზმ-კუბიზმი — რომლის გადმოლმა ვერცერთ კრეისერს ვერ ვარჩევთ, როგორც ექსპრესიონიზმის, ისე გეორგ გროსის დახასიათება ჩვენთვის იმდენათ არის საინტერესო, რამდენათ ეს არკვევს თანამედროვე ხელოვნების გზს. ექსპრესიონიზმი ავირჩიეთ იმისთვის, რომ ანგარიში გაუწიოთ იმ განწყობილებას, რომელსაც ქართული ლიტერატურა (და არა მხატვრობა) ქმნის უკანასკნელ სეზონში. ამ მიმართების წარმომადგენელი არის ყოველად გაუმართლებელი კონსტანტინე გამსახურდია და არა ლეგალურათ გრ. რობაქიძე — რომლის წამოყენებული გაგება წარმოადგენს მეორე ხარისხოვან რუსულ ჟურნალების რეცენზიას — (რასაკვირველია წერილის ფორმალური მეთოდი არა შაქვს მხედველობაში) — კიდევ ერთი არგუმენტი ის არის რომ თეატრალური თბილისი კოტე მარჯანიშვილის მეთაურობით — ექსპრესიონისტულ ნარჩენის გამოფენას უნდება და ქართველ მაყურებლის განწყობილების კასტრაცია მოსალოდნელია ახლო მომავალში (თუ არსებობს ასეთი საქართველოში): თუმცა მე ეჭვი მეპარება რომ ქართველ საზოგადოებაში ექსპრესიონისტულ რეპერტუარას აუდიტორია ყავდეს. მე მაინც მხატვრობა ავირჩიე — რომლის ოპტიკური მდგომარეობა უფრო ნათელყოფს ამ მიმართულების, როგორც იდეოლოგიის, ისე

პრაქტიკის სიღატაკეს. მით უმეტეს მხატვრობაში, შეიძლება იფიქროს ადამიანმა, უფრო მეტი ხელ-სახები და საგრძნობი ნაყოფი გამოიღო ექსპრესიონისტულმა მიმართულებამ.

დ ა წ ყ ე ბ ა

დაწყების სეზონი ისევ ათიან წლებიდან მოდის: ფრანგული კუბიზმის განმტკიცების და ბრძოლების დაწყება, იტალიური ფუტურიზმის და შემდეგ რუსული ფუტურიზმის გამოსვლები და სხვა. ეს სეზონი იმდენათ ქაოტიურია, რამდენათ მაშინ ექსპრესიონისტები ფუტურისტებთან გამოდიოდენ — მაგალითად დეიბლერის მეგობრობა იტალიელ ფუტურისტებთან, შაგალის გიომ აპოლინერ-



ვ. კანდინსკი. კომპოზიცია.

თან და სანდრასთან, როდესაც აპოლინერი ითვლება მთელ კუბიზმის იდეოლოგათ, მას ეკუთვნის მთავარი შრომები კუბიზმის შესახებ და თვით წოდებაც კუბიზმი. ამ მხრივ ის პრინციპიალურ წინააღმდეგობას წარმოადგენს ექსპრესიონიზმისას. ასეთივე მდგომარეობა არის რუსეთში: კანდინსკი რუს ფუტურისტებთან ერთად გამოდის. (Пощечина обшествеиому вкусу) ეს გაურკვევლობა გრძელდება 13 წლამდე; ფუტურიზმ-კუბიზმი იწყებს საკმაოთ იდეოლოგიურ ყალიბს და ექსპრესიონისტული შეცდომები შორდებიან ორივე მიმართულებას. ამიტომ 13 წელშივე იხსნება სეზონი ექსპრესიონისტულ მხატვრობის. ამ სეზონის გამხსნელი იყო უთუოდ ვასილი კანდინსკი ტომით რუსი, ამ ხანებში გერმანეთში მომუშავე და გერმანელ ახალგაზრდა მხატვრებთან დაახლოებული. გიუგო



ვრები“ კანდინსკის მოყვა კოკოშკა, კლე, პიხშტეინი და სხვები — ეს ხანაც კიდევ არ იყო დაწმენდილი თვით ექსპრესიონიზმი და აქ ექსპრესიონისტს ეძახდენ ისეთ პოეტს, როგორიც არის შტრამ და მხატვარ გრაფს. ეს იყო რეაქცია გერმანეთის სიმბოლისტური მხატვრობის და უკვე მივიწყებულიც იყო ბიოკლინის ფანტასმაგორია და ფრანც შტუკის მისტიკა. მე მე მგონი ესენი მხოლოდ რომანებში ოთახებში აღწერის დროს სჭიროდათ ბელეტრისტებს. ერთი ბანალური მხატვარი ნათ ადარებდა ნეაპოლის ნანგრევებს — მაშინ ეს გამართლება იყო „აპოლონის“ წყალწყალა რეცენზენტისთვის. მე წარმომიდგენია ნაწთებათ ბიოკლინი და შტუკიც და თუ გნებავთ მთელი ექსპრესიონიზმიც კი, რომელიც შტეინახიდას წარმოადგენს განცლილი სტადიების. მათ გაქურდეს ფუტურიზმ-კუბიზმი და რაღაც ინტელიგენტურ რელიგიურ ჩრვარით გაბერეს. მეორე დღეც იყო გერმანეთის მხატვრობაში და ამეზე ქვემოთ. მიღწევების ანალიზისთვის დავიწყოთ კანდინსკით.

კანდინსკი. კანდინსკიმ ცედერის მონოგრაფიას დაუმატა რამოდენიმე წიგნი რუსულად, იმისთვის რომ მიეცა საკუთარი გაგების და პრაქტიკის მთელი სახე. განსაკუთრებით აღვნიშნავთ ბრტყელ წიგნს „Ступени“. ს. აქ სიბრტყე დაცულია წიგნის ფორმატის გარდა თვით იდეოლოგიის გადმოცემაშიც. კანდინსკის გზაა ჩვეულებრივ საგნობრივ გადმოცემიდან უსაგნობამდე. 16 წლებში ის დავიდა სრულიად უსაგნობამდე. მისივე ცნობით შორიდან შეხედა ვილაცას სურათს, მხატვარი აღტაცებაში მოვიდა ფერადების დალაგებით და დრამატიზმით. შორიდან საგნები არ სჩანდენ. მიახლოების შემდეგ მან ნახა, რომ სურათი ეკლესიოდა მას და საგნებიც იყო ხატულში. კანდინსკი მაშინ მიხვდა რომ საგნები მის სურათებს ვნებდენ. ამ განწყობილების შემდეგ ის გადავიდა საგნების სრულ მოსპობამდე და დაიწყო მუშაობა აბსტრაქტიულ მხატვრობისათვის. აქედან დაიბადა აბსტრაქტიული ფერადობის მისტიკა. მან სასტიკათ არია ასონანსები და კოსონანსები ფერადების, როგორც ცენტრი და სიმეტრია დალაგების სრულიად მოსპო. ფერადების საჭიროება პირველად წამოაყენა მალევიჩმა. (სუპრემატიზმის საწყისი) საგნების დეფორმაციის და მოსპობის ეთეოდ არის მატისის, რომლისაგანაც კანდინსკიმ ბევრი ისწავლა და რომელიც დაიყვანა უარყოფით მიღწევამდე. შემდეგ მე აღვნიშნავ ფრანგ მხატვარ სერას, რომელმაც ფერადების დამოუკიდებელი არსებობა პირველად სცადა. ამათ გარდა კანდინსკის მთელი პლეიადა ყავდა წინამორბედი, ე. წ. „გამბურგის რომანტიკოსები“ ლიხტვარკის მასწავლებლობის ქვეშ. მათ პირველად დაიწყეს საგნებიდან განთავისუფლება და პრინციპათ წამოაყენეს აბსტრაქტიული ფერადეულობა. აქედან ცხადი ხდება სიყალბე კანდინსკის მტკიცების, თითქოს მის გაგებასა და პრაქტიკას წინამორბედი და მასწავლებელი არ ყოლოდეს მხატვრობაში. მართალი არის სერას და მატისის დროს აბსტრაქტიულ ფერადს ქონდა მარტო ოპტიური ღირებულება — ამავე საგნების დემატერიალიზაციით ხდებოდა ფერადების მატერიალიზაცია, რაც კანდინსკის არ ახასიათებს. აქ მას უახლოდებიან უფრო გამბურგის რომანტიკოსები. მალევიჩმა სეზანიდან დაიწყო, გაიარა მთელი კუბიზმი და სურათები სრულიად გაანთავისუფლა საგნებიდან. ხაზე-

ბის და ფერადების ეკონომიკის დაცვით და სწორი გამოხმობით მან დაიწყო შექმნა ახალი ოპტიკურ ფორმების, რომელსაც „შემდეგ სუპრემატიზმი" დაერქვა. როგორც სჩანს, მალევიჩს აქვს სწრაფვა ახალი დამოუკიდებელ ბიტის შექმნისაკენ. მალევიჩი არის ამშენებელი ფორმების. კანდინსკის ეს არ აინტერესებს. ოპტიკურის ფასი ფერადების ე. ი. გამიზნულ ფერადების დალაგება — კონსტრუქცია მას არ იზიდავს. როგორც სხვა ექსპრესიონისტებმა ამ დამოუკიდებელ ფერადობას, რომელიც სხვების მიერ იყო აღმოჩენილი, დაუმატა საკუთარი რამ, რასაც ისინი ეძახიან „სულს" კანდინსკისავე ტ ქმით„ ფერადების ფსიხოლოგიზმი".

ამ ფსიხოლოგიზმის განმარტება მე-მიველი N2S04 ჟურნალში (პროექტი ახალი კრეისერის) იმ მტკიცების თანახმათ, „ფსიხოლოგიზმს" ჩვენ შევცვლით დრამატიზმით და იმას რასაც გერმანელი და რუსის მხატვრები „ფერადობის ფსიხოლოგიზმს" უწოდებენ, ჩვენ იმას „ფერადობის დრამატიზმს" დავარქმევთ. სწორედ ფერადობის დრამატიზმს ცდილობს მიაღწიოს კანდისკიმ თავის მხატვრობაში, ამისათვის ის საკმაოთ ენციკლოპედისტი არის. მთავარ დახმარებას მას უწევს მუსიკა, რომლის კარგათ მცოდნეთაც ის ითვლება. გერმანელ მხატვრებს ძლიერ ეხმარებათ მუსიკა უსაგნობაში, რადგან მათი შეხედულებით მუსიკა ყველაზე, უსაგნო ხელოვნებაა, აქედან იბადება აბსტრაქტიული ხელოვნების სინტეზი. ამავე სინტეზზე ელინურ დადინჯებულ პათოსით სწერდა ვიაჩესლავ ივანოვი ლიტვიელ მხატვარ ჩურლიანისის შესახებ. თუ ჩურლიანის ჰქონდა მხატვრობისა და მუსიკის სინტეზისათვის თერმინი „სონატა", კანდინსკიმ ის გაათანამედროვა, დაარქვა კომპოზიცია. შეიძლება ითქვას რომ ამ ორ მხატვარში ქაოსი ერთგვარათ ცხოვრობს, თუმცა ჩურლიანისი უფრო კაპიტალურ მოვლენას წარმოადგენს და კანდინსკის მასთან შედარება არ შეიძლება. ამასთანავე ესენი ერთმანეთისგან იმდენათ შორს დგანან, რამდენათაც დღევანდელი ომების და რევოლიუციის ეპოქა და ჩურლიანისის ატმოსფერა. კანდინსკი მუსიკის ტერცების საშვალებით არკვევს უსაგნოებაზედ დასვლას. მე არ ვიცი რამდენათ კომპეტენტური არის მუსიკაში, თუმცა მის მუსიკოსობის შესახებ ბიოგრაფია ბევრ მასალებს იძლევა და მისი წერილები იმდენათ საინტერესოა, რამდენათაც შენიშვნებში წერილი შრიფტით ილაშქრებს ფუტურიზმის წინააღმდეგ. კანდინსკის ცნობით ის თვითონ გვიან მიხვდა, რომ ფორმა უმნიშვნელოთ არაფერი არ არის. აქედან საჭიროა სულის ფილტრაციაში გატარება და ნიღება ფერ-გადაცვლილ სახეობის. ფორმის და წინაარსის ასე საზღვრების ძიება წარმოადგენს აბსურდს, რომლის შესახებ ჩვენ სხვა დროს ვილაპარაკებთ. ეხლა ექსპრესიონიზმზე; მე სრულიად ვეწინააღმდეგები რუსეთში და საქართველოში გავრცელებულ აზრს ექსპრესიონისტების ათვისების ხერხის დოსტოევსკისთან ნათესაობის შესახებ. ექსპრესიონიზმი არის მიღება არა ღვთაებრივ საგნების, (როგორც სიმბოლიზმს ქონდა) არამედ მიღება ნივთობრივ ქვეყნის, მისი სულის ფილტრაციაში გატარება და გასულიერება, რადგან საკრალობა აქვს ადამიანის ფსიხიკას და არა ნივთს. დოსტოევსკი არის საგნობრივი ქვეყნის სულის ფილტრაციაში გატარება სადაც ღვთაებრივობა ახასიათებს საგანსაც და ფსიხიკასაც. ექსპრესიონისტებს

საგნობრივი ქვეყანა არა სწამთ, თუ სწამთ — მისი დაშლის მოახლოვება. ისინი ილებენ ნივთობრივ უსულო ქვეყანას ამიტომ, იბადება სწორედ საკითხი „უსულო ქვეყნის რელიგიით გატენის“. ამ განსხვავებას ექსპრესიონისტების და დოსტოევსკის შორის ვერ არჩევს ის, ვინც საგნობრივ და ნივთობრივ ქვეყნების შორის განსხვავებას ვერ ხედავს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ასეთი შეცდომა გრიგოლ რობაქიძეს მოუვიდა, როდესაც სიტყვა „вещизм“ ქართულად „საგნიზმათ“ გადმოთარგმნა.

დოსტოევსკის ექსპრესიონისტებთან აერთებს მხოლოდ ხერხი სულის ფილტრაციაში გატარების. პირველს აქვს ორ საფეხურიანი გასულდგმულება, მეორეს კი ერთ საფეხურიანი.

ეხლა შევეხოთ ფაქტებს, თუ როგორი საფეხურებით ლაგდებიან შემოქმედების ფენები. ნათქვამიდან მტკიცდება ექსპრესიონიზმის იდეოლოგიის ქანაობა ფუტურიზმსა და რომანტიზმის შორის. ის წარმოადგენს თითქოს ფუტურიზმის შევსებას. ორივე მიმართებათ სწამთ ნივთობრივ ქვეყნის არსებობა და აუცილებლობა. ერთი მისი მატერიალობიდან გადადის ორგანიზაციაში, მეორე კი ორთქლებაში. ექსპრესიონისტები ამბობენ — ფუტურიზმი არის მხოლოდ ფორმალური მეთოდი, როდესაც ექსპრესიონიზმი არის მთელი მსოფლმხედველობა. ეს მორიგი აბსურდი ფორმალური მეთოდი არის ფუტურიზმი იმდენათ, რამდენათ მას სწამს მასალობრივი გაგება ქვეყნის-მეორე-ორგანიზაცია ფსიხიკის და ნივთის, როგორც უტილიტარული მატერიალური ფორმა. ექსპრესიონისტები ამბობენ: სადაც რელიგია არ არის, იქ არ არის მსოფლ-მხედველობა. საინტერესოა ვიცოდეთ რატომ რელიგიური გაგება ნივთების არის მსოფლ-მხედველობის მოწმობა და არა უტილეტარული ხედვა ნივთის. ცხადი არის ნივთობრივ ქვეყნით რელიგია მოისპო — ამით მოისპო ნივთების ღვთაებრიობა და საიდუმლო ნათესაობა. მაშასადამე არის ახალი ქვეყანა ორგანიზაციის, კინემოტოგრაფიული ტრიუკების, სივრცეები დახერხვის და ქვეყანა უტილეტარული ნივთებით დაწყობილი. ამიტომ ქვეყანა ფუტურისტული გაგებით არის არა რელიგიურ სიუჟეტის მატარებელი, არამედ უტილიტარულ ორგანიზაციულ განწყობილების, რომელიც უტილიტარობის სახსრებით არის ორგანიულად დაკავშირებული. აქ ცხადდება მასალობრივი გაგება ქვეყნის. ორგანიზაცია მყოფადური ფსიხიკის და ის ფუტურიზმს ავალდებულებს გამოაცხადოს თავი ახალი ეპოქის დამწყებათ ხელოვნებაში. ექსპრესიონიზმის შინაარსი არის რელიგია, ფუტურიზმი აკეთებს ეპოქის მატერიალიზაციისაკენ სწრაფვას. ფუტურიზმმა ფერადის, ხმის და ყოველგვარ აკუსტიურ და ოპტიურ ფორმების მატერიალიზაციამდე დაყვანა სცადა. როდესაც ფერადების მატერიალობა კანდინსკიმ ფერადების ბანალური დრამატიზმით მოსპო, კოკოშკამ პორტრეტების გამოფიტვა დაიწყო, პიხშტეინმა სრულიად წაშალა ორგანიული სხეულის ხაზული, რომელიც შემდეგ არავითარ ვიბრაციას არ აკეთებს და არ გადადის ახალ ნივთში, როგორც კუბისტ-ფუტურისტებში სჩადიან. ფუტურიზმის დაშლა არის პროცესი ლაბორატორიისათვის. ნარჩენებიდან შენდება ახალი ფორმები — ეს არის დამოუკიდებელი ნივთი ან ნივთისკენ სწრაფვა. კანდინსკი დრამატიზმით სპობს ფერადებს და მიდის მხატ-

ვრობით Заум ამდე (ეს წოდება კანდინსკის მხატვრობის ეკუთვნის [illegible] ალხაზიშვილს). ხლებნიკოვ-კრუჩიონიხის გაგების Заум-ი ცხადი [illegible] ბა პარალელური კანდინსკის შემოქმედების. ხლებნიკოვი Заум-ის დრამატიზმით არ იყო დაინტერესებული. ხლებნიკოვს "Заум" დაყავდა განსაზღვრულ ფილოლოგიური შრომის შემდეგ ნეოლოიგურ ამშენებლობამდე მეტყველების, რომელიც იყო ფორმალური აკუსტიური ღირებულების ნივთი. კრუჩიონიხს აინტერესებს „Заум"-ის აკუსტიური ღირებულება და მეტყველების კონსტრუქცია მუსიკალური ნაწილი. ამ შემთხვევაში მხატვრობაში პარალელი შეიძლება გაიყვანოთ დადაისტ მხატვართა ფრანსის პიკაბიასთან, ნაწილობრივ კი მალევიჩთან.

ექსპრესიონისტული აბსტრაქციებისკენ ლტოლვა დაიბადა გერმანეთის ინტლიგენციაში და ხელოვნებაში გერმანეთის დამარცხების შემდეგ, როგორც ჩემ მიერ ეს უკვე აღნიშნულ იქმნა მე-4-ე ნომერ „მნათობში".

შენიშვნა. ტიციან ტაბიძე სწერდა: **იმით რომ ინგლისის ტანკებმა დალეწეს გერმანეთის მილიტარიზმი, ამით თითქოს ხელოვნებისათვის არაფერი არ შეცვლილა. ჩვენის აზრით კი ექსპრესიონიზმის გამძლეობა სწორედ ამ განწყობილების შედეგი იყო. ამ ლიტერატორის ბიბლიოგრაფიულ აზროვნების მიხედვით არც რევოლიუცია ახდენს გავლენას ხელოვნებაზე, რადგან რევოლიცია თითქოს სიბრტყით მიდის. ეს მორიგი აბსურდი არ საჭიროებს სერიოზულ უარყოფას, რადგან რევოლიუციის სიბრტყით წარმოდგენა შეუძლებელი არის, რადგან უკანასკნელი განიზომება ოთხი განზომით.**

დემატერიალიზაციის იდეამ შეაწუხა ექსპრესიონისტები და ვინ იცის ეს დეფორმაცია გერმანულ ინტლიგენციის ფსიხიკას როგორ დაშლამდე მიიყვანს. სათანადო გამოკვლევებს რუსულ ჟურნალებში უკვე აქვეყნებს გერმანული პოეტი კარლ ეინშტეინი.

ექსპრესიონიზმის უკანასკნელი ციტადელი რჩება პაულ კლეს, კოკოშკას და შაგალს. ეს ექსკურსია საჭიროა რომ მივიდეთ ჩიხიდან გამოსასვლელ გზაზე, რომელსაც ეწოდება გეორგ გროსი.

კანდინსკის მეორე პოლიუსი აგრეთვე გახსნა პაულ კლემ, რომელიც შეიძლება. ჩაითვალოს ექსპრესიონიზმში პიკასოს მოწაფედ. კლე წარმოადგენს მუსიოს, რომელსაც კლასიკური მუსიკა ძლიერ ატყვევებს და პიკასოს კუბიზმში ის ურევს ახალ ინსტრუმენტიროვკას, რომელიც სრულიად სცვლის თითქოს ექსპრესიონიზმს. ეს ტრადიცია ძლიერ გავრცელებული არის ექსპრესიონიზმში. ისინი ღებულობენ ყველა წინა შკოლების აღმოჩენებს იმ განმარტებით, რომ ცოცხლობდა აქამდე მხატრობაში ბუნების მეტყველობა და მათ თითქოს დაუმატეთ რელიგია. ყველა ყუმბარებისთვის, რომელიც წინა შკოლების ასაფეთქებლად დაუდვიათ, მათ აქვთ რელიგიური შელოცვები, რომ დრამატიზმით აიცილოს მაყურებლის აღშფოთება. ექსპრესიონიზმში თქვენ შეხვდებით პიკასოს (ყველაზე მეტად გავრცელებული ავადმყოფობაა) შემდეგ ვან გოგის. გოგენის

ᲪᲘᲪᲮᲚᲝᲕᲐᲜ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲐᲓ ᲛᲐᲢᲘᲡᲐᲪ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘᲝᲜᲘᲖᲛᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ, ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ. ᲔᲡ ᲕᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘᲝᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲖᲔᲪ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ. ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲙᲠᲘᲐᲑᲘᲜᲘᲡ ᲓᲔᲙᲐᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲨᲔᲠᲔᲣᲚᲘᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚ ᲤᲣᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲥ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲞᲐᲠᲘᲖᲔᲚᲘ „ᲔᲥᲡᲔᲣᲚᲘ“ ᲓᲐ ᲟᲐᲜᲙᲝᲙᲢᲝᲡ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲖᲔ ᲔᲮᲚᲐ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲣᲠᲘ ᲓᲝᲚᲑᲐᲜᲓᲘᲗ ᲘᲭᲜᲔᲑᲐ ᲬᲔᲛᲝᲒᲐᲠᲡᲣᲚᲘ.

ᲙᲚᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲞᲘᲙᲐᲡᲝᲓᲐᲜ. ᲔᲡ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲡᲩᲐᲜᲡ ᲙᲚᲔᲡ ᲗᲘᲗᲔᲚ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲨᲘ. ᲐᲘᲦᲔᲗ ᲒᲐᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲬᲔᲗᲝᲓᲘ ᲞᲘᲙᲐᲡᲝᲡ „ᲡᲐᲚᲝᲛᲔᲘᲡᲘ“ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲗ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲡᲣᲠᲐᲗᲡ „ᲫᲘᲚᲘ ᲒᲔᲛᲑᲖᲔ“ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲞᲘᲙᲐᲡᲝᲡ ᲒᲐᲨᲘᲨᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲡ, ᲛᲘᲡᲢᲣᲠ ᲑᲐᲓᲔᲨᲘ ᲒᲐᲮᲕᲔᲣᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲡᲐᲑᲔᲖᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲜᲢᲘ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲣᲠ ᲔᲞᲝᲥᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲡᲢᲘᲙ ᲡᲐᲐᲪᲮᲝᲓᲐᲒᲝᲑᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲔᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘ. ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲝᲚᲓᲘᲜᲨᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲘᲮᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘᲝᲜᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲣᲗᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘᲝᲜᲘᲡᲢᲡ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ. ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲕᲘᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲝ ᲞᲐᲣᲚ ᲙᲚᲔᲖᲔ. ᲘᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲝᲡ ᲜᲘᲭᲘᲔᲠ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲐᲓ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘᲝᲜᲘᲡᲢᲔᲑᲨᲘ.

ᲕᲘᲚᲐᲪ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, — ᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲕᲘᲓᲠᲔ ᲞᲘᲙᲐᲡᲝᲛ. ᲙᲚᲔᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲙᲚᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ (ᲙᲐᲜᲓᲘᲜᲡᲙᲘᲪ ᲡᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲧᲚᲑᲔ). ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲜ ᲞᲘᲙᲐᲡᲝᲓᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲬᲐᲛᲝᲘᲦᲝ. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲢᲔᲮᲔᲚᲝᲑᲐ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ. ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ ᲙᲚᲔᲪ ᲓᲔᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲡ ᲐᲑᲜᲘᲗᲐᲠᲔᲑᲡ „ᲡᲙᲠᲘᲞᲙᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲠᲐ“. ᲔᲛᲝᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ-ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘᲝᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲙᲚᲔᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲙᲕᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲝᲑᲐᲛᲓᲔ. ᲙᲚᲔᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲬᲠᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐ. ᲙᲚᲔᲡ ᲨᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲑᲡᲢᲠᲐᲥᲪᲘᲣᲚ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ, ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲙᲠᲘᲞᲙᲐ ᲓᲐ ᲝᲛᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲡ ᲪᲘᲠᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲙᲚᲔᲡ. ᲙᲚᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲘᲗ, ᲜᲘᲭᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲡᲔ ᲤᲐᲑᲣᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ. ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲠᲔᲙᲐᲨᲘᲢᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲘᲗᲐᲜ. ᲔᲡ ᲬᲧᲔᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲖᲛᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲛᲜᲘᲡ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲣᲠ ᲔᲥᲡᲢᲐᲖᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲝᲜᲔᲑᲡ „ᲛᲐᲠᲘᲐ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲚᲡ“ ᲙᲚᲔᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲔᲤᲘᲤᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ ᲔᲥᲡᲐᲠᲔᲡᲘᲝᲜᲘᲖᲛᲨᲘ. ᲔᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ ᲣᲗᲣᲚᲝᲓ ᲔᲮᲚᲐ ᲐᲠᲐᲤᲘᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲠ ᲔᲒᲣᲤᲔᲑᲐ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚ ᲔᲛᲝᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲒᲐᲜᲘᲪᲐᲓᲐ ᲓᲔᲙᲐᲓᲐᲜᲡᲘ ᲣᲗᲣᲚᲝᲓ. ᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲛᲐ ᲜᲘᲰᲘᲚᲘᲡᲛᲐ, ᲔᲡᲔᲜᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲰᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲘᲕᲘᲖᲛᲐᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲛ ᲡᲐᲞᲐᲜᲐᲨᲕᲘᲓᲝᲗᲘ ᲒᲐᲡᲬᲘᲠᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘᲝᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ ᲐᲑᲡᲢᲠᲐᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲖᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘᲝᲜᲘᲖᲛᲡ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ ᲙᲠᲐᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲡᲓᲒᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲝᲜᲘᲐ ᲔᲚᲘᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲧᲝ ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲪᲔᲜᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲘᲝᲚᲘ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ ᲓᲐᲓᲐᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲚᲐ ᲪᲮᲐᲓ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ. ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲔᲪᲔᲪᲮᲜᲢᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲠᲝᲛ

გერმანეთში ექსპრესიონიზმი არას დროს არ ყოფილა, როგორც [illegible] მიმართულება.

ეპოქის განულის შემდეგ, როდესაც მხატვარი დარჩება როგორც მეთოდების საჭიროება, კლესგან ჩვენ ვერაფერს ვისწავლით, რადგან მთელი უკანასკნელი ფრანგული მხატვრობის მიღწევები იქმნა გამოყენებული და საკუთარი სახის არაფერი შემქნილა, თუმცა ერთ ჟურნალში — მთელი ხუთი გვერდი უნდება იმას რომ დამტკიცდეს თუ რამდენიათ დამოუკიდებელ შკოლას წარმოადგენს ექსპრესიონიზმი. ყოველ შემთხვევაში ამ განწყობილების დეკადანსი იყო დადაისტების ლოზუნგი „ჩვენც იდიოტები ვართ და თქვენც". გერმანული ექსპრესიონიზმი დაიღუპა. გერმანეთის მხატვრობა ამით განთავისუფლდა შეცდომებისაგან და ზოგიერთ ნიმუშებით ჩვენ ეიცნობთ კუბიზმიდან კონსტრუქტივიზმამდე მიმავალ მხატვრებს გრაფს, ბუნინს და სხვებს.

უკანასკნელ გამოფენაზე ექსპრესიონისტების დეკადანსი საკმაოდ გამოჩნდა ერთ რუსულ მხატვრობის გამოფენაზე ბერლინში. კანდინსკიმ გამოფინა სრულიად სუპრემატიული ფორმები რომელიც დაშორებული არის სავსებით წინანდელის „დლაბნის" ფერადების. არის „რგოლები შავ ფონზე" „კვადრატიული ფორმები" და სხვა. ეს ნათლად ამტკიცებს თვით გერმანეთის ექსპრიონიზმის გადატეხას. ეს პოლიუსი ყოველ დღე მატულობს პროკენტებს და მხოლდ საჭიროა დასახელებულ იქნეს ახალი მხატვრები, რომ იგრძნო ექსარესიონიზმის მოსპობა.

ცენტრი გერმანეთის მხატვრობის, არის გეორგ გროსი. ჩვენ ვლაპარაკობთ გროსეზე მოგვიანებით როდესაც მისი რეზონანსი გერმანეთის გადაღმა გადავიდა და მას რევერანსს უკეთებს პოეტი მხატვარი ჟან კოკტოც. გროსს ვერ მიაკუთნებთ თქვენ ვერც ერთ მხატვრობის შკოლას, მან გაიარა მთელი სერია აზროვნების და პრაქტიკის. დღეს მის გრაფიულობას მე მგონია დაბეჯითებით წინამორბედი არა ყავს. მას არა აქვს ფორმალური მეთოდი მთელი საფეხურები. გროსს აინტერესებს ფსიხლოგია, ფსიხოლოგიური დრამატიზმით ის აშენებს რაღაცა ბავშურ ხაზებით.

ფსიხოლოგის გადმოცემისათვის გროსს დახასიათებული ყავს ორი კლასი ბურჟუაზია და მუშები. როგორც გერმანელი კომუნისტი მას სწამს ბურჟუაზიის დეკადანსი და მათი აზროვნების გამოფიტვა. ამისთვის მთელი ფსიხოლოგია გადმოცემული გროსის მიერ დახატულ ფიგურებში ატარებს დეკადენტურ მიმიკას, რომ ისინი დაღუპვის წინ დგანან. გროსი ერთ წერილში ამბობს: ხელოვნება მეორე ხარისხოვანი საქმე არის და თუ მაინც არსებობს საჭიროა მისი უტილიტარიზაცია, ეს ლოზუნგი გაამართლა მან. მე არ ვიცი უფრო გავრცელებული სურათები მუშათა მასაში ვიდრე გროსის. ის უთუოდ უტილიტარული არი ბურჟუაზიული ფიგურების დაღუპვის პროპაგანდში. აგრეთვე ომის ათი წლის თავი, აღნიშნავს გეორგ გროსი როგორც უდიდეს მხატვარს ომის მთელი რაობის გადმომცემისა გროსმა ბევრი ბიბლიოგრაფული აღტაცება მიიღო და ეხლა საჭიროა მისი შემოქმედების საქმიანი ანალიზი.

16 წლებში შვეიცარიის ახალგაზრდა ემიგრანტების შორის გროსთან ერთად არსდება დადაიზმი—აქ მთავარ მომუშავეთ ითვლება გეორგ გროსს.

შეიძლება მისი მიხვედრა, იმან გამოიწვია, რომ მაშინ დადას მეთაურობდენ გერმანელები განსაკუთრებით. ამისთვის კიდეც არსებობს პარიზელების საყვედური რომ დადა გერმანული მოდგმის არის. ყოველ შემთხვევაში ფაქტების აკროაბატიკას (და არა წყებას) იქ მივყევართ რომ გროსსის შემოქმედების საწყისი მოდის დადადან. რასაკვირველია დადა არ არის მიმართულება — არც შკოლა — იქ უფრო ემოციონალური განწყობილებაა, რომელიც ხშირად რეფლექსიებზეა დამყარებული. ამ შემთხვევაში გროსმა სცადა დადას განსაზღვრულ მეთოდებამდე დაყვანა. თუნდ დადას უკანასკნელ მსოფლიოს მიფურთხებისთვის მას არ აღალატნია. რასაკვირველია მისაფურთხად ის გრძნობს ბურჟუაზიულ ქვეყანას... მან დადას პროცესი სრულიად მიიღო და დეგენერაციის ფიგურები ყველაზე მე-

ᲒᲔᲝᲠ�გ ᲒᲠᲝᲡᲘ. «ᲛᲔ ᲕᲐᲠ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ».

ტად გენიალურად გამოხატა. მე ელაპარაკობდი (იხ. პროექტი ახალი კრეისერის) რომ დადა არის დაყვანა ბავშის ფსიხიკამდე — ეს პოლიუსი გროსში დადასი არის განვითარებული, მას აქვს უბრალო პრიმიტიული, გრაფიული და ბავშური ხაზებში საოცარი მდიდარი აპერცეპცია ფსიხიურ განწყობილების გადმოსაცემად. ფუტურიზმი იყო მოძრაობის ძველი ფორმების და ფსიხიკის უარყოფა — კუბიზმი სიბრტყის და მოცულობის აგებულებით ფსიხოლოგიის უარყოფა. დადა წინააღმდეგ ფსიხოლოგიურ განცდის გადმოცემით ფსიხოლოგიის ტეროის

ან უკეთ რომ ვსთქვათ დრამატიზმის ტერორს წარმოადგენს. ამ ტერორს ბოლოს მოძრაობის კომბინაციები გადადის ყოველთვის ფსიხოლოგიურ განწყობილების კომპოზიციაზე. ცენტრო-ფიგურა ხელოვნების არის იქ სადაც ჩვენ ვასრულებთ, სადაც დადა და ფუტურიზმი შეხვდებიან ერთმანეთს *).

აქედან მოდის კონსტრუქცია ფსიხოლოგიზმის რომელიც დაიწყო ჩარლ ჩაპლინმა, გეორგ გროსმა და პოეტ დადაისტებმა, სულ სხვა გზით ბორის პასტერნაკმა. აქ პოლიუსები: დადა — კონსტრუქტივიზმი, ფუტურიზმი — კონსტრუქტივიზმი. რუსული კონსტრუქტივიზმი საწყისს იწყებს ფუტურიზმიდან. გროსსის კონსტრუქტივიზმი — ფსიხიკის კონსტრუქტივიზმი — საწყისს ღებულობს დადადან.

შენიშვნა. ეს მეორე პოლიუსი გროსსის დამოუკიდებლად შემოიტანეს შეგნებულად (გროსსი ქნის ამ გზას სრულიად შეუგნებლად და ამის გამო კუს ნაბიჯით) ქართველ ფუტურისტებმა.

ფსიხოლოგიურ ღირებულებაზე ვილაპარაკო. დადა მოდის ფსიქოლოგიზმით. დრამატიზმის განადგურება ისევ დრამატიზმით, ფუტურიზმი მოძრაობით უარჰყოფს დრამატიზმს, ან მთელი შემოქმედებით ან ფორმალური მეთოდების წინ წამოყენებით. კონსტრუქტივიზმით აღმშენებლობითი სჰობს დრამატიზმს. დადას ეს არა აქვს. დადა თვით ემოციონალიზმია, მას აქვს დრამატიზმი, ამ დრამატიზმით ის ახდენს ტერორს. ეს პოლიუსი უთუოდ საჩს გეორგ გროსში და ის შეიძლება მხატვრობაში ყველაზე გენიალურად ასრულებს ამ გაგებას. მას რეალიზმიდან ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს გვერდზე, როდესაც მისი გასამართლება ნოაწყვეს ბერლინში მან განაცხადა: „მე მხოლოდ სინამდვილის გადმოცემა მინდოდა და სწორედ ეს შევძელი“.

გროსს მე ვერ დავარქმევ კონსტრუქტივისტს, თუმცა ის თავის თავს უწოდებს ასეთს ჟურნალ „ლეფში“. ნ. ასეევმა მშვენიერად დაახასიათა თავის მოთხრობაში გროსსი „ოცი თაგვებთან“ მე აქ ვიგრძენი რომ გროსსი ენათესავება წარსულში გოგოლს. სახეები ფიგურალური წყობა — შემდეგ ფიგურის გამოცარიელება, მხოლოდ ირონიის დატოვებით ან მკვდარ სულების განსახიერებით, ის უახლოვდება გოგოლს. რასაკვირველია გოგოლი დადაისტებთანაც ახლოს დგას.

ყოველივე ამასთან გროსსი მაინც უფრო დადაისტია — ჟურნალ გაზეთებში პიკაბიას უძახიან დადაისტ მხატვარს. პიკაბია ცნობილია როგორც კუბიზმის ბრძოლაში ერთ-ერთი მთავარი მოღვაწე და შემოქმედი. უკანასკნელად მე ის მაგონებს მალევიჩს. სუპრომატიზმს და დადას არც ერთ პრინციპს არ აკმაყოფილებს, თუ გინდა იმასაც, რომ დადას არაფითარი პრინციპი არ აქვს.

---

*) შეიძლება დასახელებული იქნას როგორც გროსის ფეტლიტონული დადაიზმის პარალელური მოვლენა ქართულ დადა N_3SO_4-ის საბჭოდან. იქ იქნება ახალი ცენტრი ხელოვნების.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეცნიერება და პუბლიცისტიკა

ნ. მარრი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაპერწკლები და შენიშვნები იაფეტური თეორიის შესახებ*)

ხიდი ჩატეხილია. დიახ, ჩემი ბრალია, ცოცხალი ენით რომ გამოვთქვათ, ჩემი ბრალია, ხიდის ჩატეხილობა კი არა, ჩატეხილი ხიდის დანახვა და აშკარა საქმეთ შექმნა. მარტოკა დაჯინებული ბრმა იტყვის, არა უშავსო, დაე, ჩატეხილი იყოს ხიდიო, ჩვენ მაგიერში გამოლმა დავრჩებით ყოველ საშიშროებისაგან დაცული და ამდენ ხანსაც დღე არა ცუდათ მოგვიჭამია, მოვიშორებთ თავიდგან ამ მარბეველ გაყალბულ იაფეტმეტყველს ან იაფეტიდოლოგს და სრულიად უბრუნველათ და უხიფათოთ განვაგრძობთ ჩვენს ჩვეულებრივ საქმეს. მართალია, ისეთ წერტილამდის მივსულვართ, რომ გასავალი აღარა გვაქვს, გაკოტრების გზაში ჩამდგარვართ, მაგრამ სიბრძნე კაცს რატომ შესწევს თუ გაჭირვებაში ვერ მოიხმარებს!

ჭკუაზე ხელ არაღებული ადამიანი, მით უმეტეს მეცნიერი, კარგათ მიხვდება, თუ რა არის გაკოტრების მიზეზი და გასავალი გზის უპოვრება: თვითონ საკითხებია ისეთი, რომ სჯობს ხელი არ ვახლოთ, თორემ სიკეთე არ დაგვადგება. ძველათაც უძებნიათ მათი ახანა და მიუტოვებიათ, მიმხვდარან—ასეთ საკითხებზე კვლევისაგან არაფერი სახრავი არ გამოსულა და ვერც გამოვაო. აი, თუნდა ბერძნულ ენის აღორძინება პატივცემულ პროფ. Meillet'ს აზრს თუ მოვისმენთ, განა იმავე მეცნიერულ სასოწარკვეთილებას არ გვიჩვენებს: აბა, ადრინდელ ენების, იმ ენების, რომელნიც ბერძნების გაჩენამდი ძირმობმული ყოფილან ისტორიულ საბერძნეთის ტერიტორიაზე, რა ზედმოქმედებაზე შეიძლება დინჯათ საუბარი ბერძნულ ენის დამართვითო; დაპყრობილი ახალი ერი, ბერძენი, თავის მშვენიერი ენით ჩამოსულა თავის საპყრობელოში და იქაურობაზე მყოფი სხვა ენით მოსაუბრე ნათესავები აურეკია და გაუდენია, გურული თქმით, „სკვარამში": წინ წყალი და უკან მეწყერი, რა ჩვენი საქმეა, მათ გამოვედევნოთ და მათი ენა ვიძიოთ, განა ის არ კმარა რომ ბერძნული დაგვრჩენია და მის კვლევასაც ვერ ვყოფნით, მით უმეტეს რომ ათი პროცენტის გარეშე ხომ არც კი გვესმის სიდან წარმომდგარან ბერძნული სიტყვები!

*) ავტ. ნ. მარრი მუდმივად ითანამშრომლებს ჟურნალ „მნათობში".

რედაქცია.

ეროვნული

მოდი და ასეთ მსჯელობის შემდეგ სპარსელს ნუ მიეცემ ... ...

ტოტემურ მხეცმა ჩემშიც არ გაიღვიძოს და თვალები არ დამიბრმავოს. მეთქი, მისთვის მივეჩქარები ოცნების გამქარვებელი დიდის სევდიანი dahin, dahin, სადაც, მართალია, ფორთოხალი და ლიმონი არ ყვავის, მაგრამ ჯერ კიდევ მეცნიერული აზრის დუღილი და წინსვლა ან შემწყდარა. მაინც არა თუ ანდერძათ, ჩემი ზოგადი აზროვნების გამოსაშუქებლათ, თუ ვისმე აინტერესებს, შემდეგი ჩემი რწმენა უნდა გამოგიცხადოთ. ვინც მეცნიერებას ღალატობს შეგნებით თუ შეუგნებლათ, იგი კაცობრიობის მოღალატეა და ვინც კაცობრიობას ღალატობს, ის თავისი ერის მოღალატეა. კაცობრიობის წარმატებისთვის შექმნილ და ამ წარმატების შესაქმნად არსებულ კალაპოტს გარეშე სუფევს მხოლოთ ერთი გზა, ეს გახლავსთ გზა უკუმსვლელობისა და დაღუპვის, ერის სულიერ სიკვდილის და აუცილებელ განადგურების...

რაც ჩვენ მეცნიერულ დარგის უფრო სპეციალურ საკითხებს შეეხება, ლენინგრადიდან ახლათ მოწევნილ ამბავს მოგახსენებთ. ეგვიპტოლოგ ფრანკ-კამენეცკს შეეხება. პროფ. ფრანკ-კამენეცკი უკანასკნელ ჟამს მოგვეხსენა არა სიტყვით მხოლოთ, საქმითაც. იაფეტური მეთოდი და ქართული ენა შეითვისა ჩინებულათ და მითოლოგიის გამოკვლევის ძირადი საკითხების დასმით და თან მათ გამოშუქებითაც ახალი ასპარეზს გვიშლის წინ იაფეტურ თეორიის საშოქმედოთ და გასამარჯვებლათ. უკანასკნელათ მას წაუკითხავს მოხსენება შემდეგი სათაურით: „იაფეტური მხედველობა ძველი აღთქმის პოეზიაში". მიუხედავათ ლენინგრადელთ აუდიტორიის, მეტი თუ არ ვთქვათ, ცივ და გულგრილ) თუ გულში ქვაჩამალულ?) მიღებისა, ის მაინც თავისას არ იშლის და მედგრათ მიყავს თავის საქმე. კერძო წყაროდან მატყობინებენ, მოხსენება ღრმა და ძალიან საცნობისმოყვრო იყო და მსმენელებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. თვითონ მომხსენებელი კი 6 მაისით დათარიღებული ბარათით (ახლა ჩამივარდა ხელში) მწერს: „რაოდენ თანდათან ინდოევროპეისტებს ვცნობილობ, იმოდენ იზრდება ჩემში რწმენა ჩემი სიმართლისა. შემთხვევით წავაწყდი Dellbruck'-სი წიგნთაგანს grundr. der Sprachforschung. ამ წიგნში ავტორი ხედმიწევნით განიხილავა პაულის და ვუნდტს შორის ატეხილ კამათს. ეკამთება რა პაულის, ერთ წყება არსებითი პუნქტებში ვუნდტი გამოთქვამს იაფეტიდოლოგიის დებულებებთან ნიახლოვებულ აზრებს. კერძოთ ვუნდტი მაგრათ სდგას მაზედ, რომ არსებითი სახელი ზმნაზე უწინ სუფევდა, რომ ცნებათ აღორძინება პირვანდელ რთული წარმოდგენის ნაშედეგარია (ე. ი. დიფერენციაციის ნაყოფი), რომ მოელენებს სახელი რქმევია არა მათ მრთლივ დამახასიათებელ თვისებების ამოწურვით, არამედ მხედველობაში მიღებით ერთ-ერთ ნიშნის, რომელსაც განსაკუთრებით მწვავე ან ძლიერი აფექტის გამოწვევა შესძლებია და სხვა... პაული, რასაკვირველია, ეჩვობს, რომ ვუნდტის თეორიას რაიმე სარგებლობის მოტანა შეეძლოს ენათმეცნიერებისთვის, თვით ვუნდტი კი მას ეკამათება, ასეთი ბიზანი არც მქონიაო, ოღონდ მსურდა, ოდნავ გამომეყენებინა ენათმეცნიერება ფსიქოლოგიისთვისაო. ვფიქრობ, ფსიქოლოგიისთვის ენათმეცნიერებას იგი უფრო გამოიყენებდა, რომ მის ხელში ყოფილიყვენ იაფეტურის და არა ინდოევროპულ თეორიის მოცემული დებულებანი. სხვაფრივ რომ ვთქვათ, ვუნდტის დებუ-

ლების განვითარებით იაფეტიდოლოგიას შესაძლებელია ჩაეყაროს ფსიქოლოგიური საძირკველი, რაც განსაკუთრებით ჩემთვის იმიტომ არის საინტერესო, რომ ამ გზით ერთი ზოგადი ნიადაგი გაგვიჩნდებოდა აგრეთვე მითოლოგიისა და პოეტურ ხელოვნებისათვისაც.

მე აქ მას არ ვეხები, რომ თვითონ პაულის შრომის ახალ გამოცემაში იმავე აპრიორულ წეხედულობათ დაცვას ვპოულობთ, რასაც, ოცდა ორი წელია მას აქეთ, თითონ ამაოთ იცავდა. არც იმას ვეხები, რომ ვუნდტი მისდა უცნობლათ, ჩვენი დებულებათ მომხრე გამოდის თვით ენის აღორძინების გამოშუქებაში, როცა ბგერათ მიბაძვითი წემოქმედებას უარყოფა, და აგრეთვე სხვა საენათმეცნიერო მძიმე საკითხებშიც. მაგრამ გულახდილათ გამოვტყდები, თვით ვუნდტიც რომ წინააღმდეგი აზრების დამცველი ბძანებულიყო, ჩვენს სათქმელს ჩვენ მაინც ვერ მოვიშლიდით, რადგან ამ თქმას გვაიძულებენ შეუბღალავი და ეჭვმიუტანელი ენათმეცნიერული მოვლენანი და ფაქტები.

* * *

აფხაზებთან ქართველების ენებრივი განწყობილება ძალიან გაფრთხილებულ ყურადღებას მოითხოვს. პირველანდელური (პრიმიტიული) აზროვნობა აქაც დიდათ მავნებელია მეცნიერ მკვლევარისათვის. პირდაპირ გზაზე ელობება სიმართლეს, მასთანავე ჯეროვან მსვლელობას და მიღწევას გვიძნელებს. ენაში მეცნიერი მუდმივ უნდა ეძებდეს შეჯეარედინებულს, სხვადასხვა თესლის ენებისგან შეკავშირებულს და შემდგარს აგებულებას და არა რაღაც არის დროს არ ყოფილ მარტივ ერთეულებას. ჩვენ რომ ადრინდელი ხანების ქართული ენა **ერთთბისეულ მასივათ** გვეჩვენება, ერთი რამე წმინდა შეურევნელი თესლის ენისგან ჩამოყალიბებულათ, ეს იმას მოასწავებს, რომ ჩვენი საკვლევრო მოძღვრება ცალმხრივათ არის ჩამოყალიბებული და ენის ნამდვილ ვითარებას ანგარიშს ვერ ვუწევთ. თითო ენაში სხვადასხვა თესლის ფენა ირევეა, არა ერთი და არა ორი, ზოგი მეტმნიშვნელოვანი, ზოგი ნაკლებ მნიშვნელოვანი. აფხაზურის ერთი ვრცელი ფენა სრულიად იგივეა, რაც ქართული ენის ძირეული წანალეკი. მაგრამ ეს სრულებით არ მოასწავებს, რომ აფხაზურში ეგ ფენა, ან ელემენტების წყება, პირდაპირ ისტორიულად ცნობილი ჩვენი ქართული ენისგან ყოფილიყოს შეტანილი აფხაზურში. პროცესი ისეთ ხანას ეკუთვნის, როცა ქართული მისი ისტორიულათ დადასტურებული სახით არც კი სუფევდა. თვით სიტყვების სახეები ერთი მეორისგან დამოუკიდებელ წყაროს გვიჩვენებენ, მაგალ.—ქართ. „სულ-ი", აფხ. „ა-ფსჷ" სიტყვების ფუძეები „სულ", „ფსჷ" ერთი და იმავე თესლის ენისაგან არიან ნაწარმოები. აფხ. „ფსჷ" სიტყვაში თანხმოვანებს თავიანი ადგილი შეცვლილი აქვსთ, თან „ჷ" წარმოადგენს შესუსტებულ დაკარდნილ „უ"-ს, ფერდაკარგულ „ვ"-ს, ასე რომ პირველანდელი მისი სახე ყოფილა „სვუ" — „ფსუ" — „ფსვ". რასაკვირველია, ადვილი სათქმელია, აქ აფხაზურს დამაბოლოებელი „ლ" შეუკვეცია, თითქო „ფსვ" (—ფსლე) პირდაპირ ქართულისაგან შემოღებული ახალი რამ სახე იყოს აფხაზურში, მაგრამ წარმოიდგინეთ „ფსვ" —„ფსჷ ფუძეს მათუსალაზე სამჯერ და ოთხჯერ მეტი დღეგრძელობა შესწევს. იგი ბერძ-

ნული ენის გაჩენამდი ყოფილა და ამიტომაც ფუძე „ფსვ“, იაფეტურად მოვალობითი დაბოლოვების (-ხე) დართვით, სახელდობრ „ფსვ-ხე“ [illegible] ენის ლექსიკონში შესულია როგორც მისი მკვიდრი ნაწილი.

სულ სხვა საქმეა აფხ. „ა-წლა“ 'ხე'. აქ ძირის თანხმოვანები (წლ) სავსებით დარჩენილან და ხელუხლებლათ, მხოლოთ უფრო ძველი სახით, სახელდობრ „წ“ (წლ) ბგერის დაცვით **ძილის** (ძ) მაგიერ: ძირ. „წლ“— „ძლ“, საიდანაც ქართული „ძელ“ (ძველათ ნიშნავდა საზოგადოთ 'ხე'-ს და არა 'ფიცარ'-ს). როგორ მომხდარა, რომ ქართულში ეგ სიტყვა „ე“ ბგერით გახმოვანებული წარმოგვიდგება ხოლმე ან რა განწყობილება აქვს სომხურ „წარ“ სიტყვასთან, რომელიც აგრეთვე 'ხე'-ს ნიშნავს, ეს ზოგ მხრით უკვე გაკვრით გაშუქებულია დაბეჭდილ წერილებში, ზოგ მხრით ხელ ახლა განსახილველია. აქ მხოლოთ მას ვაქცევთ ყურადღებას, რომ აფხაზური ფუძე „წლა“ ან ძირის თანხმოვანები „წლ“ ისტორიულათ ცნობილ ჩვენი ქართულისგან არ არის შესული აფხაზურ ენაში. ამ საკითხის სრული გაშუქებაც ორგანიულათ შეძერწილია იაფეტურ თეორიის ერთ დიდ სადღეისდღეო პრობლემასთან. ეს პრობლემა გახლავს სარმატული ენის ვინაობა და აფხაზურის იმ ერთი ფენის, რომელიც ქართულს ანათესავებს აფხაზურს, სარმატულთან განწყობილება.

„ძელ“ სიტყვის ადრინდელი სახის „წელ“ და ქართული „წელ“, 'წელიწად'-ს რომ ნიშნავს, ამ ორ სიტყვის სრული ბგერის მხრით შეხვედრა შემთხვევითი მოვლენა არ გახლავს. ეს განსაკუთრებით საინტერესო საგანს წარმოადგენს ისტორიაზე წინდასწრებულ ხანაში ყოფილ მნიშვნელობათ წარმოებისთვის. მაგრამ აქ საჭირო არის მკითხველს გაცნობილი ჰქონდეს 'ძელის' (ხის) მითოლოგიური მნიშვნელობა, როგორც ის უკვე გამოურკვევია პროფ. ფრანკ-კამენეცკს ოზირისის თქმულების ანალიზში ქართული თანაბარი ზღაპრების შესწავლით. მისი მოხსენება, შარშან წაკითხული საიაფეტურო ინსტიტუტში, უკვე იბეჭდება და საკითხს შემდეგ დავუბრუნდები.

„წელი“ 'წელიწადის' მნიშვნელობით—ახლა, მგონია, იაფეტურ ენათმეცნიერების ფსუსურ პაექრობაც იცის, თუ მისთვის ქართული ან სომხური მეთვრამეტე საუკუნის მეთოდით არ უსწავლებიათ (ვაგლახ, კავკასიაში ესეც არ გვაკლია თურმე) ცნობილი ფორმულისა დაგვარიათ (წელ II *ჭარ-, ტარ-) სომხურის „ტარ-ი/ე“ სიტყვის (იგიც 'წელიწად'-ს ნიშნავს) ფარდია, ორივე ერთი ძირი ორი სახე გახლავთ. მათგან „ტარ-ე“ პირველ მეგრულ-ჭანების ბუნებრივი საკუთრება ყოფილა. სომხური ენის ერთ ფენას ხომ მეგრულ-ჭანური ჯგუფის ელემენტები შეადგენენ. სომხურის ამ დარგის ფენისაგან არის სიტყვაც „ჭანჯ“ 'მ-წერ-ი', თვით ქართული „წერ“ ფუძის პირვანდელი მეგრულ-ჭანური სახე, და „სხვანი მისთანანი“. არც ის წარმოადგენს ახალ რამეს და გასაგებათ ძნელ მოვლენას, რომ ქართ. „წელ-ი“, სარტყლის შემოსარტყამი სხეულის ნაწილი, „წელ-ი“ 'წელიწადი' ერთი და იგივე სიტყვა არის, ორივე ცის ცნებაზე აღორძინებული. ერთი, სახელდობრ „წელ“ 'წელიწადი', ცის ტრიალ-ბრუნვასთან და ნოზრუნებასთან მინამსგავსი (ამას ქვემოდ ცალკე შევეხებით) და „წელ“ რუს. талья, ფრანგ. ceinture, 'სხეულის შეა-ადგილი, სადაც სარტყელი (ფრანგ. იგივე

ceinture) ირტყმება, ცის სიმრგვალესთან შეთანაბარებული. ასეთ მნიშვნელობათ ისტორიის მიზეზია, რომ ქართულში ჩვეულებრივ ხმარებული „ქამარ-ი“ 'სარტყელი' და „კამარ-ა“ voûte, arc, 'ცის კამარა' ერთნაირათ წარმოადგენენ 'ცა'-ს, უკეთ მის მრავლობითი სახეს 'ცანი' ან 'ცები', რადგან ორივე სიტყვაში დაბოლოვება „-არ“ მრავლობითის ნიშანია[1]).

მაგრამ საქმე რთულდება და მისახვედრათ ძნელდება, როცა გადავდივართ ერთ სხვა ცნებაზე, აგრეთვე ცის მანიშნ სიტყვიდან წარმოებულზე. თვითონ სიტყვა „ცა“ გზის გამკაფველია ამ უფრო განყენებულ საგანზე მისასვლელათ. „ცა“ ხომ ბოლო-შეკვეცილ სიტყვას წარმოადგენს. მისი პირვანდელი სახე ყოფილა „ცავ“ II „ცამ“. ამ პირვანდელ სავსებით აღებულ სიტყვის ძირითადი თანხმოვანებისაგან „ცმ“ წარმომდგარია ზძნა „ცემა“ ორივე მისი მნიშვნელობით 'მიცემისა' და 'დაცემისა'. საქმე იმაშია, რომ „ცა„ (—„ცამ,“ „სამ“) იაფეტელებს პირველში სამნაირათ ჰქონდათ წარმოდგენილი: 1) 'ზედაური ცა', ესე იგი ჩვეულებრივი ხმარებით ჩვენი „ცა“ (ამიტომ მას ზე-ცა“-ც ჰქვია), 2) 'ქვედაური ცა' (შეად. „ქვე-ყანა“) ან 'მიწა' და 3) 'ჩვენს ქვეითი ცა ან ქვესკნელი'. „ცემა“ 'მიცემის' ან 'მოცემის' მნიშვნელობით 'ზეცის' წარმოდგენაზეა მიბმული და 'დაცემის' აზრით 'ქვეცის' ან 'მიწის' წარმოდგენას უკავშირდება. ამას, უკვე ხშირათ ახსნილს, ვეჭვობ, მეტი ლაპარაკი სჭიროდეს. ოღონდ ყურადღებას მივაქცევ იმ ფაქტს, რომ „წყალობას“ ('მადლს', 'მოცემას') აგრეთვე მიუძღვის სემანტიკური, ესე იგი მნიშვნელობის შესახებ თანაბარი ისტორია. ეს ზმნა უბრალო და მარტივ „წყალ-ი“ ცნებისგან არ წარმომდგარა. „წყალ-ი“ პირველში ნიშნავდა რთულ ცნებას 'ცანი-წყალნი'. მაშასადამე „წყალ-ი“ ნიშნავდა 'ცას', და ისიც არა თუ მარტო 'ზეცა'-ს, არამედ 'ქვეცა-ქვეყანასაც, 'ში წა-ს და თვით 'ქვესკნელ'-საც. ამისი დამამოწმებელი ფაქტები მარტო ქართულ ან საზოგადოთ იაფეტურ ენებში არ ინახულება. ებრაულ ენაშიც ის თავს მკაფიოდ იჩენს როგორც შთაჩენილობა. საინტერესოა ამ მხრით ებრაული ტერმინი „შალ (шеол). მაგრამ ამჯერათ ჩვენ გვიტაცებს 'ცის' მნიშვნელობის ნაქონ 'წყალ' სიტყვიდან 'დაცემის' და 'ცემა-რტყმის' ცნების წარმოშობა, 'წყალობა-მოცემის' გარდა.

აქ მოხსენებულ სიტყვების შეთანასწორების და ერთმანეთისაგან წარმოების გასაგებათ მოუმზადებელ მკითხველს სამოდე კანონის ცოდნა სჭირია ბგერათ ბუნებრივ ცვლილებათაგან. ერთი უკვე შეგვხვდა, სომხურში შესულ მეგრულ-ჭანურ სიტყვების ჯგუფს რომ შეეხეთ. ნაშინ მოვიხსენეთ სიტყვა „ტარ-ე“ —, „ტარ-ი“, რომლის „ტ“ რთული ბგერის (ჭIIწ) მაგიერობას შვრება. ეგ მოვლენა წინად იმდენჯერ დაგვისაბუთებია, რომ აქ მეტს ალარ შევჩერდებით. მეორე გახლავთ „რ“ ბგერის გაბატონება ჩვენს სიტყვაში, თვით ქართულ მის სახეში: „წყალ“ ფუძის მაგიერ „წყარ“ ფუძის ხმარება (შეად ჭანური „წკარ-ი“ 'წყალი'). ვთქვათ ქართულ სიტყვაში „წყარ-ო“: ეს წარმომდგარა სხვა და სხვა ნათესავურ ენების შეჯვარედინების წყალობით, სახელდობრ მეგრულ-ჭანურის

[1]) კამარის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილე ჩემი წერილი ფრანგულათ Яфетический сборник-ში (წიგნი II).

შემონატანი წილია ქართულში. აგეთივე ისტორია მიუძღვის [illegible] ღმერთას სახელს „იშტარ"-ს („რ" ლასის მაგიერ გამოდის, უნდა [illegible] „იშტალ", იხ. „შ"II„ს" ბგერის გასპირანტების შემდეგ „იტალ"—„ითალ" ნათესაურ სახელებში „იტალ-ი" აპენინის ნახევარ კუნძულზე და „თალ+2შ-ი" კასპიის ზღვისპირათ[1]). მესამეც „რ" ჩარეულ სამთანხმოვან ძირებში ბგერათ ადგილის ცვლა გახლავსთ, მაგალ. „წყრ" (II„წყლ") ძირიდან „ა-რწყო" ან ზედშესრული „უ-რწყ-ულ-ი" ‚უწყლო' თითქო ძირი იყოს „რწყ" და არა „წყრ" მაგრამ აფრიკატი ბგერა („წ"—„სტ"II„შტ"—„ჭ") რადგან თავის სიბილანტს („ს"II„შ") ჰკარგვიდა, ესე იგი „წ"II„ჭ" მარტივი „ტ" ბგერის სახეს ღებულობდა, ცხადია, „რწყ" უნდა გამხდარიყო „რტყ". და სწორედ ეს ძირი გახლავსთ, რომ „წყალის" პირვანდელი წარმოდგენის დაცვით ('ცა') მას ზმნა მოუნიჭებია ჩვენთვის ორი ვერ მიმხვდართათვის შეუსაბამო მნიშვნელობით—'წელზე ქამარის შემორტყმით' („სა-რტყ-ელ-ი", „ი-რტყ+ამ-ს", სვანური „ლა-" წინსართით „ლა-რტყ-ა" და 'ცემა-რტყმით, „უ-რტყ+ამ-ს", „ა-რტყ+ამ-ს", „და-არტყა" და სხ.

ორივე მნიშვნელობა 'ცა' აზრ-წარმოდგენაზე მიდის, ერთი მნიშვნელობის ხაზგასმით. 'ცა'—, ‚ზეცა' 'ქამარა'—, 'ქამარი', მეორე 'ცა'—, 'ქვეცა—ქვეყანა (მიწა)—', „მიწაზე დაცემა"—' 'ცემა-რტყმა'. ამ ძირის („რტყ"—"რწყ" „წყრ" II"წყლ") პირვანდელ ცის მნიშვნელობაზეა აგრეთვე აღმოცენილი ზედშესრული "პ-რტყელ-ი" 'სრული', spacieux, large, plat, просторный, широкий, плоский, რადგან „ცა" ნიშნავდა აგრეთვე 'სივრცეს' espace, пространство. წვრილმანებზე აქ არ შევჩერდებით, მაგალითათ ბგერათ ცვლაზე „მ" „პ" (შეად. „პ-ლე-ბე"-ი, „პელას-გ"-ი და სხვა) ან მდაბიო თქმაში „რ"-ის დაკარგვაზე („პ-ტყ-ელ-ი" „პრტყ-ელ-ის მაგიერ).

ჩვენ ამ წამს უფრო გვაინტერესებს ის მოვლენა, რომ ენის პალეონტოლოგია გვიკარნახებს ‚სივრცის' და 'დროის' ერთ და იგივეობას პირვანდელ კაცობრიობის წარმოდგენით, ორივე ცნება ერთი სიტყვით გამოითქმოდა: „ცა" ნიშნავდა ერთის მხრით 'ძრვას'—, 'მცვლელობას , 'სივრცეს'. მეორე მხრით 'წელიწადს' , 'დროს' ('ჟამს').

აფხაზების დიდი ღმერთი „ითარ" (ვანუსაზღვრელობის ნაწილაკით ან წინსართით „ა-": „ა-ჯთარ") 'ხვადაგის პატრონი', —ახლა უკვე დასაბუთებული გვაქვს,—იგივეა რაც შვამდინარეთის ცნობილი ღმერთა, ზოგჯერ მამკაცადაც დასახული, „იშტარ". იშტარი შვამდინარეთში მიჩნეული იყო უფრო სიყვარულის ღმერთათ და ომისაც, თუმცა არა ნაკლებ მონადირეობის, ნადირთა ღვთაებათ. ამ „ითარ"-ის თუ „იშტარ"-ის ან „ა-სთერ-ია"-ს შთამომავლობა უამრავია სხვა და სხვა ენაში, რადგან პირველი მისი მნიშვნელობა არის „ცა", ქართულში არა ერთი კვალია მისი ჩარჩენილი, „წარ-მათ"-ის" (შემდეგ „წარ-მართ") ფუძე „წარ-", აგრეთვე ჭან. „ლორ-მოთ"-ის, სვან „ლერ-მეთ"-ის „ლორ". II„ლერ-" და სხვა. დაწვრილებით შემდეგ. ახლა მხოლოთ ერთი: ეგ სიტყვა ღმერთსაც ნიშნავდა და ტოტემს „ლორ"-საც (აგრეთვე ლერ IIმეგრ. ლეჯ-ი, სვან. ყერ 'წმიდანი'ც და 'ლორიც').

4 ივლისს, ცხუმი.

[1]) აქ მოყვანილ საკუთარ სახელებზე სხვაგანაც გეისაუბრია. მათვე შეეხებით „ადრა-ბადაგან-აზერბაიჯანის" სახის გამოკვლევაში.

ა. დ ე ბ ო ლ ი ნ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინი — მეგრძოლი მატერიალისტი

(დასასრული)

V

ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ მსოფლიო მიძრავი მატერიაა, რომელიც ჩვენს აღქმებში გამოიხატება, რომ ის ობიექტიური, ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებული რეალობაა, რომელიც ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე მოქმედებს; ავრეთვე გარკვეულ იქმნა როგორც რელატივ და ობიექტურ ჭეშმარიტების ურთიერთ მიმართება, ისე პრაქტიკის მნიშვნელობა, როგორც ჩვენი აზროვნების სინამდვილის და ჭეშმარიტების კრიტერიუმი. ეხლა უკვე ჩვენ შეგვიძლია ზოგიერთ სხვა საკითხებზე გადავიდეთ, რომელთაც მატერიალისტურ შემეცნების თეორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ.

მატერიის თქვენი განმარტება, — ამბობენ მახის მიმდევრები და მატერიალიზმის სხვა მოწინააღმდეგენი, — არამეცნიერულია, ის უბრალო განმეორებაა. ისინი მოითხოვდენ და ეხლაც კი მოითხოვენ მატერიის სხვაგვარ „განმარტებას". ცხადია, რომ მათ სურდათ ჩვენგან ისეთი „განმარტება" მიეღოთ, რომელიც მათ დააკმაყოფილებდა. მაგრამ ბუნებრივია ისიც, რომ მატერიალისტს ამგვარი განმარტების მიცემა არ შეუძლია. მართლადაც რაში მდგომარეობს ეს დავა და კამათი?

მატერიალისტები ამტკიცებენ, რომ მატერია პირველადია, სული კი მისი შედეგი ე. ი. მატერიის რაღაც თვისება ან მისი ორგანიული მდგომარეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ შეგნება, სული ორგანიულ მატერიის განსაზღვრულ პროცესებთანაა მხოლოდ დაკავშირებული. მაშასადამე ამ საკითხის მიმართ მატერიალიზმის და „მახიზმის" განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: მატერიალიზმი ბუნების მეტყველების თანახმად ამტკიცებს, რომ მატერია პირველადელია, — სული, აზროვნება, შეგრძნება, — ეს მისი შედეგი, ვინაიდან შეგრძნება თავის ნათელი სახით, მხოლოდ მატერიის (ორგანიული ძატერიის) უმაღლეს ფორმებთან და-

კავშირებული. „მატერიის შენების ფუძეზე“ შეიძლება მხოლოდ ერთგვარი მისი უნარიანობის დაშვება, რომელიც შეგრძნების მინაგვარია. მახის [illegible] არსებით მოწინააღმდეგე მტკიცებიდან გამოდის, მისთვის პირველადი შეგრძნება, რომლისგან თითქოს ფიზიკური სხეულები იქმნება.

არსებითად დიდი მნიშვნელობა არა აქვს მაინც და მაინც ცნების განმარტების სრულიად ამოწურვას. ამ ორ ფილოსოფიურ მიმართულებათა ეს დაპირისპირება, მათი მკაფიოდ შემოფარგვლა, საკმაოდ ბევრ რამეს გვაძლევს მატერიის „განმარტებისათვის“. მაგრამ ბოლოს და ბოლოს რა შუაშია აქ „განმარტება“? განა ცხადი არ არის ის, რომ მახის მიმდევრები და სხვა ჯურის იდეალისტები განთავისუფლდენ თავის ჭეშმარიტად სქოლასტიურ შეხედულებისაგან, რომლის მიხედვით სუბიექტის, ჩვენი „მე“-ს გარეშე არ არსებობს მსოფლიო, რომლის მიხედვით ადამიანი ტვინის გარეშე აზროვნებს და შეგნება ან შეგრძნება ფიზიკურ სამყაროს ქმნის, რომ ისინი ასეთ მისტიკიზმიდან განთავისუფლდენ, რომელიც სულ ახლო კავშირშია რელიგიურ ცრუმორწმუნეობასთან, მაშინ განა ცხადი არ იქნება, რომ მახის მიმდევართ და მატერიალისტებს შორის არსებული განსხვავება შესამჩნევად დაიკლებდა? მაგრამ საქმეც იმაშია, რომ განმარტება, რომელსაც ისინი მოითხოვენ აქ არაფერ შუაშია და კამათის საგანი ორივე მხარესათვის საკმაოდ ნათელია. ორივე მხარეს ერთნაირად კარგად გაეგება თუ რაზედაც არის საუბარი.

მაგრამ ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ თითქოს მატერიალისტები მატერიის განმარტების საკითხს ჯერდს უხვევდეს. აი რას სწერდა ამის შესახებ ლენინი: „სულ ცოტაოდენი მოფიქრებაა საჭირო, ამ ხალხმა დაინახოს, რომ არსებითად შეუძლებელია გნოსეოლოგიის ამ უკანასკნელ ცნებათ სხვა განმარტება მისცე, გარდა იმისა, რომ აღნიშნო თუ რომელია მათში პირველადელი. რას ნიშნავს „განმარტება მისცე“.? ეს უპირველეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ მიცემული ცნება უფრო ზოგად ცნებას დაუქვემდებაროთ. მაგალითად როდესაც მე განვმარტავ: ვირი ცხოველია, ამით მე ცნება „ვირს“ უფრო ზოგად ცნებას უქვემდებარებ. ეხლა კითხვა იბადება, არის თუ არა უფრო ზოგადი ბუნების ცნებები ვინემ ყოფა და შეგნება, მატერია და შეგრძნება, ფიზიკური და ფსიხიური, რომლებთანაც შემეცნების თეორიას საქმე ქონდეს?

არა, ეს ყველაზე უფრო ზოგადი ბუნების ცნებებია, რომელთა იქით დღემდე არსებითად არ წასულა გნოსეოლოგია (თუ, რა თქმა უნდა, ნომენკლატურის ცვალებას მხედველობაში არ შევიდებთ) [1].

ყოველ მოაზროვნე ადამიანმა უნდა აღიაროს, რომ ლენინი მართალია. ასეთივეა ამ საკითხზე ყოველი მატერიალისტის შეხედულება. მაგრამ ამავე გზით მიღის მეცნიერებაც. ყოფა და აზროვნება ორი ანტინომიური ცნებაა, რომელთა ზღვრები არც მეცნიერებას და არც გნოსეოლოგიას არ გადაულახავს. ანუ სხვანაირად რომ ვსთქვათ ეს ყველაზე უფრო ზოგადი ცნებებია. სწორედ ამიტომ შეუძლებელია მატერიის „განმარტება“ უფრო ვიწრო ბუნების ცნებით მოხდეს. ეს მოსაზრება ნაწილობრივ „სულის“ მიმართაც სამართლიანია.

[1]) ibidem გვ. 118.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიის ცნების განმარტება მეტად ლარიბია, მაგრამ, მიუხედავად ამისა მისი ბუნება საკმაოდ „გარკვეულია". ზემოთ ჩვენ საერთოდ მოვიხსენიეთ ამ ცნების ცალკე მომენტები. უკანასკნელი შემდეგში მდგომარეობს: პირველი, — მატერია პირვანდელია და ყველა სხვა კი — შეგრძნება, შეგნება და სხვ., მატერიის თვისებას ან მდგომარეობას წარმოადგენს, ე. ი. ლენინის სიტყვით რომ ვსთქვათ „უმაღლესად განვითარების პროდუქტია," „ბუნების მეტყველება დადებითად ამტკიცებს, რომ დედამიწა არსებობდა ნაშინაც, როცა მასზე ადამიანის და საერთოდ ცოცხალი არსების არსებობა და ნიშანიც არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო. ორგანიული მატერია უკანასკნელი ხანის მოვლენაა,ი ხან გრძლივი განვითარების ნაყოფი". [1])

მეორე: — მატერია ობიექტური რეალობაა, რომელიც ყოველგვარ შეგნების გარეშე არსებობს. ვინაიდან თუ თქვენ სამყარო შეგნებას „დაუქვემდებარეთ," თუ გაიზიარეთ ის შეხედულობა, რომ „გარემოება" ე. ი. „გარემყარი სულზე," მე"-ზე ან შეგნებაზე განუწყვეტლად „მიჯაჭვულია", თქვენ მაშინ აუცილებლად იდეალისტურ თვალსაზრისზე დგეხართ. მაგრამ იდეალისტურ თვალსაზრისსა და ბუნებისმეტყველების შორის არსებითი წინააღმდეგობაა. ხოლო, ყოველი ფილოსოფიური კონცეპცია, რომელიც ბუნებისმეტყველებას ეწინააღმდეგება, ის ამით თავის უძლურებასაც ამტკიცებს.

შემდეგ. — მატერია ჩვენს გრძნობებში სახიერდება, ე. ი. მას ჩვენი შთაბეჭდილების მეოხებით შევიცნობთ, რომელიც თავის მხრივ, გრძნობათა ორგანოებზე მატერიის მოქმედებით გამოწვეულია.

იდეალისტებს, რომელნიც „სულზე" მიჯაჭვულნი არიან, ეჭვი შეაქვთ ამ თეზისის სამართლიანობაში. ჩვენ გრძნობათა ორგანოებზე განა „სულს" არ შეუძლია გავლენის მოხდენა? — ასე მსჯელობენ ისინი თუ აშკარად არა, კერძოდ, თავის-თავად მაინც. მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ მატერია გრძნობის საგანია. ის უშუალოდ თუ რაიმეს საშუალებით გრძნობებში გამოიხატვის. ხოლო თუ საქმე ნივთიერ სამყაროს ფორმათა განსახებას შეეხება, მაშინ ცხადია, რომ „მატერიის" და მისი „სახეობის" შორის გარკვეული შესაბამისობა, ერთნაირი ერთგვაროობა არსებობს, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ თვისებათა მიმართ მაინც, — რაც ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. მატერიალისტები ამტკიცებენ, რომ მატერიას მოძრაობა ახასიათებს, რომელიც მისი არსებობის ძირითადი ფორმაა. ეს განმარტებაც მეტად საყურადღებოა. მოძრავი მატერია არის ის, რაც სივრცეს ავსებს. ან სხვანაირად რომ ვსთქვათ მატერია ვრცელი და მოძრაავია.

ეს იმას ნიშნავს, რომ დრო და სივრცეც მისი ძირითად „განმარტებას" წარმოადგენს. ფეიერბახი ამბობს რომ ყოველი საგანი ქვეყანაზე „ერთი მეორეს გარეშე და ერთი მეორეს შემდეგ" არსებობსო. რადგან დროის ცნება მოძრაობის წარმოებულია, ეს იმას გულისხმობს რომ ის მოძრაობს. იგივე ფეიერბახი ამბობს, რომ დრო და სივრცე, საგანთა არსებობას გულისხმობს, სივრცე ან ვრცეულობა, უმალ იმას გულისხმობს თუ რა არის ვრცეული, დრო, მოძრაობა-

[1]) ibidem გვ. 55.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი იმის არსებობას, თუ რაც მოძრაობს. ყოველივე ვრცელული და დროული იმას ნიშნავს, რომ რაიმე ადგილი უჭირავს სივრცეში და მოძრაობს.

ჩვენ არ წავალთ შორს, რომ მატერიის ცნების უფრო ღრმა ანალიზი მოვახდინოთ, ზემოდ ნათქვამის საფუძველზედაც ჩვენ უფლება გვაქვს ეხლა, მატერიას უფრო ფართო განმარტება მივსცეთ. ეს განმარტება შემდეგნაირად გამოითქმის: მატერია ობიექტური რეალობაა, რომელიც დრო და სივრცეში არსებობს, რომელიც ჩვენს გრძნობებზე მოქმედებს და გრძნობებშივე გამოიხატება. უფრო ფართო მნიშვნელობით მატერია არის უბოლოოდ კონკრეტი ერთობლიობა ყველა რეალ დამოკიდებულებისა ე. ი. მიმართებისა და პროცესებისა, ხოლო ყოველ კონკრეტ მეცნიერულ დისციპლინას, — მათემატიკას, მექანიკას, ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას და სხვ., სხვა და სხვა ფორმის და საფეხურის. ისევ-ისევ მატერიის პროცესებთან აქვთ საქმე.

VI

ამრიგად გამოდის, რომ მატერია კი არაა სულზე „მიჯაჭული", არამედ თვით სულია მატერიაზე „მიჯაჭული". გონება, „ბუნების უმნიშვნელო ნაწილაკია მხოლოდ, მისი უმაღლესი პროდუქტი, მისი პროცესების გამომხატველი". ჩვენ მხოლოდ ადამიანის გონებას ვიცნობთ.

იდეალისტები, ამ გონების „უსაზღვროდ" ე. ი. უნივერსალურად გარდაქმნას სცდილობენ. მაშინ თვით ბუნება ადამიანის „უსაზღვრო", აბსოლიუტურ გონების ნაწილაკი შეიქმნება, მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ ასეთი აღნაგობა უმართებულოა. ემპიროკრიტიციზმის ანუ მახიზმის დამაარსებელი — ავენარიუსი ამ უმართებულო აზრთა წყობიდან თავის დაღწევას იმით ცდილობს, რომ მას ახალი „პოტენციალურ" ცენტრალურ წევრის ცნება შემოაქვს ე. ი. მისტიური პოტენციალი შეგნება. მართლადაც თუ გარემყარი განუწყვეტლად „მიჯაჭულია" შეგნებაზე, მაშინ როგორ არსებობს მსოფლიო ან ე. წ. „მოწინააღმდეგე წევრი", (ავენარიუსის ტერმინოლოგიით), იმ დროს, როცა „ცენტრალური წევრი" (შეგნება) ჯერ კიდევ ემბრიონალ მდგომარეობაშია? ავენარიუსმა მსოფლიო გაჭრობას რომ გადაარჩინოს, ან უკვე რომ ვსთქვათ მან თავისი თეორია რომ გადაარჩინოს, „პოტენციალ ცენტრო—წევრის" ცნება შემოიღო, ლენინი, საკითხის ასე დასმის სრულ უმართებულობას ააშკარავებს. ის ამბობს, რომ „კოორდინაცია განუწყვეტელია. ეს დებულება აუცილებლათ უნდა განამტკიცოს ემპირიოკრიტიკოსებმა, რომ თავიანთი ფილოსოფიის საფუძველი: შეგრძნებანი და მათი კომპლექსები, გადაარჩინოს. ადამიანი ამ კოორდინაციის ცენტრალური წევრია (ე. ი. გარემყარი არსებობს ადამიანის შეგნებასთან კავშირით მხოლოდ. ა. დ.) თუ ადამიანი არ არსებობ, თუ ის ჯერ კიდევ არ დაბადებულა, მიუხედავად ამისა ის არარას მაინც არ წარმოადგენს! ამ შემთხვევაში ის პოტენციალი ცენტრალური წევრია! სწორედ გასაკვირველია ის მოვლენა, აღშფოთებით ამბობს ლენინი, რომ არსებობს ხალხი რომელთაც უნარი აქვთ ასეთი ფილოსოფია გაიზიარონ, აღიარონ და მისი მიმდევარი შეიქმნეს!

განა ყველაფერი ეს მისტიციზმი არ არის! განა ეს ფადეიზმის საწყისი არარის? და თუ შესაძლოა ვიფიქროთ, განაგრძობს ლენინი, პოტენციალურად ბუნებრივ ერთ-ერთ ელ ყოფის მიმართ არსებობა, მაშ რათ არის შეუძულებელი მისი წარსულ ყოფაში არსებობა. ე. ი. ადამიანის სიკეთილის შემდეგ მისი არსებობა?". [1]) ლენინის ეს მოსაზრება არ შეიძლება უკუგდებულ იქნეს კონტრმოთხოვნით მატერიის განმარტების გამო. და განა ლენინი მართალი არ არის, როდესაც ის აღნიშნავს რომ ამ „მისტიციზმს" პირდაპირი გზით თეოლოგიამდე მიეყვანართო? მართლაც ასეთი თეოლოგიური დასკვნებიც გამოუყვეთ ამ ფილოსოფიიდან, თუ ავენარიუსს და მის რეს მიბდეურთ არა, ყოველ შემთხვევაში იმმანენტურ სკოლის მეთაურებს მაინც, მაგალ. სოლიფსიტ შუბერტზელდერს და სხვათ. ლენინი, სხვა ჩვენ მატერიალისტებთან ერთად, სამართლიანად აღნიშნავს, რომ ემპირიოკრიტიციზმსა და იმმანენტური სკოლის შორის, პრინციპიალური განსხვავება არ არსებობს, რომ ისინი ერთნაირად იდეალისტურ თვალსაზრისზე დგანან.

ეხლა განვიხილოთ: როგორია იმმანენტური სკოლის პოზიცია ამ საკითხის მიმართ? „საგანი ადამიანის შეგნების გარეშე არ არსებობს, ჩვენ ყოველთვის ვიაზრებთ ჩვენ თავს და როგორც გონება ამ საგნის შეცნობას ვსცდილობთო" ემპირიოკრიტიკული კოორდინაცია, რა თქმა უნდა ამ სოფიზმიდან არაფრით განსხვავდება. „ამ თეორიის სოფიზმი იმდენად ცხადი და ნათელია, რომ პირდაპირ უხერხულად გრძნობ თავს, რომ ის გაარჩიო",—სამართლიანათ აღნიშნავს ლენინი. თუ ჩვენ მხოლოდ „ვიაზრებთ" ჩვენ თავს, მაშინ ჩვენი არსებობა „წარმოდგენითი" იქნება, ხოლო დედამიწის არსებობა კი ადამიანამდი, — სინამდვილეა. თავისთავად ცხადია, რომ ადამიანს არ შეეძლო დედამიწის **გახურებულ** მდგომარეობის მოწამე ყოფილიყო, და მისი ამ დროის არსებობის „გააზრება" ეს ისეთი ობსკურანტიზმია, როგორიც მაგალითად, ჯოჯოხეთის არსებობის დაცვა შემდეგი დებულებით: „რომ მე გავიაზრო ჩემი თავი, როგორც დაწკეიდრებული, მაშინ მე შემიძლია ჯოჯოხეთის მეთვალყურე გავხდე". მთელი თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია, ამ ძირითად სოფიზმს ეყარება, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: თითქოს ბუნება, მატერია აზრის გარეშე არ არსებობდეს. ეს სოფიზმი მთავარი ღერძი. ცენტრალური პუნქტია გაბატონებულ სასკოლო ფილოსოფიის, თითქმის ყოველ ნიმართულებისათვის. ყოველ ასეთ ფილოსოფიურ მიმართულებას წინააღმდეგ, მეცნიერულ თვალსაზრისით გაბოროტდილი და გაბძელ, ყოველგვარ მისტიურ და იდეალიზმისკენ გადახრის უარმყოფი, როგორ საბოლოოდ ეს ეს ... ერთათ ერთი ფილოსოფიური მიმართულება, მარქსიზმი ან მატერიალიზმი. მატერიალიზმი ვერ უთანხმდება ვერც ერთ ამ „სორცნეტს" და ძირიანათ აღმოფხვრის მას. ის ებრძვის და კიდევ იბრძოლებს მარქსიზმის და საერთოთ ადამიანის ლოდიკის ასეთ დამახინჯების წინააღმდეგ. ლენინი, როგორც ძებრძოლი მატერიალიტი დაუზოგავად ებრძოდა მათ, რომელთაც „მასსებში ფიდეიზმის ბინაგვარი ფილოსოფია შეაქვთ". ამრიგათ თუ მართალია—და ეს უეჭვოთ მართალია, რომ ბუნება ადამიანის

[1]) ibidem გვ 57.

შეგნებამდე არსებობდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ის პირვანდელია, ანუ შეგნება ან გონება კი, რომელიც, როგორც ამას საბართლიანათ აღნიშნავს ლენინი, ბუნების ნაწილაკს წარმოადგენს, ბუნების პროდუქტია, ე. ი. რაღაც მისგან წარმოებულია. თუ დასაბუთებულია, რომ ტვინის გარეშე არ არის აზროვნება, რომ აზრი უმაღლესად განვითარებულ მატერიის პროდუქტია, ამით დასაბუთებულია ყიდევ ის, რომ სული შეუძლებელია პირვანდელი იყოს, არ შეიძლება მან მატერია წარმოშვას. მუდმივ მოძრაე და ცვალებად მატერიის, ჩვენი შეგნების გარეშე არსებობა,—ეს მატერიალიზმის გამოსავალი წერტილი. იდეალიზმი კი აღიარებს, რომ აზრი ტვინის გარეშე არსებობს და მოძრაობა მატერიის გარეშე. მართლაც „მატერიის გარეშე მოძრაობის გააზრების ცდა სრულიად აშორებს აზროვნებას მატერიისაგან". ნაგრამ თუ მატერია მოისპობა, მოისპო აზრიც, „ტვინის და ნერვიულ სისტემის მოსპობით, ისპობა წარმოდგენა და შეგრძნება",— მოისპობა ყოველივე.

ასე და ამრიგათ ჩვენ მშვიდობით მივალწევთ ფილოსოფიის მეორე ძირითად ხაზამდე, იდეალიზმამდე, რომელიც „სულს" პირვანდლათ სთვლის, მაგრამ, თურმე მატერიის გარეშე აზრის რეალური არსებობის, წარმოდგენაც შეუძლებელი ყოფილა, ვინაიდან ნერვიული სისტემის და ტვინის გარეშე აზროვნება ჯერ არავის არ უნახავს.

მაშასადამე მხოლოდ ერთია შესაძლებელი,—ყოველივე არსებული (შეგნების მითვლით) მატერიის კათეგორიას „დაუქვემდებაროთ." სწორედ მატერია არის ის უმაღლესი ან უკანასკნელი ცნება ანუ რეალობა, რომელიც მოვლენათა მთელ ერთობლიობას გარემოიცავს.

„რასაკვირველია, მატერიის და შეგნების დაპირისპირებასაც აბსოლუტური ხასიათი აქვს, მხოლოდ ძლიერ განსაზღვრულ ფარგლებში: ამ შემთხვევაში გნოსეოლოგიის ძირითად საკითხის ფარგლებში, თუ რა აღვიაროთ როგორც პირვანდელი და რა როგორც შედეგი.

ხსენებულ ფარგლების გარეშე ამ საკითხის რელატივობა „უეჭველია".

VII

დროის და სივრცის პრობლემას ლენინი იმავე მატერიალისტური თვალსაზრისით აკვეეს, როგორც მატერიის პრობლემა იყო მის მიერ გარკვეული. მისი თვალსაზრისით მატერია თავისთავად ობიექტურ რეალობას წარმოადგენს, რომელიც ჩვენს შეგრძნებაში სახიერდება. მატერიის ფიზიკალური ცნება ამ ობიექტურ რეალობის რელატივ სახეს გვაძლევს და ყოველი ფიზიკალური მოძღვრება კი ამ ობიექტურ რეალობისადმი მიახლოვებაა. უკანასკნელი, ადამიანის ცოდნის წარმატებასთან ერთად მუდმივ სახეცვლილებას განიცდის. ამიტომ მატერიის ფილოსოფიურ ცნების და მატერიაზე ფიზიკალური მოძღვრების გარჩევაა საჭირო. ამავე მდგომარეობაში იმყოფება აგრეთვე დროის და სივრცის პრობლემა, რომელიც მატერიალისტისათვის გონების ფორმები კი არაა, არამედ ყოფის (бытие) ფორმებია, ე. ი. ობიექტური „კათეგორიები". მსოფლიოში მოძრავი



მატერიის გარდა არაფერი არ არსებობს, და ცხადია დროსა და სივრცეს გარეშე, მატერიის მოძრაობაც შეუძლებელია.

დრო და სივრცეზე ადამიანის წარმოდგენა რელატიურია, მაგრამ ამ რელატივ წარმოდგენათა მეოხებით აბსოლიუტური ჭეშმარიტება იქმნება. ამ რელატივ წარმოდგენათა განვითარება აბსოლიუტურ ჭეშმარიტებისაკენ მიდის, მას უახლოვდება. ადამიანის წარმოდგენათა ცვლილება იმდენად არ უარყოფს მათ ობიექტურ რეალობას, რამდენათაც მატერიის მოძრაობის ფორმათა და მატერიის აღნაგობის მეცნიერული ცოდნის ცვლილება, — არ უარყოფს ობიექტური რეალობის არსებობას" [1])

ერთი საქმეა დრო და სივრცეზე ადამიანის ცნება, რომელიც მუდმივ ცვლილებას განიცდის, — სხვა საქმეა, ობიექტურად არსებული ნამდვილი დრო და ნამდვილი სივრცე. დრო და სივრცის შესახებ ჩვენი ცნება, რომელიც მუდმივ ვითარდება და იცვლება, თავის თავად ისეთ რამეს არ წარმოადგენს, რომელიც დამოუკიდებული იყოს რეალ დროსა და სივრცისგან. პირიქით ის რეალი დრო და სივრცის გამოხატულება და ობიექტურ ჭეშმარიტებისადმი მიახლოვებაა. და თუ გნოსეოლოგია ადამიანის ყოველგვარ ცოდნის დასაბამის, წარმოშვების და მნიშვნელობის საკითხს სწყვეტს, მაშინ მან ამ კითხვაზედაც პასუხი უნდა გასცეს იმ აზრით, რომ დროის და სივრცის შესახებ ჩვენი ცნების დასაბამი, — ობიექტური რეალობა, ობიექტური დრო და სივრცეა. ლენინი, რომელიც უპირველეს ყოვლისა პოლიტიკოსია, რომელსაც მთელი თავის არსებით სძაგს ყოველივე ის, რასაც ასე თუ ისე, პირდაპირ თუ არა პირდაპირ, ფიდეიზმისაკენ და საერთოდ რეაქციული ნიმართულებათა გაძლიერებამდე მივყავართ, გესლიანად შენიშნავს, რომ „თუ დრო და სივრცე მხოლოდ ცნებებია, მაშინ კაცობრიობა რომელმაც ისინი შექმნა, უფლებამოსილია გასცილდეს ამ ცნებათა ხლეარს, ბურჟუაზულ პროფესორნა კი ამ გაცილების „კანონიერების" დაკანონების, საწყალო საეკუნოების „ეაზრობის" დაცვის გამო სრული უფლება აქვთ რეაქციულ ხელისუფლებისგან გასამრჯელო მიიღონ" [2])

მათი თვალისაზრით, რომელნიც დრო და სივრცეს მხოლოდ ადამიანის ცნებებათ აღიარებს, ადამიანი კი არ არსებობს დრო და სივრცეში, არამედ თვით დრო და სივრცე არსებობს ადამიანში. ამ იდეალისტურ თვალსაზრისზე სდგას როგორც კანტი, ავრეთვე მახი, თავიანთი მიმდევრებით. თუ ჩვენ ვიტყვით: დრო და, სივრცე, — ეს ადამიანის „ორგანიზაციული" აზრის ნაყოფია, რომ ისინი ჩვენი შეგრძნებათა „წესიერი" ჰარმონიული სისტემები, ან ადამიანის ვანჭერეტის სხვა და სხვა ფორმაა, — ყველა ამ შემთხვევაში იდეალისტურ თვალსაზრისზე ვდგევართ. რელატივიზმი, დიალექტიკისაგან განსხვავებით მხოლოდ დროის და სივრცის ცნებათა ცვალებას ხედავს. მას არ ეალუძს ისინი ობიექტურ რეალობას დაუკავშიროს და გახიხილოს როგორც ობიექტური რეალობისადმი რელატივი მიახლოვება. ამიტომაც არის, რომ რელატივიზმისა-

[1]) ibidem გვ. 143

[2]) ibidem გვ. 145.



თვის—თვითეული რელატივი საფეხური,—აბსოლუტად იქცევა [illegible] ითქოს მთელ სინამდვილეს ფარავს. მართალია, მახი, წინააღმდეგ [illegible] დროის და სივრცის ცნების წარმოშვებას, ცდაში ხედავს, მაგრამ მაშინ აუცილებლად ისიც უნდა აღვიაროთ, რომ ცდაში ობიექტური რეალობაა მოცემული, ე.ი. ობიექტური დრო და სივრცე. სხვა შემთხვევაში წინააღმდეგობის რეალში მოვექცევით, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მახი და მისი მიმდევრები დროისა და სივრცის ცნებებზე იყენებენ, მაგრამ „თუ ადამიანს. — სივრცის და დროის შეგრძნება ბიოლოგიურად ნიჭანწეწონილ „ორიენტაციას" აძლევს, ეს მხოლოდ მაშინ და იმ პირობით, თუ ეს შეგრძნება ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებულ ობიექტურ რეალობას გამოხატავს; ადამიანს არ შეეძლო შეგუებოდა, შეთვისებოდა გარემოს, რომ შეგრძნება. მის ობიექტიურად — სწორ წარმოდგენას არ აძლევდეს მას." „თუ დრო და სივრცის რელატივ ცნებებში, გარდა რელატიურისა არაფერი არ არის, არ არის ობიექტური (— ადამიანისაგან და კაცობრიობისაგან დამოუკიდებელი) რეალობა, რომელიც ამ რელატივ ცნებით გამოიხატება, მაშინ რატომ არის, რომ კაცობრიობას ან ყოველ შემთხვევაში კაცობრიობის უმეტეს ნაწილს მაინც, დროის და სივრცის გარეშე არსებითა გაგების უფლება არა აქვს?" [1]).

ერთი სიტყვით, როცა ჩვენ რელატივ ცნებას და ობიექტურ რეალობას ერთმანეთს ვაკავშირებთ, როცა მათ ცალ-ცალკე, სინამდვილეს დაშორებით, მეტაფიზიკურად ვიხილავთ, მაშინ აუცილებლად იდეალიზმისაკენ მივდივართ. ლენინი თავის განსაკუთრებული ბუნებით და მტკიცე რწმენით მარქსიზმს ან მატერიალიზმს ყოველგვარ დამახინჯებისაგან იცავს. წმინდა თეორეტიულ მოსაზრებათა გარეშე, რომელიც მას იდეალისტურ შეხედულებათა დასამსხვრევად მოყავს, ყოველთვის, ლენინის ყოველ სტრიქონში, თუ გინდ ის წმინდა ფილოსოფიურ ხასიათისაც იყოს, თქვენ გრძნობთ პოლიტიკურ აგიტატორს, რომელსაც სძაგს ყოველგვარი ექსპლოატაცია, ყოველგვარი მეოდელმსახურება, იქ გრძნობთ „კაცობრიობის მიეიწყებულ ნაშვრალთა" ინტერესებისათვის ერთგულ მებრძოლს. თვით ყველაზე უფრო აბსტრაქტულ პრობლემებს, ის პროლეტარიატის და სოციალიზმის განვითარების თვალსაზრით იხილავს. და ეს საესებით სამართლიანია. მებრძოლი მატერიალისტის მსოფლმხედველობა მჭიდროდ დაკავშირებულია კაცობრიობის "პრაქტიკასთან." ის არ არის რაღაც წმინდა „თეორეტიული." ქვემოდ დავინახავთ, რომ ლენინისათვის თვითეული ფილოსოფიური მიმართულება, იდეათა ბრძოლაა, რომელიც კლასთა ბრძოლას ასახავს.

ენგელსის მოძღვრება დროის და სივრცის ცნებათა რელატივობის შესახებ, ნამდვილ დროს და სივრცეს, ობიექტურ რეალობას რომ ჩამოვაცალოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მარქსიზმი — მთლიანი მსოფლმხედველობა „ნაფოტად" აქცევა ლენინისათვის, — ასეთი საქციელი მიუტანელია. ეს მისთვის მარქსიზმის გარეგნას, მისი იდეალიზმამდე და რევიზიონიზმამდე ჩათრევას, მუშათა კლასის მოსისხლე მტერთა ბანაკში გადასვლას ნიშნავს. რელატივისტთა ძირითადი თეორეტიულ შეცდომა კი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი „დრო და სივრცეზე ადამი-

[1]) ibidem გვ. 149.

ანის ცნების ცვალებას, მის განსაკუთრებულ რელატივ [illegible] ერყევ ფაქტში ურევენ, რომ ადამიანი და ბუნება მხოლოდ დროსა [illegible] არსებობს, ხოლო მის გარეშე —დროის და სივრცის გარეშე — მეცდელმსახურების მიერ შექმნილი არსებანი, რომელიც კაცობრიობის უვიც მასების წარმოდგენებზე ემყარება, — ეს ავადმყოფური ფანტაზია, ფილოსოფიური იდეალიზმის საქმიანობაა, — უვარგისი ნაყოფი, — უვარგისი საზოგადოებრივი წყობილებისა. მეცნიერების სწავლა მატერიის აღნაგობაზე, საკვების ქიმიურ შემადგენლობაზე, ელექტრონზე, ატომზე და სხვ. შესაძლოა დაძველდეს, და დღითი-დღე ძველდება კიდეეც, მაგრამ არ ძველდება ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანს არ შეუძლია აზრებით იკვებოს და ბაღშები შობოს მხოლოდ პლატონიური სიყვარულით. ხოლო ფილოსოფია, რომელიც დროის და სივრცის ობიექტურ რეალობას უარყოფს იმდენად ფარშევი და ძირეულად გახრწნილია, ისეთივე უნართებულია, როგოგც უკანასკნელ ჭეშმარიტებათა უარყოფა. იდეალისტთა და აგნოსტიკების საქმიანობა ფილოსოფიაში, ისეთივე ფარისეველურია, როგორც ფარისეველთა ქადაგება პლატონიურ სიყვარულზე.“ [1])

ეხლა, თუ ლენინის შეხედულებებს მატერიის, დროის და სივრცის პრობლემათა შესახებ, რეზიუმეს გაუკეთებთ, — შემდეგ დასკვნებამდე მივალთ; გრძნობათა ორგანოების საშუალებით ჩვენ შეეიცნობთ მატერიალ სინამდვილეს, ობიექტურ რეალობას. ამ „რელატივ“ აღქმებისაგან, კაცობრიობა ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილების და განვითარების ე. ი. პრაქტიკის მეოხებით, — მატერიის, დროის და სივრცის აბსტრაქტულ ცნებებს იმუშავებს; ეს ცნებები ჩვეხ მიერ გამოგონილი კი არაა, არამედ მათ ობიექტური რეალობა (კაცობრიობისგან და მისი ცდისაგან დამოუკიდებელი) შეესაბამება ჩვენი „ცდა“ და შეშეცნება თანდათან ეგუება, ეთვისება. ობიექტურ დრო და სივრცეს (ისე როგორც ობიექტურ მატერიას. ა. დ.). თანდათან მათი უფრო სწორ და ღრმა გამოხატულებას იძლევა.“

VIII.

იდეალისტებისათვის, როგორც დრო და სივრცე, აგრეთვე მიზეზობრიობა, კანონშეწონილება და აუცილობლობა ზეგნების სუბიექტური ფორმებია. მატერიალიზმი ამ საკითხის ნიმართ დიამეტრალურად მოწინააღმდეგე თვალსაზრისზე სდგას. მატერიალისტი გარემყარს — ობიექტურ სინამდვილეთ აღიარებს და აქედან გამომდინარე, სრულიად თანმიმდევრულად, — კანონშეწონილებას, მიზეზობრიობას და აუცილებლობასაც ობიექტურად ათვლის. ამ პრობლემის სფეროშიც ლენინი, ენგელსის და საერთოდ დიალექტური მატერიალიზმის თანახმად, მიზეზობრიობის და კანონშეწონილების, ჩვენს ცნებებში, დაახლოებით ასახვას იმ ობიექტურ კანონშეწონილებისაგან ასხეავებს, რომელიც ცნებათა და ყოველგვარი ჩვენი შეეიცნებების დასაბამია. იმ წინაპირობათა და ზეგრძნებათა მეოხებით, რომელთაც გარემყარი გვაწვდის, ჩვენ აბსტრაქტულ ცნებებს ვიმუშავებთ. მატერიალიზმის თვალსაზრისით, მიზეზობრივი დამოკიდებუ-

[1]) ibidem გვ. 152

ლება თვით საგნებში არსებობს ან უკეთ რომ ვსთქვათ რეალურ [illegible] შორის განსაზღვრულ დამოკიდებულებას გამოხატავს. მაგრამ [illegible], მახის მიმდევრები ცდილობდენ „ელიმინაცია" ეყოთ ნიზეზობრიობის კათეგორიისათვის, მათ ის ფეტიშად ნიაჩნდათ და წინადადებას იძლეოდენ, — ეს საესებით გარკვეული ცნება „ფუნქციონალ დამოკიდებულებად" შეგვეცვალა. მაგრამ საკითხი სულ სხვა რამეში მდგომარეობს და ლენინი სანართლიანად შენიშნავს, რომ ობიექტური კანონშეწონილების საკითხი აქ მისი მათემატიკურად ჩამოყალიბების საკითხად იცვლება. „მაგრამ საყურადღებო თეორეტიულ შემეცნებითი საკითხი, რომელიც ამ ფილოსოფიურ ნიმართულებათ ასხვავებს, იმაში კი არ მდგომარეობს, თუ რა სისუსტეს ნიველწიეთ ნიზეზობრივი კავშირის აღწერაში და ან შეიძლება თუ არა ამ აღწერის მათემატიკური ფორმულით გამოხატვა, — არამედ იმაში, არის თუ არა ბუნების ობიექტური კანონშეწონილება, ამ კავშირის ერთად ერთი შეცნობის წყარო, თუ ეს ჩვენი გონების თვისებებს უნდა მივაწეროთ, რომ მას უნარი აქვს ცნობილი აპრიორული ჭეშმარიტება შეიცნოს და სხვ. — აი ეს არის ის რაც მატერიალისტ ფეიერბახს, მარქსს, ენგელსს არსებითად ასხვავებს აგნოსტიკებისაგან (იუმეს მიმდევართაგან) და მახისა და ავენარიუსისაგან."[1]) თუ ბუნება თავის თავად განსაზღვრულ კანონშეწონილებას არ ექვემდებარება, თუ „ნიზეზობრივი კანონი" მხოლოდ ჩვენი ჭკუის თვისებაა, მაშინ რატომ არის რომ ბუნება ჩვენს გონებას არ ემორჩილება? თუ ნიზეზსა და მოქმედების შორის აუცილებელი ობიექტური კავშირი არ არსებობს, რატომ ნიზეზი მოქმედების ნიმდეგნო არ გახდება? რატომ არის, რომ დრო, სინამდვილის არსებითი „ელემენტი" უკუქცევადი არ არის?

როდესაც ლენინი თავის „მატერიალიზმს" და „ემპირიოკრიტიციზმს" სწერდა მას არ შეეძლო გაეთვალისწინებია ის, რომ რელატივობის თეორია სწორედ იმ თვალსაზრისზე დადგებოდა, რომლის ნიხედვით ხშირად, „შემდეგ" და „ადრე" ადგილს ინაცვლებენ. სრულიად საკვალდებულო არ არის თურმე, რომ ნე ადრე დავიბადო შემდეგ თაობათან დავბერდე და მოვკვდე. რელატივობის თეორიის თვალსაზრისით მე შეგეძლო ჩემი ცხოვრება ბოლოდან დაგეწყო და თანდა-თანობით დაბადებამდე მოვსულიყავ. ეს სოფისტიკა რომელიც მთელ ფილოსოფიას, ცხოვრებას, ნთელ ჩვენ პრაქტიკას ამხობს იმავე გნოსეოლოგიურ საფუძვლებზეა აგებული, რომელზედაც მახის, იუმეს და სხ. ნოძღვრება ემყარება. საბედნიეროდ სინამდვილეში საქმე ოდნავად სხვანაირად არის. უკუქცევადი დრო, ეს ბოლოდ ფანტასიაში, განყენებულ ცნებათა სამყაროშია შესაძლებელი და არა რეალ სამყაროში. ამაშია სულ საქმე. წარმოიდგინე მკითხველო, ერთი წუთით, რომ დრო, მაშასადამე ისტორია და მთელი ბუნებია პროცესები უკან დაბრუნდეს. კინემატოგრაფისათვის ეს შესაძლებელია, ხოლო ცხოვრების სინამდვილეში— ეს საქმე ოდნავად რთულია. ძნელი წარმოსადგენია, თუ როგორ რა საშუალებით, შედეგი წინ უძღოდეს ნიზეზს, დროის ნიხედვით. მაგრამ ეინშტეინის რელატივობის თეორიიდან ასეთი ნისტიური დასკვნებიც გამოყავთ. ამ მდგომარეობაში იმყოფება კანონშეწონილების და ნიზეზობრიობის საქმეც. ამ

[1]) ibidem 129 გვ.

თვალსაზრის წინააღმდეგ, მატერიალიზმი მოვლენათა შორის, წინამსრბოლ მიზეზებსა და მიმდევნო მოქმედების შორის ობიექტურ, კანონშეწონილ, აუცილებელ კავშირს იცავს; მატერიალიზმი აქ მართალია, რადგან ის კონკრეტ რეალ სინამდვილის ნიადაგზე სდგას, ხოლო რელატივობის თეორიას კი წინდა აბსტრაქციებთან, მათემატიკურ ფიქციებთან აქვს საქმე.

რაც შეეხება თავისუფლების და აუცილებლობის პრობლემებს, ლენინი აქაც ნარქსიზმის თვალსაზრისზე სდგას და ის მეთოდოლოგიური და გნოსეოლოგიური პრინციპები მოყავს, რაც დროის და სივრცის, მატერიის და მიზეზობრიობის პრობლემათა განხილვის დროს მოყავდა. ობიექტური სამყარო და მისი კანონები ადამიანისათვის სრულიად შესაცნობია, მაგრამ საბოლოოდ მაინც მას ვერასოდეს ვერ შეიცნობს. არსებობს ობიექტური აუცილებლობა, რომელიც შესაძლოა ადამიანმა შეიცნოს, მაგრამ შესაძლებელია შეუცნობელი იყოს. რამდენადაც აუცილებლობა შეუცნობელია, იმდენათ ის ბრმა აუცილებლობაა. მაგრამ თუ აუცილებლობა ბრმაა ე. ი. ის შეუცნობელია მაშინ საიდან შევიტყვეთ ჩვენ მის არსებობაზე? ამ კითხვაზე ლენინი უპასუხებს: „ჩვენ არ ვიცით ბუნების აუცილებლობა ამინდის მოვლენებში და ამდენათ ჩვენ ბუნების მონები ვართ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ეს აუცილებლობა არ ვიცით, ჩვენ მაინც ვიცით, რომ ის არსებობს. საიდანაა ეს ცოდნა? იქიდან საიდანაც ცოდნა იმისა, რომ საგანი ჩვენი შეგნების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად არსებობს; სახელდობრ: ჩვენი ცოდნის განვითარებიდან, რომელიც თვითეულ ადამიანს ათასჯერ მიუთითებს, რომ როდესაც საგანი ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე მოქმედებს, უვიცობ — ცოდნად იცვლება და პირუკუ: ცოდნა — უვიცობათ იქცევა. როდესაც ასეთი მოქმედების შესაძლებლობა ისპობა" ცდამ გვასწავლა ჩვენ ყოველგან, ბუნების ყველა მოვლენებში აუცილებელი კავშირი დავინახოთ. და თუ ჩვენ ხოგიერთ შემთხვევაში შეცნობილი არა გვაქს ეს აუცილებლობა, ჩვენ ამ შემთხვევაში ვიცით რომ ისინი არ შეიძლება საყოველთაო კანონიდან გამორიცხულ იყოს. აუცილებლობის კანონი ურიცხვ შემთხვევებით მტკიცდება, რითაც ის თავის ყოვლადობას ასაბუთებს.

მაშასადამე, შესაძლოა მოცემულ კონკრეტ შემთხვევაში ჩვენ არ ვიცოდეთ მოვლენის კანონი, მაგრამ ის კი ყოველთვის მტკიცედ ვიცით, რომ კანონი ან აუცილებლობა არსებობს, ვინაიდან „ურიცხვ" შემთხვევებიდან ჩვენ ყოვლად კანონის დამყარებამდე მივედით, რომელიც გარემოიცავს, ასე ვსთქვათ განყენებულად, ჩვენთვის უცნობ ამ კონკრეტ შემთხვევასაც. ამიტომ, დიალექტიურად რომ ეიმსჯელოთ რაიმეს არ ცოდნა, მისი აბსოლუტური უვიცობა კი არ არის არამედ რელატივი უვიცობა.

უვიცობა იმ აზრით როგორც ეს ჩვენ გავაშუქეთ, ამასთანავე ცოდნაც არის — ზოგად აბსტრაქტულ კანონთა ცოდნა, რომელიც ყოველ ცალკე შემთხვევაში, სპეციალურად შეცნობილი და შესწავლილი უნდა იქნეს. როგორც ჩვენ ვიცით ჭეშმარიტების კრიტერიუმი პრაქტიკაა. და თუ ჩვენ გარკვეული მიზნისათვის ბუნების კანონის მოქმედებას გამოვიწვევთ, ამით ჩვენ მის სისწორეს და ობიექტურობას გამოვცდით. ამ კანონების ცოდნა და ამ ცოდნის საფუძველზე



მოქმედების შესაძლებლობა, თავისუფლება არის. ფილოსოფიაში [illegible] სალ-ტოვიტალურ" მეთოდს იცავს, ე. ი. თეორიიდან პრაქტიკისაკენ — ცხოვრ[illegible], თეორიის პრაქტიკით შემოწმებას. იცავს, მეთოდს, რომელიც მარქსიზმის მეგაირალტრეთ: მარქსმა და ენგელსმა წამოაყენა.

აქეე ლენინი მიუთითებს იმ ძირითად განსხვავებას მარქსიზმისა და ბურჟუაზიულ ფილოსოფიის შორის. უკანასკნელი „ვაურბის" პრაკტიკას" და თავს აფარებს თეორიას, აბსტრაქციის ემპირუმში, „წმინდა თეორიებში" ცვლება. „ენგელსთან, — ამბობს ლენინი, — ადამიანის მთელი ცოცხალი პრაკტიკა იბრეგა შენცნების თეორიაში და ჭეშმარიტების ობიექტურ კრიტერიუმს გვაძლევს. სანამ ჩვენ ბუნების კანონი არ ვიცით, სანამ ის ჩვენი შემეცნების გარეშეა, მანამდე ჩვენ „ბრმა აუცილებლობის" მონები ვართ. ხოლო როდესაც ჩვენ შევიცნობთ კანონს რომელიც მოქმედებს (რასაც ათასჯერ იმეორებდა მარქსი) ჩვენი ნების და შეგნების დამოუკიდებლად — ჩვენ ბუნების ბატონი შევიქმნებით. ბუნებაზე ბატონობა, რომელიც კაცობრიობის პრაქტიკაში აშკარავდება, ადამიანის გონებაში, ბუნების მოვლენათა და პროცესების ობიექტურად — სწორ ასახვის შედეგია, ეს იმის დამამტკიცებელიც არის, რომ სხვა (იმ ფარგლებში რასაც პრაკტიკა გვიჩვენებს) ობიექტური აბსოლუტური სამუდამო ჭეშმარიტებაა" [1])

IX

ხემოხსენებულიდან ნათელია, თუ რა განსხვავებაა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის. მატერიალიზმი ამტკიცებს რომ ბუნება, ყოფა პირველადია და ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებობს, ხოლო აზროვნება კი ეს ბუნების ან მატერიალ სამყაროს პროდუქტია. საკითხის ამგვარად გადაჭრასთან ერთად იბადება ახალი პრობლემა. სახელდობრ: როგორია მიმართება მსოფლიოზე ჩვენი აზრის — თვითმსოფლიოსთან ანუ: როგორი მიმართება არსებობს აზროვნებისა — ყოფასთან? შეუძლია თუ არა აზროვნებას ნამდვილი სამყარო შეიცნოს, უკანასკნელის სწორი გამოხატულება მიიღოს? კანტი და მზგავსი იდეალისტები ამტკიცებენ, რომ მსოფლიო შეუცნობელია. მათ გარდაუვალი უფსკრული შემქნეს „თავისთავად საგნის" ე. ი. ობიექტურ მსოფლიოსა და მოვლენათა შორის. მახის ან იუმეს მზგავსი იდეალისტებისაგან სრულიად უარყოფენ „საგნის თავისთავად" ე. ი. გარეგყარის არსებობას. მაგრამ საკითხავია მაშინ, — როგორ ვითარდება ადამიანის შემეცნება? „გუშინ ჩვენ არ ვიცოდით" რომ ქვანახშირში ალიზარინი არსებობდა, — დღეს კი ჩვენ ეს გავიგეთ. აქედან ცხადია, რომ ქვანახშირში ალიზარინი მანამდისაც არსებობდა, სანამ ამას ჩვენ გაეიგებდით. და თუ კანტი, როდესაც ის ლაპარაკობს, „თავისთავად საგანზე" ამით იმასაც ამტკიცებს რომ ისინი ცოდნისათვის პრინციპიალურად მიუწდომელია (და მხოლოდ რწმენისთვისაა მისაწდომი) მაშინ ის ღრმად სცდება, აშკარად უნართებულო აზრს იცავს, ვინაიდან როგორც ჩვენ დავინახეთ ალიზარინის შენთხვევაში. „საგანი თავის თავათ მო-

[1]) ibidem გვ. 159.



ვლენად იქცევა ე. ი. ის ჩვენთვის მისაწვდომ საგნად გახდებ[illegible] ამ საგნიდან გარკვეულ შეგრძნობას მივიღებთ. [illegible]

„არსებითად არავითარი პრინციპიალური განსხვავება არ არის და არც შეიძლება იყოს „თავისთავად საგანზე" და მოვლენათ შორის. განსხვავება მხოლოდ იმაშია თუ რა არის შეცნობილი და რაც არ არის შეცნობილი. ამრიგათ „როგორც შემეცნების თეორიაში ისე მეცნიერების ყოველ დარგში საჭიროა დიალექტიური მსჯელობაო, — ამბობს ლენინი, — ე. ი. არ უნდა იქმნეს დაშვებული ჩვენი შემეცნების უცვლელობა, რომ ის ითვალოს მზად იყვეს მოცემული. პირიქით საჭიროა იმის გარჩევა: თუ არცოდნისაგან ცოდნა როგორ წარმოდგება, თუ როგორ არის, რომ ულრული, არა სწორი ცოდნა უფრო სრულ და ზუსტ ცოდნათ იქცევა ხოლმე"[1])

დღევანდელ პირობებში, საზოგადოებრივ კლასთა თანამედროვე ურთიერთობაში, ეს საკითხი — მსოფლიოს შეცნობის თუ შეუცნობლობის შესახებ, ძართლადაც მეტად „ახირებულად" სწყდება, სახელდობრი ისე, რომ როცა ბურჟუაზიული აზროვნება „საგნის თავის თავად" შეცნობას ე. ი. — გარემყარის შეცნობას ეარყოფს, ამავე დროს პროლეტარული აზროვნება და პრაქტიკა ობიექტურ მსოფლიოს შეცნობაზე ემყარება და იმასაც კი სთვლის შესაძლებლად, პრინციპიალურად დაეუფლოს მას. ერთის მხრივ — სასკოლო ბურჟუაზიული ფილოსოფია გვირჩევს: მხოლოდ რეალ მ. ოფლიოს არსებობა ვიწამოთ; მეორე მხრივ მატერიალისტური ფილოსოფია ამტკიცებს, რომ ცოდნა უეცობისაგან ვითარდება, უეცობას მხოლოდ რელატივი ხასიათი აქვს, რომ ადამიანის ცოცხალი პრაქტიკა, რომელიც შემეცნების თეორიის საფუძველს წარმოადგენს, ყოველ დღე ასაბუთებს, რომ „საგნები თავის თავად" მოვლენებათ იქცევა, ე. ი. ჩვენთვის მისაწვდომ საგნებათ. ჩვენს შემეცნებაში სუბიექტიურ წარმოდგენებს, რეალი ობიექტები შეესაბამება.

აგრედვე „კაცობრიობის პრაქტიკასაც, — როგორც ლენინი ლაპარაკობს, — არა მარტო ფენომენალური, არამედ ობიექტურად რეალური მნიშვნელობაც აქვს." ადამიანის შემეცნება აბსოლიუტურ ჭეშმარიტებას ასახავს. კაცობრიობის პრაქტიკა კი, რომელიც ჩვენს წარმოდგენებს ამოწმებს, — ამტკიცებს იმას რაც შემეცნებაში აბსოლიუტ ჭეშმარიტებას შეესაბამება." ჩვენ ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობის დროს არა მარტო მოვლენებს ვცვლით, არამედ თვით საგნებსაც, თვით ობიექტურ რეალობასაც კი. ამ ასრით ჩვენს საქმიანობას, ისე როგორც შემეცნებას არა მარტო ფენომენალური, არამედ ობიექტურად რეალური მნიშვნელობაც აქვს...

ბაგრამ თავის თავად ცხადია, რომ ასეთი შემეცნება და პრაქტიკული საქმიანობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლო, თუ ჩვენ ობიექტურ მსოფლიომდე მიღწევის შესაძლებლობა გვაქვს, ე. ი. თუ ჩვენი შემეცნება სინამდვილის გამომხატველია. ამიტომაა სწორედ, რომ ლენინი ილაშქრებს სიმბოლოთა ანუ. იეროგლიფების თეორიის წინააღმდეგ, რომლის მიხედვით ჩვენი წარმოდგენა — სინამდვილის პირობითი ნიშანია მხოლოდ.

[1]) ibedem გვ 80.

— თუ შეგრძნება—საგნის სახეობა არ არის, თუ ის მხოლოდ მისი ნიშანი ან სიმბოლოა, რომელსაც საგანთან „არავითარი მსგავსება არ აქვს, მაშინ რამდენიმედ საეჭვო ხდება გარეშე საგნის არსებობაც; ვინაიდან ნიშანი ანუ სიმბოლო შესაძლოა მოსაჩვენარ საგანსაც კი გამოხატავდეს და ყველამ იცი ასეთ ნიშნების თუ სიმბოლოთა მაგალითები“.[1])

ლენინი სრულიად მართალია, როდესაც ის სიმბოლოთა და იეროგლიფების თეორიის წინააღმდეგ ილაშქრებს. მკითხველმა იცის, რომ პლეხანოვი იეროგლიფების თვალსაზრისზე არ სდგას, და რომ მან აღიარა, რომ მისი ტერმინოლოგია სწორი არ არის; აქ საქმე იმაში გახლავთ, რომ პლეხანოვისათვის მთელი საქმის შინაარსება—ტერმინოლოგიით ამოიწურებოდა და არა თვით საკითხის შინაარსით. სიმბოლოთა თეორიას კი აუცილებლად იდეალიზმამდე მივყავართ. სიმბოლოთა თეორიის მომხრე ჰელმჰოლცი, რომლის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში წეჭრილიყო მატერიალიზმის ძლიერი ნაკადი, მართლადაც ხშირად ქანაობდა იდეალიზმისაკენ. როდესაც ასეთი დიდი მეცნიერი სწერს, რომ „იდეა და ობიექტი, რომელიც მას წარმოდგენილი აქვს, — ორი სხვა და სხვა საგანია, რომელიც ცხადია სხვა და სხვა სამყაროს ეკუთვნისო“, მაშინ ის, რასაკვირველია კანტის თვალსაზრისზე სდგას, რომელიც ის ნაწილობრივ მხარს უჭერდა კიდეც.

მართლადაც, იდეის და სინამდვილის, მოვლენისა და ობიექტის ასეთი დაპირისპირება — ეს წმინდა წყლის იდეალიზმია. ამ თვალსაზრისის თანახმად, — შეგრძნება, რაღაც პირობითი ნიშანია, მხოლოდ სიმბოლოა, რომელიც არსებითად განსხვავდება რეალ საგანთა სამყაროდან. მაგრამ, იდეათა სამყარო, ე. ი. ჩვენი წარმოდგენების სამყარო თუ საგანთა სამყაროსგან არსებითად განსხვავებულია, მაშინ შეუძლებელია ჩვენი შემოქმედება სამყაროზე, შეუძლებელია პრაქტიკა, როგორც არ უნდა იყვეს ის. მაშასადამე საკითხი ლებულობს შემდეგ სახეს: ჩვენი წარმოდგენა და შეგრძნება — ეს მხოლოდ პირობითი ნიშანი, სიმბოლოა სხვა სამყაროის საგნისა, თუ ის ამ საგნის სახეობაა. თუ პირველი ჰიპოტეზას ვიღებთ ჩვენ ამით პრინციპიალურ გადაუვალ ზღვარს დაუდებთ „თავისთავად საგანისა“ და მოვლენის შორის. თუ კი მეორე ჰიპოტეზას ვიღებთ, — ამბობს თვით ჰელმჰოლცი, — ჩვენ რეალისტურ ან მატერიალისტურ თვალსაზრისზე დავდგებით. ჰელმჰოლცი იძულებულია აღიაროს, რომ „რეალისტური ჰიპოტეზა უეჭველად ყველაზე უფრო უბრალოა, გამოცდილი, დამტკიცებული მრავალ გამოყენების დრის, თვითეულ ცალკე ნაწილში ზუსტად გარკვეული და ამიტომ ზედმიწევნით სასარგებლო და ნაყოფიერი „როგორც მოქმედების საფუძველი“. ცხადია რომ, მატერიალისტური ჰიპოტეზა,—თვით ჰელმჰოლცის შეხედულებით, უფრო მეტად და უკეთ აკმაყოფილებს ყოველ მეცნიერულ მოთხოვნილებას, ვინმე რომელიმე სხვა ჰიპოტეზა მაგრამ, – თუ მატერიალისტური თეორია „სახეობათა თეორიას“ აღიარებს, უნდა დავიხსომოთ, (რასაც ხაზს უსვამს ლენინი), რომ ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს „ასახვა მთლიანად მოდელს უდრიდეს“, ხოლო ასახვა და პირობითი ნიშანი, სიმბოლო კი სრულიად განსხვავდება

[1]) ibidem 195 გვ.

ერთი მეორესაგან. ასახვა აუცილებლათ გულისხმობს იმის ობიექტურ რეალობას რაც „აისახება". მახის მიმდევრები კი, — შეგრძნება, წარმოდგენა და ბუნების, ყოფასთან მიმართების შესახებ, საკუთარი თეორიით გამოდიან, ისინი უარყოფენ სიმბოლოთა და სახეობათა თეორიას და თან გრძნობითი წარმოდგენის — რეალ სინამდვილესთან იგივეობას ამტკიცებენ.

ლენინი ერთნაირად ებრძოდა, როგორც სიმბოლოთა თეორიას, ისე ამ უკანასკნელ სუბიექტურ შეხედულებას და მათ „მატერიალისტურ ჰიპოტეზას" უპირისპირებდა. "მატერიალისტისათვის ადამიანის „აღქმათა", შთაბეჭდილებათა და წარმოდგენების ნიღმა არსებობს — რეალი ყოფა, ხოლო აგნოსტიკების აზრით ამ აღქმათა მიღმა გადასელა, — შეუძლებელია". „გრძნობით წარმოდგენის ობიექტურ სინამდვილეთ აღიარება, — ეს იმას ნიშნავს, რომ იუმეს ან ბერკლის დაუბრუნდე, რომელთა მოძღვრება „კოორდინაციის" ბურუსშია გახვეული, ეს — იდეა ისტორი სიცრუე, აგნოსტიკის ხრიკებია;... ვინაიდან გრძნობითი წარმოდგენა — ობიექტური სინამდვილე კი არ არის, არამედ ამ სინამდვილის სახეა — ამბობს ლენინი„[1]). შემდეგ, — დედა მიწა სინამდვილეა, რომელიც ჩვენს გარეშე არსებობს. ის არ შეიძლება „გრძნობით წარმოდგენებთან" განუწყვეტ კოორდინაციაში იყოს, არ შეიძლება, რომ ის ამ წარმოდგენათა იგივეობური იყოს, მას „დაემთხვეს", არც ისაა შესაძლებელი, რომ დედამიწის „ელემენტთა კომპლექსი" ან შეგრძნების იგივეობური იყვეს. ვინაიდან დედამიწა მაშინაც კი არსებობდა, როცა მასზე არც ადამიანი, არც გრძნობათა ორგანოები, არც ასე უმაღლესად განვითარებული მატერია, — რომელსაც ცოტად თუ ბევრად ნათლად ემჩნევა შეგრძნების უნარი, — არ არსებობდა"[2]).

შემეცნების თეორიის ამ ძირითადი პრობლემათა დალაგების და გარჩევის შემდეგ კიდევ ვფიქრობთ, რომ მკითხველისათვის ცხადია ის, თუ არ ჩელმიწევნით გამოიყენა ლენინმა. დიალექტიკა — გნოსეოლოგიის მიმართ. შემეცნების თეორიის ყოველი ძირითადი პრობლემა, — მისგან წმინდა დიალექტიურ ახსნას ღებულობს. მატერიის და სულის დაპირისპირება გნოსეოლოგიაში, მისთვის გამოსავალი წერტილია ძირითად გნოსეოლოგიურ მიმართულებათა გასამიჯნათ. ამ განსხვავების დაფარვა და მიჩქმალვა, რისგანაც ლენინი გვაფრთხილებს, ცხადათ უმართებულო იქნებოდა.

„რასაკვირველია, მატერიის და შეგნების დაპირისპირებასაც აბსოლიუტური ნიშვნელობა აქვს, მხოლოდ მეტად განსაზღვრულ არეზე".

ამ შემთხვევაში ძირითად გნოსეოლოგიურ საკითხის ფარგლებში, სახელდობრ: რა ადვიარეთ როგორც პირველადელი და როგორც შემდეგი. ამ ფარგლებს იქით ამ დაპირისპირების რელატივობა უეჭველია[3]) ამრიგათ მატერიის და სულის განსხვავებაც რელატიურია. მაშასადამე ამ შემთხვევაში მეტაფიზიკურად არ უნდა ვიაზროვნოთ. „ამ რელატივ დაპირისპირების აბსოლუტურ აუცილებლობის და აბსოლუტურ ჭეშმარიტების ხღვარი — სწორედ ის არის, რაც

[1]) ibidem გვ 91.
[2]) ibidem გვ. 90.
[3]) ibidem გვ. 119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გნოსეოლოგიურ გამოკვლევათა მიმართებას განსაზღვრავს, — მატერიის და სულის, ფიზიკურის და ფსიხიურის დაპირისპირება, — აბსოლიუტურად რომ აღვიაროთ, — უდიდესი წეცდომა იქნებოდა"[1])

X

ლენინის წიგნის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი"-ს თავისებურობა ის არის, რომ ის თანამედროვე ბუნების მეტყველების, უმთავრესად კი — ფიზიკის უახლოეს მიღწევათა, — დიალექტიური მატერიალიზმის თვალსაზრისით გადამუშავების ცდაა. მახიზმს, ლენინი ახალ ფიზიკასთან დაკავშირებით არჩევს. ის პლეხანოვსაც-კი უსაყვედურებს იმაში, რომ მან მახიზმის გარჩევის დროს ამ კავშირს გვერდი აუხვია, მიუხედავად იმისა, რომ ლენინი მას, საერთოდ რომ ვსთქვათ, როგორც ფილოსოფოსს, როგორც დიალექტიურ მატერიალიზმის წარმომადგენელს ძლიერ მაღლა აყენებს და დიდათაც აფასებს: ყოველ ახალ აღმოჩენასთან ერთად, როგორც ბუნების მეტყველების, ისე კაცობრიობის ისტორიის სფეროში, მატერიალიზმი თავის ფორმებს იცვლის. ფიზიკის დღევანდელი კრიზისი იმაში მდგომარეობს, რომ წან ცხადჰყო ჩვენი ცოდნის რელატივობა.

მახის წოძღვრება სწორედ ამ კრიზისის გამოხატველია. მახიზმი დიალექტიკას არ იცნობდა, რის გამო. ის რელატივიზმის ქსელში გაება და რელატივიზმის თავისებურ ფიზიკალურ იდეალიზმამდე მივიდა. „დღეს ფიზიკოსთა უმცირესობა, — ამბობს ლენინი, — როდესაც უკანასკნელი წლების დიდი აღმოჩენებით იმსხვრევა ძველი თეორიები, როდესაც თანამედროვე ფიზიკა არსებით კრიზისს განიცდის, რომელიც ზედმიწევნით ცხადჰყოფს ჩვენი ცოდნის რელატივობას, დიალექტიკის უვიცობის გამო და ყოველივე ამის გავლენით რელატივიზმით — იდეალიზმამდე მივიდენ. ახალ მოდის ფილოსოფიური იდეალიზმი ისეთი რეაქციული და დროული გატაცებაა, როგორც ახლო წარსულის ფიზიოლოგიური იდეალიზმით გატაცება" მაგრამ დღე ბუნების მეტყველია დიდი უმრავლესობა — სტიქიურად იდგეს მატერიალიზმის ნიადაგზე.

ლენინი ფიზიკალურ თეორიათა მიმოხილვას გვაძლევს, რომელიც გნოსეოლოგიის სხვა და სხვა მიმართულებებთან დაკავშირებულია, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ლიტერატურაში. ფიზიკის სფეროში ის უმთავრესად ორ ძირითად მიმართულებას არკვევს: სტიქიურ-მატერიალისტურსა და ფიზიკურ-იდეალისტურა. ყველგან — ყოველ ქვეყანაში ფიზიკური იდეალიზმი განსაზღვრულ გაბატონებულ სპირიტუალისტურ და ფიდეისტურ მიმართულებამდე მიდის. ფიზიკური იდეალიზმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ის ობიექტურ რეალობას უარჰყოფს, რომელიც ჩვენს წეგრძნობებით მოცემულია და მეცნიერულ თეორიებით ასახული. სტიქიური მატერიალიზმი კი, რომელიც სხვა და სხვა სახელწოდებით გამოდის, როგორიცაა მაგალითად, რეალიზმი, ნეომექანიზმი და სხვ. ობიექტიურ რეალიზმს აღიარებს.

ფიზიკურ იდეალიზმს იხილავს ლენინი, როგორც „რაღაც საერთაშორისო

[1]) ibibem გვ. 205.



იდეურ მოძრაობას, რომელიც არ არის დამოკიდებული, [illegible] ფილოსოფიურ სისტემისაგან, არამედ მისი გამოსავალი წერტილია ფილოსოფიის გარეშე მყოფი რალაც ზოგადი მიზეზები". ფილოსოფიური იდეალიზმი ყველა ქვეყნის ფიზიკალურ ი ეალიზმს აერთიანებს. მათ შორის საერთო „მხოლოდ" ერთი რამ არის, სახელდობრ: ფილოსოფიური იდეალიზმი, რომლისკენაც იხრება ყოველი მათგანი ცოტად თუ ბევრათ შეგნებულად და გადაწყვეტილებით.

ფილოსოფოსები, რომელნიც ახალ ფიზიკის ამ სკოლას ემყარება, რომელნიც მის გნოსეოლოგიურ დაფუძნებას და განვითარებას სცდილობენ, — ისინი იგივე გერმანელი იმმანენტებია, მახის მოწაფეები, ფრანგი ნეოკრიტიკოსები და იდეალისტები, ინგლისის სპირიტუალისტები ან რუსი ლოპატინი + (პლიუს) ერთად ერთი ებპრიომონიტი ა. ბოგდანოვი. მათ შორის საერთო ის არის, რომ მათ ცოტად თუ ბევრად გადაწყვეტილ, პირდაპირ თუ არა პირდაპირ ან კიდევ პირადი შეძაგებით (ა. ბოგდანოვი) ფილოსოფიურ იდეალიზმი შემოაქვთ"[1]).

ამრიგათ ფილოსოფიური იდეალიზმი — ფიზიკურ იდეალიზმს ემყარება. უკანასკნელი კი უეჭველად ფილოსოფიურ იდეალიზმში გადადის. ასე იქმნება ერთგვარი კავშირი ან ეხლანდელი ენით რომ ვსთქვათ, ფიზიკის იდეალისტურ და ფილოსოფიის რეაქციულ მიმართულებათა „სმიჩკა" ხდება.

ფიზიკური იდეალიზმი, ერთის მხრივ თვით ფიზიკის განვითარებამ წარმოშვა. მათემატიკურ ფიზიკას კი მატერიის — მათემატიკურ განტოლებით შეცვლამდე მივყევართ. ლენინს ამ საკითხის გამო მ. რეია შეხედულება მოყავს, რომელიც ფიზიკალურ სინამდვილეს დაშორებულ, — აბსტრაქციის პროცესს, რომელსაც ადგილი აქვს ეხლა რელატივობის თეორიაში, შესანიშნავად ხსნის და მის საუცხოო ილიუსტრაციას იძლევა. „ფიზიკის კრიზისი, — ამბობს ა. რეი, — იმაშია, რომ ფიზიკას მათემატიკური სული დაეუფლა. ერთის მხრივ ფიზიკის და მეორეს მხრივ მათემატიკის პროგრესმა ძლიერ დაახლოვა ეს ორი მეცნიერება მე XIX საუკუნეში"...

თეორეტიული ფიზიკა — მათემატიკურ ფიზიკად იქცა...

მაშინ დაიწყო ფორმალ ფიზიკის ე. ი. მათემატიკურ ფიზიკის პერიოდი, — მათემატიკური ფიზიკის, არა როგორც ფიზიკის დარგის, არამედ როგორც მათემატიკის დარგის. ამ ახალ ფაზაში, -- მათემატიკოსი წმინდა ლოგიურ, კონცეპტუალურ ელემენტებს შეჩვეული, რომელიც მისი ერთად-ერთ სამუშაო მასალას წარმოადგენს, და ამასთანვე უხეშ მატერია ელემენტებით შეეიწროებული, ის რასაკვირველია მიიღტეოდა იქითკენ, რომ რაც შეიძლება მეტად წასულიყო აბსტრაქციებში რაც შეიძლება დაშორებოდა საგნებს და წარმოედგინა ისინი არა მატერიალურად, წმინდა ლოგიურად ან კიდევ სრულიად გაეგაითლებინა ისინი. ელემენტები, როგორც რეალური, ობიექტიური რამ, ე. ი. როგორც ფიზიკალური ელემენტები სრულიად გაქრა, დარჩა მხოლოდ ფორმალი დამოკიდებულება, რომელსაც დიფერენციალური განტოლება გამოხატავს"...[2]).

[1]) ibidi 256.

[2]) ibid. 259.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათემატიკურ ფიზიკას, ექსპერიმენტალურიდან განსხვავებულად მათემატიკურ ფორმულებთან, დიფერენციალურ განტოლებებთან აქვს საქმე. ეს დიფერენციალური განტოლებანი ფიზიკალურ ელემენტებს ან საგნებს სცვლიან. ეს აბსტრაქციები ე. ი. მათემატიკური განტოლებანი მიღებულია, როგორც კონკრეტი სახეები, როგორც თვით სინამდვილე. მატერიის ადგილს განტოლება იკავებს. ბუნებრივია, რომ ამ გზით მათემატიკურ ან ფიზიკურ იდეალიზმამდე მიდიან. მათემატიკური შემეცნების გზა, ეს კონკრეტ ფიზიკალურ სამყაროს დაცილება და წმინდა ლოგიურ, არა-მატერიალურ, აბსტრაქტულ ფორმულებამდე ან „კათეგორიებამდე" ასვლაა.

თვითეული მეცნიერული დისციპლინა, რომელიც რამოდენიმედ ცალმხრივია, მხოლოდ აბსტრაქციას, კონკრეტ სინამდვილისაგან განყენებას გამოხატავს. და თუ მეცნიერს ან მკვლევარს ეს ავიწყდება, თუ მას თავის აბსტრაქციები კონკრეტ სინამდვილეთ მიაჩნია, აბსტრაქციას და სინამდვილეს იგივეობურათ სთვლის, მაშინ ის უეჭველად **შეცდომაში შედის.**

მეორე ძირითად მიზეზს, რომელმაც ფიზიკალური იდეალიზმი წარმოშვა, ლენინი სამართლიანად რელატივიზმის პრინციპში ხედავს. დიალექტიკის უვიცობის შედეგია, რელატივ ჭეშმარიტების, ობიექტურ რეალობისგან დაშორება. შემდეგ ლენინი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „ფიზიკალური იდეალიზმი" ეს მთელი თანამედროვე ბუნების მეტყველების თვისება კი არ არის, რასაც ჩვეულებრივად მახის მიმდევრები გვარწმუნებენ, არამედ ის ბუნების მეტყველების მხოლოთ ერთი ნაწილის, ფიზიკის ერთი დარგის თვისებაა. მაგრამ სტიქიური მატერიალიზმი, რომელსაც ასე თუ ისე მხარს უჭერს ბუნების მეტყველთა უმრავლესობა, უეჭველად, შეგნებულად, დიალექტიურ მატერიალიზმამდე მივა.

თვითეულ ფილოსოფიურ საკითხში, რომელსაც თანამედროვე ფიზიკა წამოჭრის ხოლმე, ლენინი სამართლიანად, მატერიალიზმის და იდეალიზმის ბრძოლას ხედავს. „ამ ტერმინოლოგიურ ხრიკების ხროვის მიღმა, ამ გელერტერულ სქოლასტიკის ნაგვის იქით, ჩვენ ყოველთვის ორ ძირითად ხაზს, ორ უმთავრეს მიმართულებას ვამჩნევთ ფილოსოფიურ საკითხების გადაჭრის გარშემო". მზგავსად იმისა, როგორც პოლიტიკაში საერთოდ ორი უმთავრესი ბანაკი არსებობს, ისე ფილოსოფიაში ორ ძირითად: მატერიალისტურ და იდეალისტურ მიმართულებას, პარტიას ხედავს ლენინი. და მზგავსად იმისა, როგორც წვრილი ბურჟუაზია და მისი პარტიები მუდამ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიის შორის ქანაობს, ისე ფილოსოფიის „წვრილ-ბურჟუაზიული" მიმართულებანი ხან მატერიალიზმს და ხან იდეალიზმს ეხმრობა, ხოლო არსებითად კი იდეალისტურ პოზიციაზე სდგას. რეალისტები, პოზიტივისტები და მახისტები, — ყველა ესენი „ფილოსოფიის საშუალო პარტიას წარმოადგენს, რომელიც თვითეულ ცალკე საკითხის გარშემო, მატერიალისტურ და იდეალისტურ ნეხედულებათ ერთმანეთში ურევენ".

მართალია მახის მიმდეველთ თავი მოაქვთ თავიანთ მიუდგომლობით, ისინი სცდილობენ მატერიალიზმსა და იდეალიზმზე „ამაღლდენ", სურთ ეს მოძველებული დაპირისპირება გადალახონ სიტყვა „ცდის" საშუალებით და სხვ. მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ეს მხოლოდ საბრალო განჭრახვაა; ამ ორ მიმართულებისაგან თავის დაღწევა ფილოსოფიაში შეუძლებელია. ამიტომ სინამდვილეში მახის მიმდევრები მატერიალიზმს ებრძვიან, ხოლო იდეალიზმს მშვიდობიანათ **უთვისდებიან.**

თანამედროვე კლასიურ საზოგადოებაში, ფილოსოფია იმდენათვე პარტიულია, რამდენათაც პოლიტიკური ეკონომია ან საერთოდ ყოველგვარი იდეოლოგია. ამიტომ ფილოსოფიურ მიმართულებათა ბრძოლა, ამავე დროს კლასიურ ტენდენციების და კლასთა ბრძოლის გამომხატველია, „თანამედროვე ფილოსოფია,—ამბობს ლენინი,—ისეთივე პარტიულია, როგორც ორი ათასი წლის წინათ“ მთავარ მებრძოლ პარტიებს მატერიალიზმი და იდეალიზმი წარმოადგენს. უკანასკნელი კი მხოლოდ გამახვილებული, გაშალაშინებული ფორმაა ფიდეიზმის, რომელიც თავიდან ფეებებამდე შეიარაღებულია, მფლობელთა დიდი ორგანიზაციების. განუწყვეტლად აწარმოებს მასებზე ზემოქმედებას და ამასთანავე ფილოსოფიური აზროვნების ოდნავ რხევას თავის სასარგებლოთ ხდის. ემპირიოკრიტიციზმის ობიექტური, კლასიური როლი ფიდეისტებთან მოსამსახურეობაში გამოიხატება, როცა ისინი საერთოდ მატერიალიზმის და კერძოთ ისტორიულ მატერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებენ“[1]).

ამგვარათ მებრძოლი მატერიალისტი—ლენინი ფილოსოფიიდან უშუალოდ —პრაქტიკაში, პოლიტიკაში გადადის. ლენინის მიერ დიალექტიური მატერიალიზმის კონკრეტი გამოყენება ეკონომიკის, ტაქტიკის და სხვადასხვა პრობლემათა მიმართ. მეტად საყურადღებოა, მაგრამ ამის შესახებ ოდესმე სხვა დროს.

---

[1]) ibidi — 303.

ლ. ტროცკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციის ახალი ეტაპი

I.

კომუნისტური პარტიის სიძლიერე და ქვეყნის კულტურის დონე.

ერთ-ერთ უკანასკნელ მოხსენების დროს სოკოლნიკში, განათლების მუშაკთა საიუბილეო კრებაზე მე მივიღე შეკითხვა, რომელსაც უდიდესი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს და რომელიც მჭიდროთ დაკავშირებულია, როგორც საერთაშორისო მდგომარეობასთან, — ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, — ისე კომუნისტურ ინტერნაციონალის მიმდინარე მე-V კონგრესთან.

და იმის მაგივრად, რომ კიდევ ერთხელ, ეგრეედ წოდებულ „საერთაშორისო მდგომარეობის" კონსპექტიური სახე მოგცეთ, მე შევეცდები ზოგადათ მაინც მოვხაზო ამ პრინციპიალ საკითხის პასუხი, რომელიც სოკოლნიკში ვერ მოვასწარ და რომელსაც ეხლა მე თქვენ მოგახსენებთ. — ეს შეკითხვა ასეთია: „ამხ. ტროცკი, გთხოვთ, აგვიხსნათ რატომ არის, რომ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში (ამერიკა, ინგლისი) ასე სუსტია კომუნისტური პარტია და თან ეს ქვეყნები ყველაზე უფრო დაშორებულია სოციალურ რევოლიუციიდან. ეს საკითხი ძლიერ გვაწუხებს. გთხოვთ აგვიხსნათ". ასეთია შეკითხვა. ამ კითხვაზე პასუხი — ეს საერთაშორისო მდგომარეობის ახსნაც იქნება, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ე. ი. როგორც სხვა და სხვა სახელმწიფოთა ურთიერთობის და კაპიტალისტური ქვეყნების საბჭოთა რესპუბლიკასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, ისე მსოფლიო რევოლიუციის განვითარების თვალსაზრისითაც. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს ხომ ერთი და იმავე საკითხის ორი სახეა. რასაკვირველია ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით, რომ ჩვენი დიპლომატია იურიდიულად დამოუკიდებელია კომინტერნისაგან და კომინტერნიც დამოუკიდებელია ჩვენი დიპლომატიიდან; მაგრამ ამავე დროს არც ისაა საიდუმლო, რომ კომინტერნის წარმატება პირდაპირ თუ არა პირდაპირ გავლენას ახდენს საბ-

ᲭᲝᲗᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲪ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲣᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲖᲔ. — ᲔᲡ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲠᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲓᲐ ᲣᲛᲣᲐᲚᲝᲓ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲓᲔᲡ. ᲐᲠᲐ, — ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲘᲛᲐᲡ ᲬᲝᲬᲬᲝᲛᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲠᲓᲐ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲓᲐᲛᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲛᲬᲕᲐᲕᲔᲑᲡ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡᲐ. ᲐᲛ ᲨᲔᲛᲝᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲪᲮᲐᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ „ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ“ ᲐᲠᲐ ᲕᲐᲠᲗ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲔᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ „ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲗ“ ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ.

ᲛᲐᲨ ᲠᲘᲗ ᲐᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲡᲣᲡᲢᲘᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲣᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲗ ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲝᲡ, ᲘᲡᲔ ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲔᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲡᲕᲔᲑᲔᲓᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲔᲑᲡ?! ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐᲨᲘ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲗ. ᲔᲡ ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲖᲛᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲖᲛᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ, ᲐᲘ ᲐᲛ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ **„ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐᲡ“** ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲗ, ᲐᲡᲔ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ **ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ,** ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲐᲕᲘᲦᲝᲗ ᲛᲐᲡ ᲛᲝᲰᲧᲕᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲡᲙᲕᲐᲜᲐ: ᲠᲝᲛ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘ.. ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲡᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲔᲑᲐᲐ. ᲔᲠᲗᲘᲡ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲘᲛ ᲓᲐᲡᲙᲕᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲕᲐᲚᲝ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲪ ᲛᲣᲪᲢᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, — ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲫᲚᲘᲔᲠᲘᲐ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘ. ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲠᲮᲘᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ, — ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲣᲡᲢᲘᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲡᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲝᲠᲪᲘᲣᲚᲘᲐ. ᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲑᲝᲛᲔᲗ ᲐᲛ ᲣᲐᲚᲠᲔᲡᲐᲓ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ, ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲛᲝᲒᲪᲔᲗ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲖᲔ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐᲒᲐᲜᲘ, — ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲐ; ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲣᲡᲢᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜ ᲯᲔᲠ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲕᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲗ. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, — ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲐ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲓᲘᲡ �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ... ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲓᲐᲪ ᲠᲘᲗᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲮᲡᲜᲐᲗ ᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲝᲡᲐᲜ, ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲣᲚ ᲓᲐ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ, — ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲐᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲘᲛᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲝᲡ?

ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲕᲐᲪᲘᲚᲝᲗ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐ, ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲔᲜᲨᲔᲕᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔ: ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲡᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲞᲠᲝᲞᲝᲠᲪᲘᲣᲚᲘᲐ. ᲛᲔ ᲛᲝᲒᲐᲒᲝᲜᲔᲑᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲪᲝᲢᲐ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲘᲜᲒᲚᲘᲐᲨᲘ, — ᲒᲗᲮᲝᲕᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲕᲬᲧᲗ, — ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲐᲐ:



ჩვენში ეს არ არის, არ არის საფრანგეთში და არც გერმანიაში. [illegible] მონარქია,— როგორიც არ უნდა იყოს ის,— არც ერთი თვალსაზრისით არ შეიძლება, როგორც უმაღლეს კულტურის სახე, როგორც ადამიანობის უმაღლესი მიღწევა ისე დავსახოთ.—ამას თვით მაკდონალდიც არ იზამს,—ის დადუმდება, ზრდილად და დიპლომატიურად ენაზე იკბენს, მაგრამ იმას კი არ იტყვის რომ „ბარბაროსულ“ რუსეთთან შედარებით ინგლისის კულტურულობა იმაში გამოიხატება, რომ იქ მონარქიაა. ინგლისში ახლაც კი არსებობს წოდებრივი პრივილეგიებით აღჭურვილი არისტოკრატია. არის ლორდთა პალატაც და ბოლოს ეკლესიის კოლოსალური ძალადობა. არც ერთი ევროპის ქვეყანა, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ოჯახურ ცხოვრებაზე ეკლესიის ისეთ ძლიერი გავლენის სურათს არ გვაძლევს, როგორც დიდი ბრიტანეთი. იმისათვის რომ იქ ვინმემ სთქვას, რომ ის ეკლესიას არ ეკუთვნის, საეკლესიო წესებს არ ასრულებს და მით უმეტეს ის აღიაროს, რომ მას ღმერთი არა სწამს, საჭიროა, იშვიათი პირადი ვაჟკაცობა. ასე ძნელია იქ, ყოველ ცალკე შემთხვევაში კავშირი გაწყვიტო პირმოთნეობასა, საეკლესიო ცრუმორწმუნეობასა და მეშჩანურ ცხოვრებასთან, რომელიც ისევ-ისე ამ პირმოთნეობას და ცრუმორწმუნეობას ემყარება. იმედია, არც ერთი თქვენგანი არ იტყვის, რომ საზოგადოებრივ შეგნებაზე—ეკლესიის ძალადობა პროგრესის გამომხატველია. ამრიგად ინგლისში, კომპარტიის სისუსტესთან ერთად, სხვა არა ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტებიც ყოფილა, როგორიც არის მონარქიის, არისტოკრატიის და ლორდთა პალატის არსებობა, თან რელიგიის კოლოსალური გაელენა პოლიტიკაზე და საზოგადოებრივ ყოფაცხოვრებაზე. ახლა თუ ინგლისს, ცალმხრივ მიუდექით, იქიდან დავიწყეთ, რომ იქ მონარქიას, ლორდთა პალატას, არისტოკრატიას, ანგლიკანურ მიწათმფლობელობას და ეკლესიის ძალადობას და სხვა. აქვს ადგილი, მაშინ ხომ,— დიახ იტყვი,— რომ ინგლისი—ევროპის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი და ბარბაროსული ქვეყანაა, მაგრამ ეს ისე მართალი იქნება, როგორც მენშევიკების მტკიცება, რომ კომუნიზმი ჩამორჩენილობის პროდუქტია,—ეს უმართებულოა, ცალმხრივია, ყალბია. შეიძლება განა იმის დაშვება რომ ინგლისი—ევროპის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ქვეყანაა? არა, —ეს არას გზით არ შეიძლება ინგლისზე ჩვენი საერთო წარმოდგენის ჩარჩოებში მოთავსდეს. ინგლისში უალრესად განვითარებული ტექნიკაა, რასაც ადამიანთა ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მართალია, ამერიკამ ტექნიკის სფეროში ინგლისს გაასწრო. ინგლისის ტექნიკის შეილმა—ტექნიკა გზაზე მამას გაასწრო. ომამდე ინგლისს—გერმანია ემუქრებოდა ტექნიკის განვითარებით, გერმანია ამ მხრივ ინგლისის პირველი მეტოქე იყო და პრეწველობის ზოგიერთ დარგებში კიდეეაც გაუსწრო მას. მაგრამ ახლა გერმანიის დამსხვრევის შემდეგ, ინგლისი ეკონომიურად პირველობს ევროპაში. ადამიანის აზროვნების და შემოქმედების განვითარების სფეროში,— ინგლისის მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება უდიდეს როლს ასრულებდა და ახლაც ასრულებს. როგორ დავაღწიოთ თავი ამ წინააღმდეგობას? წინააღმდეგობა ნათელია: ერთის მხრივ უმაღლესი ტექნიკა, მეცნიერება და სხ. მეორე პოლიუსზე—მონარქია, არისტოკრატია, ლორდთა პალატა და რელიგიური ცრუ-

მორწმუნეობის სასტიკი ძალადობა. აქედან დასკვნა როგორებაც დასკვნა ის არის რომ არ შეიძლება ქვეყნის განვითარებას ყოველ სფეროში ერთიდაიგივე საზომით მიუდგეთ და ამ გზომვის საფუძველზე საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ყოველ მხარეს ერთნაირი შეფასება მივსცეთ. განვითარება წინააღმდეგობებით სავსეა. ზოგიერთ სფეროში ქვეყანა კოლოსალურ წარმატებას აღწევს, მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევებიც რომ სწორედ ამ წარმატებით ქვეყანა თავის საკუთარ განვითარება სხვა სფეროებში აფერხებს. ამის შესახებ უფრო კონკრეტიულათ ვიტყვი.

კაპიტალისტურ განვითარების გზას პირველად ინგლისი დაადგა და ამის წყალობით მეცხრამეტე საუკუნეში მსოფლიო ბაზრის გეგემონია შეიქმნა. ისევ ისევ ამის წყალობით ინგლისის ბურჟუაზია ყველაზე ძლიერი, მდიდარი და განათლებული შეიქმნა. ამ პირობებმა მას საშუალება მისცეს ინგლისის მუშათა კლასის მეთაურებისათვის პრივილეგიური მდგომარეობა შეექმნათ და ამით კლასური ანტაგონიზმი ჩაეხშოთ.

ინგლისის მუშათა კლასი თავის დამოუკიდებლობას და ბურჟუაზიასთან ანტაგონისტურ განწყობილებას უფრო მძიმედ ითვისებს, ვინემ სხვა, ისეთი ქვეყნის მუშათა კლასი, რომლის ბურჟუაზია შედარებით სუსტია. ამრიგათ ცხადია, რომ ევროპის ბურჟუაზიის ყველაზე უფრო მოწინავე ინგლისის ბურჟუაზიამ, რომელიც განსაკუთრებულ ხელისშემწყობ პირობებში გაიზარდა და განვითარდა,—ინგლისის პროლეტარიატის განვითარება დიდი ხნით შეაჩერა. ინგლისის ტეხნიკის ნელ და „ორგანიულმა" ზრდამ, ბურჟუაზიულ რევოლიუციის და ბურჟუაზიულ რეფორმაციის დაახლოვებამ,—ეკლესიის მიმართ კრიტიკული აზრის მუმაობა შეაჩერა. ინგლისის ბურჟუაზია ძველ დაწესებულებათა ჭერ ქვეშ ვითარდებოდა, ერთის მხრივ მას შეეგუა და მეორე მხრივ თან და თან, ორგანიულად, „ევოლიუციურად" იმორჩილებდა მას. მე-XVII საუკუნის რევოლიუციური მოძრაობა არსებითად მივიწყებულია. სწორედ ამაშია ეგრედ წოდებული ინგლისური ტრადიცია. მისი არსებითი ნიშანი—კონსერვატიზმია.

ინგლისის ბურჟუაზია ყველაზე უფრო ამაყობს იმით, რომ მას არ დაუნგრევია ძველი შენება და საორწმუნოება. არამედ—საეფო—საეზნაურო ციხე თან და თან თავის საეკლესიო ფირმის საჭიროებას შეუთანხმა. ამ ციხის კუთხეებში იყო ხატები, საკუთარი სიმბოლოები, საკუთარი ფეტიშები—ბურჟუაზიას ის გამოუტანია. მან ის თავის ბატონობის გასამტკიცებლად გამოიყენა და პროლეტარიატს ზევით კულტურულ კონსერვატიზმის მძიმე სახურავი გადაამხო.

II.

ჩვენი და ინგლისის პროლეტარიატი.

ინგლისის მუშათა კლასის განვითარებას სულ სხვა ხასიათი აქვს ვინემ ჩვენი მუშათა კლასის განვითარებას. ჩვენი ნორჩი პროლეტარიატი რაღაც 50 წლის განმავლობაში შეიქმნა. სოფლის ეკონომიურ ჩამოქვეითების და რელიგიურ ცრუმორწმუნოების პირობებში ის უმთავრესად **კუსტარულ ხელოსანთა** და გლეხობის წიაღიდან წარმოიშვა. კაპიტალიზმი შეუბრალებლად ყელში სწვდა გლეხობის ნორჩ თაობას და ქარხნის ქვაბებში მოაქცია იგი. პირობების შეცვ-

ლა კატასტროფიული გამოდგა. როდესაც ახალგაზრდა გლეხი [illegible] ქალს გაეცხო, ის იმ წამსვე იმაზე დაფიქრდა თუ ვინ და სად არ[illegible] მას მიეგება რევოლიუციური პარტია, რომელმაც აუხსნა და განუმარტა მისი რაობა. ამ განმარტებას ის იოლად დაეუფლა რადგან მასში არავითარი კონსერვატიული არ იყო: ძველი სოფლის შეხედულებანი სრულიად არ ვარგოდა.—საჭირო იყო მთელი მსოფლმხედველობის არსებითი, რადიკალური შეცვლა. ინგლისის მუშის მდგომარეობა სულ სხვაგვარი იყო. მისი მამა-პაპა ისეთივე მუშები იყვნენ როგორც თვითონ და მხოლოდ მისი შორეული წინაპარი იყო წვრილი ხელოსანი. მას, ინგლისის მუშას საოჯახო წიგნაკი აქვს, აქ მას უწერია, იცის თუ ვინ იყო მისი წინაპარი, ეს მისი საგვარეო ტრადიციაა. ესეც თავისებური „კულტურისნობაა", რომელიც იმის გამომხატველია, რომ მისი შეგნება წინაპართა ცრუმორწმუნოებასაც ატარებს. ინგლისის მუშა ისე უეცრად, კატასტროფიულად არ გადასულა კარჩაკეტილ სოფლის ცხოვრებიდან — ახალ ინდუსტრიისაკენ. ქარხნის ცხოვრების და ქალაქის კულტურის ცვალებად პირობებში — ის ორგანიულად ეითარდებოდა. მისი შეგნება აქამდე ატარებს საშუალო საუკუნეთა ცეხურ შეხედულებას და ცრუმორწმუნეობას, რომელიც, — რასაკვირველია, — სახეშეცვლილია და კაპიტალისტურ ცხოვრების პირობებთან შეგუებული. ცეხური ცხოვრება და ცეხური დღესასწაულები არსებითად რელიგიურ ცრუმორწმუნეობით გაჟღენთილია. დღესასწაულობენ შვილის დაბადებას, მის შეგირდად მიბარებას, ხელოსნის დამოუკიდებელ ცხოვრებაზე გადასელას და სხ. ეს რელიგია შეიჭრა ტრედუნიონებშიდაც, რომელიც თავის მძიმე კონსერვატიული კუდით საშუალო საუკუნეებისაკენ მიექანება.

ინგლისის ტეხნიკა — ძირითადი კაპიტალისტური ტეხნიკაა. ის უცხოეთიდან არ შემოჭრილა ინგლისში, არ გაუნადგურებია მისი ნაციონალური მეურნეობის ფორმები, არამედ თვით ამ ნაციონალურ მეურნეობის ფორმათა ნიადაგზე ეითარდება. მუშათა კლასის შეგნებაზე გავლენას ახდენს ტეხნიკის ასეთი ორგანიული ზრდა, თუმც მეტად შორდება ხოლმე მას. აქ არ უნდა დავიიწყოთ რომ საზოგადოებრივი მასშტაბით აღებული ადამიანის შეგნება სასტიკად კონსერვატიული და უძრავია.

მხოლოდ იდეალისტებს წარმოუდგენიად, თითქოს ქვეყანა, ადამიანის აზრის თავისუფალი ინიციატივით ეითარდება. ნამდვილად, საზოგადოებრივი ან კლასიური აზრი ერთ ნაბიჯსაც არ გადასდგამს თუ ამას საჭიროება არ მოითხოვს. ძველი ტრადიციული აზრი ახალ ფაქტებს ეგუება სადაც ეს შესაძლო არის უბრალოდ რომ ესთქვათ ხალხი და ყოველი კლასი გადამწყვეტ ინიციატივას მანამდე არ იჩენს, სანამ მას ისტორია თავის დარჯაკში არ მოაქცევს. საქმე რომ სხვანაირად იყოს, მაშინ განა ხალხი იმპერიალისტურ ომამდე მივიდოდა? ომი ხომ ყველას თვალწინ ახლოვდებოდა; ორი მატარებელი ერთმანეთის დასაჯახებლად მიდიოდა. მაგრამ ხალხი სდუმდა, უცქეროდა და ჩვეულებრივ კონსერვატიულ ცხოვრებას განაგრძობდა. საჭირო შეიქმნა იმპერიალისტური ომის სასტიკი შენჯღრევა და აბობოქრება, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ადამიანის შეგნებაში ოტაოდენი ცვლილება მომხდარიყო. რუსეთის მშრომელთ

უკუაგდეს რომანოვი, დაამხვეს ბურჟუაზია და ძალა-უფლება ხელში აიღეს. გერმანიაში გააძევეს გოგენცოლერნი და შუა გზაზე შეჩერდენ. [illegible] ბისათვის საჭირო შეიქმნა ათეული მილიონებით მსხვერპლი, სასტიკი [illegible]... განა ეს ნათლად არ მოწმობს იმას, თუ რამდენად კონსერვატიული და უძრავია ადამიანის გონება, რომელიც ჯიუტად ებღაუჭება ყოველივე ძველს, ნაცნობს, შეჩვეულს, მამა-პაპეულს, სანამ მას ხელაღლა მუჯლუგუნს წაჰკრავდენ.

ასეთი მუჯლუგუნი ინგლისსაც ახსოვს. წარსული საუკუნის მეორე მესამედში, —ინდუსტრიის ჩქარი განვითარების შემდეგ, — ფეხი მოიდგა ძლიერმა მუშათა მოძრაობამ ე. წ. ჩარტიზმმა, მაგრამ ბურჟუაზიული საზოგადოება საკმაოდ მაგრად იდგა და ჩარტისტული მოძრაობაც უარყოფილად დამთავრდა. ინგლისის ბურჟუაზიის ძალა იმაში იყო რომ ის ზრდის პროცესში, მდიდარი და მსოფლიოზე პირველი შეძლების იყო... ის ნასუფრალს უნაწილებდა მუშათა კლასის ზედა ფენებს და ამით მასასაც აუძლურებდა და შლიდა. საკმარისია როგორც საჭიროა ისე ჩაუფიქრდეთ ამ პროცესს, რომ ჩვენი მეტად დაგვიანებული და მაშასადამე წინააღმდეგობით აღსავსე განვითარება გავიგოთ. აიღეთ ჩვენი სამხრეთი თავის ქვანახშირით და მეტალურგიით; ესოდენ ოხლად დასახლებული თვალუწვდენელ მინდვრებში, აქა იქ მინდვრის ქოხებში რომელსაც თან გაზაფხულის და შემოდგომის გაუვალი ტალახი ახლავს... და აი ამ მინდვრებზე უზარმაზარი მეტალურგიული წარმოება. რასაკვირველია ის ჩვენი ეკონომიკის წიაღიდან არ წარმოშობილა, არამედ უცხო კაპიტალის მეოხებით შემოიჭრა ჩვენში. ჩამორჩენილ, აქა იქ გაფანტულ სოფლებისაგან, ევროპის და ნაწილობრივ ამერიკის კაპიტალმა შეჰქმნა მუშათა ახალი კადრი, რომელიც მოსტაცა იმ პირობებს, რომელსაც ერთხელ მარქსმა „სოფლის ცხოვრების იდიოტიზმი“ უწოდა. აი ამ დონის ოლქის, ბრუნდი რქის და სხ. ახალ პროლეტარებს, —მაღაროებსა და ქარხნებში, არავითარი მემკვიდრეობითი ტრადიცია, არავითარი ცეხური კონსერვატიზმი ან სხვა მაგარი და მტკიცე სარწმუნოება არ შეუტანიათ.

პირიქით მათ იქ, ახალი, უჩვეულო და სასტიკ პირობებში პირველად იგრძნეს ისე როგორც საჭირო არის, მტკიცე რწმენის საჭიროება, ისეთი რწმენის, რომელიც მათი იდეური დასაყრდნობიც იქნებოდა. აქ მიეშველა სოციალ-დემოკრატია, რომელიც ასწავლიდა მათ, რომ ძველ ცრუმორწმუნეობასთან ყოველ გვარი კავშირი გაეწყვიტათ და ის ამრიგად რევოლიუციონურ გზით წარმოშობილ კლასს, რევოლიუციონურ შეგნებას აძლევდა. ასეთია ამ საკითხის ძირითადი შტრიხებით ახსნა, რომელიც ჩემს წინაშე იყო დასმული. შეიძლება ითქვას რაც უფრო მდიდარი, ძლიერი და ჭკვიანი იყო ბურჟუაზია, იმდენად ოლი იყო მისთვის--პროლეტარიატის იდეური და მაშასადამე რევოლიუციონური მოძრაობის შეფერხება. ეს იმავე აზრის სხვანაირი გამოთქმაა. დიდი ბრიტანეთის ბურჟუაზია შეეჩვია ეგრედ წოდებულ მუშათა პარტიის ლიდერების მლიქვნელობას, რომელიც თვით ამ ბურჟუაზიის აღზრდილია. აი საინტერესო ციტატა ინგლისის სადღესასწაულო გაზეთ „ტაიმს“-იდან.

გაზეთი იმაზე სჩივის, რომ ეხლა, მაკდონალდის მთავრობის დროს ძლიერ გაფიცვებს აქვს ადგილი და ამბობს: „ჩვენ, დიდ ბრიტანეთში, გამოცდილი, პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიოტული სულით აღსავსე, რეალ პასუხის მგებლობის, გრძნობის, მატარებელი, ეკონომიკის ფართე ცოდნით აღჭურვილი, მსოფლიოს საუკეთესო მუშათა ლიდერები მოგვეპოვება, მაგრამ მიუხედავად ამისა ცნობილი რევოლიუციონერები მათ თავიდან იცლიანო." ეს სიტყვა — სიტყვით: იმის შესახებ, რომ ისინი ცნობილ რევოლიუციონერთა მიერ მიჩქმალული და მათი ყურადღების გარეშე რჩება, — ეს სამწუხაროდ ჯერ კიდევ გადამეტებულია. რასაკვირველია ინგლისში იზრდება რევოლიუციონერები, მაგრამ, სამწუხაროდ ჯერ კიდევ არა საკმარისად იცილებენ თავიდან იმ ლიდერებს, რომელთაც „ტაიმსი" ჭკვიან პოლიტიკოსებად და თავამდე სიბრძნით და პატრიოტიზმით აღსავსეთ აცხადებს.

საიდან არის ყოველივე ეს? მუშათა ლიდერები, რომელთაც ბურჟუაზიისაგან ასეთი ქება დაემსახურებიოს თუ გინდა ესერებისა და მენშევიკების ცნობილი პერიოდი აეღლოთ, როდესაც ისინი საკმაოდ დიდ როლს ასრულებდენ, ჩვენს მუშათა კლასში არ ყოფილა და არც არის. ვინაიდან ჩვენი ბურჟუაზია მწვავე და გადამწყვეტ მომენტთა გარდა, — როდესაც ისინი ძლიერ შეეიწროებას გრძნობდენ, — თვით ესერების და მენშევიკების უკმაყოფილო იყო. ხოლო იქ ინგლისში საიდან შეიქმნა ბურჟუაზიის ასეთი კმაყოფილება მუშათა ლიდერების მიმართ? სწორედ იქიდან, რომ ინგლისის ბურჟუაზიამ თვით აღზარდა ეს ლიდერები. როგორ შესძლო მან მუშათა „ლიდერები" აღეზარდა? იქიდან, რომ ის როგორც ბოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნის მმართველი კლასი, ძლიერი და კულტურულანი იყო. მუშათა კლასის ნიადაგიდან ახალგაზდა ლიდერები როგორც კი წამოიჭრებოდა, იმ წამსვე მას ინგლისის ბურჟუაზიის ყოველგვარი „სპეცი" თავს ესხმოდა, იტაცებდა და მის წარმომდგენებზე, ბურჟუაზიულ კულტურის სიძლიერით გავლენას ახდენდა. ჩვენში საშუალო მეშჩანინი, ლიბერალი თუ რადიკალი ინტელეგენტი დიდი ხანია ინგლისს — უკულტურესს მხარედ სთვლიდა და ყოველივე ის რაც ინგლისში ან ინგლისიდანაა — არის ბლიუსი, პროგრესი, დოვლათი და სხ.

ამაში გამოიხატება დიალექტიურ აზროვნების მესჩანური უვიცობა, რომ დაანაწილო მოვლენები და საკითხი მისი ისტორიული კონკრეტი სახით განიხილო. ჩვენ მივისწრაფით, ნამდვილი დოვლათი — ინგლისის ტეხნიკა — გადმოვიტანოთ ჩვენში, პორის, ხე-ტყის და სხ. ძვირფას საქონლის მაგივრად. ხოლო ინგლისის სამეფო ძალა-უფლება ინგლისის ფარისეველური კონსერვატიზმი, რელიგია, მონობა, ცრუმორწმუნეობა, — ეს ხარახურა, ხლაბი, საუკუნეთა ნაგავი ჩვენ საჩუქრადაც არ გვინდა. თუ ჩვენს საშუალო „ობივატელზე" შორიდან მოქმედებდა ინგლისის კულტურა, რომელიც მასში რაღაც ბრმა სათნოებას იწვევდა, ნით უმეტეს გაცილებით ძლიერ, კონკრეტ უშუალო გავლენას თვით ინგლისის ნეშჩანინი და ინგლისის მუშათა კლასის ნახევრად მესჩანური წარმომადგენელი განიცდის. ის, რის შექმნაც შესძლო ბრიტანეთის ბურჟუაზიამ, — მისი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის, მისი კულტურის ჰიპნოზია. ინგლისის ბურჟუაზია სწორედ ამ ხელოვნურად მოწყობილ ჰიპნოზით მოქმედებდა მუშათა ლიდერებზე, რომელთაც ის ყოველთვის თავის რეპორტერების, ფოტოგრაფების, სპორტსმენების, ბლედლების, ლექტორების და სხ. წრეში მოაქცევდა.

ამგზით ახალგაზრდა ლიდერი ერთბაშად ბურჟუაზიულ [illegible]ვარდება და მის გავლენის ქვეშ იმყოფება. მას ხან შეაქებენ, ხან [illegible] გამოეთამაშა, ხან კიდევ თავზე ხელს გადაუსვამენ თუ ბურჟუაზიის წინააღმდეგ პატარა ნაბიჯი გადასდგა. და ყოველივე ეს არა ერთხელ, არამედ დღითი-დღე, კვირეობით, წლიდან-წლამდე. ახალგაზრდა ლიდერს, რომელიც ხალხში გამოდის, რცხვენია, რომ მისი სადღესასწაულო ტანსაცმელი საკმაოდ კარგი ნეკერილი არ არის, სადღესასწაულო სეირნობისათვის მისი საოცნებო საგანი — ცილინდრია, რომ ნამდვილ დენტლმენისგან განსხვავებული არ იყოს. ეს თითქოს წვრილმანებია, ნამდვილად-კი ამაშია ცხოვრება. და სწორედ ამ ჰიპნოზში—მმართველი, ძლიერი, კულტუროსანი, ფარისევლური, ხარბი და გაიძვერა კლასის დახელოვნება გამოიხატება,—დახელოვნება, რომელიც იმაში შესდგება, რომ ყოველდღიურად გადაამუშაო და დაიმორჩილო ყოველივე ის რაც მუშათა კლასის წიაღიდან წამოიჭრება, ყოველივე რაც ერთი თავით მაღლა სდგას—თვითეულ ქარხანაში, რაიონში, ქალაქში თუ მთელ მხარეში. ალბათ, მრავალი თქვენგანი ხედავს თუ რა არის „ტაიმს"-ი? ეს—ყოველდღიური ათეული სტრიქონები, მშვენიერი წვრილი შრიფტი, სხვა და სხვანაირი ილუსტრაციები, მრავალი სხვა და სხვა განყოფილება, ისე, რომ დაწყებული პოლიტიკიდან, მოდის, საეკლესიო საქმეების გავლით გათავებული. სპორტის ყოველგვარ სახეებით,—იქ ყველაფერს თავისი ადგილი მოეპოვება და რა თვალსაზრისით? რასაკვირველია ბურჟუაზიის თვალსაზრისით.

ინგლისის სხვა ბურჟუაზიული გაზეთები არ არის იმდენად დარბაისლური, მაგრამ იმავე ტიპის არიან და მკითხველის ყურადღებას ყოველმხრივ იტაცებს და დიდი ბრიტანეთის ეროვნული ტრადიციის წინაშე ე. ი. ბურჟუაზიის წინაშე მუხლმოდრეკამდე მიყავს იგი. მუშათა პრესა ძლიერ სუსტია და ამის გარდა, — კომუნისტურ გამოცემათა გამოკლებით, — სავსებით ბურჟუაზიულ კულტურის ჰიპნოზით გამსჭვალულია. ეს ჰიპნოზი პირდაპირი ტერორით ბოლოვდება. ეკუთვნოდე ინგლისის ეკლესიას — ეს იმას ნიშნავს, რომ სიწიშვლეს სამოსელით ფარავდე ან მეწვრილმანე ანგარიშით გაისტუმრო, განა შესაძლოა ქუჩაში შიშველი იარო? განა შესაძლოა ეკლესიას არ ეკუთვნოდე? აქ დიდი თავ-განწირვაა საჭირო, განაცხადო რომ შენ ეკლესიას არ ეკუთვნი ან მით უმეტეს ის ალიარო რომ ღმერთი არ გრწამს.

მუშათა ლიდერების ამ საუკუნეებით აღზრდის შედეგი და ნაყოფი — მაკდონალდის ეგრედწოდებული მუშათა მთავრობა გახლავთ. აი რატომ არის ძლიერი ინგლისის მენშევიზმი, ხოლო კომუნიზმი კი სუსტი.

III

კულტურის განყენებული ორიგინალი არ არის.

ახლა გავიმეოროთ კითხვა: კომუნიზმის სისუსტე ინგლისში — ეს ქვეყნის კულტუროსნობას თუ ჩამორჩენილობას აღნიშნავს? ჩვენი ანალიზის შემდეგ ჩვენ უკვე არავითარი საფუძველი არ გვაქვს, რომ საკითხის ასე მექანიკურად დასმის მახეში გავებათ. ჩვენ ვიტყვით, რომ ეს ერთ და იმავე დროს დიდ განვი-

ოარებას და ჩამორჩენილობასაც აღნიშნავს, ვინაიდან ისტორია მუქმდგომს აია მექანიკურად, არამედ დიალექტიურად: ხანგრძლივი პერიოდების—ეპოქების—ფარგლებში ის ერთ სფეროში მოწინავე და მეორეში — საშინელ ჩამოქვეითების ტენდენციებს ერთად აჯგუფებს. თუ ჩვენ მსოფლიო ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, მაკდონალდის „მუშათა“ მთავრობა — ოსმალეთის ბურჟუაზიულ — ნაციონალურ მთავრობას შევადარეთ (ამის შესახებ მე ტფილისის მოხსენებაში ვამბობდი), მაშინ დასკვნა, მაკდონალდის სასარგებლო არ იქნება. თქვენ გახსოვთ, რომ ინგლისის „დიად“ ლიბერალ ლიდერმა გლადსტონმა, — ნაცდვილად კი ლიბერალური ფილისტერი იყო და მარქსს სრულიად სამართლიანად სძაგდა იგი, — „დიად“ გლადსტონმა მუქარის სიტყვით მიმართა ერთხელ სისხლიან სულთანს, ფანატიკურ, ბარბაროსულ ისლამის და სხვა წარმომადგენლეს. თუ ავიღებთ საშუალო „ობივატელს“ და შევეკითხებით მას ინგლისის და ოსმალეთის შესახებ, — დიახ, რასაკვირველია ინგლისი — ცივილიზაცია პროგრესია, ოსმალითი კი — ჩამორჩენილობა, ბარბაროსობაა. მაგრამ დახეთ რა გამოდის.

ინგლისში ეხლა მენშევიკების მთავრობაა, ხოლო ოსმალეთში კი ბურჟუაზიულ-ნაციონალური მთავრობა. და აი ეს ბურჟუაზიულ-ნაციონალური მთავრობა იძულებული იყო მოესპო ხალიფატი. ხალიფატი — ეს პანისლამიზმის ცენტრალური დაწესებულებაა, ე. ი. უალრესად რეაქციული ბიმდინარეობაა მთელ ქვეყანაზე. ინგლისის მენშევიკურ მთავრობამ კი ხედვასში ხალიფატი აღადგინა, რომ მუსულმან მონებზე — ბურჟუაზიის ბატონობა განმტკიცებია. ისტორიული დასკვნა ისეთია, რომ ინგლისის მენშევიკური მთავრობა, მიუხედავად ბრიტანეთის ცივილიზაციისა და სხ. ამ მსოფლიო ძალთა მიჭრაში რეაქციულ როლს ასრულებს, იმ დროს როდესაც ეროვნულად ჩაგრულ ჩამორჩენილ ოსმალეთის ბურჟუაზიულ-ნაციონალური მთავრობა პროგრესიულ გზას ადგია. აი ისტორიის დიალექტიკა. რა თქმა უნდა ტექნიკის, მეცნიერების და ხელოვნების განვითარების თვალსაზრისით ინგლისი გაცილებით მაღლა სდგას ოსმალეთზე, ინგლისის დაგროვილი სიმდიდრე გაცილებით ძეტია იმაზე, რაც ამ მხრივ ოსმალეთში იმყოფება. სწორედ ამ სიმდიდრის და საერთოდ ნაციონალურ „კულტურის“ დაცვისათვის, ინგლისის ბურჟუაზია იძულებული იყო არხი-კონსერვატიული პოლიტიკა ეწარმოებინა და ამ შემთხვევაში მუშათა მთავრობა, მის ხელში ხალიფატის აღსადგენიარაღად გადაიქცა. **ცხოვრების ყოველ სფეროში გამოსადეგი, კულტურის განყენებული საზომი არ არსებობს...**

უნდა აიღო ცოცხალი ფაქტები, მათ ცოცხალ ისტორიულ ურთიერთობაში. თუ ამ დიალექტიურ თვალსაზრისს შევითვისებთ, მაშინ ჩვენთვის ბევრი რამ გაცილებით ნათელი შეიქმნება. გერმანია, მაგალითად, კომუნისტურ ძალთა და ს. დ. ურთიერთობის საკითხში, შემთხვევით კი არ სდგას რუსეთსა და ინგლისს შორის, ეს გერმანიის კაპიტალიზმის განვითარებით აიხსნება. რა თქმა უნდა აუცილებელია, კომუნისტური პარტიის ნელი და ჩქარი ზრდის მიზეზების გამოსარკვევად, თვითეული ქვეყნის ისტორიის კონკრეტი გამოკვლევა მოვახდინოთ.

საერთოდ შესაძლოა გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნა: ისეთ ქვეყანაში,



რომელიც დიდი დაგვიანებით შესდგა კაპიტალიზმის გზაზე [illegible] ჩვენი ქვეყანა, პროლეტარიატისათვის ძალა-უფლების ხელში ჩაგდება [illegible] ოდენ, ვიდრე იმ ქვეყანაში, რომელსაც დიდი წინამორბედი ბურჟუაზიული ისტორიის და თან უმაღლესი კულტურა აქვს. მაგრამ ეს—საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე, არა ნაკლებად საყურადღებო დასკვნა გულისხმობს, რომ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შემდეგ უმაღლეს კაპიტალისტურ კულტურის ქვეყნებში, სოციალისტური აღმშენებლობა უფრო იოლი იქნება ვიდრე ისეთ ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანაში როგორც ჩვენი ქვეყანაა.

ეს იმას ნიშნავს რომ ინგლისის მუშისათვის ნამდვილ პროლეტარულ ძალა-უფლებამდე, დიქტატურამდე მისვლა, გაცილებით ძნელი აქნება, ვინემ ეს ჩვენთვის იყო. მაგრამ ძალა-უფლების ხელში აღების შემდეგ, ის უფრო ჩქარა და იოლად წავა სოციალიზმისაკენ, ვიდრე ჩვენ მივალთ. და ჯერ კიდევ უცნობია, ჯერ ისტორიას არა უთქვამს რა იმის შესახებ თუ ვინ უფრო ადრე ააშენებს სოციალიზმს: ჩვენ თუ ინგლისელები. თუ ინგლისის მუშათა კლასი 10 წლის შემდეგ, — მე მაგალითისათვის ვამბობ ციფრებს საწინასწარმეტყველოდ კი არ მომყავს, არამედ უბრალო არითმეტიკული მაგალითის სახით, თუ 10 წლის შემდეგ ინგლისის მუშათა კლასი ძალა-უფლებას ხელში აიღებს, მას კიდევ 10 წლის შემდეგ, ნაწდვილი, უმაღლესი სოციალისტური მეურნეობა ექნება, ხოლო ჩვენ ალბათ 20 წლის შემდეგაც კი არა თუ სადმე იაკუტსკის ოლქში, არამედ უფრო ახლო გლეხობის ჩამორჩენილების ბევრი და ბევრი ნაშთები გვექნება... სანამ ჩვენს ჩრდილოეთს და სამხრეთს უმაღლეს ტეხნიკის საფუძველზე ცენტრალისტურ სოციალისტურ მეურნეობად გადააქცევდეთ, აქ ათეული წლებია საჭირო და მოხდება ისე რომ 20 თუ 25 წლის შემდეგ ინგლისის მუშა მოგვიბრუნდება და გვეტყვის: „ნუ გეწყინებათ, მე თქვენ ცოტა გაგასწარით“. ეს რასაკვირველია არ გვეწყინება ჩვენ — ე. ი. იმათ ვინც ამას მოესწრება. — გაგვასწარი, დაგვაგალე აბხანაგებო, ინგლისია მუშებო, გაგვასწარი, ღმორჩილესად გთხოვთ. დიდი ხანია გიცდით! ასეთია ისტორიის დიალექტიკა. პოლიტიკამ შეაჩერა, პოლიტიკამ თითქოს შებორკა დიდი ხნით ინგლისის მუშა და ის რაღაც მფრთხალი. საწყალი, მაკდონალდისებური ფორთხვით მიიწევს წინ. მაგრამ როდესაც ის ამ პოლიტიკისაგან განთავისუფლდება, მაშინ ინგლისური „ბისაკი“ გაუსწრებს ჩვენს გლეხის ცხენს. ეხლა ჩემგან თეორეტიულად ნათქვამი შერჩეულ მარქსისტულ ტერმინებით რომ განვაზოგადო, უნდა ვსთქვათ რომ თვით საკითხი ჯერ ბაზისის და ზედნაშენის ურთიერთობამდე და შემდეგ სხვა და სხვა ქვეყნის ბაზისთან და ზედნაშენთა ურთიერთ მომქმედებამდე დაიყვანება. ჩვენ ვიცით რომ ზედნაშენი — სახელმწიფო, სამართალი, პოლიტიკა, პარტიები და სხ. — ეკონომიურ ბაზისზე აღმოცენდება მით საბოლოობს და მით ერკვევა, მაშასადამე ზედნაშენსა და ბაზის შორის შესაბამისობა უნდა არსებობდეს. ეს კიდევაც არსებობს ნაწდვილად, მხოლოდ არა უბრალო არაფერ ძლიერ რთული. ერთი ზედნაშენის (ბურჟუაზიული სახელმწიფოს, ბურჟუაზიული პარტიის ბურჟუაზიული კულტურის) ძლიერი განვითარება ზოგჯერ დიდი ხნით აჩერებს სხვა ზედნაშენის (რევოლიუციურ-პროლეტარულ პარტიის) განვითარებას, მაგრამ სა-

ბოლოოდ, სახელდობრ ბოლოს და არა უშუალოდ—გადამწყვეტი ძალის სახით, მაინც ბაზისი გვევლინება. ჩვენ სწორედ ეს დავინახეთ ინგლისის ... ...

ბის პროპაგანდასაც კი მაბრალებდა. ეს ამხანაგები ფიქრობენ, რომ—თუ წინ და წინ რაიმეს ხედავ, ობიექტური განვითარების აზრით ამით იმის პასუხის მგებელიც ხარ რაც უნდა მოხდეს; ამიტომ ყველაზე უკეთესია და არც საშიშია წინ და წინ არაფერს შეხედო და მხოლოდ წარსული რიცხვის შესახებ იმსჯელო... სხვათა შორის უნდა ვსთქვათ, რომ როდესაც ჩვენ ინგლისის მუშათა მთავრობის ეგებისობას და საფრანგეთში მემარცხენე ბლოკის გამარჯვებას ვასაბუთებდით, მხედველობაში გვქონდა მხოლოდ განვითარების ტენდენცია. ეს იმას არ ნიშნავს რომ ჩვენ 100 პროცენტით ვიყავით დარწმუნებული იმაში, რომ ის ასე ზუსტად მოხდებოდა, განვითარების ტენდენცია — ეს ერთია, ხოლო მისი ცხოველი გარდატეხა სინამდვილეში—სხვაა. ისტორიაში ფაქტორი ბევრია, ისინი გადიკვეთებიან, გადიწნებიან,—ერთი-ერთის მხრივ და მერე სხვა მხრივ მოქმედებს. მაგრამ ამ შემთხვევაში ისტორიამ საქმე ისე წაიყვანა, რომ წინასწარმეტყველება საესებით და მთლიანად განხორციელდა; ინგლისში ჩვენ მუშათა მთავრობა და საფრანგეთში— მემარცხენე ბლოკის გამარჯვება გვაქვს. ეს ცოტაა მაშვინვე ვამბობდით, რომ თუ ინგლისში—მუშათა მთავრობამ და საფრანგეთში მემარცხენე ბლოკმა გაიმარჯვა, ეს იმ წინდაშვებით, რომ თუ გერმანიაში რევოლიუციამ უფრო ადრე არ გაიმარჯვა, მაშინ იქ აუცილებლად სოციალ-დემოკრატიის დროებითი გაძლიერება მოხდება. ეს შეკოწიწებული პარტია, რომელიც შარშან ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყო, უაღრესად დასუსტებული, ინგლისის და საფრანგეთის „დემოკრატიულ" გადახრის გამო ხელახლა გამოცოცხლდება და გერმანეთის ხალხს მიმართავს წინადადებით: ეხლა შეიძლება შეთანხმება ინგლისთან, იქ ხელისუფლებას სათავეში უდგას მაკდონალდი და კომპ. — ჩვენი ნათლიმამები. შეიძლება შეთახხმება საფრანგეთთან, რომელსაც რადიკალ-სოციალისტები მართავს. ისინი თითქმის ჩვენი ბიძაშვილებია. ჩვენ კი გერმანიის სოციალისტები მზათა ვართ სამსახური გაგიწიოთ ევროპის დემოკრატიებთან შეთანხმებისათვის. სხვანაირათ რომ ვსთქვათ მაშინ საქმეს იმგვარი მიმართება ჰქონდა, რომ თუ გერმანიაში რევოლიუციამ ახლო მომავალში არ გაიმარჯვა, მაშინ დროებით ევროპის პოლიტიკას შემთანხმებლობა დაეუფლება, — როგორც ქვეყნების აგრეთვე კლასთა,—რა თქმა უნდა უკანასკნელი პერიოდის, — „შემთანხმებლობა" გასალკდეებული კბილებით და იღლიაში დანით.

გამართლდა თუ არ ეს წინასწარმეტყველება? საესებით და მთლიანად. რა არის „ექსპერტთა" გეგმა რეპარაციულ საკითხის გადაჭრის განო? ეს გახლავთ ამერიკის და დიდი ბრიტანეთის ფინანსიური გეგემონიის ქვეშ გრანდიოზული საერთაშორისო ეკონომიურ ხელშეკრულების ცდა. რურის ოკუპაცია „ჯერ-ჯერობით" რჩება, მაგრამ ის შეთანხმებით დაფარული და შერბილებულია. მაკდონალდის მთავრობა პოლიტიკურ ხელშეკრულებათა და კლასიური შეთანხმების მთავრობაა. მემარცხენე ბლოკის მთავრობა საფრანგეთში ისევ, ისევ წვრილ ბურჟუაზიული კლასიური შეთანხმების მთავრობაა. ასევე ზოგიერთ სხვა ქვეყნებშიაც. ასეთია ევროპის მდგომარეობა. სად დაიკარგა ფაშიზმი? არ არის უადვილესი რა პოლიტიკაში, რომ შეითვისო სიტყვა, ფრაზა და ის იმეორო. მე უკვე ვსთქვი რომ ზეგნება- უაღრესად კონსერვატიული ფაქტორია და რომ

საჭიროა დიდი მათრახი რომ ის აამოძრავო. რა არის ფაშიზმი? წარმატება თუ არა ფაშისტური რეჟიმი განუსაზღვრელ დროს გაგრძელდეს? ბიბლიოთეკა

ფაშიზმი ბურჟუაზიის დროებითი საომარი ორგანიზაციაა—სამოქალაქო ომის საჭიროებისათვის — აი რა არის ფაშიზმი! ის ბურჟუაზიისათვის იგივე როლს ასრულებს, როგორც პროლეტარიატისათვის შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაცია. მუშათა კლასი შეიარაღებულ აჯანყებისათვის ემზადება, შესაფერად აწყობს თავის ორგანიზაციას, დამკვრელ ასეულებს ჰქმნის, აიარაღებს მებრძოლთ დინამიტებით და ა. შ. შეიძლება თუ არა ასეთი მდგომარეობა სამუდამოდ გაგრძელდეს? ცხადია, არა: ან მუშათა კლასი გაიმარჯვებს და რეგულიარულ ჯარს შექმნის ან და მისი შეტევა დაბარცხდება და მაშინ შეიარაღებულ ამბოხების ორგანიზაცია უარყოფითად დამთავრდება. ყოველ შემთხვევაში უახლოეს დრომდე მაინც დაიწყება ისევ პოლიტიკურ აგიტაციის ეპოქა, ძალთა შეკრება და სხ., რომელიც რამოდენიმე ხანს გაგრძელდება, შეიძლება რამოდენიმე წლით (1905 წ. შემდეგ!), ხან კი ათეული წლები (პარიზის კომუნის შემდეგ!) პროლეტარიატის ახალი აჯანყება მზადდება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ რომ ფაშიზმი არის უშუალო დარტყმითი საომარი ორგანიზაცია ბურჟუაზიისა, რომელსაც არ ჰყოფნის ძველი სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელიც დაკავშირებულია ლეგალობასა და დემოკრატიასთან. აქ მას სჭირია ძალით დააღწიოს თავი, მოიგერიოს პროლეტარიატის შემოტევა, — და აი ის ქმნის მებრძოლ ბანდებს, რომელნიც ყველაფერზე მზათ არიან, ოღონდ ძალა — უფლება შეინარჩუნონ. შეიძლება ფაშიზმი დიდხანს გაგრძელდეს? არა. თუ ძალა-უფლება ბურჟუაზიის ხელში იქნება, როგორც ეს იყო იტალიაში 1920 წ. როგორც ეს იყო შარშან გერმანიაში, მაშინ ის გამოიყენებს ფაშიზმის სისხლიან მუშაობას და ეცდება თავის ბახა წვრილ და საშვალო ბურჟუაზიაზე დაყრდნობით გააფართოვოს, თავის ლეგალობა აღადგინოს. ბურჟუაზიას ფაშიზმის პირობებში დიდხანს სიცოცხლე არ შეუძლია ისე როგორც პროლეტარიატს არ შეუძლია შეიარაღებულ აჯანყების მდგომარეობაში მთელი წლებით ყოფნა. ჩვენ ვხედავთ იტალიაში რომ მუსოლინი უკანასკნელ თვეებში, გადამწყვეტ საშუალებას და უკანასკნელ ძალას ხმაროობს რომ ფაშისტური ძალა-უფლება, ე. ი. არალეგალური საომარი აპარატი, — პარლამენტარიზმის ლეგალურ მექანიკას შეუფარდოს. ცოტა ოდენის გაკეთება მან მოასწრო, მაგრამ ოპოზიცია უფრო მეტად იზრდება ვიდრე მისი წარმატება. მან ვერ მოაერხა თავისიანებში დისციპლინა შეექმნა და ისეთი ფაქტი გვაქვს როგორიცაა სოციალ-დემოკრატ მატტეოტის მოკვლა. იტალიის ბურჟუაზიულ კლასთა უმრავლესობაც ამის წინააღმდეგია.

პროლეტარიატის აჯანყება უშუალოდ არ იმუქრება და ამიტომ კანონიერების შერყევა ბურჟუაზიულ პარლამენტის წევრის მოკვლის სახით არა თუ საჭირო არ არის, არამედ საშიშია.

ეს ზედმეტი ფუფუნებაა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

V.

რეფორმიზმის შანსები.

თუ ფაშიზმის მიმართ ამ კონკრეტ ისტორიულ დამოკიდებულებას შევითვისებთ, მაშინ ჩვენთვის გასაგები იქნება თუ რატომ არ არის უკუგდებული გერმანიის ბურჟუაზია; ეს მოვლენა მასაც დიდათ ანცვიფრებს. ბურჟუაზია ცდილობს ძლევა-მოსილი რეაქცია პარლამენტარიზმის კალაპოტში მოაქციოს: ისიც გასაგებია, რომ კონსერვატორების შემდეგ ძალა-უფლებას „ფაშისტები" კი არ დაპატრონებია, არამედ მაკდონალდის მუშათა მთავრობა; გასაგებია საფრანგეთში მემარცხენე ბლოკის გამარჯვებაც და იტალიაში ფაშიზმის მწვავე კრიზისი, თუმც მისი ბელადები სცდილობენ შეუთანხმონ ის პარლამენტარიზმს. ჩვენ აგრეთვე გავიგებთ, თუ რატომ იყო შესაძლებელი გათვალისწინება და წინასწარმეტყველება ყოველივე იმისა რაც მოხდებოდა. ეს იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა სწორი გზით კი არ ვითარდება არამედ თან მიმდევნო სასტიკი შეჯახების, დროგამოშვებითი ლეგალური „მშვიდობიანი" ბრძოლის ცოტა თუ ბევრათ ხანგრძლივი პერიოდების გზით. ეს რომ ასე არ იყოს მაშინ კაპიტალისტური საზოგადოების არსებობაც შეუძლებელი იქნებოდა. სამოქალაქო ომის ასეთი სასტიკი შეჯახება იყო იტალიაში 1920 წ სექტემბერში გერმანიაში — 1918 — 1919 წლებში, 1921 წ-ლის-მარტში და 1923 წ. გერმანია — რევოლიუციის მოლოდინე ქვეყნების პირველ რიგში იდგა, — და ჩვენ ვამბობდით: — პროლეტარიატის ახალი შეჯახება ბურჟუაზიასთან ან ფაშიზმის საუბედუროთ, პროლეტარიატის გამარჯვებით დამთავრდება, ან ის დამარცხებით დამთავრდება, რაც რევოლიუციას კარგა ხნით შეაჩერებს და ბურჟუაზიამ უფრო ფართე ბაზა უნდა ეძიოს, მენშევიკებს უნდა დაავალოს იმ წყლულის მოშუშება, რომელიც სამოქალაქო ომში მას ფაშიზმმა მიაყენა. ეხლა მთელი ევროპის მენშევიკები სწორეთ ამ საქმეს ასრულებენ. იმპერიალისტურ ომის ეპოქის შემდეგ, კოლოსალური შენჯღრევის, ჯერ არ ყოფილ გაფიცვების და რევოლიუციურ აჯანყებათა შემდეგ, — როდესაც ყოველივე ეს გამარჯვებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა და პროლეტარიატმა, დროებით, მოწინავე სანგრები დასტოვა, მაშინ ბურჟუაზია ეკონომიურ სიმტკიცესთან ერთად პოლიტიკურ სიმტკიცესაც ეძებს და ამ მიზნით შუათანა კლასებს, საშვალო და წვრილ ბურჟუაზიას ემყარება. ის ფაშისტს კი არ მოუწოდებს, არამედ მენშევიკს. და მას ეუბნება: წაშალე სისხლიანი ლაქები, იარებზე დაწუნარების ბალზამი აპკურე, დაამშვიდე, იცრუე, დემოკრატიის ფერადი ქსელი გასჭიმე. ყოველივე ეს შემთხვევითი არ არის, არამედ კანონ-შეწონილია და ამიტომ მისი გათვალისწინება. შეიძლებოდა გაცილებით ადრე ვინემ ის მოხდებოდა.

ჩვენ მარქსიზმი ბომ იმისათვის გვაქვს. რომ ისტორიულ განვითარების პროცესში გავერკვიოთ და ხვალინდელი დღე ოდნავათ მაინც გავითვალისწინოთ. ასეთ გაგების და გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ბრძოლა და გამარჯვება. ამრიგად ევროპის და ნაწილობრივ მსოფლიოს ისტორიის ახალი რეფორ-

ბისტული და პაციფისტური ხანა საკუთარი კანონ-შეწონილია. მაგრამ ეს განა იმას ნიშნავს რომ ის ხანგრძლივი იქნება? და რაც უფრო ეროვნული ბიბლიოთეკა განა ეს ნიშნავს, რომ ბურჟუაზია მტკიცე კაპიტალისტურ რეჟიმს საბოლოოთ ალადგენს? არა ამაზედ საუბარიც ზედმეტია. პოლიტიკური ზედნაშენის პროცესებს მთელი თავის კანონ შეწონილებით, გაცილებით უფრო მოძრავი და ხერელი ხასიათი აქვთ, ვიდრე ეკონომიურ ბაზისის პროცესებს. აქ კი ჯერ სრულიად არა გვაქვს ისეთი ნიშანები, რომელნიც ევროპის და მსოფლიო კაპიტალისტურ მეურნეობის ახალ მოძრავ წონასწორობასთან სიახლოვეს მოწმობდეს.

დიდი იმპერიალისტური ომი იქიდან წარმოიშვა, რომ კაპიტალიზმის საწარმოო ძალები ნაციონალურ სახელმწიფოებრიობას გასცილდა. თვითეულ მეომარ ქვეყნის მილიტარიზმს, სხვა ქვეყნის ხარჯზე საკუთარი ბაზარი უნდა გაეფართოებია. მაგრამ ომმა ეს ამოცანა ვერ გადასწყვიტა. საწარმოო ძალები, ეხლა, ვერსალის ზავით და ახალ მსოფლიო ძალთა ურთიერთობით შექმნილ სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში უფრო შევიწროებულია, ვიდრე ომამდე. აქედან — კაპიტალიზმის ღრმა, გაჭიანურებული, ქრონიკული კრიზისი.

კომინტერნის მეIII-მე კონგრესზე ჩვენ დავა გვქონდა ომის შესახებ, რომ ევროპაში, ომის შემდეგ იქნება თუ არა ბაზრის კონიუნქტურული მერყეობა, ზრდა დეპრესია, კრიზისი და სხ.) ჩვენ ვამტკიცებდით, რომ სანამ საზოგადოება კაპიტალისტურ საფუძვლებზე სდგას, — ასეთი მერყეობა აუცილებელია. ბევრ ჩვენგანს ახსოვს თუ რა ცხარე კამათი იყო ამის გამო, როგორც ინტერნაციონალში ისე ჩვენს საკუთარ პარტიაში. ზოგიერთი ამ საკითხს ნახევრათ აკადემიურად სთვლიდა. ეხლა კი ეჭველია იმ კამათის დიდი მნიშვნელობა როდესაც მე-3-ე კონგრესზე მოხდა ევროპის კაპიტალიზმის მნიშვნელობის და პერსპექტივების გარშემო. ამ კამათს სრულიად არა აკადემიური, არამედ ღრმა პრაქტიკული, რევოლიუციონურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. სადაო საკითხი მდგომარეობდა შემდეგში: შესაძლოა და უნდა ველოდოთ თუ არა კრიზისის უწყვეტი მრუდით ძირს დაშვებას, თუ უნდა დაუშვათ, რომ კაპიტალიზმის დაშლის პირობებში ცოტაოდენ ციკლიურ მერყეობას ექნება ადგილი.

ეხლა, რევოლიუციის შემდეგ პერიოდში პროლეტარული მოძრაობისათვის ამ კერძო მერყეობის უდიდესი მნიშვნელობა ეჭველია. უახლოეს პერიოდში რევოლიუციურ მოძრაობისათვის კონიუნქტურის ამ კერძო მერყეობას არა ნაკლები მნიშვნელობა ექნება.

ამასთან ერთად კონიუნქტურის დროებით გაუმჯობესება მე-3-ე კონგრესზე დადგენილ სწორ თეორეტიულ პოზიციის გამო, სრულიად არ გვხდის ვალდებულად ვალიარებთ, რომ ევროპის კაპიტალიზმის კრიზისი დასრულებულია. წარსულ წელში ამერიკის ვაჭრობა ნრეწველობის უაღრესი გადიდების უდაო ფაქტი, ინგლისში უმუშევრობის შემცირება, რამოდენიმეთ საფრანგეთის მრეწველობის ზრდა, გერმანიის, ავსტრიის და პოლონეთის ვალიუტის განსაცვიფრებელი სტაბლიზაცია და სხვა მრავალი ფაქტები, სწორ თეორეტიულ ორიენტაციის გარეშე რეფორმიზმის უმართებულო დასკვნებამდე მიგვიყვანდა. ამრიგად კრიზისის შესახებ მექანიკური წარმოდგენის წინააღმდეგ ბრძოლას, საფუძველათ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რეფორმიზმისადმი ასე თუ ის დათმობა კი არ ჰქონდა, არამედ ... ფართო რევოლიუციურ პერსპექტივაზე ემყარებოდა და ეკონომიურ ფაქტორების თეორეტიულად უმართებულო შეფასებისაგან გვაზღვევდა. ჩვენ არავითარი განზრახვა არა გვაქს გილფერნდინგს და კ-ო მივეგებოთ იმ საკითხის გამო, თითქოს კაპიტალიზმის ძირითადი წინასწორობა აღდგენილია და ბურჟუაზიული საზოგადოებაც ხელახლად ნორმალურ კალაპოტში მოქცეულია; ამგვარ შეფასებას არავითარი საფუძველი არა აქვს და მისი აზრი აქ კეთილ-სინდისიერ სურვილის ნაყოფია. ვაჭრობა მრეწველობის კონიუნქტურული. მერყეობა საწარმოო ძალთა და მათი ექსპლოტაციის შეუსაბამობას სრულიად არ აბათილებს და სწორეთ ამ წინააღმდეგობისგან უშუალოთ იმპერიალისტური ომი წარმოიშვა. ეს კონიუნქტურული კრიზისი ომის იმპულსი იყო, რომელიც 1913 წ. გამოაშკარავდა.

მკაცრად გარჩეულ უნდა იქნეს ერთი მხრით კაპიტალისტური განვითარების ძირითადი ფაქტების მოქმედება და ტენდენცია და მეორე მხრივ ციკლიური კონიუნქტრული მერყეობა. 1913 წლის კრიზისი თავის თავათ ომს არ გამოიწვევდა, რომ ზემოხსენებული შეურიგებელი ძირითადი წინააღმდეგობა არ ყოფილიყო. ომის შემდეგ კი ეს წინააღმდეგობა უფრო გაღრმავდა და გამახვილდა. უკვე აქედან ცხადია, რომ ოდნავ წინ წაწევას არ შეუძლია ამ წინააღმღეგობის მოსპობა და მაშასადამე ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიური წონასწორობის აღდგენა. მისი საფუძველთა საფუძველი-ეკონომიკა,-მომავალში უდიდესი საშხედრო და სოციალურ განადგურებით იმუქრება.

VI.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ

მთელი კითხვა ეხლა იმაში მდგომარეობს, შესძლებს თუ არა კომუნისტური პარტია ამ მერყეობის გამოყენებას, რომ ძალაუფლება ხელში აიღოს და შემდეგ კაპიტალისტური საზოგადოების ყოველივე წინააღმდეგობა აღმოფხვრას. თუ დასმულია კითხვა იმის შესახებ, რომ ამ პერიოდში ჩვენ, როგორც ინტერნაციონალი, უფრო გავძლიერდით თუ არა. მაშინ უნდა უპასუხოთ, რომ ჩვენ უეჭველათ გავძლიერდით. თითქმის ყველა სექციები უფრო მტკიცე და გავლენიანი შეიქმნა. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მათი ძალა იზრდება და შემდეგშიაც უწყვეტად უფრო მეტად გაიზრდება? არა, ეს ამას არ ნიშნავს. მისი ზრდა ტალღისებურია არა სწორი — აქაც ზრდის დიალექტიკაა მისგან არც კომინტერნი თავისუფალი. ასე წარსული წლის მეორე ნახევარში გერმანიის კომუნისტური პარტია პოლიტიკურად გაცილებით უფრო ძლიერი იყო ვიდრე დღეს. მაშინ ის ძალაუფლების დაპყრობისაკენ მიიმართებოდა და გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების აფორიაქება დიდი იყო, რომ არა თუ ყველაზე ჩამორჩენილი მუშათა მასები, არამედ გლეხობის, წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის დიდი ნაწილიც იმედოვნებდა, რომ აჰა კომუნისტები ძალაუფლებას ხელში აიღებენ და საზოგადოებასაც გარდაქმნიან. ასეთი განწყობილება თავისთავად რევოლიუციურ ნიადაგის მომწიფების ერთ-ერთი საიმედო სიმპტომია. მაგრამ კომუნის-

ტებმა ძალა-უფლების ხელში ჩაგდება ვერ შესძლეს არა იმიტომ, რომ ობიექ-
ტიურად ხელსაყრელი პირობები არ იყო — არა, არ შეიძლება ... ძალა-უფლების
ხელში ასაღებათ უფრო მომზადებული და მომწიფებული პირობების წარმოდ-
გენა. ეს პირობები, რომ ზუსტად (точно) ავსწეროთ მაშინ შეიძლება ის რო-
გორც კლასიური მაგალითი ისე შევიტანოთ პროლეტარულ რევოლიუციის სა-
ხელმძღვანელოებში,— მაგრამ პარტიამ ვერ შესძლო მათი გამოყენება. ამაზედ
უნდა შევჩერდეთ.

ინტერნაციონალის ისტორიის 1-ლი პერიოდი — 1917 წ. ოქტომბრიდან
— გერმანიაში 1921 წ. მარტის რევოლიუციონურ მოძრაობამდე, ომისა და მი-
სი უშუალო შედეგებით განისაზღვრება. კომუნისტები ევროპის პროლეტარია-
ტის ახლო აჯანყებას და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას უცდიან. რაში მდგო-
მარეობდა მათი შეცდომა? მათ ვერ დააფასეს პარტიის როლი.

მე-3-ე კონგრესის შემდეგ ახალი პერიოდი იწყება, ლოზუნგი: „მასებისა-
კენ“ ნიშნავს არსებითად: „შეჭმული პარტია“. ყველაზე უფრო წარმატებით და
სავსებით ეს პოლიტიკა გერმანიაში ტარდებოდა. მაგრამ აქ ის უკვე წინააღმ-
დეგობაში ჩავარდა 1923 წ. რურის ოკუპაციით შექმნილ მდგომარეობასთან რო-
მელშიც ერთის მოქნევით დაამხო ევროპის ფიქტიური წონასწორობა.

1923 წ. დასასრულს კომუნისტებმა უდიდესი დამარცხება განიცადეს, არა
ნაკლები ვიდრე ჩვენი დამარცხება 1905 წ. რაშია მაინც განსხვავება? 1905 წ.
ჩვენ ძალები არ გვყოფნიდა რაც ბრძოლის დროს გამოაშკარავდა. სხვანაირად
რომ ვსთქვათ დამარცხების მიზეზი ძალების ობიექტურ ურთიერთობაში იყო.
1923 წელს გერმანიაში კომუნისტები მანამდე დამარცხდენ სანამ ძალათა შე-
ჯახება მოხდებოდა, მათ არ მოუხდენიათ ძალების მობილიზაცია, არ გამოუყე-
ნებიათ ძალები. ამრიგად აქ დამარცხების უშუალო მიზეზი — პარტიის ხელ-
მძღვანელობაშია. მართალია, შეიძლება ითქვას, პარტიას სწორი პოლიტიკაც
რომ ეწარმოებია, ის მაინც ვერ შესძლებდა საკმარის ძალითა მობილიზაციას
და მაინ კ დამარცხდებოდა. ასეთი მტკიცება ოდნავად მარჩიელურია. ობიექტურ
პირობების, კლასობრივ ძალთა ურთიერთობის, მმართველ კლასთა და ხალხურ
მასების განწყობილების მხრივ ე. ი. რევოლიუციის ყველა წინასწარ პირობათა
მიხედვით, კომუნისტებს ჰქონდათ უაღრესად ხელსაყრელი პირობები, რომლის
წარმოდგენაც კი შეიძლება: ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კრიზისი, რომელიც
უაღრეს ოკუპაციით დაბოლოდა; საშეურნეო და განსაკუთრებით ფინანსიური
კრიზისი: პარლამენტარიზმის კრიზისი; გაბატონებულ კლასთა სიმტკიცის
დაკარგვა: პროფესიონალური კავშირების და დემოკრატიის დაშლა; კომუნის-
ტური პარტიის გავლენის სტიქიური ზრდა; წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტთა
კომუნიზმისაკენ გადახრა და ფაშისტების სულიერ განწყობილების სრული და-
ცემა — ასეთი იყო პოლიტიკური **წინა პირობები.** რას ვხედავთ ეხლა სამხედრო
სფეროში? უმნიშვნელო მუდმივი ჯარი: ასი-ორასი ათასი კაცი, ე. ი. არსები-
თად, არმიის მზგავსად მოწყობილი პოლიცია. საშინლად გაზვიადებული იყო
ფაშისტთა ძალები, რომელიც უმთავრესად მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. ყო-



ველ შემთხვევაში, ივლისის აგვისტოს შემდეგ ფაშისტური დემორალიზაციას განიცდიდენ.

ემხრობოდა თუ არა კომუნისტებს მშრომელთა მასსის უმრავლესობა? ამ კითხვაზე არ შეიძლება მარტო სტატისტიკის მიხედვით გავსცეთ პასუხი. საკითხი რევოლიუციის დინამიკით სწყდება. მასსა განუწყვეტლივ მიდიოდა კომუნისტებისაკენ. ასევე განუწყვეტლივ უძლურდებოდა მოწინააღმდეგე. ის მასაა, რომელიც სოციალ-დემოკრატიის რიგებში რჩებოდა, კომუნისტებისადმი არავითარ აქტიურ წინააღმდეგობას არ იჩენდა, როგორც ეს იყო მარტში 1921 წ. პირიქით სოციალ-დემოკრატიის მუშათა უმრავლესობა იმედით ელოდა გადატრიალებას. სწორედ ეს არის ის, რაც საჭიროა.

ჰქონდა თუ არა მასსას ბრძოლის განწყობილება? 1923 წლის მთელი ისტორია ამის შესახებ არავითარ იჭვს არ სტოვებს. მართალია ამ წლის დასასრულს უფრო შემოფარგლული, თავშეკავებული განწყობილება იყო, მაგრამ სხვანაირად როგორ უნდა ყოფილიყო? 23 წლის მეორე ნახევარში მასსამ გაცილებით მეტი გამოცდილება მიიღო და იგრძნო ან გაიგო რომ საკითხი სავსებით უნდა გადაწყდეს. ამ პირობებში მასსა მხოლოდ მაშინ გამოვიდოდა თუ მას ეყოლებოდა მტკიცე რწმენის ხელმძღვანელები, რომლებისადმი ის იქნებოდა ნდობით აღჭურვილი. საუბარი, იმის შესახებ თითქოს მასსა საბრძოლველად არ იყო განწყობილი, წმინდა სუბიექტიური ხასიათის არის, რომელიც არსებითად პარტიის მეთაურთა არა სიმტკიცეს გამოხატავს. ჩვენში ოქტომბრის წინ არა ერთი მითითება იყო იმის შესახებ, რომ მასებში შეტევიათი ბრძოლის განწყობილება არ არისო. ლენინი ამის შესახებ დაახლოებით შემდეგნაირად უპასუხებდა: „თუ გინდ დაუშვათ რომ ეს მითითება სწორია, მაშინ ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ჩვენ უაღრესად ხელსაყრელი მომენტი გაუშვით. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ეხლა ძალა-უფლების ხელში ჩაგდება შეუძლებელია. ხომ არვინ დაიწყებს იმის მტკიცებას რომ თითქოს მუშათა მასის უმრავლესობა ან თუ გინდ უმცირესობა გადატრიალების **წინააღმდეგ** გამოვა. ყველაზე დიდი რაც სურთ სთქვან არის ის რომ უმრავლესობა გადატრიალებაში აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებს, მაგრამ საკმარისია, თუ გადატრიალებაში აქტიური უმცირესობა მიიღებს მონაწილეობას — უმრავლესობის კეთილ სასურველ ან თუგინდ პასიურ განწყობილების დროსაც, ასეთი იყო ლენინის არგუმენტაცია. შემდეგმა მოვლენებმა გვიჩვენეს რომ მებრძოლ უმცირესობამ თან მუშათა დიდი უმრავლესობა წაიყოლია. არავითარი იჭვი არ არის იმაში, რომ გერმანიის მოვლენებიც ამრიგად გაიშლებოდა.

კომუნიზმი ყველა ქვეყნებში გაძლიერდა, მათ რიცხვში საფრანგეთშიდაც.

რაში მდგომარეობს გერმანიის კომუნისტური პარტიის დამარცხების ძირითადი მიზეზი?

იმაში რომ მან ვერ გაიგო რურის ოკუპაციის დროიდან და განსაკუთრებით პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტის დროიდან (1923 წ. იანვარი—ივლისი) მომავალი რევოლიუციონური კრიზისი. მან ხელიდან გაუშვა მომენტი... რევოლიუციურ პარტიისთვის ყველაზე უფრო სიძნელეს წარმოადგენს საგიტაციო-

საპროპაგანდო ხანგრძლივი პერიოდისაგან შეიარაღებული აჯანყების გზით ძალაუფლებისათვის უშუალო ბრძოლაში გადასვლა. ეს გარდატეხა [illegible] შინა-პარტიულ კრიზისს შემქნის. ამისათვის უნდა ემზადოს თვითეული პასუხისმგებლი კომუნისტი. მომზადების ერთ-ერთი საშვალებაა ოქტომბრის გადატრიალების ფაქტიური ისტორიის დაწვრილებითი შესწავლა. აქამდე ამ მხრივ ძლიერ ცოტაა გაკეთებული და გერმანიის პარტიამაც არა საკმარისად გამოიყენა ოქტომბრის გამოცდილება... რურის კრიზისის შემდეგაც ის ერთ ფრონტის შემქნის ლოზუნგით იგივე საგიტაციო და საპროპაგანდო მუშაობას განაგრძობდა იმავე ტემპით და იმავე ფორმებით როგორც კრიზისამდე. ამავე დროს ასეთი ტაქტიკა ძირეულათ არა საკმარისი გამოდგა. პარტიის პოლიტიკური გავლენა ავტომატიურათ იზრდებოდა, საჭირო იყო მკაფიო ტაქტიკური მობრუნება, საჭირო იყო დაენახა მასას და უპირველესყოვლისა თვით პარტიას, რომ ამ შემთხვევაში საქმე ძალა უფლების დაპყრობას ეხება. საჭირო იყო გავლენის ორგანიზაციულად განმტკიცება და დასაყრდნობ ბაზისის შემქნა სახელმწიფოზე შესატევად. საჭირო იყო მთელი ორგანიზაციის ფაბრიკა-ქარხნების უჯრედებში გადატანა. საჭირო იყო რკინის გზებზე უჯრედების შემქნა. საჭირო იყო არმიაში მუშაობის შესახებ საკითხის გადაჭრით დასმა. საჭირო იყო, კერძოთ ერთიან ფრონტის ტაქტიკის მთლიანათ და სავსებით ამ ამოცანებთან შეთანხმება, მისი გადამწყვეტი მტკიცე და უფრო რევოლიუციონური ხასიათი.

უმთავრესი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ძალა უფლების ხელში ჩასაგდებად გადამწყვეტი ტაქტიკური ნაბიჯი უზრუნველეყოთ. ეს არ იქნა შესრულებული. ამაშია საბედისწერო და მთავარი მიზეზი. აქედან ძირითადი წინააღმდეგობა: ერთი მხრით პარტია რევოლიუციას ელოდა, ხოლო მეორე მხრით მარტის ამბებით გაწბილებული, 1923 წ. ოკტომბამდე ის რევოლიუციის ორგანიზაციის შესახებ, ე. ი. აჯანყების მოწყობაზე აზრსაც კი უფრთხოდა პარტიის პოლიტიკა მშვიდობიან ტემპით მიმდინარეობდა იმ დროს როდესაც შედეგი ახლოვდებოდა. აჯანყების დრო მაშინ განისაზღვრა, როდესაც მოწინააღმდეგე, რომელმაც პარტიის გაშვებულ მომენტით ისარგებლა და უკვე განმტკიცდა. ციებ-ცხელებით დაიწყო პარტიის სამხედრო ტეხნიკური მზადება, პარტია ჩამოწორდა პოლიტიკას, რომელიც ძველი მშვიდობიანი გზით მიდიოდა. მასსამ ვერ გაუგო პარტიას და არც გაჰყოლია მას. პარტიამ იგრძნო მასისგან დაშორება და დამბლა დაეცა. ამის გამო უეცრად საუკეთესო პოზიციების დატოვება და უსასტიკესი დამარცხება.

არ შეიძლება წარმოვიდგინოთ თითქოს ისტორია მექანიკურად ჰქმნის რევოლიუციის პირობებს და შემდეგ პირველი მოთხოვნილებისთანვე მას თეფშით მიართმევს: მიიღე და ხელი მოაწერე მიღების გამო. ეს არ იქნება, კლასმა ხანგრძლივი ბრძოლით უნდა გამოსჭედოს ისეთი ავანგარდი, რომელიც შესძლებს მოვლენებში გარკვევას, რომელიც იცნობს რევოლიუციას როდესაც კი ის კარებზე მოადგება, რომელიც თავის დროზე შესძლებს გაიგოს აჯანყების საჭიროება ისე როგორც გეგმის შემუშავება, როლების განაწილება და ბურჟუაზიას დაუნდობლად მახვილი ჩასცეს. და სწორედ გერმანიის კომუნისტურ პარტიამ გადა-

მწყვეტ მომენტში ეს უნარი, ეს ენერგია და გამოცდილება ვერ გამოიჩინა. რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ თუ რაშიდაც არის აქ [illegible] წუთით წარმოვიდგინოთ რომ 1917 წლის ოქტომბერში ჩვენ მერყეობა, ლოდინი დაგვეწყო, განზე გავმდგარიყავით და გვეთქვა: დაუცადოთ, პირობები ჯერ კიდევ არა საკმარისად გარკვეულია. ერთი შეხედვით თითქოს: რეოლიუცია. — დათვი არაა, არ გაიქცევა ტყეში, — ოქტომბერში თუ არა, შეგვეძლო მისი ორი — სამი თვის შემდეგ მოხდენა. მაგრამ ასეთი შეხედულება ძირეულად ყალბია. მას არ მოჰყავს აღრიცხვაში რევოლიუციის ფაქტორთა ელასტიური ურთიერთობა. მისი ყველაზე უფრო უშუალო და უახლოესი პირობა არის რევოლიუციისათვის მასის მზად ყოფნა. უკანასკნელი არ წეიძლება კონსერვატიულად ვაქციოთ, არაბედ სწორედ იმ მომენტში უნდა გამოვიყენოთ ის, როცა-კი გამომჟღავნდება. ოქტომბრის წინ მუშები, გლეხები და ჯარის-კაცები ბოლშევიკებს მიჰყვებოდა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას რომ თვით ბოლშევიკები იყვნენ ე. ი. მათ შეეძლოთ ყოველ სხვა პირობებშიდაც ბოლშევიკებს გაჰყოლოდა, მათ იმედი გაუცრუვდათ მენშევიკებზე და ესერებზე და სწორედ ამიტომ გაჰყვენ ბოლშევიკების პარტიას. შემთანხმებელ პარტიებში იმედის გაცრუებამ მათში ახალი იმედი აღძრა იმის შესახებ რომ ბოლშევიკები უფრო მტკიცენი იქნებიან, რომ ისინი სულ სხვა მასალიდან შექმნილია, რომ მათი სიტყვა და საქმე ერთია. ამ პირობებში რომ ბოლშევიკებს მერყეობა გამოეჩინათ და ლოდინი დაეწყოთ, ამით ისინი სულ მოკლე დროში მენშევიკებს და ესერებს გაუტოლდებოდა შეგნებაში. მასსა ისე სწრაფად ჩამოგვეცლებოდა, როგორი სისწრაფითაც ის ჩვენთან მოვიდა. ამით რასაკვირველია ძალთა ურთიერთობის რადიკალური შეცვლა მოხდებოდა.

რა არის, კერძოთ, ძალთა ურთიერთობა? ცხადია ის მეტად რთული რამეა და მრავალ ელემენტისგან იქმნება. ამ ელემენტთა შორის არის მეტად მყარი ელემენტებიც: ასეთია ტექნიკა და ეკონომიკა, რომელიც კლასიურ სტრუქტურას განსაზღვრავს; რამდენათაც ძალთა ურთიერთობა, პროლეტარიატის, გლეხობის და სხვა კლასთა რიცხობრიობით განისაზღვრება, იმდენად ჩვენ საკმაოდ მყარი ელემენტები გვაქვს. მაგრამ კლასის ერთი და იგივე რიცხობრიობის დროს მისი ძლიერება დამოკიდებულია მისი პარტიის ორგანიზაციას და აქტიურობისაგან, პარტიისა და მასსათ, ურთიერთობისაგან, მასსათა განწყობილებისგან და სხ.

ეს ფაქტორები უკვე ნაკლებად მყარია, განსაკუთრებით რევოლიუციონურ ეპოქაში, და ჩვენ სწორედ ამაზე ველაპარაკობთ.

თუ უალრესად რევოლიუციონური პარტია, რომელსაც მოვლენათა ლოგიური სვლა მშრომელთა ყურადღების ცენტრში აქცევს, მომენტს გაუშვებს, მაშინ ძალთა ურთიერთობა რადიკალურად იცვლება, ვინაიდან ამ პარტიის მიერ აღძრული იმედები სასოწარკვეთით ან პასიურობით და ღრმა მწუხარებით იცვლება და პარტია თავის გარშემო მხოლოდ იმ ელემენტებს შეინარჩუნებს, რომელიც მის მიერ მტკიცედ და საბოლოოდ დაპყრობილია, ე. ი. უმცირეობას. სწორედ ეს მოხდა წარსულ წელს გერმანიაში. კომუნისტურ პარტიისგან სოციალდემოკრატ მუშებამდე ყველა ელოდა, რომ ის ქვეყანას ჩიხიდან გამოიყვანს: პარ-

ტიამ ვერ შესძლო ამ საერთო მოლოდინის გადამწყვეტ რევოლიუციონურ მოქმედებად ქცევა და პროლეტარიატის გამარჯვებამდე მიყვანა. [illegible] მოყება ოქტომბერ-ნოემბრის შემდეგ რევოლიუციონურ განწყობილებათა მიმბრუნველი. სწორედ ეს — ბურჟუაზიული რეაქციის დროებით მოსამაგრებელ საფუძველს ჰქმნის, ვინაიდან სხვა რომელიმე ღრმა ცვლილება (საზოგადოების კლასიურად დაყოფა'ში, ეკონომიაში) ცხადია არ შეიძლება მომხდარიყო.

უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნებზე კომუნისტურმა პარტიამ 3.700.000 ხმა მიიღო. ეს რათქმა უნდა პროლეტარიატის საუკეთესო კადრია. მაგრამ ეს რიცხვი დინამიურად უნდა შევაფასოდ. უეჭველია, რომ წარსული წლის აგვისტო-სექტემბერში კომუნისტურ პარტიას სხვა, შესაფერ პირობებში შეეძლო გაცილებით მეტი ხმა მიეღო.

მეორე მხრივ ბევრი რამ იმასაც ამბობს, რომ არჩევნები ორი — სამი თვით გვიან მომხდარიყო, კომუნისტური პარტია გაცილებით ნაკლებ ხმას მიღებდა. სხვანაირად რომ ვსთქვათ ეს იმას ნიშნავს, რომ ეხლა მისი გავლენა თანდათან კლებულობს. სასაცილო იქნებოდა ამაზე თვალის ახვევა: სირაქლემის პოლიტიკა — რევოლიუციონური პოლიტიკა არ არის.

საჭიროა, მაინც, ამ ფაქტის მნიშვნელობა ნათლად გავიგოთ. მე უკვე ვსთქვი, რომ არც კომუნისტური პარტიაა თავისუფალი დიალექტიკის კანონებისაგან, მისი განვითარებაც წინააღმდეგობებით სწარმოებს, დაწინაურებით, კრიზისებით.

პოლიტიკურ მომბრუნვალის პერიოდში პარტიის მასსებზე გავლენა ძლიერ იზრდება; მიმბრუნვალის პერიოდში— გავლენა სუსტდება, პარტიაში 'მინა შერჩევის პროცესი ძლიერდება. ყოველივე შემთხვევითი არა საიმედო მას შორდება, პარტიის გუნდი მეჩიდროვდება და მტკიცდება. ამით ის ახალ რევოლიუციონურ მომბრუნვალისათვის ემზადება.

მდგომარეობის სწორი წეფასება და სწორი პერსპექტივა მას შეცდომებიდან და სასოწარკვეთილებისგან იფარავს. ჩვენ უკვე დავინახეთ ეს ომის შემდეგ ეპოქაში სამრეწველო დაწინაურების და კრიზისების საკითხის გარშემო. ჩვენ ვხედავთ ამას ევროპის ახალ-რეფორმისტულ პერიოდში. ეხლა ჩვენთვის აუცილებელია მთელი თავის სიცხადით გავიგოთ ის ეტაპი, რომელზედაც მიგორავს გერმანია, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ გავიგებთ იმას, რაც ჩვენთვის ხვალინდელ დღეს მოაქვს.

1905 წ. დამარცხების შემდეგ ჩვენ შვიდი წელი დაგვჭირდა, რომ ლენის ამბების ზეგავლენით კვლავ დაგვეჩქარებინა მუშათა მოძრაობა, თორმეტი წელიწადი დაგვჭირდა, რომ მეორე რევოლიუციას პროლეტარიატი გამარჯვებამდე მიეყვანა. გერმანეთის პროლეტარიატმა წარსულ წელს უდიდესი დამარცხება განიცადა.

ეხლა მისთვის საგრძნობი დროა საჭირო, რომ ეს დამარცხება გადახარშოს, შეითვისოს მისი გაკვეთილები, გამოსწორდეს, კვლავ შემოიკრიბოს ძალები და კომუნისტური პარტია მხოლოდ იმ შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გამარჯვებას თუ თვით მთლიანად და საესებით შეითვისებს წარსული წლის

გაკვეთილებს. რამდენი დრო დასჭირდება ამ პროცესს? [illegible] ? თორმეტი? ამაზე არავითარი სწორი პასუხი არ შეიძლება გაიცეს. შეიძლება ზოგადი მოსაზრება გამოვსთქვათ, რომ განვითარების ტემპი, პოლიტიკურ მდგომარეობის რადიკალურად შეცვლის აზრით, ომის შემდეგ გაცილებით ჩქარი შეიქმნა, ვიდრე ომამდე. ეკონომიკაში ჩვენ ვხედავთ, რომ საწარმოო ძალები ძლიერ ნელი ნაბიჯით ვითარდება, და ამავე დროს კონიუნქტურის გაუმჯობესება და გაუარესება ერთი მეორეს უფრო ხშირ-ხშირად სცვლიან, ვიდრე ომამდე. მზგავს მოვლენებს ვამჩნევთ პოლიტიკაშიდაც: ფაშიზმი და მენშევიმზმი ძლიერ ხშირად სცვლიან ერთი მეორეს; გუშინდელი მდგომარეობა ღრმა რევოლიუციონური იყო, დღეს კი ბურჟუაზია მთელი ბაზის გასწვრივ ზეიმობს. სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი ეპოქის ღრმა რევოლიუციონური ხასიათი, რომელიც გვაიძულებს ჩვენ ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ გერმანიაში ბურჟუაზიის თარეში არ შეიძლება ხანგრძლივი იყოს. მაგრამ ეხლა მიმბრუნვალის მოვლენებს აქვს ადგილი და არა მიმბრუნვალისა, და რა თქმა უნდა, ჩვენი ტაქტიკაც ამის შესაფერი უნდა იყოს.

VII

ევროპა და ამერიკა

ინგლისის მუშათა კლასის კონსერვატიულ-რეფორმისტული და პაციფისტური ილიუზიები, ეხლა მუშათა მთავრობის სახით უმაღლეს აყვავებას აღწევს. ინგლისის მუშათა კლასის მთელ პოლიტიკურ წარსულს, რამდენათაც ის პოლიტიკურ ზომიერებაში, შემთანხმებლობაში, რეფორმიზმში და ბურჟუაზიის იმპერიალისტურ პოლიტიკის თანაგრძნობაში გამოიხატებოდა, ეხლა მუშათა პარტიის ძალა-უფლების დროს უდიდეს გამოცდას იტანს.

ის თვით აადვილებს თავის გამოცდას, იმაზე დაყრდნობით, რომ მას პარლამენტში აბსოლიუტური უმრავლესობა არა ჰყავს და ამიტომ ყველაფერზე პასუხისმგებელი არ არის. მაგრამ ცდა ისტორიამ მაინც სავსებით დააწესა. მაკდონალდის რეჟიმის რეზულტატი, როგორიც არ უნდა იყვეს მისი ფორმალი შედეგი, მუშათა კლასის რიგებში, კრიტიკის და თვით — კრიტიკის გაღრმავება იქნება. ხოლო კრიტიკა და თვით-კრიტიკა მემარცხენე ფრთის ზრდას ნიშნავს. ინგლისში კომუნისტური პარტიის ჩამოყალიბების ეპოქა მხოლოდ ეხლა იწყება.

მაკდონალდის მთავრობამ ინგლისის მუშათა კლასის დროებითი დემოკრატიულ — ფაციფისტური ილიუზები, არა თუ გაამწვავა არამედ მისი თვით-შეგნებაც აამაღლა. არ შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის პროლეტარი თავის თავს სახლში უფროსად გრძნობდეს, რადგან ეს გრძნობა რომ მას ჰქონდეს ის მართლადაც უფროსი შეიქნებოდა.. მაგრამ ინგლისის საშუალო მუშა თავის თავს ეუბნება: მაშასადამე ჩვენც რაღასაც წარმოვადგენთ თუ-კი მეფე ჩვენს ტრედუნიონელებს ძალა-უფლებისკენ მოუწოდებს. და სწორედ ეს შეგნება, როგორი კონსერვატიული განსაზღვრაც არ უნდა შეიტანოს მასში წარსულმა, მომავალისკენ ახალ გაჭანებას თავის თავად იძლევა. მუშების მოთხოვნილება უფრო იზრ-



დება, მათში უფრო ნაკლები მოთმინებაა — ამის შედეგად [illegible] ინგლისში გაფიცვები. ტყვილად კი არ სჩივის „ტაიმსი“ [illegible] ჩვენ, დიახაც, საუკეთესო ლიდერები გვყავს, მაგრამ რევოლიუციონერები მათ მაინც ჩქარა, იცლიან თავიდან-ო. თუნც არა ჩქარა მაგრამ მაინც იცილებენ თავიდან და კიდევაც მოიცილებენ..

ევროპის ქვეყნები, თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობით, ინგლისსა და გერმანიის შორის თავსდება, იტალიის გამონაკლისით, რომელიც თითქოს, ხელახლად რევოლიუციის პირველ რიგში იჭრება.

მუსოლინის რეჟიმის დამხობა შეიძლება მეტად ჩქარი ტემპით წავიდეს და თვით ამ რეჟიმის ხასიათის გამო ამ დამხობამ შესაძლოა მეტად ჩქარი მეტად რადიკალური სახე მიიღოს, პოლეტარიატი ხელახლად ძალაუფლების პრობლემის წინაშე დააყენოს. იტალიაში უმთავრესი ამოცანაა, ამ მომენტისათვის საკმაოდ ძლიერი, ინიციატივის მქონე პარტიის ყოლა. ეს მეტად დიდი და ძნელი ამოცანაა, მაგრამ ის უნდა შესრულდეს[1]).

განსაკუთრებული ადგილი ძველებურად ამერიკას უჭირავს. ევროპის და ამერიკის განვითარების ტემპი ომამდისაც არ იყო ერთნაირი და ომის შემდეგ განსხვავება უფრო გაღრმავდა. როდესაც ჩვენ საერთაშორისო რევოლიუციაზე ვლაპარაკობთ ჩვენ ის მეტად ზოგადათ, საერთოდ წარმოვიდგენთ. აქ იქნება ერთი მეორესაგან შესამჩნევ დროით დაშორებული, თავისებური ეტაპები.

ყველაფერი იმას მოწმობს რომ ამერიკის რევოლიუცია გაცილებით გვიან მოხდება, ვიდრე ევროპის რევოლიუცია. ისტორიულად მეტად შესაძლოა მოვლენათა ისეთი სვლა როდესაც აღმოსავლეთი უკუაგდებს იმპერიალიზმის საშინელებას, ევროპის პროლეტარიატი ძალა-უფლების ხელში აიღებს, ხოლო ამერიკა ძველებურად კაპიტალიზმის ნავთ-საყუდელი დარჩება.

ამ შემთხვევაში შეერთებული შტატები შესაძლოა გახდეს და კიდევაც შეიქმნება ისტორიის ძირითად კონტრ-რევოლიუციონურ ძალად. ეს მხოლოდ ფილისტერებს არ შეუძლიათ გაიგონ, რომელთათვისაც საკითხი ცრუ-დემოკრატიული სახით, პაციფისტური ფრაზებით და სხვაგვარი რიშვებით სწყდება.

ომის ოთხი წლით გაგრძელება, რომელმაც გამოფიტა მთელი ევროპა, ამერიკის განსაკუთრებული როლის გამო გახდა შესაძლებელი. ომის შემდეგ კი ამერიკა—ევროპის ბურჟუაზიას დაეხმარა თავის პოზიციების დასაცავად. ეხლა

[1]) მე-IV კონგრესის დროს 1922 წ. 15 ნოემბერს ჩვენ ამის შესახებ ვსწერდით: „სრულიად ცხადია, რომ თუ ინგლისში რევოლიუცია ადრე არ მოხდა, ხოლო ამის შანსები არ არის — მაშინ იქ დემოკრატიულ—პაციფისტურ ილიუზიების ერა დაიწყება. თუ მიმდინარე არჩევნებზე ძველი კონსერვატიულ—ნაციონალური—ლიბერალური ემრავლესობა გაიმარჯვებს, მისი ბატონობა მაინც ხანმოკლე იქნება. პოლიტიკურ პარტიათა გადაჯგუფება, მემარცხენეთა გარეშე შეუძლებელია. საფრანგეთში აუცილებელია მემარცხენე ბლოკის ამოტიეტვება რაც თავის მხრივ ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ გერმანიაში პაციფისტურ იმედებს და განახლებას გამოიწვევს. სრულიად არ ითიშება იმის შესაძლებლობა, განსაკუთრებით, ზემოხსენებულ პირობების შექმნის დროს, რომ მუსოლინის რეჟიმი გაცილებით ადრე მოსპობს დროს, ვიდრე იტალიის მუშათა კლასი ძალა—უფლებისათვის მომზადებული იქნება: მაშინ იტალიაში „შესაძლო კერენსკიანის“ ახალი ეპოქა დადგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკა „ექსპერტთა გეგმის“ საშუალებით, ევროპის მზრუნველობა დასამონებლად, ახალ რთულ სისტემის ორგანიზაციას აწყობს.

ამერიკა ყველაზე უფრო ჯიუტად ეწინააღმდეგება საბჭოთა რესპუბლიკების ცნობას. შეერთებული შტატები საოცრად მდიდარია. ამერიკის ბურჟუაზიის განკარგულებაშია აუარებელი რესურსები, საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მანევრებისათვის. ყოველივე ეს მთლიანად იმას მოწმობს რომ ძლევამოსილ ევროპის პროლეტარიატს კიდევ მოუხდება ანგარიში გაუწიოს ამერიკის კაპიტალს, როგორც შეურიგებელ და უძლიერეს მტერს.

სოციალ-დემოკრატია, —პირველ რიგში გერმანიის სოციალ-დემოკრატია— ყველაფერს აკეთებს „ოკეანის იქითა დემოკრატიის“ სადიდებლად. სოციალ-დემოკრატია აშინებს მუშებს ამერიკის რისხვით, მათი უპატივცემულობის გამო და პირიქით მათ დიდს საჩუქარს ჰპირდება, ამერიკელ ბურჟუაზიის ბრძანების ქვეშ მყოფ ევროპის დემოკრატიებთან შეთანხმებისათვის.

ევროპის მენშევიზმის მთელი პოლიტიკა ახლა ამაზეა დამყარებული. ევროპის სოც.-დემოკრატია, როგორც საერთოდ ბურჟუაზიის აგენტურა, თავისთავად, აუცილებლად ყველაზე უფრო მდიდარ და ძლიერ ბურჟუაზიის,—ამერიკის ბურჟუაზიის,—აგენტურად ხდება. სოც.-დემოკრატია ცდილობს ამერიკის კაპიტალისტურ სიძლიერის ჰიპნოზით დამბლა დასცეს ევროპის მუშათა რევოლიუციონურ ენერგიას. ჩვენ ამას განსაკუთრებით გერმანიაში 1918 წლიდან ვამჩნევთ, როდესაც კაუცკიანური ვილსონიზმი თვით მუშათა კლასის რიგებში, უმთავრესი კონტრ-რევოლიუციონური ფაქტორი გამოდგა. მოსალოდნელია, რომ უახლოეს პერიოდში ექსპერტთა გეგმის გატარებასთან ერთად, სოც.-დემოკრატია კიდევ უფრო გააძლიერებს პროლეტარიატის ტეროროიზაციას, ყოველად შემძლე, ქვეყნიერ ერთდროულად მრისხანე ჩრდილო-ამერიკის მოჩვენებით, ამ ტეროორის და ჰიპნოზის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელი პირობაა რევოლიუციისათვის ევროპის მუშათა წარმატებით მოსამზადებლად. მათ უნდა გაიგონ რომ გაერთიანებულ ევროპას არა თუ არ ძალუძს ეკონომიურად დამოუკიდებელი არსებობა; არამედ ამერიკის კონტრ-რევოლიუციასთან აშკარა ბრძოლაში თავის დაცვაც შეუძლია.

კომუნისტები ევროპის მუშებს ეუბნება: თუ შენ ძალა-უფლებას დაეპატრონები, თუ საბჭოთა შეერთებულ შტატებს შეჰქმნი,—შენ ამით ოს უძლიერესს კონტინენტს გააერთიანებ, ხელთ იგდებ საუკეთესო ტეხნიკას, თვალუწვდენელ სივრცეს, ბუნებით სიმდიდრეს და გამარჯვებულ რევოლიუციონურ კლასის უდიდესს ენტუზიაზმს. თუ კი შენ შეიარაღებულ მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის პირისპირ შეტაკება ბოგიხდა,—ეს კი მოხდება,—შენ საკუთარ წითელ არმიას შეჰქმნი და მაშინ თავიდან დაწყება არ მოგიხდება, ვინაიდან შენ მიიღებ მზა-მზარეულად საბჭოთა კავშირის, ბრძოლაში გამობრძმედილ და გამარჯვებით ფრთებ შესხმულ ძლევა-მოსილ წითელ არმიას.

სიმონ ხუნდაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარქსის ინტერნაციონალი

(1864—1872)

ამა წლის სექტემბრის 28-ს 60 წელი (1864—1924) სრულდება მას შემდეგ, რაც პირველად საძირკვლები ჩაეყარა და აშენდა უდიდესი საერთაშორისო მუშათა ამხანაგობა, რომელიც მუშათა მოძრაობის ისტორიაში ცნობილი არის **პირველი ინტერნაციონალის** სახელწოდებით.

ფრიდრიხ ენგელსი ერთს თავის კერძო წერილში (1874 წ.) ფ. ზორგესადმი ამ საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციის მნიშვნელობასა და ღვაწლს შემდეგნაირად ახასიათებდა: „ინტერნაციონალი ათი წლის განძავლობაში (1864—74 წ. წ.) ევროპის ისტორიაზე გავლენას ახდენდა ერთის მიმართულებით,—მიმართულებით რომელსაც მიეყავართ მომავლისაკენ, და მას სიამაყით შეუძლია გადახედოს უკან თავის ნამუშევარს"[1]).

რაში გამოიხატა ინტერნაციონალის ეს გავლენა ევროპის ისტორიაზე?

ამ ასოციაციის დაარსების დღიდანვე მარქსი მასში ხედავდა ერთს უძლიერეს ორგანიზაციას, რომელიც შესძლებდა შემოეკრიბა თავის გარშემო მთელი ქვეყნის მუშათა კლასი და უშუალოდ განახორციელებდა სოციალისტურ რევოლიუციას. 1867 წ., როდესაც პირველად გამოვიდა მარქსის **კაპიტალი**, იგი სწერდა თავის თანამებრძოლს ფ. ენგელს: „ამბები რთულდება, საქმე თანდათან წინ მიდის და მოსალოდნელ რევოლიუციის დროს, რომელიც შეიძლება უფრო ადრე მოხდეს, ვინაც ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი, ჩვენს განკარგულებაში (ე. ი. მარქსის და ენგელსის განკარგულებაში) იქნება ეს უძლიერესი აპარატი" (ინტერნაციონალი)[2]).

მართალია, პირველი ინტერნაციონალი ვერ შეიქნა უშუალო დამწყები დიდი სოციალისტური რევოლიუციისა და, მაშასადამე, ვერც შესძლო კაპიტალისტური წყობილების სოციალისტურ ნიადაგზედ გარდაქმნა, მაგრამ მისი ისტორიული მნიშვნელობა და როლი მუშათა განვითარების საქმეში მაინც შეუ-

[1]) იხ. „Письма К. Маркса, Ф. Энгельса и др. к. Ф. Зорге" გვ. 145, 1908 წ.

[2]) კ. მარქსი და ფ. ენგელსი: „წერილები" გვ. 258, 1923 წ.

დარეგელი და დაუფასებელი გახდა. მან „იმოქმედა ევროპის [illegible] მით, რომ შეიტანა ფართო პროლეტარულ მასაში ინტერნაციონალ[illegible] [illegible]ბის შეგნება, განამტკიცა მათში რევოლიუციონური ბრძოლის წყურვილი, მოაწყო პროლეტარული ორგანიზაციები და ამით ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა პროლეტარიატს ახალი გადამჭრელი ბრძოლისათვის კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ.

პირველი ინტერნაციონალის ისტორიული მნიშვნელობა და მისი დიდი როლი სოციალისტურ მოძრაობის წარმატების საქმეში ხაზგასმით აღნიშნეს არა მარტო მუშათა კლასის ლიდერებმა, არამედ ლიბერალური და კონსერვატიული წრეების წარმომადგენლებმაც.

პირველი ინტერნაციონალის დაშლის ერთი ათეული წლის შემდეგ ინტერნაციონალის ლიბერალური ისტორიკოსი **ლაველე** თავის წიგნში „თანამედროვე სოციალიზმი“ ინტერნაციონალის მნიშვნელობას შემდეგნაირად ახასიათებს:

„მისმა (ინტერნაციონალის) მოღვაწეობამ, მიუხედავად თავისი მოკლე დროისა, დასტოვა თანამედროვე ცხოვრებაში ისეთი კვალი, რომლის აღმოფხვრა არც ისე ადვილი საქმე არის. მან წაკრა საგრძნობი მუჯლუგუნი მებრძოლ სოციალიზმის განვითარების საქმეს ლათინთა ქვეყნებში. მან მუშათა მტრობა მესაკუთრეთა წინააღმდეგ გადააქცია ქრონიკულ ბოროტებად, დაარწმუნა რა მუშები იმაში, რომ ისინი წარმოადგენენ ისეთს კლასს, რომელიც ფატალურად განწირული არის სიღატაკეში მუდმივი ყოფით, სანამ იარსებებს კაპიტალიზმის უსამართლო პრივილეგიები“. ამგვარად ლეველეს მოწმობით, პირველმა ინტერნაციონალმა გააღრმავა კლასიური თვითშეგნება მუშათა კლასში და მუშათა უკმაყოფილება კაპიტალისტთა წინააღმდეგ გადააქცია „ქრონიკულ ბოროტებად“.

ინტერნაციონალის მეორე ისტორიკოსი კონსერვატორი **რუდოლფ მეიერიც** ასევეთვე სიტყვებით ახასიათებს პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობას: „მარქსის ინტერნაციონალმა შეასრულა თავისი ამოცანა; მან ყველა ქვეყნის მუშებში გააღვიძა კლასიური სიძულვილი, მიუთითა მუშათა მოძრაობას თავის მიზნებზე და ასწავლა მუშათა კლასს ორგანიზაციულად ჩამოყალიბების წესები“.[3])

ასე სწერდენ პირველი ინტერნაციონალის შესახებ მისი ისტორიკოსები მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან.

მისი დაარსების დღიდან 60 წელმა განვლო და ამ ხნის განმავლობაში მუშათა მოძრაობის ისტორიამ, მისმა პრაქტიკამ და მოღვაწეობამ ნათელყვეს, რომ გზა გაკვლილი პირველ ინტერნაციონალის მიერ, მისი როგორც დადებითი საქმიანობა, ისე შემცდარი ნაბიჯები საერთაშორისო პროლეტარიატისთვის მეტად ნაყოფიერი და სასარგებლო გამოდგა.

პირველი ინტერნაციონალის ისტორია შეიძლება სამ უმთავრეს პერიოდად დავყოთ:

პირველ პერიოდს შეადგენს ინტერნაციონალის წინა დროის ხანა, როდესაც სხვა და სხვა საერთაშორისო მუშათა კავშირების ჩამოყალიბებითა და მუ-

[3]) ю. стеклов: „Интернационал“ პირველი ნაწილი, გვ. 212—14, 1920 წ.



შათა რევოლიუციონური მოძრაობით თანდათან მზადდებოდა ენერგიული საერთაშორისო მუშათა ამხანაგობის დასაფუძნებლად. ეს არის ინტერნაციონალის წარმოშობის მზადების პერიოდი (1864 წლამდე).

მეორე პერიოდს შეადგენს მისი ჩამოყალიბების ხანა და მოღვაწეობა მე-IV საერთაშორისო კონგრესამდე (1869 წ.), რომლის დროსაც ინტერნაციონალის შიგნით ბრძოლა ხდებოდა უმთავრესად პროუდონისტებსა და მარქსისტებს შორის.

მესამე პერიოდი ამოიწურება შემდეგი ხანით, რომელიც ბაკუნიზმისა და მარქსიზმის შორის ბრძოლის ნიშნით ჩატარდა.

ყველა ამ პერიოდებში მარქსისტების თეორიამ, პრაქტიკამ და თვით მარქსის ორგანიზაციულმა მოღვაწეობამ მეტად დიდი და გადამჭრელი როლი ითამაშა. მართალია კ. მარქსს პირველი ინტერნაციონალის დაარსებისათვის მზადების საქმეში უშუალოდ დიდი მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ თავისი წარსული მოღვაწეობით და რევოლიუციონური თავდადებით მისი გავლენა საერთაშორისო ამხანაგობის წარმოშობის საქმეში მაინც უცილო ხდება, შემდეგში კი მისი როლი და მნიშვნელობა ინტერნაციონალის წარმატების საქმეში ყოველის მხრივ დაუჯასებელი გახდა. ამას ვერ უარყოფდა ვერც მიხ. ბაკუნინი, რომელიც განსაკუთრებულის სიძლიერით ილაშქრებდა კ. მარქსისა და მისი პარტიის წინააღმდეგ. 1869 წ. ბაკუნინი ერთ-ერთს თავის წერილში მარქსის შესახებ სწერდა: „ის (მარქსი) ერთი პირველთაგანი და აუცილებლად უმთავრესი დამაარსებელთაგანია ინტერნაციონალისა, და ეს ჩვენს თვალში წარმოადგენს დიდს დამსახურებას, რომელსაც მე ყოველთვის აღვნიშნავდი... მარქსს უდაოთ დიდი სარგებლობა მოაქვს ინტერნაციონალისათვის. დღევანდლამდე ის ახდენდა ბრძნულ გავლენას თავის პარტიაზე, და წარმოადგენს სოციალიზმისათვის ყველაზე უფრო მტკიცე დასაყრდენ ძალას, ყველაზე უფრო ძლიერს მებრძოლს ინტერნაციონალში ბურჟუაზიული მიზნებისა და აზროვნების შეჭრის წინააღმდეგ"[1]).

მართლაც პირველი ინტერნაციონალის ისტორიის ფაქტების მოკლე განხილვა და მისი არსებობის მთავარი მომენტების გათვალისწინება ჩვენ დაგვანახებს, თუ კ. მარქსის ბრძნული აზროვნება და პრაქტიკული საქმიანობა როგორის ენერგიით იბრძოდა ყოველი ჯურის ბურჟუაზიულ აზროვნების წინააღმდეგ და როგორი მდიდარი იდეური მემკვიდრეობა დაუტოვა თავისი მოღვაწეობით ინტერნაციონალში მარქსმა თავის მემკვიდრე თაობას.

I.

პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმი და მუშათა საერთაშორისო ორგანიზაციები პირველ ინტერნაციონალამდე.

ერთ-ერთს ინგლისის მუშათა გაზეთის 1864 წ. სექტემბრის 17-ს ნომერში შემდეგი ცნობა იყო გამოქვეყნებული:

„თუ საფრანგეთის და ინგლისის ხალხი შეიგნებენ

[1]) Ф. Меринг: „Карл Маркс, история его жизни" გვ. 343, 1920 წ.



თავის მოვალეობას და გაერთიანდებ[illegible]
უდიდესი პრობლემა გადაწყვეტილ[illegible]

ჯ. გარიბალდი.

„1864 წ. სექტემბრის 28-ს ოთხშაბათ საღამოს st. Martins Noll-ში გაიმართება საჯარო კრება, რომელზედაც საფრანგეთის მუშათა დეპუტაცია წაიკითხავს პასუხს თავისი მოძმე ინგლისელი მუშების ადრესის საპასუხოდ და წარმოადგენს გეგმას ორივე ხალხის უფრო უკეთესი შეთანხმებისათვის"[1].

ეს იყო პირველი საგაზეთო ცნობა, რომელიც მსოფლიო პროლეტარიატს აუწყებდა უდიდეს საერთაშორისო მუშათა ამხანაგობის დაარსების ამბავს.

რა მიზეზმა გამოიწვიეს ინგლისისა და საფრანგეთის მუშების შეხვედრა წმ. მარტინ ხოლეში, ან სად უნდა ვეძიოთ პირველი ინტერნაციონალის წარმოშობის მიზეზი?

გარეგნულად ამის მიზეზი შეიქმნა პოლონეთის აჯანყების საქმე და ინგლისის მუშების მიმართვა ფრანგი ამხანაგებისადმი, ხოლო არსებითად მისი წარმოშობის მიზეზები იმ **ისტორიულ ეკონომიურ** პირობებში უნდა ვეძიოთ, რომელიც განსაკუთრებულის სიძლიერით განმტკიცდა მე-XIX საუკუნეში და რომელმაც უდიდესი ცვლილებები გამოიწვია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უკეთ, ეს იყო, ერთის მხრით, იმ იდეოლოგიურ მისწრაფების შედეგი, რომელიც კაპიტალისტური მეურნეობის განმტკიცებით შეეწუშავდა მუშათა კლასში და მეორე მხრით, იმ **პრაქტიკული** მოღვაწეობის დასკვნა, რომელიც მე-XIX-ე საუკ. მუშათა მოძრაობისა და რევოლიუციების ხეგაელენით თანდათან ნიადაგს იკიდებდა პროლეტარულ წრეებში

კაპიტალიზმის განმტკიცებამ ევროპის კონტინენტზე, მისი ეკონომიური შედეგების მთელი თავისი შინაარსით გამომზეურებამ, ნათლად დაანახა მუშათა კლასს და შეუნუშავა გარკვეული შეგნება, რომ პროლეტარიატის მდგომარეობის გაუმჯობესება და მისი სრული განთავისუფლება შეუძლებელი არის გარეშე ყველა ქვეყნის მუშათა კლასის სოლიდარობისა და მტკიცე კავშირის. ამ მიზნისათვის პირველი ინ-ლის დაარსებამდე რევოლიუციონური მოძრაობის საუკეთესო ხელმძღვანელებნი მრავალჯერ სცადეს შეექმნათ რევოლიუციის საერთაშორისო ორგანიზაცია. მართალია მათმა ცდებმა ვერ მიაღწიეს მთავარ მიზანს, მაგრამ სამაგიეროდ მათმა მოღვაწეობამ იმდენათ გაანოყიერა ნიადაგი და მოამზადა პრაქტიკულად პირობები, რომ შემდეგში მათს ნამოღვაწარზე შესაძლებელი გახდა დიდი საერთაშორისო მუშათა ამხანაგობის აღმოცენება.

მუშათა კლასის ინტერნაციონალიზმი, ისე როგორც თვით მუშათა კლასი, კაპიტალისტურ მეურნეობისა და მის მიერ შექმნილ ობიექტურ პირობების ღვიძლი შვილი არის. კაპიტალიზმმა ყველგან, სადაც კი მოიპოვა გაბატონებული მდგომარეობა, ერთნაირი ეკონომიური პირობები შექმნა მუშათა კლასისათვის მასთავე მან თითქმის მთელი მსოფლიო ჩაითრია თავის მორევში და ამგვარად

[1]) „Архив Маркса и Энгельса" ტომის წერილი: „Возникновение первого интернационала" გვ. 149.

წინად განცალკევებული ქვეყნები დაუახლოვა ერთი მეორეს და მაგარი ეკონომიური რგოლებით გადაჯაჭვა. ამ პირობებში განმტკიცდა ინტერნაციონალური ურთიერთობა სხვა და სხვა ქვეყნებს შორის, საერთაშორისო [illegible] მოიკიდა ფეხი, აღმოცენდა ინტერესთა ერთიანობა, რამაც ხელი შეუწყო სხვა და სხვა ქვეყნების დაახლოვებასა და დაკავშირებას.

კაპიტალიზმის ძლევამოსილი გავლენა მსოფლიოს გარდასახვაფერების, მისი ინტერნაციონალურად გადახალისების საქმეში ხედმიწევნით დააბასიათეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა „კომუნისტურ მანიფესტში" (1848 წ.) რომელშიაც შემდეგს ვკითხულობთ:

„ბურჟუაზიამ მსოფლიო ბაზრის ექსპლოატაციით ყველა ქვეყნის წარმოება და მოხმარება კოსმოპოლიტურად გადაასხვაფერა, მან რეაქციონერთა საგალალოდ მრეწველობას ნაციონალური ნიადაგი გამოაცალა. ძველი ნაციონალური მრეწველობა მოისპო ან დღითი დღე ისპობა. მას დევნის ახალი მრეწველობა, რომლის შემოღება ყველა განათლებულ ერისათვის სასიცოცხლო კითხვად ხდება... უწინდელი მოთხოვნილება, რომელიც ადგილობრივი ნაწარმოებით კმაყოფილდებოდა, შეიცვალა ახალი მოთხოვნილებით, რომლის დასაკმაყოფილებლად საჭიროა სხვა და სხვა ჰავისა და შორეულ ქვეყნების ნაწარმოები. **წინანდელი კუთხური, ნაციონალური კარჩაკეტილობა და თვითკმაყოფილება ადგილს უთმობს ერთა ყოველმხრივს აღებ-მიცემობას და ყოველ მხრივს ურთიერთულ დამოკიდებულებას.** ეს ასევა, როგორც ნივთიერი, ისე სულიერი შემოქმედების დარგში. ამა თუ იმ ერის გონებრივი მოღვაწეობის ნაყოფი ხდება საყოველთაო კუთვნილებად. ნაციონალური ცალმხრივობა და სიიწროვე ახლა უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება."[6])

ასე დაარღვია კაპიტალისტური მეურნეობის განმტკიცებამ ძველი სოციალური წყობილების პირობები და მოსპო სხვა და სხვა პროვინციების კარჩაკეტილობა, გამოიწვია ეროვნებათა ცენტრალიზაცია და შემდეგ მთელი მსოფლიო ერთ მთლიან ეკონომიურ ერთეულად გადააქცია. ამ ინტერნაციონალურ ეკონომიურ ერთიანობაზედ აღმოცენდა თანამედროვე მუშათა მოძრაობა და სოციალიზმი.

„სოციალიზმი,—სწერს პროფ. ა. იაშჩენკო,—როგორც თავისი საფუძვლებით, რომლიდანაც ის წარმოიშვა, ისე თავისი მიზნებითაც, რომლისაკენაც ის მიისწრაფის, დაკავშირებულია შინაგანი და აუცილებელი კავშირებით ინტერნალიზმთან... ეს კავშირი აუცილებლობით არის გამოწვეული უწინარეს ყოვლისა იმ ფორმის მიერ, რომელიც მიღებული აქვს თანამედროვე კაცობრიობის ეკონომიურ ცხოვრებას. მრეწველობამ და ვაჭრობამ დაკარგა თავისი ნაციონალური ხასიათი, მეურნეობა გადაიქცა მსოფლიო მეურნეობად, ეკონომიურ-ცხოვრების ამ ერთიანობიდან გამომდინარეობს ორი შედეგი, რომელსაც აუცილებლად უნდა მიეცა სოციალიზმისათვის ინტერნაციონალური ხასიათი. ეს შედეგი უწინარეს ყოველისა გამოიხატება მთელი ქვეყნის პროლეტარების ინტერესთა ერთიანობაში,—აქედან წარმოსდგა იდეა საერთო მოქმედების აუცილებლობი-

[6]) იხ. „კომუნისტური მანიფესტი"—გვ. 73, 1923 წ.

სა და ყველა ქვეყნის პროლეტარების გაერთიანების შესახებ, [illegible] მხრივ, ეკონომიური ურთიერთობის ერთიანობა აუცილებლად მოითხოვს ერთიან იურიდიულ ორგანიზაციის არსებობასაც.“[7])

ამგვარად კაპიტალიზმმა შექმნა რა ერთნაირი ეკონომიური პირობები ყველა ქვეყნის პროლეტარიატისათვის, ამით ბუნებრივად გამოიწვია პროლეტარიატის დაახლოება და დაკავშირება საერთაშორისო მაშტაბში, რაც გარკვეულ იურიდიულ ორგანიზაციის ფორმებში უნდა ჩამოყალიბებულიყო.

სწორედ ამ ნიადაგზედ აღმოცენდა პროლეტარიატის უდიდესი რევოლიუციონური ლოზუნგი: **პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით,**—რომელმაც ნათლად და გარკვევით მოუწოდა მუშათა კლასს შეკავშირებული ბრძოლისაკენ.

მეცნიერულ სოციალიზმის თეორეტიკოსებმა—მარქსმა და ენგელსმა თავიდანვე შეითვისეს მუშათა კლასის ეს ინტერნაციონალისტური მისწრაფება და თავიანთი პარტიის სამოღვაწეო პროგრამაში შეიტანეს იგი. იმავე **კომუნისტურ მანიფესტში** ავტორები კომუნისტური პარტიის სამოქმედო გეგმებს შემდეგნაირად ახასიათებდენ: „კომუნისტები დანარჩენ პროლეტარულ პარტიებისაგან მით განსხვავდებიან, რომ ერთის მხრით, სხვა და სხვა ერთა **მუშათა მოძრაობაში არჩევენ და იცავენ მთელი პროლეტარიატის საერთო, ეროვნებისაგან დამოუკიდებელ ინტერესებს,**—ხოლო, მეორეს მხრით, პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ურთიერთულ ბრძოლის განვითარების სხვა და სხვა ხანაში მუდამ იცავენ **მთლიანი მოძრაობის საერთო ინტერესებს.** მაშასადამე, კომუნისტები პრაქტიკულად წარმოადგენენ მთელი ქვეყნის მუშათა პარტიების ყველაზე უფრო შეუპოვარს, მუდამ წინ მიმავალ ნაწილს, ხოლო თეორიულად პროლეტარიატის დანარჩენ მასასთან უპირატესობენ მით, რომ შეგნებული აქვთ პროლეტარიატის მოძრაობის პირობები, მსვლელობა და საერთო შედეგები“ (იქ. 81.)

მუშათა კლასში ინტერნაციონალური იდეის ჩასახვისა და „მთლიანი მოძრაობის საერთო ინტერესების“ შეგნების დღიდანვე ჩაისახა სურვილი საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციის დაარსებისა. მაგრამ განსაკუთრებულის სიძლიერით ეს მისწრაფება გამომჟღავნდა გასული საუკუნის ოცდაათიან და ორმოციან წლებში, ამ წლების მუშათა მოძრაობა და მათი ფარული საზოგადოებანი უკვე ატარებდენ ინტერნაციონალურს იერს. მაშინდელმა ისტორიულმა ვითარებამ იმდენად მოამზადა პირობები, რომ მუშათა მოძრაობა და რევოლიუციონური კავშირები სულ უფრო და უფრო აღწევდენ თავს ნაციონალურს კარჩაკეტილობას და საერთაშორისო ნიადაგზე სდგებოდენ: რევოლიუციონური მოძრაობის დაბარცხებამ გამოიწვია სხვა და სხვა ერების რევოლიუციონერთა თავის მოყრა რომელიმე ცენტრში, სადაც ისინი ძალაუნებურად ნიადაგს უმზადებენ ახალ საზოგადოების დაარსებას ინტერნაციონალური შინაარსით. ასე მაგ. გერმანელ ხელოსანთა მიერ დაარსებული **დევნილთა საზოგადოება** (1834—36) და **სამართლიანთა საზოგადოება** (1836—39) აღმოცენდნენ პარიზის რევოლიუციონურს ატმოსფერაში, მუშაობდენ ბლანკისტთა საზოგადოებასთან და ჰქონდათ თავიანთი შტოები სხვა ქვეყნებშიაც, მათ შორის უმთავრესი გერმანიაშიაც.[8])

[7]) А. Ященко: „Социализми и интернационализм“ გვ. 1—3, 1907.

[8]) ი. სტეკლოვი: „მუშათა მოძრაობის ისტორია“ გვ. 143—4, 1922 წ.



მათი მემკვიდრე საზოგადოებათა დამარცხების შემდეგ [illegible] ევროპიისა და სხვაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ლონდონის რევოლიუციონურ ჯგუფს, სადაც ყოველის მხრიდან იყრიდენ თავს ემიგრანტები, სკანდინავიის ქვეყნებიდან, ჰოლანდიიდან, ჩეხიიდან, რუსეთიდან, სლავიანთა ქვეყნებიდან, ელზასიდან, და ამრიგად ლონდონის ჯგუფი გადაიქცა მომავალი ინტერნაციონალური კომუნიზმის ჩანასახად [9])

მათი მემკვიდრე შეიქმნა **„კომუნისტთა კავშირი“** (1847 — 51), რომელშიაც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ მარქს-ენგელსთან ერთად მომავალი პირველი ინტერნაციონალის სხვა წევრებიც. ამ კავშირმა დააკალა მარქსსა და ენგელსს შეედგინათ კომუნისტური პარტიის **მანიფესტი**. 1848 წ. გამოქვეყნებული **კომუნისტური მანიფესტი** სოციალისტურ აზროვნებისა და მუშათა მოძრაობის ისტორიაში ახალი პერიოდის დამწყები გახდა. მან მოგვცა მეცნიერულად დამტკიცებული მუშათა კლასის ინტერნაციონალური პროგრამა და სოციალიზმის განხორციელების საქმე პირველმა დააყენა საერთაშორისო ლიანდაგზე*).

კომუნისტური კავშირის წევრები 1848 წლის რევოლიუციებში მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ ლონდონში შეკრებილმა ემიგრანტებმა აღადგინეს კავშირის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც 1850 წ. გამოსცა ცირკულიარი, რომელშიაც გატარებული იყო **პერმანენტული რევოლიუციის** თეორია. ცეკა კვლავ მოელოდა საერთაშორისო რევოლიუციის მოძრაობის განახლებას უახლოეს დროში და ამიტომ ისინი კავშირს კრავდა სხვა და სხვა ქვეყნის რევოლიუციონურ ჯგუფებთან. მაგრამ იმედები არ გაუმართლდათ და თვით კომიტეტშიაც აღმოცენდა წინააღმდეგობანი, რამაც გამოიწვია მისი დაშლა 1851 წ. ასე დამარცხდა პირველი ჩანასახი ინტერნაციონალურ მუშათა მოძრაობისა.

მაგრამ პირველ ინტერნაციონალს ნიადაგს უმზადებდენ აგრეთვე ის პროლეტარული და რევოლიუციონური ორგანიზაციებიც, რომელნიც ინგლისის ნიადაგზედ აღმოცენდენ ორმოციან და ორმოცდაათიან წლებში.

1833 წ. დაარსდა **დემოკრატიული ასოციაცია**, რომელმაც მჭიდრო კავშირი გააბა ლონდონში არსებულ ემიგრანტებთან და დაბეჯითებით ადევნებდა თვალყურს ყოველგვარ მუშათა მოძრაობას სხვა ქვეყნებში.

1844 წ. დაარსებული იქნა ლონდონში მცხოვრებ გერმანელ, პოლონელ და იტალიელ ემიგრანტების მიერ **მოძმეთა დემოკრატების** კავშირი, რომელიც აუცილებლად წარმოადგენდა თავისი მიზნებითა და ინსტრუქციებით, ორგანიზაციით პირველი ინ-ლის წინამორბედს[10]) თავის პლატფორმაში ეს კავშირი იყენებდა **მიწის განსაზოგადოებრივების** პრინციპს და იცავდა ერთა შორის მეგობრობის განმტკიცების საჭიროებას.

დემოკრატიულ მოძმეთა კავშირის გაქრობის შემდეგ, მისწრაფება საერ-

[9]) Проф. Ш. Андлер: „историческое введение и комментерий к Коммунистическому манифесту“. გვ. 81—100. 1906 წ.

[10]) იხ. სტეკლოვის ინტერნაციონალი — გვ. 26.

*) კომუნისტური კავშირის შესახებ იხ. მერინგი: „გერმანიის ს.-დემ. ისტორია“ ტომი I. გვ. 331—59.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თაშორისო საზოგადოების შექმნისადმი განსაკუთრებით [illegible] ომის დროს.

1854 წ. შესდგა კომიტეტი **მისალმების და პროტესტის** სახელწოდებით, რომელიც შემდეგში გადაიქცა დამოუკიდებელ ორგანიზაციად. მის თავმჯდომარედ იყო ე. ჯონსონი, ხოლო ყოველ ერს ყავდა გამოგზავნილი თავისი წარმომადგენელი — მდივანი. იყო ინგლისელების, ფრანგების, პოლონელების, გერმანელების, იტალიელების და ესპანელების წარმომადგენელნი. ამ საზოგადოების ორგანიზაციის ფორმა ძლიერ წააგავს იმ ფორმას, რომელიც შემდეგში შეიმუშავა პირველმა ინ-ლმა (იხ. 33).

საერთაშორისო კომიტეტმა გარკვევითა და ნათლად წამოაყენა ყველა ერთა დაჩაგრულ კლასების გაერთიანების საჭიროება და მათი ამ სახით დაპირისპირება კაპიტალისტთა ბატონობის წინააღმდეგ.

1855 წ. ერთ-ერთს თავის მიტინგზე საერთაშორისო კომიტეტმა მიიღო მანიფესტი, რომელშიაც გაატარა ერთა თვითგამორკვევის უფლება და წამოაყენა მიწის ნაციონალიზაციის პრინციპი.

1856 წ. პარიზიდან ლონდონში ჩავიდა პროუდონისტ მუშების დელეგაცია იმ მიზნით, რომ დაეარსებინათ **მუშათა საერთაშორისო კავშირი**. კავშირი მიზნად ისახავდა მუშათა კლასის სოციალურ განთავისუფლებას, რომლისათვისაც აღიარებულ იქნა ყველა ქვეყნის მუშათა კლასის გაერთიანების საჭიროება საერთაშორისო კაპიტალიზმის წინააღმდეგ. (გვ. 35). ამ გარემოებამ გამოაცხოველა საერთაშორისო კომიტეტის მოქმედება და მანაც გამოუშვა მანიფესტი ყველა ქვეყნის მუშებისადმი, რომელშიაც ხალხთა სოლიდარულ თანაშრომლობის ლოზუნგთან ერთად აყენებდა გეგმას საერთაშორისო ასოციაციის უფრო ფართო მასშტაბით მოწყობის შესახებ (იქვე). ამ კომიტეტს დიდი ხნის განმავლობაში არ უმოღვაწია, მაგრამ თავისი არსებობის ფაქტით მოუმზადა ნიადაგი პირველი ინ-ლის წარმოშობას.

როგორც ვხედავთ, მთელი ათეული წლების განმავლობაში ევროპის მნიშვნელოვან ცენტრებში ხანგამოშვებით იბადებოდა საერთაშორისო შინაარსის მატარებელი რევოლიუციონური ორგანიზაციები. ისტორიულად ისინი ამზადებდენ ნიადაგს ახალ უფრო ძლიერი საზოგადოების წარმოსაშობად, მაგრამ თვითონ კი ვერ ახერხებდენ ხანგრძლივ არსებობასა და ფართო მასშტაბით მოღვაწეობას, მიუხედავათ იმისა რომ მათ დამაარსებლებს ამის დიდი სურვილი ჰქონდათ. ამას ხელს უშლიდა მუშათა მასების მოდუნება 1848 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ.

მართლაც 1849 წლის შემდეგ ევროპის კონტინენტი რეაქციამ შეიპყრო და მოადუნა მუშათა მოძრაობა. 1849 წ. დამარცხებული რევოლიუციონერები მხოლოდ კანტი-კუნტად ახერხებდენ თავისი ხმის ჩვენებას, მხოლოდ ფარულ გზით ფიქრობდენ საერთაშორისო ერთიერთობის გაბმას. მაგრამ ყოველივე ამან ვერ გამოიღო თავისი შესაფერისი ნაყოფი იმ ხანებში, ვერ განახორციელა მტკიცე კავშირი ყველა ქვეყნის მუშათა კლასს შორის. სხვა და სხვა სახით საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელნიც ხანგამოშვებით აღმოცენდებოდენ ხო-

ლმე ფაქტიურად ვერ ხდებოდენ ფართო მასიურ ორგანიზაციებად და რამოდენიმე დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ იშლებოდენ. მუშაობა [illegible] მასა ჯერ კიდევ მოქანცული და ინერტული იყო. საჭირო შეიქნა [illegible] ბრისი კრიზისი, რომ გამოეღვიძებინა მასა და ჩაება იგიც მოძრაობაში. მართლაც პოლიტიკური რეაქციის პერიოდმა გამოიწვია დიდი ეკონომიური აღორძინება ევროპის კონტინენტებზე, რასაც შემდეგ მოყვა 1857—8 წ. წ. კრიზისები. ახალი რევოლიუციონური თაობა, აღზრდილი რეაქციის ბატონობის პერიოდში, რევოლიუციის მოლოდინმა შეიპყრო, რაკი კრიზისი ფაქტის საქმედ ხდებოდა. მარქს-ენგელსსაც გაუღვიძა ახალი კრიზისის მოახლოებამ 1848 წლის ტრადიციები და ისინიც შეუდგნენ საერთაშორისო რევოლიუციისათვის მზადებას.

1856 წ. „ნიუ-იორკის ტრიბუნაში" კ. მარქსი შემდეგ საინტერესო ანალიზს უკეთებდა მოახლოებულ ეკონომიურ კრიზისს.

„შეშფოთება გაბატონებული კლასებისა ევროპაში გაიწვევდება კიდევ იმ შეგნებით, რომ სწორედ მათმა (გაბატონებული კლასების) გამარჯვებამ რევოლიუციაზე (1848 წ.) მიგვიყვანა 1857 წელში მატერიალური პირობების მომზადებამდე 1848 წლის რევოლიუციის იდეების განსახორციელებლად. ამგვარად მთელი პერიოდი 1849 წლის ნახევრიდან დაწყებული დღევანდლამდე წარმოადგენს შესვენების ხანას, რომელიც ისტორიამ მიანიჭა ევროპის ძველს საზოგადოებას, რომ, ამით მიეცა მისთვის საშუალება გაეშალა მთელი თვისი ტენდენციები შეკუმშულს ფორმებში. პოლიტიკის სფეროში გამეფებულია მახვილის პატივისცემა; მორალის სფეროში — საერთო კორეპცია და პირფერული დაბრუნება უკვე დამსხვრეულ ცრუმორწმუნეობისადმი: პოლიტიკური ეკონომიის სფეროში-გამდიდრების მაგია წარმოების ტკივილების გარეშე: აი ის მთავარი ტენდენციები, რომელნიც გამოსახა ამ საზოგადოებამ 1849—56 წ. წ. ეპოქაში კონტრრევოლიუციონურ ორგიების დროს"[11]) განვლილი ეპოქის შესწავლამ მარქსი დაარწმუნა, რომ 1857 წელში დაიწყება ეკონომიური კრიზისი, რასაც აუცილებლად მოყვებოდა მისი შეგნებით საერთაშორისო რევოლიუცია. ამიტომ იგი რევოლიუციონური ძალების მობილიზაციისთვის ემზადებოდა. ერთ-ერთ წერილში (26/IX 1856) ენგელსისადმი მარქსი სწერდა: „ამჟამად კრიზისი ჯერ გაუგონარი, საერთო ევროპიული მახვანებით იშლება. არ ვფიქრობ, რომ კიდევ დიდხანს მოგვიხდეს აქ ჯდომა და ყურება. ჩვენი **მობილიზაცია** მოახლოებულია"[12]). იმასვე ფიქრობდა ენგელსიც. თავის წერილებში (13/IX — 56) მარქსისადმი იგი სწერს: „1848 წ. ჩვენ ვამბობდით: ჩვენი დრო დადგა და მართლაც რამოდენიმედ კიდეც დადგა. **ახლა კი მართლა სრულიად დადგება**" (იქვე).

ამგვარად მარქს-ენგელსისა და მათთან ერთად მთელი რევოლიუციონური თაობის შეგნებაში ახალმა მოსალოდნელმა ეკონომიურმა კრიზისმა გამოიწვია საერთაშორისო რევოლიუციის მოახლოების იმედები. ამ გარემოებამ თავისი გავლენა მოახდინა მუშათა მოწინავე წრეებზე, გამოიყვანა ისინი ინერტიული

[11]) იხ. რიაზანოვის წერილი მარქს-ენგელსის არქივში — 106.

[12]) „წერილები" გვ. 38.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მდგომარეობიდან და აღუძრა სურვილი ინტერნაციონალური ურთიერთობების განმტკიცების შესახებ ყველა ქვეყნის მუშათა წრეებს შორის.

მართალია 1857—8 წ. წ. ეკონომიურმა კრიზისმა არ გამოიწვია საერთაშორისო რევოლიუცია, მაგრამ მან მაინც დიდად იმოქმედა ევროპის ფართო მუშათა მასების გამოფხიზლების საქმეში. 1857—8 წლების კრიზისმა შეაფერხა როგორც ინგლისში, ისე სხვა ქვეყნებშიც კაპიტალისტური წარმოების სხვა და სხვა დარგების განვითარება. ამიტომ ჭრაველი ათასეული მუშა უმუშევრად დარჩა, გაიზარდა უმუშევართა არმია. კაპიტალისტებმა მოინდომეს ესარგებლათ ასეთი პირობებით და შეამცირეს მუშათა ხელფასი და გაიდიდეს საწუშაო დრო. ამ გარემოებამ გამოიწვია მუშათა გამოფხიზლება და გაცხოველდა აგიტაცია მუშათა შორის და ბოლოს ინგლისის მუშებმა 1859 წ. მასიური გაფიცვით უპასუხეს კაპიტალისტებს. ეს იყო მეტად საგრძნობი შეტაკება შრომასა და კაპიტალს შორის. ამ გაფიცვას, რომელიც კომპრომისით დამთავრდა, შედეგად მოყვა პირველი **პროფესიონალურ კავშირის საბჭოს დაარსება**, რომლის სათავეშიაც იდგნენ ის მუშები, რომელნიც შემდეგ მხურვალე მონაწილეობას იღებდენ პირველი ინ—ლის დაარსების საქმეში. 1861—2 წ. პროფესიონალური კავშირები დიდათ გაიზარდა მთელს ინგლისში, ასე რომ საგრძნობლად განმტკიცდა მუშათა კლასიური ორგანიზაციები. ასეთივე შედეგები გამოიწვია 1857—8 წლის კრიზისმა საფრანგეთშიაც, სადაც ეკონომიური ბრძოლის ნიადაგზედ მუშათა მოძრაობა ფართოდ განვითარდა და გამოაცოცხლა ძველი პოლიტიკური პარტიები. სწორედ საფრანგეთის ამ პერიოდის მუშათა მოძრაობის მეთაურები ღებულობდენ მონაწილეობას ინტერნაციონალის განმტკიცების საქმეში [13]).

1862 წლის 6 აგვისტოს ლონდონში მოხდა ინგლისისა და საფრანგეთის მუშების შეხვედრა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გერმანიის მუშების წარმომადგენლებმაც. შეხვედრის გარეგანი საბაბი იყო ლონდონში საერთაშორისო გამოფენის მოწყობა. ასეთი გამოფენა პირველად გაიმართა 1851 წელს, მეორედ—1855 წ. გამოფენის დამწყები იყვენ ბურჟუაზიის წარმომადგენელნი. საზოგადოდ 1862 წლის გამოფენას უკავშირებდენ დღემდე ისტორიკოსები ინტერნაციონალის დაარსების საკითხს. მაგრამ ამხ. დ. რიაზანოვის ახალმა გამოკვლევამ პირველი ინ—ლის წარმოშობის შესახებ გააბათილა ეს შეხედულება. 1862 წ. საზეიმო გამოფენაზე მუშების შეხვედრამ გამოიწვია ერთგვარი დაახლოება და ურთიერთობა სხვა და სხვა ქვეყნის მუშებ შორის, მაგრამ სხდომაზე ჯერ კიდევ არ იყო გამოთქმული აზრი მუდმივი საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსების შესახებ. ეს კრება არ ატარებდა ნამდვილ ბუშურ ხასიათს, მასში მონაწილეობას ღებულობდენ ბურჟუაზიისა და გაბატონებული წრეების წარმომადგენელნი და იქ მხოლოდ **მწარმოებელთა და მუშათა შორის კეთილ შეთანხმებაზე მსჯელობდენ**. (იხ. რიაზანოვის წერილი ინტერნაციონალზე — 128—32) მაგრამ საზეიმო შეხვედრამ გაელენა იქონია საფრანგეთის და ინგლისის მუშების დაახლოვების საქმეზე და ერთგვარ საფეხურად გადაიქცა მუშათა საერთაშორისო საზოგადოების წარმოშობის ისტორიაში.

[13]) Д. Рязанов: „Маркс и Энгельс" зз. 159—64, 1923 წ.

1862 წელს საფრანგეთისა და ინგლისის მუშებს შორის დაწყებული ურთიერთობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, რომ ორ დიდ ქვეყნებს არ გამოეწვია კიდევ უფრო ფართო მაშტაბით მათი დაახლოება. ეს ფაქტები იყო ამერიკის სამოქალაქო ომი და პოლონეთის აჯანყება. ამერიკა ბამბის ერთადერთი მომწოდებელი იყო იმ ხანებში ევროპის ბაზრისათვის და როდესაც სამოქალაქო ომი გაჩაღდა სამხრეთ ჩრდილოეთ შტატებს შორის ბამბის მიწოდება შესწყდა ევროპისათვის და ამან გამოიწვია არეე-დარეეა ევროპის ეკონომიურ ცხოვრებაში, რასაც შედეგად მოყვა ათასობით მუშების გამოდევნა ფაბრიკებიდან. როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთშიაც შესდგა მუშათა სპეციალური კომიტეტი დახმარების ორგანიზაციის მიზნით. ლონდონში ეს ინიციატივა იკისრა პროფკავშირების საბჭომ. ინგლისისა და საფრანგეთის კომიტეტებს შორის გაჩაღდა ურთიერთობა. ამ ფაქტმა ხელი შეუწყო ორივე ქვეყნის მუშების დაახლოებასა და დაკავშირებას.

პოლონეთის აჯანყებამ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია ევროპის მუშათა კლასში. ინგლისისა და საფრანგეთის მუშებმა თავიანთ ქვეყნებში მოაწყვეს მიტინგები პოლონეთის სასარგებლოდ და დაარსეს კომიტეტები. 1863 წ. აპრილის 28-ს ლონდონში გაიმართა დიდი მიტინგი, რომლის მიზანი იყო ინგლისის მთავრობაზე გაელენის მოხდენა პოლონეთის სასარგებლოდ. მთავრობამ მიტინგის დეპუტაციას უარით უპასუხა. მაშინ რომ უფრო გაეძლიერებიათ მთავრობაზე გავლენის მოხდენა გადასწყდა მოეწვიათ ახალი მიტინგი საფრანგეთის მუშების წარმომადგენლებთან ერთად. ეს საერთაშორისო მიტინგი მოეწყო ლონდონში 1863 წ. 22 ივლისს. ინგლისის მუშების მხრით პოლონეთის თავისუფლების აღდგენას იცავდენ **ოჯერი და კრემერი**, საფრანგეთის მხრით — **ტოლერი**, — ე. ი. ის მუშები, რომელნიც მთელი 3—4 წლის განმავლობაში ურთიერთობას აწარმოებდენ საფრანგეთისა და ინგლისის მუშებს შორის, მიტინგს დაესწრენ რადიკალთა წრეების წარმომადგენელნიც, პროფ. **ბისლის** მეთაურობით (1831—1915) ამ მიტინგზე გამოტანილი იყო რეზოლიუცია მხოლოდ დამოუკიდებელ პოლონეთის აღდგენის შესახებ. ამ მიტინგის შემდეგ, მეორე დღეს, 23 ივლის გაიმართა მეორე კრება, რომელზედაც ერთმანეთს შეხვდენ საფრანგეთისა და ინგლისის მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენელნი. სწორედ ამ სხდომაზედ გადასწყდა დაეარსებინათ საერთაშორისო მუშათა ორგანიზაცია და არჩეული იქნა კომიტეტი, რომელსაც უნდა შეედგინა და გადაეგზავნა საფრანგეთის მუშებისათვის მისაბართი საერთაშორისო ამხანაგობის დაარსების შესახებ (იქვე—132 36) ინგლისის მუშათა მიმართვა საფრანგეთის მუშებისადმი გაგზავნილი იქნა 1863 წ. დეკემბრის 5-ს. ამ მიმართვაში აღნიშნული იყო ის თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ექნება ერთაშორის მშვიდობიანობის დაცვის მიზნით მუშათა კონგრესებს. „როგორც საშუალებას, რათა ბოლო მოეღოს თანამედროვე ბოროტებას, ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ ხალხთა ძმობის შექმნისაკენ. მოვიწვიოთ კრება ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთის, იტალიისა და ყველა იმ ქვეყნების წარმომადგენელთაგან, რომელთაც აქვთ სურვილი შრომისა კაცობრიობის საერთო სარგებლობისათვის. მოვიწვიოთ ჩვენი კონგრესები უდიდეს კითხვათა



განსახილველად, რომელთა გადაწყვეტაზე არის დამოკიდებული ერთობლივის ბედი.“ ამგვარად ინგლისის მუშებმა თავიანთ წოწოდებას სარჩულად დაუდვეს ერთა ძმობის პრინციპი, საერთაშორისო სოლიდარობა; მეორეს მხრით, ხაზგასმით აღნიშნეს ის გარემოებაც, რომ **მუშათა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, სამუშაო დროის შემცირებისა და ხელფასის მომატების გზით, შეუძლებელი ხდება გარეშე მუშათა საერთაშორისო გაერთიანებისა.**

2. ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ ᲑᲐᲖᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲐᲛᲓᲔ.

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ

1864 წ. 23 სექტემბრისათვის დაინიშნა ახალი მიტინგი. **ეს იყო საერთაშორისო მუშათა ამხანაგობის დამფუძნებელი სხდომა.** ამ სხდომაზე საფრანგეთის მუშებმა წარმოადგინეს თავიანთი საპასუხო მისამართი ინგლისის მუშების მიმართვაზე და თან წოიტანეს საერთაშორისო მუშათა ამხანაგების ორგანიზაციის პროექტი. მიტინგს თავმჯდომარეობდა პროფეს. **ბისლი.** ამ სხდომას დაესწრო კ. მარქსიც. თუ რომელი ქვეყნის წარმომადგენლები დაესწრენ ამ მიტინგზე და რა დადგენილებანი გამოიტანეს, ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის კ. მარქსი თავის წერილში ფ. ენგელსისადმი 1864 წ. 4 ნოემბრის თარიღით.

ამ წერილში მარქსი სწერს ენგელს:

„ამას წინად ლონდონის მუშებმა ადრესი გაუგზავნეს პარიზის მუშებს, პოლონეთის საკითხის შესახებ და მოუწოდეს მათ საერთო შეთანხმებული მოქმედებისთვის. პარიზელებმა თავის მხრით დეპუტაცია გამოგზავნეს, რომელიც მეთაურობდა ერთი მუშა, გვარად **ტოლენი—მე-2 კანდიდატი პარიზის უკანასკნელ არჩევნებში,**—ერთობ კარგი ყმაწვილია. 1864 წ. 28 სექტემბრისათვის მიტინგი დანიშნეს ოჯერმა (მეწაღეა, თავმჯდომარეა ლონდონის ტრედუნიონების საბჭოსი...) და **კრემერმა;** ეს უკანასკნელი კალატოზია, მდივნობს კალატოზთა კავშირში. მე გამოვიგზავნეს ვინძე **ლე—ლუბე** წინადადებით, რომ მიმელო მონაწილეობა გერმანელ მუშათა წარმომადგენლის სახელით. მან მოითხოვა აგრეთვე აუცილებლად გამოგვეყვანა მიტინგზე ორატორად გერმანელი მუშა. მე წამოვაყენე ეკარიუსი, მან შესანიშნავად შეასრულა თავისი დანიშნულება, მე კი უსიტყვოდ ვიდექი ტრიბუნაზე... მიტინგზე, რომელიც **გაჭედილი** იყო ხალხით (ცხადია ახლა ისევ იწყება მუშათა კლასის აღორძინება) ლონდონის **იტალიურ** საზოგადოებას წარმოადგენდა მაიორი ვოლფი. გადაწყდა დაარსდეს მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა. ამ საზოგადოების გენერალური საბჭო უნდა იქნეს ლონდონში და უნდა „წეამეველობდეს“ მუშათა საზოგადოებათა შორის გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთსა და ინგლისში. 1865 წ. მოწვეული უნდა იქნეს მუშათა საყოველთაო ყრილობა ბელგიაში. მიტინგზე არჩეული იქნა დროებითი კომიტეტი, რომელშიაც შევიდენ ინგლისიდან—ოჯერი, კრემერი და სხვა, ზოგი ჩარტისტები, ძველი ოვენისტები და სხვა. იტალიიდან—მაიორი ვო-

ლეი,—ფონტნი და სხვა იტალიელები;—საფრანგეთიდან ლე—ირუ და ენგელ. გერმანიიდან—ეკარიუსი და მე.“ [11])

ასე ჩაეყარა საძირკვლები იმ დიდ ორგანიზაციას, რომელიც მუშათა მოძრაობის ისტორიაში ცნობილი არის **საერთაშორისო მუშათა ამხანაგობის პირველი ინტერნაციონალის სახელწოდებით.**

კომიტეტმა შეავსო თავისი შემადგენლობა სხვა და სხვა ერების წარმომადგენელთა შეყვანით და აირჩია კომიტეტის **გენერალური საბჭო.** კომიტეტის პირველი და უმთავრესი საზრუნავი გახდა საერთაშორისო საზოგადოების დებულების, წესდების შემუშავება და ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება. კ. მარქსმა სწორედ აქ გამოიჩინა თავისი ერუდიცია და ენერგია და შეეცადა ინტერნაციონალის წესდება და მანიფესტი წმინდა პროლეტარულ სოციალიზმის პრინციპებზედ აეგო.

როგორც მკითხველმა უკვე იცის, ინტერნაციონალის ცენტრალურ კომიტეტში გავიდენ სხვა და სხვა მრწამსისა და მიმართულების ხალხი: დაწყებული ოვენისტებიდან და დამთავრებული ნაციონალისტ მაძინისტებამდე. ცხადია ასეთი ხალხი, რომელიც მოკლებულნი იყვნენ კაპიტალისტური წარმოების სწორ ცოდნასა და არც ქონდათ წარმოდგენა პროლეტარულ მოძრაობის ნამდვილ ვითარებაზე, შეეცდებოდა ინტერნაციონალის პრინციპები ოვენის, პრუდონისა და მაძინის მოძღვრებაზე აეგოთ ეს ასედაც მოხდა. იმ ხანებში პრუდონი დიდ გავლენას პოულობდა პარიზის მუშათა წრეებში[12]).

მარქსი ზემოდ დასახელებულ წერილში საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმის შესახებ, თუ როგორი პრინციპების მიხედვით აპირებდა ცენტრალურ კომიტეტის უმრავლესობა ინტერნაციონალის მანიფესტის შემუშავებას და როგორი როლი ითამაშა თვით მარქსმა ამ მანიფესტისა და წესდების გამომუშავების საქმეში. მარქსის ცნობით არჩეული იქნა **ქვეკომისია** წინასწარი დებულებების შესამუშავებლად და ძირითად პრინციპების ჩამოსაყალიბებლად.

„მაიორ ვოლფმა წარმოადგინა ახალი საზოგადოების სახელმძღვანელოდ თავისი **იტალიელ მუშათა კავშირების** სტატუტები, წესდება. მერე ენახე ეს **სისულელე**. ეტყობა, ეს **მაძინის** შეთითხნული იყო, ამიტომ შენ წინდაწინვე შეგიძლია მიხვდე, რა სულით იქნება გაჟღენთილი და რა სიტყვებით იქნება გამოთქმული ნამდვილი საკითხი—მუშათა საკითხი; როგორი სახით იქნება აგრეთვე შეტანილი ნაციონალური კითხვები“. ასეთი სტატუტებისა და ძირითადი პრინციპების გაცნობის შემდეგ მარქსი **შიშის ზარმა** შეიპყრო. მან გადასწყვიტა არსებითი ცვლილებები შეეტანა წესდებასა და მანიფესტში. და კიდევაც მოახერხა კვეკომისიას მისთვის გადაეცა დოკუმენტები გადასასინჯავად. მარქსი განაგრძობს: „მე დაერწმუნდი რომ შეუძლებელია რაიმე გამოვიდეს ამ წარამარობისა და სისულელისაგან... მე დავსწერე **მუშათა კლასისადმი მიმართვა** (რაც პირველ ნაბეჭდ გვერდზე არ შედიოდა) ის იყო რაღაც მუშათა კლასის

[11]) „წერილები“ გვ. 249—50.

[12]) პრუდონიზმის გავლენის შესახებ საფრანგეთში იხ. Поль Луи: „История социализма во Франции“ გვ. 282—86.



მდგომარეობის განხილვის მაგვარი 1845 წლიდან... შევცვალეთ ძველი წესავალი (ძველი წესდებისა). და ამოვაგდეთ სულ „პრინციპების დეკლარაცია“... ქვეკომისიამ ყველა წინადადებები მიიღო. მე მხოლოდ მაიძულეს წესდების წესავალში შემეტანა ორი ფრაზა, რომელიც გულისხმობს "მოვალეობასა“ და „უფლებას“, აგრეთვე „ჭეშმარიტებას, ზნეობასა და სამართლიანობას“. მაგრამ ეს ფრაზები იმგვარათაა დალაგებული, რომ არავითარი ვნების მოტანა მათ არ შეუძლიათ... **გენერალური კომიტეტის სხდომაზე ჩემი მიმართვა დიდის ენტუზიაზმით ერთხმათ იქნა მიღებული... ძალიან ძნელი იყო ისე დამეყენებია საქმე, რომ ჩვენს აზრებს იმისთანა ფორმა მიეღო, რომელიც მათ მისაღებს გახდიდა მუშათა მოძრაობის დღევანდელი თვალსაზრისისთვის...** დროა საჭირო რომ აღორძინებულმა მოძრაობამ შესაძლებელი გახადოს სიტყვის ძველებური სითამამე. **აუცილებელია საქმით უფრო სიძლიერე და ფორმით უფრო ზომიერება“** („წერილები“ 250—2).

ასე შეეუშავდა პირველი ინტერნაციონალის მანიფესტი და მისი წესდება, რომელნიც კ. მარქსის აზროვნების ნაყოფია და მის პოლიტიკურსა და სოციალურს მსოფლიო მხედველობას გამოხატავს. ამგვარად მარქსმა ინტერნაციონალის დაარსების დღიდანვე ახალი საერთაშორისო საზოგადოება თავისი აზრების გავლენის ქვეშ დააყენა და გადამჭრელი როლი ითამაშა შემდეგშიაც მისი იდეოლოგიური საფუძვლების გამომუშავების საქმეში.

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘ

ახლა ჩვენთვის საჭიროა გავიცნოთ ინ-ლის წესდება და მისი მანიფესტის ძირითადი საფუძვლები. როგორც მკითხველი დაინახავდა მარქსის წერილიდან, მას დასჭირდა ერთგვარი **კომპრომისის** გზას დასდგომოდა და ცენ. კომიტეტის უმრავლესობის მოთხოვნით შეეტანა თავის წესდებაში ისეთი ფრაზები, რომელსაც თვითონ არ უთანაგრძნობდა. მაგრამ ეს დათმობა და შეტანა მოხდა ხერხიანის გზით და გარკვეული პოლიტიკური მიზნით.

მარქსის მთავარ მიზანს შეადგენდა ინ-ლის მანიფესტისთვის მიეცა რევოლიუციონური სოციალიზმის, კომუნიზმის ძირითადი შინაარსი. ეს კი შეუძლებელი ხდებოდა ინ-ლის ცეკას შემადგენლობის გამო. მარქს დასჭირდა ხერხისათვის მიემართა და მანიფესტში შეეტანა დებულებები, რომელიც **საქმით ძლიერი, რევოლიციონური იყო, ხოლო ფორმით კი ზომიერი.**

ინ-ლის მანიფესტში მარქსი გადმოგვცემს 1848 წლიდან მომხდარ მშრალ ფაქტებს, იგი არ იხილავს მსოფლიოს განვითარების კანონებს, მისთვის საკმარისი ხდება ანალიზი მომხდარი ფაქტებისა და მუშათა მდგომარეობის, რომ შემდეგ შესაფერისი პოლიტიკური დასკვნები გამოიყვანოს და მიუთითოს პროლეტარიატს თავის სამოქმედო პროგრამაზე. „მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტები, რომ 1848 წლიდან 1864 წლამდე მუშათა კლასის გაჭირვება არ შემცირებულა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდს მრეწველობის განვითარებით და ვაჭრობის ზრდით არა ყავს თანაბარი ისტორიაში“. ინგლისის მაგალითზე მარქსმა გარკვევით დაანახა მუშათა კლასს, თუ ერთი მხრივ როგორ იზრდება კა-

პიტალისტთა სიმდიდრე და მეორეს მხრით, ამავე დროს როგორ ვარდება მუშათა კლასი გაჭირვებასა და სიღატაკეში. ინგლისის წესწყობილება ... სხვა ელფერით ადგილობრივი პირობების გამო დამყარდა კანტიბენტის ყველა ქვეყნებში". 1848 წლიდან ყველა ამ ქვეყნებში სჩანს ჯერ არ ნახული განვითარება მრეწველობისა, საექსპორტო და საიმპორტო ვაჭრობის გაუგონარი გაფართოება. ყველა ამ ქვეყნებში შემჩნეულია აგრეთვე გაბატონებული კლასების სიმდიდრის და ხელისუფლების გაძლიერება... ხოლო ყველგან დიდი უმეტესობა მშრომელთა კლასებისა უფრო და უფრო ვარდება სიღარიბეში; ყოველ შემთხვევაში იმდენათ, რამდენათაც მალალი კლასები იწყვენ ზევით საზოგადოებრივი კეთილდღეობის საფეხურებზე... ეკონომიური პირობების ამ განსაცვიფრებელ ეპოქაში ბრიტანეთის სახელმწიფოს სატახტო ქალაქში სიმშილით სიკვდილი გაიზარდა თითქმის საზოგადოებრივ დაწესებულების ხარისხამდე". ამ გვარი ხერხით ისტორიული ფაქტების გადმოცემით, რეალური ცხოვრების სინამდვილის დასახვით მარქსი მუშათა კლასს უხსნიდა და ასწავლიდა იმ ეკონომიურ კანონს, რომელიც ამავე მარქსის თეორიული გამოკვლევით ამბობდა: **კაპიტალისტთა კლასის გამდიდრება იწვევს მუშათა კლასის გაღატაკებასო.**

შემდეგ მარქსი გადადის პოლიტიკური მდგომარეობის დახასიათებაზე. ზიზღით იხსენიებს კონტრ-რევოლიუციის წარმატებას, რომელმაც შესძლო 1848 წლის შემდეგ არა მარტო მოსპობა მუშათა კლასის ყველა პარტიულ ორგანიზაციებისა და გაზეთების, არამედ, ამ ზნეობრივი გაბოფიტვისა და პოლიტიკური რეაქციის ეპოქაში, შესძლო პროლეტარიატის რევოლიუციონური ენერგიის მოდუნებაც.

მხოლოდ ორ ფაქტს ამჩნევს მარქსი ამ ნავი ფონის სივრცეზე მბრწყინავ წერტილად: ეს არის კანონი ათი საათის სამუშაო დღის შესახებ და კოოპერაციის წარმატება.

ათი საათის სამუშაო დღის კანონის შემუშავებაში მარქსი დიდ გამარჯვებას ხედავს მუშათა კლასისათვის და იგი „პრინციპიალურ გაბარჯვებად" მიაჩნია. მარქსი ფიქრობს, რომ სახელმწიფოს ჩარევით ეკონომიური ცხოვრების ვითარებაში პრინციპიალური გამარჯვება მიენიჭა მუშათა კლასის პოლიტიკურ ეკონომიას, ბურჟუაზიის პოლიტიკურ ეკონომიაზე.

მუშათა კლასის მეორე გამარჯვება — **ფაბრიკების კოოპერატიულად** მოწყობაში გამოიხატება, რომელიც განვითარდა მუშათა ინიციატივის წყალობით. მეტად საინტერესო არის მარქსის აზრი კოოპერაციაზე და მის როლზე სოციალიზმის განხორციელების საქმეში. ამდენხანს კოოპერაციის იდეოლოგები გადაჭრით აცხადებდნენ, რომ მარქსი წინააღმდეგი იყო კოოპერაციისა და მასში ვერ ხედავდა დადებითს მხარეს მუშათა განთავისუფლების საქმისათვის. არსებითად კი მარქსს გარკვევით და ნათლად აქვს გამოთქმული მანიფესტში თავისი აზრი კოოპერაციის დიდი მნიშვნელობის შესახებ[16]), **„როგორც ერთ-ერთი სა-**

[16]) 1886 წ. ენგელსი სწერდა: „არც მარქსი და არც მე არასოდეს არ ვეეჭვიანობდით იმაში, რომ კომუნისტურ წყობილებაში გადასვლის დროს ჩვენ დაგვჭირდებოდა გამოგვაყენებია ფართო მაშტაბით კოოპერატიული წარმოება, როგორც გარდამავალი საფეხური". (იხ. „Политическое завещание" გვ. 18, 1922 წ.)



შუალების თანამედროვე საზოგადოების გარდასაქმნელად [illegible] ასეთი მისიის შესრულებას კოოპერაცია შესძლებს მხოლოდ და [illegible] როდესაც პროლეტარიატი დაიპყრობს პოლიტიკურ ძალა-უფლებას, ე. ი. სახელმწიფოს სათავეში მოექცევა. კოოპერატიული მოძრაობისა და კოოპერატიულად ფაბრიკების მოწყობის ფაქტის აღნიშვნით მარქსმა კონკრეტიულად დაანახა მუშათა კლასს, რომ წარმოება ფართო მასშტაბით შესაძლებელი არის მოეწყოს უფრო მეცნიერულ ნიადაგზედაც კაპიტალისტების გარეშეც, რომ საწარმოო იარაღები სრულიად არ უნდა შეადგენდეს ვისიმე მონოპოლიას, რომ დაქირავებული შრომა არის მხოლოდ გარდაცვალი ფორმა, რომელმაც ადგილი უნდა დაუთმოს საზოგადოებრივ წარმოებას. მაგრამ **„იმისთვის, რომ კოოპერატიული სისტემა მართლაც გახდეს მთელი მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ძალად, მან უნდა დაფაროს მთელი ნაცია, მაშასადამე უნდა სარგებლობდეს სახელმწიფოს დახმარებით“**. მაგრამ თანამედროვე პირობებში, გაბატონებული კლასები ყოველგვარი ძალღონით შეეცდებიან შეუშალონ ხელი კოოპერაციას ასეთი მისიის შესრულებაში. **ამიტომ „მშრომელი კლასის უდიდეს, მოვალეობას შეადგენს დაიპყროს პოლიტიკური ხელისუფლება“**, ე. ი. თვით გახდეს გაბატონებულ კლასად. ამისათვის კი საჭირო არის **მუშათა პოლიტიკური პარტიების ორგანიზაცია.** მუშათა კლასი ერის უმეტეს ნაწილს წარმოადგენს რიცხვის მხრივ. მაგრამ ეს კლასი მაშინ იქნება ძლიერი, როდესაც გაერთიანდება, შეკავშირდება. თუ მუშათა კლასი არ შეკავშირდა ნაციონალურსა და ინტერნაციონალურს ფარგლებში — ის ვერასოდეს ვერ გაინთავისუფლებს თავს ეკონომიურ მონობისაგან. **სწორედ ამ მიზეზისათვის** — დასძენს მანიფესტი **— მუშათა კლასმა დაარსა საერთაშორისო მუშათა ამხანაგობა.** [17])

მანიფესტის დასასრულში მარქსი აყენებს ერთს მეტად საინტერესო პოლიტიკურ ამოცანას: მუშათა კლასისი საგარეო პოლიტიკის შესახებ. ამის შესახებ მანიფესტში ვკითხულობთ:

„თუ რომ მუშათა კლასის განთავისუფლების წარმატება დამოკიდებულია მათი ძმური ერთსულოვნობისა და ურთიერთ დახმარებაზე, როგორ შეუძლიათ მათ შეასრულონ მათი დიდი დანიშნულება, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკა, რომელიც ხელმძღვანელობს მხოლოდ ბოროტ მოსაზრებით და სარგებლობს ნაციონალური ცრუმორწმუნეობით, თავის ავაზაკურ ამბებში ღვრის ბუშათა სისხლს და ფლანგავს მათ ფულს? არა ინგლისის მმართველი კლასის გონიერებამ, არამედ მუშათა კლასის ოპოზიციამ წარჩინებული კლასის ბოროტულ სიგიჟის წინააღმდეგ იხსნა ახლო წარსულში დასავლეთი ევროპა ახალი ჯვაროსნული ომის სირცხვილისაგან, მონობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ოკეანეს იქეთა მხარეში...

უნაგუსო მოწოდება, პირველი სიმპატია და იდეოტური გულგრილობა, რომლითაც ევროპის მაღალი კლასები უყურებდენ იმას, თუ როგორ ერთმა ქვეყანამ (რუსეთმა) დაიპყრო **კასკასიის მთები და აღრჩობდა გმირულ პოლონეთს**;

[17]) იხ. ენგელსი: „ინტერნაციონალი“ გვ. 38—44, რიაზანოვის: „მარქსი და ენგელსი“ გვ. 176—81, ნერინგის: „კ. მარქსი“ გვ. 260—65.



ეზარმაზარი დაპყრობანი ამ ბარბაროსულ ვეშაპისა, რომლისთვისაც საატახტო ქალაქშია და ხელები კი ევროპის ყველა კაბინეტებში ნახულობენ ადგილს, დაანახეს დაბოლოს მუშებს, რომ დროა იმათი ჩაკვირვებისა საერთაშორისო პოლიტიკაშიც, რომ დროა ყურადღება მოაქციონ მათი მთავრობების დიპლომატიურ პოლიტიკას, **წინააღუდგენ მათ საჭიროების დროს ყოველგვარის საშუალებით**, რომელიც კი მოეპოვებათ და, ბოლოს თუ რომ ასეთი დამოუკიდებელი მოქმედება დამარცხდება, საჭიროა შეერთება საერთო პროტესტის ქვეშ მთავრობების ბოროტ ზრახვათა წინააღმდეგ, აღიარება ზნეობისა და სამართლიანობის ბუნებრივ კანონის დაცვის აუცილებლობისა, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ყოველი ადამიანი თავის ინდივიდუალურ ურთიერთობის დროს და რომელიც უნდა შეადგენდეს უმაღლეს ნორმას ნაციათა ურთიერთობაშიაც.

ბრძოლა ასეთი საგარეო პოლიტიკისათვის შეადგენს მშრომელთა კლასების საერთო განთავისუფლებისათვის ბრძოლის ნაწილს. პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით"!.

ასე გამოიყვანა 1848 — 64 წ. წ. შექმნილ ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობის ანალიზიდან მარქსმა კომუნიზმის ძირითადი პრინციპების აუცილებლობა და ინტერნაციონალის მანიფესტით მუშათა კლასს მისცა უდიდესი სახელმძღვანელო დებულებები. მარქსის ბიერ გაკეთებული ანალიზი გარკვევით, ნათლად და მკაფიოდ მიუთითებდა პროლეტარიატს, რომ მისი საბოლოო განთავისუფლებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობა და პროლეტარიატის ბატონობის დაწესება.

ინტერნაციონალის წესდება.

ინ-ლის წესდებაც მარქსის ბიერ არის დაწერილი. საინტერესო არის წესდების როგორც პრინციპიალური, ისე ორგანიზაციული მხარე. თუ ინ-ლის მანიფესტი გვაძლევს უკანასკნელი ორი ათეული წლის მუშათა მოძრაობისა და მდგომარეობის საერთო სურათს, წესდება ერთგვარ დასკვნებს უკეთებს მათ და უფრო კონკრეტიულს ფორმებში აყალიბებს ყველა ქვეყნის მუშათა კლასის საერთო ამოცანებსა და მიზნებს.

„ბიელო რა მხედველობაში, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება უნდა იყოს თვით მუშათა საქმე: რომ განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მუშებს მიზნათ უნდა ჰქონდეს არა ახალი პრივილეგიების შექმნა, არამედ ყველასათვის თანასწორ უფლებათა და მოვალეობათა დაწესება და ყოველ გვარი კლასიური ბატონობის მოსპობა; რომ ეკონომიური დაქვემდებარება მშრომელთა წარმოების საშუალებათა, (ე. ი. არსებობის წყაროების) მონოპოლიურ მესაკუთრეთადმი წარმოადგენს ყოველი სახის მონობის, ყოველგვარი სოციალური სიღატაკის, გონებრივი ჩამორჩენილობისა და პოლიტიკური დამოკიდებულების უმთავრეს მიზეზს, რომ ამისათვის მუშათა კლასის ეკონომიური განთავისუფლება არის უდიდესი მიზანი, რომელსაც ყოველი პოლიტიკური მოძრაობა უნდა ექვემდებარებოდეს რგორც საშუალება;

რომ ყოველი ცდა ამ დიადი მიზნის მისაღწევად უნაყოფო იყო თვითეულ

ცალკე ქვეყანაში სხვა და სხვა პროფესიის მუშათა შორის სოლიდარობის უქონლობისა და სხვა და სხვა ქვეყნის მუშათა მჭიდროდ შეუკავშირებლობის გამო;

რომ მუშათა კლასის განვითარება შეადგენს არა მხოლოდ ადგილობრივს ან ნაციონალურ, არამედ სოციალურ ამოცანას, რომელიც უნდა გადაჭრილ იქნას ყველა იმ ქვეყნებში, სადაც კი არსებობს თანამედროვე წყობილება, და გადაწყვეტა ამ საკითხისა შეიძლება მხოლოდ მოწინავე ქვეყნების ურთიერთ პრაქტიკულ და თეორიულ დახმარების გზით;

რომ ევროპის ყველაზე უფრო სამრეწველო ქვეყნებში ხელახლად გამოღვიძებული მუშათა მოძრაობა, აღვიძებს რა ახალ იმედებს, ამასთანავე იძლევა საგულისხმო გაფრთხილებას ძველ შეცდომათა განმეორების წინააღმდეგ და დაჟინებით მოითხოვს ჯერ კიდევ გათიშულ ძალების დაუყონებლივ გაერთიანებას"[18]).

წესდება ჩვენ გვიხსნის ინ-ლის დაარსების მიზანსა და მისი ორგანიზაციის სტრუქტურას. **პირველი მუხლი** გვიხსნის, რომ ინ-ლი უნდა გახდეს ყველა ქვეყნის მუშათა კლასის ცენტრად სრული განთავისუფლების მიზნათ; **მეექვსე მუხლი** მოითხოვს, რომ ინტერნაციონალის წევრებმა მთელი თავიანთი ძალღონით შეეცადონ გააერთიანონ მათ ქვეყნებში არსებული ყველა მუშათა საზოგადოებები ერთს ნაციონალურ კავშირში და ამგვარი სახით გააბან მტკიცე დამოკიდებულება საერთაშორისო მუშათა ამხანაგობასთან. (იხ. გილიომის წიგნი—60—62).

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ მარქსის მიზანი იყო ინ-ლი გადაექცია საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ცენტრად და **მტკიცედ შეკავშრებულ პარტიულ ორგანიზაციის ხასიათი მიეცა.** ასეთ ცდას თავისი მოწინააღმდეგენი ყავდა ინტერნაციონალში. კ. მარქსი სწერდა ფ. ენგელსს: „ინტერნაციონალი მიტომ დაარსდა, რომ **სოციალისტური და ნახევრად სოციალისტური სექციები შეეცვალა მუშათა კლასის ნამდვილი მებრძოლი ორგანიზაციით.** მისი პირვანდელი წესდებანი და დამაფუძნებელი აღრესი პირდაპირ უთითებდა ამას. მეორე მხრით, ინტერნაციონალი ვერ შეინარჩუნებდა თავის პოზიციას, რომ სექტანტებს თავისი დროთ არ მოეჭამა ისტორიის მაველელობასთან ერთად... ინ-ლის ისტორია — ეს გენერალური საბჭოს **შეუწყვეტელი ბრძოლაა** დილეტანტურ ცდასა და სექტანტებთან, რომელნიც თვით ინტერნაციონალში ცდილობდენ დაეკავებიათ ჭეშმარიტი მუშათა მოძრაობის საწინააღმდეგო პოზიცია. ეს ბრძოლა სწარმოებდა, როგორც **ყრილობებზე,** ისე გენერალურ საბჭოს ცალკე სექტებთან მრავალ კერძო თათბირში". (იხ. „წერილები" გვ. 251).

მართლაც, პარტიულმა სექტანტიზმმა თავიდანვე იჩინა თავი ინ-ლში და სხვა და სხვა ჯგუფები პრუდონისტები, ბლანკისტები, ბაკუნისტები შეუწყვეტლად ცდილობდენ შეეტანათ ინტერნაციონალში განხეთქილება და დაესუსტებინათ მისი გენერალური საბჭოს გავლენა.

ინტერნაციონალის კონგრესები

ინ-ლის პირველი კონგრესი უნდა მოეწვიათ 1865 წ. რადგან ყველა უმთავრეს ქვეყნებში არ იყო გაწეული მოსამზადებელი მუშაობა და მუშათა

[18]) Дж. Гильом: „Интернационал" т. 1—2, გვ. 55—59, 1922 წ.

წრეები არ იყვენ გაცნობილნი ინ-ლის წესდებასა და მანიფესტს. ამიტომ მარქსმა მოითხოვა ვენერალურ საბჭოში კონგრესის გადადებაზე [illegible] და ფრანგი ემიგრანტები კი მოითხოვდენ კონგრესის მოწვევას. დაავა დამთავრდა კომპრომისით, გადაწყდა მოეწვიათ **1865 წ. კონფერენცია** და არა კონგრესი. ამ კონფერენციამ გამოარკვია, რომ ჯერ კიდევ არ იყო ნიადაგი მომზადებული ფართო კონგრესის მოსაწვევად და ჯერ კიდევ მდგომარეობა მოითხოვდა დიდს მუშაობას ინ-ლის სასარგელოდ სხვა და სხვა ქვეყნებში. კონფერენციამ განიხილა უმთავრესად მომავალი კონგრესის დღის წესრიგი და სხვა სადაო საკითხები. კონფერენციის დღის წესრიგში დასმული იყო აგრეთვე საკითხები საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ, მაგ. რუსეთის დამლუპველ გავლენის შესახებ ევროპაზე, პოლონეთის აღდგენის საკითხი და მუდმივი ჯარის შესახებ. მარქსი რეაქციონურ რუსეთის პოლიტიკას თავიდანვე განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევდა და მასში ხედავდა ევროპის მომავალ რევოლიუციის ყველაზე უფრო საშინელს ჯალათს. ამიტომ იგი ცდილობდა ინტერნაციონალის ყურადღება მიექცია რუსეთის საკითხზე და ამავე მიზნით თანახმად ერთა თვითგამორკვევის პრინციპისა მოითხოვდა დამოუკიდებელი პოლონეთის აღდგენას. პარიზელ პრუდონისტებს ძლიერ ცუდი წარმოდგენა ჰქონდათ როგორც საგარეო, ისე პოლონეთის საკითხის შესახებ და ამიტომ ისინი მოითხოვდენ ამ საკითხის მოხსნას დღის წესრიგიდან.[1]) ლონდონის კონფერენციამ უარყო მათი წინადადება და პოლონეთის საკითხი იმგვარი სახით დაისახვა, როგორც ეს წარადგინა მარქსმა თავის მოხსენებაში. საზოგადოთ პრუდონისტები ერთობ ალმაცერად უყურებდენ ეროვნულ პრობლემას, როგორც პოლიტიკურ საკითხს, და ძლიერ ხშირად ეროვნებათა გაუქმების თეორიასაც აყენებდენ. ამ თეორიების წინააღმდეგ კ. მარქსი ენერგიულად ილაშქრებდა ვენერალურ საბჭოს სხდომებზე (იხ. „წერილები" გვ. 254—5.)

ინტერნაციონალის **პირველი საერთაშორისო კონგრესი** შესდგა ჟენევაში 1866 წ. 3—8 სექტემბ. კონგრეს დაესწრო 60-დე დელეგატი. მარქს პირადათ არ მიუღია მონაწილეობა კონგრესზე, რადგან ძლიერ დატვირთული იყო „კაპიტალზე" მუშაობით. მან დაამზადა განსახილველ საკითხების შესახებ დიდი უმეტესობა მოხსენებისა და შეადგინა რეზოლიუციებიც. ამის შესახე მარქსი სწერდა კუგელმანს 1866 წ. 9/x: „მე არ შემეძლო და არც მინდოდა (ჟენევის) კონგრესზე წასვლა. მხოლოდ ლონდონელ დელეგატებს დავუწერე პროგრამა, მე განგებ შემოვფარგლე იგი ისეთი მუხლებით, რომელშიც მუშებს პირდაპირ შეეძლოთ შეთანხმება და მოქმედება შეერთებული ძალ-ღონით და რომელიც აძლევს კლასობრივი ბრძოლის მოთხოვნილებას და მუშათა კლასის ორგანიზაციას პირდაპირ, უშუალო მასალას და წინსვლის შესაძლებლობას" („წერილები" გვ 256.)

ჟენევის კონგრესმა დაამტკიცა სრულიად მარქსის მიერ შედგენილი ინ—ლის მანიფესტი და წესდება. შემდეგ კონგრესმა განიხილა მთელი რიგი საკითხებისა და მიიღო შეაფერისი რეზოლიუციები. განხილული იქნა საკითხები: მუშათა

[1]) მარქსის პოლონეთის საკითხისადმი დამოკიდებულების შესახებ იხ. Рязанов „Очерки по истории марксизма". გვ. 629.

ინტერნაციონალური სტატისტიკის შემოღების შესახებ, ნორმალური სამუშაო დღის საკითხი, მუშათა შრომის შეზღუდვისა და რაციონალური განათლების შესახებ, კოოპერაციის, პროფკავშირების მნიშვნელობის შესახებ, თვით ბატონობულ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობისა, პოლონეთის აღდგენის, მუდმივი ჯარის გაუქმებას და სხვათა შესახებ. საფრანგეთის დელეგატებმა წამოაყენეს პრუდონის ეკონომიური იდეების მიხედვით შემუშავებული მოხსენება. ისინი ილაშქრებდენ ქარხნებში ბალთა შრომის წინააღმდეგ; უარყოფდენ გაფიცვებს და პროფკავშირების მნიშვნელობას და მოითხოვდენ კოოპერაციებისა და საერთაშორისო კრედიტის მოწყობას. ყველა ამ საკითხების წინააღმდეგ მარქსისტებმა წარადგინეს მარქსის მიერ დაწერილი მოხსენება, რომელიც თანამედროვე მუშათა მოძრაობის ძირითად კითხვებს წარმოადგენს (რიაზანოვი — გვ. 201.)

პროფესიონალურ კავშირების შესახებ რეზოლიუციაში მარქსი მოითხოვდა, რომ პროფკავშირებს ეზრუნათ არა მარტო სამუშაო ხელფასისა და სამუშაო დროის საკითხების შესახებ, არამედ ხელმძღვანელობა გაეწიათ ყოველგვარ სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობისათვის, რომელიც მუშათა კლასის სრული განთავისუფლებისაკენ იქნებოდა მიმართული. ასევე საინტერესოა მარქსის რეზოლიუცია კოოპერაციის შესახებ, რომელშიაც იგი ამტკიცებს რომ კოოპერაცია მხოლოდ მაშინ მოიპოვებს დიდ მნიშვნელობას, როდესაც პოლიტიკური ძალა-უფლება გადავა პროლეტარიატის ხელში.

არა ნაკლების სიძლიერით გაილაშქრეს პრუდონისტებმა ჟენევის კონგრესზე პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენისა და რუსეთის რეაქციონურ პოლიტიკის საკითხის წამოყენების წინააღმდეგაც. ამ საკითხებშიაც მათ დამარცხება განიცადეს[20]. (იხ. მერინგის წიგნი — 284-5).

ჟენევის კონგრესმა — სწერს ამბ. რიაზანოვი — კოლოსალური როლი ითამაშა მუშათა შორის პროპაგანდის წარმატების საქმეში. მისი რეზოლიუციები, რომელიც გამოხატავდენ მუშათა კლასის პრაქტიკულ მოთხოვნილებებს, შემდეგში შეტანილი იქნა ყველა ქვეყნის მუშათა პარტიების მიერ თავიანთ პროგრამა—მინიმუმში (გვ. 207).

ჟენევის კონგრესისა და პრუდონისტების პოლიტიკის შესახებ 1866 წელს მარქსი სწერდა იმავე კუგელმანს: „მე ძლიერ მეშინოდა პირველი კონგრესის ჟენევაში. მაგრამ ჩემი მოლოდინის წინააღმდეგ საერთოდ იგი კარგად ჩატარდა. მისი გავლენა საფრანგეთში, ინგლისსა და ამერიკაში სრულიად მოულოდნელია... ბატონ პარიზელებს ცარიელი პრუდონისტული ფრაზებით გაუვსიათ თავი. მეცნიერებაზე ლაყბობენ, თვითონ კი არაფერი იციან. ისინი აბუჩად იგდებენ ყოველ რევოლიუციონურ მოქმედებას, რომელიც თვით კლასობრივი ბრძოლიდან გამოვდინარეობს, ქირდავენ ყოველ შეკავშირებულ-შემტკიცებულ საზოგადოებრივ მოძრაობას, რომელიც შესაძლებელია გატარდეს პოლიტიკური საშუალებით... თავისი უმეცრებით, მედიდურობით, ყბედობით, ყალბი პათოსით

[20]) მარქსისა და ენგელსის პოლონეთის საკითხისადმი დამოკიდებულების შესახებ იხ. რიაზანოვის წიგნი: „Очерки по истории марксизма“ გვ. 607-40

ეროვნული

და პრეტენზიებით, მათ კინალამ გააფუჭეს ყველაფერი კონგრესზე". („წერილები" გვ. 256—7).

ინტერნაციონალის მეორე კონგრესი შესდგა **ლოზანაში 1867 წ.** 2—8 სექტემ. კონგრესს დაესწრო 71 დელეგატი, რაც ინ-ლის ორგანიზაციულსა და იდეიურს ზოლს გამოხატავდა. კონგრესის დღის წესრიგში დასმული იყო რვა სხვა და სხვა მნიშვნელობის საკითხი, მათ შორის საინტერესო იყო კითხვები: საელმწიფოს ამოცანების, პროლეტარიატის პოლიტიკური ამოცანებისა და ომის შესახებ. პირველი საკითხის შესახებ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომელიც ამბობდა, რომ 1) სახელმწიფო, როგორც ასეთი უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ხალხის მიერ მიღებულ კანონების აღმასრულებელ ძალას, და 2) რომ ყოველი ერი უნდა ცდილობდეს გადასცეს საელმწიფოს განკარგულებაში ყველა მიმოსვლის და ტრანსპორტის საშუალებანი, რათა მოისპოს სახალხო მეურნეობის ამ დარგში კერძო ექსპლოატაცია (**გილიომის** წიგნი—გვ. 70).

წამოყენებული იქნა აგრეთვე საკითხი მიწაზე კოლექტიური საკუთრების გამოცხადების შესახებ, მაგრამ პრუდონისტების პროტესტის გამო, რომელნიც მიწის კერძო საკუთრების მომხრენი იყვნენ, მისი საბოლოო გადაწყვეტა გადაიდვა შემდეგი კონგრესისათვის.

რაც შეეხება **მუშათა პოლიტიკური ბრძოლის საკითხებს**, მარქსის მოხსენების დიდი ზე-გავლენით მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ პოლიტიკური თავისუფლების უქონლობა რომელიმე ქვეყანაში წარმოადგენს შეფერხებას ხალხის აღზრდისა და პროლეტარიატის განთავისუფლების საქმისათვის, კონგრესი აცხადებს 1) რომ მშრომელთა სოციალური განთავისუფლება განუყოფელი არის მისი პოლიტიკური განთავისუფლებისაგან და 2) დაწესება პოლიტიკური თავისუფლებისა წარმოადგენს ყოველი ერისათვის პირველსა და აუცილებელს საჭიროებას". (იქვე—70) ინტერნაციონალის **საგარეო პოლიტიკის** მთავარი კონტურები უკვე გამოთქმული იყო დამფუძნებელ მანიფესტში (1864 წ.). პროლეტარიატის დამოკიდებულება ომის საკითხისადმი წარმოადგენს ერთ მეტად მნიშვნელოვანს და რთულ საკითხს, რადგან ომი კაპიტალიზმის განვითარებისა და იმპერიალიზმის ბატონობის პერიოდში თითქმის გარდუვალ მოვლენად ხდება; ომი კი ეფერხებს მუშათა სოლიდარობისა და მისი განთავისუფლების საქმეს. ყველამ კარგათ უწყის, თუ როგორი სამარცხვინო და სოციალიზმისათვის დამღუპველი როლი ითამაშა მეორე ინტერნაციონალმა 1914 წ. საერთაშორისო ომში. რას ფიქრობდა ომის შესახებ და როგორი პოლიტიკის წარმოებას უკარნახებდა პირველი ინტერნაციონალი პროლეტარიატს ომის დროს? დამფუძნებელმა მანიფესტმა დაგმო ომები და პროლეტარიატს მოუწოდა **ყოველ გვარი საშუალებით** ებრძოლა მის წინააღმდეგ: ჟენევის კონგრესმა მხოლოდ გაკვრით განიხილა ომის საკითხი; საბაგიეროთ 1866 წ. ავსტრო-პრუსიის ომის დროს გენერალურმა საბჭომ გამოაქვეყნა რეზოლიუცია, რომელშიაც **ილაშქრებდა ომის წინააღმდეგ და მოუწოდებდა პროლეტარიატს შეერთებული მოქმედებისაკენ ყველა ტირანების ჩამოსაგდებად და მუშათა სრული განთავისუფლების განსახორციელებლად.**

ეს მოწოდება უკვე სამოქალაქო ომის გამოცხადების შინაარსს ატარებდა და შემდეგში იგი საფუძვლად დაედვა შტუტგარტისა (1907 წ.) და ბაზელის (1912 წ.) კონგრესების რეზოლიუციებს ომის საკითხში; დღეს კი იგი მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის (1919 წ.) პოლიტიკის ძირითად საფუძველს წარმოადგენს იმპერიალისტური ომის კითხვაში.

ლოზანას კონგრესის რეზოლიუცია პრინციპიალურად ილაშქრებს ომის წინააღმდეგ: იგი აღნიშნავს, რომ ომი მთელი თავისი სიმძიმით აწვება მუშათა კლასს, რომ ზავი არის არსებითი პირობა საერთო ბედნიერებისათვის, მაგრამ ის შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, სადაც არ იქნება კლასებად დაყოფა; კონგრესი ადგენს მიიღოს „ზავის ლიგის" მოწოდება, დაეხმაროს მას მშვიდობიანობის დაცვისა და მუდმივი ჯარის გაუქმების საქმეში, აგრეთვე ევროპის თავისუფალ სახელმწიფოთა კონფედერაციის შექმნაში.[21])

ეს რეზოლიუცია მიუხედავად იმისა, რომ პრინციპიალურად ილაშქრებს ომის წინააღმდეგ და მოითხოვს ,ზავს, მაინც მოიკოჭლებს იმ მხრივ, რომ არ გვაძლევს კონკრეტიულს საშუალებებს, როგორ მოიქცეს პროლეტარიატი თუ ომი ფაქტის საქმედ გახდება.

ინტერნაციონალის **მესამე კონგრესი** შეიკრიბა 1866 წ. 6-15 სექტემბ. ბრიუსელში. ეს კონგრესი მარქსისტების სრულს გამარჯვებას გამოხატავდა პრუდონისტების იდეოლოგიასა და პრაქტიკაზე. ომის საკითხში კონგრესის რეზოლიუცია პროლეტარიატისაგან მოითხოვს **საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას** თუ ომი იფეთქებს მათ ქვეყანაში და მოუწოდებს პროლეტარიატს საერთაშორისო სოლიდარობისაკენ (იქვე — 11 — 12).

ბრიუსელის კონგრესზე დიდი პრინციპიალური დამარცხება განიცადეს პრუდონისტებმა გაფიცვის საკითხში. კონგრესმა იცნო **გაფიცვა** მუშათა კლასის ბრძოლის აუცილებელ და ერთ-ერთ პირობათ კაპიტალისტურს საზოგადოებაში, აგრედვე რჩევას იძლეოდა ყველგან დაეარსებინათ პროფესიონალური კავშირები და მოეწყოთ მათი ნაციონალური და საერთაშორისო გაერთიანება.[22])

ბრიუსელის კონგრესი საინტერესო და მნიშვნელოვანია აგრეთვე მით, რომ აქ პირველად გარკვევით და კონკრეტიულად დაისვა **აგრარული საკითხი**, რომელშიაც უფრო დიდი დამარცხება განიცადეს პრუდონის მიმდევრებმა, რომელნიც აგრარულ საკითხში კერძო საკუთრების პრინციპს იცავდენ. ბრიუსელის სპეციალურმა კომისიამ განიხილა რა კოლექტიური საკუთრების საკითხი, წარუდგინა კონგრესს რეზოლიუცია, რომელშიაც დაცული იყო კოლექტიური საკუთრების გამოცხადების საჭიროება არა მარტო მთა-მადნებზე, მაღაროებზე, მიმოსვლის საშუალებებზე, არამედ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურითა და ტყეებზე. პრუდონისტებმა მხარი დაუჭირეს რეზოლიუციის პირველ ნაწილს მაგრამ მეორე ნაწილს წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს და მოითხოვეს მი-

[21]) იხ. В. Грюнберг: „Интернационал и мировая война" გვ. 10—11, 1919 წ.

[22]) იხ. სტეკლოვი: მუშათა მოძრაობის ისტორია გვ. 196.

წაზე კერძო საკუთრების დატოვება. კენჭის ყრამ გაბარჯვება [illegible] ბოლშევიტივისტებს. „მაგრამ ამ დადგენილებამ — აღნიშნავს ამხ. სტეკლოვი — [illegible] წარმოადგენს მთელს ეპოქას ინტერნაციონალისა და საერთოდ სოციალიზმის ისტორიაში, გამოიწვია ისეთი ღრმა განხეთქილება და ისეთი გაცხოველებული კამათი, რომ დადგენილი იქნა ხელმეორეად განეხილათ ეს საკითხი მორიგ კონგრესზე" (იხ. „ინტერნაციონალი"—გვ. 123—4).

ბრიუსელის კონგრესზე მარქსიზმმა სრული გამარჯვება იდღესასწაულა პრუდონიზმზე. ეს იყო კომუნიზმის პრინციპების გამარჯვება წვრილ ბურჟუაზიულ აზროვნებაზე. ზემოდ დასახელებული ისტორიკოსი მეიერი სწერდა: „ლოზანაში (1867) პირველად განიხილეს წმინდა კომუნისტური იდეები"; ბრიუსელში კი **„კომუნისტურმა იდეებმა სრული გამარჯვება მოიპოვეს"**.

პრუდონიზმი ფაქტიურად გადაშენების გზაზე იდგა: ფართო-პროლეტარული მასების გამოღვიძებამ და მათში მარქსიზმის იდეების განმტკიცებამ, და აგრეთვე პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობის შეგნებამ, პრუდონიზმს გამოაცალა ნიადაგი მუშათა წრეებში და იგიც თანდათან ირიყებოდა. სამაგიეროდ პრუდონისტების ადგილი ბაკუნისტებმა დაიჭირეს და ამით ახალი პერიოდი დაიწყო ინ—ლის ისტორიაში.

3. ინტერნაციონალის უკანასკნელი პერიოდის მოღვაწეობა.

მარქსიზმი და ანარქიზმი პირველ ინტერნაციონალში.

ინ—ლის გავლენა მუშათა წრეებზე მისი დაარსების დღიდან თანდათან იზრდებოდა და ძლიერდებოდა. მთელ რიგ დაწინაურებულ ქვეყნებში ინ—ლის გენერალურმა საბჭომ შესძლო მუშებზე გავლენის მოხდენა და მის მიმდევართა რიცხვის გაფართოება. ასეთი წარმატებისა და აყვავების პერიოდში ინ—ლში იჩინა თავი ახალმა მიმდინარეობამ, რომელმაც უთანხმოება ინ—ში არსებულ მიმართულებათა შორის ძლიერ გააღრმავა და ბოლოს განხეთქილებამდე მიყვანა, რომელსაც შედეგად მოყვა პირველი ინ—ლის სრული დაშლა. 1869 წელს ინ—ლის ბაზელის მეოთხე კონგრესზე პირველად გამოჩნდა რუსეთის ცნობილი რევოლიუციონერი და ანარქისტი **მ. ბაკუნინი** (1814—76).

ბაკუნინის მსოფლმხედველობა და რევოლიუციონური ტაქტიკა დიდათ განსხვავდებოდა მარქსის მსოფლმხედველობისაგან. ბაკუნინმა თავისი მსოფლმხედველობა შეიმუშავა იმ პერიოდში, როდესაც თავბრუდამხვევი სიძლიერით ხდებოდა ძველი ცხოვრების ლიკვიდაცია ევროპის კონტინენტზე და რევოლიუციონური გარდატეხით ირყეოდა მთელი მსოფლიო. მან განსაკუთრებულ სიძლიერით შეითვისა ეპოქის რევოლიუციონური სული და **„შეუწყვეტელ რევოლიუციის"** თეორიის დამცველად გამოდიოდა. ბაკუნინი ყოველგვარ ამბოხებაში, ყოველგვარ ცალკე გამოსვლებში ხედავდა გზას სოციალური რევოლიუციისათვის, მაშინ, როდესაც მარქსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ობიექტიურ პირობებსა და პროლეტარიატის ორგანიზაციულს შემოქმედებას. ბაკუნინის დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა წვრილი გლეხობა და ლუმპენ-პროლეტარიატი,



აგრეთვე დეკლასიური ინტელიგენცია, აი ამ სოციალურ ფენებში ეძებდა ბაკუნი სოციალური რევოლიუციის გამტარებელ ძალას. არსებითად მისი მსოფლმხედველობა გამომხატველი იყო ამ ჩამორჩენილ წრეების განწყობილების. მარქსი, წინააღმდეგ, სოციალურ-რევოლიუციის ერთად-ერთს უმთავრეს ელემენტს ფაბრიკა-ქარხნების პროლეტარიატში ხედავდა და მათი ორგანიზაციის საქმეს ემსახურებოდა. ბაკუნინი მოითხოვდა ყოველგვარ პოლიტიკურ ორგანიზაციების დაუყოვნებლივ მოსპობას სახელმწიფოსთან ერთად, მარქსი, წინააღმდეგ, მოითხოვდა სახელმწიფოს გამოყენებას კომუნიზმის განხორციელების საქმეში, პროლეტარიატის დიქტატურის დაწესებას გარდამავალ პერიოდის პირობებში. ბაკუნინი აღმერთებდა შეთქმულებას, კონსპირაციებს და საიდუმლო მოქმედებას; მარქსი პროლეტარიატის ფართო მოძრაობასა და მათს პოლიტიკურსა და პროფესიონალურს ორგანიზაციებში ხედავდა უმთავრეს საშუალებას. მარქსი თავისი შეგნებით ცენტრალისტი იყო და ინტერნაციონალის ორგანიზაციასაც ამ ნიადაგზედ აწყობდა. მისი პროგრამა მოითხოვდა **ერთი მთლიანი პარტიის დაარსებას მთელს მსოფლიოში**. ბაკუნინი დეცენტრალისტურ მსოფლმხედველობას იზიარებდა და უფრო დამოუკიდებელ სექტებს იცავდა, რაც მარქსს რეაქციონურ საქმედ მიაჩნდა.

ბაკუნინი სწერდა და ქადაგებდა: „ჩვენ მოგიწოდებთ ანარქიისაკენ, დარწმუნებულნი, რომ ამ ანარქიისაგან, ე. ი. ხალხის ცხოვრების სრულს დაშლისაგან წარმოიშობა თავისუფლება, თანასწორობა, სამართლიანობა და ახალი წყობილება“.

მარქსი ამბობდა: „ჩვენ ვეუბნებით მუშებს: თქვენ უნდა გადაიტანოთ 15, 20 და 50 წლის სამოქალაქო და საერთაშორისო ომები, არა მარტო იმისათვის რომ შესცვალოთ არსებული წყობილება, არამედ იმისათვისაც რომ შესცვალოთ თქვენი საკუთარი თავი და გახდეთ გამოსადეგარნი პოლიტიკურ ბატონობისათვის“[23]).

აი, ეს ორი საწინააღმდეგო მსოფლმხედველობა შეხვდა ერთი მეორეს 1869 წ. ინტერნაციონალში: ერთი მათგანი გამოხატავდა „ბუნტარულ“ დეკლასიურ წრეების სოციალიზმს, მეორე კი—რევოლიუციონური პროლეტარიატის მსოფლმხედველობას.

1868 წ. ბაკუნინმა დააარსა ახალი საზოგადოება **„სოციალური დემოკრატიის საერთაშორისო კავშირი“-ს** სახელწოდებით. ამ „ალიანსის“ პროგრამა მოითხოვდა ომის გამოცხადებას ღმერთისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ და მასთანვე აყენებდა ყველა კლასების ეკონომიურსა და სოციალურ **გათანაბრების** საკითხებს. 1868 წ. ბაკუნინის საზოგადოებამ მიმართა ინ-ლის გენერალურ საბჭოს წინადადებით მიეღოთ ის ინ-ლის წევრად თავისი წესდებისა და პროგრამის შენარჩუნებით. გენერალურმა საბჭომ ასეთ წინადადებაზე უარით უპასუხა ბაკუნინს, მაშინ უკანასკნელმა დაშლილად გამოაცხადა თავისი „ალიანსი“ და მოითხოვა ინტერნაციონალისგან ეკნო მთელი მისი სექცია ინ-ლის წევრად თეორიუ-

[23]) В. Полонский: „Бакунин“ стр. 88—90, 1920 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი პროგრამის შენარჩუნებით. გენერალური საბჭო დასთანხმდა დაეწყვიტა ალიანსი მხოლოდ წესდების საერთო საფუძვლების მიხედვით. (იქვე—81—96).

ინ-ლის მეოთხე კონგრესი გაიმართა ბაზელში 1869 წ. 6—12 სექტემბერს. ამ კონგრესზე პირველად გამოცხადდა ბაკუნინი, რომელმაც კონგრესის დღის შემუშავების დასაწყისიდანვე გამოამჟღავნა თავისი ანტისახელმწიფოებრივი და ანტიპოლიტიკური პროგრამა. დღის წესრიგში შეტანილი იყო საკითხი **ხალხის პირდაპირ კანონმდებლობის შესახებ,** რომლის წამოყენების წინააღმდეგაც მან სასტიკად გაილაშქრა. კონგრესმა ერთხელ კიდევ განიხილა **აგრარული საკითხი** და დიდი ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა კოლექტივიზმის პრინციპი. ამ დადგენილებას მხარი დაუჭირეს ბაკუნინისტებმაც. შემდეგში პროუდონისტები იძულებული შეიქმნენ აღენიშნათ, რომ **რუსულ-გერმანულმა** კომუნიზმმა დიდი გამარჯვება მოიპოვა, ხოლო პარიზელებისათვის (პროუდონისტებისათვის) უმთავრეს საზრუნავ საქმედ გადაიქცა მუტუალისტური (ურთიერთ დამხმარე) სოციალიზმის გადარჩენა საბოლოო განადგურებისაგან. კონგრესის მიერ მიღებული დადგენილება მიწის საკითხის შესახებ ამბობდა: 1) კონგრესი აღიარებს, რომ საზოგადოებას აქვს უფლება გაუქმოს კერძო საკუთრება მიწაზე და გადააქციოს ის საერთო კუთვნილებად; 2) კონგრესი აცხადებს, რომ ამჟამად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მიწაზე კოლექტიური საკუთრების დაწესება. კამათი გამოიწვია მხოლოდ საკითხმა თუ როგორი წესით უნდა სწარმოებდეს მიწის მოხმარა და დამუშავება, მიწაზე კოლექტიურ მფლობელობის დაწესების დრო. ნაწილი მოითხოვდა, რომ მიწა საერთოდ დაემუშავებინათ, ხოლო მეორე ნაწილი კი იცავდა აგრეთვე კერძო პირებზე გადაცემის საჭიროებასაც[23]).

მეორე საკითხი, რომელიც განიხილა კონგრესმა, შეეხებოდა **მემკვიდრეობის უფლებას.** ამ საკითხში, როგორც ამ კონგრესის დამსწრე **ანარქისტი გილიომი** აღნიშნავს, პირველად ერთი მეორეს შეეჯახა ინ-ლში არსებული ორი მიმდინარეობა, რომელიც მარქსისა და ბაკუნინის პიროვნებაში პოულობდა თავის განსახიერებას (გილიომი გვ. 119). ბაკუნინის მომხრეები მოითხოვდენ მემკვიდრეობის უფლების დღესვე გაუქმებას, რომ ამით გამოეწვიათ დაშლა არსებულ წყობილებისა. ეკარუსმა წარადგინა ამის წინააღმდეგ მოხსენება, რომელიც მარქსის აზრს გამოიხატავდა. მარქსის დებულების თანახმად მემკვიდრეობის უფლება არის არა მიზეზი, არამედ შედეგი თანამედროვე ეკონომიური წყობილებისა. ამიტომ მემკვიდრეობის უფლების გაუქმება უნდა იყოს შედეგი სოციალური რევოლიუციისა და არ უნდა უსწრებდეს მას წინ. ასეთი გაუქმება რამოდენიმეთ შეუძლია პროლეტარიატს მოახდინოს, როდესაც პოლიტიკური ძალაუფლება მის ხელშია და როდესაც ამზადებს ნიადაგს სოციალიზმისათვის. ბაკუნინი გამოვიდა ვრცელი სიტყვით, რომელშიაც მოითხოვდა მემკვიდრეობის უფლების გაუქმების აუცილებლობას თანამედროვე პირობებში. მისი დებულებით ასეთი აქტი გამოიწვევდა თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურ წყობილების შერყევას და იგი გადაიქცეოდა სოციალური რევოლიუციის გამომწვევ მიზეზათ. კენჭის ყრის დროს უმეტესობა მიიღო ბაკუნინის წინადადებამ. (გილიომი—118

[23]) Д. Гильом „Интернационал" გვ. 117—18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— 19). ასე დაიწყო პირველი მნიშვნელოვანი შეტაკება მარქსიზმსა და ბაკუნინიზმს შორის პირველ ინ-ლში. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, რომელიც შემდეგში უფრო მწვავე და შეურიგებელ ხასიათის მიღებით იმუერებოდა. თვით ბაკუნინი სწერდა ამის შესახებ გერცენს 1896 წ. „შესაძლებელია მოხდეს და ეს აუცილებლად მოხდება, რომ მე ახლო ხანებში მომიხდება მასთან (მარქსთან) ბრძოლა არა პირადი შეურაცყოფისათვის, არამედ პრინციპის საკითხისათვის, სახელმწიფოებრივი კომუნიზმის გამო, რომლის მხურვალე დამცველია ის და მისი მიმდევარი პარტიები ინგლისსა და გერმანიაში. მაშინ ჩვენ ვიბრძოლებთ სიკვდილ-სიცოცხლისათვის. მაგრამ ყოველფერს თავისი დრო აქვს და ჯერ ჩვენი შეტაკების დრო არ დამდგარა". (იხ.—124).

პარიზის კომუნა და ინტერნაციონალი.

ბაზელის კონგრესზე გადასწყდა შემდეგი კონგრესი მოეწვიათ გერმანიაში, მაგრამ მის მიწვევას ხელი შეუშალა საფრანგეთ-პრუსიის ომმა, რომელიც სრულიად მოულოდნელათ დაიწყო და საფრანგეთ-გერმანიის მუშებმა ვერაფითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. სამაგიეროდ ინტერნაციონალი გამოვიდა მოწოდებით, რომელიც მარქსის მიერ იყო დაწერილი და რომელმაც დაჰგმო როგორც ნაპოლეონის, ისე ბისმარკის პოლიტიკა. მოწოდების დასასრულში მარქსს მოყავდა ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის მუშების პროტესტი ომის წინააღმდეგ და დაასკვნიდა: „იმ დროს, როცა ოფიციალური საფრანგეთი და გერმანია ერთი მეორეს მისევია ძმათა სისხლის საღვრელად, მუშები მშვიდობისა და მეგობრობის ამბებს ერთი მეორეს უზიარებენ. ეს ერთი დიდი ფაქტი, რომლის მსგავსი ისტორიამ მეორე არ იცის, უკვე საფუძვლიანად გვიღვიძებს იმედს უფრო ბრწყინვალე მომაველისას, ის გვიჩვენებს, რომ ძველი საზოგადოების, ამ ეკონომიურ სილატაკისა და პოლიტიკურ უგუნურების გამოხატულების წინააღმდეგ ისახება და იბადება ახალი საზოგადოება, რომლის საერთაშორისო პრინციპი მშვიდობიანობა იქნება"... [24])

ომის ვითარებამ სულ ახლო დროში გამოარკვია, თუ ვისკენ იხრებოდა გამარჯვების სასწორი. სექტემბრის 2-ს ნაპოლეონი სასტიკათ დამარცხდა და თვითონაც ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს, ხოლო 4-ს პარიზში გამოცხადდა რესპუბლიკა. ომმა მიიღო აშკარა იმპერიალისტური ხასიათი გერმანელების მხრივ. გენერალური საბჭო მეორედ გამოვიდა მანიფესტით ომის შესახებ. ეს მანიფესტიც მარქსის მიერ იყო შედგენილი. მანიფესტი სასტიკად ილაშქრებს ანექსიებისა და კონტრიბუციის წინააღმდეგ და აძლევს გარკვეულ პრაქტიკულ ამოცანებს, როგორც საფრანგეთისა და გერმანიის, ისე ინგლისის მუშებს ზავის დამყარების საქმეში. ეს მანიფესტი ენერგიული მოწოდებით თავდება: „დეე მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის ყველა სექციებმა მოუწოდონ ყველა ქვეყნის მუშათა კლასს **ენერგიული გამოსვლისაკენ!** თუ რომ მუშები მიივიწყებენ თავის **მოვალეობას**, თუ ისინი დღევანდელი ამბების **პასიური მაყურებელნი** გახდებიან, მაშინ ახლანდელი საზარელი ომი წინამორბედი შეიქნება კიდევ უფრო საზარელი საერთაშორისო ომებისა და ყოველ ქვეყანაში ახალ გამარჯვებებს მიიღებს

[24]) კ. მარქსი: „სამოქალაქო ომი საფრანგეთში"—გვ. 22—23, 1923 წ.



მუშათა კლასზე ხმლისა, მიწად-მფლობელებისა და კაპიტალის „ერთგულს" (იქ-ვე 32). ასეთი ინტერნაციონალური პოზიცია დაიჭირა მარქსის ინ-ლმა ომის საკითხში. საკმარისი არის ეს პოზიცია შევადაროთ იმ პოლიტიკას, რომელსაც დაადგნენ 1914 წ. თითქმის ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატები საერთაშორ. ომის დროს, რომ ნათლად დაინახოთ თუ რამდენათ ულალატეს მათ ინტერნაციონალის დადგენილებებს და როგორ ჩაეფლენ ნაციონალიზმის ჭაობში.

მაგრამ საფრანგეთ-პრუსიის ომმა გამოიწვია პარიზის მუშების რევოლიუცია, რომელიც მუშათა მოძრაობის ისტორიაში ცნობილი არის პარიზის კომუნის სახელწოდებით (1871 წ. 18 მარტიდან 28 მაისამდე). პარიზის კომუნამ მართლაც დიდი ისტორიული ეპოქა დაიწყო სოციალისტურ აზროვნებაში 1871 წ. 17/IV მარქსი სწერდა კუგელმანს: „პარიზის კომუნის წყალობით მუშათა კლასის ბრძოლამ კაპიტალისტთა კლასთან და **მისი ინტერესების წარმომადგენელ სახელმწიფოსთან ახალ ხანაში შედგა ფეხი.** როგორც არ უნდა გათავდეს ამჟამად საქმე, **ახალი, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამოსავალი წერტილი მაინც მოპოებულია".** („წერილები" — 277). რაში გამოიხატება ეს ახალი გამოსავალი წერტილი, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ხარისხი ენიჭება? როგორც ვიცით, მარქსმა თავის **კომუნისტურ მანიფესტში** მოგვცა თავისი რევოლიუციონური მოძღვრების ძირითადი დასკვნები და აგვიხსნა, თუ თანამედროვე კლასის ბრძოლას როგორ მიეყვანართ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამდე; მარქსმა მოგვცა **გარდამავალ პერიოდის** ეკონომიური წყობილების შინაარსი, მუშათა ბატონობის აუცილებელმა. მაგრამ იმ ხანებში (48 წ.) მისთვის ჯერ კიდევ გამოურკვეველი რჩებოდა თუ როგორ კონკრეტიულ **ფორმებში** უნდა ჩამოყალიბებულიყო პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობა პარიზის კომუნამ რეალურ სინამდვილეში დაანახა მარქსს, თუ პროლეტარიატის დიქტატურა როგორ სახეს ღებულობს და როგორ ეპყრობა პროლეტარიატი ძველ სახელმწიფოებრივ აპარატს. კომუნამ სტიქიურად **დაშალა, დაარღვია** ძველი სახელმწიფო აპარატი და სწორედ ეს მომენტი გახდა მარქსისათვის ახალ გამოსავალ წერტილად. 1871 წ. 12/IV მარქსი იმავე კუგელმანს სწერდა: „თუ გადააათვალიერებ მე 18-ე ბრუმერის" უკანასკნელ თავს, დაინახავ, რომ ჩემი აზრით საფრანგეთის რევოლიუციის მახლობელი ადიდება იმის ცდა კი არ იქნება, რომ სამხედრო ბიუროკრატიული მაშინა ერთი ხელიდან მეორეში გადავიდეს, როგორც აქამდე იყო, არამედ **ერთიანად დაირღვეს** თვით ეს მაშინა. სწორედ ასეთია წინასწარი პირობა ყოველი ნამდვილი ხალხური რევოლიუციისა ევროპაში. **სწორედ ასეთივეა ჩვენი პარიზელი ამხანაგების გმირული ცდა.** რა მოქნილობა, რა ისტორიული თაოსნობა, რა თავდადების უნარი აქვს ამ პარიზელებს" (იხ. „წერილები" — გვ. 275-6).

პირველმა ინტერნაციონალმა პარიზის 1871 წ. სამოქალაქო ომის გამო გამოუშვა მარქსისავე ხელით დაწერილი **მოწოდება**, რომელიც კომუნისტურ მანიფესტის შემდეგ უდიდესს განძს წარმოადგენს სოციალისტურ ლიტერატურაში.

როგორც ვიცით, მარქსი 1870 წ. წინააღმდეგი იყო საფრანგეთის მუშების რევოლიუციონური გამოსვლისა მაშინდელი ობიექტიური პირობების გამო, მაგრამ როდესაც რევოლიუცია დაიწყო იგი ინ-ლის გენერალური საბჭოს საშუალე-

ბით არ აკლებდა ხელმძღვანელობას. კომუნა, როგორც ენგელსმა თქვა, "ინ-ტელექტუალურად **ინტერნაციონალის ღვიძლი შვილი იყო**, თუმცა მის გამოსაწვევად მას თითიც არ გაუნძრევია. ამიტომ ინ-ლი ერთგვარად სრულიად სამართლიანად ითვლება კომუნის გამომწვევ მიზეზად. (იხ. წერილები ზორგესადმი—144). მაგრამ მარქსმა თავისი მოწოდების გამოშვებით საესებით გაინაწილა პარიზის მუშების ცდები და ნათი გმირული მოლვაწეობა **„მუშათა პარიზი თვისი კომუნით** სწერდა მარქსი,—**ყოველთვის იქნება პატივისაცემი, როგორც სახელოვანი წინამორბედი და მახარობელი ახალი საზოგადოებისა".** (იხ. „სამოქალაქო ომი საფრანგეთში" გვ. 86). როგორც ავღნიშნეთ პარიზის კომუნის ერთ-ერთ დამსახურებას მარქსი ხედავდა იმაში, რომ კომუნამ მოგვცა პროლეტარულ სახელმწიფოს ახალი ფორმა. მარქსი სწერდა: „მისი (კომუნის) საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ იგი არსებითად იყო **მუშათა კლასის მთავრობა,** შედეგი ბრძოლისა მწარმოებელ კლასსა და მიმთვისებელ კლასს შორის,—ის **დიდი ხნიდან ნაძიები პოლიტიკური ფორმა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება შრომის ეკონომიური განთავისუფლება".** (იქ.—62) მეტადრე კომუნამ დაამტკიცა, რომ **„მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოდ აიღოს მზა-მზარეული სახელმწიფო მანქანა და აამუშავოს ის თავისი საკუთარი მიზნებისათვის".** ასეთი შესწორება შეიტანეს მარქსმა და ენგელსმა **კომუნისტურ მანიფესტში** პარიზის კომუნის ზეგავლენით. (იხ. 1872 წ. გერმანული გამოცემის წინასიტყვაობა" გვ. 58). ყველასათვის ცნობილია, თუ როგორი დიდი გავლენა მოახდინა **ამხ. ლენინზე** კ. მარქსის მიერ პარიზის კომუნის ასეთმა შეფასებამ. პარიზის კომუნა ხომ საბჭოთა სისტემის პროტოტიპი შეიქნა. ლენინმა უდიდესი ღვაწლი დასდო მუშათა კლასს არა მარტო მით, რომ აღადგინა მეორე ინ-ლს მიერ დავიწყებული მარქსის შეხედულება სახელმწიფოსა და პროლეტარიატის დიქტატურაზე, არამედ იმითაც, რომ მარქსის მიერ ნაანდერძებ დებულებების მიხედვით შექმნა უდიდესი პროლეტარული სახელმწიფო.

დამახასიათებელია კიდევ ერთი დიდი ნათესაობა პარიზის კომუნასა და თანამედროვე საბჭოთა წყობილების შორის. დღეს ბევრს ლაპარაკობენ **პროლეტარიატსა და მშრომელ გლეხობის კავშირის** შესახებ, ამ კავშირის ცდა და მისი იდეური შეფასება უკვე მოგვცა ნარიზის კომუნამ თავისი **მოწოდებით გლეხობისადმი** და კ. მარქსმა თავისი წერილით პარიზის კომუნის შესახებ. კ. მარქსი სწერდა: **„კომუნას სრული უფლება ჰქონდა გლეხებისათვის განეცხადებია: ჩვენი გამარჯვება — თქვენი იმედიაო"** (65.) „ნამდვილად კომუნას უნდოდა სოფლის მშრომელები საოლქო ქალაქების გონებრივი ხელმძღვანელობისათვის **დაექვემდებარებია** და ისინი უზრუნველმყო წარმომადგენლობის მხრივ ქალაქის მუშების სახით, რომელნიც **მათი ინტერესების ბუნებრივი დამცველნი არიან"** (61)... „მეამბოხეებს ჩინებულად ესმოდათ, (და ამის მათ **ყველაზე უფრო** ეშინოდათ), რომ თუ კომუნალური პარიზი **თავისუფლად კავშირს შეკრავდა პროვინციასთან,** მაშინ სულ რაღაც სამი თვის შემდეგ **გლეხკაცობის საერთო ერთ-პირი აჯანყება იფეთქებდა.** ამიტომ ისინი (მეამბოხეები) შეშინებულნი გაფაციცებით ისწრაფოდნენ, რომ პარიზი პოლიციური გარემოცვით, ბლოკადით შეეგოჭათ და ამ საშუალებით სენის გავრცელება შეეჩერებინათ". (66). აქ უკვე გამოთქმული არის იმ კავშირის აუცილებლობა და შესაძლებლობა, რომელიც რამოდენიმე ათეული წლების შემდეგ ლენინის რევოლიუციონურმა ხელმა გაკვანძა პროლეტარიატის და მშრომელ გლეხობის შორის და რომელიც უდიდესი სოციალისტურ სახელმწიფოს არსებობის საფუძველი შეიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა. ასეთი ძვირფასი მემკვიდრეობა დაუტოვა კ. მარქსმა თავის მემკვიდრე თა-ობას პირველ ინ-ში მოლვაწეობით.

პარიზის კომუნის აჯანყებამ დაანახა განცვიფრებულ ევროპას, როგორც სწერდა **მეიერი**.—თუ როგორი ძალა არის ჩამარხული სოციალისტურს მოძრაობაში და რისთვის იბრძვის პროლეტარიატი. მუშათა საერთაშორისო ამხანაგობა მაშინ თავისი სიძლიერის უმაღლეს მწვერვალზე იმყოფებოდა; კომუნის წყალობით მან მოიპოვა უფრო მეტი მომხრეები, ვიდრე დაკარგა მისი, კომუნის დამარცხებით (იხ. „ინტერნაციონალი" გვ. 173). მაგრამ კომუნის დამარცხებამ თან მოიტანა ინტერნაციონალში განხეთქილების გამოწვევა. ენგელსი 1874 წ. გარკვევით სწერდა ამის შესახებ: „როგორც კი ინტერნაციონალი გადაიქცა კომუნის წყალობით მორალურ ძალად ევროპაში, მაშინვე დაიწყო დავა. თვითეული მიმართულება ცდილობდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებია მიღწეული წარმატება. **ინტერნაციონალის დარღვევის ჟამი დადგა**. (წერილები ზორგესადმი—144). ინტერნაციონალის წინააღმდეგ, როგორც კომუნის აჯანყების გამომწვევ ორგანიზაციის, ევროპის მთავრობები განსაკუთრებული ზომების მიღებას შეუდგნენ; მაგრამ ინ—ლისათვის საბედისწეროთ შეიქნა შიგნით არსებული უთანხმოება მიმართულებათა შორის.

უკანასკნელი კონგრესები

1871 წ. სექტემბერში ლონდონში მოწვეული იქნა **მეორე კონფერენცია**, რომელსაც დაესწრო 23 წევრი, მათ შორის კ. მარქსი და ფ. ენგელსიც. კონფერენციაზე განსაკუთრებულის სიძლიერით წამოიჭრა ორი საკითხი: მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლისა და ბაკუნისტების საიდუმლო ორგანიზაციების შესახებ. პოლიტიკური ბრძოლის შესახებ კონფერენციამ ერთხელ კიდევ გამოიტანა დადგენილება ეკონომიური და პოლიტიკური მოძენტების განუყოფელობისა და მუშათა კლასის პოლიტიკურ პარტიაში ორგანიზაციის საჭიროების შესახებ სოციალური რევოლიუციის გამარჯვებისა და საბოლოო მიზნის, კლასების მოსპობისათვის. ამ დადგენილებით ბაკუნისტებმა დიდი დამარცხება იწვნიეს. რაც შეეხება მეორე კითხვას ის ძმთავრესად მიმართული იყო ბაკუნისტების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობდენ საიდუმლო ორგანიზაციების შენარჩუნებით დაესუსტებიათ ინ—ლის ცენტრი და იგი მხოლოდ სტატისტიკურ-საინფორმაციო ორგანოდ გაეხადათ. ბაკუნისტების ასეთი პოლიტიკა ძირს უთხრიდა ინ—ლის არსებობას და ამიტომ ლონდონის კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ნებას არ აძლევდა ინ—ლის ფარგლებში რომელიმე სხვა ორგანიზაციის არსებობას განსაკუთრებულის პროგრამით. ბაკუნისტებმა განაცხადეს, რომ მათი ალიანსი დაშლილი არისო. ლონდონის კონფერენციამ ანარქისტები უფრო გაამწარა და აშკარა ომი გამოუცხადეს ინ—ლის გენერალურ საბჭოს. 1871 წ. ნოემბერში მათ მიერ მოწვეული იქმნა შვეიცარიის ანარქისტულ მიმართულებათა ყრილობა, რომელმაც გამოუშვა მიმართვა მუშებისადმი. ამ მიმართვაში ლონდონის კონფერენციის დადგენილებანი გაუქმებულად გამოცხადეს და მარქსს სდებდენ ბრალს კონფერენციის მოტყუებაში. მოითხოვდენ ახალი კონგრესის მოწვევას სადაო კითხვების საბოლოო გამოსარკვევად.

შემდეგი, მეხუთე კონგრესი გაიხსნა 1872 წ. სექტემბრის 2 ს ჰაგაში. ამ კონგრესზე გამოცხადდა 65 დელეგატი. კონგრესს პირველად დაესწრო მარქსი; ბაკუნინი არ გამოცხადებულა. დღის წესრიგში იდგა ორი ძმთავრესი საკითხი: პროლეტარიატის პოლიტიკურ ბრძოლისა და გენერალურ საბჭოს უფლებების შესახებ. პოლიტიკური ბრძოლის შესახებ კონგრესმა გაიმეორა იგივე დებულებები, რომელიც მიღებული იყო ლონდონის კონფერენციაზე, მხოლოდ უფრო

გადაჭრილ ფორმებში. ბაკუნისტების მთელი ენერგია მიმართული იყო გენერალურ საბჭოს უფლებების შეზღუდვისაკენ; ამ საკითხშიაც კონგრესს ბევრი დიდი უმეტესობით დაადასტურა მჭიდრო საერთაშორისო ორგანიზაციის საჭიროება და ამიტომ გენერალური საბჭოს ძალა-უფლება გააძლიერა ცალკე სექციების უფლებების შეზღუდვით. ნაგრამ მასთანვე დაადგინა გენერალური საბჭოს მუდმივი ადგილი გადაეტანათ ნიუ-იორკში. აგრეთვე კონგრესის განსაკუთრებულმა კომისიამ განიხილა ბაკუნინის **ალიანსის** საკითხიც და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ალიანსი განაგრძობდა ინ-ში მუშაობას როგორც საიდუმლო ორგანიზაცია, რაც ძირს უთხრიდა ინ-ლის არსებობას. კონგრესმა დაადგინა ბაკუნინისა და გილიომის განორიცხვა. კერძოდ ბაკუნინის შესახებ მხედველობაში იქნა მიღებული აგრეთვე მისი კერძო მოქმედების ფაქტები [23]). კონგრესი დამთავრდა საჯრო მიტინგით, რომელზედაც გამოვიდა მარქსიც. მან სხვათა შორის განაცხადა შემდეგი: „ჩვენ შორის გაჩნდა ერთი ჯგუფი, რომელიც მოითხოვდა მუშების პოლიტიკურად თავის შეკავებას. თუ რამდენად სამიშარია და საბედისწერო ჩვენი საქმისათვის ასეთი პრინციპი, ამის შესახებ ჩვენს მოვალეობად ჩავსთვალეთ გაგვეცხადებინა. **მუშათა კლასმა ერთ მშვენიერ დღეს პოლიტიკური უზენაესობა უნდა დაიპყროს და შრომის ახალი ორგანიზაცია უნდა დაამყაროს.** მან უნდა დააშხოს ძველი პოლიტიკა, რომელიც ძველ დაწესებულებებს იცავს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაემართება ის, რაც მოუვიდა პირველ ქრისტიანებს, რომელთაც უკუაგდეს ეს ამოცანა და გაუშვებს მისი განხორციელების შემთხვევა, ამიტომაც ვერ ელირსენ ქვეყნად თავისი სასუფეველის დამკვიდრებას. კონტინენტალური ქვეყნების უმეტეს ნაწილში ჩვენი რევოლიუციის ყველაზე ძალა: შრომის ბატონობის საბოლოო დამკვიდრებისათვის განსაზღვრულ მომენტებში ჩვენ დაგვჭირდება ძალის გამოყენება... ჩვენ მივალწევთ უდიდეს მიზანს, რომლისაკენაც მივისწრაფვით, თუ ჩვენ ბტკიცედ გავამაგრებთ ყველა ქვეყნის მუშათა კლასში სოლიდარობის ძლევა-მოსილ პრინციპს. რევოლიუცია უნდა იყოს სოლიდარული. ამის უდიდეს მაგალითს ვხედავთ პარიზის კომუნაში, რომელიც იმიტომ დაეცა, რომ სხვა უმთავრეს ცენტრებში, ბერლინში, მადრიდში და სხვ. ერთდროულად არ იფეთქა დიდმა რევოლიუციონურმა მოძრაობამ, რაც მჭიდროდ დაკავშირებული იქნებოდა პარიზის პროლეტარიატის უძლიერეს აჯანყებასთან.

რაც შემეხება მე, განვაგრძობ მუშაობას დასახულ ამოცანის გადასაწყვეტად, შესაქმნელად მუშათა სოლიდარობის, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავლისათვის. არა, მე არ წავალ ინტერნაციონალიდან, და ჩემი ცხოვრების დარჩენილი ნაწილი, როგორც ჩემი წარსული მოღვაწეობა. მოხმარდება სოციალური იდეების გამარჯვების საქმეს, რომელიც — როგორც ჩვენ ამაში ღრმად დარწმუნებული ვართ,—ადრე თუ გვიან მიგვიყვანს პროლეტარიატის გამარჯვებამდე". (იხ. სტეკლოვის: ინტერნაციონალი —გვ. 208—11).

ჰაგის კონგრესის შემდეგ პირველი ინტერნაციონალი ფაქტიურად დაიშალა, ხოლო ფორმალურად მისგან წარმოიშვა ორი ინტერნაციონალი: ბაკუნისტური და მარქსისტული. პირველმა ჰაგის კონგრესის შემდეგ მოიწვია რამოდენიმე კონგრესი: ჟენევაში (1873 წ.), ბრიუსელში (1874 წ.) ბერნში (1876 წ.) და ვერვეში (1877 წ.). მარქსისტული ინ-ლის გენერალური საბჭო გადატანილი იქნა ამერიკაში და რამოდენიმე ხნის შემდეგ 1876 წ. კონფერენციაზე იგი დაშლილად იქნა გამოცხადებული.

ასე დაამთავრა პირველმა ინტერნაციონალმა თავისი არსებობის ისტორია.

[23]) მარქსისა და ბაკუნინის ურთიერთობის შესახებ. იხ. დ. რიაზანოვის წიგნი: „Очерки по истории марксизма" გვ. 197—281, 1923 წ.



რამ გამოიწვია პირველი ინ-ლის დაშლა? რასაკვირველია, მისი [illegible] საქმეში დიდი როლი ითამაშა იმ აზრთა წინააღმდეგობამ, [illegible] ანარქიზმის და მარქსიზმის დაპირისპირებიდან წარმოსდგა. მაგრამ მისი დაშლის მიზეზები უფრო ღრმა და ისტორიულია, ვინემ ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება. 1874 წ. ენგელსი სწერდა: „**ინტერნაციონალმა თავისი ძველი ფორმით უკვე დრო მოჭამა** (изжил себя)... ამგვარად ინ-ლის პრესტიჟი ამოწურულია და ყოველი ცდა მისი გამოცოცხლებისათვის იქნება ენერგიის უთაგბოლო ფლანგვა". ენგელსის აზრით ინტერნაციონალი ეკუთვნოდა მეორე იმპერიის პერიოდს, როდესაც მთელს ევროპაში გამეფებული დევნა ოდნავად გამოლვიძებულ მუშათა მოძრაობას უკარნახებდა ძთლიანობასა და ყოველგვარ მინაურ პოლემიკაში ჩაურევლობას. ეს იყო მომენტი, როდესაც შესაძლებელი იყო პირველ რიგში წამოყენება პროლეტარიატის საერთო კოსმოპოლიტური ინტერესებისა. (იხ. წერილები ზორგესადმი—144-45). მართლაც, **პირველი ინ-ლის წარმოშობას წინ არ უსწრებდა ნაციონალური მუშათა პარტიის განმტკიცება და მათი ორგანიზაციული ჩამოყალიბება. ამ მხრივ ინტერნაციონალს არ აღმოაჩნდა მტკიცე დასაყრდენი ძალა.** პროცესი ნაციონალური მუშური პარტიების ჩამოყალიბებისა განსაკუთრებულის სიძლიერით დაიწყო შემდეგს პერიოდებში. პირველი ინ-ლი მოკლებული ნაციონალურ მუშათა პარტიების ორგანიზაციას უფრო შესდგებოდა სხვა და სხვა ფრაქციებისაგან და ამიტომ მისთვის—ენგელსის სიტყვები—**პროლეტარიატის მსოფლიო გადაიქცა მიუწვდომელი;** მან ვერ შესძლო მტკიცე ურთიერთობის გაბმა ყველა ქვეყნის პროლეტარებს შორის. როგორც ავღნიშნეთ, ნაციონალური პარტიების ორგანიზაციის ჩამოყალიბებამ განსაკუთრებული სახე მიიღო ინ-ლის დამარცხების შემდეგ. ამ პროცესის დიადი **ისტორიული ღირებულება** იმ მომენტში აღნიშნა იმავე მარქსმა, როდესაც ისინი ჯერ კიდევ ჩანასახის პერიოდში იყვნენ. 1878 წ. კ. მარქსმა გაილაშქრა ერთ-ერთ ინგლისურ ჟურნალში იმ დებულების წინააღმდეგ, თითქოს ინ-ლი საბუდაოდ დაიმარხა. მარქსი სწერდა:

„ფაქტიურად სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიები გერმანიაში, შვეიცარიაში, დანიაში, პორტუგალიაში, იტალიაში, ბელგიაში, ჰოლანდიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში **წარმოადგენენ ნაციონალურ ორგანიზაციებთან ერთად ინტერნაციონალურ ჯგუფებს; ესენი უკვე** არა დაქსაქსული სექციებია, გაფანტული აქა-იქ სხვა და სხვა ქვეყნებში და გენერალურ საბჭოს მიერ პერიფერიებში გაგზავნილნი, არამედ უფრო **მუშათა მასები, რომელნიც იმყოფებიან მუდმივ აქტიურსა და პირდაპირ დამოკიდებულებაში, შეკავშირებულნი იდეების გაცვლა-გამოცვლით, ურთიერთ დახმარებითა და საერთო მიზნებით...** ამგვარათ ინტერნაციონალი **არ მომკვდარა,** მხოლოდ **პირველი პერიოდის განვლის შემდეგ იგი გადავიდა მეორეში, უფრო მაღალ პერიოდში, რომელშიაც ნაწილობრივ უკვე განხორციელებულია მისი პირვანდელი მისწრაფებანი.** მას მოელის შემდეგი განვითარების პირობებში **გადატანა კიდევ უფრო მეტი ცვლილებებისა** იმ დროამდე, სანამ დაიწერებოდეს მისი ისტორიის უკანასკნელი თავი" [26]) მეორე ინტერნაციონალიც ხომ ან ნაციონალურ პარტიების ნიადაგზე აღმოცენდა (1889 წ.) და ამით **ორგანიზაციულად** მტკიცე საფუძველი მოიპოვა. მაგრამ მისი **პრინციპები, მისი იდეოლოგია** ვერ აღმოჩნდა ისეთი როგორსაც მოითხოვდენ ახალ ინტერნაციონალისაგან რევოლუციონური სოციალიზმის მამამთავრები. რას ითხოვდა მარქსი და ენგელსი ახალ ინტერნაციონალისაგან? ამის პასუხი ენგელსმა მოგვცა 1874 წ. თავის წერილში ზორგესადმი: „**მე მრწამს, რომ აღორძინებული ინტერნაციონალი — მას შემდეგ, რაც მარქსის ნაწერები რამოდენიმე წლების განმავლობაში მოახდენენ გავ-**

[26]) იხ. Ф. Меринг: „Карл Маркс, история его жизни" გვ. 390—91.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ლენას,— იქნება წმინდა კომუნისტური და მის დროშაზე აღბეჭდილი იქნება სწორედ ჩვენი პრინციპები". (იხ. წერილები ზორგესადმი – 145).

მეორე ინ-ლი, მიუხედავათ თავისი ორგანიზაციული სიმტკიცისა, იდეოლოგიურად დაშორებული აღმოჩნდა მარქს-ენგელსის პრინციპებისაგან და მის დროშაზე აღბეჭდილი იქნა არა კომუნისტური პრინციპები, არამედ რადიკალურ დემოკრატიის პროგრამა. სწორედ **ამ იდეოლოგიურმა ჩამორჩენილობამ** გამოიწვია მეორე ინტერნაციონალის დაბარცხება და მისი მოღვაწეობის პირველი პერიოდის (1889- 1914 წ. წ.) სამარცხვინოდ დამთავრება. მუშათა კლასს 1914 წლის საერთაშორისო ომისა და 1917 – 19 წლების დიდი რევოლიუციების გადატანა დასჭირდა, რომ პირნათლად შეესრულებინა მარქს-ენგელსის ანდერძი და მესამე ინტერნაციონალის დაარსებით (1919 წ.) მაღლა აეწია მარქსის ბრწყინვალე კომუნისტური პრინციპები.

ამ წერილის მიზანი იყო მკითხველისათვის მიეწოდებინა ფაქტიური მასალები პირველი ინ-ლის ისტორიიდან. ინ-ლის მოღვაწეობის გათვალისწინებიდან ჩვენ დავინახეთ თუ როგორი დიდი როლი ითამაშა მარქსმა მისი პრინციპებისა და ორგანიზაციის შემუშავების საქმეში. ინ-ლის კონსერვატორი ისტორიკოსი **მეიერი** მარქსის მოღვაწეობის შესახებ სწერდა: „უწინარეს ყოვლისა ის (მარქსი)— მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის **მამაა. მას უნდა უმადლოდეს ის** (ინ-ლი) **თავისი თეორიითა და აგრეთვე ორგანიზაციითაც**".

მარქსის მიერ პირველი ინტერნაციონალისათვის შემუშავებული პრინციპები და პროგრამა სხვა და სხვა კითხვებზე,—პარტიის როლის შესახებ, პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლაზე, პროფკავშირებსა და კოოპერაციის მნიშვნელობაზე, პროლეტარიატის დიქტატურასა და სახელმწიფოს შესახებ, პროლეტარიატის საგარეო პოლიტიკისა, ომისა და განიარაღების საკითხისადმი დამოკიდებულების შესახებ, აგრარულ საკითხსა და პროლეტარიატის გლეხობასთან კავშირის შესახებ, ნაციონალურ საკითხს*),— სარჩულად დაედვა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის საქმიანობას. ამრიგად ნარქსის ინტერნაციონალსა და ლენინის ინტერნაციონალს შორის სრული იდეური და პროგრამული ერთიანობა არსებობს. თანამედროვე პროლეტარიატის უდიდესმა ბელადმა მიზანშეწონილად გამოიყენა პირველ ინტერნაციონალის საქმიანობა და პროგრამული დებულებები და მისი პრინციპების მიხედვით განამტკიცა საერთაშორისო მუშათა ორგანიზაცია, რომლის პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს კ. მარქსის უდიდესი ზრახვების რეალიზაცია: თანამედროვე კაპიტალისტური წყობილების კომუნისტურ ნიადაგზე გარდაქმნა.

---

*) ნაციონალურ საკითხში პირველმა ინტერნაციონალმა წამოაყენა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი და თანახმად ამ უფლებისა მოითხოვა პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენა. საინტერესო მასალას იძლევა აგრეთვე გენერალური საბჭოს 1869 წ. დეკემბრის 1-ს ცირკულიარი ირლანდიის საკითხის დაყენების შესახებ რევოლიუციონერულ მოძრაობასთან დაკავშირებით. (იხ. წერილები ზორგესადმი ფ. მერინგის წერილი – გვ. 515—17) აგრეთვე მნიშვნელოვან დოკუმენტებს წარმოადგენს მარქს-ენგელსის მიწერ-მოწერა ინტერნაციონალში ირლანდიის საკითხის დაყენების შესახებ (იხ. წერილები 223—34). ჯერ კიდევ 1847 წ. მარქსი ამბობდა: „პროლეტარიატის გამარჯვება ბერძენეთზე ეს არის იმავე დროს სიგნალი ყველა დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებისათვის". ამრიგად დაჩაგრულ ერებია განთავისუფლების საკითხი მარქსმა თავიდანვე პროლეტარიატის გამარჯვების საქმეს დაუკავშირა და რევოლიუციონურ და ნაციონალურ მოძრაობათა შორის მიზანშეწონილი სწორწონაობა დაამყარა. არ წამოჭრილა მე-XIX-ე საუკუნეში არც ერთი მნიშვნელოვანი ეროვნული პრობლემა, რომელიც პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობის საზომით არ გაეზომებინოთ მარქს-ენგელსა დადებითად. ამ საკითხს უფრო ვრცლად ვეხებით ჩვენს წერილებში: „მარქს-ენგელსის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში" რომელიც 1923 წ. დაიბეჭდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანასტასია ერისთავი-ხოშტარია

„მიწა". მოთხრობები. სახელგამი, 1924 წ.

ქართულ ლიტერატურის ისტორიაში ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას საპატიო ადგილი აქვს დათმობილი.

ამ დამსახურების მიზეზი არ ყოფილა არც საეკვო ღირსების კრიტიკა და არც რეკლამა, რომელიც ხშირად არარაობას ბუმბერაზად გაიჩენს.

35 წლის წინედ სამწერლო ასპარეზზე გამოსულს — დღესაც ჰყავს მკითხველი და ეს საგულისხმოა.

ასეთი იშვიათი გამძლეობა შესაძლოა საზოგადოებრივი კონსერვატიზმითაც აიხსნებოდეს, მაგრამ ჩვენ გვაბსოლუტ „მოლიპულ გზია" ავტორის რამდენიმე თანამედროვე მწერალი, რომლებიც დღეს სრულიად მივიწყებულია.

ავტორი ოთხი დიდი რომანის და მრავალი მოთხრობის, არ არის მარტო ნაყოფიერი მწერალი. სინამდვილის გრძნობა, მისი სწორი ანალიზი და მხატვრული გადმოცემა — აი, რა შეადგენს ანასტასია ერისთავის უმთავრეს ღირსებას.

მისი მხატვრული სფერო ვრცელი და მრავალ მხრივია. ის კარგად იცნობს გლეხობას, პრიველეგიერ წოდებას, ინტელიგენციას, სამღვდელოებას და, როგორც მათი ყოფა-ცხოვრების ამსახავი, — ყოველთვის ბუნებრივია

ანასტასია ერისთავის თხზულებაში არ დაკარგავენ ინტერესს სასოგადოების იმ ფართო ხაწილისათვის, რომელიც მხატვრულ ნაწარმოებში ყოველთვის ეძება ცხოვრების მიზანს.

სხვა რამ არ იყოს, ამ მხრივაც სახელგამის მიერ ანასტასია ერისთავის მოთხრობათა გამოცემა სავსებით გამართლებულია.

წიგნის საერთო სათაური „მ ი წ ა" შეეფერება მოთხრობათა გმირების სულიერ განწყობილებას, ნინიკა, დათია, ბესო, ზურია და სხვანი, მიწის ერთგულები, მიწის მოყვარული და მიწისვე მსხვერპლი გლეხები — ნათელი სურათია იმ ახლო წარსულის, როცა სოფლის გლეხკაცობისათვის მიწა იცნების საგანს შეადგენდა.

გლეხი გრძნობს უუფლებობას, სიბეჩავეს, მაგრამ ის ჯერ კიდევ ვერ მისულა იმ შეგნებამდე, რომ გაიგოს უსამართლობის მიზეზები,

ავტორი იცნობს ამ გლეხის, როგორც კარგს, ისე ცუდ მხარეებს.

უფლება აყრილი გლეხი ცრუმორწმენოებია მსხვერპლი გამხდარა, ვერ ხედავს მტერს და იმედ დაკარგული ხსნას მხოლოდ ზეციდან მოელის...

წიგნში მოთავსებულია რვა მოთხრობა: „ბატონებმა არ დაიწუნეს", „ლაზარემ გადააჭარბა", „ყერა", „დარისპან თარიშვილი", „დედები", „კამისია", „მიწა" და „განთიადი".

ეკანასკნელი მოთხრობა გვიხატავს სოციალურად განთავისუფლებულ გლეხობის სულისკვეთებას — „არ არის ბატონი, არ არის გლეხი, გაუმარჯოს თავისუფლებას!" — ულოცავენ ერთმანეთს გლეხები

ანასტასია ერისთავი-ხოშტარია თავის „მიწის" პროლოგად იძლევა „განთიადს", როგორც მშრომელი ხალხის გულწრფელი ჰირისფალი და ერთგული თანამგზავრი განთიადამდე.

ახალ წიგნს დღეანდელ სოფელზე უთუოდ დასწერს სხვა ავტორი. მოსული სხვა წრიდან, სოფლის სხვანაირი გაგებით, ეს იქნება ახალი „მიწა" მაგრამ ძველი „მიწის" ავტორს მაინც დიდხანს ეყოლება მადლიერი მკითხველი.

წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, მაგრამ ყდა არის ცუდი. ფასი — 2 მანეთი — არ არის ძვირი.

— იანი.

ჯეკ ლონდონი: „რკინის ძუსლი“ რომანი

სახელმწიფო გამომცემლობა. თბილისი, 1934 წელი. 150 გვ.

რევოლიუციის რომანების პრობლემის პრინციპებში გამართვის ცდები რომანების „ოსტატობის“ მეცნიერებაში ბევრჯელ ყოფილა. თუმც ის ყოველთვის სცილდებოდა რომანს როგორც პროზის ფაქტს, და რჩებოდა ლიტერატურულ დოკუმენტალობაში. ყოველ შემთხვევაში "ძველი" და თანადროული მწერლები რომანის აღმშენებლობას სამი პრინციპით უდგებოდენ „ჯანყი ისტორიზმით“ — „ჯანყი პერსონალით“ — „ჯანყი უპერსონალოთ“; თორი უკანასკნელისთვის ისტორიზმი შეადგენდა ბაზას დრამატიზმის მისადგომათ, თანადროელ მწერლისთვის მის მაგივრათ იხმარება "მომენტი„ ქრონიკა

რევოლიუციონერი ისტორიზმით ფაქტების ეედავთ და ღავტორთ დალაგებაა, რაც თავი და ბოლომდე სცილდება ოფიციალურ ბეჭედს ოსტატობისას და ვიღებთ როგორც კლასობრივ ბიოსოფიას, შეშუარებს. შეიძლება აქ მოინახოს ნიშანდობლივობა პოეზიის, "რევოლიუციის მიღვაწის„ ტემპერამენტით გაწეულს ან და წიხააღმდეგ. ავტორი, თუ გინდ რევოლიუციონერი კოტეცინცაძე. უკანასკნელის მოგონებები თავიდან ბოლომდე არის დაუსრულებელი პათოსი, ტემპერამენტი და ამით გატაცებული სტილი, რასაკვირველია შეცდომა არ არის რომ ის იბეჭდება ისეთ სპეციალურ ისტორიზმის ჟურნალში, როგორც კომპარტიის გამოცემა "რევოლიუციის მატიანე“

„ჯანყი ისტორიზმით“, პროზაში ისტორიზმს უერთდება რომანის სპეციალური თვისება — დრამატიზმს. აქ დამატება, რასაკვირველია, არ ადება, აღებულია რევოლიუცია როგორც დრამატიზმი და პერსონალური პსიხოლოგიზმი. ასეთი ცდები აქვს კელერმანს, ზოლას, ლონდონს, ერკმან შატრიანს. ზოლას გარდა ყველაზე საინტერესო მათ შორის ერკმან-შატრიანია. ამ ავტორების ნაწარმოებში ყველაზე უფრო დიდი ნაკლი სჩანს ამ პრინციპის. „გლეხი-კაცის ისტორია“, რომელიც საფრანგეთის გლეხია ჯანყს ეხება, იმპერიის დაწყებამდე „ისტორიზმით“ გაბერილ წიგნს ათას ფუთასამდე გვერდი უკავია, რაც თანადროულ მკითხველისთვის მიუღებელია, როგორც რომანი უმოქმედო, როგორც უნიყიერი, რომლის შედეგია უპათოსობა. „რევოლიუცია პერსონალით“ რომანები დასწერა ბარბიუსმა, ზოლამ, ილია ერენბურგმა, გროსმანმა და სხვ. შეცდომა ასეთი გამართვისა ერთია, პერსონთა ბანალობა ან და ეგზალტიცია. ყოველივე ეს აკლდება რომანს, ისტორიზმისას როგორც დრამატიულობის, ისე ეპოქალურობის მთლიანობის დარღვევით. ეპოქის გაშუქება ძირიდან, ერთი პერსონით „ოჯახით“ ვერ აღწევს სისრულეს დატვისას. ყოველ შემთხვევაში ხსენებულ რომანებში ვერ იგნა ამით ამოწურული ისეთი ბანა, რომელიც შეიცავს კლასობრივათ დარაზმულ ნეჯახების მომენტს. მის აოსებითობის აღწერისათვის საჭიროა მოძახვა „გმირის“ ბელადის, რომელიც იქნება მთავარი სტრატეგიული პუნქტი რომანის. ეპოქის ასახვისათის ასეთი კომბინაცია იძლევა უფრო მეტს ინტერესს, და კითხვის დაუღალველობას; ამ მხრივ დიდხან მეშაობდა ექსპერიმენტალიზმი, რომელსაც რუტუნიზმამდი ჩასულს გამოეცალა ფეხქვეშა აუდიტორია და რომანიტიზმა გამოაცხადა რომანი როგორც ქრონოლოგიური მომენტები გმირის. ლიტერატურის ისტორიაში რომანტიზმი აღნიშნულია და გამოკვლეული როგორც თანამგზავრი მებრძოლ ბურჟუაზიის, ამიტომ მან ბალე ეღალატა რევოლიუციონურ რომანს და მორალით: გაბერილი გმირები შეგვრჩა ბელში, რომელიც, რასაკვირველია, აღარ ეკუთვნის ამ შეხებულ საკითხს.

უპერსონალო რომანი არის უფრო ფოკლორიზმი და უდგება ზოლას, პერსონალით გამოკლებულ, ძაგრამ უფრო საბალისოს. ამ პრინციპზე აშენებული რომანი ჯერ-ჯეროობით არ არის. ყოველ შემთხვევაში სცადა ერნესტ პულმ თავის რომანში „ხავთ-სადგური“. აქ ავტორი ეხმარება თავის პრინციპს და ქრონიკორია ორათ დაბანაკებულ მოწინააღმდეგეთა ბანაკ შორის, რომელიც აღწერილია თავიდან ბოლომდე მორალით: პათოსი, ტემპერამენტი რევოლიუციის და კონტრ-რევოლიუციის. რომანი უპერსონაჟოთ იწერება საფრანგეთში კაპიტალიზმის თანამგზავრების მიერ.

დარჩა კიდევ ერთი ფორმა რევოლიუციის პროზის. ეს არის მოთხრობა და მისი ავტორებიც თანადროულობას ეკუთვნიან. შეიძლება დავასახელოთ რომანისტი ეპტონ სინკლერი „დეიმი ზინგის“, ვენგრიელი, ვროსმანი, ვენრი ლეონიდ ფრანკი და სხ. მათ შეიძლება უწოდონ როგორც „ხალხიდან გამოსული“, რომლებიც რეველდებრივი კეთილი ენით სინკლერი და ჩვეულებრივი ყარგი ენით ვროსმანი მოგვითხრობს კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიტალიზმის რკინის მუშტის და პროლეტარიატის მზადებას მსოფლიო კომუნიზმისთვის. ხსენებული ავტორები ჯერ-ჯეროობით ეხებიან და აღწერენ მხოლოთ „სამხადისს"— გაფიცვებს, არჩევნებს და სხვას. რევოლიუცია როგორც ასეთი თემა და რომანი მათ არ მოუციათ

ჯეკ ლონდონის „რკინის ქუსლი", რომელშიაც ავტორი აყენებს 1432 წლის მეორე აჯანყების თემას, რომელსაც ბიადაგი შეუმზადა რომანის მთავარმა გმირმა ერნესტ ევერგარდმა ევროპიულ ბელადების თანამშრომლობით. თემა საინტერესოა, სადაც შეიძლება მწერალი გატაცებული იყოს იმ სამკვდრო სასიცოცხლო შეტაკებით, რომელიც ამერიკაში გაბატონებულთა მიმართ სწარმოებდა. ე. ევერგარდის უეცარი მოტაცება და მისი სიკვდილით დასჯა მისი სიყვარული ავიზა ევერგარდისადმე და წინააღმდეგ, ბეუღლის თავის განწირვა, აჯანყების დამარცხების შემდეგ, მის განდგომილათ ცხოვრება კალიფორნიის პატარა აგარაკზე, მომლოდინე ქმრის დიდი იდეალების განხორციალებისა—აი ყველა ის მასალა, რაც ჯეკ ლონდონს თავისებური ოსტატობით დაუმუშაევებია. აქ ისტორიზმია შერეული გმირულ ფანტაზიასთან, ოლონანი შეერთებულია დიდს და ძლიერ სიყვარულზე, მაგრამ შეიძლება აღინიშნოს, რომ მიეუხედავათ ფაბულის ასეთი გაპობერილობის, რომანი ვერ არის, როგორც ნაწარმოები დამუშავებული. მთავარი რაც აკლია, აქ არ არის მოქმედება: ორატორს აკამათებს პროტოკოლიზმი და არა ხაზების სიძლიერე. ყოველივე ეს პირდაპირ გადმოთარგმნილია ისეთი ძველი ენით, რომ ხსენებულ ნაწარმოებს ეკარგება ლიტერატურულ პროზის ყოველივე თვისება. აუარებელი არქაიზმები, ვინ ხმარობს ეხლა ასეთ სიტყვებს და გამოთქმებს: „ძიძგილა", „უგრეგალი", „სიცილით წაიყრეტუნა", „გარბა", „რამეთუ", „ცდუნებასა ამასა", „მოგზაურებანნი და აღმოჩენანნი", „მწყესდეს", „საშწყესოს", „გეიანრელე", „კინ-ღა" და სხვა მრავალი.

ასეთი არქაიზმი შეერთებულია პირდაპირ გადაგვარებულ სტილთან რაც უკანასკნელათ სპობს „რკინის ქუსლით" ქართულათ წაკითხვის სურვილს.

პენ

ჟურნალი N2S04, № 1

ტფილისი, 1924 წ.

სიმბოლიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება საქართველოში, უკვე რამდენიმე წელია ჩიხში მოექცა. ბიბლიოგრაფიაში ამ მოსაზრების სერიოზული დასაბუთება შეუძლებელია. თანამედროვე ეპოქა ითხოვს უფრო ძლიერ მაჯის ცემას და ახალ ფორმებს ეპოქის გაქანების გადმოსაცემათ. სიმბოლისტური სასალონო ნაზი ჩურჩული ვერ გაიმართლებს თანამედროვობაში თავს. ახლა არაფის სცალია ამისთვის, ყველა აჩქარებულია და მკითხველი მოითხოვს გამძაფრებულ სტრიქონებს, რომელსაც თვით მკითხველი კი არ იღებს, არამედ თავისით მიუფრენია ტვინში და მოსვენებას არ აძლევს. ახალი ცხოვრება მოითხოვდა ახალ რიტმსა და ფორმებს. ქართულ საზოგადოებას დიდხანს ესმოდა, რომ იყო ხალხი, რომელიც თავისთავს ფუტურისტებს უწოდებდა, მაგრამ ამ ჟურნალის გამოსვლამდე მათ არაფერი ხელსაყებათ არ მიუციათ გარდა საჯარო სადომებზე ლიტერატურულ ტეროორის წარმოებისა. ჟურნალ N2S04 გამოსვლის შემდეგ მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს ქართველ ფუტურისტების ზემოქმედებას.

ჟურნალი იხსნება არგუმენტებით N2S04-ის დაარსებისათვის. „მშვენიერი ტყუილი" აქ უარყოფილია, რევოლიუციონურმა სინამდვილემ მოსპო პოლიტიკური რომანტიკა, რომელიც შექმნილი იყო წვრილ-ბურჟუაზიულ მოაზროვნეთა მიერ.

ჟურნალის დეკლარაციას კომენტარიები გაუკეთა სიმონ ჩიქოვანმა „მნათობი"-ს მე-4-ე ნომერში. რასაკვირველია, ამ წერილში წამოყენებული, შეეედულებანი ელოვნებაზე ჯერჯეროობით ავსებით ვერ არის გამართლებული. ამასთანავე ჟურნალში მოისუსტებს რევოლიუციონური პოეზია, თუმცა საკმაოდ გამართლებული ნიმუშებიც არის, როგორც, მაგალითად, ნიკოლოზ შენგელაიას ორი ლექსი და რამოდენიმეთ რევოლიუციონურათ განწყობილი შალვა ალხაზიშვილისა, მაგრამ დაჩრდილულია ტეროორისათვის დაშაადებული მასალებით. ამ მხრივ ჟურნალი საჭიროებს მეტ გაფართოებას, რომ თანამედროვე კომუნისტური ეპოქის სიძლიერემ შემოქმედებაშიც ნახოს თავის ასახვა.

ჟურნალში უარყოფილია ლიტერატურის ყველა ძველი ფორმები და წარსულიდან მიღებულია მხოლოდ ხალხური შემოქმედება.

აღსანიშნავია ნ. ჩაჩავას „სენტიმენტალიკის შელოცვა“ და ს. ჩიქოვანის „სანაპირო სიმღერა ხაბო“.

პირველ ლექსში მოცემულია ხალხურ შელოცვის ტონი და მეორეში ხალხური ლექსის მუსიკა, სადაც სიტყვა მოსპობილია, როგორც ბგერითი ნიშანი ნივთისა და მოცემულია, როგორც უსაგნო მატერია.

პაველ ნოზაძის ლექსი „დაჩვეული სიყვარული“ მოსპობილია სივრცე, როგორც ათვისებისათვის აუცილებელი კატეგორია და ლექსი გადასულია დროულობაში.

ანგო ლოლობერიძის „კანტორა“ გაშლილია ჩარლი ჩაპლინის გრიმასებში და ირონიულ ხაზებში.

ბენო გორდეზიანისა და აკაკი ბელიაშვილის ლექსებს უმთავრესად ტერორის მშენებლობა აქვს.

საინტერესოა შალვა ალხაზიშვილის წერილი კინემატოგრაფზე თავისი ახალი საფეხლეტონო სტილით. უნდა აღინიშნოს მის ლექსში „ამერიკანული დუელი“ სტრიქონები.

„მე მიხდა ეიფელის კოშკზე ფრიალებდეს
წითელი დროშა
„სულ ერთია ფილიპის სეპო ვერ გადა-
ხტება თავის თავს
„იქნება ხარაკირი—პარიზი ყირაზე.

ენერგიის რიტმის გადმოცემის მხრივ საინტერესოა სიმონ ჩიქოვანის უსათაურო ლექსი.

აიღეთ ხმა, სისწრაფეში ექსპრესები უნდა
კიოდეს
და სადგურებში ეგზოტიკებმა ბარგანეცით
ზეახალ ნეგრებს
ველოდით მერცხლებს იპოდრომზე,
როგორც კანცლერებს
რომ უფლებისთვის კვლავ ებრძოლათ
ჩვენში ფრინველებს.

დასასრული ნიკოლოზს შენგელაიას ლექსი „მოხსენება პირველი“.

აქ მოცემულია ენერგია დაზიდულ კუნთების, ლექსში სიტყვები ეცემიან ფოლადის ფოლოებივით. აქ არის მტკიცე რწმენა, რკინის ნებისყოფა და დიდი წყურვილი. ლექსი გაშლილია სამხედრო ბრძანების ტონში.

მხატვრები ბენო გორდეზიანი და ირ. გამრეკელი უკვე საკმაოდ ცნობილი იყვნენ ამ ჟურნალის გამოსვლამდე და ამიტომ აქ არაფერს ვიტყვით მათ შესახებ. ირ. გამრეკელის სურათებიდან ყველას სჯობია „მე და ცირკი“ და „ბაგრი კლ“. პიროქელში სივრცეები ბოლოდ უარყოფილია და მოცემულია თავბრუ დამხვევი სისწრაფე.

ჟურნალი გამოცემულია ძლიერ ლამაზად, სუფთა ქალალდზე. მაგრამ, საბოლოოდ, სტამბის რევოლიუცია, რომელსაც დიდი ადგილი ეჭირავს, უკვე განცდილი არის ატმოსფეროულად და არ წარმოადგენს საჭიროებას. ასოების აკრობატიკით გავსებული ადგილები სრულიად არ არის საჭირო და ჟურნალისთვის ხუდშეტ ბალასტს წარმოადგენს. ისე, მონტაჟიორ ირაკლი გამრეკელს ეტყობა ჟურნალის დალაგებაში დიდი გემოვნება და ნიჭი.

დ. Შ.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

„წერილები და სიტყვები პარტიულ აღმშენებლობის შესახებ“. სახელმწიფო გამომცემლობა. თბილისი, 1924 წ.

აღნიშნული წიგნი, როგორც სათაურიდან სჩანს წერილების და სიტყვების კრებულს წარმოადგენს. მიუხედავათ ამისა წიგნის შთლიანობა დარღვეული არ არის და მასში გატარებულია ერთი მთლიანი ხაზი. აქ გახილულია პარტიული მშენებლობის საკითხები ბოლშევიკური ფრაქციის ჩასახვის დღიდან პარტიის მე-X ყრილობამდე. ამ ხნის განმავლობაში მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი იქნა პარტიის წიგნაზე წამოყენებული. ამ კითხვების შესახებ ამხ. ლენინი გარკვეულ სახელმძღვანელო დებულებებს იმუშაკებდა და რევოლიუციონურ პროლეტარიატს უჩვენებდა სწორ სავალ გზას. ერთ-ერთ უმთავრეს კითხვას წარმოადგენს რევოლიუციონურ პარტიის ორგანიზაციის საკითხები. ამხ. ლენინმა თავიდანვე აღნიშნა ის დიდი როლი, რომელიც უნდა ეთამაშა პროლეტარულ პარტიას რევოლუციაში. ამ მხრივ ეს წიგნი ახალ თეო-

ბას აძლევს არა მარტო პარტიის წარსულ ცხოვრების მასალებს, არამედ ძვირფას სახელმძღვანელო დებულებებსაც. ლენინის ეს შრომა ჯერ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დარჩება საპირო ნიმდინარე პოლიტიკურ მეშაობაში

ერიკენელი გიდელიუსი

გზის მანათობლად: პარტიულ-მეხბრეობის სწორი გეგმის შესადგენ სახელმძღვანელოდ.

თარგმანი დამაკმაყოფილებელია. დაბეჭდილია სუფთად და შეიცავს 170 გვ. ღირს 75 კ.

ს. ა.

ფრიდრიხ ენგელსი: ლიუდვიგ ფოიერბახი.

წინასიტყვაობა და შენიშვნები. თარგმანი გერონტი ქიქოძის. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა. ტფილისი 1923 წ.

ენგელსის შესანიშნავი შრომა: „ლიუდვიგ ფოიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრული", განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მარქსიზმის თეორიულად გაგება დაფასებისათვის. სულ რამოდენიმე ათეულ გვერდზე ენგელსი თავისებური ხერხიანობით აშუქებს, თუ როგორ იმ დიადი თეორეტიულ აბსტრაქტულ მოძრაობიდან, რომელსაც სახელად გერმანიის იდეალიზმი ქვია და რომლის ლოგიკურ ბოლოს ჰეგელის ფილოსოფიის სისტემა შეადგენდა, წარმოიშვა ფოიერბახის დაუმთავრებელი მატერიალიზმი და შტრაუსის ქრისტიანობის კრიტიკა ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით ეს ორივე გზა შეერთდენ მარქსის აზროვნებაში, რის შედეგად კაცობრიობას მისი მომავლის, ანუ სოციალიზმის მეცნიერულად დასაბუთება შერჩა.

მეცნიერული სოციალიზმი, პირველი შვილია გერმანიის იდეალისტური ფილოსოფიის და ის მარქსის უკანასკნელი დამსახურება დარჩება აზროვნების ისტორიაში, რომ მარქსმა ამ იდეალისტური ფილოსოფიის მთავარ ნაამაგარს ჰეგელის დიალექტიკას ბელი არ შეუშვა და ის თავისი მეცნიერული ძიების ქვაკუთხედათ გაიხადა, თუ ფილოსოფიის თეორეტიული საფუძველი მარქსის აზროვნების პრიზმაში პრაქტიკული ე. ი. რევოლიუციონური მიმართულებით გადადგეხა და მარქსმა გვანაცხადა, რომ ფილოსოფოსები ასე თუ ისე ქვეყანას ახსნა-განმარტებას აძლევენ, ხოლო ჩვენი საქმეა ქვეყანა შეეცვალოთ, აქ მარქსი მართალი იყო და თან ლოგიკური.

რაც შეეხება ქართულად ამ კლასიკური შრომის გამოცემას ხედშეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს დიდი მიხწევაა. მით უმეტეს, რომ წიგნი ნათარგმნია ქართული ენის ისეთი ოსტატის მიერ, როგორც გეროანტი ქიქოძე არის. თარგმანი მე შევადარე გერმანულ ტექსტს და ერთობ დაკმაყოფილებული დავრჩი. ქართულად მე ასეთი კარგი და თითქმის უნაკლო თარგმანი ნაკლებათ წამიკითხავს. მშვენიერია სტილი საწყენია ის რომ ძველი ტერმინოლოგიაა ნახმარი და მთარგმნელი სავსებით არ ხელმძღვანელობს ჩვენი უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ მეცნიერული ტერმინოლოგიით. ენგელსის Denken und Sein ნათარგმნია, როგორც აზროვნება და მყოფადობა. სიტყვა „მყოფადობა" დაეშვებელია, ეს რუსული Бытье არის და არავითარი საერთო არ აქვს გერმანულ Sein-თან, რის საუკეთესო თარგმნა ქართულად იქნება: არსი.

წიგნის მთავარი ნაკლი ის არის რომ ის რუსულიდან არის ნათარგმნი და მთელი წინადადების აზრი ხშირათ დაკარგულია. სანიმუშოდ მოვიყვან ორ მაგალითს. 1) გერმანულად სწერია: Die absolute Idee... sich in der Natur „entäussert", d. h. sich verwandelt და სხ. (მე 5-თე გერმ. გამოცემა გვ. 5) ქართულში ამას ეწერის: „აბსოლიუტური იდეა"...

თავის თავს „განერინება" ე. ი. გარდაიქცევა ბუნებათ—ეს არ არის კარგი და სწორი თარგმანი. უნდა იყოს: აბსოლიუტი იდეა ბუნებაში „მხილდება" ე. ი. იქცევა და სხ. ან და კიდევ გერ. ქიქოძე სთარგმნის. მაშინ, როცა მატერიალისტისათვის ნამდვილია მხოლოდ ბუნება, ჰეგელის სისტემაში ბუნება აბსოლიუტური იდეის „განერინებას" წარმოადგენს, ბის, ასე ვსთქვათ, დამცირებას, (ქართული თარგმ. 36 გვ.). გერმანული ტექსტის მიხედვით კი საჭიროა ვსთარგმნოთ: „მაშინ, როცა მატერიალიზმისათვის ბუნება არის ერთად ერთი სინამდვილე, ჰეგელის სისტემაში ბუნება წარმოადგენს აბსოლიუტური იდეის „მხილებას", ამასთანავე იდეის დამცირებას", ასეთი გასაყოფებელი ადგილები თარგმანში ბევრია და ამ წიგნის მეორე გამოცემისათვის აუცილებელია გერმანული ტექსტის ხელში აღება და შიგ საჭირო კორექტურის შეტანა.

საერთოდ ეს თარგმანი ერთი საუკეთესო ნიმუშათ უნდა ჩაითვალოს ჩვენს თარგმნილ ლიტერატურაში.

მ. გ.

შინაარსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახვრული ლიტერატურა

საქართველო

გვერდი

1. **გალაკტიონ ტაბიძე** — მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა . . . 7
2. **ვალერიან გაფრინდაშვილი** — მიხეილ ბაკუნინი 26
3. **კოლაუ ნადირაძე** — მიმართვა ბავშვებს 27
4. **ვასო გორგაძე** — ექსპრესს 28
5. **ნიკოლოზ ჩაჩავა** — თეზისები პოეტებს მსოფლიო მდგომარეობის — შესახებ 29
6. **მიხეილ ჯავახიშვილი-ადამაშვილი** — მსოფლიო ომის გრიგალში . . 33
7. **აკაკი ბელიაშვილი** — ცხრა ცენტრი. 73

რუსეთი

8. **ვლადიმირ მაიაკოვსკი** — ლექსები—თარგმანი პაოლო იაშვილის . . 91
9. **იური ლიბედინსკი** — შვიდი დღე—თარგ. ვასო გორგაძის. 111

დასავლეთი

10. **ემილ ვერჰარნი** — ტრიბუნი—თარგ. კონსტ. ჭიჭინაძის 159
11. **ანრი მილბო** — კარლ ლიბკნეხტი—თარგ. სიმონ ჩიქოვანი 161

კრიტიკა, მხატვრობა, დოკუმენტები და მემუარები

12. **შალვა ალხაზიშვილი** — თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნება . . 167
13. **ალექსანდრე ყაზბეგის** — და **დიმ. ყაზბეგის** ბიოგრაფიის მასალები . 180
14. **სიმონ ჩიქოვანი** — თანამედროვე გერმანეთის მხატვრობა. 218

მეცნიერება და პუბლიცისტიკა

15. **ნიკო მარრი** — ნაპერწკლები და შენიშვნები იაფეტური თეორიის შესახებ 231
16. **ა. დებორინი** — ლენინი—მებრძოლი მატერიალისტი 238
17. **ლევ ტროცკი** — რევოლიუციის ახალი ეტაპი. 257
18. **სიმონ ხუნდაძე** — მარქსის ინტერნაციონალი 281

ბიბლიოგრაფია

რეპროდუქციები:

1. **დიმიტრი ყაზბეგის** პორტრეტი
2. **კანდინსკი** კომპოზიცია
3. **გეორგ გროსს** — მე ვარ ადამიანი:

ყ დ ა: — **წილოსანი**
მარკა: — **მ. ჩხიკვაძე.**

საქართველოს
პასუხისმგებელ
ზრომის

არტელი

ერეკლეანული
ბიბლიოთეკა

აწვდის დაწესებულებებს და კერძო
პირთ
გამოცდილ
და
ქონებრივად
პასუხისმგებელ ნივთებს

ტელეფონი
№ 17-19

ტელეფონი
№ 17-19

მეარტელეთა, მოლარეთა, საწყობის გამგეთა, მასალების დამტარებელთა, გამყოლთა და საწყობების, მაღაზიების და სალარო-თ ნაცვლების
მოვალეობათა შესასრულებლად.

გარდა ამისა იგი იღებს ყოველგვარ
საქონელს და ცვირთ საკომისიოდ,
საწყობებში შესანახად, აგრეთვე გადასაგზავნათ რკინის
გზით, ზღვით და გზა-ტკეცილებით.

აქვს განყოფილება ქ. გაქოში,
(ტორგოვაია ქუჩა, № 18)

მთავარ გამგეობის მისამართი: ტფილისი, კამოს (ყოფილი
დიდი მთავრის) ქუჩა № 85, საკუთარი სახლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

პოლიტგანათლების მთავარმმართველობის
გამომცემლობა

— და —

წიგნის მაღაზია

რუსთაველ. პროსპ., № 22, ს. კ. პ. ც. კ-ის შენობის ქვემ.

წიგნის მაღაზია აწვდის საქართველოს ეკონომ. სიბჭოთა და პარტ. ორგანიზაციებს

საჯირო მარქსისტულ ლიტერატურას,

გამოც. ცენტრ. კომიტეტისა, საკავშირ. გამოთემდობისა, სოფ. სოსელგამისა და ყველა სხვა გამოცემის წიგნებს.

წიგნის მაღაზია

უზრუნველყოფილია აგრეთვე რუსეთის ლიტერატ. და სამეცნიერო.

წიგნის მაღაზიასთან არსებობს

საკანცელარიო ნივთების განყოფილება,

სადაც სასწავლო წლისათვის დამზადებულია სკოლებისათვის საჭირო ნივთები, ქაღალდი და სხვა.

პარტ-ორგანიზაციებს და საბჭოთა დაწესებულებებს, საჭირო ლიტერატურა ეძლევა ნისიათ.

მაღაზიაში მოთავსებულია საექსპედიციო განყოფილება, რომელიც აწარმოებს **უფასოთ** ლიტერატურის განაწილებას — როგორც პოლიტგანათლების მთავარ მართველობისა — ისე ს. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის.

პარტიული და საბჭოთა დაწესებულებები ღებულობს:

ა)	წიგნებს საკუთარ გამომცემლ.	30%	— დაკლებით
	„ სხვა „	20%	„
ბ)	საკანცელარიო წიგნებს	10%	„

საძიებელი გაიცემა ბითუმათ და ნაწილობრივად

წიგნის მაღაზიის **გამგეობა.**

2,50.-
Შ1601/1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი ოქრი მანეთი

და ათი შაურიი